ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

როსტომ ჩხეიძე

მდინარესა ზედა ქსნისასა

ელიზბარ ერისთავის ცხოვრების ქრონიკა

თბილისი
2008

როსტომ ჩხეიძის მრავალრიცხოვან მონოგრაფიებში ორი რკალიც გამოირჩევა:

ბიოგრაფიული რომანი

და

დეტექტიური ცდა.

ამ შემთხვევაში ორივე რკალი თითქოს შეერწყა ერთმანეთს. „მდინარესა ზედა ქსნისასა“ შესაძლოა უფრო ბიოგრაფიული რომანი იყოს, მაგრამ საგრძნობია დეტექტიური ჟანრის ხერხები და ელემენტები.

და ეს იმიტომ, რომ 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურისა და მთავარსარდლის ელიზბარ ერისთავის მემორიალსაც იგივე ბედი ერგო, რაც თვითონ გმირს. 170-წლიანმა ისტორიულმა ხანამ ვერაფერი შეცვალა მის დრამატულ ხვედრში და მემორიალიც ისევე აღმოჩნდა სასამართლოს ნინაშე, როგორც ოდესღაც თვითონ ეს ეროვნული გმირი – ჯერ სულაც სასიკვდილო განაჩენი რომ გადაუწყვიტეს ასეთივე განაჩენს გამოუტანდნენ მის მემორიალსაც – ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებას, თავისი დიდებულებით მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქს რომ დაამშვენებს – რომ არა ადამიანთა იმ ჯგუფის თავგამოდება, საქართველოს ნამდვილი, შეუფერადებელი ისტორიის აღსადგენად და საზოგადოებრივი მორალის განმტკიცებისათვის რომ იღვწის.

პარალელური თხრობა ხელშესახებად და შთამბეჭდავად წარმოსახავს ამ 170-წლიანი ხანის ორივე კიდეს და, გარდა იმისა, რომ ხასიათთა მრავალფეროვან გალერეას ქმნის, უამრავი მიყრუებული, ახლებურად გააზრებული თუ სრულიად უცნობი რეალიის ნარმოჩენით ამდიდრებს ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით გამოცემული კრებული „ელიზბარ ერისთავი“ თვალსაჩინო მოვლენა გახლდათ თავის დროზე და ხელიც საკმაოდ შეუწყო ამ სახელის დაბრუნებას ჩვენს ყოველდღიურობაშიც და მაგიურ სიმბოლიზმშიც, ძალიან ნაადგა მემორიალის დადგმასაც გმირის მშობლიურ ქალაქ გორში, მაგრამ განათლებული საზოგადოება როსტომ ჩხეიძისაგან ითხოვდა ბიოგრაფიულ რომანსაც და იმ მოვლენაში ღრმად გარკვევასაც, რასაც ერქვა ხელის შეშლის სერიოზული მცდელობა მემორიალის დადგმისათვის.

ასე შეიქმნა ეს ნიგნი, რომელმაც გააერთიანა საზოგადოების ორივე ნადილი.

რედაქტორი
ოთარ ჩხეიძე

გარეკანზე: ელიზბარ ერისთავი
მოქანდაკე გენო ზაქარაია

© როსტომ ჩხეიძე. 2008



მტვერიმც მომენატრება
შენი ჩოხის კალთისა!

გიორგი ლეონიძე

წინათქმის მაგიერ

ქსანსაც გაუჩნდებოდა თავისი საიდუმლო.

ვინ მოთვლის, მანამდეც რამდენი გასჩენოდა, მაგრამ რაფსოდებს არ დაედასტურებინათ და არც მისი ამოხსნა ეცადათ.

იქნებ კიდეც დაედასტურებინათ და ამოსახსნელად მისტანებოდნენ, მაგრამ მდინარის ტალღებს თან გაეყოლებინა ის მომღერალნიც და მათი გაბმული კვნესანიც.

ნიკოლოზ ბარათაშვილი აცდებოდა იმათ ხვედრს, ტალღებს ასე ადვილად არ ჩაეთრევინებოდა.

მდინარეებს ნაპირ-ნაპირ დაუყვებოდა, მათ უტყვ დუდუნში მოინდომებდა სიტყვებისა და ფრაზების გამორჩევას, თავის გულისთქმასაც მიადევნებდა იმ მელოდიას და წუთისოფლის დენასაც ამ ტალღებში გაასიმბოლოვებდა. ცოტა უფრო ხელშესახებს ხდიდა ცხოვრების დინებასა და რიტმს და უფრო გაშინაურებასაც ესწრაფოდა.

იქნებ მდინარეთა ქებანის რკალიც უფრო მკაფიოდ გამოკვეთილიყო ამ ტრაგიკულ პოეზიაში, არ ეკმარა მტკვარი, აღარც

არაგვი, აღარც ქსანი, მიჰყოლოდა და მიჰყოლოდა და ყველგან რაღაც თავისებურებაც ეძია იმ მარადიულსა და გამამთლიანებელთან ერთად, ყველა ეს მდინარე ვეება, ყოვლისწამლეკავი ნაკადის ცალკეულ ტოტებადაც რომ გამოჩნდებოდა.

სამყაროს ფილოსოფიურ შინაარსს გაანივთებდა მტკვარში.

ქართული მოდგმის უშორეს ფესვებს მოჩხრეკდა არაგვის ტალღებში, ორ ზღვას შუა გამოჭედამდელი ჟამისა, უშველებელ სივრცეზე რომ გადაფენილიყო და ეს ორი ზღვა ამ მოდგმის საცხოვრისის მხოლოდ ერთ მხარედ რომ წარმოსდგებოდა.

სიყვარულის ტრაგიზმს შეურევდა ქსნის დენას, სიყვარულის საიდუმლოს შეაფარებდა მის უტყვ დუდუნს და ახლა მაინც დაადასტურებდა იმ ფარულ მოტივს, რაც ქსანს იქნებ მანამდეც გამოსდევდა, მაგრამ დროს შთაენთქა უკვალოდ გამქრალ რაფსოდთა სახეებიანად.

ქსანი გადაფენოდა ერისთავთა ცხოვრების ტრიალს, მათი ამაღლებისა და დაცემის სურათებს, მათ მღელვარე განცდებს, ათასფრად აელვარებულს, და ნიკოლოზ ბარათაშვილს ამ ელვარებიდან უპირველესად სიყვარული გამოერჩია, ქეთევანისა და ელიზბარის სახელებით დატვიფრული და გასიმბოლოებული, მათი გულისთქმით გასაიდუმლოებული და ბარათაშვილს ვერ გაეგო, რატომ უპირებდა მიტაცებას ამ საიდუმლოსაც ქსანი.

არა კმაროდა, რაც მიეტაცა და უკვალოდ გადაეყლაპა?

ამასვე მოუნდომებდა ამ სიყვარულსაც და მის პერსონაჟებსაც, კიდეც ჩაითრევდა ტალღებში ქეთევანს და უკანასკნელ ნუგეშად ელიზბარის სახელის წარმოთქმას დაუტოვებდა. თავზე გადაუვლიდა ქალს, ვისი ბადალიც ძნელად მოიძებნებოდა – ზღაპრებისა და საგმირო ეპოსებისა არ იყოს, ბაგეს ამოუვსებდა ნაკადით, მაგრამ სიტყვა მაინც ამოფარფატდებოდა ქსნის სიღრმიდან, სიტყვა – ყველაზე ძვირფასი პიროვნების სახელი.

ელიზბარიო, – კვნესოდნენ ტალღები ლექსის თავდაპირველ ვერსიაში.

ამილბარიო, – მოგვიანებით ასე შეიცვლებოდა ეს კვნესა, ასე უფრო ბუნებრივი მოეჩვენებოდა პოეტის ყურთასმენას, იდუმალი შიფრით შემოგარსავდა ამ ლირიკული ქმნილების ფინალს, მაინცდამაინც ამ აკორდით დააბოლოვებდა მარადიული ტრაგედიის ამ კიდევ ერთ ამოფრქვევას, უამრავი ლანდით დახუნძლულს ახალი ლანდები შეემატებოდნენ და ისევე გადარჩებოდა ეს სახელები,

როგორც ყველა ის სიყვარული გადარჩენილიყო, რომელსაც დიდი შემოქმედი მოვლენოდა თანამგრძნობელად.

ქსნის პირს ლექსში მხოლოდ ქეთევანი შეფარებოდა, დარდის გასაქარვებს იქ ეძიებდა და, თუმც მდინარე სულაც თავის მკლავებში ჩაიხვევდა, აქეთ გამოჩქარებულს ჯერ ხომ არ ამოეცნო ქსნის მაცდური ჩანაფიქრი და ერთადერთ ნუგეშად მისი ნაპირი ეგულებოდა.

ვინ იცის, ელიბზარიც რამდენჯერ ეძებდა შვებას მის ნაპირას.

ლიახვის ნაპირზეც, ტანასიც, მაგრამ ამჯერად ქსნის ნაპირებს ავყვეთ გონების თვალით, აქაც გვეგულება და იქნებ გამოგვრჩეს მზერიდან, ელიზბარი – მდინარესა ზედა ქსნისასა.

ძველი აღთქმა მდინარეთა ზედა ბაბილონისათა ურვა– გოდებას შემოინახავდა, ჩამომსხდარიყვნენ ტყვე ებრაელნი და მდინარის ტალღებში მისტიროდნენ სიონს. ოდეს იხილავდნენ ცას მშობლიურს. რომელი თაობა მოესწრებოდა თავის მიწაზე ფეხის შედგმას. ვის გაუკვალავდა გზას თაობებში გამოტარებული ჟინი და სწრაფვა თავისუფლებისაკენ. ვინ მიხედავდა მადლიერი თვალით მამა– პაპათ, იმედი და რწმენა რომ შეენარჩუნებინათ და ბაბილონის სანახებში კვლავ სიონს ჭვრეტდნენ, იმ მზესა და მთვარეს, ზედ რომ დადგომოდნენ ღვთიური სულის ემბლემებად მიწიერ სადგომს უფლისას.

მაგრამ სად მდინარენი ბაბილონისა და სად ქსანი, ერისთავთა მდინარედ რომ დამკვიდრებულიყო ეს ამდენი საუკუნეა და მათ სახელწოდებაშიც ჩაწნულიყო – ქსნის ერისთავნიო.

და ქსნის ნაპირას რატომ უნდა გასჩენოდა ელიზბარს ისეთივე ფიქრი და განცდა, რაც ტყვეობაში მყოფ ბიბლიურ პერსონაჟებს?!

უფრო მშობლიური სხვა აღარც არაფერი ყოფილა ელიზბარისათვის.

მაგრამ წუთისოფლის გამოცანა სულ სხვას გულისხმობდა, სხვაგვარად ატრიალებდა ისტორიის დენას და ელიზბარსაც იმ ხასიათად წარმოგვიჩენდა, საკუთარ მამულში ემიგრანტად რომ მოეჩვენებოდა თავი.

დადგებოდა ის დროც, როდესაც ეს ხასიათიც გამოიხატებოდა მწერლობაში, მასაც დაუკვირდებოდნენ ანალიტიკური მზერით და თეიმურაზ ხევისთავის სახედ გაასიმბოლოვებდნენ საკუთარ სამ-

შობლოში ემიგრანტად ქცეული ადამიანის ტრაგედიას. საამისოდ უამრავი მასალა ეპყრა ხელთ მიხეილ ჯავახიშვილს – გარშემოც და ისტორიული გალერეიდანაც, და ყველას ტკივილს ვალალებდა თეიმურაზ ხევისთავი, გამჩენს რომ შესჩიოდა: ემიგრანტი გავხდი ჩემს მამულშიო. ემიგრანტად იქცაო, უდასტურებდა მწერალიც და საკუთარ ბედისწერასაც რომ იგულისხმებდა ამ პერსონაჟის ხვედრში, ყველა იმათ ბიოგრაფიასაც გაზომავდა ამ თვალთახედვით, ამ ჯაჭვის რგოლებად ვინც მოჩანდა.

მდინარეთა ზედა ბაბილონისათაო, – იქნებ ეს კვნესაც დაცდენოდა თეიმურაზ ხევისთავს – მუნ დავსხედით და ვტიროდით, რაჟამს მოგიხსენეთ შენ, სიონო.

და თუ ზოგი ვერც მიუხვდებოდა, ბაბილონს რატომ უნდა ახსენებდეს, ან სიონს, ან იერუსალიმს, ან უცხო ქვეყანას, გადახვენილის ცხოვრებით როდის ცხოვრობსო, თეიმურაზმა განა უკეთ იცოდა, რაც მოსწეოდა? იცოდა და მაინც რეალობისათვის თვალის გასნორება ერჩივნა ხანდახან.

მდინარესა ზედა მტკვრისასაო, – იქნებ ეს პერიფრაზიც მოეშველიებინა მიხეილ ჯავახიშვილს დავით წინასწარმეტყველის სტრიქონის შესატყვისად და ვერც ვერავითარი განსხვავება ვერ ეპოვნა ამ ორ სიმბოლოს შორის.

მდინარესა ზედა მტკვრისასა მუნ დავსხედით და ვტიროდით...

მდინარესა ზედა ქსნისასაო, – ფიქრში უთუოდ აეკვიატებოდა ელიზბარ ერისთავს. ლექსში ვერ უპოვნია გზა ამ ფიქრს, მაგრამ დამხობილი მთავარსარდლის არსებაში ხომ ბორგავდა და კედლებს აწყდებოდა გასანგრევად. გამოჭამდა სხეულს და კიდეც გამოაღწევდა გარეთ. ფსალმუნთა სტრიქონები ისედაც ურიალებდა გონებაში – უშუალოდაც და პერიფრაზებადაც დატეხილი, და ეს ტაეპიც შეერეოდა განცდას, ოღონდ... ოღონდ მშობლიურ მდინარედ გადმოთარგმნილი.

თუმც რაღა მშობლიური, თუკი ემიგრანტად ეჩვენებოდა თავი.

და იჯდა მდინარის ნაპირას ფიქრით გათანგული.

ამოისმოდა ტალღებიდან მისი სახელი – მწარე მოგონებად გასიმბოლებული: ამილბარიო.

და რჩებოდა ლექსის მიღმა ეს სურათიც, ეს განცდაც, მღელვარე ფიქრის ეს ნატეხიც.

სხვა ლექსს უნდა მოჰყოლოდა თან ეს სხვა საიდუმლო, მაგრამ სად იყო ის სხვა ლექსი.

* * *

– გინახავთ ვინმეს ამ ქუჩაზე გავლილი ელიზბარ ერისთავი? – გაოცებული სახით იკითხავდა მსახიობი ქალი გორის დრამატულ თეატრშიც, ოჯახებშიც, ქუჩა– ქუჩაც და... ტელეკომპანია „თრიალეთის" ეკრანიდანაც.

ერთხანს იყუჩებდა, რათა მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა ნათქვამისათვის, და შთამაგონებელ პაუზას მღელვარედ მოადევნებდა:

– მე თვითონ, მიცნობთ ყველა, სულ ამ ქუჩაზე დავდივარ, მისთვის თვალი არასოდეს მომიკრავს, და, აბა, ამიხსენით, რატომ უნდა დაიდგას ელიზბარი ერისთავის ძეგლი მაინცდამაინც ამ სკვერში.

„თრიალეთი" ბობოქრობდა. მარტო ამ მსახიობის იმედად კი არ დარჩენილიყო.

ახალ-ახალ ძალებს წააქეზებდა, სიუჟეტი სიუჟეტს ენაცვლებოდა ეკრანზე და ყველა რესპონდენტი ერთსულოვნად და გააფთრებით შეეწინააღმდეგებოდა მემორიალის დადგმას: ვინ არის ამისთანა ეს ერისთავი, განა რა დამსახურება მიუძღვის თუნდაც გორის წინაშე, მთელს ქვეყანაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩხეიძეებმა კი მხოლოდ იმიტომ გამოიდეს თავი მისთვის, რომ თავიანთი პაპაა და პატივს მიაგებენ, მაგრამ ქალაქი რა შუაშია, მათ პირადულ სურვილებს ანგარიში რომ გაუწიოსო.

ამიხსენითო, – მოითხოვდა მსახიობი ქალი.

აგვიხსენითო, – დაჟინებით იმეორებდნენ სხვანიც.

თითქოს რას ერჩი, განმარტების მოსასმენად თუ გამზადებულან. კიდეც მიადგებოდა რამდენიმე მოქალაქე ტელეკომპანიის კარს, აგიხსენით, რაც ვერ გაგიგიათო, მაგრამ ისე ჩაირაზებოდა მათ წინ მინის კარი, მგონი შიგნიდან მაგიდებსა და კარადებსაც ზედ მიახორავებდნენ.

აგვიხსენითო, – კვლავინდებურად ტრიალებდა ტელეეკრანზე.

იმ ადგილის გათხრა რომ უკვე დაწყებულიყო კვარცხლბეკის აღსამართად?

დაწყებულიყო და... ვერ შეწყდებოდა თუ რა?!.

ქალაქის გამგებლის თვითნებობით მოხდა და არ დავანებებთო, – მღელვარე სატელევიზიო გამოსვლებს ეს ქადილიც შეერეოდა და მეტი სიმტკიცისა და სიმხნევისათვის ახალ სახელს გადმოისროდნენ მოულოდნელად:

– ნუთუ შალვა ხერხეულიძე იმის ღირსი არ არის, გორმა ძეგლი დაუდგას?.. და ამ ადგილს, სწორედ ამ ადგილს დაშვენდება მისი მემორიალი. ხშირად დადიოდა ამ ქუჩაზე, ყველას მოგვაგონდება მისი თავმომწონე ჩავლაც და მისი როლებიც, განსხვავებით ელიზბარ ერისთავისაგან, ვისაც ასე ძალისძალათი გვაჩეჩებენ, მითუმეტეს, არსებობს შალვა ხერხეულიძის ბიუსტი, უკვე გამზადებული დასადგმელად და ან აქამდე რას ველოდებით. გულით ვერ მოვეკიდეთ ამ უკეთილშობილეს საქმეს, მაგრამ დაგვიანებული ჯერაც არ არის – ამიტომაც ამ ბიუსტს დავდგამთ კვარცხლბეკზე, როდესაც სასამართლო აღკვეთს ამ უმაგალითო თვითნებობას და ნებას დაგვრთავს ღმერთსაც ვაამოთ და კაცსაც, და ჩვენი ქალაქის ღირსებაც შევინარჩუნოთო.

მთლად ასე დალაგებულადაც კი ვერ მოახერხებდნენ ლაპარაკს, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ცოტა არ იყოს ბუნდოვანი ღაღადისიდან – რესტავრირებული სახით – სწორედ ამგვარი შთაბეჭდილება დარჩებოდა მაყურებელს.

ისეთი დაჟინებითა და მოწიწებით იმეორებდნენ შალვა ხერხეულიძის სახელს, გესიამოვნებოდა: ეს როგორ ყვარებიათ და როგორი მონდომებით ირჯებიან მისი ხსოვნის წინაშეო.

თუმც ისიც გაგკრავდა გულში:

აქამდე სად იყვნენ, ერთხელ მაინც რატომ არ ახსენეს, სიტყვა რომ ვერ დაასველეს მისი ხსოვნის სასიკეთოდ და რაღა ელიზბარ ერისთავის მემორიალის ჩასაშლელად გამოიხმეს მისი აჩრდილიო.

ისინი კვლავინდებურად:

მხოლოდ შალვა ხერხეულიძის ძეგლი უნდა დაიდგას ამ ადგილას, დავიხოცებით და ჩვენსას მაინც მივაღწევთო.

როგორც ააფრიალებდნენ ბაირაღივით, ისევე მალე გადამალავდნენ ამ ბაირაღს, თავის გამოდება კი არა თეატრისა და კინოს ამ თვალსაჩინო მსახიობისათვის, სიტყვის დასველებასაც ზედმეტად მიიჩნევდნენ და კვლავაც ისე მიაყრუებდნენ მის სახელს, მანამდე როგორც მიეჩუმათებინათ.

საშუალებანი მეტი გაუჩნდებოდათ შალვა ხერხეულიძის მემორიალისთვისაც და საერთოდაც – მისი ხსოვნის დაფასებისთვისაც, მაგრამ თითსაც აღარ გაატოკებდნენ და მაშინაც მდუმარებას ამჯობინებდნენ, როდესაც გამოჩენილი მწერალი შეახსენებდათ მოვალეობასაც ამ თვალსაჩინო მსახიობის წინაშეც და მთელს ამ დავიდარაბასაც, თავს რომ იკლავდნენ შალვას ძეგლის გულისათვის

– სად გამქრალიყო ის აღტკინება, ბაქი-ბუქით ლამის თავბრუ რომ დაეხვიათ საზოგადოებისათვის, რატომ გამტკნარებულიყვნენ, მითუმეტეს, სულ იოლად შეეძლოთ თუნდ ძეგლის აღმართვა და თუნდ სხვაგვარი დაფასებაც.

სწორედაც იოლად...

ლამის თავბრუ დაეხვიათო...

კიდევ კარგი, რომ ლამის, რადგანაც საკმაოდ ჩაეხედა უკვე გორსაც და მთელს საქართველოსაც ელიზბარ ერისთავის ბიოგრაფიაშიც და 1832 წლის შეთქმულების რაობაც სრული მიუდგომლობითა და სრულყოფილებით წარმოსდგებოდა ყველას თვალწინ, იმ ადამიანებსაც იცნობდნენ, მის კვალს ვინც შედგომოდნენ და „თრიალეთის“ ეკრანიდან დაყენებული ბუქი შედარებით იოლად გადაიწმინდებოდა.

შედარებით...

„თრიალეთის“ ამარა ხომ ვერ დატოვებდნენ გორს.

და კიდეც შექმნიდა გია სოსანიძე, ქალაქის მთავარი არქიტექტორი, საპირისპირო მოძრაობას და დოკუმენტს დოკუმენტზე და არგუმენტს არგუმენტზე დაახვავებდა, რათა ელიზბარ ერისთავის მემორიალს გადაეწონა „თრიალეთის“ გავლენა და მისი რაზმისაც, ისეთ განსხვავებულ ადამიანებს რომ აერთიანებდა, თითქოს სტადიონის ტრიბუნაზე მოხვედრილან ერთადო.

ტელეკომპანია „იბერიას“ ჟურნალისტები ჩააკითხავდნენ ამ აქციას და საქვეყნოდაც გამოიტანდნენ ამ ჭიდილს.

სასამართლო აღუკვეთს ამ უმაგალითო თვითნებობასო, – თავისას არ დაიშლიდნენ „თრიალეთის“ რჩეულნი და წინ იმ მსახიობს წაიძღოლებდნენ, თავისი დღე და მოსწრება ამ ქუჩაზე რომ დადიოდა და ელიზბარ ერისთავისათვის კი თვალი არასოდეს მოეკრა.

სიცოცხლეში არ დაკლებოდა სასამართლო ელიზბარ ერისთავს, არც კანონგარეშე გამოცხადება, ტუსაღის ხალათი და გადასახლებულის ხვედრი.

ახლა მის მემორიალს ელოდა სასამართლო?

ახლა მის მემორიალს ელოდა კანონგარეშე გამოცხადება?

ახლა ქვაში ნაკვეთი სახისათვის უნდა გაემზადებინათ ტუსაღის ხალათი და გადაეკარგათ?

ზოგს სიცოცხლეში უმართლებდა, ზოგსაც – გარდაცვალების შემდეგ, ბედისწერის კანონები როგორც განსჯიდა. და ამას ასე ავად როგორ მოჰყიოდა თავისი ბედი – ნუთუ არაფერი შეცვლილი-

ყო... და თუკი შეცვლილიყო, ელიზბარის პორტრეტზეც რატომ არ ირეკლებოდა.

რა გამონაკლისი იყო ამისთანა!..

ბუქი გადაიწმინდებოდა მალე, მაგრამ თვითონ დავიდარაბა აღარ ჩანდა ასევე ადვილად მოსათავებელი, გახიახდებოდა, გაიწელებოდა, ტელეკომპანია „იბერია“ შემთხვევით არ გამოჩენილიყო მოვლენათა შუაგულში, თბილისს გადაწვდომოდა და საკმაოდ მწვავედაც.

შეჩერდებოდა წამოწყებული სამუშაოები, ასფალტის გადათხრა შუა გზაზე შეწყდებოდა. და ძეგლიც ისევე ელოდა განაჩენს, როგორც მისი პროტოტიპი, გადასახლებას წყალობად რომ მიუთვლიდნენ.

...უცნაურად კი ინასკვებოდა ორივე ელიზბარის ბედი.

თავი პირველი

„დროა გავთავისუფლდეთ ამ შავი სულებისაგან“

სრულიად გულწრფელი მონანიებაო – ასე დაასათაურებდა ელიზბარი თავის პირველ ჩვენებას, 1832 წლის 17 დეკემბრით დათარიღებულს, და მტკიცებას მოჰყვებოდა: ალექსანდრე ორბელიანთან ხშირად დავიარებოდი არა რაიმე მოსაზრებათა გამო, არამედ იმიტომ, რომ ჩემთან ახლოს ცხოვრობდაო.

და ალექსანდრე – 1831 წლის ივნისის თვეში – საღამოჟამს ერევნის მოედანზე გასეირნებისას ელიზბარს პოლონელებზე რომ ჩამოუგდებდა სიტყვას და რაღაც საიდუმლოს მიანიშნებდა: ჩვენც უნდა მათ მივბაძოთო, – ამას სასაცილოდ მოსჩვენებია ეს აზრი, მაგრამ ამ დროს სხვები შემოეყრებოდნენ, გვიანიც იქნებოდა და ისე დაიშლებოდნენ, რომ საუბარს ვერ მოათავებდნენ.

ისეთი მიამიტობით ჰყვება, თითქოს პეტერბურგიდან ამ მისიით არ ჩამოსულიყოს და თვითონ არ ადგენდეს ფარულ ორგანიზაციას.

ამ საღამოს შემდეგ ალექსანდრე კარგა ხანს რომ აღარ უნახავს, იმით ახსნიდა: გართული ვიყავი სახელმწიფო ნივთების როტაში გაგზავნით (კავკასიის გრენადერთა არტილერიის მესამე მსუბუქ როტას იგულისხმებდა) და, ამასთან, განსვენებული მამაჩემისაგან მივიღე წერილი, რომლითაც თავის ავადმყოფობას მატყობინებდა და მონახულებას მთხოვდაო.

ფრთხილად, ელიზბარ!

მაინცდამაინც არ გინდა მამაშენის ხსენება.

გამოძიება ისედაც გულმოდგინედ ჰკრებს ცნობებს შენი ოჯახის ირგვლივ, შანშე ერისთავისა და შენი უთანხმოება დამალული არავისათვის არ არის და ის საეჭო ხმებიც, მამაშენის გარდაცვალების შემდეგ რომ დაირხა, გამოძიებისათვის სწორედ

მისწრება იქნება. ამიტომ – რაც სხვაგან გადაიტან ყურადღებას, ის გერჩივნოს.

დავალების შესრულების შემდეგ ვითხოვე და კიდეც მივიღე შვებულება და, ტფილისიდან წასვლას ისე ვეჩქარებოდი, რომ ალექსანდრე ორბელიანს ვერც გამოვეთხოვე. გორიდან კი პირდაპირ როტაში მივედი შვებულების გასვლისა და მამაჩემის გარდაცვალების შემდეგო.

ფრთხილად, ელიზბარ, ფრთხილად!

ოჯახური მდგომარეობის გამო მოუხდებოდა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურის დატოვება და მუდმივი დასახლება გორში, ტფილისში კი სხვადასხვა საშინაო საქმეთა გამო თუ ჩამოდიოდა.

მონახულებით მაშინ თუ მოინახულებდა ალექსანდრე ორბელიანსაც, შემთხვევიდან შემთხვევამდე, და იმას იმ თემაზე საუბარი აღარ განუახლებია.

აბა, თქვენ რა გგონიათ, უფალო გამომძიებლებო, ალბათ წარმოგიდგენიათ, რომ დილიდან მეორე დილამდე სულ აჯანყების მზადებაში იყვნენ?

როგორი მზერით მიჩერებიხართ, თითქოს სულის კუნჭულებში ლამობდეთ ჩაღწევას.

ის როგორ იყო, ალექსანდრემ ფიცი რომ მოითხოვა ელიზბარისგანაც და სხვებისგანაც, რაც აქ ითქმება, არ გავცემთო?

ახლა კუდს ნუკი გამოაბამთ ყველაფერს. საოჯახო საქმეებზე ჩამოდიოდა გორიდან, არა? სხვა რა საზრუნავი შეიძლება ჰქონოდა. და 1832 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებშიც ტფილისს იმიტომ ეწვია, ქონება გაეყო ბიძებთან. ერთ საღამოს, გულის გადასაყოლებლად, სოლომონ დოდაშვილთან შეუვლია და იქ დახვედრია იასე ფალავანდიშვილი, ანტონ აფხაზი და ალექსანდრე ორბელიანი. იასესა და ანტონს არ იცნობდა და მაშინ გაუცვნია. რაღაც უმნიშვნელო საგნებზე ულაპარაკიათ ერთ საათს და დაშლილან. ანტონ აფხაზს შეუთავაზებია: ხვალ ვახშმამდე სოლომონის სახლში შევიკრიბოთო. შეკრებილთ გიორგი ერისთავიც შემატებიათ.

– როცა ღვინომ გაგვიცხელა თავი, მაშინ ყველამ დავიწყეთ პოლიტიკაზე მსჯელობა, ყველანი ვყვიროდით, არ ვაცდიდით ერთიმეორეს ლაპარაკს; ბოლოს ალექსანდრე ორბელიანმა მოიხადა ქუდი და დაიყვირა ამ სიტყვებით: „ახლა საქმეზე ვილაპარაკოთო". მაშინ ყველანი გაჩუმდნენ. მან წარმოთქვა იმათი სადღეგრძელო,

ვისაც საქართველო უყვარს და ჩვენ ყველამ დავლიეთ. ალექსანდრე ორბელიანმა მოითხოვა ჩვენგან ფიცი, რომ არ გავცემთ იმას, რაც აქ ითქმება. მე ვუპასუხე, ვინც პატიოსან სიტყვას გასტეხს, ის ფიცსაც დაარღვევს, ამიტომ ფიცი საჭირო არ არის, თუმცა ჩვენ მაინც ვიფიცავთ (მართალია, არა ხატზე), რომ ერთიმეორეს არ გავცემთ-მეთქი".

ალექსანდრემ უნდა განაგრძოს: დროა გავთავისუფლდეთ ამ შავი სულებისაგანო.

და მხოლოდ ანტონ აფხაზი ვერ უნდა მიუხვდეს, ან თავი მოიგულუბრყვილოოს: ვინ შავი სულებისაგანო?

პასუხად კი ყველა ერთხმად:

– რუსებისაგან.

ანტონ აფხაზს მათი შთაგონება დაუწყია, იქნებ ასეთი სახიფათო აზრები გადავაფიქრებინოო.

– მაგრამ ჩვენ იმას არ ვუსმენდით, ვყვიროდით, ვსვამდით და ავდექით მაგიდიდან. ყველანი მთვრალები ვიყავით, თავი დავიწყებული გვქონდა და ათი წუთის შემდეგ კიდეც დავიშალენით.

რა ყოფილა თურმე შეთქმულების წამოწყება.

როცა ღვინომ გაგვიცხელა თავიო...

თავი დავიწყებული გვქონდაო...

ფეხი არ უნდა მოიცვალოს ერთხელ ნათქვამიდან და დრამატიზმი ისე გადაასხვაფეროს ქარაფშუტობად და ყმაწვილურ თამაშად, თითქოს მოიძებნებოდეს კაცი, ვინც ამას დაუჯერებდეს – თანამგრძნობელი იქნება თუ მათი დასჯის მოსურნე.

შეთქმულების მზადება ემოციურ ლაპარაკს არ უნდა გასცილდეს, სუფრის საზღვარს არ უნდა გადააჭარბოს და გაბედული წამოძახილებიც მთვრალების უაზრო რეპლიკებს უნდა გაუიგივდეს, მეორე დღეს ერთი სიტყვაც რომ არ ახსოვთ.

ამ ტაქტიკას სასიკეთო შედეგი არ მოჰყვება და ოთხად განკვეთას ვერ ააცილებს საიდუმლო ორგანიზაციის მეთაურებს?

ცდას რა დაუდგება წინ.

ბოლოსდაბოლოს, თვითონ რატომ აღიაროს საკმაოდ მძლავრი ქსელის არსებობა. თუკი შეთქმულთა დატუსაღება-დასჯით ეს ქსელი მოიშლება, ის ნამსხვრევები მაინც გადარჩება, ხელახლა რომ აღადგენს ფარულ მოძრაობას უკეთესი ჟამის მოლოდინში.

გამოძიება თან კუდის რიკამდე ჩასდევს შეთქმულებს და, მითუმეტეს, მის მოთავეებს, თან ნელ– ნელა თითქოს ლმობიერება-

საც გამოიჩენს. საიმპერატორო კარი დიდ ფიქრსა და განსჯაშია – სამაგალითოდ დასაჯონ მეამბოხენი თუ შეინყალონ და შემოირიგონ, რითაც სახელსაც გაუტეხენ და წინააღმდეგობის უნარსაც წაართმევენ, მორალურად წაახდენენ, თორემ გმირებად თუ აქციეს, ადრე თუ გვიან ეს ულმობელი განაჩენი სიკვდილით დასჯისა სახიფათოდ შემოუბრუნდებათ მეამბოხური განწყობილების გაძლიერებით ქვეყანაში, რომელიც არა და არ ეგუება იმპერიის პროვინციად გადაქცევას და სახელმწიფოებრიობის დაბრუნებისაკენ მიისწრაფის.

ხომ არ დასრულდეს აჯანყებათა სისხლში ჩახშობის ჟამი და სამხედრო მმართველობა სამოქალაქო მმართველობით შეიცვალოს?

ამას დრო გამოაჩენს, მანამდე კი საიმპერატორო კარმა პირველი ნაბიჯი უნდა გადადგას შეთქმულთა და მათ ახლობელთა გულის მოსაგებად და, უკეთესი წყალობა რა შეიძლება იყოს, თუ არა სიცოცხლის შენარჩუნება.

და ჯერ რომ ოთხად განკვეთა გადაწყდება მეთაურებისა, ესეც თავისებური ტაქტიკური ხერხი უფრო აღმოჩნდება – სასტიკი განაჩენის ფონზე უფრო გულისშემძვრელად წარმოისახება მეფური წყალობა, უფრო დაფასდება სიცოცხლის შენარჩუნება და უფრო მბრწყინავ შარავანდში გაეხვევა თვით იმპერატორი, როგორც სამართლიანობისა და კეთილგონიერების, კაცთმოყვარეობისა და მწყალობლობის სიმბოლო.

სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კეთილგონივრული მართლა გამოდგებოდა სიკვდილით დასჯის შეცვლა გადასახლებით – შეთქმულთა მიმოფანტვით რუსეთის გუბერნიებში. კეთილგონივრული? თუ... სჯობს მზაკვრული ითქვას, სულიერად გამტეხი და ნებისყოფის გამომცლელი ქვეყნისათვის და გადასახლებიდან დაბრუნებული ელიზბარი ამიტომაც აღმოჩნდებოდა სულ სხვა საქართველოში – სხვა ინტერესების, სხვა იდეალების, სხვა მორალის... საზოგადოება კარიერის ჭაობში ჩაეფლობოდა და ჩინ-მედლებზე გადაიცვლებოდა ამაღლებული მისწრაფებანი.

ის, რაც შეთქმულთა გადასახლებამდე ალაგ-ალაგ ბოგინობდა, ამჟამად ალაგ-ალაგ ამაღლებული იდეალი შენარჩუნდებოდა, წონასწორობა ასე უნუგეშოდ დარღვეულიყო და შეთქმულნიც ისე აჰყვებოდნენ ამ საერთო განწყობილებას, თითქოს რამ-

დენიმე წლის წინათ სწორედ ამის წინააღმდეგ არ იბრძოდნენ ასეთი თავგამეტებით.

და შერჩებოდა ალექსანდრე ორბელიანი უცნაურ გამონაკლისად საზოგადოებრივ ცხოვრებას და დაუფარავ სიცილსაც ინვევდა: ჭკუა მაინც ვერ ისწავლა, რისთვის ეტანჯა და ეწვალა ამდენს, თუკი ისევ იმად დარჩებოდა, რაც თავქარიანობის ჟამს იყო და ღვინით აღგზნებულს ნაცარქექიას ილუზიები უჩნდებოდა – ამხელა იმპერიას დავცემ და საქართველოსაც ხელიდან გამოვგლეჯო.

გახუნებული ჩოხის მეტი რა გამოეგლიჯა!..

როცა ღვინომ გაგვიცხელა თავიო...

აბა, სხვა რა უნდა ყოფილიყო იმ ვახშმობისას, როდესაც მას შემდეგ ელიზბარი ისე წავიდოდა მცხეთაში, დღეობაზე, ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში, რომ თანამეინახეთაგან აღარავინ უნახავს.

იქიდან დაბრუნებულს იასე ფალავანდიშვილი მიიწვევდა სავახშმოდ?

უარი რატომ უნდა ეთქვა, და იქ ალექსანდრე ორბელიანი რომ დახვდებოდა, და კიდევ – გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი და ზაალ ავთანდილაშვილი, ეს თავის ძმასაც მიიყოლებდა – დიმიტრის, არტილერიის პრაპორშჩიკს.

– მან ამ საღამომდის არაფერი იცოდა, არც შემდეგ ყოფილა ჩვენთან და მონაწილეობა მიუღია, ისე ჩვენ იმას ჩვენად ვთვლიდით.

ამას ვეღარ უარყოფს – ძმები უბრად რომ არა ყოფილან, ყველას ჩინებულად მოეხსენებოდა, მაგრამ რაც შეუძლია, ხელს აფარებს: იმ საღამოს უნებურად მოხვდა ჩვენთანო.

შეყრილან თუ არა, უეცრად შემოსულა სამოქალაქო გუბერნატორის მდივანი, დაუწყიათ საერთო საუბარი და კაი ორ საათს ულაპარაკიათ ამინდზე, მცხეთის დღეობაზე. ვახშმობით ყველას ერთად უვახშმია და მდივანი რომ წასულა:

– დავიწყეთ ლაპარაკი, რასაკვირველია, რას ვილაპარაკებდით კახურის შემდეგ, ყველაფერი ის სისულელე იყო, არ ვიცი, ვინ რას ლაპარაკობდა: ერთი ამბობდა, ყველა ქართველი, ვინც მხარს არ დაგვიჭერს, უნდა დავხოცოთო, მეორენი გაიძახოდნენ, წარჩინებულ პირთაგან არავინ იცის ამის შესახებაო, დაბოლოს გადავწყვიტეთ, უნდა გავაფართოვოთ პარტია და აუცილებლად უნდა ვუთხრათ მაიორსაო.

ვერ უარყოფს, რომ თამაშ-თამაშსა და შეზარხოშებულ ბჟუტურში პარტიაც შეუქმნიათ – თავისდაუნებურად, და მის გაშლასაც ვარაუდობენ. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელიც გახმიანებულა (მაიორში ის იგულისხმება), მაგრამ მასთან მოლაპარაკება შემდგომისათვის გადაუდიათ.

რუსეთიდან გვარდიის კაპიტანი ზაქარია ჩოლოყაშვილი რომ ჩამოსულა, ანტონ აფხაზს ყველაფერი გამოუცხადებია მისთვის (რა ყველაფერი – აკი ღვინომოკიდებული თვითონაც არ გაეგებოდათ, რას ლაპარაკობდნენ!) და რჩევაც უთხოვია, მაგრამ იმას რა ურჩევია, ელიზბარისათვის უცნობი დარჩენილა, თვითონ მისთვის კი ზაქარიას უკითხავს: რა საშუალებანი გაქვთო.

ამაზე ვერაფერი ვუპასუხეო, – ელიზბარმა, – რადგანაც არაფერი გაგვაჩნდა და მაშინვე წამოვედი მისგანო.

მერე იასე ფალავანდიშვილს დაუპატიჟია ვახშმად საყავე სახლში, მეტეხის ციხის მახლობლად, იქ არც დიმიტრი ყიფიანი ყოფილა, არც ზაალ ავთანდილაშვილი, არც გიორგი ერისთავი. მხოლოდ ანტონ აფხაზი, ალექსანდრე ორბელიანი, ზაქარია ჩოლოყაშვილი, სოლომონ დოდაშვილი და ეს, ელიზბარი, შეკრებილან.

– იქ ვილაპარაკეთ საქართველოზე, მის სიღარიბეზე, თავადების ურთიერთშორის გაუთავებელ შუღლსა და დავაზე და ამით გათავდა ჩვენი საუბარი და დავიშალენით ისე, თითქოს დიდი რამ გაგვეკეთებინოს; აშკარად, წყალსა ვნაყავდით.

რამდენიმე დღის შემდეგ იასეს რომ შეხვედრია, იმას უცნობებია: ვინახულე სხვები და გადავწყვიტეთ, ნოემბრის 20-ს დავიწყოთ ამბოხი და შენც თანახმა ხარ თუ არაო.

– რაკი გადაწყვიტეთ, დე ასე იყოსო, – ელიზბარს.

თავს იმართლებს: სრულიად განუსჯელად და მოუფიქრებლადო.

დათქმული ვადა ახლოვდება.

ესენი კვლავ მხოლოდ რვანი არიან.

თანაც: საქართველოს უბედობა მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როდესაც ღვინო შეუჯდებათ.

ძალიან ამბოხება კი გამოვიდოდა.

ერთ საღამოს ლუარსაბ ორბელიანთან შეიკრიბებიან, ვისაც მანამდე თითქოს არაფერი სცოდნია. ყოფილან იასე, ზაქარია, გიორგი ერისთავი და ელიზბარი. იასეს მასპინძელი ცალკე ოთახში გაუყვანია და იქ უსაუბრია. მალევე რომ დაშლილან, იასეს უთქვამს: ლუარსაბი თანახმაა, თუკი ყველა თავადი თანახმა იქნებაო.

ამ ორჭოფული, ბუნდოვანი პასუხით (ჯერ დაბეჯითებული მომხრეობაც რომ შეეთავაზებინა მათთვის მასპინძელს) მეამბოხეთა რაოდენობა ერთი კაცით კიდევ გაზრდილა.

ნოემბრის 20, ცხადია, უკვალოდ ჩაივლიდა, და თუ ამ თვის ბოლოს ტფილისში ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩამოვიდოდა და ელიზბარი მასთან ხშირად დაიარებოდა, დღეში ლამის ორჯერ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახლო ნათესავად ერგებოდა.

ნეტა სხვა ახლო ნათესავები თუ დაიარებიან ერთმანეთთან დღეში ორჯერ?

ელიზბარს ამაზე არ უფიქრია.

მოვლენები მერე როგორღა მიეწყობოდა ერთიერთმანეთს?

– არ ვიცი, ვინ დაწერა, მაგრამ მე მაჩვენა იასე ფალავანდიშვილმა ალექსანდრე ორბელიანის სახლში პროექტი ანუ პირველი ღამის განკარგულება. ზეპირად არ მახსოვს, რა ეწერა იმ ფურცელზე, მინდოდა წინააღმდეგობა გამეწია ამ სისულელეებისათვის, მაგრამ ამ დროს შემოვიდა თ. დავით მუხრან-ბატონი, რომელმაც საუბარში ხელი შემიშალა, რამდენიმე წუთის შემდეგ წავიდა იქიდან.

თუ მაინცდამაინც – იმ რამდენიმე წუთის შემდეგ დაეწუნებინა ის რაღაც განკარგულება და გაეკიცხა მეგობრები ამ „სისულელეებისათვის"!..

ეს პირველი ღამის განკარგულებას რაც შეეხება.

მაგრამ ხომ არსებობდა ქვეყნის მმართველობის პროექტიც, თუ როგორ უნდა მოეწყოთ საქართველოს სახელმწიფო რუსების გარეკვის შემდეგ.

აცადეთ, ამასაც ზედმიწევნითი სიზუსტით მოგახსენებთ ეს დარდიმანდი ჭაბუკი, ვინც რისი მთავარსარდალი, რომელი მთავარსარდალი, ამფსონებს ეძებდა მხოლოდ და მათთან ერთად სადილ-ვახშმობდა.

– ერთ საღამოს ალექსანდრე ორბელიანი, იასე ფალავანდიშვილი და გიორგი ერისთავი მივედით ლუარსაბ ორბელიანთან; დავსხედით და იასე ფალავანდიშვილმა ამოიღო თავისი ნაწარმოები პირველი ღამის განკარგულება, წაუკითხა ლუარსაბს და მან დაგვიწყო დარიგება და შთაგონება, ეს სისულელე და ფუქსავატი ამბავიაო. მაინც აღგვითქვა, რომ მოელაპარაკებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს და რჩევას ჰკითხავდა. აქვე იქნა წაკითხული ჩვენი მმართველობის პროექტიც.

გრძნობს, ამ პროექტზე აუცილებლად გამოეკიდებიან და უფრო ვრცელ ახსნა-განმარტებას მოსთხოვენ, მთლად ასე ყრუდ ვინ გადაატარებინებს. და მომდევნო სტრიქონებში ამ თემას რომ გააგრძელებს, ერთბაშად ისე გადაასხვაფერებს თავისივე ნათქვამს, თითქოს სულ ახლახან კი არ დაეწეროს, არამედ ოდესღაც და აშკარა წინააღმდეგობაც ორ ჩვენებას შორის ამის ბრალი იყოს.

ასეთი წინააღმდეგობის შექმნა რისთვის სჭირდება?

დასტურად – არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი და ცალკეული ეპიზოდები ხან ასე ამიტომაც წამომაგონდება და ხან ისეო.

ხომ გარკვევით ირწმუნებოდა – ერთ საღამოს წავიკითხეთ ჩვენი მმართველობის პროექტიცო?!

და, აი:

– მეორე დღეს მივედი ალექსანდრე ორბელიანთან. მან მითხრა, რადგან პირველი ღამის განკარგულება უკვე დაწერილია, ამიტომ შენ განდობ დაწერო მომავალი მმართველობის შესახებო; მე მივუგე, ეს საჭირო არ არის-მეთქი, და მინდოდა უარი მეთქვა, მაგრამ იგი გაიხმეს მეორე ოთახში...

ამ შემთხვევით დაძახებას გამოუწვევია მმართველობის პროექტის შექმნა.

– ... და მეც გავედი სხვა ოთახში, სადაც გიორგი ერისთავის (გიორგი რევაზის ძეს გულისხმობს) მეტი არავინ იყო. მე მას ვუთხარი ალექსანდრეს დავალება, მან აიღო პატარა ქაღალდი, საწერ-კალამი და დაიწყო წერა. თან მეკითხებოდა აქაური წარჩინებული პირების ღირსების შესახებ. იგი წერდა და, როგორც მახსოვს, რვა თუ ცხრა სტრიქონი დაწერა. როცა წავიკითხეთ ეს ჩვენი ნაწარმოები, ორივემ გულიანად გავიცინეთ; ამ ქაღალდს გიორგი ერისთავი ინახავდა. ხუთი დღის შემდეგ მომაგონდა ეს ქაღალდი და ვთხოვე დაეხია, არავინ ნახოს-მეთქი.

ხომ შეიძლებოდა, რომ ეს სახუმაროდ და სასეიროდ – თითქოს ეპიგრამას ადგენდნენ – შეთხზული ფურცელი ვინმეს უკულმართად გამოეყენებინა და პოლიტიკური იარლიყი მიეკერებინა?

გიორგი ალბათ დაპირდებოდა, დავხევო. და თუ უნებურად დაავიწყდა ამ სახალისო ტექსტის მოსპობა, ნუთუ შეიძლება ეს ქარაფშუტობა ბოროტგანზრახულებად ჩამოერთვათ?

ლუარსაბ ორბელიანი რომ შეპირდათ, ალექსანდრე ჭავჭავაძეს მე მოველაპარაკებიო?

და კიდეც მიაკითხავდა და ის თურმე ითხოვდა, ზაქარია ჩოლოყაშვილთან დამალაპარაკეთო.

ზაქარია, ლუარსაბი და ელიზბარი ერთად რომ ესტუმრებოდნენ წინანდლის მებატონეს, ელიზბარი სასადილოში დარჩებოდა, ის სამნი კი განმარტოვდებოდნენ და, ნახევარ საათს რომ იბაასებდნენ, შინ მობრუნებულნი ელიზბარს ამცნობდნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაგვარწმუნა, რომ ეს სისულელეაო.

ამას მოსდევს გულწრფელად მომნანიე ყოფილი პოდპორუჩიკის კომენტარი:

– თუმცა ყოველი ჩვენგანი ადრევეც იყო ამაში დარწმუნებული.

და ეს ხდება 4 დეკემბერს – შეთქმულების გაცემამდე 7 დღით ადრე.

– მეორე დღეს მივედი ალექსანდრე ორბელიანთან და ვუამბე ყველაფერი, რაც მოხდა, ამასთანავე ვთხოვე, რომ ეს საქმე ამაზე გათავებულიყო. მან ეს აღმითქვა.

და ეს ხდება 5 დეკემბერს – შეთქმულების გაცემამდე 6 დღით ადრე.

ელიზბარი ჩამოვლას განაგრძობს:

– აგრეთვე შევიარე იასე ფალავანდიშვილთან და ვუთხარი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემ ჩვენ თვალი აგვიხილა და დაგვარწმუნა ყველაფერში, რომ ეს მხოლოდ ახალგაზრდობის სისულელეა, და მასაც ვთხოვე, დაეხია ის ქაღალდი, რომელიც ზევით მოვიხსენიე, და მან აღმითქვა, უსათუოდ მოვსპობო.

ეს ისევ ჩამოვლაზეა:

– ავთანდილაშვილი და ყიფიანი, რომლებიც დიდი ხანია არ მენახა, ვნახე ალექსანდრესთან. იმათაც ვუამბე ყველაფერი და ვთხოვე, წყნარად ყოფილიყვნენ და აღარასოდეს აღარ ეფიქრათ წარსულ შეცდომებზე.

ანტონ აფხაზი შემთხვევით შეხვედრია ქუჩაში, მისი სახლის მახლობლად შაბათ დილით, 10 დეკემბერს, თუმც ეს უნებლიე შეხვედრა რომ არა, ალბათ მასაც საგანგებოდ მოინახულებდა. ახლა კი:

– გამაჩერა და მთხოვა მეამბნა ყველაფერი, როგორც იყო. ვუთხარი, ყველაფერი მშვიდობიანად გათავდა და, მადლობა ღმერთს, ჭკუაზე მოვედით-მეთქი. ისიც ჩვენზე არანაკლებ იყო გახარებული ამ ამბავზე, რომ ბოლოს მაინც მოვიკრიბეთ ჭკუა.

და ეს ხდება შეთქმულების გაცემამდე ერთი დღით ადრე, ერთი დღით.

ჭკუას მოეგნენ და მოათავეს ის ყველაფერი, რაც არსებითად არც არაფერი ყოფილა. და თუ მთვრალის ბოდიალს რაიმე მნიშვნელობა ენიჭება საგამოძიებო კომისიის თვალში, ელიზბარ ერისთავი ამასაც არ პატიობს საკუთარ თავს და მზადაა ყოველგვარი სასჯელისათვის:

– ამნაირად გამოვაცხადე რა ყველაფერი, რაც მე ვიცი და რასაც ვაკეთებდით, ვთვლი ჩემს თავს დამნაშავედა და სასტიკი სასჯელის ღირსად, მაგრამ იმედი მაქვს ყოვლად მოწყალე მონარქისა, რომ მიჰხედავს ადამიანს, რომელიც სულითა და გულით ინანიებს თავის დანაშაულს. არა, სიტყვები არ მყოფნის ჩემი მონანიების გამოსათქმელად.

სულაც არ დაძრავდა კრინტს, პირში წყალს ჩაიგუბებდა და მარწუხითაც ვერ ამოართმევდნენ ერთ სიტყვასაც კი, რაც ბუნდოვნად მაინც მიანიშნებდა შეთქმულებისმაგვარის არსებობას, მაგრამ გამოძიებას წინასწარვე უპყრია ხელთ ყველა მონაცემი, იასე ფალავანდიშვილის ვრცელი დასმენა ის რკინის გალიაა, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელია. ერთადერთი, რაც შეთქმულებს მოუხერხდებათ, ისაა, რომ აღიარონ, რაც ისედაც ცნობილია და ვერ დაიფარება, და ამასობაში მიჩქმალონ, გააქრონ ყოველივე, რისი გადარჩენაც შეიძლება. აშკარა და ხელშესახებიც თუ უარყვეს, ვაითუ მეორე სულ ვეღარაფრის დამალვა მოხერხდეს – ყველას ერთნაირი ნებისყოფა ხომ არ აღმოაჩნდება, ყველა ხომ ვერ იქნება მზად თავგანწირვისათვის. ვიდრე იატაკქვეშეთში ტრიალებ და საფრთხეს შორეულად გრძნობ, გაცილებით ადვილია სიკვდილისათვის თვალის გასწორება, ვიდრე... ვიდრე საფრთხის სუნთქვა ზედ შემოგასკდება და სიკვდილისთვისაც მართლა გაქვს თვალი გასასწორებელი.

ამიტომაც გამოვიდა „გულწრფელი მონანიების“ ეს ტექსტი ორგანზომილებიანი. სტრიქონსა და სტრიქონს შორის ამიტომაც ვერ იფარება ის რეალობა, რაც საუკეთესო მწერლის ხელში – სხვა მასალები რომ არც გააჩნდეს – დამაჯერებელ მხატვრულ სურათად წარმოსდგებოდა.

მკვლევარი უსხვამასალებოდ მხოლოდ ზოგად იერს აღიდგენდა თავისთვის, თუმც ერთად თავმოყრილი ეს ჩვენებანი შეთქმულების მონაწილეთა ისეთი სიცხადით აღგვადგენინებს სრულსა და უტყუარ სურათს საკმაოდ მძლავრი საიდუმლო ორგანიზაციისა,

თითქოს ჩვენც ამ მზადების მონაწილენი ვყოფილიყავით. თუმც... მაშინ ამ უშუალო მონაწილეებს გაცილებით ნაკლებიც კი გვეცოდინებოდა.

ისე მართლა მონაწილედაც რომ გვეგულებოდეს თავი, იქნებ არც ვაზვიადებდეთ რაიმეს.

1832 წლის შეთქმულება ჩვენთვის ჯერაც არა ქცეულა ისტორიად და ისეთივე სინამდვილეა, როგორც ჩვენს თვალწინ დატრიალებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, კულტურულ-საგანმანათლებლოც, სხვათა შორის – განა „სალიტერატურონი ნანილნი ტფილისის უწყებათანი", „ნალივაიკოს აღსარება" თუ „მგელი და კრავი" თუ სხვა ლირიკული თუ პუბლიცისტური ქმნილებანი ნაკლებად წარმართავდა შეთქმულთა ორგანიზაციას, ვიდრე თოფისა თუ ზარბაზნის შეგულება ან არტილერისტთა გაწვრთნა?..

მკვლევარი– დეტექტისათვის მადლიანზე მადლიანი მასალაა საგამოძიებო კომისიის ოქმები და თამაზ ჯოლოგუა სწორედაც დეტექტივის ალღოთი და უწვრილმანეს დეტალებამდე ჩაყოლით აღადგენდა შეთქმულების სურათებს – მზადების მთელს პროცესსაც და იმ მასშტაბსაც, რაც ძალდაუტანებლად გვიდასტურებს, რომ ეს ტრაგიკულად დასრულებული მზადება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად მართლაც ერთ-ერთი განუყოფელი რგოლია იმ მსოფლიო-ისტორიული მოვლენებისა, აჯანყებათა ციკლით რომ გამოიხატა ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში.

მკვლევარი – დეტექტისათვის ჯერაც არაერთი რამაა მისაკვლეველი ამ შეთქმულების ბიოგრაფიაში.

მწერალი – პოსტმოდერნისტისათვის კი რაღა შეთქმულთა ჩვენებანი და რაღა სირინოზთა გალობა!..

ახლა მაინცდამაინც ოდისევსივით ნურავინ მიებორკება ხომალდის ანძას, ამ გალობამ არ გადამძლიოსო.

თვითონვე გიზიდავს.

თვითონვე გითრევს.

და ისეთი უშურველობით გთავაზობს უამრავ ხელმოსაჭიდს დეტექტიური რომანისათვის, როგორ შეიძლება ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუში არ შეიქმნას შეთქმულების თემაზე.

ლიტერატურული დეტექტივი ლიტერატურულ დეტექტივად, დეტექტიური ცდა დეტექტიურ ცდად, მაგრამ რომანი მაინც რომანია – პოსტმოდერნული სახეობისა იყოს, თუ გნებავთ.

და ელიზბარ ერისთავი წამდაუწუმ ამოჩნდება თხრობისას – მისი შუაკაცობა.

ყოველ ადგილას მისი მიმოსვლა.

მისი თავზე ხელაღებულება.

მისი დგომა ფარული ორგანიზაციის ჩანასახშივე.

მის მიერ პოლონელთა გაწრთვნა არტილერისტებად და ძლიერი რაზმის შექმნა იმ დამარცხებულ მეამბოხეთაგან, რომელთაც მარჯვე საშუალება ეძლეოდათ შურისსაძიებლად ვარშავის დამხობისათვის.

მისი ენერგიული ჩარევა ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნაკადის მიზანდასახული წარმართვისათვის.

ელიზბარი აქეთ... ელიზბარი იქით... ელიზბარი ყველგან...

და მის მიერ ხელში აღება შეთქმულების ყველა ძაფისა და მთავარსარდლად გამოცხადება.

ნაპოლეონ ბონაპარტეს სახეც უსათუოდ ამოჩნდება, ვინც ჰმატებდა მკლავში ძალასა და გულში დაუშოშმინებლობას, ფეხში სიმარდესა და გონებაში სიმტკიცეს, და ვინც შთააგონებდა, რომ ადამიანის ნების წინაშე ადრე თუ გვიან ყოველგვარი დაბრკოლება დაიმსხვრეოდა.

მაინც ადრე ერჩივნათ – იმასაც... ამასაც...

ბრუნავდა წუთისოფელი და თავისას ხითხითებდა ისტორია.

თავი მეორე

შუშის ნამცეცები

სამწერლო გაზეთის ფურცლებზე რეპორტაჟი რომ გამოქვეყნდებოდა ელიზბარ ერისთავის ხსოვნის საღამოზე, ის ყოყმანიც გამჟღავნდებოდა, თუ რატომ ელოდა უფრო შესაფერის დროს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება შეთქმულების ამ ერთ-ერთი სულისჩამდგმელის მოსაგონებლად.

იგი არა ყოფილა მწერალი.

არც დაუტოვებია მემუარული თუ ეპისტოლური მემკვიდრეობა.

საგამოძიებო კომისიის ოქმები კი უკმარი ჩანდა ელიზბარ ერისთავის სილუეტის ასე თუ ისე სრული წარმოჩენისათვის.

გადადებაც აღარ გვინდოდა და ვაპირებდით ისევ საგამოძიებო მასალებს დავყრდნობოდით – ასე თუ ისე კოლორიტული შტრიხები გამოიკვეთებოდა... მაგრამ, აი, თამაზ ჯოლოგუა მიაგნებდა უაღრესად საგულისხმო დოკუმენტებს, უპირველესად კი ელიზბარის მიერ დიმიტრი ყიფიანთან გაგზავნილ ბარათს 1864 წლის 4 იანვარს, მეტად მნიშვნელოვანს, თუკი იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფონს გავითვალისწინებდით, რომლის უშუალო მონაწილეც გახლდათ ის კერძო წერილი და ელიზბარი კიდევ ერთი ახალი კუთხით წარმოსდგებოდა ჩვენს წინაშე.

ასე გაიმართებოდა ის საღამო ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დარბაზში 1996 წლის 1 ოქტომბერს, გამოქვეყნებულ რეპორტაჟს კი იმ ბიოგრაფიულ ქარგაზე ავაგებდით, მომხსენებელი რომ შეგვიდგენდა და გაცილებით ვრცელი იქნებოდა ეს თეზისური ჩამონაწერი, ვიდრე გიორგი გოზალიშვილისა და მაქსიმე ბერძნიშვილის ცნობები იყო.

თანამომხსენებელი კახა კაციტაძე პოლიტიკური რომანტიზმის რაობასა და 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობაზე ისაუბ-

რებდა მსოფლიო-ისტორიული თვალსაზრისით, სწორედ მსოფ-ლიო-ისტორიული, ჩვენი შეთქმულნიც იმ უმწვავესი პოლიტიკური მოვლენების შუაგულში რომ მოექცეოდნენ, რომელიც ხან სად იჩენდა თავს და ხან სად – ეს ევროპაო, ეს ახლო აღმოსავლეთიო, ეს სამხრეთ ამერიკაო.

რეპორტაჟში ისიც აღინიშნებოდა, ეს თავყრილობა თავისი დი-ნამიურობითა და პაექრობის კულტურის რომ არ ჩამოუვარდებო-და სოლომონ დოდაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს, და კამათსა და დიალოგში, რაც გაიმართებოდა უმთავრესად 1832 წლის შეთქმულების გარემოებათა ირგვლივ (ვთქვათ, წინასწარვე იყო თუ არა გაცემული ეს ფარული ორგანიზაცია...), გარდა როს-ტომ ჩხეიძისა და თამაზ ჯოლოგუასი, მონაწილეობას მიიღებდნენ მწერლები: ჯანრი კაშია, ზურაბ კანდელაკი, მიხო მოსულიშვილი, თამაზ ექვთიმიშვილი, ისტორიკოსი თემურ ჯოჯუა.

და კიდევ ერთი დეტალი:

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების გორის ფილიალის წევრები – მარინე გიგაშვილი, ქეთევან მეძმარიაშვილი და კარლო ცერცვაძე – დამსწრეთ დანანებით ამცნობდნენ: საღამოზე დასას-წრებად რომ მოვდიოდით, საგანგებოდ მოვიძიეთ გორის წიგან-თსაცავებში, რაიმე ცნობა თუ არსებობდა ელიზბარ ერისთავზე, მაგრამ ასე ერთბაშად ვერაფერს მივაკვლიეთ, თუმც ძიებაზე ხელი არ აგვიღიაო.

ფინალი კი რეპორტაჟისა იმ გახმაურებულ ფრაზაზე აიგებო-და: ჩვენი შემოყვანილნი არიან რუსები და ჩვენვე გავრეკავთო, – ელიზბარი რომ იქადოდა და... ამ ოცნებაში დალია სული.

ეს არ ყოფილა ეფექტური აკორდისათვის გათვალისწინებული ფრაზა. ტრაგიზმსაც გულისხმობდა და ჩვენც შეგვახსენებდა, რომ მიჰქრის ცხოვრება, ულვთოდ მიჰქრის და არა კმარა ერთი სიცოც-ხლე – თუ გარემოებანიც არ შეგეწევა – უდიდეს განზრახვათა აღ-სასრულებლად... არა კმარა, მაგრამ ოცნებაში დალეული სული ძალდაუტანებლად გულისხმობს იმ განზრახვის გადაბარებას ახალთაობათათვის, იმ შინაგან კავშირს სხვადასხვა ეპოქებს შო-რის, ტრადიციის უწყვეტ რგოლებად რომ ერთიანდება.

რეპორტაჟის ზოგადი ქარგა და ეს ფინალი აგრძნობინებდა მკითხველს, რომ კიდევ ერთი დაკარგული გმირი გვეპოვნა და სამ-ზეოზე ამოგვყავდა ამირანივით – თვითონვე მოიკვლევდა გზას ჩვენსკენ, რაკიღა გმირი გახლდათ, მაგრამ გველეშაპის წიაღში

მოქცეულ ამირანსაც დასჭირდებოდა ძმების ჩაძახილი და შეხსენება: წესია დარეჯანისძეთ უბეს ჩადება დანისა, გამოფატვრა და გამოჭრა გველეშაპისა მყრალისაო... და ჩვენც მხოლოდ შევახსენებდით ელიზბარის მწუხარე ლანდს, რომ შეთქმულთა წესიც იყო უბეს ჩადება დანისა.

ეგაა, რეპორტაჟში ვერ მოხვდებოდა ერთი საგულისხმო დეტალი, რაც ამ ჟანრიდან ამოვარდნილი იქნებოდა, მაგრამ მემუარულ-დოკუმენტურ თხზულებაში არ გამოიტოვებოდა.

ნურც გამოვტოვებთ.

როგორც სჩვეოდა თამაზ ჯოლოგუას – ხელისგულზე გადაშლიდა ელიზბარ ერისთავის ბიოგრაფიას, ღვაწლს, პიროვნებას, და ილუზია გიჩნდებოდა, თითქოს შენც იმ მღელვარების მონაწილე იყავი.

და მიმზიდველ, შთამბეჭდავ თხრობაში ესეც ჩაერთვოდა:

– გადაასახლეს ჰელსინგფორდში, დღევანდელ ჰელსინკში.

რაო, ჰელსინკიო?

ასერიგად გამშობლიურებული სახელი.

ჰელსინკის ჯგუფი... ჰელსინკის კავშირი... დამხობილი და განდევნილი პრეზიდენტის სახელთან გაიგივებული, ტრაგიკულად აღსრულებულის.

და მოულოდნელობისა და აღტაცების ჩოჩქოლი გადაივლიდა დარბაზში.

– როგორ, ისიც?

ისიც.

უფრო სწორად, ჯერ ის – ჯერ ელიზბარის ბიოგრაფია გადაეჯაჭვებოდა ფინეთის დედაქალაქს, ჯერ ასე გაჩნდებოდა ქართულ ცნობიერებაში ჰელსინკი მახლობელ ტოპონიმად – ჩვენს ბედისწერასთან მიბმულ სახელად.

ეროვნული მოძრაობის ისტორიაში ჯერ კიდევ როდის ჩაიწერებოდა ფინეთის დედაქალაქი, საუკუნენახევრის შემდეგ კვლავ რომ წამოტივტივდებოდა.

აქ კი, ლიტერატურის ინსტიტუტის დარბაზში ისე მოესალბუნებოდათ გულზე, ვიღაც თავს ვერ შეიკავებდა, ვითომ ვერ გაეგო:

– ბოდიშს ვიხდი, სად გადაასახლეს?

– ჰელსინგფორსში.

– და დღეს რა ჰქვია?

უკვე ჰელსინკად ვიცნობდით.

* * *

ივანე ამირხანაშვილს ოდნავი გაკვირვება ჩაუდგებოდა თვალებში, გორის ღვთისმშობლის ეკლესიას, ამ ღვთის სახლს შორიდან ნამდვილი სახლისაგან რომ ვერც გაარჩევდა – თავისი ეზოთი, თავისი საყოფაცხოვრებო აქსესუარებით... და ნომრის აღმნიშვნელიც მიეკრათ: წერეთლის ქუჩა 15.

თითქოს საგანგებოდ შეუნიღბავთ, საგანგებოდ ჩაუსვამთ ამ კომუნალურ „მიმიკრიაშიო".

გაუკვირდებოდა და... დიდადაც აღარ გაუკვირდებოდა.

ვიდრე ეს სახლ-სალოცავი აიგებოდა, მანამდე 14 ეკლესიას დაანგრევდნენ გორში და ღვთის სახლებისა და სამღვდელოების სასტიკი დევნა–შევიწროება კვლავაც მიზანმიმართულად გაგრძელდებოდა, მეორე მსოფლიო ომი რომ არა. ომიაო და – საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლება ძალიან დაისაჭიროებდა მორწმუნეთა მიმხრობას და ეკლესიას რაღაც-რაღაც უფლებებსაც მიანიჭებდა. ნინა ლომინაძე რეალობის ამგვარი შემობრუნებით ისარგებლებდა და, სტალინის დედის მეგობარი, საბჭოთა იმპერატორისაგან გამოითხოვდა ამ ეკლესიის აგების ნებართვას.

1997 წლის იანვრის 11-ს, წირვის შემდეგ, აქ ერთ ჩვეულებრივ პანაშვიდს გადაიხდიან.

და ივანე ამირხანაშვილი დოკუმენტურ ნოველაში „უთქმელი სიტყვა" საგანგებოდ გამოჰკვეთს: ყველაფერი მეტისმეტად უბრალო და თითქმის შეუმჩნეველი იყოო.

მართლაც სხვა რა –

მღვდელი და მლოცველთა მცირე ჯგუფი სანთლებით ხელში.

ავტორი გამოცდილი ლიტერატორია და კარგად მოეხსენება იმ მხატვრული ხერხის ფასი, კონტრასტი რომ ჰქვია და განსაკუთრებით შთამბეჭდავია თავისი მოულოდნელობით.

ამიტომაც ამჯობინებს სწორედ ამ გამოთქმებს:

ჩვეულებრივი.

მეტისმეტად უბრალო.

თითქმის შეუმჩნეველი.

და წერის, თხრობის ნიუანსებში გათვითცნობიერებული მკითხველი უკვე მიხვედრილია, რომ ამ უბრალოებაში, ამ ჩვეულებრიობასა და შეუმჩნევლობაში რაღაც განსაკუთრებული იფარება, რო-

მელიც მხატვრულ-დოკუმენტურ ჩანაწერში თანდათან უნდა გამ-ეღავნდეს.

ელიზბარ ერისთავის ბიოგრაფიული რეალიებიც გამოჩნდებო-და თხრობისას და დოკუმენტალისტს განსაკუთრებით ის აღაფ-რთოვანებდა, რომ:

„რას წარმოიდგენდა შანშე ერისთავი, როცა აჯანყებულ მთიუ-ლებს ფინდიხს უშენდა და რუსის ჩექმას სამხრეთით გზას უკვა-ლავდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გაუჩნდებოდა ვაჟი, რომე-ლიც ფარულ ორგანიზაციას შექმნიდა და მოამზადებდა აჯანყებას რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ“.

და ის ცნობილი ფრაზაც ელიზბარისა, წიგნიდან წიგნში, ნარკვე-ვიდან ნარკვევში განმეორებული, ამ ჩანაწერშიც გახმიანდებოდა:

– რუსები ჩვენ შემოვიყვანეთ და ჩვენვე გავრეკავთ.

ისტორიის თავისებურ პარადოქსად გამოჩნდებოდა მამა-შვი-ლის განსხვავებული მრწამსი და არჩევანი, პარადოქსად – შანშე ერისთავი ვაჟს პეტერბურგში რომ მიავლენდა, რაც შეიძლება მა-ლე გარუსდეს და გარეგნულადაც და სულიერადაც რუსი სამხედ-რო პირი შეიქმნასო. ის კი, ელიზბარი, პეტერბურგში მაინცდამა-ინც დიმიტრი ბატონიშვილს გამოძებნიდა, საქართველოს თავი-სუფლებასა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა ვისაც სულ პირზე ეკერა და სადაც საქართველოს მოჰკრავდა თვალს, ამ რწმენით აღანთებდა და აგულიანებდა; მაინცდამაინც მას დაუახლოვდებო-და, ფარული ორგანიზაციის შექმნის სათავეშიც აღმოჩნდებოდა, წინააღმდეგობის პირველი კერა სწორედ პეტერბურგში მყოფ ქარ-თველთა შორის რომ გაღვივდებოდა, და საქართველოში საგანგე-ბო მისიით დაბრუნდებოდა: გაეშალა ეროვნულ-განმათავისუფლე-ბელი მოძრაობა, რათა საიდუმლო ორგანიზაცია თავის თავში არ ჩაკეტილიყო და შესაფერისი გაგრძელებაც ეპოვნა.

მიხვდი ცხოვრების აზრსა და მიზანსო? – ეკითხებოდა შანშე პეტერბურგიდან მობრუნებულ ვაჟიშვილს, და იმედითაც შეაც-ქერდებოდა, გამიმართლებს, უეჭველად გამიმართლებს, ერისთავ-თა გვარს რუსული თავადობის ღირსებამდე აამაღლებსო.

მივხვდიო, – მიუგებდა ელიზბარი, – სიცოცხლის აზრისაც გა-ვიგე და დანიშნულებისაცო.

აბა, შენ იციო, – აქეზებდა ზვიადი მებატონე და გუნებაში თავ-საც შეიქებდა, რა სწორად მოვიქეცი, აქ რომ არ დავტოვე და შვიდ წელიწადს შერჩა რუსეთის სატახტოსო.

ამ მხატვრულ-დოკუმენტურ ჩანაწერში კი ის ეპიზოდიც ჩაერთვოდა, შეთქმულთა საზოგადოების კრებაზე თავიდან ალექსანდრე ორბელიანს რომ სთხოვდნენ მეთაურობას, მერე კი იასე ფალავანდიშვილს შესთავაზებდნენ, რაკიღა ალექსანდრე მტკიცე უარს განუცხადებდათ. და იასესაც რომ ვერ დაითანხმებდნენ, ალექსანდრეს წამხედურობით ისიც ხელებს რომ გაასავსავებდა, წამოიმართებოდა ოცი წლის ყმაწვილკაცი, სწორედ ელიზბარ ერისთავი წამოიჭრებოდა ფეხზე და ამბოხების მთავარსარდლობას თავის თავზე აიღებდა:

– რადგან აგრეა, მე ვიქნები თქვენი „კომანდირი".

ჩახვდი, ცხოვრება რასაც გკარნახობსო? – თავისას უმეორებდა მამა-ბატონი.

ჩავხვდიო, – ამის პასუხიც უცვლელი გახლდათ და შანშე თან თავმომწონეობდა, შვილი გზაზე დავაყენე, ახალ ცხოვრებაში არ დაიკარგებაო, თან... გულიც ეთანაღრებოდა, ეს რანაირი გზაზე დაყენება გამოდის, ან რა აზრებს წამოისვრის ხოლმე, ან ეს რა მეგობრები გაიჩინაო.

ჭკუის დარიგებას უმატებდა და უმატებდა და შვილი... სულ აღარ მოუსმენდა, დაჰკრავდა ფეხს და გაიჭრებოდა გარეთ, და პირში შეატეხდა მთიულეთის აჯანყების ერთ-ერთ ჩამხშობს ფორმულებივით ჩამოყალიბებულ რჩევებს.

პეტერბურგში ამდენ ხანს რისთვის ვასწავლეო, – გაგულისდებოდა შანშე ერისთავი და იმედს მაინც ჩაებღაუჭებოდა: ჯერ ცოტა ქარი უქრის და მალე დაღვინდება, პეტერბურგსაც მოინატრებს და იქ დაწინაურებასაც ჩაითქვამს მთავარ მიზნადო.

მთავარსარდალი ვიღაც ხომ უნდა გვყავდეს, ერთი კაცის ხელში უნდა მოექცეს ამბოხების მსვლელობაო, – ბჭობდნენ შეთქმულნი, და თუ მანამდე დიდად არ ანაღვლებდათ იმ „ერთი კაცის" გამოჩენა, ახლა – აჯანყება წუთი-წუთზე რომ მოახლოებულიყო – აღარ ეგვიანებოდა მთავარსარდლის დასახელება.

მე ვიქნებიო, – აღიმართებოდა ელიზბარ ერისთავი და... არავის შეაფიქრიანებდა მისი სიყმაწვილე; და ალექსანდრე ორბელიანი მოგვიანებით ასეთი ლაკონურობით რომ განსაზღვრავდა ელიზბარ ერისთავის პიროვნებასა და ღვაწლს ამბოხების მომზადებაში, მხოლოდ პირად დაკვირვებას კი არ გამოთქვამდა, არამედ იმ საყოველთაო შეფასებას, რა გავლენაც მოეპოვებინა ქვეყნის ორგულ ერისთავთა ჩამომავალს:

„...ჩემი ამხანაგნი დიდი მცდელნი იყვნენ ამ საქმისა, ნამეტნავად თავადი ელიზბარ შანშეს-ძე ერისთავის შვილი, რომელიც ყოველს ჩვენზე უპირველესი მცდელი ის შეიქმნა".

„ნამეტნავად" და „უპირველესი" სრული დაბეჯითებითაა ნათქვამი, და სხვა დიდ მცდელთა შორის რომ გამოირჩევი, მართლაც თავგადაკლული უნდა იყო იმ განზრახვის აღსასრულებლად, ურომლისოდაც სიცოცხლე ჩირადაც აღარ გიღირს.

ძალაუნებურად მოექცევი სათავეში წინააღმდეგობის მოძრაობას, ძალაუნებურად გადმოდის შენს ხელში მოქმედების ყველა ძაფი და შენი წამოდგომა – მე ვიქნები მთავარსარდალიო – მხოლოდ ფორმალურად ადასტურებს იმ ტიტულს, რაც ისედაც მოგიპოვებია თანამზრახველთა თვალში.

და ალექსანდრე ორბელიანიც კიდევ ერთხელ გაიმეორებდა თავის შეფასებას:

„ჩვენი „ზაგოვორის" თავი ელიზბარი იყო, ამისთვის, რომ დიდათ ცდილობდა, და ყოველს ადგილას მიმომსვლელი ის იყო და შუა კაცი".

მიხეილ ჯავახიშვილი საგამოძიებო ოქმებსაც გაითვალისწინებდა და ალექსანდრე ორბელიანის ამ მემუარულ ჩანაწერებსაც, „არსენა მარაბდელში" ასე რომ გამოჰკვეთდა ელიზბარ ერისთავის ზოგად იერს:

– რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ელიზბარი გამალებით მუშაობდა: დადიოდა, აჯერებდა, წევრებს შოულობდა, ჰკრებდა, აღელვებდა, არიგებდა. მან დააარსა დოდაშვილის ხელით „საქართველოს უწყებანი", მანვე შეიმუშავა გეგმა აჯანყების დასაწყისისა და დროებითი მთავრობის შედგენისა.

და ეს ლაკონური და ტევადი შტრიხები ამ მეტაფორული ფრაზითაც უნდა შეივსოს და გამძაფრდეს:

– ერისთავი შეთქმულთა ხელი და ნებისყოფა იყო...

და კიდევ იმ წამიერი სურათით, ელიზბარი შეთქმულებს ისეთი თვალით რომ გადახედავს, ყველა მაშინვე მიყუჩდება და მის ბელადობასაც ირწმუნებს.

ის მზერა იმ სიტყვებს უნდა მოჰყვეს: საქართველო ჩვენ შევბოჭეთ და ჩვენვე დავიხსნითო, – მიხეილ ჯავახიშვილი კი ამასობაში იმის განსაზღვრას შეეცდებოდა, ელიზბარი თუ შეთქმულთა ხელი და ნებისყოფა გახლდათ, ის ორნი რა მოველობას აღასრულებდნენო.

სოლომონ დოდაშვილი – შეთქმულთა ტვინი და სინდისი ყოფილა.

ალექსანდრე ორბელიანის გარეშე კი აჯანყება ვერ მომზადდებოდა.

... მზერა მიმოეტარებინა ელიზბარს და ყველა იქვე ჩაეყუჩებინა.

და ამას ვეღარავინ ვერასოდეს წააკეცდა: თქვენი შემოყვანილი არიან რუსებიო.

ამ „შემოყვანას" განესაზღვრა ჭაბუკის ბედისწერა, პიროვნული ხასიათიც ამას ჩამოეყალიბებინა, ამას აღენთო შურისგების ჟინით და გამორჩეული თავგამოდებაც ამას გამოეწვია: მამისა და გვარის ცოდვა ჩამოერეცხა.

ერისთავებს შემოეყვანათ?

ერისთავებივე გარეკავდნენ.

შანშე მოუძღოდათ?

ელიზბარი გააცილებდათ.

ალექსანდრე ყაზბეგი უსათუოდ გაუგებდა ელიზბარს, რაკი თვითონაც იმავე მდუღარებაში ეწვოდა სული და პაპის სახელის გახსენებაც აღარ უნდოდა, მთიულეთის აჯანყების დამარცხება გაბრიელ ყაზბეგის კისერსაც რომ აწვა წარუხოცველ ცოდვად, თორემ ალექსანდრე ორბელიანს ხომ მოეხსენებოდა და მოეხსენებოდა, რასაც ნიშნავდა პატიოსანი კაცისათვის ქვეყნის მოღალატის შვილობა.

აქ კი ივანე ამირხანაშვილი იმ კანონზომიერებას რომ ჩაუფიქრდებოდა: ელიზბარ ერისთავის ჰეროიკული ფიგურა დრომ წარმოაჩინა, ახალი დროის ტალღებს ამოჰყვა, მაგრამ მარტო დრო რას იზამს, თუ იქ გონირი მეისტორიეც არ აღმოჩნდაო („თამაზ ჯოლოგუამ და როსტომ ჩხეიძემ წარმოაჩინეს და ზუსტ კონცეფტუალურ კონტექსტში დააბრუნეს ელიზბარ ერისთავის ისტორიული სახე"), სულაც არ მიიჩნევდა შემთხვევითობად, რომ ზუსტად იმ დროს, როდესაც ეს ორი პიროვნება იწყებდა ფიქრს დიდი წინაპრის ცხოვრების კვლევაზე, მათგან დამოუკიდებლად რამდენიმე გორელი ენთუზიასტი სოფელ ღვარებში, „ბატონიანთ ბაღში" შემორჩენილ ნასაძირკვლარში ეძებდა ელიზბარის მიერ დაარსებული შუშის ქარხნის კვალს:

„პროფესორებმა ოთარ მოდებაძემ და ზაურ თეთრუაშვილმა ღვარების ქვიშიდან შუშა გამოადნეს. სილიკატური ლავა ქარვის-

ფერ კრისტალად რომ იქცა, მაშინ ვირწმუნეთ, რომ ელიზბარ ერისთავის სახელს ვაცოცხლებდითო, – ბრძანებდა ბატონი ზაური".

და იქვე ორი წინასწარი ცნობაც მკითხველისათვის.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავმჯდომარის დავალებით, პაატა ჩხეიძეს გორის მერიაში უკვე დაეყენებინა საკითხი იმის თაობაზე, რომ აღდგენილიყო ისტორიულად ცნობილი ეკლესია, ეგრეთწოდებული „სობორი", რომლის ეზოშიც ელიზბარ ერისთავი დაეკრძალათ. მანამდე კი იქ მემორიალური ქვა დადებულიყო.

და სოფელ ღვარებში, „ბატონიანთ ბაღში" კი ჯვარი აღმართულიყო.

ამას მერია აღარ უნდოდა, ჩვენვე შევასხამდით ხორცს.

ეს ისეთი ჩვეულებრივი დღე იყო, სულაც არ მინდოდა, რაღაც განსაკუთრებული მიზეზი მეძებნა ჩვეულებრივობის საზღვრების დასარღვევად, – ამ განწყობილებას დოკუმენტური ჩანაწერის ფინალშიც გაიმეორებდა ავტორი, და კიდეც მოადევნებდა მთავარ აზრს:

„...მაგრამ შორეული მომავლიდან ვხედავდი, როგორ ხდებოდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე გვეგონა... გორის ღვთისმშობლის ეკლესიაში ელიზბარ ერისთავის სულისთვის აღვლენილი ლოცვა იყო ის უთქმელი სიტყვა, რომელიც საუკუნეზე მეტ ხანს ელოდა თავის დროს".

შორეული მომავლიდან ვხედავდიო...

მერე წარმოისახებოდა გაწყვეტილი ჯაჭვის აღდგენა-გამთლიანებად, მერე მიენიჭებოდა სიმბოლური შინაარსი და რამდენიმე ადამიანის დგომა გორის ღვთისმშობლის ეკლესიაში მერე გადაიქცეოდა საზოგადოებრივ-ზნეობრივ აქციად: მარინა გიგაშვილის, სესილი ხევსურიანის, თამილა გოგოლაძის, ლალი მიქელაძის, ელენე ფანქველაშვილის, დოდო ბიძინაშვილის, პაატა ჩხეიძის, კარლო ცერცვაძის, უჩა შერაზადიშვილის, დოკუმენტური ნოველის ავტორის, და კიდევ – თქვენი მონა-მორჩილისაც.

მეტისმეტ უბრალოებასა და შეუმჩნევლობაში მკაფიოდ მოჩანდა ყველა მათგანის სახეზე აღბეჭდილი ფარული მღელვარების კვალი. და მღვდელიც აღელდებოდა, როდესაც იმ სახელს ახსენებდა, რომელიც ეკლესიაში არავის გაეგონა.

ჩანაწერის ავტორს შეუძლებელია გამორჩენოდა ეს თუნდაც ფარული კვალი და მიზეზსაც იქვე ახსნიდა: არავინ იცის, ბოლოს

როდის ახსენა ეკლესიამ ელიზბარ ერისთავის სახელი. არა მგონია ამ საუკუნეში ვინმეს თავს პატივი ედვა მისი ხსენებით. მეცხრამეტე საუკუნის ჭეშმარიტი გმირი, ჩვენდა საჩოთიროდ, დავიწყებული გვყავდაო.

ივანე ამირხანაშვილის მხატვრულ-დოკუმენტური ჩანაწერების ციკლში „თეთრი ჯვრის ხეობა" ეს ნოველა სულაც არ არის გამონაკლისი თავისი სიღრმითა და შთამბეჭდაობით, ციკლში, რომლის საერთო სახელწოდებადაც იმ დოკუმენტური ნოველის სათაურია გატანილი, 1997 წლის 28 სექტემბერს, ჯვართამაღლების მეორე დღეს, ღვარებში, ტყისპირას, ნაქარხნალზე ელიზბარ ერისთავის სულის სახსენებლად ჯვრის აღმართვას რომ მიეძღვნება.

ათრევის ხეობას რომ დავაგდებოდით, ატენს ზემოთ სამხრეთ-დასავლეთისაკენ რომ გადავუხვევდით და ღვარებამდე უკან მოვიტოვებდით წედისს, ბნავისსა და ოლოზს, ივანე იკითხავდა, ხეობა რატომ მოგინათლავთ ამ ერთი უჩინარი, ანკარა ღელის სახელით ან მდინარედ რატომ უხმობთო. გაზაფხულობით გადარევა იცისო, – აუხსნიდნენ, და ჩვენი მემატიანე მაშინვე სიტყვათთამაშზე გადაერთობოდა, მისთვის საყვარელ გართობაზე: ატრევსივითო?

და მერე შუშის ნამცეცებს დაჰყურებდა სინანულით, წამოკრეფდა, ხელს გადაუსვამდა მოფერებით და შემოგვჩიოდა: საუკუნე დასჭირდა ყველაფრის ძირფესვიანად განადგურებას, ეს ნამცეცებიღა მიგანიშნებს, რომ აქ ოდესღაც მთელი მრეწველობა იყო გამართული და ათასობით მუშა ჭიანჭველასავით ირეოდა ვიწრო ხეობაში, სადაც ყოველ შემოდგომაზე თრიმლის ტოტები სილიკატის ალივით ენთოო.

ესეც გაპოეტებულიყო, ჩვენი ივანე, და დოკუმენტურ ნოველაშიც ლირიკოსის განწყობილებით ჩართავდა პეიზაჟის სურათს, რომელიც თავისთავადი მომხიბვლელობის გარდა („თრიმლისა და შინდის კოცონები აქ ახლაც ანთია. რცხილა და თხილიც ადრე წასულა სიყვითლეში, უკვე წითელ-ყვითელი სჭარბობს მწვანეს, სიმინდის ყანაში მზესუმზირებს მოწყენით დაუხრიათ თავები, ღელის პირას ტირიფები ტირიან ადრეულ შემოდგომას, იფნის ტოტზე შემომჯდარი წიწკანა ნაღვლიანად წივის, ლობემძვრალა თავისთვის ფაჩუნობს გამონკირულ ბუჩქებში"), შინაგანი პათოსით ამზადებს შთამბეჭდავ ფინალს, რომელშიც ხელშესახებად უნდა გამოჩნდეს სიმბოლური მინიშნება ღვთის გამოცხადებისა, მისი ყოველი მოვლინებისა იქ და მაშინ, როდესაც მისთვის საამო საქმე აღსრულდება:

„ჯვარი კი ახლად აყვავებული ტყემლის ტოტივით იდგა მინდორში, „ცეცხლოვან“ ბუჩქთან, მუხის სიახლოვეს“.

ის ბუჩქი იმ წამს აღარ არის ჩვეულებრივი და მასში ჩასახლებულა ის ძალა, რომელიც მას ცეცხლმოდებულად მოგვაჩვენებს.

მოსეს ბიოგრაფიის იმ გადამწყვეტი ეპიზოდისა არ იყოს.

ოღონდ... ჯერ ჯვარი უნდა აღიმართოს, და აღიმართოს სწორედაც უბრალოდ, ცერემონიისა და ზედმეტი სიტყვების გარეშე – რკინის თეთრი ჯვარი ჩაბეტონდეს და მიწითაც მოპირკეთდეს.

და სამახსოვრო სურათი კინოკადრივით უნდა ჩაერთოს სიუჟეტს, სურათი, რომელზეც მხოლოდ ჯვრის „მომგებელი“ ანუ საფასის გამლები აკაკი ყუფუნია არა ჩანს, თორემ სხვანი უკლებლივ შევრჩებით ამ დოკუმენტს: აკაკი ფანქველაშვილი, კოკი ასანიძე, კარლო ცერცვაძე, მამუკა მინდიაშვილი, აკაკი ასკილაშვილი, მალხაზ ქარქიშვილი, უჩა შერაზადიშვილი, პაატა ჩხეიძე, დოკუმენტური ნოველის ავტორი და თქვენი მონა-მორჩილი.

ეს თავისებური რიტუალი სოფელ ოლოზში უნდა გაგრძელდეს, დიმიტრი ასკილაშვილის სახლის აივანზე, და დაგვირგვინდეს ბნავისში – ელიზბარისეული ქარხნის საკირის მონახულებით.

მთებზე ჩამოწოლილ ნისლსა და გაციებულ ნიავს წვიმის წვეთები უნდა მოჰყოლოდა, წვეთებს თანდათან – თავსხმაც, მაგრამ ისიც ვერ აგვაღებინებდა ხელს წინასწარ ჩანაფიქრზე. რკალი უნდა შეკრულიყო, საკირეს თავისი განწყობილება შეემატებინა და გზას იქამდე ივანე ამირხანაშვილი ორიგინალურ, ხატოვან ფრაზაში მოაქცევდა:

„პოეტური ტრაფარეტივით აგვეკვიატა გაჭიანურებული თქორი“.

რას წარმოიდგენდა შანშე ერისთავი როცა აჯანყებულ მთიულებს ფინდიხს უშენდაო...

და თუ ეს თავისებურ პარადოქსად გამოჩნდებოდა, თურმე უფრო გამაოგნებელი პარადოქსიც ყოფილა მოსალოდნელი და ისტორიისა თუ ბედისწერის ამ ჟინიან თამაშს მანანა ხომერიკი მიაქცევდა ყურადღებას თავის გამოხმაურებაში.

უცნაურ ტრიალს გააგრძელებდა ისტორიის ბორბალი და:

„რას წარმოიდგენდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ელიზბარ ერისთავი, რომ ერთი საუკუნის შემდეგ გაჩნდებოდა მისი შთამომავალი, რომელიც რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე იქნებოდა!“

რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე?

კი მაგრამ... საიდან?

ელიზბარ ერისთავის ქალიშვილის, მაიკო ერისთავისა, და სიგიზმუნდ ზლოტნიცკის შვილიშვილს – ლეონიდა ბაგრატიონს – დიდ მთავარ ვლადიმერ რომანოვთან ქორწინებით შეეძინებოდა რუსეთის ტახტის მემკვიდრე მარია რომანოვა.

შემდგომ ეს ტიტული მიეკუთვნებოდა მარიას ვაჟიშვილს გიორგი რომანოვს – ბაგრატიონთა და ელიზბარ ერისთავის შთამომავალს.

და ამ თემას მანანა ხომერიკი იმ სტატიაშიც განაგრძობდა („შენს მიწას მიმაბარეო"), რომელიც მიეძღვნებოდა 19 აგვისტოს ესპანეთიდან თავად გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისა და მისი მეუღლის ელენე ბაგრატიონ-მუხრანელის ნეშტების ჩამოსვენებასა და სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალვას, სადაც უკვე განისვენებდა მათი ქალიშვილი – მარიამ ბაგრატიონი, ახლო ნათესავები და, რაც მთავარია, საერთო წინაპარი – მეფე ერეკლე მეორე.

ელენე ბაგრატიონი თბილისში დაბადებულიყო 1887 წელს, მამა პოლონელი აზნაური სიგიზმუნდ ზლოტნიცკი გახლდათ, დედა კი – მარიამი (მაიკო), ელიზბარ ერისთავის ასული.

და რაკიღა ელიზბარი ერეკლე მეორის ქალიშვილის – თამარის – შვილთაშვილი იყო, მისი მეუღლე ქეთევან ერისთავი კი ერეკლე მეორის ქალიშვილის – ანასტასიას – შვილიშვილი, ელენე ბაგრატიონიც ისევე გახლდათ სამეფო საგვარეულოს შთამომავალი, როგორც მისი მეუღლე – გიორგი ბაგრატიონი, ვისი შტოც ერეკლე მეორის ქალიშვილ ქეთევან ბაგრატიონამდე აღწევდა.

საგულისხმოა, რომ მათ ვაჟს – ირაკლი მუხრან-ბატონიშვილს – 1942 წელს ბერლინში ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის დამფუძნებელი კრება სრულიად საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის ერთ-ერთ კანდიდატად დაასახელებდა, მეორე კი ის სვიმონ ციციშვილი იქნებოდა, ვინც მოხსნიდა თავის კანდიდატურას და ქართველებს მოუწოდებდა, ყველამ ირაკლი ბატონიშვილს დავუჭიროთ მხარიო.

* * *

მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე მოინდომებდა შეხვედრა-ლექციების ციკლს 1832 წლის შეთქმულებასა და მის მონაწი-

ლეებზე. თაოსნობას თამარ ღონღაძე გამოიჩენდა – ცალკე პედაგოგებს აიყოლიებდა, ცალკე ყმაწვილებს აღანთებდა: ისეთ ეპიზოდებსა თუ რეალიებს გააცნობდა, თვითონვე სთხოვდნენ, უფრო ვრცლად და დეტალურადაც თუ მოხერხდებაო.

ასე გაიმართებოდა ის ისტორიულ-ლიტერატურული ციკლი – „1832"; თამაზ ჯოლოგუა და მე ვენაცვლებოდით ერთმანეთს და პირველი შეხვედრისას საერთო ისტორიულ ფონს წარმოვსახავდით, და კიდევ – შეთქმულთა სილუეტების ზოგიერთ შტრიხს, ისეთს, რათა გაგვეღრმავებინა მსმენელთა ცნობის წადილი, თანდათან გაგვეშალა თხრობა და ისტორიული პერსონაჟები თავთავისი ბიოგრაფიით შემოგვეყვანა ყმაწვილების ცნობიერებაში.

ზედმეტია იმის გახსენება, ფეხის დასადგმელი ადგილიც რომ არა ყოფილა ადვილი მოსაძებნი იმ აუდიტორიაში და ღია კარსაც არაერთი ახალგაზრდა თუ პედაგოგი მოსდგომოდა, ბოლოს კი ყველაფერი დაგვირგვინდებოდა თამაზ ჯოლოგუას ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმით დიმიტრი ყიფიანზე, წლების წინათ რომ გადაღებულიყო მისი სცენარით და თვითონ უძღვებოდა. მას შემდეგ უამრავი ახალი მასალა დაეგროვებინა თვითონვე, ფილმი უკვე მოძველებულადაც მიაჩნდა, და ძლივს დავითანხმე ფირი მოეტანა, მაგრამ თავისთავად ისეთი შთამბეჭდავია ეს კინემატოგრაფიული ნიმუში, მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა არ შერჩება და კიდევ დიდხანს ექნება საგანმანათლებლო მნიშვნელობა, უფრო ზუსტად, იმ დრომდე, ვიდრე თვითონ თამაზ ჯოლოგუა მოამზადებდეს ახალ დოკუმენტურ ფილმს ამ მოწამეზე – თავისივე თვალსაჩინო მონოგრაფიული ნაშრომების ამეტყველებას კინემატოგრაფიულ ენაზე.

ჯერ კი ჩვენი ციკლი გრძელდება და ყმაწვილებს წინასწარ რომ ვუთანხმებთ: შემდგომ შეხვედრაზე ვის გაცნობას ისურვებდითო, – შეთქმულთა მეთაურებისა და, ცხადია, ელიზბარ ერისთავის სილუეტიც უკვე გაცოცხლებულია მათ თვალწინ, და უკვე სხვა მონაწილეებზე ვაპირებთ გადანაცვლებას, ყველა ერთსულოვნად მოიწადინებს... იასე ფალავანდიშვილის თავგადასავლის მოსმენას. ჯერ არც დიმიტრი ყიფიანის პორტრეტი გაცნობას, არც ფილადელფოს კიკნაძისა, არც ვახტანგ ორბელიანისა, არც სოლომონ რაზმაძისა, არც გრიგოლ ორბელიანისა, არც ალექსანდრე ჭავჭავაძისა... რა არის ეს? ყმაწვილური თანაგრძნობა ყველასაგან გარიყული ადამიანის მიმართ? რა – არ იყო გასარიყი? არ იყო მოსაკვე-

თი იმ წრიდანაც და მთელი ქვეყნიდანაც? სოლომონ დოდაშვილი იმან იმსხვერპლა, ფილადელფოს კიკნაძეც, და საერთოდაც მოშალა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც ბუნებრივად დაბოლოვდა იმ ზნეობრივი კოლაფსით, კინაღამ რომ გადაჰყვა ქვეყანა, მისი თვითშეგნება და სახელმწიფოებრიობის აღდგენის წადილი. ამ ფონზე შეთქმულთა გაწამებული ყოფა – ციხე და გადასახლება ვითომც არაფერი.

ან იქნებ მისი ავანტურისტული ბუნება იწვევს თავისებურ ინტერესს? ასეა თუ ისე, მოვალენიც ვართ, ყმაწვილებს ეს სურვილი შევუსრულოთ, და ისედაც აუცილებელია ზნედაცემულ ადამიანთა პორტრეტების წარმოსახვაც – არა გაკვრითა და სასხვათაშორისოდ, არა ჩანართად თხრობისას, არამედ სწორედ მათ ბიოგრაფიაზე აიგოს სიუჟეტი, რათა ხელისგულზე გადმოიშალოს ზოგიერთი მიზეზი მაინც, თუ რას მიჰყავს ადამიანი გამცემობამდე და ამდენი პიროვნების დაღუპვამდე.

ვიცოდეთ სწორედ კერძო მიზეზები – მითუმეტეს, უპირველესი მიზეზი იასე ფალავანდიშვილის გამცემობისა საიდუმლოდ რჩება.

ყოველ შემთხვევაში, თამაზ ჯოლოგუა და მე ვერ ვთანხმდებით – საგანგებოდ იყო შეგზავნილი იასე შეთქმულთა წრეში, რათა ხელისუფლებას პროვოკაციულად გაემძაფრებინა ქართველ თავადებში შექმნილი პროტესტანტული განწყობილება, ებიძგათ ფარული ორგანიზაციის შესაქმნელად და საშუალება მისცემოდათ მათი დარბევა-დაპატიმრებისა თუ... თუ გადამწყვეტ წუთს უმტყუნა ნერვებმა და შიშმა – თუ უკვე შეუკავებელმა ბოღმამ – გააწირვინა საკუთარი ტოლ-მეგობრები. და ამ დროს თავისი გავლენა იქონია ძმის – გუბერნატორ ნიკოლოზ ფალავანდიშვილის – ჩაგონებამ და ძალდატანებამაც: მხოლოდ გულწრფელი მონანიება და აჯანყების სამზადისის მხილება თუ გიშველის, რომ ოთხად განკვეთას გადაურჩეო.

ასე ხსნიდა იასეს საქციელის ფსიქოლოგიურ სარჩულს ალექსანდრე ორბელიანი – გულწრფელად ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში, მაგრამ ბოლო წუთს გვიღალატა და მთავრობის ხელში ჩაგვყარაო.

მისი გავლენით ახსნიდა ბეზღობის ბარათის შედგენის მთავარ მოტივს მიხეილ ჯავახიშვილიც და „არსენა მარაბდელში" სწორედ ასე აღწერდა ამ შემზარავ აქტს – ძმამ აიძულა და იასეს კი ნებისყოფა არ ეყო, შეწინააღმდეგებოდაო.

თამაზ ჯოლოგუაც ამ გზას მიჰყვებოდა თავისი კვლევა-ძიებისას – პროვოკატორის შეგზავნად სულაც არ მიაჩნდა იასეს გამოჩენა შეთქმულთა წრეში და ის ხიბლავდა: ხელისუფლების თვალწინ ამხელა წინააღმდეგობის სული ტრიალებდა, ასეთი გამალებული სამზადისი გრძელდებოდა აჯანყებისათვის და ისინი კი ბაიბურშიც არ იყვნენო.

მე მაინც ჩემსაზე ვიდექი და მოვლენათა იმ ხელოვნურ გამწვავებასა და დაჩქარებაში, იასეს ყოველი მოქმედება რომ იყო აღბეჭდილი, მის პროვოკატორულ ხლართებს ვხედავდი.

პროვოკაცია კი არა, ავანტურიზმიაო, – მიმტკიცებდა თამაზი და გაკვირვებას ვერა მალავდა: ალექსანდრე ორბელიანისა ყველაფერი რომ გჯერა, ამას რატომ არ უჯერებ, უმნიშვნელო დეტალი ხომ არ არის, შეთქმულთა ბედის გადაწყვეტა აქ მოხდა და ნუთუ შეიძლება ალექსანდრე ორბელიანი შემცდარად, ზედაპირულად გაიაზრებდეს ამ ტრაგიკულ მოვლენასო.

მართლაც უცნაურია.

როგორ მჯერა ალექსანდრე ორბელიანის, ვისაც შეთქმულების ყველა გარემოება ჩემზე უკეთ მოეხსენება, ცხადია, და იასე ფალავანდიშვილსაც ჩემზე უკეთ იცნობს... და სხვა რომელიმე რეალიის შეფასებისას კიდეც რომ მოუვიდეს შეცდომა, ნუთუ შეიძლება იოლად განესაჯა იასეს საქციელის პირველბიძგი თუ ფსიქოლოგიურ სარჩული? მისთვის საყოყმანო რომ იყოს რაიმე, ბოლოს-დაბოლოს ორივე – ან თუნდ სამივე – ვარაუდს გამოთქვამდა, ფრთხილად გაგვიზიარებდა ერთსაც, მეორესაც, თუნდ მესამესა და მეოთხესაც... არადა, საჭოჭმანოს ვერაფერს ხედავს – იასემ არა თავიდანვე, არამედ ზედ ამბოხების წინ გაიმეტა თანამზრახველნი.

უცნაურია და... უცნაური იყოს.

ალექსანდრე ორბელიანმა გადამიშალა თვალწინ ის ჰეროიკული სამზადისი, მისი თვალით შევყურებ იმ მოვლენებს, რაც ჩვენთვის ისტორიად ჯერ არ ქცეულა და კვლავაც მის წრეში ვტრიალებთ, და ისევ და ისევ მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ამ დიდი ხელოვანის ნაწერებსა და ზოგად სურათზე დაყრდნობით არ მეჩვენება საბოლოო და უტყუარი ის დაკვირვება.

ამიტომ ჰიპოთეზად ხომ არ ვაღიაროთ ორივე საპირისპირო შეხედულება?

იასე ხელისუფლებამ შეაგზავნა შეთქმულთა შორის.

ვიდრე იასე გასცემდა აჯანების სამზადისს, ხელისუფლება ბაიბურში არ იყო, რა ხდებოდა მის ცხვირწინ.

ორივე შესაძლოა, მაგრამ...

მე ისევ პირველი მოსაზრებისაკენ ვიხრები.

შეთქმულთა ჩვენებების ტყუილ-მართლის ზღვაში ტრიალიც უფრო ამ მიზეზისაკენ მიბიძგებს.

მოთავებით მოთავდებოდა შეხვედრა-საუბრების ის ციკლი და ყმაწვილების გონებაში შემოიჭრებოდა ელიზბარ ერისთავის სახელიც, მისი კოლორიტული სახება და მღელვარე ბიოგრაფია, რაც ჩვენთვისაც უნდა შევსებულიყო თანდათან და მივმხვდარიყავით, რომ თურმე ჯერ ჩონჩხი უფრო გვეპყრა ხელთ დამხობილი მთავარსარდლის ცხოვრებისა, ვიდრე თვით ცხოვრება.

მთელი შეთქმულებისაც ჯერ ჩონჩხი აღგვედგინა ჩვენს წარმოსახვაში.

ჩონჩხი გამოიბამდა ხორცს, სისხლითაც აღივსებოდა და სიცოცხლის ნიშატსაც დაიბრუნებდა, რათა აღარასოდეს გამოჭედილიყო ხელოვნურ სქემებსა თუ ზედაპირულ შეფასებებში – და საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრებულიყო ისეთად, როგორც სინამდვილეში იყო.

თავი მესამე

კანდრახტი – ჯერ კიდევ როდის

„წელსა 1828-სა დღესა 13 მაისისა შევკარით კანდრახტი“, – ასეთი დოკუმენტიც შედგებოდა პეტერბურგში, უფრო ნიშანდობლივ კი ლიედეინში – ჟანდსკის სახლში, და მხოლოდ უმთავრესი პირობა ჩაინერებოდა:

– ასე რო რაც ჩვენი სარგებლობისათვის იყოს და რაც ჩვენ გვიფიქრია ვინც უმტყუვნოს ამ ამხანაგობაში და ან საერო სარგებლობისათვის იყოს შეჩვენებული ღვთისაგან.

და ხელს მოაწერდა სამი ერისთავი: დიმიტრი, გიორგი და ელიზბარი.

ღვთის ფიცით შეიკვროდნენ და, ცხადია, რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა მათ ცხოვრებაში, მოღალატეს უფლის სამსჯავროს რომ გადასცემენ და თანაც მხოლოდ სიტყვიერად კი არა თანხმდებიან, აუცილებლად მიაჩნიათ შეთანხმებას ოფიციალური იერი მიანიჭონ.

დოკუმენტის განსაკუთრებულობას გარეგნულადაც გამოჰკვეთდნენ.

ქაღალდს წითელთავიან ოქროს ქინძისთავს გაუყრიდნენ, ოქროსივე ძენკვიანს, და ორი ბეჭდით დაბეჭდავდნენ.

ესეც იმ აჯანყების ოფიციალური სათავე, 1832 წლის შეთქმულების სახელით რომ უნდა შევიდეს ქვეყნის ტრაგიკულსა და ზნეობრივ ისტორიაში. ოფიციალური სათავე თუ პირველი საფეხური – თანაც ნიშანდობლივია, რომ მაინცდამაინც სამნი არიან ხელისმომწერნი. სამეულებად დაყოფა საიდუმლო ორგანიზაციისა გახდება შეთქმულთა ერთ-ერთი მთავარი პრინციპი – ცალკეულ რგოლებს არ უნდა სცოდნოდათ ერთმანეთის ვინაობა თუ ავან-ჩავანი, ცალ-ცალკე ემუშავათ, ცალ-ცალკე შეეგროვებინათ მხარდამჭერნი თუ თანამგრძნობელნი, ცალ-ცალკე ყოფილიყვნენ მზად გადამწყვეტი წუთისათვის.

გამჟღავნდებოდა რომელიმე რგოლი, პოლიციას ჩაუვარდებოდა ხელთ? ბევრს ვერაფერს აკლებდნენ საიდუმლო ორგანიზაციას, გინდაც გატეხილიყვნენ და ყველაფერი ეღიარებინათ, რაც იცოდნენ. წინასწარვე შემოზღუდულიყო მათი ცოდნა და... აჯანყების სამზადისი კვლავაც გაგრძელდებოდა, ვითომ ეს რგოლი არც არასდროს არსებულა.

„რაც ჩვენ გვიფიქრიაო" – მხოლოდ ასე ზოგადად რომ ჩაწერდნენ, პოლიცია, „კანდრახტს" როდესაც ხელთ იგდებდა წლების შემდეგ, სახიფათოს ვერაფერს ამოიკითხავდა ამგვარი მინიშნებიდან, მაგრამ იმას კი დაიბეჯითებდა, რომ რაღაც განსაკუთრებულს გულისხმობდა ამ დოკუმენტის შედგენა, საიდუმლო ორგანიზაციის ჩამოყალიბების სათავეზე მიიტანდნენ საფუძვლიან ეჭვს და სრულ განმარტებასა და გულწრფელ აღიარებას მოსთხოვდნენ სამივე ხელისმომწერს.

არცერთი არ აღიარებდა – არც ძმები, არც გიორგი რევაზის ძე.

გამოძიება არ მოეშვებოდათ: რა „საერო სარგებლობას" განიზრახავდითო.

კორექტურაა, მხოლოდ კორექტურააო – თავს ასე იმართლებდნენ – უნებლიე შეცდომა გაგვპარვია მართლწერისას, „საეროს" ნაცვლად „საერთო" უნდა ეწეროს და ეს გამოთქმაც და მთლიანად „კანდრახტიც" ჩვენს შინაურ საქმეებს გულისხმობს და სხვას არაფერს, ეჭვი ნეტა რატომ უნდა გაგჩენოდათო.

თავსაც მოუქონავდნენ: გასაგებია თქვენი ჩაძიების მიზეზი, უნებლიე შეცდომა აზრს მართლაც საფუძვლიანად ცვლის და თქვენს მახვილ თვალს ეს როგორ გამოეპარებოდა, მაგრამ უნდა გვენდოთ, რომ კერძო, ოჯახური მიზნების გარდა სხვა რამ ფიქრი არ გაგვჩენია და პირობა კი ჩვენი ცხოვრების უკეთ მოწყობის გამო შევკარითო.

მაგრამ ოჯახურ შეთანხმებებს არა სჭირდება არც ასეთი თავგამოდება ოფიციალური ყაიდის დოკუმენტის შესადგენად და არც ასეთი ექსტაზი:

იყოს შეჩვენებული ღვთისაგანო.

ესენი მაინც:

უნდა გვენდოთ და დაგვიჯეროთო.

არც ენდობოდნენ, არც დაუჯერებდნენ.

ეს რა „კანდრახტიაო" – დიდად იუცხოვებდა შანშე ერისთავიც, შემთხვევით რომ მიეგნო ამ დოკუმენტისათვის – რა საერო სარგებლობა აგიტყდათ, რა ხელმოწერა მონდომებიათო.

ელიზბარი იმასთანაც უნებლიე ენობრივ ლაფსუსს გადააბრალებდა „კანდრახტის“ შინაარსის ისე გაბუნდოვანებას, ოჯახური მიზნები რატომღაც საქვეყნო მიზნებს რომ გაუიგივდებოდა, მაგრამ ასე იოლად არც შანშე მოტყუვდებოდა: რამდენ რამეზე შევთანხმებულვარ ჩემს ნათესავებთან თუ ახლობლებთან, მაგრამ აზრად არ მოგვსვლია არავითარი „კანდრახტი“, თანაც ასეთი მძაფრი კილოთიო.

ცუდად ეცვლებოდა გუნება, მაგრამ თავს იმით დაიმშვიდებდა მამა-ბატონი, რაც შემეძლო, თავი არ დამიზოგავს ამ თავისნათქვამა ბიჭის გზაზე დასაყენებლად, შვიდ წელიწადს ტრიალებდა რუსებს შორის, შეეჩვეოდა და შეეთვისებოდა და ისე როგორ იქნება, კვლავ იქით არ გაუწიოს გულმაო.

ელიზბარს მართლაც ღრმად ჩაეხედა რუსეთის ცხოვრებაშიც და რუსთა ფსიქიკაშიც და.... თანამზრახველებთან თავსაც გამოიდებდა: იმათი ამბავი კარგად ვიციო.

თურმე სად უნდა გამოსდგომოდა მათ შორის ტრიალი.

* * *

ისევ 11 იანვარი.

კვირადღეა. და ივანე ამირხანაშვილი იმ პირველი რეპორტაჟის განწყობილებას გააგრძელებს ამ ახალ დოკუმენტურ ნოველაშიც „სად იყო უბრალო ისტორია“: უჩინარიო.

ზამთრის მზით გამორჩეულიც ყოფილა.

ავტომფლობელთა ფედერაციის შენობის კართან ჯერაც შერჩენილა უმანკო თოვლი, ეკლესიის ეზოში კი აუღია. და ამ დეტალს განუზოგადებლად არ გაუშვებს ხელიდან ავტორი: უწინ პირიქით იყო, რადგან ავტომფლობელი გაცილებით სჭარბობდა მლოცველსო.

და იქვე:

ელიზბარ ერისთავის მეორე პანაშვიდზე მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნიც გამოჩნდაო –

„პირდაპირ გამომცემლობა „ლომისიდან“ წამოიღო როსტომ ჩხეიძემ, სიტყვა არ გატეხა, ჩამოიტანა, დაარიგა ეკლესიაში, მერიაში, ნაცნობ-მეგობრებში. კრებულია, ერთი შეთქმულის სრულ პორტრეტს წარმოადგენს დოკუმენტებსა და წერილებში; კარლო ფაჩულიას მიერ შესრულებული მხატვრული გაფორმება ზუსტად ესადაგება წიგნის შინაარსს...“

დოკუმენტური ჩანაწერის ფინალი მართლაც ნოველურია, იმ ოსტატობით ბელეტრიზებული, რაც ივანე ამირხანაშვილის სტილური ნიშანია და ამიტომაც ჰკრავს ყოველთვის ასე მოხდენილად თავის მხატვრულ-დოკუმენტურ ძიებებს:

„არავინ იცოდა, თუ სად იყო ისტორია, გორის ციხესთან, თუ მტკვრის ზვირთებში, კვერნაქის ბინდისფერ ფერდობებზე თუ სადღაც შორს, ღვინის წვეთზე არეკლილ მზეში.

მთავარია, რომ ის მართლა იყო და ვგრძნობდით მის არსებობას როგორც „თავის თავს – თვით – თავის თავში".

მარტინ ჰაიდეგერი ხომ არ გაგახსენათ ამ გამოთქმამ?

ვისაც არ გაახსენდებოდა, ავტორი თავიდანვე ამცნობდა სიტყვა „ფენომენის" ეგზისტენციურ განსაზღვრებას, გამოთქმულს ჰაიდეგერის მიერ:

თავის თავის – თვით – თავის თავში – აღმოჩენა.

ამცნობდა, რათა ამ გარდუვალობისათვის მიეგნო 1832 წლის შეთქმულების დრამატულ ბიოგრაფიაში და ყველასათვის ხილული გაეხადა სახიერი, დამაფიქრებელი სურათის ამოზიდვით 1832 წლის 14 ოქტომბრის ცხოვრებიდან, მისი იმ წერტილიდან, ორთაჭალაში გაშლილი სუფრა რომ ერქვა:

„ – მოვკლათ, დავხოცოთ, ვინც მხარს არ დაგვიჭერს! – თითქმის ერთხმად წამოიყვირეს კახურით გახურებულმა ელიზბარმა და იასემ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მათ ერთმანეთი იპოვეს, გმირმა და გამცემმა, თავის თავი – თვით – თავის თავში – აღმოაჩინეს და დაწყვილდნენ, როგორც ეგზისტენციური გარდუვალობა...

– მოვკლათ, დავხოცოთ! – ყვიროდნენ ერთარსებად ქცეული გმირი და მოღალატე, ეხვეოდნენ ერთმანეთს და ერთგულების, პატოსანი სიტყვის გაუტეხლობის ფიცს დებდნენ".

და ეს სურათი ძალაუნებურად იწვევს სწორედ ასეთ ფიქრს: უცნაურია გმირობის ქართული ფენომენი, წუთისოფელივით ორგემაგე, დუალისტური, – რა წამს კი დაიბადება, იქვე ღალატი მზა არიო.

სიცოცხლისა და სიკვდილის იგავი („რა წამს კი დავიბადებით, იქვე სიკვდილი მზა არი") ამგვარი პერიფრაზით გადმოვიდოდა თხრობაში: გმირობისა და ღალატის იგავით.

კრებული უპყრია ხელთ ივანე ამირხანაშვილს, ერთად თავმოყრილი მასალები სულ სხვაგვარად სავსე სურათს ქმნის, თითქოს მანამდე არც გცოდნოდეს 1832 წლის შეთქმულება, მისი ისტორია

და მონაწილეთა ბიოგრაფიები, და თითქოს პირველად შეაღებდე კარს ამ იდუმალებით მოსილი სინამდვილისა, რომელიც გადაიფ-ხეკდა ფერმკრთალობის იარლიყს და შენს თვალწინ გაიზრდებოდა და გასხივოსნდებოდა.

რომელ ერთ ადგილს ჩაუკვირდე.

რომელი ერთი პასაჟი ამონერო.

ბოლოსდაბოლოს, დოკუმენტურ ნოველას ქმნი და არა რეცენ-ზიასა თუ ვრცელ ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკვევს ამ კრე-ბულზე.

და ისევ ჰაიდეგერი წამოგეშველება, ჰაიდეგერი და ერთმა-ნეთს გადახვეული გმირისა და გამცემის ერთარსებად ქცეული სი-ლუეტი.

იასე ფალავანდიშვილის ფრაზაც უნდა განმეორდეს ამ ჩანა-წერში:

– განზრახული მქონდა ყველაფერი ეს მთავრობისათვის მეცნობებინა, – სავსებით გულწრფელად ნათქვამი საგამოძიებო კომისიის წინაშე, მიხეილ ჯავახიშვილის ასევე გულწრფელი გა-ოცებაც რომ უნდა დაერთოს თავისებურ კომენტარად „არსენა მარაბდელიდან“: საიდან გაჩნდა შეთქმულების სათავეში ეს უსამსახურო „კოლეჟსკი სოვეტნიკი“, ანჩხლი, ბოღმა და ძმის მკვლელიო.

ელიზბარ ერისთავის სიტყვებიც:

– მე მეტისმეტად გულღია და მინდობილი ვარ.

პოლონეთის თემამაც გაიელვოს.

– ჩვენც უნდა პოლონელებს მივბაძოთ, – ეტყვის ალექსანდრე ორბელიანი ელიზბარს, ივნისის ერთ თბილ საღამოს ერევნის მოე-დანზე რომ მისეირნობენ.

ის კი:

– სასაცილოა მაგაზე ფიქრი.

მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან საუბრისას სწორედ ელიზ-ბარმა უნდა გაიმეოროს ორბელიანის ფრაზა:

– უნდა მივბაძოთ პოლონეთს, ხედავთ, ისინი რას შვრებინ?

და ელიზბარის მიერ ალექსანდრე ორბელიანის წინაშე გამ-ჟღავნებული სკეპსისი კი „გოგჩას“ შემოქმედმა ამჯერად აქეთ უნ-და დაუბეჯითოს თვითონ ელიზბარს:

– ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთივე საშუალებანი, როგორიც მათ აქვთ, მაგალითად, სადა გვაქვს ფული, თანხმობა ან ჯარი?

მაგრამ ის ელიზბარი, „სასაცილოა მაგაზე ფიქრიო", სიტყვას რომ შეატეხდა პირში ალექსანდრე ორბელიანს, თავის არგუმენტებს დაუხვავებს გენერალ-მაიორს საბოლოო გადმობირებისათვის:

– პირველი ხანისთვის საკმარი ფული გვაქვს, შემოდგომაზე კი ამ საქმისთვის თქვენ იზრუნებთ, ეს თქვენი საქმეა. თანხმობას მოვიპოვებთ, როდესაც განზრახულებას გავავრცელებთ, ჯარი ჩვენი გლეხობაა, რა უშავს, თუ მწკრივში დაწყობა არ შეუძლიანთ...

დამაცადეთ, მოვიფიქრებო, – ამჯერადაც დალოდებას ამჯობინებდა გენერალ-მაიორი, და იფიქრებდა და იფიქრებდა და იფიქრებდა...

დოკუმენტური ნოველის ავტორი აღარც იმ მწარე შეფასებების მოხმობას მოერიდება, ზაქარია ციციშვილს, იოსებ მამაცაშვილსა და ტარასი ალექსი-მესხიშვილს რომ გამოეთქვათ ელიზბარ ერისთავზე – ან ტაქტიკური თვალსაზრისით, ალექსანდრე ორბელიანისა არ იყოს, ვინც თავს ძალიან მოიგულუბრყვილოებდა, თავის მოსულელება რომ აღარა ვთქვათ; ანდა მართლა გაღიზიანებულიყვნენ მთავარსადლად ნაგულისხმევ ამ პიროვნებაზე, რაკიღა მოვლენათა გამწვავება თუ დაჩქარება მის სახელსაც უკავშირდებოდა, ეგზისტენციურ გარდუვალობას იასე ფალავანდიშვილთან რომ დაეწყვილებინა.

ამას გამცემლობით რომ არ მოსვლია, ეჭვიც არავის შეეპარებოდა, მაგრამ გმირობადაც არავინ მიუთვლიდა თავგანწირვას და დამცინავსა და დამამცირებელ ეპითეტებს დააყრიდნენ თავზე:

– მასზე უფრო სულელი არავინ მინახავს...

– თავმსუბუქი და ქარაფშუტა იყო...

– ცრუ და ქაღარდინა...

და ამ პასაჟშიც მარჯვედაა მოშველიებული კონტრასტის ხერხი: მაგრამ რომანტიკას ასეთი „ცრუ და ქაღარდინები" ქმნიანო.

ზერელე, მართლაც ქარაფშუტა დახასიათების მიღმა სწორედ ის სული წარმოისახება, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანშიც" გადასახლდებოდა და თავგანწირვის ფასად მოძმეთათვის გზა-სავალის გასაადვილებლად მოწოდებულიყო.

იქ ლირიკულ გმირად შეისხამდა ხორცს.

რეალობაში ხან ვისი სახით წარმოსდგებოდა და ხან ვისი და ელიზბარ ერისთავის ტყავშიც გამოეხვეოდა.

დოკუმენტურ ნოველაში საგანგებოდ ჩაერთვოდა ზოგიერთი ცნობა პოლონეთის აჯანყებაზე – ამ დღისათვის საკმაოდ დიდხანს, 14 წელიწადს რომ ემზადებოდნენ, ქმნიდნენ საიდუმლო ორ-

განიზაციებს, პატრიოტულ საზოგადოებებს, პროპაგანდით მოსდებოდნენ არმიას, მოძრაობაში ჩაერთოთ კათოლიკური ეკლესიაც და შეექმნათ არისტოკრატიული და დემოკრატიული მიმართულების ორი პარტია, და ამბოხების ნუთებში კი შესანიშნავად გაწვრთნილი 130-ათასიანი არმია ჰყავდათ.

– რადგან ვარშავის დაცემის შემდეგ შეთქმულება ცოტა შენელდა და მისი შესრულება უკუგდებული იქნა, – სახელდობრ რა მიზეზებმა შთაგაგონათ, ესოდენ საქმიანად გაგეახლებინათ იგი 1832 წელს და მის განხორციელებასაც კი შედგომოდით? – ეკითხებოდა გამომძიებელი და ელიზბარს თავი ისე ეჭირა, როგორც დაკითხვაზე უნდა მოიქცეს კაცი, ვინც ყველაფერს ვერ უარყოფს, რაკიღა ისედაც გამჟღავნებულია, მაგრამ ყოველნაირად ბურდავს და ასხვაფერებს სინამდვილეს:

– არავითარი მიზეზი არ ყოფილა, მხოლოდ ერთადერთი უგუნურება!

არა, ფილისტერული მორალის მიხედვით ეს საქციელი მართლა უგუნურებას ჰგავს, ელიზბარი რაღაც უცნაურს კი არაფერს ირწმუნება, ეგაა, სულ სხვა მორალი ამოძრავებდა მის ფიქრსა და განცდას.

...ბინდი ეპარებოდა კვერნაქის ფერდობებს.

და ღვინის წვეთში ირეკლებოდა შუბის ტარზე მდგარი მზე, ჩამავალი მზის ნათელიც რომ გადაჰკრავდა.

20 დეკემბერს რამდენიმე შეკითხვას დაუსვამდნენ. დაინტერესდებოდნენ: ოქროპირ ბატონიშვილი ტფილისში რომ იყო, რამდენჯერ ინახულეთ, ხომ არაფერი უთქვამს საქართველოდან რუსთა გაძევებაზე და საამისო საშუალებანიც ხომ არ ურჩევიაო.

იფიქრებდა, იფიქრებდა და გაიხსენებდა: 1830 წელს ვნახე, ბიძაჩემს რომ სტუმრობდა, და ბატონიშვილს სხვა არაფერი უთქვამს, გარდა ამისა – რატომ არ მინახულე, როცა მოსკოვში გამოიარეო. ამას თავი უმართლებია: გენერალმა ერთ დღე-ღამეზე მეტის გაჩერების უფლება არ მომცა და იმიტომ ვერ გინახულეთო.

საქართველოდან რუსთა გაძევების თაობაზე?

არა, ელიზბარს მსგავსი არაფერი მოუსმენია ოქროპირ ბატონიშვილისაგან.

როდესაც დიმიტრი ერისთავი საქართველოში გამოსამგზავრებლად ემზადებოდა, ოქროპირ ბატონიშვილი ამცნობდა: მე იქ უკვე ველაპარაკე სოლომონ დოდაშვილს, შენს ძმას ელიზბარ

ერისთავს და ალექსანდრე ორბელიანს, რათა საქართველოს გასათავისუფლებლად ახალგაზრდების საზოგადოება შეადგინონო.

ალექსანდრე ორბელიანს კი სანდო პიროვნებებს რომ დაუსახელებდა – ალექსანდრე ჭავჭავაძეს, სოლომონ დოდაშვილს, თამარ ბატონიშვილს – არც შანშეს ვაჟი გამორჩებოდა:

– აქ კიდევ ელიზბარ ერისთავი არის, ისიც კარგი ჭკვიანი კაცი არის.

ეს ეპითეტები: „კარგი" და „ჭკვიანი" – ელიზბარმა სწორედ საიდუმლო ორგანიზაციის პირველსაფუძვლების მომზადებითა და შექმნით დაიმსახურა.

საერთოდ კი გულს გეფონება ეს ორიოდ კეთილი სიტყვა იმ დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ ეპითეტთა ფონზე, რაც საგამოძიებო ოქმებში ამოიკითხება ელიზბარზე.

გამოძიება თავისას განაგრძობს:

ლუარსაბ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის, იასე ფალავანდიშვილისა და გვარდიის კაპიტან ჩოლოყაშვილის თანდასწრებით გითქვამთ, საქართველოდან რუსთა გაძევების განზრახვა პეტერბურგშივე ვიცოდი მიმოწერის საშუალებითო. ვისგან გაიგეთ ეს პეტერბურგში და ვისთან გქონდათ ამის თაობაზე მიმოწერა როგორც პეტერბურგში, ისე მოსკოვშიო?

ელიზბარის სახეს გულუბრყვილო გამომეტყველება არა სცილდება:

– რაც ხანი პეტერბურგში ვიყავ, მამის ჩემის მეტთან მიმოწერა არავისთანა მქონია...

მოეშვი ამ მამაშენის ხსენებას, ელიზბარ, ვერ დაგიცავს მისი ავტორიტეტი და რუსთა წინაშე დამსახურება, ცუდად ამოგიტივტივებენ იმ ჭორებს და კიდევ ახალი ხათაბალა გინდა?

მამაჩემის მეტთანაო...

– ...და იმისთვისაც არასოდეს სხვა არა მიმიწერია რა, გარდა ჩემი მეცადინეობისა მეცნიერებაში. ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ კი ჩემს ძმასთან მქონდა მიმოწერა, რომლითაც მისი მშობლებისა და ჩემს მშვიდობით და კარგად ყოფნას ვატყობინებდი ხოლმე.

მაგრამ იმ ბარათს რას უზამენ და როგორ გააბუნდოვანებენ მის შინაარსს ისე, რომ გამჭვირვალე მინიშნებანი გამოძიებას ამოუცნობი დარჩეს, იმ ბარათს – რომელიც დიმიტრი ერისთავს მოუწერია ძმისათვის პეტერბურგიდან ტფილისს 1831 წლის 15 აპრილს და, პოლონეთის აჯანყების მიმდინარეობას რომ ამცნობდა, იმას ტფილისური ამბების შეტყობინებას სთხოვდა:

– ახლა გთხოვ, რომ მანდაურობის ამბავი წვრილათ მომწერო, რატომ არა მწერ, ბევრი მეგობარი გყავს თუ არა და ან როგორ გგონია შენი საქმისა. შენი ფიცრების ხერხის საქმე როგორ მიგდის – კარგად თუ არა, შენი მეგობრის ბიძა სად არის და რასა იქს, რა დაემართა მაგასაც, თავისი საქმე რატომ ასე ცუდად მიჰყავს, ასწავლე როგორმე.

არც იმას დაუმალავდა: ლუარსაბმა, დიმიტრიმ და ალექსანდრემ მოგიკითხეს (ორბელიანს, ბატონიშვილსა და ჩოლოყაშვილს იგულისხმებდა). სულ გაგინებენ: რა ურიოდი იყოო, აქ რა იმედს გვაძლევდაო, წავიდაო და არც კი ვახსოვართო და იქნება აღარც აგონდებაო.

მერე და მერე ელიზბარიც გამოტყდებოდა – თავისი კარგად ყოფნის გარდა ორაზროვანი სიტყვებით რომ მიეწერა ძმისათვის შეთქმულების დაწყების შესახებ. დიმიტრი სწორედ იმ ორაზროვანი ბარათის პასუხად გამოგზავნიდა ამ ორაზროვან წერილს, რომლის დაშიფრულ შინაარსსაც გაამჟღავნებინებდნენ და „მეგობრის ბიძის" ვინაობასაც დაასახელებინებდნენ – ალექსანდრე ბატონიშვილისას.

დიმიტრი ბატონიშვილს სული უსწრებს საქართველოს გამოსახსნელად, ყოველი წუთი წლად ეჩვენება, ყოველი დღე – საუკუნედ, და რაკიღა ალექსანდრე ბატონიშვილი იმხანად აჯანყების ხანძარს არ აბრიალებს, რა მწარე საყვედურებს გამოთქვამს მასზე. დიახ, ეს ფრაზა – „რა დაემართა მაგასაცა, თავისი საქმე რატომ ასე ცუდად მიჰყავს, ასწავლე როგორმე" – აშკარად ეტყობა, დიმიტრი ერისთავის ნაფიქრი რომ არ უნდა იყოს, ასეთ საყვედურს ის ვერ შებედავდა, თავზეხელაღებულ მებრძოლს, ვისი სახელიც მთელს იმპერიაში ქუხდა და საიმპერატორო კარი რას არ გაიღებდა, ოღონდაც დაქირავებული მკვლელი იმასაც მიწვდომოდა; ახლა კი დიმიტრი ბატონიშვილის სიტყვებს იმეორებს და ეს პასაჟი სუსხიანად ამიტომ გაისმის.

ან ის რას ერჩის – უმოქმედობაში ბრალი დასდო და ვის – ალექსანდრე ბატონიშვილს? ცხადშიც და ძილშიც სხვა რომ არაფერს ფიქრობდა, გარდა რუსთა გაძევებისა საქართველოს მიწა-წყლიდან, იმ ალექსანდრე ბატონიშვილს?

სულ გაგინებენო – ეს გაღიზიანებაც ელიზბარის მიმართ სულსწრაფობის ბრალია და იმ უცნაურად განელილი დროისა!.. თითქოს ამბოხების მომავალ მთავარსარდალს სასწაულმოქმედი ჯოხი

ეპყრას და ერთი ხელის აქნევით შეეძლოს მთელი საქართველოს დარაზმვა, თუკი არ დაიზარებს.

ბევრი მეგობარი გყავს თუ არაო...

რა ურიდი იყოო...

გამოძიებაც მიხვდებოდა და მკვლევარებიც ამოიცნობდნენ, რომ არც „მეგობარი" და არც „ურიდი" შეთქმულთა წრეში ჩვეულებრივი მნიშვნელობით არ გამოიყენება – გაცილებით მეტს გულისხმობს და თანამზრახველის აღმნიშვნელ პოლიტიკურ ტერმინად ტრიალებს მათ მიმოწერასა თუ საუბრებში.

და „ბევრი მეგობარი გყავს თუ არა" უკვე იოლი გასაშიფრია – ფარულ ორგანიზაციაში უკვე რამდენი წევრი ჩააბიო.

დიმიტრი ერისთავი რომც არ გამომტყდარიყო: შეთქმულების შესახებ ყველა გამოთქმა ფიგურალური იყო, ისე რომ, უცხო ადამიანს მისი გაგება არ შეეძლოო, – საიდუმლო ორგანიზაციის გაცემა ყველა ქარაგმას ერთიმეორის მიყოლებით გახსნიდა და გამოძიებას შეთქმულთა აღიარება აღარც კი სჭირდებოდა, ისედაც პოლიტიკური თვალთახედვით გაეცნობოდნენ და ამოიკითხავდნენ ყველა იმ დოკუმენტს, რაც მამხილებელ ფაქტებად ეჭირებოდათ ხელთ. საბედნიეროდ, შეთქმულნი ბევრი ნაწერის განადგურებას მოასწრებდნენ, თუმც რის მოსპობასაც ვერ მოახერხებდნენ, ისიც კმაროდა სასტიკი განაჩენის აღსასრულებლად, საიმპერატორო კარს პოლიტიკური კურსის შეცვლა რომ არ გადაეწყვიტა.

სხვა კიდევ რისი შეტყობა მოუწადინებიათ?

თითქოს ელიზბარ ერისთავი ამტკიცებდა თანამზრახველთა წრეში, ოქროპირ ბატონიშვილმა მხოლოდ იმიტომ შეირთო მდიდარი სენატორის ქალი, რათა საფრანგეთში წავიდეს და იქიდან იმოქმედოსო. თუკი ასეა, ისიც გაამჟღავნოს, თვითონ ბატონიშვილისაგან სმენია ეს ჩანაფიქრი თუ ვინმე სხვისაგან?

აბა, რა სათქმელია, ამის მტკიცებას როგორ მოჰყვებოდა, როცა ახლაც არ იცის, რა ანგარიშით შეირთო ოქროპირმა მდიდარი სენატორის ქალი. არც იმის ცოლის შერთვა უხსენებია ვინმესთან და არც საფრანგეთში წასვლის განზრახვა.

მერამდენედ დაადასტუროს, რომ ლუარსაბ ორბელიანი შეთქმულებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, თუმც ცოდნით კი მოეხსენებოდა მისი არსებობა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ კი შესაძლოა ყურმოკვრითაც არაფერი იცოდა, ყოველ შემთხვევაში ელიზბარს მასთან ამაზე არასოდეს უსაუბრია.

ხშირად რომ სტუმრობდა?

აკი მოგახსენათ – ნათესავები არიან და ნათესავი ნათესავთან დღეში ორჯერაც რომ მივიდეს, დასაეჭვებელი რა უნდა იყოს.

გვარდიის კაპიტანმა ჩოლოყაშვილმა ტფილისში რომ უსაყვედურა ელიზბარს, გიორგი და დიმიტრი ერისთავებსა და დიმიტრი ორბელიანს: გახსოვთ, ვაჟბატონებო, პეტერბურგში ყველანი მერიდებოდით, აქ კი პირიქით, ძალიან გულახდილნი ხართო? კეთილი ინებოს ელიზბარმა და განუმარტოს გამოძიებას, ამ შიშის გარემოება და რითი იყო გამოწვეული.

ზაქარია ჩოლოყაშვილის საყვედურზე რომ მოიბოდიშეს, ეს ახსოვს, მაგრამ ან ის რატომ საყვედურობდათ ან ესენი რას ერიდებოდნენ პეტერბურგში, აღარ აგონდება.

რატომ ეუბნებოდა ჩოლოყაშვილს, ეგორ ერისთავიც მონაწილეობს ამ საქმეში, გენერალი ჭავჭავაძეც და გიორგი ერისთავიცო?

გამოგიტყდებათ, რომ ტყუილად უთხრა, იქნებ ამ ხერხით თვითონ დავითანხმოო.

ბარძიმ და ბეჟან ამილახვრებისთვის და პოლკოვნიკ ივანე ანდრონიკაშვილისათვის რა ჰქონდა ნათქვამი ფარულ განზრახვაზე?

არც არაფერი.

პოლკოვნიკ ასლან, მაიორ დიმიტრი და ლეიბ-გვარდიის ყაზახთა რაზმის პორუჩიკ მამუკა ორბელიანისათვის რა გაემჟღავნებინა ან ყოფილ პორუჩიკ ალექსანდრე ორბელიანისათვის?

არც არაფერი.

გორის მაზრაში შალვა, ლევან და ივანე ერისთავებისათვის ან ამილახვართათვის?

არაფერი, სრულიად არაფერი.

ივანე მაჩაბელმა თუ იცოდა?

არ დათანხმდა მონაწილეობას, შემდეგ კი ამ საგანზე მასთან აღარ ულაპარაკიათ.

არც თარხნიშვილებთან ჰქონია საუბარი, არც ჯავახიშვილებთან, არც ჯორჯაძეებთან, არც პორუჩიკ ნათალიშვილთან თუ პრაპორშჩიკ რუსიშვილთან.

თადია ჩოლოყაშვილს, 1812 წლის კახეთის აჯანყების მონაწილეს, რომ გაუზიარეს ეს გაზრახულება ალექსანდრე ორბელიანის სახლში?

ამათ კი გაუზიარეს, მაგრამ მას სრულებით არ გაუზიარებია და მაშინვე სოფელში წასულა.

არც ბირთველ თუმანიშვილს მოუწონებია ამბოხებაზე ფიქრი, ხოლო მის შვილთან – პორუჩიკ გიორგი თუმანიშვილთან – არც ულაპარაკიათ.

სამი დღის შემდეგ კიდევ ერთი ეჭვმიტანილი უნდა დაუსახელონ – ალექსანდრე ორბელიანის სახლში განზრახვა გამოუცხადეთ გრენადერთა რაზმის პორუჩიკ გრიგოლ ორბელიანსო.

გამოვუცხადეთო – არ გადაფიცავდა – მაგრამ მან გადაჭრით თქვა უარი თანხმობაზე და მალე ტფილისიდანაც წავიდაო.

ტფილისიდან წასვლას ისე ახსენებს ელიზბარი, აჯანყებისაგან ჩამოშორებასთან აიგივებს, თითქოს შეთქმულების ქსელი ამ ქალაქს იქით არსად წვდებოდეს და სულაც პეტერბურგსა და მოსკოვში არ ჩასახულიყოს ანდა ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებს ახლაც არ აცნობებდნენ ახალ-ახალ ამბებს ამბოხების მზადებისა.

გრიგოლ ორბელიანი სწორედ ამ მისიას იდებდა თავს – მათთან მე მექნება უშუალო ურთიერთობაო.

1831 წლის ივნისში კარისკაცებთან ერთად პეტერბურგს რომ გაემგზავრებოდა, ელიზბარი დააპირებდა წერილის გატანებას დიმიტრი ბატონიშვილთან, მართალია წერილის ნაღებაზე ის უარს ეტყოდა ამ მიზეზით: პეტერბურგში გვიან ჩავალო, – მაგრამ სიტყვიერ დანაბარებს უკლებლივ მოახსენებდა.

ტფილისიდან პეტერბურგამდე მგზავრობის დღიური რომ პოლიტიკური მიზნით და აჯანყების უშუალო სამზადისისათვის შეიქმნებოდა – რუსების უკლებლივ ყველა სტრატეგიული ადგილი და ჯარების განლაგება-რაოდენობა ყოველმხრივი სიზუსტით აღინერებოდა – და არა ლიტერატურული განზრახვით, მერე და მერე ესეც გამოირკვეოდა, და 1832 წლის 16 ნოემბერს ზაქარია ორბელიანი რომ მოსწერდა ძმას პეტერბურგიდან: ჩამოდი აქ და საჭირო ნივთებიც ჩამოიტანეო, – გიორგი გოზალიშვილი, სავსებით სამართლიანად, ამ სტრიქონშიც პოლიტიკურ შინაარსს ამოიკითხავდა, შეთქმულების საქმის ინფორმაციას და არა ოჯახურ, პირად თხოვნას.

ალექსანდრე ორბელიანი თამარ ბატონიშვილთან – იულონ ბატონიშვილის ასულთან – ერთად იერუსალიმში წასვლას რომ აპირებდა?

აპირებდა და აპირებდა, ელიზბარმა, აბა, საიდან შეიძლება იცოდეს, რაიმე ჰქონდა თუ არა შეტყობილი შეთქმულებაზე ან თამარს ან სხვა ბატონიშვილებს.

ზაქარია ციციშვილი როგორ შეხვედრია საქართველოს გამოხსნის განზრახვას?

ელიზბარი სიტყვას ჩამოუგდებდა თუ არა, ის არ მოიწონებდა და გადაჭრითაც იტყოდა უარს მონაწილეობაზე.

ბერმა ტარასიმაც ხომ იცოდა შეთქმულთა ჩანაფიქრი?

თვითონ ელიზბარს გაუმხელია, მართალია, მაგრამ იმას უარით გამოუსტუმრებია: საერო საქმეებში არ ვერევიო, და არც განზრახვა მოუწონებია.

სოლომონ რაზმაძემ? განა ისიც განდობილი არ იყო?

აქ უარყოფას არავითარი აზრი არ გააჩნია, სოლომონი ორივე ფეხითაა უკვე ჩაჭერილი და ელიზბარმაც რატომ გადაფიცოს: მე და სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანმა ვუამბეთ სოვეტნიკის ბაღშიო.

სამაგიეროდ, სამოქალაქო გუბერნატორ ზავილეისკისთან ალექსანდრე ორბელიანი ხშირად რომ დაიარებოდა, ელიზბარს მისგან ერთხელაც არ მოუსმენია, ზავილეისკიმ იცის ჩვენი განზრახვაო.

28 დეკემბერს კიდევ ერთხელ ჩამოუწერენ შეკითხვებს, უფრო დეტალურსა და ნიშანდობლივს. თანდათან იკვეთება რეალური სურათები, თანდათან გროვდება სახიფათო ფრაზებიც და განწყობილებანიც, რაც იქნებ თვითონაც არ ახსოვდათ და ვიღაცის წამოგონება ამოუტივტივდებდათ გონებაში. თუმც არ ავიწყდებოდათ, რომ მემუარებს კი არ ჩაჯდომოდნენ და წარსული ცხოვრების მატიანეს კი არა ქმნიდნენ, მათი ბედი წყდებოდა და გადაჭრით უარყოფა თუ გადათქმა ერჩივნათ... ელიზბარს ხან იქნებ სულიც წაძლევდა, ეს რა კარგად მითქვამს, ამის დაკარგვა ცოდვააო, მაგრამ მოგონებაში წამიერად გადავარდნილს მაშინვე გამოაფხიზლებდა სინამდვილის ფრთის გაკვრა.

გამოძიება თავის გზას მიჰყვება:

მასწავლებელ დოდაშვილის ბინაზე ანტონ აფხაზმა ვახშამი რომ გამართა და გიმტკიცებდათ თქვენი განზრახვის შეუძლებლობასა და რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს სარგებლიანობას, თქვენ და ალექსანდრე ორბელიანმა უპასუხეთ: სადაც თავისუფლება არ არის, იქ რა სიცოცხლეაო. განმარტეთ, რას გულისხმობდით ამ თავისუფლებაში, როდესაც აღნიშნულ სიტყვას ამბობდითო.

კინაღამ დაედასტურებინა და კიდევ გაემკვეთრებინა: სადაც სახელმწიფოებრიობას დაგიმხობენ და ეროვნულ თავისუფლებას მოგისპობენ, ის სიცოცხლე რა სიცოცხლეა პატიოსანი კაცისთვისო, მაგრამ დროულად გამუხრუჭდებოდა და ამ ფრაზის თქმაზე

უარს განაცხადებდა: ვახშამი თითქმის მოთავებული გახლდათ, როდესაც ალექსანდრე ორბელიანმა ახსენა ჩვენი შეთქმულება და თუმც ანტონ აფხაზს რაღაცის თქმა უნდოდა, ამ დროს ავიშალენით და აღარაფერი უთქვამს, ჩვენ კი რამდენიმე წუთის შემდეგ სულაც დავიშალეთ და მე ასეთი სიტყვებით არსად მილაპარაკნია და ანტონ აფხაზისთვის მითქვამსო.

ანტონ აფხაზს რომ უთხარით ალექსანდრე ორბელიანმა, იასე ფალავანდიშვილმა და მასწავლებელმა დოდაშვილმა, შეთქმულება ჯერ კიდევ 1931 წელს გვქონდა და განკარგულებაც მოხდენილი იყო, თუ ვის როგორ უნდა ემოქმედნა, მაგრამ რუსთაგან ვარშავის აღების შემდეგ განზრახვაზე ხელი ავიღეთო. ამიტომ განმარტეთ, ვისგან იყო შედგენილი განკარგულება და რას შეიცავდაო, – დადასტურებას ესწრაფოდა გამოძიება და ელიზბარი იხსენება, იხსენებდა... და ვერ გაიხსენებდა:

– ანტონ აფხაზისთვის არც ამ პირთა თანდასწრებითა და არც უიმათოდ არა მითქვამს რა შარშანდელ შეთქმულებაზე და არც წარსული 1831 წლის არავითარ განკარგულებაზე არა ვიცი რა.

ის როგორ იყოო – არ ეშვებიან – ანტონ აფხაზი საქართველოდან რუსთა განდევნის შეუძლებლობას რომ გიმტკიცებდათ, თქვენ კი სიტყვის შებრუნება ძალიან გეწყინათ, აიღეთ ქუდი, წასვლა დააპირეთ და დაიფიცეთ, ვინც სიტყვას შემომიბრუნებს, ყველას დავუმძრახდებიო. დაადასტურეთ ეს ჩვენებაო.

რა დაგიდასტუროთო – ელიზბარმა:

– ანტონ აფხაზს ჩემთვის ამ საქმეზე თავისი აზრი არა უმტკიცებია რა და მისგან არსად რა მწყენია, არც არასოდეს მასთან ჩხუბი მქონია და არც არასოდეს მასთან დაუმძრახება არ დამიქადნიაო.

ანტონ აფხაზი რომ გაფრთხილებდათ, თუ ეს განზრახულობა გამოცხადდა, ყველანი პასუხისგებაში მიეცემითო, თქვენ უპასუხეთ, რადგან წერილობითი არა გვაქვს რა, ყველანი, უარს ვიტყვითო, – ყველაფრის გამოაშკარავება-გადმოფარჩავებას უპირებენ გამომძიებლები, დაიმედებულნი, ახლა მაინც მივიმწყვდევთ კედელთანაო, და ითხოვენ: დაადასტურეთ წერილობით ეს საუბარი, აგრეთვე, თუ რანაირად აპირებდით გაუტეხელობას თქვენი განზრახულობის გამოცხადების შემთხვევაში და ვის და სად ელაპარაკეთ ამაზეო.

თუ ნაწერს საგანგებოდ ანადგურებდნენ კვალის დასაფარად, ნეტა რა ჰგონიათ გამომძიებლებს, ახლა შეუქმნით თავის გამამტყუნებელ დოკუმენტს ელიზბარ ერისთავი?

დაადასტურეთ წერილობითო.

მსჯავრდებული სულ სხვას ჩაუწერთ საგამოძიებო ოქმში:

– ანტონ აფხაზის მიერ გამართული ვახშმის შემდეგ იგი თუმც ზოგჯერ შემხვედრია, მაგრამ იმაზე, მთავრობა ამ ჩვენს საქმეს გაიგებსო, ჩემთვის არა უთქვამს რა. და: ჩვენ წერილობითი არაფერი გაგვაჩნია, რის გამოც ჩვენ ყველანი უარს ვიტყვით და ვერავინ რას აღმოგვიჩენს-მეთქი, მისთვის არ მითქვამს და არც არავითარი პასუხები არა მქონია მომზადებული საქმის ვითარების დამალვის მიზნით.

ღვინით შეზარხოშებულს ის არ ახსოვს, რას ლაპარაკობდა და რას იქადიდა, და ის გეგმა საიდან ექნებოდა დაწყობილი, თუ ბედმა გვიმუხთლა და გაგვამჟღავნეს, თავი როგორ გადავირჩინოთო.

ეჰ, კარგია, რომ უჯერებდნენ!..

გამოძიება თავისას ცდილობს დაჟინებით და უკვე შეთქმულების მეთაურობასაც მიადგებიან.

მთავარიც ეს არის.

– როდესაც ყველას უნდოდა მეთაური ამოერჩია და თავდაპირველად თავად აფხაზს გულისხმობდნენ, შემდეგ კი იასე ფალავანდიშვილს, და როდესაც ამ ორივემ იუარა, მაშინ თქვენ სიამოვნებით იკისრეთ მეთაურობა.

თქვით: ამ მოწოდების მიღების შემდეგ რა ღონისძიებები შესთავაზეთ თქვენი განზრახვის წარსამართავად და ყველანი თანახმა იყვნენ თუ არა ამ თქვენი წოდებისა.

ელიზბარს აღიმება, გასართობად ნათქვამი ფრაზები ასე როგორ გიგროვებიათო. ეტყობა, იმას გულისხმობენ, ალექსანდრე ორბელიანმა ანტონ აფხაზი რომ დაასახელა მეთაურად და იმან კი სიცილით გაატატანა ხელები: ეგ ჩემი საქმე არ არისო?! ეს ხუმრობა, აბა, აქ რა მოსატანია – სულ ეს ყოფილა და ეს. არც ელიზბარისათვის და არც სხვა ვინმესთვის ასეთი რამ აღარავის შეუთავაზებია:

– არც თუ იასე ფალავანდიშვილისათვის შეუთავაზნიათ მეთაურობა. და მე ის წოდება არასოდეს არ მიმიღია ჩემს თავზე.

ღონისძიებები რა შესთავაზა მეგობრებს?

რა და:

ხშირი სადილ-ვახშმის გამართვა, კარგი კახური ღვინო და ლაღობა.

მაშ ის როგორ იყო, იასე ფალავანდიშვილთან ვახშმობისას მასწავლებელმა დოდაშვილმა რომ უსაყვედურა: როგორ არა გცხვენიათ, რუსების განდევნაზე რომ ფიქრობთ საქართველოდანო? და

ელიზბარმა პასუხა: ჩვენ მოვიყვანეთ და ჩვენვე მოვახერხებთ, რომ აქ აღარ იყვნენო!.. ბარემ ნერილობით დაადასტუროს ის სიტყვისმიგება და მკაფიოდაც განმარტოს.

აბა, რა დაგიდასტუროთ და რა განგიმარტოთ, უფალო გამომძიებლებო, როდესაც იმ ვახშამზე სოლომონ დოდაშვილი არა ყოფილა და ვერც ვერაფერს უსაყვედურებდა ვერც მას და ვერც სხვას. იქნებ სხვას უპასუხა ელიზბარმა ასე?

არავის არასოდეს ასეთი საყვედური არ გამოუთქვამს და ვისთვის შეიძლება ეპასუხა, მითუმეტეს, კარგად ესმის ამ ფრაზის შინაარსი: ჩვენ მოვიყვანეთ და ჩვენვე გავისტუმრებთო. აბა, იანგარიშეთ – მაშინ ელიზბარი დაბადებულიც არ ყოფილა და ვის როგორ შემოიყვანდა.

ფრთხილად, ელიზბარ, ძალიან ნუ ჩაუღრმავდები ამ „შემოყვანის" თემას, სჯობს ყური მოიყრუო, ვითომ არც გაგიგია, თორემ მამაშენის აჩრდილი მარტო შენ არ გამოგეცხადება, გამოძიებასაც დაადგება თავზე ქუფრი, შეუვალი მზერით და, ისედაც სახიფათოდ გახლართულს, კიდევ ახალი შარი გინდა?..

გამოძიება ისევ სოლომონ დოდაშვილის სახელს უტრიალებს: ეს განზრახვა მას 1831 წელს რომ გამოუცხადეთ, გამოტყდით, რა საბაბი მოგცათ საამისოდ, რადგანაც უგუნურება იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე შეიძლება გაუმჟღავნო ადამიანს, თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ მთავრობას არ აცნობებსო.

ელიზბარს სახეზე კვლავ გაოცებული, მიამიტური გამომეტყველება აღებეჭდა.

ჯერ ერთი, რას დასციებიან ამ „სახელმწიფო საქმეს", მთვრალების ხუმრობა-გართობა როდის აქეთ ქცეულა სახელმწიფო საქმედ, მეორეა და, ეს უგუნურება რა კარგად ბრძანეთ, უფალო გამომძიებლებო. სოლომონს არავითარი, სრულიად არავითარი საბაბი არ მიუცია მისთვის, ასეთ თემაზე ჩამოეგდო სიტყვა, და თუ მაინც გადაუკრა ელიზბარმა რაღაც და არარსებული შეთქმულება რეალობად მოაჩვენა, არც ამის პასუხზე დაიხევს უკან.

– ეს უფრო ჩემი ჭკუათხელობის ბრალი იყო.

ისიც ჭკუათხელობის ბრალი იყო, ალექსანდრე ორბელიანსა და სოლომონ დოდაშვილს რომ ამცნობდა: ეს განზრახვა ოქროპირ ბატონიშვილის გარდა სხვა ბატონიშვილთაგანაც გამიგონიაო? თანაც ფარნაოზ ბატონიშვილიც დაესახელებინა და ისიც განუცხადებია, მასთან მიმოწერა მაქვსო.

აბა, ჯერ ის ნათქვამი დაადასტუროს და მერე კარგად გაიხსენოს, თუ რომელი ბატონიშვილისაგან როდის რა გაუგონია ამ განზრახვაზე.

გეტყოდათ, ყველაფერს უკლებლივ გადმოგილაგებდათ, უფალნო გამომძიებელნო, ოღონდ საქმე ისაა, რომ არცერთ ბატონიშვილზე არ უთქვამს არასოდეს, შეთქმულება იცისო. არც მიმოწერა ჰქონია მათთან, არც საუბარი ამის თაობაზე და არც კი სმენია, მათ რაიმე აზრი თუ აქვთ ყოველივე ამაზე.

ნელ-ნელა იხსნებოდა აბურდული ძაფის გორგალი, ნელ-ნელა ამოსდევდა ახალი სახელები მის ამოზიდვას, და დიმიტრი ერისთავსაც რომ აღარ მოეშვებოდნენ და ცხვირწინ ძმასთან მიმოწერას აუფრიალებდნენ, ისიც ზოგიერთ რაიმეს დათმობდა:

– ჩემი ძმა წერილებს ფარნაოზ ბატონიშვილის სახელზე მწერდა, რომელიც მიღებისთანავე მაძლევდა. 1831 წელს ფარნაოზ ბატონიშვილი ცარსკოე სელოში ცხოვრობდა და მის სახელზე მოსულ წერილებს იქ ვგზავნიდი. ერთხელ მოვიდა წერილი საქართველოდან, რომელსაც ჩემი ძმის ბეჭედი ჰქონდა დასმული. ვიფიქრე, რომ ამ წერილს ჩემი ძმა ფარნაოზ ბატონიშვილის ასულს სალომესა სწერდა, რომელშიც ფიგურალური გამოთქმებით აცნობებდა, აქაური ამბები კარგად მიმდინარეობს და, ვფიქრობთ, ალექსანდრე ბატონიშვილი მალე მოვაო. მე ეს წერილი ცარსკოე სელოში გავგზავნე.

ისიც ჭკუათხელობის ბრალი იყო, სოლომონ დოდაშვილს რომ დაემუქრა, ცოცხალს არ გაგიშვებო? აჰ, ასეთი არაფერი ახსოვს? კეთილი, მაშ მოაგონებენ: მასწავლებელი დოდაშვილი დასცინოდა ამ განზრახვას და ელიზბარს კი უუკადრისია, ნუთუ მართლა დაგვცინიო, და ისიც და იასე ფალავანდიშვილიც ძალიან გამწყრალან. ხოლო როდესაც დოდაშვილს უარი უთქვამს კახეთში წასვლაზე ხალხის გადმოსაბირებლად და შესაიარაღებლად, მაშინ დაუდევს ფიცი ელიზბარს: ცოცხალს არ გაგიშვებო. და ჰა, თვითონაც მოყვეს ეს ყოველივე.

კი, მაგრამ სოლომონ დოდაშვილს რომ არასოდეს დაუცინია ამ განზრახვებისათვის? არც ელიზბარის თანდასწრებით და არც სხვასთან, დავალებითაც ელიზბარს მისთვის არასოდეს დაუვალებია კახეთში ხალხის ასამღელვარებლად წასვლა, მითუმეტეს, შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადება, და დამუქრებითაც არასოდეს დამუქრებია.

ელიზბარმა პირველმა რომ წამოაყენა აზრი დროშის შესაქმნელად, ლუარსაბ ორბელიანს მიუგია, უკვე მზად არისო, და ამასაც გაუსინჯავს, რა ყოფილა მასზე გამოხატული. მაშ მოახსენოს გამოძიებას, ვინ მუშაობდა მის დამზადებაზე.

აბა, რა მოახსენოს, როდესაც ისე, სხვათა შორის უთქვამს ლუარსაბისათვის, ჩვენთვის დროშა ხომ საჭირო იქნებაო და მას რომ უპასუხია, ნუ გაირჯებით, მე უკვე მაქვსო, ელიზბარს არ უკითხავს, სად ჰქონდა და არც მას უჩვენებია. ისიც ვერ შეატყო, მართლა ჰქონდა თუ არა.

სხვა შეთქმულებთან ერთად რომ გადაუწყვეტია საქართველოში ორდენების დაარსება – მეფე დავითის და წმინდა ნინოსი, განმარტოს, კიდეც დამზადდა ეს ორდენები თუ მხოლოდ წინადადების წამოყენება იკმარეს?

მოიცათ... ჰო... ერთხელ კი იყო საუბარი ორდენებზე, მაგრამ დამზადებით არავის დაუმზადებია:

– ამაზე მხოლოდ ცარიელი ლაპარაკი იყო, როგორც სხვა ყველა ჩვენს განზრახვაზე.

ამას როგორლა უარყოფს, რომ ავლაბრის ტრაქტირში, ციხის მახლობლად, სწორედ მან უთხრა კაპიტან ჩოლოყაშვილს: არ იფიქროთ, რომ ჩვენი სახელით გელაპარაკებით, არა, ჩემო მეგობარო, ჩვენ არაფერს არ წარმოვადგენთ, – უნდა იცოდე, რომ ყველა ისინი, ვინც ჩვენი საშუალებით გთხოვს, რომ დათანხმდე მონაწილეობა მიიღო ამ საღვთო საქმეშიო... და კიდეც დაუსახელა: თავისი ბიძა, გენერალ– ლეიტენანტი თავადი ერისთავი, თავადები: მაჩაბლები, თარხნიშვილები, ბატონიშვილები თეკლა და თამარი, თავადები მამუკა და ლუარსაბ ორბელიანები, თავადი ანდრონიკაშვილი და თადია ჩოლოყაშვილი და კიდევ მრავალი სხვა თავად-აზნაური. და როდესაც ჩოლოყაშვილს საგანგებოდ უკითხავს გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძეზე, ელიზბარს მიუგია: ჭავჭავაძე პირველიაო, – რაც ყველა იქ მყოფსაც დაუდასტურებია. კეთილი ინებოს და გაამჟღავნოს, ზემოხსენებულ პირებთან უშუალოდ ჰქონდა საუბარი თუ სხვათა გადმოცემით იცოდა, და კიდევ რომელი თავად-აზნაური მონაწილეობდნენ ამ საქმეში.

აბა, ეს რაღა გასახსენებელი იყო. გულწრფელობას მოითხოვთ და ესეც გულწრფელობისათვის მომართულა. მაგრამ რა ჰქნას, თუ სიწრფელე გამოძიებისათვის საკმარისი არ არის. კაპიტანმა ჩოლოყაშვილმა ტრაქტირში რომ იკითხა: სხვა ვინღა მონაწილეობს,

ნუთუ მარტო თქვენა ხართო? – ალექსანდრე ორბელიანმაც, იასე ფალავანდიშვილმაც და ელიზბარმაც მართალია უამრავი თავადაზნაურის გვარი ჩამოთვალეს, ყველასი, ვინც კი ცნობილია საქართველოში, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ კაპიტანი გაებრუებინათ და დაეყაბულებინათ.

მეორე დღეს ელიზბარი კაპიტან ჩოლოყაშვილს ესტუმრა და არწმუნებდა, რომ არ შეშინებულიყო?

სტუმრობით ესტუმრა, მაგრამ შიში და შეშინება არც უხსენებია.

მაგრამ ერთ ვახშამზე პოლონეთის აჯანყებას რომ უნოდა კეთილშობილი აჯანყება სამშობლოსათვის? და ისიც განაცხადა: დიმიტრი ბატონიშვილი მისი შეურაცხყოფის მიზნით დანიშნეს მე-14 კლასშიო. დაადასტუროს თავისი ნათქვამი – „როგორია ეს მეფური სისხლისათვის?“ – და განმარტოს, რას გულისხმობდა.

არა, პოლონეთის აჯანყება არასოდეს შეუქია და რომელიღაც ვახშამზე იმ ფრაზასაც როგორ წარმოთქვამდა.

რაც შეეხება მეფურ სისხლს:

– აღარ მახსოვს, ვიღაცამა მკითხა, „როგორია დიმიტრი ბატონიშვილი, ამბობენ, ჰიპოხონდრიანია და არსად მსახურობსო?“ მე ვუპასუხე, რომ სუსტი ჯანმრთელობისაა და მსახურობდა საგარეო საქმეთა კოლეგიაში და სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ (ავადმყოფობის გამო) მიიღო მგონია მე-14 კლასი. განა ეს მისთვის შეურაცხმყოფელია? მე არ ვიცი.

თავი მიამიტად ნუ მოაქვს ელიზბარს, თავქარიანს მაინცდამაინც ნუ თამაშობს, ნურც უცოდველობას დაიჩემებს, თორემ მისი ირონიული ჩაცინებაც კარგად ახსოვთ და ის შემზარავი ფრაზაც:

– ნათესაობა რას მიქვიან, ის აქ არაფერ შუაშია, მამაც შეიძლება მოკლას კაცმა უთანხმოების შემთხვევაში, არათუ ნათესავი.

ირონიული ღიმილი მალე შურისძიებითაც გაჟღენთილა:

იგი აუცილებლად უნდა მოვკლათ.

„იგი“ თავადი მუხრან-ბატონია.

იასე ფალავანდიშვილთან ვახშამზე ელიზბარს გამოუცხადებია: თავადი მუხრანსკი ძალიან გვიშლის ხელსო. იასე მაშინვე აჰყვებოდა: მოვკლათო. სხვანი არ დათანხმებულან, ვიღაცას კი ისიც უთქვამს: მეფის ასული გაჯავრდება, რადგანაც იგი მისი ნათესავიაო.

ელიზბარის ჩაცინება ამ სიტყვებს მოჰყოლია.

მამაც შეიძლება მოკლას კაცმაო...

გაოცებული ნუ იყურება ელიზბარი, ასეთი ვახშამი არ მაგონდებაო. უფრო დეტალურადაც შეახსენებენ, რათა ჯიუტობას თავი დაანებოს და მიხვდეს ბოლოსდაბოლოს, რომ გამოძიებისათვის დაფარული არაფერი არ არის, ერთი ბეწოც არაფერი. და თუ დადასტურებას სთხოვენ, მხოლოდ იმიტომ, რომ შეამოწმონ, რამდენად გულწრფელია მისი მონანიება და კვლავაც საშიშ კაცად რჩება თუ არა სახელმწიფოსათვის.

ეს სწორედ ის ვახშამია, როდესაც ელიზბარს ესეც უთქვამს: გარწმუნებთ, აქ ყველანი მეგობრები ვართ და ამიტომ შეგვიძლია გულწრფელად ვილაპარაკოთო, – და სამდურავს მოჰყოლია მთავრობის დაწესებულებათა მიმართ – გლეხებსა და მიწებს მართმევენო.

შემდეგ კი:

– არავინ არის პატრიოტი, რომელმაც უნდა მოაგონოს რუსეთს, რომ საქართველო დაპყრობილი არ არის, არამედ თავისი ნებით შევიდა მფარველობის ქვეშ?

და ამ ფონზე საერთო განზრახვასაც გამოაცხადებდა:

– უნდა გავაძევოთ რუსები საქართველოდან.

ეს შეუძლებელიაო, – აქეთ-იქიდან რომ შეუძახიათ, ელიზბარი აკი დიდი ენთუზიაზმით მოჰყოლია ამის გარდუვალობის მტკიცებას.

ის ენთუზიაზმი რატომ განელებია? ბარემ დაადასტუროს ეს ყოველივე, „მამაც შეიძლება მოკლას კაცმაო", ეს ფრაზა კი აუცილებლად წერილობითაც, სიტყვიერი დადასტურება არა კმარა.

სადამდე უნდა სდიოთ, მოინანია და მოათავა, თქვენს ხელთაა და გადაუწყვიტეთ სასჯელი, მაგრამ სულს ნუღა უფორიაქებთ, ისეთ რამეებს ნუ ახსენებთ, რაც ძალიან არ სიამოვნებს. წერილობითაც დაადასტუროს, რომ შვილისაგან მამის მოკვლასაც ამართლებს, თუკი ვერ შეთანხმდებიან? ვინ მოიგონა, ვინ მოჭორა, როდესაც არათუ მამისმკვლელობა, თავადი მუხრან-ბატონის მოკვლაც არ განუზრახავს. იასემ კი თქვა: მოვკლათო, – და ბევრი აჰყვნენ: ვინც არ დაგვეთანხმება, ყველა სიკვდილის ღირსიაო, – და იქნებ ელიზბარმაც გაიმეორა, მაგრამ ზოგადი და გულგარეთა ნათქვამი უფრო გახლდათ, ღვინით შეჟინჟღილებულთა თავმოწონება, ვითომდა ასეთი მტკიცე ნებისყოფა გვაქვსო, თორემ მართლა მოკლა არავის გულშიაც არ გაუვლია და მათ შორის ელიზბარსაც.

„აქ ჩვენ ყველანი მეგობრები ვართო" ან ასეთი შესავალი რისთვის დასჭირდებოდა, როდესაც სუფრას მართლა მეგობრები უსხდნენ. ეს კი ნამდვილად თქვა: როდესაც გლეხები გაგვირბიან, მათ

იცავენ პროკურორი და მოხელეებიო, – მაგრამ განა ასე არ არის? ეს რა ისეთი სამდურავია, მითუმეტეს, ალექსანდრე ორბელიანმა ეს ჩივილი მაგალითებითაც დაადასტურა.

ის კი: „არავინ არის პატრიოტიო“? – და მომდევნო ტირადა ელიზბარის ბაგეს არ დასცდენია.

გამოძიება არა წყვეტს ხელის ფათურს.

მასწავლებელ ავთანდილაშვილს რომ უბოდიშებდა, შენ და დიმიტრი ყიფიანი ნაწყენები ნუ დაგვრჩებით, ყველგან რომ არა ხართ ჩვენთან ერთად, რადგანაც იქ მხოლოდ საბჭოს ნამდვილ წევრებს შეუძლიათ იყვნენო – მეო, ალექსანდრე ორბელიანსო, დიმიტრი ერისთავსო, იასე ფალავანდიშვილსო და კიდევ სხვებს, რომელთაც ამოირჩევენო? მაშ გამოაცხადოს, ვინ და როდის აირჩია ელიზბარი და ზემოხსენებული პირნი საბჭოს ნამდვილ წევრებად და, მათ გარდა, კიდევ ვინმე თუ იყო არჩეული, და თუ იყო, ვინ, ვისგან და როდის?

ელიზბარს თუ ყურს დაუგდებთ, სულ სხვაგვარად გახლდათ ყოველივე.

ზაალ ავთანდილაშვილმა ჰკითხა ერთხელ, რა წარმატება აქვს ჩვენს საქმესაო. საქმე, არსებითად, არც არსებობდა და, აბა, რა წარმატება ექნებოდა. ამას გულახდილად გაუმხელია: არაფერი არ გაკეთებულაო. თანაც დასძინა: არ შეიძლება ყველა ერთად ვიკრიბებოდეთ, რათა არ შეგვნიშნონ, ამიტომ ვინმე გაცნობებს, თუ რამე გაკეთდებაო. გამოძიებას კი მოახსენეს, რომ ეს ჩამოთვლილი პირნი არავისგან ყოფილან არჩეულნი და არც თვითონ აურჩევიათ და დაუნიშნავთ თავიანთი თავი.

მუქარის თემა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, რაკიღა ამ მხრივ წამდაუწუმ ელიზბარის სახელი ტრიალებს.

მაშინაც, როდესაც ზოგიერთები და განსაკუთრებით მასწავლებელი ავთანდილაშვილი შეწინააღმდეგებიან აჯანყების განზრახვას, ელიზბარი განრისხდებოდა:

– გარწმუნებთ, პირველივე მოწინააღმდეგეს გვერდში ხანჯალს ჩავცემ.

კეთილი ინებოს და განმარტოს, რა მიზეზი აიძულებდა ასე დაჟინებით ემოქმედნა განზრახვის შესასრულებლად, როდესაც სხვანი ამის შეუძლებლობაზე მიუთითებდნენ?

ზაალ ავთანდილაშვილი – მეხსიერება არა ღალატობს ელიზბარს – ერთადერთხელ იმყოფებოდა მათთან ერთად ვახშამზე იასე

ფალავანდიშვილის ოჯახში, და არათუ საწინააღმდეგო არ უთქვამს რაიმე, საერთოდ არ დაუძრავს კრინტი. რაკილა იმას საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს, ელიზბარი რატომღა უნდა დამუქრებოდა ფერდში ხანჯლის გაყრით?

ამჯერად ნუღა გაჯიუტდება, რომ ელიზბარმა დანიშნა პირველმა 20 ნოემბერი აჯანყების თარიღად, და როდესაც სხვანი არ დათანხმდებიან, გაგულისებული აყვირებულა:

– არ უნდა გადავდოთ, ახლა მოქმედებისათვის საუკეთესო დროა, კორპუსის უფროსი წასულია და შეიძლება წარმატებით ვიმოქმედოთ, შემდეგ კი ფრანგებთან ომი იქნება და რუსებს თვითონვე მოუხდებათ საკუთარი საზღვრების დაცვა.

კაპიტანი ჩოლოყაშვილი მტკიცებას მოჰყვებოდა: შეუძლებელიაო.

მაგრამ გაჯიქებულა ელიზბარი:

– საკმარისია დავიწყოთ და მერე შევატყობინებთ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც უმალვე შეჰკრებს ქურთებს და მოგვეშველება.

სხვა ყველაფერი რომ ამოშლოდა მეხსიერებიდან, ეს თარიღი არ უნდა ამოშლოდა და არც ის მოტივები, რის იმედადაც სთავაზობდა თანამზრახველთ მოქმედების დაწყებას მაინცდამაინც 20 ნოემბერს.

არც ამოშლია და... ისიც უკვირს, სხვათა – და უპირველესად იასე ფალავანდიშვილის – გადაწყვეტილებას მას რატომ მიაწერენ. არადა, სწორედ იასემ უთხრა ერთ საღამოს:

– იცი, უკვე დაინიშნა დრო, დავიწყოთ ჩვენი განზრახული 20 ნოემბერს.

ვინ დანიშნა და როდისო, – მხოლოდ ეს უკითხავს ელიზბარს, თქვენ კი, უფალო გამომძიებლებო, რატომღაც ამ თარიღის ერთპიროვნულ ავტორად მას აცხადებთ. არც იმას დაუმალავდათ, ვის დაენიშნა და როდის, იასეს მაშინ ნიშანდობლივი პასუხი რომ გაეცა. იმან კი თურმე:

– უკვე დანიშნულია და ნუღარ ჰკითხულობ.

დროის დანიშვნაზე მერე აღარავისთვის უკითხავს და თვითონ ხომ არ დაუნიშნავს და არა, სწორედ რომ პირიქით:

– იასე ფალავანდიშვილს ვეუბნებოდი, ძალიან ნაადრევია-მეთქი. და არასოდეს მითქვამს, ალექსანდრე ბატონიშვილის ქურთებით მოგვეშველება– მეთქი.

ის ხერხი რატომღა მოიშველია? არადა, სწორედ ელიზბარს მიეწერება ამ იდეის შეთავაზება:

– არსებობს უტყუარი საშუალება ბრბოს აღსაგზნებლად, საკმარისია ხმა დავაგდოთ, ჯარს აგროვებენო.

უარყოფით ნუღა უარყოფს, მხოლოდ ის გამოაცხადოს ჭეშმარიტებით, ეს ხერხი და საშუალება უშუალოდ ელიზბარის მიერ იყო მოფიქრებული ბრბოს ასაჯანყებლად თუ სხვა ვინმემ შთააგონა? და ბარემ ის ვინმეც დაასახელოს.

უბრალო საუბარს პოლიტიკური შინაარსი რატომ ენიჭება, ელიზბარისათვის გაუგებარია და გაუგებარი. ალექსანდრე ორბელიანს ერთხელ სხვათა შორის უთხრა, ამბოხება რომ მოხდეს, გლეხები მონაწილეობას არ მიიღებენო. დროის მოსაკლავ ამ ფუჭ საუბარში ალექსანდრეს როგორღაც ნამოგონებია:

– უნდა გენახა რა იყო 1827 ნელს, როცა მილიცია მოითხოვეს და გლეხებს კი ეგონათ, უკვე ჯარს აგროვებენო, და აღელდნენ. მე მაშინ მაზრის მარშალი ვიყავი და ძლივს დავაწყნარე, ახლაც შეიძლება ასე მოვიქცეთ, გავავრცელოთ ხმა, ჯარში მიჰყავთო.

ეს ხერხი არც ალექსანდრეს გამოუყენებია და არც ვინმე სხვას, ელიზბარს ასეთი რამ არა სმენია და თვითონ ხომ არ უცდია და არა.

იღუმენ ტარასისთან სტუმრობა ელიზბარმა ვითომ რომ მარჯვედ გადაატარა, გამოძიება ასე ადვილად არ წამოეგება მის ცრუ ჩვენებას და დაბეჯითებით მოითხოვს მნიშვნელოვანი დეტალების აღდგენას:

– თქვენ მას გამოუცხადეთ სრულად თქვენი განზრახვა, პირველი ღამის განკარგულება და საქართველოს მმართველობის პროექტი. და წინადადება მიეცით, გამოეტანა ხატები. განმარტეთ, სახელდობრ როგორ და რა სიტყვებით გიპასუხათ ამაზე ტარასიმ და რა დარიგებას სთხოვდით თქვენი შეთქმულების საქმეებზე.

არც პირველი ღამის განკარგულებასა და არც პროექტზე იღუმენ ტარასისთან სიტყვა არ დაუძრავთ. რჩევა კი ჰკითხეს, მაგრამ იმან არც მოუსმინათ: საერო საქმეებში არ ვერევიო.

საქართველოს მმართველობის პროექტის თაობაზე კი უნდა გამოტყდეს, თორემ მიკიბვ-მოკიბვით არაფერი გამოვა – ის ხომ ელიზბარმა უკარნახა 24 ნოემბერს თუ მის ახლო ხანებში გიორგი ერისთავს, რომელიც იწერდა. და ახლა განმარტოს, თვითონვე შეადგინა ტექსტი თუ ვინმემ აცნობა ან გადასცა, და თუ გადასცა, როგორ და როდის?

ქაღალდის ნაგლეჯზე მიწერილ რვა სტრიქონს ეძახიან მმართველობის პროექტს? გასაოცარია პირდაპირ. ვითომ იმ იდეოლოგიით უნდა ემართათ დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც ერთ დილას ხუმრობით დაწერეს ელიზბარმა და კორნეტმა გიორგი ერისთავმა? ხუმრობას რა გადმოცემა ან ორგანიზება უნდოდა ან საიდუმლო ქსელის სათავე მაინც სად ეგულებათ? გართობა იყო, გაიგეთ, უფალო გამომძიებლებო, გართობა, და ამ ორმა კაცმა იმ დილითაც ასე ფუჭად მოკლა დრო.

გიორგი ერისთავს რომ გამოუცხადა, 31 წელს გვქონდა განზრახვა ამბოხებისა, მაგრამ ვარშავის აღების შემდეგ ხელი ავიღეთ ამ განზრახვაზეო, მოვალეა განმარტოს, რა კავშირი ჰქონდა ვარშავას ქართველთა აჯანყებასთან და ხომ არ ჰქონია პირადად ელიზბარს ვარშავის ან პოლონეთის რომელიმე მცხოვრებთან მიმოწერა და სახელდობრ ვისთან?

ვარშავის აღებამდე თვენახევრით ადრე ელიზბარი და ალექსანდრე ორბელიანი აქ, ტფილისში აჯანყების მოხდენაზე რომ ოცნებობდნენ, ოცნება სახელმწიფო დანაშაულად არ უნდა ეთვლებოდეთ, ასეა თუ ისე, მალე მამასთან მოუწია წასვლა და იქიდან ტფილისში რომ დაბრუნდებოდა, ვარშავის აღებაზე ყველა ლაპარაკობდა. გიორგი ერისთავსაც ეს უთხრა და ეს, თორემ ვარშავის აჯანყებას არაფერი აკავშირებდა ჩვენს ამბოხებასთან და ელიზბარი კი პოლონლთაგან არავის იცნობს არც აქ და არც სადმე სხვაგან. და თვითონ ხომ არავითარი მიმოწერა არა ჰქონია პოლონელებთან, არც სმენია, რომ სხვა შეთქმულთ ჰქონდეთ, თუკი სადილ-ვახშამზე ცოტა თავისუფალი აზრების გამოთქმას მაინცდამაინც შეთქმულებას დავარქმევთ.

რისთვისო, – ეკითხებოდა გადმოსახლებულ პოლონელებს.

სამშობლოსათვის, ბატონო, – მიუგებდნენ ისინი და უხაროდათ ნაჩუქარი წყალობაც და ის თანაგრძნობაც, რასაც ასე მოკლებოდნენ. ეს ჭაბუკი თითქოს ზეციური მხედარივით გამოცხადებოდათ, არტილერიის საქმესაც მოაკიდებინებდათ ხელს და არც დაპირებებს დაიშურებდა, თუკი პოლონელები თავიანთ მხედრობასაც გამოიყვანდნენ და ტფილისში იძიებდნენ შურს რუსებზე.

ხუთასი დარჩეული პოლონელი სახუმარო საქმე არ იქნებოდა.

არა მაქვს ნაცნობობა არცერთ პოლონელთან არც აქ და არც სხვაგან სადმეო...

მაგრამ ალექსანდრე ორბელიანმა რომ გამოუცხადა: ბორჩალოს დისტანციაზე ხმა გავრცელდა ჩემსა და ალექსანდრე ბატო-

ნიშვილს შორის მიმოწერასა და თათართა შეიარაღებაზეო, – ელიზბარი იმავე საღამოს სტუმრებია სოლომონ დოდაშვილს. ეს საგანგებო სტუმრობა ალექსანდრე ორბელიანის შეფიქრიანებას უნდა გამოეწვია და ის მაინც განმარტოს: რა ილაპარაკეს ამის თაობაზე და რა ღონისძიებანი დასახეს იმ შემთხვევისათვის, თუკი შეთქმულება გამჟღავნდებოდა.

ამასაც მოგახსენებდათ, უფალო გამომძიებლებო, თუ მონანიებაა, მონანიება იყოს, მაგრამ თუკი არავითარი ღონისძიებანი არ დაუსახავთ, თვითონ ხომ არ შეთხზავს. ალექსანდრემ კი უთხრა, ჩემი მიმოწერა ალექსანდრე ბატონიშვილთან უკვე ცნობილი გახლდაო, მაგრამ ამას არაფერი მიუგია.

რატომ?

– ხუმრობად ჩავთვალე.

იმ საღამოს დოდაშვილს კი ნამდვილად ესტუმრა, მაგრამ ერთმანეთთან მიმოსვლა ჩვეულებრივი რამ გახლდათ მათ შორის, როგორც გართობას მოწყურებულ ახალგაზრდებს სჩვევიათ, და რაღა ის საღამო და რაღა სხვა.

რაზე ილაპარაკეს?

აქეთურზე, იქეთურზე, აბა, სად გაიხსენოს, მაგრამ ბატონიშვილთან მიმოწერის გამჟღავნება არც უხსენებია და, ცხადია, აღარც რაიმე ღონისძიება დაუსახავთ, შეთქმულება თუ ჩავარდებოდა.

რატომ?

აკი წრფელად მოგახსენებთ ყოველივეს:

ხუმრობად ჩათვალა.

ისე ხშირად ახსენებს ხუმრობას, კომიკოსი გეგონება ან კომედიოგრაფი და იქნებ ისიც იფიქრო: „დავა“ და „გაყრა“, უპრიანი ხომ არ იქნებოდა, გიორგი ერისთავს კი არა, ამას დაეწერაო.

ტუსაღის ტაქტიკა რომ არც იყოს, გაუთავებელი ხსენება ხუმრობისა არაცნობიერის კარნახსაც ჰგავს – სხვა შეთქმულებისა არ იყოს, ელიზბარ ერისთავიც გრძნობს, ისტორიის კომედიაში რომ ამოჰყო თავი, ისტორიის ტრაგედიისათვის გამზადებული სულ სხვა სცენასა და სიუჟეტში მოხვდა და ბარემ გარეგნულადაც მოირგოს კომიკოსის მოსასხამი.

თავი მეოთხე

„თეატრში მიბრუნება მეჩქარებოდა“

დიმიტრი შანშეს ძე ერისთავი. არტილერიის პრაპორშჩიკი. დაბადებით 28 წლისა. უცოლო.

1833 წლის თებერვლის დაკითხვაზე მასაც რომ მოუწევდა ვრცელი ჩვენების წარდგენა, ჩამოჰყვებოდა და ჩამოჰყვებოდა: ჩემი ოჯახის წევრებია – დედინაცვალი, ხუთი ძმა და ერთი და; და ჩვენ ყველა განსვენებული მამაჩვენის მიერ მიტანილნი ვიყავით მსხვერპლად მეფისა და სამშობლოსათვის, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ ორი უფროსი ძმა – იასე და ელიზბარი – გამოვიდნენ სამსახურიდან პოდპორუჩიკებად, ჩვენ კი – მე, ალექსანდრე და გრიგოლი – განვაგრძობდით ხელმწიფის სამსახურს – ისინი ამჟამადაც დრაგუნთა პოლკში არიან. ჩემი და ბატონ მელნიკოვს მისთხოვდაო.

ჩვენი ქონება განუყოფელია ბიძაჩვენთა ქონებისაგან და იმყოფება გორისა და დუშეთის მაზრებში. გადასახადს ჩვეულებრივ ადგილობრივი ნაწარმის სახით ვიღებთო.

წლიური შემოსავალი რას უდრიდა?

რადგანაც დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში იმყოფებოდა, ვერ მოესწრო გადაეხედა, და არც ძმებისათვის უკითხავს, რას გულისხმობდა მათი წლიური შემოსავალი.

შეკითხვას მაინც წინ რა დაუდგებოდა?

არ მოფიქრებია, თორემ შეკითხვას რა დიდი დრო სჭირდებოდა... ბოლოსდაბოლოს ყოველთვის მოესწრებოდა გამოკითხვა. ეგაა, რას წარმოიდგენდა, თუ უეცრად სატუსაღოში ამოჰყოფდა თავს.

ნუ გეგონებათ, უფალო გამომძიებლებო, თითქოს აჯანყებისათვის გაცხოველებული მზადებისას აღარ გახსენებია შემოსავლების დაზუსტება. რა აჯანყება და რომელი აჯანყება, ტოლ-მეგობრები და ნათესავები ერთმანეთთან რომ დაიარებოდნენ დროის გასატარებლად და საუბრითა და ქეიფით იქცევდნენ თავს, განა ეს მართლა ფარული საზოგადოების არსებობად უნდა მიიჩნიოს ვინ-

მემ? დიმიტრიმ ხომ ახლაც არ იცის, რისთვის ისჯება, ან ელიზბარს რაღას ერჩიან.

ელიზბარისა არ იყოს, ისიც პეტერბურგში იზრდებოდა, საარტილერიო სასწავლებელში, ყოვლადმოწყალე მონარქის მფარველობითა და განსვენებული მამის ხარჯით.

სკოლის დასრულების დღიდანვე, ანუ 1831 წლიდან ითვლებოდა არტილერიაში, თუმც არც ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა და არც დაჭრით დაჭრილა ოდესმე.

ამ ქალაქში 1825 წლიდან 1832 წლამდე იმყოფებოდა და იქ ჩასვლა-გამობრუნებისას მოსკოვში მოუწევდა გაჩერება. საქართველოში 1832 წლის 7 აპრილს გამოჩნდებოდა, 26 აპრილს კი ტფილისამდეც მოაღწევდა.

აქამდე ისე მოეტანა, რომ არც სამართალქვეშ ყოფილა, არც გამოძიებისა და არც ჯარიმა გადახდენია რამ – სხვა შეთქმულებისა არ იყოს, ერთადერთი გამონაკლისის – იასე ფალავანდიშვილის – გარდა, ერთწლიანი ციხე რომ არ ასცდენოდა ცილისწამებისა და ყალბისმქნელობისათვის და, ძმის, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის, გავლენას რომ არ დაეფარა, უფრო მკაცრ სასჯელსაც ვერ გადაურჩებოდა.

დიმიტრი ერისთავის ჩვენებაში იასე ფალავანდიშვილის ის პატიმრობა, ცხადია, არსადაა აღნიშნული და მხოლოდ სიტყვას მოჰყვა, მსჯავრდებული კი, თავის მხრივ, იმის მტკიცებას დაიწყებდა: არ გამიშვია არცერთი კვირა-უქმე, რომ წირვაზე არ წავსულიყავ და არცერთი წელიწადი – რომ არ ვზიარებულიყავ წმინდა საიდუმლოსო.

დიმიტრი ერისთავის ეს (და სხვა) ჩვენებანიც არ განსხვავდება შეთქმულების საგამოძიებო აქტების დანარჩენ ნიმუშთაგან –

თან თავს იგულუბრყვილოებს და ხელებს ასავსავებს, საიდუმლო ორგანიზაციის არსებობა ჩემთვის არავის გამოუცხადებიაო; ან: ერთ დილას ჩემთან რომ იყვნენ ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე და ჩემი ძმა ელიზბარი, პრაპორშჩიმა გიორგი ერისთავმა წაგვიკითხა რაღაც რვეული, ვილაც ბერ კიკნაძის მიერ შედგენილი, მაგრამ მე იმისი ვერა გავიგე რა, და რომ ვიკითხე: რა არის მეთქი, მან გვიპასუხა: მერე გაიგებთო; ანდა: შეკრებილობის დროს არ მახსოვს, რას ვლაპარაკობდით ხოლმე, რადგან ჩვენი საუბარი მხოლოდ შეკრებისას მოიაზრებოდაო; ან კიდევ: ყველა გამიფრთხილებია, ვთქვათ, ყველა საშუალება მოგვეპოვება და კიდეც დავიწყეთ, ჩვენ ვინ გამოგვყვება, რას წარმოვადგენთ, მას-

ხრად აგვიგდებენ და ჩვენც სასაცილოდ გავხდებით, ჩვენებივე შეგვიპყრობენ, რა იმდენი ვართ-მეთქი; ანდა: იასემ საწერ-კალამი რომ მოგვიტანა მონაწილეთა გვარ-სახელების ჩამოსაწერად, ეს შრომა მე ვიკისრე და იქ მყოფნი ჩამოვწერე, მერე დამიწყეს კარნახი, ვიღაც ივანე, თეიმურაზ... ჩემთვის სრულიად უცნობი პირნიო...

თან, კუთხეში მიჩეხილი, რაღაც-რაღაცებს აღიარებს: მეც მათი თანაწევრი გავხდი და ხან იასე ფალავანდიშვილთან ვიყრიდით თავს და ხან ალექსანდრე ორბელიანთანო; ან: ერთხელ დაუყოვნებლივ რომ შევიყარეთ იასესთან ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, სოლომონ დოდაშვილი, ზაალ ავთანდილაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, ელიზბარი და მე, სამი საკითხის ირგვლივ ვმსჯელობდით: სად გვეშოვნა ფული, სურსათი და ჯარი. დარწმუნებულნი ვიყავით, აჯანყებას რომ დავიწყებდით, ხაზინასაც და სურსათსაც მაშინვე ვიგდებდით ხელთ, და როდესაც ეჭვიც გამოითქვა: ვაითუ ვერ ჩავიგდეთო, ეჭვის დამთესს ყველა შეეპასუხებოდა: აქ „ვაითუ" რა მოსატანია, ნათქვამია, რომ ასე უნდა იყოს და კიდეც იქნება ასეო. ჯარის შესახებ კი ვერაფერი გადავწყვიტეთ, ვამჯობინეთ, კიდევ მოგვეფიქრებინაო; ანდა: როდესაც ალექსანდრე ორბელიანმა მუხრან-ბატონზე მითხრა, ახლოსაც ვერ ვეკარებითო, თქმით კი მივუგე, მოვწამლოთ, მოვკლათ ან დავამწყვდიოთ-მეთქი, მაგრამ მას დიდი შრომა არ დასჭირებია დავეთანხმებინე, რათა ცოცხალი დაგვეტოვებინაო...

ეს და ამისთანები თუნდ უკვე საკმაოდაც ჩამოეთვალა, და აღარც ის უარეყო, კაპიტანმა ზაქარია ჩოლოყაშვილმა დანიშნული დრო გამოაცხადაო, მთავარი ისაა, რომ ის გადამწყვეტი წუთი მაშინვე სადღაც უნუგეშოდ მირჩენილიყო და აჯანყების დაწყების თარიღიც ჰაერში გამოეკიდებოდა, თორემ, აბა, სხვას რას გულისხმობს, როდესაც შინ მარტომყოფ დიმიტრისთან ელიბზარი შეივლიდა, ქუდს გადაისროდა და ეტყოდა: შენ იცი? ჩვენ, ანუ თავადები: იასე ფალავანდიშვილი, ვახტანგ ორბელიანი და მე, ვიყავით კაპიტან ჩოლოყაშვილთან და იგი ახლა სულ სხვანაირად ლაპარაკობსო.

სიტყვას აღარც დაამთავრებდა და გულისწყრომას გამოხატავდა:

– კაცმა რომ თქვას, ჩვენ რა გვინდა! რატომ არა ვართ კმაყოფილი ჩვენი მდგომარეობით, გამოტყდი, რომ სასტიკად ვართ შემცდარნი. ახლა კმარა და შემომფიცე, რომ ამ საქმეზე აღარასოდეს აღარც კი ვიფიქრებთ.

და დიმიტრი პასუხად:

– დიდი ხანია ამას მეც ვგრძნობდი, მაგრამ რა უნდა მეღონა?!.

უკვე ნოემბრის პირველ რიცხვებში ორივე ძმა ალექსანდრე ორბელიანს რომ ესტუმრებოდა და იქ დახვდებოდათ დიმიტრი ორბელიანი, კორნეტი გიორგი ერისთავი და ზაქარია ჩოლოყაშვილი, კაპიტანი ეტყოდათ, ჩვენი განზრახვა განუხორციელებელიაო:

– არც ფული გაგვაჩნია, არც ჯარი გვყავს, ერთადერთი იმედი თავადებისა გვქონდა და, აი, კორპუსის უფროსი ბრუნდება, ყველას დაასაჩუქრებს და ისინიც მოგვესევიან, გირჩევთ, ახლავე გაათავოთ ეს საქმე და მომავალში მასზე აღარ იფიქროთ.

დიმიტრი ირწმუნებოდა: მის აზრს ყველა დაეთანხმა, ამით გათავდა ჩვენი განზრახვა და მასთან ერთად ჩვენი შეთქმულებაცო.

ყოველგვარი წესითა და კანონით, ნებაყოფლობით ჩაშლილი შეთქმულების გამო პასუხი არ უნდა ეგოთ, მითუმეტეს, შეთქმულებაც – აკი ყველა მონაწილე ამას ამტკიცებდა – დიდი პირობითობით თუ დაერქმეოდა, თორემ მათი შეკრებები ბუნდოვან მსჯელობებსა და ემოციურ წამოძახილებს არც არასდროს გასცილებია.

ახლავე გაათავოთ ეს საქმე და მომავალში მასზე აღარ იფიქროთო...

ესეც კომპოზიციური ქარგის დასასრული – ბუნებრივი და ლოგიკური, და თუ იასე ფალავანდიშვილს სრულიად ახალი და თანაც პირწმინდად შეთხზული დასასრული შეუთავაზებია ხელისუფლებისათვის – ვითომდა დასმენის ქაღალდი რომ არა, აჯანყების დროშა უეჭველად აფრიალდებოდაო, ცხადია, მთავრობამ მისეული ვერსია არაფრისდიდებით არ უნდა გაიზიაროს, როგორც რეალობას აცდენილი და ყალბი.

ჭეშმარიტებას სხვა შეთქმულნი ირწმუნებიან და, მათ შორის, აგერ დიმიტრი ერისთავი.

მიჩეხვა მაინც მიჩეხვა გახლდათ და ვეღარც დიმიტრი წაუვიდოდა იმის აღიარებას, რომ 1801 წლის მანიფესტზე ("ღვთაებრივ ქაღალდზე", „რომელსაც უნდა ქართველები თაყვანს სცემდნენ, რადგან მისით დაიწყო საქართველოში მშვიდობა და სიწყნარე") კადნიერებით შენიშვნები დაეწერა და, რაც მთავარია, პეტერბურგშიც და მოსკოვშიც უკვე გაენდოთ მისთვის ფარული მოძრაობის წამოწყებაც და მისი გაგრძელება-გაღრმავების აუცილებლობაც.

პეტერბურგიდან ჩემი გამომგზავრების წინ დიმიტრი ბატონიშვილმა გამიმჟღავნა საიდუმლო მიმოწერის საშუალება, იგი ისე

ფრთხილად იქცეოდა, რომ არც ახლა გამოუცხადებია პირდაპირ, არამედ მითხრა, თუ რამე მნიშვნელოვანს გაიგონებ, ამ გზით მომწერეო, – გამომძიებელთა დარწმუნებას რომ ცდილობს, თვითონვე გრძნობს, რომ ამაო გარჯაა, რადგანაც როგორ გინდა დააჯერო დიდად გაწაფული ადამიანები, თითქოს ისეთი გულუბრყვილო იყო, რომ არ გაგეგებოდეს, ასეთი გასაიდუმლოება შემთხვევით რომ არ მოხდებოდა.

თორემ მნიშვნელოვანი ამბების შეტყობინება უშუალოდაც შეიძლებოდა, თუკი ეს „მნიშვნელოვანი" ამბავი თუ ცნობა პოლიტიკურად სახიფათო შინაარსს არ გულისხმობდა.

არადა:

ფოსტის ქაღალდის ნახევარზე იყო ამოჭრილი რამდენიმე გარიდგარდმო ხვრელი, რომელშიც იწერებოდა მთელი სიტყვა, ამ ფორმას დაადებდნენ მეორე სუფთა ქაღალდს და ამოჭრილ ადგილებში ჩაწერდნენ, რაც უნდოდათ. შემდეგ ამ ქაღალდს გამოაცლიდნენ და... იწერებოდა უკვე სხვა სიტყვები, ასე რომ, ვინც არ იცოდა ფარული ხერხი, ტექსტს ჩვეულებრივ წერილად კითხულობდა, ხოლო ვისთანაც იყო მიწერილი, დაადებდა მომზადებულ ჩარჩოს და ამოიკითხავდა იმას, რაც საჭირო იყო.

ასეთი საგულდაგულო კონსპირაცია და... პოლიტიკურად უხიფათო ბარათებისათვის?!.

პეტერბურგიდან 1832 წლის 7 თებერვალს გამომგზავრებული ოთხ დღეში მოსკოვს ჩამოაღწევდა და მარიამ დედოფალსაც მოინახულებდა და ოქროპირ ბატონიშვილსაც, ვინც თავისთან დატოვებდა სადილად, სხვა სტუმრებიც რომ ბლომად მოეწვია და ის დრო ხუმრობაში გაილეოდა. ნასადილევს ოქროპირი ბალზე წასასვლელად გაემზადებოდა, დიმიტრი კი თეატრს მიაშურებდა, რათა სპექტაკლის ნახვის ხელსაყრელი შემთხვევა არ გამორჩენოდა... მაგრამ ოქროპირ ბატონიშვილის მიერ გაგზავნილი კაცი თეატრში მოძებნიდა და, დიმიტრი საქართველოს უკანასკნელი მეფის ძეს თავის კაბინეტში რომ ეახლებოდა, ის უკვე ასეთ საუბარს დაუწყებდა:

– გამიგონე, დიმიტრი, შენ საქართველოში მიდიხარ, მე უნდა გირჩიო თავადი ალექსანდრე ორბელიანი, შენი ძმა ელიზბარი და სოლომონ დოდაშვილი, რომელთაც უკვე ველაპარაკე, რათა შეადგინონ ახალგაზრდებისაგან საზოგადოება, და შენც გთხოვ მონაწილეობა მიიღო, მოიწერეთ, რაც მნიშვნელოვანი მოხდეს.

ისევ ის „მნიშვნელოვანი“, ოღონდ ამჯერად პირდაპირაა გამხელილი საიდუმლო საზოგადოების ამოქმედებისა და მოსკოვ-პეტერბურგთან ფარული ძაფების გაბმა-შენარჩუნების გარდუვალობა.

– იგი ეძებდა მიმოწერის საშუალებას. რადგან მე მეჩქარებოდა ისევ თეატრში წასვლა, ამიტომ მაშინვე შევთავაზე იმისთანა ფორმატი, როგორიც მე მქონდა, და აღვუთქვი, უთუოდ ყველაფერს შევასრულებ-მეთქი. მერე წავედი თეატრში, საიდანაც პირდაპირ აქეთ გამოვემგზავრე. აი, მიზეზი, თუ რატომ დავიწყე მე გულახდილად ლაპარაკი თავად ალექსანდრე ორბელიანთან და ბატონ სოლომონ დოდაშვილთან. ამ გარემოებამ მაიძულა შევსულიყავ ზემოხსენებული საზოგადოების წევრად და შემდეგ მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაშიც.

რადგან ისევ თეატრში წასვლა მეჩქარებოდაო...

თურმე ეს აჩქარება რომ არა, სპექტაკლის ნახვის მწველი სურვილი, აღარც საიდუმლო მიმოწერის ფორმატს შესთავაზებდა და არც დავალების შესრულებას აღუთქვამდა.

დიმიტრი ბატონიშვილისაგან რომ მოჰქონდა ის ჩარჩოც და დავალებაც, ვითომც არაფერი, იგი თითქოს ისეთს არაფერს ავალდებულებდა, მაგრამ, აი, ოქროპირ ბატონიშვილის წინაშე აღთქმამ გადაწყვიტა მისი ბედი.

აი, მიზეზიო...

თითქოს ჯერ კიდევ 1828 წლის 13 მაისს ელიზბარსა და გიორგი ერისთავთან ერთად დიმიტრიც არ ანერდეს ხელს „კანდრახტს“ და ფიცს არ სდებდეს ქვეყნისა და ამხანაგობის წინაშე პირნათელი და სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

და თითქოს საგამოძიებო კომისიას ეს დოკუმენტი ხელთ არ ეგდოს.

საბედისწერო აღმოჩნდებოდა „კანდრახტის“ შინაარსი ხელმომწერთათვის, ძიება ჩვეული სიმკაცრით რომ წარმართულიყო და არა იმ ლმობიერებით, რომელსაც თურმე სისასტიკეც სჯობდა.

ამასობაში კი დიმიტრი ერისთავს პეტერბურგში მოხვედრისა და იქ ცხოვრების გარემოებანიც ხელშესახებად უნდა წარმოეჩინა კომისიისათვის და ისიც ზოგად ქარგას ასე აღადგენდა:

1825 წლის დამლევს ანასტასია ბატონიშვილი თავის ვაჟითურთ (ამჟამად უკვე ლეიბგვარდიის ჰუსართა პოლკის კორნეტი რომ გამხდარიყო) პეტერბურგს გაემგზავრებოდა და დიმიტრისა და დავით ჯორჯაძეს თავისი ხარჯით გაიყოლებდა თან. ორ კვირას მოსკოვში დარჩებოდნენ და მარიამ დედოფალს შეეკედლებოდნენ.

პეტერბურგში ჩასვლისას ანასტასია ბატონიშვილი ჩამოხდებოდა თავის ძმასთან – ფარნაოზთან (ვისი შეპყრობითაც მოთავდებოდა მთიულეთის აჯანყება 1804 წელს), და დიმიტრიც იქ შეაფარებდა თავს, რაკიღა მასპინძლის მეუღლე მამიდად ერგებოდა. დავით ჯორჯაძე კი გაჩერდებოდა დიმიტრი ბატონიშვილთან, რომელიც მალე კადეტთა მე-2 კორპუსშიც მიაღებინებდა. დიმიტრი ერისთავს კი მისი ძმა ელიზბარი, საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი, მიაბარებდა მასწავლებელთან, რათა რუსულიც შეესწავლა და პირველდაწყებითი განათლებაც შეეძინა.

უქმე დღეებში ძმები დაიარებოდნენ ფარნაოზ ბატონიშვილთან, სადაც ნახულობდნენ გიორგი ერისთავს, აგრეთვე დიმიტრი ბატონიშვილსა და დავით ჯორჯაძეს.

ასე ჩაილეოდა ის წელიწადი.

ახალგაზრდები სწავლას განაგრძობენ, დიმიტრიც უკვე საარტილერიო სასწავლებლის აღსაზრდელია, და ერთ უქმესაც არ უშვებენ, მთიულეთის ამბოხის გმირს რომ არ ესტუმრონ.

ამასთან:

– ჩვენ მოწყენილობას ვგრძნობდით ჩვენი წრისაგან განშორების გამო და ამიტომ გიორგი ერისთავთან ერთად დავდიოდით დიმიტრი ბატონიშვილთან, რომელიც გვიღებდა როგორც ნათესავებს და გვესაუბრებოდა სხვა და სხვა საგნებზე.

მოწყენილობამ, ჩვენი წრის ნოსტალგიამ მიგვაყენა დიმიტრი ბატონიშვილის კარსო, ამის საგანგებო აღნიშვნა იმიტომაც დასჭირებია, რომ შეთქმულების მთავარი ძარღვი იმ ოჯახში უნდა გაინასკვოს და სჯობს ყველაფერი შემთხვევითობასა თუ სენტიმენტალურ გრძნობებს მიეწეროს.

საუბრით თავისუფლების შესახებ ესაუბრებოდათ ისტორიიდან. და გიორგი ერისთავს ხასიათის სიფიცხეს რომ შეატყობდა, მის თავმოყვარეობაზე მიიტანდა იერიშს: ქართველები თავიანთი ყოფა-ცხოვრებით ბოშები არიან და, მაშასადამე, შენც ბოშა ხარო.

უმეორებდა და უმეორებდა... და მარტო გიორგის კი არა, ამათაც ცეცხლი ეკიდებოდათ სამშობლოს ასეთი დამამცირებელი მოხსენიების გამო (აღვიგზნებოდით საქართველოს ძაგების დროსო).

მასპინძელი ალმურავარდნილ ჭაბუკებს რომ შეხედავდა, თავს იმართლებდა:

– ჩემი ბრალი არ არის, რომ თქვენ ასე გიწოდებენ – გაუნათლებლებს, სულელებს, ველურებსა და ამისთანებს.

კიდევ უფრო აღიზიანებდათ.

დიმიტრის გულსა და გონებას ისეთ კვალს დააჩნევდა ბატონიშვილის სიტყვები, რომ ქუჩაში მიმავალს ყურში სულ ქართველების გინება ჩაესმოდა.

ცხადია, გიორგისაც და ელიზბარსაც, და იმათ ალბათ გაცილებით მკვეთრადაც, წონასწორობას ისედაც ადვილად ჰკარგავდნენ და კიდევ ეს უნდოდათ? ბოშებიო, გაუნათლებლებიო, ველურებიო...

ღრმა ფსიქოლოგი აღმოჩნდებოდა ბატონიშვილი, საქართველოს ისტორიაზე დაუსრულებელი ლაპარაკითა და შიგადაშიგ ჭაბუკთა თავმოყვარეობის შეჯანჯღარებით მათ სულ უფრო და უფრო დაიახლოვებდა, მიიჩვევდა და გულახდილობისთვისაც ძალდაუტანებლად გამოიწვევდა.

– პირდაპირ არაფერს გვეუბნებოდა.

ეს ფრაზა საგამოძიებო კომისიისთვისაა გამიზნული და დიმიტრი ერისთავი ბოლომდე არ მოიცვლის ფეხს ამის მტკიცებისაგან, თითქოს მასპინძელს უშუალოდ არაფერი დაუვალებია მათთვის, ის კი არა, აგერ, საიდუმლო მიმოწერის მექანიზმი რომ გაუმხილა ტფილისისაკენ გამომგზავრების წინ, მაშინაც ვითომდა არაფერი გაუმჟღავნებია.

ასეა თუ ისე, თუკი დიმიტრი ბატონიშვილი ღრმა ფსიქოლოგია, იმასაც უნდა გრძნობდეს, რომ მარტო საქარველოს ისტორიაზე ლაპარაკი და ჭაბუკთა თავმოყვარეობის გაღიზიანება არა კმარა, კიდევ რაღაცაა აუცილებელი... რა რაღაც და – მათი ქება, მათი პატრიოტიზმისა და გულოვნების, მათი სიმტკიცისა და თავგანწირვის უნარის დითირამბული მოხსენიება და ამით მათი გახალისება, გამხნევება და დიდთა საქმეთათვის ანთება.

– მან ისე შემოგვაპარა ეს აზრი, რომ ერთ დროს კითხვაც კი წამოვაყენეთ, თუ როგორ გაგვეთავისუფლებინა საქართველო.

მასპინძელი სიცილით ეტყოდათ: თქვენ, გაუნათლებლებსა და ველურებს, რა შეგიძლიათ, ჯერ განათლება უნდა შეიძინოთ, შეარიგოთ ერთმანეთთან მოქიშპე საგვარეულოები და მაშინ ეგება რისიმე გაკეთება შეიძლოთო.

ესეც სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის პროგრამის ორი უმთავრესი მუხლი:

განათლება და ერთიანობა.

და ესეც პატრიოტული ფიცი, „კანდრახტის“ სახელით აღბეჭდილი:

ასე რო რაც ჩვენი სარგებლობისათვის იყოს და რაც ჩვენ გვიფიქრია, ვინც უმტყუვნოს ამ ამხანაგობაში და ან საერო სარგებლობისათვის, იყოს შეჩვენებული ღვთისაგანო.

დიმიტრი ბატონიშვილთან მხოლოდ ეს სამნი არ დაიარებოდნენ – დიმიტრი ორბელიანიც გამოჩნდებოდა ხოლმე, შემდგომ ლეიბგვარდიის პრაპორშჩიკი, დავით ჯორჯაძეც, ალექსანდრე ჩოლოყაშვილიც და სოლომონ რაზმაძეც. ზაქარია ჩოლოყაშვილი? იგი დიმიტრი ერისთავს პეტერბურგში ყოფნისას არ უნახავს და გაცნობით მხოლოდ აქ გაიცნო, ტფილისში.

1830 წელს ელიზბარი სამშობლოში გამოემგზავრებოდა და დიმიტრი ბატონიშვილთან ეს ორი ერისთავი გააგრძელებდა სტუმრობას, საკმაოდ ხშირს. მერე გოირგის პოლონეთში მოუწევდა წასვლა, დავით ჯორჯაძესაც – სამშობლოში დაბრუნება, დიმიტრი ერისთავი კი, 1831 წლის დამდეგს ოფიცრობას რომ მიიღებდა, საცხოვრებლად დარჩებოდა ფარნაოზ ბატონიშვილთან, ვინც:

– სასტიკ თვალყურს ადევნებდა ჩემს ყოფაქცევას და სარწმუნოებრივ დარიგებებს მაძლევდა.

და იქვე:

– ფარნაოზ ბატონიშვილთან ჩემი ყოფნის დროს მე არ გამიგონია არცერთი საეჭვო სიტყვაც კი მისგან და, მითუმეტეს, ბოროტგანზრახულების შესახებ რამე.

მართლა ასე დადუმებულიყო ფარნაოზი, რომ საქართველოს მწარე ხვედრზე კრინტსაც არა ძრავდა?

ასე დაეშინებინა დატუსაღება-გადასახლებას, რომ ასეთ სანდო ჭაბუკთანაც გაურბოდა თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის ხსენებას?

დიმიტრი ისე ენერგიულად უარყოფს, ერთი საეჭვო სიტყვაც არა მსმენიაო, აშკარაა, ძალიან შიშობს, როგორც ყოფილ მეამბოხეს, ფარნაოზ ბატონიშვილსაც ადვილად არ წამოავლოს ხელი გამოძიებამ. ამიტომაც არამარტო შეთქმულებისაგან ლამობს მისი სახელის ჩამოშორებას, საქართველოს თავისუფლებაზე ფიქრსაც აღარ ანებებს.

დიმიტრი ბატონიშვილს როგორ უშველოს, ისეთი ხელშესახებია მისი შთამაგონებლობა აჯანყების მოსახდენად, თორემ ფარნაოზის ხსნა კიდევ შეიძლება, თუნდაც გულში მასაც ძველებურად ამოჭროდეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედი.

ერთი საეჭვო სიტყვაც კიო...

მერეა, პეტერბურგიდან გამოგზავრების წინ დიმიტრი ბატონიშვილმა საიდუმლო მიმოწერაზე რომ უნდა ჩამოუგდოს სიტყვა.

მერეა, მოსკოვში რომ უნდა შეყოვნდეს ოქროპირ ბატონიშვილთან.

მერეა, მასპინძელი რომ ამცნობს, შენი ძმა ელიზბარი, ალექსანდრე ორბელიანი და სოლომონ დოდაშვილი ფარულ საზოგადოებას ადგენენო.

მერეა, თეატრში მიბრუნება მეჩქარებოდა და ფარული მიმოწერის საშუალება მე თვითონ ამიტომაც შევთავაზეო.

აი, მიზეზი, აი, მიზეზიო, თავის თეატრალურ გატაცებას უმტკიცებდა საგამოძიებო კომისიას დიმიტრი ერისთავი და მეტი დამაჯერებლობისათვის უმატებდა და უმატებდა, თუ როგორ მოინდომა ტულადან მოეხდინა პირველი ცდა და მიეწერა ოქროპირ ბატონიშვილისათვის, თუ როგორ ვერ იპოვნა მისი ფორმატი და დიმიტრი ბატონიშვილის ფორმატით ამიტომაც მისწერა ტულის კეთილშობილთა კრების შესახებ, რომელსაც ესწრებოდა; თუ როგორ მიიღო მხოლოდ სამი თვის შემდეგ მისგან 200 მანეთი ასიგნაციებით, რაც სრულიად არ უთხოვია, და აქედან დაასკვნა, რომ ოქროპირ ბატონიშვილს მისი წერილის შინაარსი ვერ გაეგო და მასთან მიმოწერაზე ამიტომაც აელო ხელი; თუ როგორ მისწერა ტფილისიდან ერთხელ, მარტოდენ ერთხელ დიმიტრი ბატონიშვილს, ვისგანაც პასუხი არ მიუღია და მასთან მიმოწერაც ამიტომ შეეწყვიტა სამუდამოდ.

ფორმატი ჩემს ქაღალდებში იყო და არ ვიცი, რა იქნაო, – ისე ახსენებდა, როგორც არაფრისმაქნისსა და გადავიწყებულს, დაკითხვის აუცილებლობას რომ არ შეეხსენებინა მისი არსებობა... მაგრამ თვითონ თუ აღარ იცოდა, გამომძიებლებს მოეხსენებოდათ ჩინებულად ამ მიმოწერათა შინაარსიც, ფილადელფოს კიკნაძის მიერ შედგენილი საიდუმლო ანბანისა არ იყოს, და მიზერშიც ჩაჰყვებოდნენ თვითეულ შიფრსა თუ მინიშნებას, ძიების მკაცრად წარმართვა რომ ჰქონოდათ ნაბრძანები... ანდა სულაც საკუთარ ნებაზე მიშვებულიყვნენ.

აი, მიზეზიო, მერე ბევრიც ემტკიცებინა დიმიტრი ერისთავს.

...თეატრში მიბრუნება მეჩქარებოდაო, განა?!.

თავი მეხუთე

ელიზბარი სამსჯავროს წინაშე

ნოდარ გრიგალაშვილი სტატიის სათაურად გაიტანდა სოლომონ დოდაშვილის მიერ შედგენილი პროკლამაციის ფინალურ სტრიქონს:

მაშა რაისათვის ვცოცხალვართ!..

მთლიანადაც მოიხმობდა ამ შთამბეჭდავ, ლექსის სადარ პროკლამაციას და იქნებ სოლომონსაც პოეტურ ნიმუშად ჩაეფიქრებინა, შინაგან ექსპრესიას არანაკლებ რომ შეეძრა საზოგადოების ცნობიერება, ვიდრე უშუალო მოწოდებას ამბოხებისაკენ.

ვიყავით კი შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?

რაც აწუხებდა და აფორიაქებდა შეთქმულების იდეოლოგს, ისეთივე საწუხარად და ამაფორიაქებლად დარჩენილიყო, თითქოს გაყინულ დროში ვტრიალებდით, და ამიტომაც განვიცდიდით გარდასულ მოვლენებს რეალობად და არა ისტორიად, ოღონდ დარღვეული ცნობიერების პირობებში ყველა ერთნაირად ვერ გარკვეულიყო ვერც წარსულში და ვერც თანამედროვეობაში და თუნდაც 12 ნოემბერს – 1988 წლისა – ვეება პორტრეტები რომ გამოჩნდებოდა აზვირთებულ ხალხში, ბევრი გაიოცებდა: ნეტა ვისი სურათებიაო.

ამ დღეს გაიხსენებს სწორედ სტატიის ავტორი, რათა ისტორიული პარალელის მონაცვლეობით გამოჰკვეთოს სწორედ ის რღვევა შეგნებისა, ჩურჩულითა და შეცბუნებულნი რომ ეკითხებიან ერთმანეთს მოქალაქენი, ხომ არ იცით, ვინ არიანო, და კიდევ „იმ კაცის დარცხვენით, მარმარილოთი მოპირკეთებული უცხო საფლავთა შორის შამბგადავლილი პაპის სამარე რომ ვეღარ უპოვნია..."

გახსოვთ, ვინც ვერ იცნეს:

ალექსანდრე ბატონიშვილი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

და ვერ იცნეს იმიტომ, რომ წითელ იდეოლოგიას საზოგადოების მეხსიერებიდან პაპის ხატი წაეშალა და პაპის ძვლების მთხრელთა სახელები აღებეჭდა.

ამ სიმწვავითაა განმსჭვალული სტატია და ავტორი ახლა იმათ შეცბუნებასა და ჩურჩულ-ტუტუნს ამოატივტივებს, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების შექმნამ რომ გამოიწვია: ეს ალექსანდრე ორბელიანი ვინღააო.

ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელებს შეჩვეოდნენ როგორღაც და კიდევ ახალი სახელი ყურს ჭრიდათ, ნოდარ გრიგალაშვილი კი შეეცდებოდა ერთი მარჯვე ფრაზით გაეცნო ამ ყაიდის მკითხველისათვის ამ პიროვნების გამორჩეულობა:

მეცხრამეტე საუკუნის ის ქართველია, თავის გაორებულ, რენეგატებად ქცეულ, დამპყრობლისაგან შეშინებულ საზოგაოებას ნამუსი რომ მოწმინდა და ჩვენ კი უნდა გვათქმევინოს – რაკი ალექსანდრე ორბელიანისთანა კაცებიც გვყავდა, მთლად წამხდარი არა ყოფილა მაშინ ჩვენი საქმეო.

მისი სახელობის საზოგადოებას ზნეობრივი ორიენტირების გადანაცვლება რომ დაესახა თავის მიზნად, ავტორი სანიმუშოდ კიდევ ერთი შეგნებულად მივიწყებული ქართველის სახელის გამოხმობას გაიხსენებდა ისტორიის ანალებიდან – ელიზბარ ერისთავის, ვისი პორტრეტიც რომ გამოტანილიყო სახალხოდ, იქნებ ბევრი დაბნეულიყო, ნეტა ვინ არისო.

ნუთუ აღარ ვიყავით შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?!.

და თუ ვიყავით, ამ პორტრეტსაც უნდა შევჩვეოდით, ამ სევდა-ჩამდგარ თვალებს, ამ გაუტეხელ სულს, ამ ბაგეთაგან მომდინარე ანდერძს, რომ უზენაესი მიზანი სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დამკვიდრება უნდა ყოფილიყო, სამშობლოს ამოგება და ჩაბმა საკაცობრიო ცხოვრებაში, ზნეობრივი, ჰუმანური საწყისი რასაც განსაზღვრავდა.

მაინც ელიზბარის უშუალო თხოვნით დაიწერებოდა სოლომონ დოდაშვილის ის პროკლამაცია, სიმხნევითა და ქვეყნის წინაშე მოვალეობის შეგნებით რომ აღავსებდა ყოველი მკითხველისა თუ მსმენელის სულს და თითქოს ისიც გვიმეორებდა სიტყვა-სიტყვით:

– ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუ-

თარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა.

იგრძენით შეიწროება ყოვლისა კაცისაო, – გვიმეორებს ელიზბარიც.

ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარი მამულისა ჩვენისაო, – გვამუნათებს ელიზბარიც.

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთაო, – გვიბეჯითებს ელიზბარიც.

მაშა რაისათვის ვცოცხალვართ!..

მაშა რაისათვის ვცოცხალვართ!..

მაშა რაისათვის ვცოცხალვართ!..

ზარივით რეკს ერთმანეთს შერეული ხმები, ზართა აღლუმივით ზრიალებს და დგანდგარებს ირგვლივ ყოველივე, მაგრამ ისტორიის ავბედით ბრუნვა– ტრიალში ვეღარც სოლომონ დოდაშვილი გიცვნია, ვეღარც ალექსანდრე ორბელიანი, ვეღარც ფილადელფოს კიკნაძე, ვეღარც ელიზბარ ერისთავი... ვეღარც მათი ხმა გამოგირჩევია, ვეღარც მათ სახებას აუფორიაქებიხარ და მხოლოდ ვიღაცას ეკითხები: ვინ არის, ხომ არ იცი?.. – მე შენთვის უნდა მეკითხაო, – პასუხად ამას შემოგაგებებს ის და, კიდევ კარგი, ცნობის წადილი არ გიქრება და გამორკვევას ლამობ, მათი ცხოვრებისა და ღვაწლის შეცნობას ცდილობ და გულიც და გონებაც უკვე გამცნობს, რატომ შეიძლება ზნეობრივ ორიენტირად დასახულიყვნენ ასეთი ადამიანები.

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?!

მაშა რაისათვის ვცოცხალვართ?!

და სტატიას ბუნებრივი აკორდი დააბოლოვებდა, ხიდის გამდები ამ ორ ეპოქას შორის, სინამდვილეში ერთი რამ გახლდათ:

– შენ თუ გაწუხებს ეს მწარე ფიქრი ჩემო დაცემულო, ყველაფერზე გულაყრილო მკითხველო?

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება ღია ბარათით გამოეხმაურებოდა ნოდარ გრიგალაშვილის ამ სტატიას და დაუმადლებდა სოლომონ დოდაშვილის პროკლამაციის მთლიანად განმეორებას: დღესაც მაშინდელივით გვაფორიაქებს და აღგვაგზნეს უკეთეს დროთა მოსაპოვებლად ჩვენი უბედური ქვეყნისთვისო.

ისიც აღინიშნებოდა: მცირე სტატიაში ყოველთვის საფრთხილოა ასეთ ბრწყინვალე ნიმუშთა სრული სახით დამოწმება, რათა ძალიან არ გაფერმკრთალდეს დანარჩენი მსჯელობა და კომპოზიციაც ოღრო-ჩოღრო არ გახდეს, მაგრამ ამ წერილში ისეთი მოხდენილი ქარგაა მოქსოვილი მის ირგვლივ, ისეა გააზრებული ცოცხალ, ერთიან განცდაში ჩვენი ისტორიის ბოლო ორი საუკუნის ტკივილები, რომ ის იატაკქვეშა ძეგლი, ნამდვილი პოეტური ქმნილება, მარგალიტივით ამშვენებს სტატიის კომპოზიციურ მთლიანობასო.

გამოხმაურება მხოლოდ მადლობის სათქმელად არ შეედგინათ.

ის ამცნობდა სტატიის ავტორსაც და მკითხველსაც, რომ ელიზბარ ერისთავის სურათი უშუალოდ ამ წერილზე დართული ფოტოდან გადაეღოთ და კედელზეც გაეკრათ ალექსანდრე ორბელიანისა და სოლომონ დოდაშვილის სურათების გვერდით, და ამ სამეულის სახეობანი დამშვენებულიყო უკვდავი სტრიქონით: მაშა რაისათვის ვცოცხალვართ.

სად და: 42-ე საშუალო სკოლის X და XI კლასელთა ისტორიის ღია გაკვეთილზე.

ღია გაკვეთილის დღედ საგანგებოდ შეირჩეოდა 4 დეკემბერი – ნიკოლოზ ბარათაშვილს დაბადებიდან 150 წელი რომ შესრულებოდა.

შთამბეჭდავი ოთხი საათი – განმსჭვალული თავისუფლების სულისკვეთებით და ზნეობრივი ორიენტირების გამორჩევით, – ასე შეფასდებოდა ის ღია გაკვეთილი, რადგანაც მასწავლებლისა და მოსწავლეთა ცოცხალ დიალოგში ერთმანეთს ენაცვლებოდა XIX საუკუნის სურათები – დამდეგიდან მიწურულამდე – და პედაგოგი ისტორიულ მოვლენათა თავისებურებებს ხელშესახებად რომ წარმოუსახავდა ყმაწვილებს, მიანიშნებდათ იმ მარადიულს, იმ ჭეშმარიტად ღირებულს, რაც მთავარია ისტორიაში და რაც ამშვენებს 1801 წლიდან ამოძრავებულ ძებნას ქართლის ბედისა.

„ეს ხდებოდა ფაქიზად, გულშიჩამწვდომად და არა დიდაქტიური ჩინით.

ამიტომაც მოგანდომებდა ადამიანს, რომ შენც X ან XI კლასელი ყოფილიყავი და ღია გაკვეთილებით არ დამთავრებულიყო ნუგზარ მოლაშვილის პედაგოგიური ოსტატობის გაცნობა“.

კედელს 32-ის გმირების გარდა სხვა დიდებულ წინაპართა ფოტოსურათებიც ამშვენებს.

ვორონცოვის, იანოვსკის, კატკოვის ფოტოები კედელზე როგორ გამოეფინება, მაგრამ მასწავლებელს თურმე საგანგებოდ მო-

აქვს და მოსწავლეებს აჩვენებს, მათი ვერაგი, ბოროტი მზერაც რომ დაამახსოვრებინოს.

„ჩვენს რეალობას მხოლოდ თავისუფლების წყურვილი არ გადმოსცემია.

ეს ბოროტი მზერაც არა გვშორდება".

და ერთი-ორი საგულისხმო დეტალის აღნიშვნის შემდეგ გამოხმაურებაც იმ აკორდით უნდა დასრულდეს, რომ:

„32-ის სუნთქვა გრძელდება.

ორიენტირები სამზეოზე იმკვიდრებენ ადგილს, ყალბი გმირები ემხობიან და ეს გეზი არ უნდა გავხაროთ – ვინ სად ავირჩევთ მოღვაწეობის გზას საქვეყნო ასპარეზზე – თუ მართლა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი".

მოგანდომებდა ადამიანს, შენც მეათე ან მეთერთმეტე კლასელი ყოფილიყავიო!..

ნეტა ისინი მოხვედრილიყვნენ თუნდაც ამ ღია გაკვეთილზე, რამდენიმე წლის შემდეგ ტელეკომპანია „თრიალეთის" ეკრანზე რომ გადმოეფინებოდნენ, ოღონდ ასე პირდაპირ კი არა – უნებურად მძიმე შეცდომას ჩავიდენდით, რადგანაც ბურუსის გაფანტვასა და სინათლისათვის თვალის გასწორებას ელიზბარ ერისთავის სახელის მოწინააღმდეგენი ერთბაშად ვერ გაუძლებდნენ – ჯერ ქართული ანბანი თავიდან ბოლომდე უნდა შეგვეთვისებინა მათთვის... ჯერ „თხა და გიგოს" სიუჟეტით დაგვეინტერესებინა, რნყილისა და ჭიანჭველას თავგადასავლით შეგვეძრა მათი გული... მერე ნელ-ნელა გავურთულებდით სასწავლო პროგრამას და ბოლოს დადგებოდა იმ დრამატული გაბრძოლების გმირთა ჯერიც, ელიზბარ ერისთავი მთავარსარდლად რომ გამოუჩნდებოდა.

ამილბარათო, – ნიკოლოზ ბარათაშვილს ეს სახელწოდება ემჯობინებინა და გამომძიებლებს ხელთ რომ ჩავარდნოდათ ეს რამდენიმე წლის შემდეგ შექმნილი პოეტური ქმნილება („ქეთევან"), „ამილბარის" ვინაობასაც არა შიფრავდნენ და გუნებაშიც ჩაიღიმებდნენ: საჭირო რომ არ იყო ბოლომდე ჩაყოლა, თორემ მთავარსარდლად რომ ეგ არჩეულიყო, აკი გამორკვეული გვქონდაო.

ჩათავდებოდა საბედისწერო 32.

ახალ წელს ყაზარმაში გაითენებდნენ.

ავად იკლაკნებოდა გაურკვევლობაში გაწოლილი ეს 33, რომლის 3 იანვარსაც ელიზბარს უკვე გაუმზადებდნენ შეკითხვას ბერ

ფილადელფოსსა და გიორგი ერისთავზე, და მღვდელ-მონაზონ ტარასისაც კიდევ ერთხელ უხსენებდნენ.

რაც იცის, არც ამჯერად დაგიფარავთ, უფალო გამომძიებლებო, მითუმეტეს, დასამალი აქ სრულებით არაფერია.

შარშან გიორგი ერისთავი დაბრუნდა კახეთიდან (განსვენებული თავადის ჩოლოყაშვილის ცხედარი გააცილა) და თან ჩამოიტანა ორი ოთხად გადაკეცილი და ერთად შეკერილი თაბახ-თხზულება, რომელიც აკრძალულს არაფერს შეიცავდა. განა ასაკრძალი შეიძლება იყოს მსჯელობა და ნარკვევი უწმინდეს, უბინო სიყვარულსა და მეგობრობაზე? ელიზბარმა წაიკითხა და ისევ პროპორშჩიკ გიორგი ერისთავს დაუბრუნა. იმას უთქვამს, ეს თხზულება ფილადელფოს ბერის დაწერილიაო, ვისაც ელიზბარი არ იცნობს და არც არასოდეს უნახავს.

იღუმენმა ტარასმა შორს რომ დაიჭირა შეთქმულთა განზრახვა (ხუმრობით, ხუმრობით ნათქვამი, მაგრამ მაინც!), ამათ ზრდილობისათვის არ უღალატიათ და მოწიწებით ხელზედაც ემთხვივნენ. რას ბრძანებთ, დასცინეთო? აბა, რა საკადრისია, არც მისთვის დაუცინიათ და არც სხვა ბერებისათვის. დიდხანს არც დარჩენილან მღვდელ-მონაზონთან – ალბათ ათი წუთი, და სხვა საუბარი არც ჰქონიათ. კიდევ ერთხელ დაგიბეჯითებთ:

– სანკტ-პეტერბურგში საარტილერიო სკოლაში ვსწავლობდი და ტარასი ბერს თვეში ერთხელ, ხან კი უფრო იშვიათად ვნახულობდი, მასთან ყოველთვის ჩვეულებრივი საუბარი მქონია და არასოდეს არც მისთვის და არც მიტროპოლიტ დოსითეოსისთვის არ დამიცინია.

ხუმარად რომ მოაქვს თავი, ახლა ისეც ნუ იფიქრებთ, რომ ცხოვრებას მასხარაობაში ატარებდა. სასულიერო პირი მისთვის ყოველთვის გამორჩეული გახლდათ და მეგობრულ ლაღობას მათ როგორ ჰკადრებდა.

თავისთან რატომ დაპატიჟა იღუმენი?

არა, ასე არ ყოფილა. იმ შეხვედრის შემდეგ არამცთუ თავისთან არ დაუპატიჟნია, აღარც უნახავს.

მაინც არ მოეშვებიან და იმ შეხვედრის აღდგენას ნაბიჯ-ნაბიჯ მოსთხოვენ? საინტერესო არ უნდა იყოს ამ საქმისათვის, თორემ დეტალურ აღდგენას წინ რა დაუდგება.

ტარასი ბერთან რომ მივიდნენ, თავის სენაკში არ დახვედრიათ და სხვა სენაკიდან გამოვიდა, შეაღო თავისი სენაკის კარი და ესენიც შეინვია.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ გნებავთ?

კეთილი, მაშ ასეც განაგრძობს:

გვაკურთხეო, – სთხოვეს.

იმასაც უკურთხებია და სიცილით უთქვამს, ბულგარინმა ეს საუკუნე კარგად აღწერა და პირთა ხასიათებიც კარგად წარმოგვიდგინაო.

ეტყოდა, იგულისხმა, ხელისგულზე მიძევს ყველას პიროვნება და მათ დაფარულ აზრებსა და სურვილებსაც ვკითხულობ, რაკიღა ის აღწერა ეპოქის სახელმძღვანელოდ გამოდგებაო.

როგორც ჩანს, პირველად არ სტუმრებიან ამ თემაზე სასაუბროდ, ბერს კი წყალი გადაუწურავს, რატომ არ ჩამოეხსნებით ასეთ ფიქრებსო:

– თქვენ ხომ არც ფული გაქვთ, არც ჯარი გყავთ, არც ხალხი გყავთ, ურთიერთშორის თანხმობაც არა გაქვთ, თავადები ერთიმეორესა სჭამენ, რას იტყვით ამაზეო.

– ჩვენ ამ სიმართლის მოსმენაზე შეგვრცხვა და პასუხი ვეღარ მივეცითო, – დასძენს ელიზბარი და, რაკიღა ეს სიტყვები სიმართლედ სულაც არ მიაჩნია, ამგვარი ფრაზებით მხოლოდ ბერის გადარჩენას ლამობს, ისევე, როგორც ამ თხოვნის პასუხად:

– როცა საჭირო იქნება, იქნებ ხალხს უქადაგო, აღაგზნო ხალხი შენი მჭევრმეტყველებით.

ბერ-მონაზონ ტარასის ამას ათქმევინებს:

– რა გნებავთ, ბატონო ქართველებო, ითხოვდით რუსეთის მფარველობას და მიიღეთ, გიორგი მეფე თავისი ოჯახის წევრებისთვის ითხოვდა – ისინიც უკვე არიან რუსეთის მმართველობის ქვეშ. ბატონიშვილები სჯიჯგნიდნენ საქართველოს, თვითოეულ მათგანს გამეფება სურდა – ისინი უკვე აღარ არიან, და აი მაშინდელი წერილები და მანიფესტი.

სწორედაც ათქმევინებს და არა ნათქვამს იმოწმებს, თორემ ასეთ ცინიზმს, განმეორებას რუსული შოვინისტური აზრებისა, სტუმრები ასე უდრტვინველად ვერ შეხვდებოდნენ.

რუსული შოვინიზმი ირწმუნებოდა, საქართველო ბაგრატიონთა ბატონობისაგან ვიხსენითო.

რუსული შოვინიზმი ირწმუნებოდა, მფარველობას დავპირდით და მფარველადაც მოვევლინეთ, მათ უნებურს არაფერს ჩავდივართო.

რუსული შოვინიზმი ირწმუნებოდა, ბატონიშვილებს შესანიშნავი ადგილ-მამულები ვარგუნეთ მოსკოვში, საქართველოში ერ-

თმანეთის ჯიჯგნას აქ განცხრომით ყოფნა ურჩევნიათ, მაგრამ თვითონ რატომღაც ვერა ხვდებიან ამხელა სიკეთეს და ყველას ისე აჩვენებენ, თითქოს პატიმრობა-გადასახლებაში გვყავდესო.

მანიფესტის ხსენება მოგვიანებით გიორგი გოზალიშვილს ასეთ ვარაუდს გაუჩენდა: რაკიღა მის ირგვლივ ჰქონიათ მსჯელობა, ეგებ დიმიტრი ერისთავის მიერ ამ ისტორიულ დოკუმენტზე დაწერილი შენიშვნებიც განიხილესო.

დამაჯერებელი ვარაუდია, რადგანაც ელიზბარის ძმის მინანერები მანიფესტის ტექსტზე თავისთავად მოჰყვებოდა სჯა-ბაასს.

ის სტუმრობა ისეა აღწერილი, თითქოს ბერ ტარასის იმ რჩევებს მთლიანად დათანხმებულან. ნაცვლად მეამბოხეებისა, რუსეთის ყველაზე ერთგული ქვეშევრდომნი ესენი ყოფილან და უპირველესად ელიზბარ ერისთავი.

ყოველნაირად იფარავს ბერ-მონაზონს და სხვა რა ქნას.

თათარი ისმაილა საიდანღა გამოჩნდა მათ მოძრაობაში?

1891 წლის ზაფხულში პორუჩიკ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანს უთქვამს სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანისათვის, აბანოების კართან დაგულებული მყავს თათარი ალექსანდრე ბატონიშვილთან გასაგზავნადო. სოვეტნიკს მისი გაცნობა მოუწადინებია და ბიჭი უფრენია. თათარი საშუალო ტანისა ხომ არ იყო, გრძელწვერა და ელამი? დიახ, რაღაც ეგეთი აგონდება. ორივე ალექსანდრე თათრულად ელაპარაკებოდა, ელიზბარს თათრულისა არაფერი გაეგება და ლაპარაკით ვერაფერს მიმხვდარა. თათრის წასვლის შემდეგ აუხსნიათ, გამგზავრებაზე თანახმაა, თუ ცხენს მივცემთ, ან ფულს ცხენის შესაძენად, მაგრამ მაინცდამაინც არ მიუწევს გული, აქ რაღაც ბოსტანი ჰქონია და იმას დაჰკანკალებსო.

რაღა გნებავთ – მებოსტნე ყოფილა და არა მეამბოხე.

ზალიკო ყორღანაშვილს მართლა შეუგროვებია ხალხი?

იასე ფალავანდიშვილი უმტკიცებდა ამას ელიზბარსა და კორნეტ გიორგი ერისთავს, ჩვენი ბრძანებით ამზადებს ხალხს ტფილისშიო. ამათ რომ არ დაუჯერებიათ, იასეს თვითონ ზალიკო მოუხმია და იმასაც თავი გამოუდია: უკვე ასამდე კაცი მოვამზადეო, – მაგრამ ერისთავებს მაინც ეჭვით შეუხედავთ.

დეტალურად აღადგინოს სოლომონ რაზმაძის გასაცილებლად გამართული სადილი?

აცალეთ და მისხალ-მისხალ და მიუკერძოებლად მოგახსენებთ.

სოლომონს კარგად იცნობდა და ირანში მისი მოსალოდნელი გამგზავრების ამბავი რომ შეიტყო, სურვილი გაუჩნდა სადილი გაემართა. და 1832 წლის მაისის დამდეგს სხვანიც დაპატიჟა, რათა ეს დღე სამშობლოდან მოწყვეტილ კაცს წარუშლელად ჩაბეჭდვოდა ხსოვნაში. ვინ სხვანი? დასამალი რა არის: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, გიორგი ერისთავი, დავით ჯორჯაძე, იოსებ მამაცაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, ზაალ ავთანდილაშვილი და დიმიტრი ყიფიანი.

სადილზე სვამდნენ კახურ ღვინოს გულმოდგინედ და იყო საერთო საუბარი. ისეთი კი არაფერი – ცოცხალი და ჩვეულებრივი, ლხინის სუფრას როგორც შეეფერება. შეკამათებითაც ხომ არ შეკამათებულან? რაღაც ამგვარი აგონდება. სადილი რომ მთავრდებოდა, ბიჭს ბოთლით შემოუტანია შამპანური ღვინო და ყველას ხელები გაუსავსავებია: უკანვე წაიღე, კახურთან შამპანური რა საჭიროაო. მაგრამ მასპინძელი გაჯიქებულა და ბიჭისათვის უბრძანებია: დაასხით. სულ ეს იყო მათი კამათი. და როდესაც ჭიქები გავსებულა, თავისუფლების საღდგერძელო შეუსვამს და ყველას ერთსულოვნად აუწევია ფიალა.

თავისუფლება ზოგადად ითქვა და რაღაც საგანგებო აზრი არ ჩაუთქვამს.

ნასადილევს დაუწყიათ ოთახებში სიარული და თან თუთუნს ეწეოდნენ, ზოგნი საუბრობდნენ და ხუმრობდნენ. სოლომონ დოდაშვილი და გიორგი ერისთავი გაცხარებით დავობდნენ კახეთისა და ქართლის შესახებ. მაინც რას? ამ კუთხეების სახელებსაც შემთხვევით მოჰკრა ყური, თორემ საუბარი არ გაუგონია.

მერე ალექსანდრე ორბელიანს შეუთავაზებია: ჩემს ბაღში წავიდეთ და საღამო უკვე იქ გავატაროთო. დიმიტრის, ელიზბარის ძმას, უარი უთქვამს წასვლაზე და შინ დარჩენილა, ესენი კი წყვილწყვილად წასულან:– მე იქ მივედი სოლომონ რაზმაძესთან ერთად და იქ დაბინდებამდე ვსეირნობდით. ბაღში საუბარი დაწვრილებით არ მახსოვს, მაგრამ როცა დიმიტრი ყიფიანმა მითხრა, ვიმედოვნებ პეტერბურგში წასვლას მოწაფეებთან ერთადო, მე ვუთხარი, თუ წავიდოდა, უსათუოდ მისულიყო დიმიტრი ბატონიშვილთან და ეამბნა ჩვენი საქმე.

საქმეც რა – ხუმრობით შექმნა ვითომდა გაერთიანებისა ელიზბარს რეალურ საქმედ არც მიაჩნდა, მაგრამ ილუზიებში მყოფ დიმიტრი ბატონიშვილს ცოტა გულს მოეფონებოდა, ფარული ორგა-

ნიზაცია შექმნილა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენადო, და სიცოცხლე ცოტა გაუხალისდებოდა.

8 თებერვალს ანკეტურ შეკითხვებსაც დაუსვამდნენ.

ეს სულ თავიდანვე უნდა მომხდარიყო, მაგრამ გამოძიებას მაშინ სხვა გარემოებანი თუ აღელვებდა ძალიან და ეჩქარებოდა და დიდად არ დაგიდევდა, რამდენი წლისა გახლდათ ბრალდებული და უკვე მოკიდებოდა თუ არა ოჯახს, ან სად ესწავლა თუ ემსახურა.

თუ რაიმეს უპასუხებდა გულწრფელად ელიზბარი, სწორედ ამ შეკითხვებს.

ოცდასამი წლისა ვარო.

უცოლოო.

მყავს გლეხები, განუყოფელი ბიძებთან და ძმებთან ერთად – გორისა და დუშეთის მაზრებში. ეს გლეხები ემსახურებიან ჩვენს სახლს პურით, ღვინით, ზოგჯერ ფულითაც, ხნავენ და საერთოდ ყველა სასოფლო სამუშაოს ასრულებენო.

ვინვრთნებოდი სანკტ-პეტერბურგში, სადაც შვიდ წელიწადს დავრჩი. პირველი ორი წელიწადი მამაჩემის ხარჯზე ვსწავლობდი, უკანასკნელ ხუთ წელიწადს კი საარტილერიო სკოლაში ვინვრთნებოდიო.

ვმსახურობდი არტილერიაში, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში. ლაშქრობაში არ ვყოფილვარო.

პეტერბურგში 1823 წელს ჩავედი და საქართველოში 1830 წლის დამლევს დავბრუნდი. მოსკოვში გავლით ვიყავი, არაუმეტეს ერთი დღისაო.

ეკლესიაში დღესასწაულებზე ყოველთვის დავდივარ და ყოველ წელიწადს ვეზიარები ხოლმე, მხოლოდ შარშან, თუმც წირვა-ლოცვაზე ვიარე, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვეღარ ვეზიარეო.

დღემდე არც სასამართლოსა და გამოძიების ქვეშ და არც დაჯარიმებული არა ვყოფილვარო.

ახლა რას განეწყო მთავრობის წინააღმდეგ?

საქართველოს გათავისუფლების ქიმერას აეყოლიებინა, შთაგონებულიყო ამ დამღუპველი აზრით და ამასთან... რაღა გადაფიცოს – პირადულიც ერია მის მეამბოხეობაში. 1830 წელს მთავრობამ რომ ჩამოართვა ერისთავებს გამოუძიებლად და სასამართლოს გარეშე ოსეთის მამულის ნაწილი, ეს ვერ გადაიტანა ასე იოლად და აჰყვა ემოციებს, მაშინ, როდესაც თავიდანვე მკაფიოდ ხედავდა: არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია და მხოლოდ თავადაზნაურთა თანხმობაზე დამყარებული იმედიც რა იმედია, კაცმა რომ თქვასო.

„ოდილიან ბარო პირველად პერთა პალატაში ვნახე, სადაც 29 აგვისტოს შეთქმულების საქმე ირჩეოდა" – ჩაიწერდა სტენდალი დღიურში და ამ ტანმორჩილ, მოლურჯოწვერიან კაცს ერთი საგულისხმო დეტალით წარმოსახავდა:

„იგი ერთ-ერთ შეთქმულს იცავდა, ამტკიცებდა, რომ მას არ გააჩნია არც ტვინი და არც ვაჟკაცობა იმ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, რომელსაც მიაწერენ".

სენის დეპარტამენტის პრეფექტი საუკეთესო ორატორად აღიარებულიყო და სტენდალი სად მოჰყოლოდა მისი გამოსვლების აღნუსხვა-განსჯას – მეტყველი შტრიხი ყველაფერს თავისთავად ღაღადებდა და მწერალიც მოხიბლულიყო ამ ფანდით და საზოგადოებაც, და, ცხადია, ის შეთქმულიც, აღტაცებული რომ შეჰყურებდა ორატორს, ეს რა კარგად მოიფიქრა ამ უძნელესი საქმიდან ჩემს გამოსაძრომად, დაე დამერქვას მშიშარაც და თავქარიანიც, სამაგიეროდ, ციხის კედლებს გადავურჩებიო.

დაუჯერებდნენ მსაჯულნი?

მჭევრმეტყველის ხელოვნება დააჯერებდათ.

თვითონ მოეფიქრებინათ ეს ხერხი ჩვენს შეთქმულთ, ალექსანდრე ორბელიანს სულაც კონცეფციად შეემუშავებინა და ბრალდებულთა საერთო იდეოლოგიად გადაექცია, და ელიზბარიც ამ იმედს მოჭიდებოდა: შემომხედეთ, ყური დამიგდეთ, განა მე ან გონება მეყოფა ან ვაჟკაცობა სახელმწიფო გადატრიალების განსახორციელებლადო?

დაუჯერებდნენ მსაჯულნი?

ბაროს ელოდნენ „კომერციული ატენეიას" გახსნისას, კიდეც ჩამოვიდოდა, კიდეც უკმევდა საკმეველს „თავის დიდებულ რევოლუციას". ამ ეპიზოდს უკვე ალექსანდრე ტურგენევი ჩაინიშნავდა დღიურში. ჩამოვიდოდა ოდილიან ბარო და ატენეიას დამაარსებელ ვაჭართა მიმართ მოკლე და გულისშემძვრელ სიტყვას რომ წარმოთქვამდა, განაცხადებდა, ვაჭრობა პირველი წოდებაა სახელმწიფოში, ესაა მარილი ქვეყნისა და ფრანგები ისე ამაღლდნენ უცხოელთა თვალში, რომ ყოველი მხრიდან მოდის ხალხთა ქება და ფრანგად გახდომისა და აქ დაფუძნების მსურველთა რიცხვიც საკმაოდ გამრავლდაო.

თითქოს ათი წლის შემდგომდროინდელ ელიზბარ ერისთავსაც შეაგონებდა, კომერცია გერჩივნოს და კომერსანტებში გარევა, მომავალი ამ წოდებისაა.

რა დროს კომერსანტობაზე ფიქრი იყო, და იმ ათი წლის შემდეგაც იქნებ არ დაინტერესებულიყო, სხვა ასპარეზი რომ დაეგულებინა. როგორმე სიკვდილის განაჩენს გადარჩენოდა – ამ გზას ეძიებდა ერისთავთა შთამომავალი და სტენდალი კი ბაროს იმ დასაცავი სიტყვის ყოველ გახსენებისას ღიმილს ვერ იკავებდა: რა გზნებით ამტკიცებდა, არც ტვინი გააჩნია და არც ვაჟკაცობა ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლადო.

ამასაც ყოველთვის გაგიმეორებთ, რომ 4 დეკემბერს, როდესაც შეიტყო, ალექსანდრე ჭავჭავაძე დაწყნარებას გვირჩევს და ასეთი ფიქრებისათვის თავის დანებებასო, როგორც სხვებმა აიღეს ხელი აჯანყების განზრახვაზე, ისე ელიზბარმა.

უფროსად არავინ დაუნიშნავთ, არც მთავარი პირი ჰყოლიათ – ქეიფსა და გართობას რა მთავარი პირი და უფროსი სჭირდებოდა.

მთავრობის უკმაყოფილო თავადი თარხნიშვილები რა შეთქმულებას ადგენდნენ?

ახლა 1833 წლის 15 თებერვალია, არა? 1832 წლის ნოემბერში ელიზბარს სადილად სტუმრებია ვახტანგ ორბელიანი და საუბრისათვის მოუყოლებია, თამარ ბატონიშვილისათვის უამბნია მართა მესხიშვილს, თითქოს თავადი თარხნიშვილები შეთქმულებას ადგენენო. ვახტანგს თამარ ბატონიშვილი გაუფრთხილებია, ჩვენს განზრახვაზე სიტყვა არ დაგცდესო. მერე იულონ ბატონიშვილის ასულს ორივე რომ ესტუმრებოდა, ვახტანგიც და ელიზბარიც, ის მოახსენებდათ, მსურდა მართასაგან დაწვრილებით შემეტყო ყოველივე, მაგრამ გამოკითხვა ვერ გავბედეო.

ელიზბარი მართას თავისი დის ოჯახში შეხვედრია შემთხვევით... დიახ, შემთხვევით და უკითხავს: რა გითქვამს თამარ ბატონიშვილისათვის თარხნიშვილებზეო. ის არ გამომტყდარა: არაფერიც არ მითქვამსო.

დავით თარხნიშვილს რატომღა ენვია?

სხვას ნურაფერს იფიქრებთ, უფალო გამომძიებლებო – ესტუმრა იმიტომ, რომ მიელოცა ლაშქრობიდან შვილის მშვიდობით დაბრუნება. განზრახვაზე მისთვის მაშინ ერთი სიტყვაც არ უთქვამს და შემდგომ აღარც შეუღია მისი სახლის კარი.

თარხნიშვილებს მომავალ მმართველად თამარ ბატონიშვილი ხომ არ შეეგულებინათ? რაღაც ამგვარზე ყური კი აქვს მოკრული, მაგრამ სჯობს ისევ თვითონ ამ თავადებს ჰკითხოთ. იასე ფალავანდიშვილმა კი მაშინვე შეიტყო ეს ყოველივე ელიზბარისა-

გან და შეპირდა კიდეც, მე გამოვიკითხავ დაწვრილებით ყველაფერსო.

რატომ დასცინოდა თამარი ელიზბარსა და ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს? განზრახვა რომ შეუტყვია – ელიზბარი ვერ იგონებს, პირველად როდის გამოუცხადა – სიცილისაგან თავი ვერ შეუკავებია: თქვენ პატარა კაცები ხართ და რისი გაკეთება შეგიძლიათო. და ამათ ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდათ, აჯანყებისა არა სჯეროდა, დიდად ვერ ეიმედებოდა თავისი სტუმრებისა.

იერუსალიმში აპირებდა გამგზავრებას თამარ ბატონიშვილი? – სალოცავად, აბა, სხვა რისთვის. და ალექსანდრე ორბელიანი რომ უნდა ხლებოდა, მხოლოდ იმიტომ, ბიძაშვილს შორეულ მოგზაურობაში მარტო ხომ არ გაუშვებდა. ერთხელ ალექსანდრეს ისიც უთქვამს ელიზბარისათვის: თამარს მონაზვნად სურს აღკვეცაო. ასეთი მორწმუნე ადამიანი იერუსალიმსაც როგორ არ მოინახულებდა, თუკი საშუალება მიეცემოდა.

16 თებერვალს ელიზბარს ეგონა, ამით მოთავდება თამარ ბატონიშვილზე გამოკითხვაო, მაგრამ 25-ში კვლავ ჩაეძიებოდნენ. ესეც ხელახლა გაიმეორებდა, ოღონდ მცირეოდენი რედაქციით. რამდენიმე დღის წინათ რომ ამტკიცებდა თამარი სამს დაგვცინოდაო, ახლა ალექსანდრეს გამოტოვებდა: მე და ვახტანგ ორბელიანს გვითხრა, პატარა კაცები ხართო.

ბატონიშვილმა იცოდა, რომ ტფილისში თავადაზნაურთა შეკრებისთანავე უნდა დაწყებულიყო აჯანყება და იგი უნდა ყოფილიყო ბაგრატიონთა ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენამდე?

ცოდნით იცოდა, მაგრამ არა სჯეროდა, სულაც ეცინებოდა თურმე. მერე ხომ სულაც გადაიფიქრეს ამბოხების განზრახვა, რომელიც გამოკვეთილად არც გააჩნდათ.

რუსთა ჯარის რაოდენობაზე რას ლაპარაკობდნენ ხოლმე?

ერთ საღამო დაღესტნის ლაშქრობაზე რომ საუბრობდნენ და გილიარის აღებაზე, გიორგი ერისთავს უთქვამს: საქართველოში ორმოცი ათასზე მეტი ჯარი არ იქნებაო. ალექსანდრე ჭავჭავაძეს კი მიუგია: ჩემი აზრით, ორმოცი ათასზეც მეტი უნდა იყოსო. მაგრამ ეს ყოველივე ისე ითქვა, რაღაც პოლიტიკური მიზნის გარეშე.

უცხოელებს რა გავლენა ჰქონდათ ქართველ ახალგაზრდა თავადთა ამ განზრახვაზე?

სანკტ-პეტერბურგში 1828 წელს ელიზბარს მოუსმენია ირაკლი ბატონიშვილის ნაამბობი, იგი რუსულ საღამოებს აქებდა, ხელმწიფის კურთხევისას გამართულს, და დაუმატებია: ოქროპირ ბატონიშვილმა გაიცნო საფრანგეთის ელჩი და შინაც ინახულაო. მათი ურთიერთობის შესახებ ელიზბარმა მეტი არაფერი იცის.

ჩაითვლება კი ეს ყოველივე უცხოელთა რაიმე გავლენად აჯანყების მზადებაზე?

მამუკა ორბელიანიც თუ დაითანხმეს შეთქმულებაში მონაწილეობაზე?

თვითონ ელიზბარს გადაუბირებია, დიდ საიდუმლოდ გაუმხელია 1831 წლის ზაფხულში და ისიც დაუმატებია: იქამდე არ შეიძლება არაფრის დაწყება, ვიდრე პურის მოსავლის აღება არ დამთავრდებაო.

ერთხელ ელიზბარსა და გიორგი ერისთავს ერთად რომ უსადილიათ, მამუკა ორბელიანის სახლიდან სიმღერა შემოესმათ და თვითონაც სტუმრებიან. იქ სტუმრები დახვედრიან და ჩვეულებრივი მასლაათის შემდეგ მასპინძელს ეს ორნი ცალკე გამოუხმია, შეთქმულების საქმე როგორ მიდის და რამდენი მონაწილეაო. ესენი არაფერს დაუფარავდნენ, რაც იცოდნენ, შემდეგ პოლონელთა მოქმედებაზეც ილაპარაკებდნენ და საუბარს იმით დაასრულებდნენ, რომ შეთანხმდებოდნენ – აჯანყება შემოდგომით დაეწყოთ, აგვისტოში, ქართლის წმიდა გიორგის დღეობაზე.

საუკუნის შემდგომ აგვისტო საბედისწეროდ ჩაიწერებოდა საქართველოს ტრაგიკულ ბიოგრაფიაში და ამ თვის ყოველი ხსენება ქაქუცა ჩოლოყაშვილის ფარულ მოძრაობასა და ამბოხს დაუკავშირდებოდა, და ჰეროიკული გაბრძოლება კი სისხლში განიბანებოდა. ელიზბარს ეგონა, აგვისტო ჩვენი გამარჯვებით შევა ისტორიაში – დიდი შემობრუნების თარიღად,სახელმწიფოებაგაუქმებული ქვეყნის ხელახალი დაბადება რომ დარქმეოდა. მერე აგვისტოს ნოემბერი შეცვლიდა, ნოემბერს დეკემბერი გადაეფარებოდა და... ჰეროიკა მწარე იმედგაცრუებად გარდაისახებოდა. თარიღის ცვლილება ჩვეულებრივი მოვლენაა შეთქმულებათა ისტორიაში, ფეხის ათრევა, ზოზინი, უკეთესი დღის მოლოდინი და სხვა შემთხვევაში აგვისტოს ხსენება ყურში არც მოგვხვდებოდა, საუკუნისშემდგომი ტრაგედია რომ არ გვიფორიაქებდეს გულსა და გონებას და რაღაც ფარულ ძაფებს არ გავავლებდეთ იმ აგვისტოსა და ამ აგვისტოს შორის.

ტფილისიდან წერილი ჩამოუვიდოდათ, რომელიც მოუწოდებდა ყველა შეთქმულს და მათ შორის უკვე მამუკა ორბელიანსაც დედაქალაქში ჩასულიყვნენ და აჯანყებაც დაეწყოთ. ელიზბარს მოუვიდოდა ეს ბარათი და ისიც ყველას ჩამოუვლიდა და გააცნობდა, თუმც განადგურებით გაანადგურებდა. მოასწრებდა, რომ გამოძიებისათვის დოკუმენტური მასალა არ ჩაეგდო ხელთ და, ცხადია, სულ არ იფიქრებდა მკვლევარებზე – ესეც და ზოგიერთი სხვა წერილიც ძალიან გამოადგებათ და, ყველაფერი რომ მოვსპოთ, ესენი მაინც გადავურჩინოთ შთამომავლობასო.

დიმიტრი პაუშენკომ თუ იცოდა შეთქმულების თაობაზე?

1831 წელს, რა დასამალია, მოეხსენებოდა ახალგაზრდა თავადთა ბუზღუნ– ტუტუნი, ალექსანდრე ორბელიანის ბაღშიც ხშირად დაიარებოდა, ესაუბრებოდა შეთქმულებს (თუ მაინცდამაინც შეთქმულებას დაარქმევს კაცი!) პოლონელთა მოქმედებაზე და ფრანგულ გაზეთებში წაკითხულ ამბებსაც აცნობდა. საყვედურითაც საყვედურობდა: კარგად ვერ ირჯებით, საჭიროა მეტი მეცადინეობაო, – და ამხნევებდა: საკმარისია აჯანყება დაიწყოს და რაც კი აქ პოლონელები არიან, ყველანი მონაწილეობას მიიღებენო.

1832 წელსაც თუ იცოდა ამათი განზრახულობა?

ეს ელიზბარმა უკვე აღარ იცის.

ქვეტექსტი გამჭვირვალეა – რაკიღა 1832 წელს აღარ აგონდება დიმიტრი პაუშენკოს თავგამოდება, გამოძიება თვითონვე უნდა დარწმუნდეს, რომ იგი ამბოხების სამზადისისაგან (თუ მაინცდამაინც ამბოხების სამზადისად მონათლავთ!) განზე დგას. 31 ნლის მონდომებული ჩარევა კონტრასტული ხერხია ელიზბარისათვის, რათა პაუშენკოს სრული უცოდველობა მკაფიოდ მიანიშნოს გამომძიებლებს.

ანდრეი მელნიკოვმაც თუ იცოდა, ელიზბარის სიძემ, მათი განზრახვა?

ცხადია, არ დაუფარავთ, ოღონდ ელიზბარს მხოლოდ თავისი თავი და ალექსანდრე ორბელიანი დაუსახელებია მისთვის, რაკიღა იმას დიდი ინტერესი არ გამოუჩენია. ეს 31-ში. მომდევნო ნოემბერში კი გამოტყდომია, აჯანყების მოხდენას ვაპირებთო, და კიდევ რამდენიმე პირიც დაუსახელებია. ესეც უთქვამს: მთელი თავადაზნაურობა თანახმა იქნებაო.

მელნიკოვმა პასუხად რაო?

რაო და:

– თქვენ, ძმაო, ვხედავ საქართველოს დაღუპვა გინდათ. მე თქვენ არ გირჩევთ და შენ ხელი აიღე მაგაზეო.

ელიზბარი ერთბაშად დათანხმებია:

– თუმც მეც მონაწილე ვარ, მაგრამ დაგიჯერებ და თავს დავანებებო.

რამდენიმე დღის შემდეგ იმან:

– რა ჰქენით, გადაიფიქრე თუ არაო.

ელიზბარმა:

– გადავიფიქრე, მაგრამ მაინც ნურავის ეტყვიო.

მელნიკოვმა:

– მე არავის ვეტყვი, რაც გინდოდეთ, ის ჰქენით, ეგ ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ თუ ხელი არ აგიღიათ, ძალიან ცუდიაო.

ამ საუბრის შემდეგ აღარც ელიზბარს უთქვამს რა და აღარც მელნიკოვს უკითხავს.

8 დეკემბერს ერთად წავიდოდნენ ავლაბარში, ის თავისი ბავშვებისათვის საწოლებს შეუკვეთდა. ქალაქში დაბრუნებისას „ტრაქტირის" გვერდით გამოივლიდნენ და ელიზბარი, უკვე სულ სხვა ჭკუაზე დამდგარი – რატომ არ გინდათ ეს დაიჯეროთ, უფალო გამომძიებლებო? – მელნიკოვს იქით მიახედებდა:

– აი, რამდენად ჭკუა გვქონდა დაკარგული, ამ „ტრაქტირში" ვიყავით და ჩვენს საქმეზე ვმსჯელობდით.

და კმაყოფილებას გამოთქვამდა მისი სიძე:

– კარგია, ბოლოს მაინც მოხვედით ჭკუაზე.

ასე რიგიანად აეწყო ყოველივე, ელიზბარი გამოეხსნა ილუზიებს, ფუჭ ფიქრებს, გაურკვევლობაში ბოდიალს, მაგრამ გაცლის ბედი წესიერად მიხედ– მოხედებას გარშემო?

– ამის შემდეგ დეკემბრის 11-ს დამაპატიმრეს.

2 მარტს ლუარსაბ ორბელიანის ჩვენებას დაუდებენ წინ?

ვითომ მელნიკოვი იწონებდა აჯანყების განზრახვას და მხოლოდ იმას ურჩევდა ლუარსაბსაც და ყველასაც, მალულად, ფრთხილად იმოქმედეთო?

მელნიკოვი დაბეჯითებით უმეორებდა თუნდაც ელიზბარს: ხელი აიღე ასეთ ფიქრებზეო, ოღონდ მოწმე მაშინ არა ჰყოლიათ, რას წარმოიდგენდა ელიზბარი, რომ ამ საუბრებისას ლუარსაბ ორბელიანიც დაესწრო. მაშინ ხომ ის ანდრეი მელნიკოვს ხელს ტყუილუბრალოდ არ დაადებდა.

მეორე დღეს ივანე ბარათაშვილის ვინაობით დაინტერესდება გამოძიება, და კიდევ იმით, რა ურთიერთობა აკავშირებდა მას დავით და დიმიტრი თანხნიშვილებთან?

ელიზბარი კი... არც ივანე ბართაშვილს იცნობს და არც ამ ურთიერთობაზე სმენია რაიმე.

ის როგორ იყო, თეიმურაზ ლორთქიფანიძეს ალექსანდრე ორბელიანმა ფული და მაზარა რომ აჩუქა და წერილობითი ინსტრუქციაც მისცა, თუ რა უნდა მოემოქმედა?

იმერელ თავადიშვილთა განწყობილება კარგად უნდა გამოერკვია და მიენიშნებინა მათთვის, რომ საქართველოში არსებობს განზრახვა და მასში ყველა თავადი მონაწილეობს. სახელდებით არავინ ეხსენებინა. ვინმეს თანდასწრებით ლაპარაკს მორიდებოდა, ეცადა, რომ ყველა დაემარტოხელებინა, შეეტყო მთავრობაზე მათი აზრი და დაწვრილებით ეცნობებინა შეთქმულების მოთავეთათვის.

ბარემ გაამჟღავნოს ეს განწყოილება ელიზბარმა და თანამგრძნობელი თავადებიც უკლებლივ ჩამოთვალოს, თუკი გულწრფელად ინანიებს დანაშაულს.

ნეტა რაიმე შეეტყო ელიზბარს, სიტყვა-სიტყვით გადმოგილაგებდათ:

– მაგრამ ლორთქიფანიძე წავიდა და მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია. თუმც ჩვენ არა ვფიქრობდით და არც იმედი გვქონდა, რომ იმერეთი ჩვენს განზრახვაში მონაწილეობას მიიღებდა.

აქტი გონიურს გიორგი ერისთავი ჩამოიტანდა ფილადელფოს კიკნაძისაგან და ჯერ ზაალ ავთანდილაშვილსა და დიმიტრი ყიფიანს წაუკითხავდა ყიფიანის სახლში. წაუკითხავდა და ისინიც გაიმეორებდნენ ფიცს. შემდეგ ალექსანდრე ორბელიანის სახლში წაუკითხავდა თვითონ ალექსანდრეს, მის ძმას ვახტანგსა და ელიზბარ ერისთავს. ფიცს ისინიც გაიმეორებდნენ. ბაღში კი სოლომონ რაზმაძეს გააცნობდა.

– ჯერ მან მე წამიკითხა და მერე მე წავუკითხე, მაგრამ არ მახსოვს, ფიცი გაიმეორა თუ არა.

შემდეგ თავის ბინაზე წაუკითხავდა თარჯიმან მამაცაშვილს და, მგონი, ისიც გაიმეორებდა ფიცს. ჯორჯაძესაც თვითონ წაუკითხა თუ სხვამ, ვეღარ იხსენებს. მერე სოლომონ დოდაშვილი გამოართმევდა.

მანანა ორბელიანმა თუ იცოდა შეთქმულების თაობაზე 1831 წელს?

არ იცის გიორგი ერისთავმა, თვითონ არ ულაპარაკია მასთან და არც სხვისგან შეუტყვია, მანანამაც იცისო.

ისე – 1832 წლის ოქტომბრის დამლევს მანანა ორბელიანსაც გაუმჟღავნებდნენ.

არც მანამდელ სამზადისში მიუღია მონაწილეობა და არც ამჯერად აჰყოლიათ. ამას ელიზბარ ერისთავი ირწმუნება. ეს შეუძლებელია, თუ ყველანი თანახმა არ იქნებიანო, – უბეჯითებდა ელიზბარსა და კორნეტ გიორგი ერისთავს და იმასაც დასძენდა: თქვენ მხოლოდ სიტყვებით აკეთებთ ყველაფერსო. პირველი ღამის განკარგულებასა და საქართველოს მმართველობის პროექტზე თუ შეუტყვია დაწვრილებით? რა დაწვრილებით, უფალო გამომძიებლებო, შესაძლოა ყურმოკვრით ჩაწვეთებოდა რაღაც, ისიც ან ჰო, ან არა, ესაა და ეს.

მანანას ქართლში გამგზავრება როგორღა იყო?

სხვა გამცილებელნი დანინაურებულან და გიორგი ერისთავი შემდეგღა წამოსწევიათ „ზასტავასთან". და „ზასტავა" რომ გაუვლიათ, ელიზბარს დიდად გახარებულს უთქვამს: ლუარსაბმა დღეს ჭავჭავაძეს გამოუცხადაო. ყველას ერთად გაუცილებიათ და ერთადვე მობრუნებულან ქალაქში, ლუარსაბ ორბელიანის სახლიდან კი გიორგისა და ელიზბარს მიუცილებიათ ჭავჭავაძის ქალები მათ სადგომამდე.

შალის დაკარგვის შესახებ ხომ არაფერი ახსოვს გიორგი ერისთავს?

არც ის აგონდება, ვინ დაკარგა, და არც ის, საძებნელად ვინ წავიდა.

ელიზბარ ერისთავიც ხომ არ მოიგონებს იმ ეპიზოდს?

მოიგონებს, რატომაც არა, განა ესეთიც რა არის!..

1831 წლის გაზაფხული უნდა ყოფილიყო. მანანას ეტლით აცილებდნენ ჭავჭავაძის ქალები, ცხენებით კი იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ლუარსაბ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ოღონდ გიორგის ძე, გიორგი ერისთავი და ელიზბარი. გააცილეს ვერამდე და გამოეთხოვნენ, ჭავჭავაძის ქალები უკან დაბრუნდნენ და ამ სამთაც შემოატრიალეს ცხენები. ლუარსაბი და ჭავჭავაძე უფრო შორს გაჰყოლიან მანანას, მერე კი ამათაც წამოსწევიან.

– ამ გაცილების დროს მე არ მითქვამს რა გიორგისთვის ჭავჭავაძის ჩვენს განზრახულობაში მონაწილეობის შესახებ.

საბუთად იმას მოიტანდა, საუბარი აქ სრულებით არ შეგვეძლო, ისე ჩქარა მოვდიოდითო.

თითქოს ერთი ფრაზის სათქმელად სალონური გარემო და აურაცხელი თავისუფალი დრო იყოს აუცილებელი.

სრულებით არ შეგვეძლოო, – მაინც არ გადათქვამდა.

შალის დაკარგვის შესახებ მას ხომ არაფერი ახსოვს?

არაფერი.

ისე მტკიცედ უარობს ორივე ერისთავი, თითქოს შალი უწყინარი ნივთი კი არ იყოს, არამედ საიდუმლო პაკეტი, რომლის დაკარგვასაც რაღაც ფარული ინსტრუქცია ითვალისწინებდეს, პოვნა კი მამხილებელი ფაქტის დადასტურებას ნიშნავდეს.

ეტყობა, მართლა აღარ აგონდებათ. მთელი ეპიზოდი ახსოვთ, მაგრამ ეს დეტალი თავისთავად ამოვარდნილა მთლიანი სურათებიდან და უნებური გამოტოვება იდუმალების ელფერით იმოსება.

ისე გარდა იდუმალებისა, ეს ყოფითი დეტალი სულ სხვა განცდით მსჭვალავს არა მხოლოდ ამ ჩვენებს, არამედ საგამოძიებო ჩანაწერებს თავიდან ბოლომდე.

შალის დაკარგვა დეტექტიური ხლართი თუ არ არის, სამაგიეროდ, ყოფითობის სიმბოლოა, ყოფითობისა, რომლის სილამაზისა და სიდიადის შეცნობას არავინ განებებს, რაკილა ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გამოდებულა და პროვინციის საფლობში იძირება. მეხსიერება ინახავს მარტოდენ იმ ეპიზოდებსა თუ რეალიებს, რაც ქვეყნის გამოხსნაზე ფიქრსა თუ გარჯას უკავშირდება და აბეზარი ბუზივით იცილებს ყოველივეს, რაც ამ ჩარჩოში არ მოექცევა.

კიდეც მოუძებნიდნენ, კიდეც მიურბენინებდნენ, მაგრამ ისე ამოცვენილან ყოფითობიდან, თითქოს წუთისოფელში გადაელვებით გამოჩენილიყვნენ და სიცოცხლის შეგრძნებაც ვერ მოესწროთ, თორემ სიცოცხლის ხალისს ვინ ჩივის!..

„ვგონებ მიწყრებით და ჰფიქრობთ, ის რა პლუტი ჩავიგდე ხელშიო, ერთხელ წიგნი არ მომწერაო" – იბოდიშებდა გიორგი ერისთავი ფილადელფოს კიკნაძესთან გაგზავნილ ბარათში, 15 ივნისით რომ დაეთარიღებინა, და მდუმარების მიზეზსაც უხსნიდა: კარგი მგზავრი ვერავინ ვიშოვე და ფოსტით არ მოგწერე ამისთვის, რომ, როცა პახოდობა შეიქმნება ხოლმე, ყოველთვის წიგნსა ხსნიან, აგრეთვე თქვენცა გთხოვთ, ფოსტით აღარ მომწეროთ.

ეს გაფრთხილება აუცილებელი გახლდათ.

შესაძლოა სასულიერო პირს არა სცოდნოდა, წერილები რომ იხსნებოდა და გულდასმითაც იკითხებოდა, მინიშნებანიც არ დაგვრჩეს ამოუცნობიო.

ხოლო თუკი ვინმეს გაატანდი ბარათს, მაშინ ქარაგმებით ესეც შეგეძლო გეცნობებინა ადრესატისათვის:

„მომილოცავს ალექსანდრეს აქტის ჩლენობა თავისი ძმითურთ, აგრეთვე ჩემის ბიძაშვილისა, შანშეს შვილისა. ამათ ბევრი პარტია ჰყავთ და ცდილობენ მათს მოყვანას. ჩემს წილად ესენი ვიშოვნე და უნდა ვიშოვნო: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანნი, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავნი, ამ ოთხთ უკვე იციან“.

კიდევ ვის მოქცევას (სწორედ ამ სიტყვას გამოიყენებს) შეიძლებს?

დავით ჯორჯაძისას, სოლომონ დოდაშვილისას, იოსებ მამაცაშვილისას („...ამას თითქმის არავინა სჯობს სუდა ი რასპრავას პერევოდჩიკი“), დიმიტრი ყიფიანისას („ყმაწვილი კაცი, რუსულისა და ქართულის კარგად მცოდნე, სკოლაში უჩიტელი და პერევოდჩიკი დეპუტატ სობრანიაში“), სოლომონ რაზმაძისას („კარგი და განათლებული კაცი“) – და ეს იმიტომ ეიმედება: ყოველდღე ერთადა ვართო.

ოლონდ შენ ჩამოდიო, – სთავაზობს, – ჩამოდი და ყველაფერს კარგად მოვახერხებთო:

„შენზედ ცუდი აზრები, მანდავ მოგახსენე, ჰქონდათ, მაგრამ მე და დოდაევმა ყველას გაუქარვეთ. ყველასა სურს შენი ხილვა“.

ბარემ ესეც შეატყობინოს:

„მე პახოდში ვაპირებდი, ჩვენი საზოგადოების აზრით, რადგანაც ბევრნი თავადნი მიდიოდნენ, ისინი მეშოვნა ჩლენათ. მაგრამ ისეთები მიდიან, პურის ჭამაც არ იციან“.

ასეთ ადამიანებს, ცხადია, ვერც აჯანყების სამზადისში გარევ და ვერც საიდუმლო წესდებას გააცნობ.

თავი მეექვსე

შანშე ერისთავის საიდუმლოებითმოცული აღსასრული

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება ღია წერილით მიმართავდა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს შიდა ქართლში, ქალაქ გორის მერიასა და საზოგადოებრიობას გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან: ელიზბარ ერისთავის სახელისა და ღვაწლის სრულყოფილად წარმოჩენისა და დამკვიდრებისათვის ხალხის შეგნებაში – ხსოვნის საღამო გავმართეთ თბილისში – ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, პანაშვიდი გადავუხადეთ გორში – ღვთისმშობლის ეკლესიაში, რამდენიმე სტატიაც გამოვაქვეყნეთ და იქნებ თქვენც შეგვაშველოთ ხელი ზოგიერთი ჩანაფიქრის ხორცშესასხმელადო:

დაერქვას ელიზბარ ერისთავის სახელი გორის ერთ-ერთ ქუჩას;

მოეწყოს მისი მემორიალური კუთხე;

დაიდგას მემორიალური ძეგლები გორსა და სოფელ ღვარებში;

შემოდგომაზე გაიმართოს ხსოვნის საღამო გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში.

მემორიალური ძეგლების აღმართვა მალე რომ ვერ მოხერხდებოდა, ეს ცხადი გახლდათ, მაგრამ ეს ხომ შეიძლებოდა, რომ ადგილი მოგვენიშნა, ოფიციალურად დაგვეკანონებინა და პროექტიც შეგვეკვეთა არქიტექტორებისათვის.

ან იქნებ კონკურსშიც ეცადათ ბედი?

მემორიალური კუთხისა და ხსოვნის საღამოს მომზადებას ჩვენს თავზე ვიღებდით, აგრეთვე შეთქმულების მთავარსარდლისადმი მიძღვნილი კრებულის გამოცემას.

მივწერთ და გამოხმაურებას დაველოდებით.

საპასუხო ბარათი მალევე გამოჩნდებოდა ამავე გაზეთის ფურცლებზე.

ხელს აწერდნენ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ირაკლი ბოჭორიძე და გორის მერი დავით ქობლიანიძე.

ჯერ თავიანთ წუხილს გაგვიზიარებდნენ, ერთი ერთმანეთზე მიწყობილმა უბედურებამ ქართლსაც დაატყო მსახვრელი ხელი, ნადგურდება წლობით ნალოლიავები კულტურის ძეგლებიო: გაიძარცვა ნიკო ლომოურის საფლავი – ძეგლს ფერადი ლითონი შემოაცალესო, დაინგრა არქიტექტორ კლდიაშვილის პროექტით აშენებული გენერალ ჟურულის სახლიო, მეჯვრისხევში შეწყდა მანანა ორბელიანის სახლის რეკონსტრუქციაო, ყურადღება მოაკლდა იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ლომოურისა თუ ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას სახლ-მუზეუმებსო...

მერე იმ სასიკეთო წამოწყებებსაც გვამცნობდნენ, რისთვისაც, სიძნელეთა მიუხედავად, უკვე მოებათ თავი – ნიკო ლომოურის ახალი ბიუსტიც გავამზადეთ და 1 სექტემბერს დავდგამთ მწერლის საფლავზეო, მუზეუმებშიც ვცდილობთ წესრიგის დამყარებას და იაკობობაც აღვნიშნეთ ვარიანში, ზაზაობა – ქარელის რაიონში, ივანე ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმიც ხოვლეში და ყიფიანობა ქვიშხეთშიო.

თქვენი მომართვა კი განვიხილეთ გორის მერიის კოლეგიის სხდომაზე და გადაწყდაო:

დარიალის ქუჩას გადაერქვას სახელი და ეწოდოს ელიზბარ ერისთავის ქუჩა.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებასთან ერთად მოეწყოს ეროვნული გმირის მემორიალური კუთხეც და ხსოვნის საღამოც შემოდგომაზე.

გორსა და სოფელ ღვარებში მემორიალური ძეგლების დადგმისათვის წლის ბოლოს ბიუჯეტიდან გამოიყოს სათანადო თანხები.

სიტყვაც კარგი იყო იმედიანი.

პაატა ჩხეიძე ხშირად აკითხავდათ და არწმუნებდა დიდსაც და პატარასაც – ამ საქმეს ხელიდან ნუ გაუშვებთ, ხომ ხედავთ, ჩვენი მხრივ ყველაფერს ვიღონებთ და, თქვენი თანადგომაც თუ იქნა, დროულად მიეხედება ამ კეთილშობილურ ჩანაფიქრსო.

დააჩქარებინებდა ადგილის გამოყოფას თეატრის შემოგარენში, თავზე დაადგებოდა არქიტექტურული ნახაზის შედგენასა და იმ ოფიციალური ტექსტის გამზადებას, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა კონკურსის პირობებს.

ეს კიდევ ერთი პანაშვიდიო, ეს ხსოვნის საღამოო, რომელიც თეატრის სცენაზე მაინც ვერ გაიმართებოდა, მიზეზი მიზეზს მიჰყვებოდა და, შეფერხებას რომ შევატყობდით, სხვა სცენას მოვძებნიდით.

ღვარებში კი აღიმართებოდა ჯვარი ერისთავთა ნაქარხნალზე, მაგრამ გორის მემორიალს გაჭიანურება მოელოდა, გამაბეზრებელი გაჭიანურება... ამასაც მოევლებოდა – მართლა ხელისუფლების იმედად კი არა ვყოფილვართ. კიდეც გამოჩნდებოდა კაცი, ვინც ძეგლის დადგმას ითავებდა – სახელმწიფო ბიუჯეტი თუ ლიტონ დაპირებად დარჩებოდა, კერძო პიროვნება გამოძებნიდა შესაფერის თანხას; ოღონდ მემორიალი იმ ღირსებისა უნდა ყოფილიყო, ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებს რომ სჩვევია – მისი ერთადერთი მოთხოვნა ეს გახლდათ. რაც განგვეზრახა, სწორედ იმავეს გვიბეჯითებდნენ და კიდეც წამოვიწყებდით საკონკურსო მზადებას... გაგვიმართლებდა? ჩაგვეფუშებოდა? გამოჩნდებოდა, რისი შემძლენი ვიყავით – ამ მხრივაც და ელიზბარ ერისთავიც როგორ სახებას ჰპოვებდა ქვაში.

ჯერ... ჯერ მხოლოდ ადგილი მოინიშნება.

„თეთრი ჯვრის ხეობა" რომ გამოქვეყნდებოდა, ივანე ამირხანაშვილის დოკუმენტური ნოველების ციკლი ერთხანს კიდევ გაგრძელდებოდა – ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც. ყოველ შემთხვევაში, კიდევ ერთი წიგნის შედგენა განეზრახა. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ცხოვრების ახალი ეტაპის? მოვერიდოთ პათეტიკას და სამოღვაწეო გზის მომდევნო მონაკვეთი ვიგულისხმოთ. და ამ მონაკვეთზე ელიზბარ ერისთავის სახელიც თან გვდევდა და მისი კიდევ ერთი დოკუმენტური ნოველაც შეიქმნებოდა – „ეპიზოდი რეგიონული ეკონომიკის კურსიდან" („ომეგა", 2000, 8).

და სამივე ნოველა რომ დაალაგო გვერდიგვერდ, დარწმუნდებით, რომ მათ მხოლოდ მთავარი გმირი აერთიანებთ, თორემ სხვა არაფერი მეორდება, ყოველი მათგანი თავისებურია და გაუნელებელი მუხტით აღვსილი, და თუ ავტორი კვლავაც გაჰყვებოდა თავისი გმირის ბედისწერას – მის დაბრუნებას ახალ რეალობაში – მიმზიდველი რკალი შეიქმნდებოდა მისი დოკუმენტური ნოველების ციკლში... მაგრამ შენელდებოდა, შეწყვეტა რომ არც ითქვას, ეს ციკლი და ეს რკალიც სადღაც გაწყდებოდა, სხვანი აიღებდნენ ხელში ამ მცირე ქრონიკების შექმნას, სხვანი გადაიბარებდნენ, და

წარმატებითაც, თავიდანვე მაღალ რანგში წამოწყებულ მემატიანეობას, ახალი სუნთქვით შეავსებდნენ, ახალი ფერებით გაამდიდრებდნენ.

გულდასაწყვეტი გახლდათ „თეთრი ჯვრის ხეობის“ გაწყვეტა, მაგრამ ბედი თავისას განარიგებდა და ეს ნიმუში ბოლო აღმოჩნდებოდა ელიზბარის ნაკვალევზე სვლის წარმოსახვისას... ჯერჯერობით მაინც...

დიახ, ეს ნიმუში: 2000 წლის 14 მაისის თავყრილობა გორის ბამბეულის კომბინატის კულტურის სახლში.

ხელს შეგვიშლიდნენ, საიუბილეო საღამო გორის დრამატულ თეატრში გამართულიყო. პირდაპირი უარი არავის უთქვამს, მაგრამ მიზეზებიც არა და არ დაილია და როდის-როდის მივხვდებოდით, ასე თუ გაგრძელდებოდა, ფრანც კაფკას პერსონაჟებივით შევრჩებოდით ამ უსასრულოდ გაჭიანურებულ მოლოდინს.

მაინც რამხელა იყო ეს კომბინატი, – წამოსცდება ივანე ამირხანაშვილს თავყრილობის გახსნამდე და მეხსიერებაში ძალაუნებურად ჩნდება ის დრო, როდესაც რადიოს „უკანასკნელი ცნობები“ ყოველ საღამოს გადმოსცემდა ამბებს ბამბეულის კომბინატიდან.

ახლა?

– ძველი დიდების აჩრდილებად შენობებიღა შემორჩენილა. გარდახდა ჟამი, აღარც ბამბა, აღარც ფული. ახლა სხვისი ბამბა ჩხრიალებს და სხვისი თხილი. ბამბა რას მიქვია, აბრეშუმისთვის ველარ მოგვიცლია, თუმცა „აბრეშუმის გზას“ კი გვიშენებენ.

ასე ინება რეგიონულმა ეკონომიკამო, – გელა ჩხეიძე აუხსნიდა, – ჩვენ ძვირად გვაძლევენ ნედლეულს, თურქებს – იაფად, ეგრეა, წარმოება იქა, მოხმარება აქაო.

ზღაპრის ფინალივით გამოდიოდა, მაგრამ... არა სიკეთის გამარჯვებით. თანამედროვე ზღაპარი ასე იოლად არ შეეწეოდა სიკეთეს. ახალი კანონები ჩნდებოდა ამ ჟანრშიც და ეს კანონები მოინდომებდა იმ კოშკის დამსხვრევასაც, მონდომებით რომ ვუგებდით ელიზბარ ერისთავსაც, 1832 წლის შეთქმულებასაც, საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობასაც იმთავიდან ამთავამდე.

მაგრამ ეს მერე უნდა მოხდეს.

ჯერ კი:

დოკუმენტურ ნოველაში ზუსტად მიგნებული დეტალებით იხატება საერთო განწყობილება – დარბაზშიც, სცენაზეც. დასაწყისი წინასწარმეტყველებასავითაც კი გაისმის. იმ წუთას ამას, ცხადია,

ვერ ვიგრძნობთ, მაგრამ თავისთავად წამოგვაგონდება ამ ბელეტ-რიზებული ჩანაწერის ექსპოზიცია, ის მსახიობი ქალი რომ გამოიჭ-რება „თრიალეთის“ ეკრანზე და აღშფოთებული გაშლის ხელებს: არავინ იცნობს გორში ელიზბარ ერისთავს, მე პირადად არასოდეს შემხვედრიაო. და ერთი-ორი თანამოქალაქეც აჰყვება: გადაკარ-გული რომ არ იყოს და მშობლიური ქალაქი დიდი ხნის წინათ არ მი-ეტოვებინოს, თვალს ერთხელ მაინც როგორ ვერ მოვკრავდითო.

წინასწარმეტყველებასავითო:

– გორში ელიზბარ ერისთავის სახელი ალბათ იმდენმა იცის, რამდენმაც დანარჩენ საქართველოშიო, ანუ, ცოტა სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი ვინაობის შესახებ იმდენ კაცს ეცოდინება, რამ-დენმაც 1832 წლის შეთქმულების გაცემამდე იცოდა, რომ ის აჯან-ყების მეთაურად იყო დანიშნული.

ტკივილი გამორეულა ამ სტრიქონებში, ტკივილიც და იმე-დოვნებაც, რომ თანდათან „ჰამბურგული ანგარიშითაც“ შორს გადაწვდება მისი პოპულარობა. ამასაც თავისი მნიშვნელობა აქვს, თორემ მთავარი ყოველთვის ის ყოფილა, სად აღმოჩნდები, როდესაც ჭეშმარიტი გმირობის იფქლი ისტორიული სიყალბისა-გან გამოირჩევა.

ამასობაში საღამოც იწყება და მსახიობი ელიზბარის იმ ჩვენე-ბას წაიკითხავს, ბიოგრაფიული დეტალებით რომ ავსებულა:

სახელი ჩემი ელიზბარ შანშეს ძე, თავადი ერისთავი, ყოფილი პოდპორუჩიკი.

ოცდასამი წლისა ვარ.

უცოლო.

მყავს გლეხები განუყოფელი ბიძებთან და ძმებთან ერთად...

და რომ იწვრთნებოდა პეტერბურგში, სადაც შვიდი წელი დაჰ-ყო, და რომ არტილერიაში მსახურობდა...

მსახიობები და მომღერლები თავიანთ საქმეს მოათავებენ და პაატა ჩხეიძე მათ მადლობით რომ გაისტუმრებს, მათ შორის, ნორჩ დეკლამატორებსაც, გორის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილე-ბას ამცნობს საზოგადოებას: ელიზბარ ერისთავის მემორიალი და-იდგას ჭავჭავაძისა და ცაბაძის ქუჩების გადაკვეთაზე, ალექსან-დრე ორბელიანის საზოგადოების მოწადინება წარმატებით დაგ-ვირგვინდაო.

დაგვირგვინებამდე ჯერ შორია, მაგრამ ესეც უკვე რაღაცას ნიშნავს.

ეგაა, პროფესორი შოთა ქურდაძე არ მოიწონებს შერჩეულ ადგილს და თეატრის სკვერს ამჯობინებს.

ზოგი მხარსაც დაუჭერს, თუმც გადაწყვეტილება გადაწყვეტილებაა და მანამდე აკი არა ერთი ადგილი მოისინჯა საამისოდ და თეატრის ის კვერიც.

ბელეტრიზებული ნარკვევის ავტორი კი შიშობს, ორატორთა გამოსვლები ვაითუ დავიწყების მდინარეს გაჰყვესო, და თითო ფრაზით მაინც ცდილობს ზოგადი სურათის შემონახვას დასაფურცლავად განწირული ჩანაწერებიდან.

1832 წლის შეთქმულება ბუნებრივად ჯდება პოლიტიკური რომანტიზმის იმ ტენდენციებში, რომელიც მაშინ შეიმჩნეოდა მთელს მსოფლიოში – ლათინური ამერიკა, ეგვიპტე, იტალია, პოლონეთი, ბალკანეთი. 32 წლის შეთქმულებამ საქართველო ჩართო გლობალურ პოლიტიკაში და დააბრუნა ისტორიული განვითარების მაგისტრალურ ხაზზე, – ეს კახა კაციტაძეა.

სხვა ყველაფერთან ერთად ელიზბარ ერისთავი ეკონომიკის პიონერია საქართველოში, შუშის ქარხნის აშენებით მან დაამტკიცა, რომ ქართველებსაც შეუძლიათ წარმოება და ვაჭრობა, – ეს ელდარ მამისთვალიშვილი.

რომ არა 1832, 60-იანი წლები სხვანაირი იქნებოდა, – ეს ანდრო ბედუკაძე.

რატომ ეზიდებიან კირქვას უკრაინიდან, როცა ღვარებში გრანდიოზული საბადოებია, – ეს ზაურ თეთრუაშვილი, ასე ძალდაუტანებლად რომ გასდებს ხიდს ელიზბარის ხანასა და ჩვენს დროებას შორის, ელიზბართან ერთად ღვარების საბადოებიც რომ ხელახლა გაგვხდომია აღმოსაჩენი. ნეტა აღმოვაჩენდეთ და ისტორიულ როლსაც აღვუდგენდეთ, და თურაშაულის პატრონები ტყიდან არ ვეზიდებოდეთ პანტას.

გვახსოვდეს, ისტორიული ჭეშმარიტების გზა სტერეოტიპების რღვევაზე გადის, – ესეც თქვენი მონა-მორჩილი.

მარინე გიგაშვილი სტუდენტობას მოისაკლისებდა, რამდენსაც ელოდა, იმდენს ვერ დაინახავდა დარბაზში და გულისწყრომას სცენიდანაც გამოთქვამდა.

თუმც მოგვიანებით ისიც გაირკვეოდა, რომ შეგნებულად დაებნიათ გზა სტუდენტებისათვის – სხვაგან გაეგზავნათ და სხვა დროს. შეიცვალა ბამბეულის კომბინატის კულტურის სახლის დარბაზი, ისევ თეატრის სცენა გადაწყდა და თანაც 4 საათზეო, დაარ-

წმუნებდნენ, და აქ რომ მოთავდებოდა, სტუდენტები მერელა შეიკრიბებოდნენ თეატრის ბაღში და გაბეზრდებოდა დარაჯი მათი უკან გამოსტუმრებით: არავითარი ხსოვნის საღამო აქ არ იმართება, სპექტაკლი კი ჯერ ადრეაო.

...ესეც რეგიონული ეკონომიკის კურსის ერთი ეპიზოდი, რომელსაც არ მოჰყვებოდა ის გაგრძელება, უკრაინა ღვარებს შეეცვალა, პანტა-თურაშაულს.

სხვა მხრივ კი კიდევ ერთხელ გამოჩენილიყო ელიზბარ ერისთავის აჩრდილი, ისეთი გამჭვირვალე, მხოლოდ მოდარაჯე კაცის თვალი თუ შეამჩნევდა, მოწმენდილი, შეუმკრთალი ცისა და ანგელოზისა არ იყოს.

მამუკა ორბელიანთან მე და ელიზბარი მივედითო, – გიორგი ერისთავმა, – მას ჯერ კიდევ ეძინა, და გამოფხიზლებაც აღარ ვაცალეთ, პოლონეთზე დავუწყეთ ლაპარაკიო.

მერე საუბარი როგორ გაგრძელებულა და:

– აქაც გვსურს აჯანყების მოწყობა, – ელიზბარმა, ამ ფრაზით დააბოლოვებდა პოლონეთის თემას, – თქვენ რას იტყვით ამაზე?

– მე დიდი ხანია მსურს და მაქვს ეს აზრი, მაგრამ ვინმესთვის გაზიარება ვერ გავბედე, – მამუკამ.

და ელიზბარი სამოქმედო გეგმასაც გადაუშლიდა:

ტფილისში ასე გვსურს მოვახდინოთ აჯანყება, რომ თავს დავესხათ ყველა სადარაჯოს, ხელში ჩავიგდოთ არსენალი, ციხე, თოფის წამლის საწყობები, დავეცეთ მთავარ შტაბს ისე, რომ ეს ყოველივე ერთდროულად მოხდეს და, მგონია, წარმატებითაც შევასრულოთო.

მამუკა საუკეთესო საშუალებად ამ გეგმას შესთავაზებდა:

გავმართოთ ნვეულება, მოვიწვიოთ ყველა მთავარი მოხელე, და მაშინ ყველგან მზად ვიყოთ, როგორც შენა თქვი, და ერთსა და იმავე დროს თავს დავესხათ, ყველა უფროსი დავხოცოთ, რათა ხელმძღვანელი აღარავინ დარჩესო.

დიდი ხანია მაქვს ეს აზრიო, – მანამდე რომ არწმუნებდათ მამუკა, ამ გეგმით მიხვდები, რომ მართლა უფიქრია, აუწონ-დაუწონია და უფროსობის ჩამოცილება ამ მარჯვედ დაგებული ხაფანგით ყველაზე უკეთეს გზად შეურჩევია. არ არის ეს წამიერად მოფიქრებული საშუალება და ელიზბარს ამიტომაც დაუჯდებოდა ჭკუაში:

– მართლაც რომ უკეთესია.

არც ამ შემთხვევაში ცდილობს, რომ მაინცდამაინც თავისი გეგმა მოახვიოს თავს, ურჩევნია ჩაუკვირდეს და, თუკი სხვის რჩევას მიანიჭებს უპირატესობას, ადვილად დაყაბულდეს.

მაგრამ აქ გიორგი ერისთავი ჩაერევა:

– იქ ჩვენს ქალებს შიშის ზარი აიტანთ.

მართლა ქალებზე წუხს თუ სისხლიან ნადიმს თვითონვე გაურბის? იქნებ ერთიცა და მეორეც, ყოველ შემთხვევაში, მოინდომებს ცოტა დააშოშმინოს რისხვით ანთებული თანამოსაუბრენი.

ელიზბარი ჩაიცინებს და ახალშეძენილ თანამზრახველს მიმართავს:

– მამუკა, წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ ნადიმია, ქალები არხეინად სხედან, ვიშიშვლეთ ხმლები და დაიწყო ჩეხვა, მე მგონია, შენ პირველი ისახელებ თავს.

მამუკა უეცრად როლში შეიჭრებოდა, წამოხტებოდა, სახელოებს წაიწევდა და დაიძახებდა:

– ოხ, ბოროტებო!

მაგრამ მეტს გიორგი ერისთავი არ დააცლიდა:

– მოითმინეთ, მამუკა, მაგალითად თქვენ იშიშვლეთ ხმალი და დაიწყეთ ჩეხა, ამ დროს მოვიდა შენთან ნინა ალექსანდრეს ასული გრიბოედოვის მეუღლე, დაიჩოქა შენ წინ და გეუბნება: მამუკა, რასა შვრებითო. მაშინ რას იზამდი?

მამუკა პასუხად:

– მე ხმალი ხელიდან გამივარდებოდა.

ელიზბარი იუკადრისებდა და თან ხუმრობაში გაატარებდა:

– მე არც კი შევაფურთხებდი.

ბევრს იცინებდნენ, მერე მამუკა ერთ თავის კაცს ჩონგურზე დააკვრევინებდა და ამღერებდა.

ეს ორნი იქიდან ალექსანდრე ორბელიანთან გასწევდნენ და წვრილად მოახსენებდნენ შეხვედრის შინაარსს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მამუკას ბაღისაკენ რომ აივლიდნენ, ის არ მოვიდოდა.

ეტყობა, შეთანხმებულიყვნენ.

და გიორგი მის მოუსვლელობას იმით ახსნიდა: ერიდებოდა ჩვენთან ყოფნასო.

ამასობაში ელიზბარი შეთქმულებას რომ გაუმჟღავნებდა გიორგის ბიძაშვილს – ივანე ერისთავს, მასაც და მამუკასაც მიიწვევდნენ ბაღში და... არცერთი არ მივიდოდა.

მამუკა თავს იმით იმართლებდა: ივანემ არ გამომიშვაო.

მიზეზებს ეჭიდება. გულწრფელია, რუსთა მფლობელობის დამხობაზე უამათოდაც რომ ოცნებობდა, გულწრფელია, ულმობელ გეგმას რომ სთავაზობს და ხელებსაც ისე იქნევს, თითქოს მტერი თვალწინ უდგასო, მაგრამ ფეხი მაინც უკან რჩება და მოვლენათა მსვლელობას ელოდება, საბოლოო არჩევანს იმის მიხედვით გადაწყვეტს, თუ როგორ დატრიალდება ბედისწერა. მერე ან შუაგულსა და ცხარე ბრძოლაში შეიჭრება, ანდა უგანებთ. ამიტომაც ერიდება მათ სიახლოვეს.

ივანე რა – ხომ არ დააბამდა, თუ გულით სურდა, როგორმე მიაღწევდა შეპირებულ ადგილამდე.

ელიზბარი მაინც მას უფრო ენდობოდა და ივანეზე გაგულისებული, როგორ თუ არ გამოუშვაო, მოძებნიდა ივანეს და სულ თაღლითს უძახებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გიორგიც შეხვედროდა თავის ბიძაშვილს და რომ უსაყვედურებდა, რატომ არ მოხვედიო, ის აქეთ დაამუნათებდა:

– დაიკარგეთ, თქვე ბიჭუნებო!

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ თანხმობას განუცხადებდათ.

მამუკას ეს მიზეზიც გამოეცლებოდა ხელიდან.

თან იქნებოდა მათთან.

თან გარე-გარე შემოუვლიდათ.

* * *

22 თებერვალს მამუკა ორბელიანი განმარტებით ბარათს შეადგენდა გენერალ-მაიორ ჩევკინის სახელზე და ფიცილსა და მტკიცებას მოჰყვებოდა, უსამართლოა ბრალდება, თითქოს მე გენერალ-მაიორ ჭავჭავაძის, მაიორ ლუარსაბის, პოდპორუჩიკების ალექსანდრე ვახტანგის ძისა და ალექსანდრე გიორგის ძის ორბელიანების, პრაპორშჩიკების ელიზბარ და გიორგი ერისთავების ბრბოს მონაწილე ვიყავი მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაშიო. არასოდეს არც მქონია და არც მაქვს ბოროტი განზრახვანი, არც მონაწილე ვყოფილვარ და არც მახლობლობა მაკავშირებდა მათთან, პირიქით, მუდამ ვიყავი და ვარ ერთგულად თავდადებული მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ყოვლად მოწყალე ხელმწიფისა და მუდამ მზად ვიყავი სამსახურისათვისო. რომ არ ვილაპარაკო ჩემს წინანდელ დამსახურებებზე ჩემს მადლიერ უფროსთა ხელქვეითობის

დროს, 1832 წელს ტფილისის მაზრაში მილიციის მოკრებისას ვმონაწილეობდი ამ საქმეში ერთგულად და მალე ამის შემდეგ, სამოქალაქო გუბერნატორის განკარგულებით, გავიგზავნე ბორჩალოს დისტანციაში მილიციელთა ოთხას, ან იქნებ მეტიც, რჩეული კარგცხენოსანი მხედრების მოსაკრებად, რომლებიც უნდა გაგზავნილიყვნენ აჭარის ოლქში აჯანყებულ ლეკთა წინააღმდეგო. თუმც მაშინაცა სამართლის ქვეშ ვიყავი იმავ ცილისმწამებელთა წყალობით 1829 წელს ტფილისის მაზრაში მილიციის მოკრების გამო ავლაბარში მომხდარ ამბავთან დაკავშირებით, მაგრამ დიდი სიხარულით მივიღე ეს სასიქადულო დავალება და სასწრაფოდ გავემგზავრე მთებში, ოთხ დღეში მოვკრიბე ორი ათასამდე არჩეული მხედარი და მათთან ერთად წარვუდექ ტფილისში სამოქალაქო გუბერნატორს თავად ფალავანდიშვილსო. ამ დამსახურების გამო არამარტო მე მივიღე უზენაესი მადლობა, არამედ საქართველოს მთელმა თავად-აზნაურთა წოდებამო. თუკი მე მქონოდა უგუნური აზრები და ვყოფილიყავი მათი ამხანაგი, მაშინ რიღასთვის ვივალებდი ასე გულწრფელად მთავრობის დავალებას და შევასრულებდი მას ზუსტადო?

მაინც რას ერჩოდნენ მამუკა ორბელიანს?

ზემოხსენებულ ცილისმწამებელთა ჩვენება არის მხოლოდ გამოგონილი იმ მტრობისა და ჯავრის გამო, რომელიც ძველთაგანვე აღმოცენებულა ჩემს ოჯახსა და მათ შორის სხვადასხვა მიზეზთა გამო, რაც მთელმა საქართველომ იცის და ზოგიერთი რამ თქვენს აღმატებულებასაც მოეხსენება და, როგორც ჩანს, მთავრობისადმი ჩემი ერთგულება უნდა იყოს მიზეზი, რადგან ისინი მუდამ რაიმეს გამომიგონებდნენ ხოლმეო.

ჩემზე იმიტომ აჩვენებენ, რომ რაკი თვითონ გასვრილნი არიან, მეც გამაჭუჭყიანონ თავისი უსინდისო და უკადრისი ცილისწამებითო.

სრულებით არ იყო ჩემთვის საჭირო დავკავშირებოდი მათ და გავმხდარიყავ მათი ამხანაგი მაშინ, როდესაც ღვთისა და ხელმწიფე იმპერატორის წყალობით მაქვს სავსებით საკმარისი ქონება ჩემი ოჯახის შესანახად და მახსოვდა როგორ მომიალერსა პირადად ხელმწიფე იმპერატორმა ვარნასთან, რომლის მოწმეც თქვენ ბრძანდებოდით, რა მიზნით უნდა გავმხდარიყავ მათი ამხანაგიო.

ძალიან დამფრთხალა მამუკა ორბელიანი და მზადაა არამარტო შეთქმულთ გაუტეხოს სახელი, არამედ მთელს ქართველ თავადაზნაურობასაც, უჩიოდნენ აქაურ სამთავრობო დაწესებულებებს, გლეხებსა და მამულებს გვართმევენო.

თვითონ როგორ ეპასუხებოდა მათ ჩივილ-დრტვინვას?

აწყნარებდა მხოლოდ, ურჩევდა, თანდათანობით აცნობეთ მთავრობას – ჯერ სამოქალაქო გუბერნატორს, შემდეგ მთავარმართებელს და უფრო მაღლაცო. საპროტესტო განწყობილების შენელება სურდა და ლაპარაკითაც მხოლოდ ამის თაობაზე ელაპარაკებოდა. იმათ კი, დახე, როგორ მოუნდომეს თანამზრახველად გამოცხადება, თითქოს მამუკა იოლი დასაჩაგრი იყოს და ხმის ამოღებას ვერ ბედავდეს. გაბედავს, გაბედავს და ყველამ თავის თავს დააბრალოს.

კიდევ გამოჰკითხავთ რაიმეს?

არაფერს დაგიფარავთ, ოღონდ შეთქმულებაში მონაწილეობას ვერ დაიბრალებს – ათასჯერ რომ ჩაეკითხოთ, ათასჯერვე გაგიმეორებთ, რომ სრულებით არაფერი იცოდა, აჯანყება თუ მზადდებოდა მთავრობის წინააღმდეგ და რუსების გასარეკად, და არც იმ იმედებისა შეუტყვია რაიმე, პოლონელთა აჯანყებამ რომ გაუღვივა აქაურ ბოროტგანმზრახველთ.

მამის დამსახურებასაც გაიხსენებს მთავრობის წინაშე – განა თამარ ორბელიანმა არ შეიპყრო ფარნაოზ ბატონიშვილი, ვინც ყაზახის დისტანციით ირანს ლამობდა გაღწევას?

თურმე მამის დამსახურება ბევრს არაფერს ნიშნავს იმ უბრალო მიზეზით, რომ ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის მამების თავგამოდება რუსული იარაღის სადიდებლად და რუსთა ბატონობის განსამტკიცებლად ყველას ჩინებულად მოეხსენება, მაგრამ ამანაც ვერ დააბრკოლა მათი შვილები ბოროტი განზრახვა ჩაეთქვათ და კინაღამ კიდეც აატრიალეს ქვეყანა.

კი მაგრამ, ეს მამუკა ორბელიანი ასე რატომ გამოირჩა? სხვა ჩვენებანი უფრო საგულისხმო და დამაფიქრებელიცაა თავისთავად და ასე დეტალურად კი არ გაგვიხსენებია და მისი ფიცი და მტკიცი რატომ გახდა ასე აუცილებელი ამ თხრობაში ჩასართავად?

სულ მალე შეიტყობთ, ჯერ იგი კომისიის წინაშე წარმდგარა გულდათუთქული და შეთქმულთ ქვასა და გუნდას აყრის: მთავრობის მიერ გაბედნიერებულებმა თუკი გაბედეს ხელმწიფე იმპერატორის წინააღმდეგ ასეთი გაიძვერა და არაქრისტიანული განზრახვები, რაღა გასაკვირია, რომ ჩემზეც უსამართლოდ იგონებენო. და გამომძიებელთა გონიერებას მინდობია: არ გაგიძნელდებათ დაინახოთ ჩემი უდანაშაულობა და დამიფაროთ ამ ქვეყნის დამღუპველ ცილისმწამებელთაგანო.

25 თებერვალს გამოძიება პირისპირ წაუყენებდა ერთმანეთს ელიზბარ ერისთავსა და მამუკა ორბელიანს.

ეს გაცოფებული მივარდებოდა ელიზბარს: დაივიწყე ღმერთი, კეთილმყოფელი იმპერატორი, რომელმაც დაგიბრუნა ქართველი მეფის მიერ ჩამორთმეული მამული და გლეხები, და წამლით გყავს მოკლული მამაშენიო.

ელიზბარი შეურაცხყოფილი დარჩებოდა, მამისმკვლელს რომ დაუძახებდნენ, და დამტკიცებას მოითხოვდა.

გამომძიებლები ყურსა ცქვეტდნენ.

ეს იმისთანა ბრალდება გახლდათ, ხელიდან როგორ გაუშვებდნენ და მეორე დღეს მამუკა ორბელიანისაგან მოითხოვდნენ განმარტებით ჩვენებას, რაც კი იცოდა იმ მკვლელობის ირგვლივ.

მამუკას რაღაც უჩვეულო არ უთქვამს, თვითონ კი არ შეუთხზავს, ეჭვი ისედაც ტრიალებდა, ელიზბარისათვის დაეწამებინათ შანშე ერისთავის აღსასრული, და ხელზე ის დაეხვიათ, რომ მამა-შვილი საპირისპირო პოლიტიკურ შეხედულებას იცავდა თავგამოდებით და მათი შეთანხმება შეუძლებელი ჩანდა.

გარდა ამ ზოგადი ეჭვისა, არსებობდა ერთი მეტად დამაფიქრებელი რეალიაც, აშკარა შეცდომა – საბედისწერო, ოღონდ შეგნებული თუ უნებური?

ჭორიკანებისათვის, ცხადია, ეს სავსებით შეგნებული საქციელი უნდა ყოფილიყო.

ელიზბარის პატივისმცემელნი შემთხვევითობას მიაწერდნენ.

მაგრამ ცუდად კი გახლართულიყო ელიზბარის სახელი შანშე ერისთავის გარდაცვალების ისტორიაში, რაც მართლა ისტორიად იქცეოდა, თუკი შემაძრწუნებელი ეჭვი დადასტურდებოდა და შანშე და ელიზბარ ერისთავები რეალური მამა-შვილიდან ერთბაშად გარდაისახებოდნენ ანტიკური ტრაგედიის პერსონაჟებად.

მაქვს პატივი მოგახსენოთო, – სწორედ დადასტურებას ირწმუნებოდა მამუკა ორბელიანი და გუნებაში ექადნებოდა ელიზბარს, დამთავრებულია შენი ამბავი, ყველა რომ გადაურჩეს ოთხად განკვეთას, ეს სასტიკი ხვედრი შენ მაინც არ აგცდებაო.

პატივი ჰქონდა მოხსენებისა და კიდეც:

ელიზბარ ერისთავის მამა, უფალო გამომძიებლებო, მამუკა ორბელიანის ცოლისა და მისი ძიძის დარიას ხელში გარდაიცვალა. ისინიც გორში იმყოფებოდნენ და სიტყვა-სიტყვით ეს უამბეს –

ოთახში ორი წამლიანი შუშა მდგარა. ერთში სპირტი იყო ავადმყოფის დასაზელად, მეორეში კი დასალევი ესხა და ავადმყოფს წამალს ყოველთვის ელიზბარი ასმევდა. როცა დაალევინა იმ დროზე, როგორც ექიმს ჰქონდა ნათქვამი, ავადმყოფს რამდენიმე ხნის შემდეგ დასცდენია: გული მეწვისო, – და მალე სულიც განუტევებია.

შემდეგ გამორკვეულა, რომ ავადმყოფს სპირტი დაულევია და არა საჭირო წამალი.

დანარჩენი თვითონ განსაჯეთ.

მამუკა მხოლოდ ერთს მოგახსენებთ:

– და თუ მე ეს უადგილოდ მოვიხსენიე იმ ჯავრიანობის გამო, რომელიც ელიზბარ ერისთავმა თავისი უსამართლო ჩვენებით მომაყენა, – უმორჩილესად ვთხოვ კომისიას, მომიტევოს როგორც ადამიანს; ხოლო თუ ელიზბარ ერისთავი თავისას დაიჟინებს, მაშინ მეც უმორჩილესად ვთხოვ კომისიას დაგვიმტკიცოს, სად და ვინ გვცემა მე და სოვეტნიკ ზუბარევს, როგორც მან ეს მითხრა კომისიაში ამ კომისიის სხდომის დროს.

ქვეტექსტი ბოლო ფრაზისა მხოლოდ ერთს გვიმჟღავნებს – ელიზბარს უცემია მამუკაც და ზუბარევიც, მაგრამ ნეტა სად და როდის? ეს თემა აქვე იხურება და, თუმც გიორგი გოზალიშვილი ამ თვალით ხელახლა გადაიკითხავდა საგამოძიებო კომისიის ოქმებს, ხელჩასაჭიდს ვერაფერს მიაკვლევდა.

ელიზბარი მოვალეა პასუხი გასცეს ამ მძიმე ბრალდებას და საგანგებო ჩვენება წარუდგინოს კომისიას შანშეს გარდაცვალების ირგვლივ.

5 მარტს ეს განმარტებაც დაიწერება.

შეურაცხყოფა მომაყენა, ვითომც მე მომენამლოს მამაჩემი, და ეს უსამართლობაა, – აღშფოთებულია ელიზბარი და დეტალურად იხსენებს სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს.

– 1831 წლის აგვისტოში მივიღე განსვენებული მამაჩემისაგან წერილი, რომელშიაც მწერდა, გორს ჩავსულიყავ. მე და ჩემი დაი აგვისტოს შემდეგ ჩავედით გორში, სადაც მამა ავადმყოფი დაგვხვდა, მას მკურნალობდა ექიმი იავლევსკი და დღეში რამდენიმეჯერ ნახულობდა ავადმყოფს.

დღეში რამდენჯერმე ნახვის აუცილებლობა, ცხადია, გულისხმობს, რომ სნეული საკმაოდ მძიმედაა და იქნებ სასიკვდილოდ გადადებულიც... მაგრამ მამუკა ორბელიანის ნაამბობის შთაბეჭდილების ქვეშ თუ მოვქცეულვართ, ექიმის ხშირი ვიზიტის საგანგებო

აღნიშვნა შესაძლოა შეგნებულ გამძაფრებადაც მოგვეჩვენოს რეალობისა, რათა ბრალი ამ ხერხით აიცილოს... თუმც ნუღა გავიხსენებთ იმ ულმობელ ჩვენებას და ელიზბარის მონათხრობს მივყვეთ.

– მე ყოველ ღონეს ვხმარობდი და ვუვლიდი მშობელს, ვასმევდი წამალს დანიშნულ დროზე.

კი მაგრამ, გორში ელიზბარი დასთან ერთადაა ჩასული და მელანია ერისთავი-მელნიკოვისა მამის მოვლისას არსად ჩანს. ძმას შეატოვა სნეულზე მზრუნველობა თუ რა ხდება?.. თუმც აკი გადავწყვიტეთ, მონათხრობს მივყოლოდით.

– აგვისტოს დამლევს, რიცხვი არ მახსოვს, მოვიდა ჩემთან ნასადილევს იავლენსკი, გასინჯა მამა და მკითხა, მივეცი თუ არა მას წამალი; მე ვუპასუხე, სწორედ ეხლა არის დრო-მეთქი, მივედი ფანჯარასთან, ავიღე შუშა, დავასხი კოვზზე და მივაწოდე მამას. როგორც კი გემოდ ნახა, მაშინვე კოვზი წამლიანად უკანვე მომაწოდა. მაშინ ექიმმა თქვა, წამალი შეგეშალათო, და ბრძანა რძის მოტანა, რომელიც მაშინვე მოუტანეს მეორე ოთახიდან, სადაც ყავის დასალევად ემზადებოდნენ. ექიმმა მამას ჯერ პირი გამოურეცხა რძით და მერე კი დაალევინა, ყავაც მოიტანეს და მამას იავლევსკიმ ერთი ფინჯარი დაალევინა. ამის შემდეგ მისცა ფხვნილი, რის შედეგად გულს დააზიდა. მე დავინახე, რომ კოვზი ისევ სავსე იყო იმ წამლით, უკან რომ მომაწოდა, ისე რომ თუკი დალია – სულ მცირე, და იმ საშუალებათა შემდეგ, რომელიც მან მიიღო, წამალს აღარ შეეძლო ჰქონოდა მამის ჯანმრთელობაზე რაიმე გავლენა, რაშიც თვითონ ექიმმა დამარწმუნა.

სულ მცირეო – ირწმუნება ელიზბარი – თანაც დროულად ჩაერია ექიმიო, მაგრამ სხვა წამლის ნაცვლად რომ სხვა მისცა, ეს თვითონაც ველარ უარყო, მითუმეტეს, მისთვის მეტად სამძიმო გარემოში – ისედაც მსჯავრდებულია და თანაც სახელმწიფო დანაშაულში და გამოძიება ამ თითქოს და უნებლიე შეცდომას როგორ იურიდიულ შეფასებას მისცემს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ამიტომაც ბევრად ერჩივნა წამალთა ეს არევა სრულიად დაფარული დარჩენილიყო, მაგრამ რაკიღა ველარ მიჩქმალულა, ცდილობს ბრალი იმით შეიმსუბუქოს, მამაჩემს საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა და მაინც არაფერი ეშველებოდაო.

წამალი შეგეშალათო – ავისმომასწავებლად ხმიანებდა ექიმის მაშინდელი ფრაზა.

– მამუკა ამბობს, რომ წამალი, რომელიც შეცდომით დავალევინე, სპირტი იყო, მაგრამ ეს მართალი არ არის. პირველი წამალი,

რომელიც უნდა დამელევინებინა, მიქსტურა იყო, მეორე წამალი კი, ისეთივე ფერისა, გარეგანი სახმარი და არა სპირტი.

სპირტია თუ სულ სხვა ნამალი, ეს ამ შემთხვევაში უმნიშვნელო წვრილმანია და გამოძიებისათვის არაფრისმთქმელი. მთავარია, რომ სამკურნალოს მაგივრად რაღაც მოსაწამლი დაალევინეს, და მართლა უნებური შეცდომით თუ წინასწარ განზრახვით, ამას უკვე შემდგომი ძიება დაადგენს.

ელიზბარი, თუკი საქმე გართულდება, ექიმის ჩვენების იმედადაა:

– მამაჩემი გარდაიცვალა 9 სექტემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო და არა წამლის შეცდომით, რასაც თვით ექიმი იავლენსკი დაადასტურებს.

გამომძიებელთა მოთხოვნით ექიმი იავლევსკი მოხსენებას შეადგენდა და გაიხსენებდა, რომ შანშე ერისთავმა, ქართველმა თავადმა, პოლკოვნიკმა, 1831 წლის აგვისტოში მიიწვია მკურნალად გორში, რადგანაც მძიმედ შეიქნა ავად ფარული გემოროიდებით, შარდის შეხუთვით, რასაც დაერთო სიცხეც. მოხუცებულობის გამო სნეულება ისე გაძლიერებია, რომ სასიცოცხლო ძალა დაელია და ხშირად გული უწუხდა. ექიმი საჭიროდ ჩათვლიდა, გარდა შინაგანი წამლისა, მისთვის მიეცა გარეგანი სპირტები, როგორც დასაზელად, ისე საყნოსად.

ვინ ახმარდა ამ წამლებს?

– როგორც მახსოვს, მისი ქალი მელანია, ქალბატონი მელნიკოვისა, რადგან იგი თითქმის განუყრელად თავისი ავადმყოფი მამის ლოგინთან იყო.რომ გვიკვირდა, გორში ძმასთან ერთად ჩასული ქალი ასე უკვალოდ სად გაქრა, რომ მამის მოვლა ელიზბარს შეატოვაო, თურმე მამის საწოლს არა სცილდება.

მაგრამ ესეცაა: თუ მელანია „თითქმის განუყრელად თავისი ავადმყოფი მამის ლოგინთანაა“ და წამლებსაც სულ ის აძლევს, რაღა იმ ერთხელ და საბედისწეროდ მოუნდომებია ელიზბარს წამლიანი შუშის გადმოღება ფანჯრის რაფიდან. შეცდებოდა, აბა, რა იქნებოდა!.. ისიც, თუკი მართლა შეცდა და შემთხვევით არ ისარგებლა.

მოწმედ მოწვეულ ექიმს რა შთაბეჭდილება დარჩა? ხელს დააფარებს ელიზბარს თუ განზრახ მოქმედებად ჩაუთვლის?

– ერთხელ ჩემს აქ ყოფნის დროს, არ მახსოვს, რა რიცხვი იყო, ავადმყოფის ქალმა შინაგან სახმარებლად გამოწერილი წამლის მაგიერ შეცდომით დაუსხა ავადმყოფს გარეგანი სახმარებელი წამალი...

მოიცა, როგორ, ქალმაო?

ქალმაო და არა ელიზბარმაო?

იქნებ ექიმი რაღაც სხვა ეპიზოდს იგონებს?

– მაგრამ რადგან ეს წამალი შემზადებული იყო კამფორის სპირტისა, ნიშადურიანი სპირტისა, წითელი წიწაკისაგან და ძალიან მაგარი იყო, მან ჩაყლაპა იგი და მაშინვე პირიდან გადმოანთხია, და რადგანაც იმ დროს მე იქ ვიყავი, რათა ამეცდინა ავადმყოფისათვის პირის ანთება, რაც შეიძლება ამას მოჰყოლოდა, მაშინათვე დავალევინე ბლომად ცხელი რძე და ცოტა ყავა, შემდეგ კი მივეცი პირსაღებინებელი წამალი იმ მოსაზრებით, რომ თუ ავადმყოფმა ამ წამლის ცოტა წვეთები მაინც ჩაყლაპა, ის ამოანთხიოს. მაგრამ პირღებინებას ამ წამლის ნაწილი ამოჰყოლია და ავადმყოფს არც უგრძვნია კუჭში არავითარი ტკივილი.

ზუსტად ის ეპიზოდია და ისეთნაირადვე ნაამბობი, როგორც ელიზბარს უკვე მოეთხრო, საერთო განწყობილებაც და დეტალებიც ერთი და იგივეა, თუმც... თუმც ერთი არსებითი და გამაოგნებელი განსხვავება ძალიან შეგვაფიქრიანებს.

ელიზბარის ნაამბობის მიხედვით, შემცდარი პერსონაჟი თვითონვეა.

ექიმ იავლენსკის მონაყოლის მიხედვით, შემცდარი პერსონაჟი მელანია ერისთავია.

ელიზბარის ნაამბობის მიხედვით, გვერდით ოთახში ყავის მსმელად მელანია იგულისხმება.

ექიმ იავლენსკის მონაყოლი ელიზბარს წარმოგვიდგენს ყავის ფანჯნით ხელში.

რა ხდება, რატომ იღებს თავის თავზე ელიზბარ ერისთავი სხვის უნებურ შეცდომას, თანაც მისთვის ასე რიგად მძიმე ყოფაში?

ექიმი თავისას ამტკიცებს:

– შემდეგ მე ვაკვირდებოდი ავადმყოფს რამდენიმე დღის განმავლობაში, მაგრამ მას თავისი საერთო ავადმყოფობის მეტი არაფერი მოუჩივლია.

ამასობაში გენერალ-ლეიტენანტი თავადი ერისთავი გორში გამოგზავნიდა ტფილისიდან საექიმო სამმართველოს ინსპექტორს, შტაბ-მკურნალ დესპენერს, რათა ამ ორს ერთად აღმოეჩინა სნეულისათვის საექიმო დახმარება.

– ამიტომაც ამ წამლის შეცდომით მიცემა იმან იცისო, – იავლენსკიმ.

და სრული დაბეჯითებით:

– პოლკოვნიკი თავადი შანშე ერისთავი გარდაიცვალა ამ ამბის ერთი კვირის შემდეგ, მაგრამ სრულიადაც წამლის შეცდომით მიღების გამო არა, არამედ გემაროიდული სნეულებით, რაც საშარდე ბუშტზე გადავიდა, რადგან შარდი მხოლოდ წვეთწვეთად გადმოვიდა, და ამასთანავე, ამ ავადმყოფობას ზედ დაერთო აგრეთვე ციებ–ცხელებაც, რაც ღრმა მოხუცებულობის გამო მან ვეღარ აიტანა.

იქნებ ეს ვერსია საგანგებოდ შეითხზა გამოძიებისათვის?

იქნებ იავლინსკი პირადი მოტივით ცდილობს ელიზბარის გამოხსნას?

ექიმის ეს ჩვენება გიორგი გოზალიშვილს გამოქვეყნებით კი გამოექვეყნებინა „1832 წლის შეთქმულების" მეორე ტომში, მაგრამ სამეცნიერო მიმოქცევაში მაინც ვერ მოქცეულიყო, ჩაკარგულიყო უამრავ მასალაში და ანალიზისას საგანგებოდ არავის წამოუწევია. ელიზბარ ერისთავის ის ფრაზა: ნათესავი რას მიქვიან, ის აქ არაფერ შუაშია, მამაც შეიძლება მოკლას კაცმა უთანხმოების შემთხვევაში, არათუ ნათესავიო, – რატომღაც ისე აფარებოდა მის სილუეტს, თითქოსდა ეჭვშეუვალი დასტურია მამუკა ორბელიანის მიერ წაყენებული ბრალდებისაო.

ჭორებში გახვეულიყო შეთქმულების მთავარსარდლის სახება და ის, რაც ხელმოსაჭიდი გახლდათ ელიზბარისათვის მამისმკვლელობის ბრალდების ჩამოსარეცხად, ყრუ და საორჭოფო საბუთად რჩებოდა, ვიდრე მანანა ხომერიკი კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს არ მიაკვლევდა საარქივო მასალების შესწავლისას და „ჩვენი მწერლობის" ფურცლებიდან (2002, 22 ნოემბერი) რეზონანსს არ მიანიჭებდა შეთქმულების მეთაურის უცოდველობას.

გამოძიება დეპნერსაც მონახავდა და ჩვენებას ჩამოართმევდა, შეაჯერებდა იავლენსკის განმარტებას და ამ დანაშაულით აღარ დაამძიმებდა მეამბოხეს.

დასკვნა მკაფიოა და დამაჯერებელი:

„კომისიამ საჭიროდ ჩათვალა ამ მედიკოსების დაკითხვა და ორივემ უჩვენა, რომ თუმცა მსგავსი შეცდომა წამლის მიწოდებაში ნამდვილად მოხდა, მაგრამ ის მოუვიდა არა ელიზბარს, არამედ მის დას, უფალი მელნიკოვის მეუღლეს".

და ექიმები იმასაც დააზუსტებდნენ:

ამ შეცდომას დიდი გავლენა არ მოუხდენია ავადმყოფის ჯანმრთელობაზე, ვინაიდან იგი, მიწოდებული სპირტის სიმძაფრის გა-

მო, მის გადაყლაპვას ვერ შეძლებდა, მხოლოდ ოდნავ თუ დააკარებდა პირსო.

მკვლევარი დეტექტივის ჟინითაც ჩაუკვირდებოდა ელიზბარისა და ექიმების ჩვენებებს და ძალდაუტანებლად წარმოაჩენდა ხელშესახებ დამთხვევებს:

ელიზბართან ერთად მამას უვლიდა მისი და მელანიაც, ვინც სწორედ ამ მიზნით ჩავიდა გორში;

წამალი შეცდომით მიაწოდეს, მაგრამ ავადმყოფმა მისი დალევა ვერ მოასწრო;

ეს უნებური შეცდომა ექიმ იავლენსკის თანდასწრებით მოხდა;

შეცდომას დიდი გავლენა არ მოუხდენია ავადმყოფზე.

მხოლოდ წამლის მიმწოდებლის ვინაობა არ ემთხვევაო, – მკვლევარიც ამასვე დასძენს: ელიზბარი საკუთარ თავს ასახელებს, ექიმები კი მის დასო.

ვინ ამბობს სიმართლეს?

და უტყუარად ექიმების ცნობას აღიარებდა:

რატომ მისცემდნენ ისინი კომისიას ცრუ ჩვენებას ელიზბარის სასარგებლოდ, მითუმეტეს, ელიზბარი საწინააღმდეგოს ამტკიცებდაო.

მართლაც, სახელმწიფო დამნაშავედ შერაცხილი კაცის გულისათვის გამოძიების მოტყუებას რატომ შეეცდებოდნენ – მაინცდამაინც ის სურდათ, რომ თვითონ ელიზბარი სცემოდათ პირში და ბურთი ჩაეჩარა მათთვის?

მხოლოდ ეს შეიძლება ვიფიქროთ:

ექიმები ოდნავადაც არ ასხვაფერებენ რეალურ სურათს.

ელიზბარი მაინც რატომ იბრალებდა სხვის შეცოდებას?

ახალი მასალა მკვლევარს ასე აღუდგენდა თვალწინ იმ სურათს:

მელანიამ თავისი დაუდევრობით მამას შეცდომით მიაწოდა წამალი, რაც საბედისწეროდ არ ქცეულა. წამლის შეცვლა მაშინვე შეამჩნია იქ მყოფმა ექიმმა და სათანადო ზომებიც მიიღო, ატყდა ჩოჩქოლი და ავადმყოფის მოწამვლის შესახებ ყველამ შეიტყო, ვინც მეზობელ ოთახში ყავის დასალევად ემზადებოდა. მელანია საშინელ ყოფაში აღმოჩნდა, მაგრამ ელიზბარმა დაამშვიდა და შეცდომა თავის თავზე აიღო. სიმართლე არც ოჯახის წევრებისათვის გაუმხელია, მათ შორის, მელანიას მეუღლისათვის. ჭორების შუაგულში მაშინაც ელიზბარი მოჰყვა და შეთქმულების გამოძიე-

ბის დროსაც მტრებმა ეს ფაქტი დამხობილი მთავარსარდლის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს – მამისმკვლელად გამოაცხადეს, მაგრამ მას ბოლომდე არ უღალატია დისათვის მიცემული სიტყვისათვის და არასოდეს დაუსახელებია. ასე ატარა მთელი ცხოვრება სხვისი დანაშაულის ტვირთი.

სიმართლე მაინც არ დაიკარგაო – ესახელებოდა მკვლევარს თავისი მიგნება და ელიზბარ ერისთავის სახის ახლებური გაცისკროვნება – ძვირფასი მასალა ისტორიკოსისა და ლიტერატურისმცოდნისათვისაც, ფსიქოლოგისთვისაც, ფილოსოფოსისთვისაც და მწერლისთვისაც, ეს მცირე სტატია სიუჟეტურ ქარგად რომ გამოადგებოდა დეტექტიური მოთხრობისთვისაც და ტრაგიკომედიისთვისაც.

თანამედროვე სოფოკლეს ხელში მართლაც მადლიანი მასალაა.

მეტად ორიგინალურ დეტექტივად მოიხსენიებდნენ მის „ოიდიპოს მეფეს", დეტექტივის ჟანრის ფესვებს რომ დაუწყებდნენ ძებნას, მაინც ვინ შეიძლება ყოფილიყო ედგარ პოს წინამორბედი ადრეულ საუკუნეებში და სულაც ანტიკურ ეპოქაში. ეს ტრაგედია, ბოლოსდაბოლოს, მკვლელობის ძიებაზე აიგებოდა სიუჟეტურად და უჩვეულო კი ის გახლდათ, რომ დეტექტივად გარდასახული მეფე ოიდიპოსი თავგადაკლული ძებნის შემდეგ საკუთარ თავს აღმოაჩენდა მკვლელად. რეალურ ოიდიპოსს საიმისო კეთილშობილება და ვაჟკაცობა არ მომადლებოდა, თამამად გაესწორებინა თვალი ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ სოფოკლე ამ რეალური ამბის საფუძველზე რომ გაშლიდა ტრაგედიის თხრობას, მთავარ გმირს გააიდეალებდა და სწორედაც კეთილშობილებისა და ვაჟკაცობის შთამაგონებელ ნიმუშად დასახავდა, თვითონვე რომ გამოუტანდა საკუთარ თავს სასტიკ განაჩენს.

მაგრამ ელიზბარ ერისთავის ამბავს რაღა უნდა დარქმეოდა, როდესაც არარსებული ცოდვა სამარის კარამდე ზიდა და შთამომავლობასაც დაუტოვა, და, რასაკვირველია, იმის იმედად ვერ იქნებოდა, ისტორიკოსი ისეთ დოკუმენტებს მიაგნებს, ჩემს უცოდველობას შთამომავლობა მაინც ირწმუნებსო.

„ექიმებმა სიმართლე გაამჟღავნეს", – ასე დასათაურდებოდა ეს მცირე სტატია, ისტორიკოსის სტილური მანერის შესაფერისად, თორემ სენსაციების მოყვარულს რომ ჩავარდნოდა ეს მასალა ხელთ, მამისმკვლელობას წერილის სახელწოდებაშივე გაიტანდა და, ვინ იცის, ალექსანდრე ყაზბეგის რომანიც გაეხსენებინა ასო-

ციაციური მინიშნებით... თუმცა იმ სენსაციებისმოყვარულს კიდეც დაეენანებოდა, ელიზბარ ერისთავი მკვლელი რომ არ აღმოჩნდებოდა საკუთარი მამისა, და მელანიაც, გინდა – არ გინდა, უდანაშაულო გამოდგებოდა – შანშე ერისთავს უკვე ისედაც ვეღარაფერი იხსნიდა.

თორემ აგერ ექიმთა მოწმობა, სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებულის გამოქომაგებას ვერაფრისდიდებით რომ ვერ გაბედავდნენ.

თავისებური სენსაცია აღმოჩნდებოდა ეს მცირე სტატია და ის გამოძახილი, რაც ამ პუბლიკაციას მოჰყვებოდა, აირეკლებოდა „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზეც.

ნინო ვახანიამ:

– არა, არ შეიძლება, ასეთი კაცის ცხოვრებას სამუდამოდ დაჩნეოდა შავ ლაქად საშინელი ცილისწამება. და აჰა, ყველაფერი გაირკვა და თავის ადგილზე დადგა. ელიზბარ ერისთავი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. მან სხვისი შეცდომა დაიბრალა და სიკვდილამდე მძიმე ჯვარივით ზიდა მამის მკვლელის სახელი.

და რა ბედნიერი დამთხვევაა – სწორედ მაშინ, როცა ელიზბარ ერისთავის შესანიშნავი ძეგლი უნდა დაიდგას, ეს დიდებული მამულიშვილი კიდევ ერთი საუკეთესო კუთხით დავინახეთ – უზადო და უმწიკვლო, ისეთი, როგორადაც გვესახება ეროვნული გმირი (17 იანვარი).

ელგუჯა თავბერიძემ:

– რაოდენ სულგრძელი უნდა იყო, მთელი ცხოვრება რომ ატარო ეს საიდუმლო, ატარო მძიმე ტვირთი მამის მკვლელობაში ეჭვმიტანილისა და ერთხელაც, თუნდაც მინიშნებით, არაფერი გაამჟღავნო – არ თქვა, წამალი მე კი არა, ჩემმა დამ მელანიამ მიაწოდა შემთხვევით, რომელიც, რა თქმა უნდა, მამის სიკვდილის მიზეზი არ გამხდარა, მე კი ამ ამბავში სრულიად უდანაშაულო გახლავართო...

და მე ეს საოცარი დიდბუნებოვნება, ზღვარს გადამცდარი სულგრძელობა მიტრიალებს გონებაში, სახელიც რომ ვერ დამირქმევია თითქოს, თუმცა რატომ... ეროვნული გმირები ასე იქცევიან (11 აპრილი).

აქ ერთი გარემოებაცაა დამაფიქრებელი.

სურათი წარმოვიდგინოთ.

ელიზბარი თანამგრძნობელებთან – მეგობრებთან თუ ნათესავებთან – ერთად ყავას მიირთმევს და ერთგვარი სალონური გან-

წყობილებაა – თან შანშეს სნეულებაზე ბჭობენ, თან უსათუოდ იმ მოსაზრებებსაც უზიარებენ ერთმანეთს, როგორ სჯობს გორის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება, სანუგეშო და საიმედო ამბები რა ისმის ტფილისიდან. ავადმყოფის ოთახში რაღაც ხმაური ატყდება. ელიზბარი შიგნით შევარდება და ხედავს მელანიას – ფერდაკარგულსა და ცრემლმორეულს, ხელებს რომ იმტვრევს: ეს რა დამემართა, მე მოვწამლე, შუშები ამერიაო. იავლენსკი მაშინვე განკარგულებას გასცემს და... ოთახში უკვე სხვანიც შემოსულან – არკვევენ, რა ხდება, შანშე უგონოდაა მისვენებული, ელიზბარის გონებაში კი სხვა აზრი არა ჭაჭანებს, გარდა ერთისა – მელანია უნდა დაიფაროს სინდისის ქენჯნისაგან, არამარტო სხვათა თვალში არ უნდა მოეცხოს მწიკვლი, თვითონ ქალმაც უნდა დაიჯეროს, რომ თვითონ სრულიად არაფერ შუაშია, რადგანაც წამლის შუშა ექიმს ელიზბარმა... დიახ, დიახ, მისმა ძმამ მიაწოდა. დაე მელანიამ ცრუსიზმარივით თუ ზღაპარივით ჩამოიშოროს ის განცდა, თითქოს რაიმე შეეცოდოს.

ელიზბარი – დის გადასარჩენად სინდისის ქენჯნისგანაც და მეჭორეთაგანაც – სახელდახელოდ ქმნის ლეგენდას თავისი დანაშაულისა.

იგი ბალღი არ არის, გულუბრყვილო რომ ეგონოს, წინასწარგანზრახვაში არავინ ჩამითვლის შანშეს ნაადრევ გასტუმრებას წუთისოფლიდანო.

მამა-შვილი რომ ვერაფრის დიდებით ვერა რიგდებოდა ცხოვრების წესის არჩევაზე, ქვეყანას მოეხსენებოდა და ავ ენებს იქნებ ისედაც ეტუტუნათ, სიბერეზე მეტად შვილმა მოუღო ბოლო ზვიად მებატონესო. და ასეთ დროს ასეთი ხელმოსაჭიდის მიცემა მათთვის თავის გამეტებას ნიშნავდა და სხვას არაფერს.

ელიზბარი მზად გახლდათ ყველაფრისათვის.

ოღონდაც მელანია დაემშვიდებინა.

ოღონდაც ქალის გულიდან ამოერეცხა დანაშაულის შეგრძნება.

იცოდა, კარგად იცოდა, რასაც ამტუტებდნენ მის გარშემო, თანდათან როგორ სიფრთხილეს იჩენდა ყველა მასთან ურთიერთობისას – ზოგს სჯეროდა, ზოგს არა, მაგრამ სიფრთხილით ყველა ერთნაირად ფრთხილობდა, და თუ ელიზბარს გუნება ძალიან ემღვრეოდა, როდესაც ეს ჭორი ჩაესმოდა ანდა გრძნობდა, მეექვსე გრძნობით შეიცნობდა თანამოსაუბრეთა მზერაში ამ განწყობილებას, მერე და მერე კიდეც შეეჩვეოდა ამ ლეგენდას და შეთქმულთა

წრეში სარკასტული ჩაცინებით რომ განაცხადებდა: მამაც შეიძლება მოკლას კაცმა უთანხმოების შემთხვევაში, არათუ ნათესავიო, – გარდა ზოგადი ნათქვამისა, ეს, ცხადია, ითვალისწინებდა საერთო განწყობილებას – ეჭვს მის მიმართ, და არარსებულ დანაშაულს ფარულ ორგანიზაციაში დისციპლინის განსამტკიცებლად გამოიყენებდა. იმ ლეგენდას ერთხელ კიდევ დაადასტურებდა ქარაგმული მინიშნებით და დააფრთხობდა ყველას, ვისაც ორგულობისაკენ წაუწევდა სული ანდა გაპარვას, ბუჩქებში თავშეფარებას მოინდომებდა კარზე მომდგარი ამბოხების წინ.

მამაც შეიძლება მოკლას კაცმა, არათუ ნათესავიო...

სულ სხვაგვარი სიმკაცრით გაისმოდა ეს ფრაზა ელიზბარ ერისთავის ბაგეზე.

შიშის ჟრუანტელი დაუვლიდა ყველას.

მამისმკვლელის მეტაფორაში მოექცეოდა ელიზბარის სახელიც, სხვა ამ ცოდვით დაღდასმულ ისტორიულ თუ ლიტერატურულ პერსონაჟთა წრეში ისიც გაერეოდა და როგორ გინდა დაგეხსნა, როდესაც არც ოიდიპოსს უმსუბუქდებოდა ცოდვა იმის მტკიცებით: მამაჩემი კი არა, ვილაც უცნობი შემომაკვდაო.

საპყრობილეში მაინც როგორ არ გამოტყდა!..

ვინ უსაყვედურებდა, და უპირველესად მელანია არ გაამტყუნებდა: ამდენი ხანი რომ შემინახე ნამუსი, ახლაც დაგეცვა შენს მიერვე შექმნილი ლეგენდაო.

ელიზბარმა არ იცის, რას გადაწყვეტს იმპერატორი, რა განაჩენს არგუნებს სახელმწიფო გადატრიალების მოსურნეთ, ადვილი შესაძლებელია, რომ მკაცრადაც გაუსწორდეს. და თუნდ სხვანი არ გაიმეტოს სასიკვდილო განაჩენისათვის, შანშე ერისთავის მკვლელობის ბრალდება მაინც არ გაუშვას ხელიდან და სანიმუშოდ დასაჯოს იმპერიის ერთგული კაცის უმადური ძე. თუ წკვარამში ოდნავი სინათლე მაინც ჭიატებს, იმ ჭორების წამოტივტივება ნებაყოფლობით კისრის დადებაა საჯალათო კუნძზე.

მაგრამ სიტყვა სიტყვაა.

სიტყვამ არ უწყის მსუბუქი და მწვავე ვითარებანი, თავისუფალი ცხოვრებით ცხოვრება და საპყრობილე, მარტო ის იცის, რომ არ უნდა გატყდეს.

და ელიზბარ ერისთავს გაუთავებელი შეკითხვებით რომ შეაღონებდნენ და განსაკუთრებით მაინც ალექსანდრე ჭავჭავაძის ბრალეულობის დადასტურებას მოსთხოვდნენ, ერთხელაც ნერვე-

ბი უმტყუნებდა: რას ჩამაცივდით, გაიგეთ, რომ მე ავაზაკი ვარ, დედაჩემი მე მოვწამლე, მამაჩემი მოვკალი და ბევრი რამ კიდევ ცუდი ჩამიდენიაო.

აღარც ეეჭვებოდა – სასიკვდილო განაჩენი არ ამცდებაო.

აქედან ხელისგულივით მოჩანს ნახევარი ქართლიო, – ამ ფრაზით დაიწყებდა ნუგზარ შატაიძე იმ ადგილის აღწერას, სადაც უკვე მეორე ჯვარი აღმართულიყო ელიზბარ ერისთავის სულის საოხად – ეს უკვე გელა ჩხეიძის საფასით. მცირე ჩანაწერს ჯვრის ფოტოსურათიც დაერთვოდა („ჩვენი მწერლობა", 2001, 5 იანვარი) – ცის დასალიერის ფონზე განფენილი, უსაზღვროების შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა, და ფოტოს მხილველს ეს შეგრძნებაც რომ გაუჩნდებოდა, სად ატყორცნილა ეს ნიშანსვეტიო, მწერალი უდასტურებდა და იქ ასვლასაც ახარებდა: ნახევარი ქართლი ხელისგულივით მოჩანსო.

სხვადასხვა დროსა და ამინდში სხვადასხვაგვარი წარმოსდგებოდა ეს ნახევარი ქართლი, შემოდგომა-ზამთრის საზღვარზე კი ასეთი აღიბეჭდებოდა მხილველის მზერაში:

– ზამთრისპირის ნისლები ბოლავენ ფერნაცვალ მინდვრებში, მოწყენილები დგანან ქარსაცავის ალვები, ზოგს ისე გაჰყვითლებია ფოთოლი, საღვთოდ დანთებული კელაპტრები გეგონება. დგანან და ცრემლივითა თუ სანთლის ნაღვენთივით გასდით ფოთოლი, აქედან მოჩანს გორი, შორს, ჩრდილოეთით კი კავკასიონის უკვე თეთრად ჩამოლესილი მწვერვალები.

განწყობილებას თავისთავად მოაქვს ეს შედარებანი:

ალვები – საღვთოდ დანთებული კელაპტრები.

ფოთლები – ცრემლები თუ სანთლის ნაღვენთები.

ოცდამეერთე საუკუნეც დამდგარა ამასობაში.

და ჩანაწერის კომპოზიციური რკალი კვლავ პეიზაჟის სურათით შეიკვრის:

– ქარსაცავის ალვებს მთლად გასცვენიათ ფოთოლი; თოვლით ნაფიფქულა სერები; მინდორში ცივი, ყინულივით ცივი ქარი ქრის; შეჭირხლულ ჩირგვებში ბალახგაქუცული მელა გარბის – სცივა და უთუოდ შია კიდეც; გზაზე ნელა მიჭრიალებს კამეჩებშებმული ურემი, ზედ ფუჩეჩის კონები ალაგია.

სურათით, რომელიც მხოლოდ ასე თუ დაგვირგვინდება:

– მეურმე – ხნიერი, ნაბდისქუდიანი ქართლელი გლეხკაცი მთაზე წამომართულ ჯვარს ახედავს, ქუდს მოიხდის და დიდი, დაკოჟრილი ხელით სასოებით გადაიწერს პირჯვარს.

გორის ყოველი კუთხიდან ისე სახიერად მოჩანდა ელიზბარ ერისთავის სულის ეს ახალი საოხი, ძალაუნებურად მოგაგონებდა ამილბარს, რომლის სახელსაც ქსნის ფსკერზეც კი ეძიებდნენ. ნეტა მემორიალიც მალე აიგოს და ისეთი აიგოს, მის მონუმენტურ სახეობას რომ დაშვენდებაო. თეატრის შემოგარენიდანაც მკაფიოდ მოჩანდა – აივლიდი, ჩაივლიდი და, თუ მარტო შენს საზრუნავში არ ჩაფლობილიყავ და თუნდ წამიერად გახედვ-გამოხედვის სურვილი გიჩნდებოდა, ჯვარს აუცილებლად იხილავდი. ვერ გაგეგო, ვის სახელზე აღმართულიყო? იკითხავდი. თუ აუცილებელი გახდებოდა, იმის შეტყობასაც მოინდომებდი, ვინ იყო ეს ელიზბარ ერისთავი და მაინცდამაინც იქ რატომ უნდა დაედგათ მისი სულის საოხი.

მაინცდამაინც იმ მსახიობ ქალს ნუ ჰკითხავდი, ნურც ჯვრისაკენ მიახედებდი – ამაოდ დაშვრებოდი, მისი სამზერიდან არ მოჩანდა ის ჯვარი. და თუ გამზირზე უნებურად შეესწრებოდა გაცხოველებულ სჯა-ბაასს ელიზბარ ერისთავის მემორიალზეც და მის პიროვნებაზეც, გაიკვირვებდა იმ გაკვირვებით, ყინულის კაცზე რომ მოესმინა ლაპარაკი: რა ყველას ეს სახელი აკერია პირზე, ბარემ თვითონაც გამოჩნდეს, დაგვენახოს, რას გვემალება, აქ თუ ცხოვრობს ახლო-მახლო, ერთხელ მაინც როგორ არ შემხვდა, ეტყობა, აქ მხოლოდ ოჯახი ჰყავს, თვითონ კი სადღაც გადაკარგულა და, კაცმა არ იცის, მოუბრუნდება თუ არა გული აქაურობაზეო.

ცრემლივით გასდიოდათ ფოთლები კელაპტრებს – თუ ნაღვენთივით უფრო... ნაღვენთივით...

თავი მეშვიდე

მწერალთა მრჩეველი

გზა ხომ თვითონ იწერს და გასმენინებს თავის მარადიულ (მოუწყენელ) სევდიან მელოდიას, – ასეთ ფრაზასაც ჩაურთავს მაკა ჯოხაძე რეპორტაჟში „უანგარო სიყვარულს ძნელად იჯერებენ" („ჩვენი მწერლობა", 2001, 9 თებერვალი), რომელიც პოლიტიკური ესეი უფროა თავისი შინაარსით, მძაფრი და მღელვარე, ნიშანდობლივი ამ საუკეთესო ლიტერატორისათვის, ვისი ექსპრესიაც ასეთი გადამდებია ზეპირი გამოსვლებისას თუ ნაწერიდან – არამარტო ღრმა ანალიტიზმით განსჯის საზოგადოებრივსა თუ ლიტერატურულ მოვლენებს, სტილური არტისტიზმითაც ამახსოვრებს თავს მკითხველს და ეს პოლიტიკური ესეიც შთამბეჭდავია ზოგადი გააზრებითაც და მარჯვედ მიგნებული დეტალებითაც, ორიოდ შტრიხით მარჯვედ რომ წარმოსახავს ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენიებლად თავმოყრილ საზოგადოებას.

ამ დეტალებში ბელეტრისტის ხედვა იჩენს თავს!..

იმ პასაჟშიც ბელეტრისტია, გზის სევდიან მელოდიას რომ აყურადებს და უხარია, რომ მაგნიტოფონის ხმა არ ურღვევს ამ განცდას.

„იმის ნაცვლად, შევიგრძნო სალონში ჩამოწოლილი სიმყუდროვე და ქალაქის გაბერწებულ ანტურაჟს მიჩვეული მზერა ქართლის მარადმედინი პეიზაჟის ცქერით გადავახალისო (ისევ), წარსულის შემოტევები მეწყება. ალმაცერად ცრის. თითქოს პარპრიზსაც ხოშკაკალასავით კუშტად აწყდება ელიზბარ ერისთავის დაკოხილი სიტყვები: „ჩვენ შემოვიყვანეთ და ჩვენვე გავრეკავთ... შემოვიყვანეთ და გავრეკავთ..." (რაღა თქმა უნდა რუსეთის იმპერიის ჯარზეა საუბარი)".

ამ პასაჟში ხელშესახებად იკვეთება თვითონ ავტორის ბუნება – მისთვის ხოშკაკალა მოხდენილი მეტაფორისათვის კი არ უიგივდება ელიზბარის ხმასა და იმ ჰეროიკულ ფრაზას, არამედ მართლა

ასე ხედავს – ერთ განზომილებაში წარსულსა და თანადროულ ყოფას და ისტორიული პარალელის მონაცვლეობაც ძალდაუტანებლად ჩნდება თხრობისას.

შანშე ერისთავისა და მისი ვაჟის შეურიგებელი დაპირისპირება პოლიტიკური არჩევანისას იმ ფიქრს გაუჩენს, რომ საუკუნეებიც ველარაფერს ცვლიან... უცნაურია? ვერა ცვლიან და...

„ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ისტორიის წრებრუნვა გუბეში ჩაგდებული კენჭივით ერთსა და იმავე გეომეტრიულ ფიგურებს ხაზავს... კერძოდ, წრეებს, და ეს წრებრუნვა მარადიულ გამოუვალობად, ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცუდ უსასრულობად" ექცა საქართველოს".

და შანშე ერისთავისა არ იყოს, თურმე ვერც დღევანდელ მამებს წარმოედგინათ, რომ მათ მიერ გაყიდული საქართველოს სანაცვლოდ ყველაზე დიდ მსხვერპლს შვილები გაიღებდნენ, და აფხაზეთის კონფლიქტად მონათლულ რუსეთ– საქართველოს ომში სულსწრაფი მამების ცოდვებს შვილები გამოისყიდდნენ თავიანთი უცოდველი სისხლით.

მწარედ გაისმის ესეიში ეს ფრაზა, მკაცრ, ოღონდ აუცილებელ მხილებად, რადგანაც თავისმოტყუებას, ფუჭი ილუზიების აყოლას არასოდეს არავისთვის მოუტანია სიკეთე და ყოველთვის ისევ უშეღავათო სიმართლე უმჯობინებიათ.

– საქართველო ის ქვეყანაა, სადაც სამშობლოს უანგარო სიყვარულს ძნელად იჯერებენ...

ესეც არანაკლებ მწვავე ფრაზაა, მაგრამ ეს დაკვირვებაც მხოლოდ სამწუხარო რეალობისათვის გაგვასწორებინებს თვალს.

ძნელად იჯერებენ და ამიტომაც ძნელად პატიობენო.

და თუ სიყვარულს საქმითაც უპირებენ დამტკიცებას?

საზღაურად ამას ელოდე:

– ცილისწამება, ჭორი, ლაფის შესხმა, ტყვია... მიწისქვეშა და ცისქვეშეთის დემონური ძალები ნებისმიერი სასიკეთო წამოწყების წინააღმდეგ სამკვდრო – სასიცოცხლო ბრძოლას აცხადებენ.

სიმბოლურ სახებად არაერთი გაგვახსენდება ქართველ მოწამეთა დასიდან?

მათ შორის სწორედ ელიზბარ ერისთავიც, ვისი სილუეტის გაცოცხლებასაც მწერალი უპირველესად იმ დეტალით ლამობს: ოცი წლისა რომ უპირებდა მთავარსარდლობას იმპერიის წინააღმდეგ განზრახულ ამბოხსო.

დეტალით თუ...

ბოლოსდაბოლოს, ერის ბიოგრაფიისათვის ეს მხოლოდ დეტალია, განზოგადებული, სიმბოლური, მაგრამ მხოლოდ დეტალი.

გუბეში ისევ ცვივა კენჭები.

ისევ ძველებურად ჩნდება წრეები – ერთი და იგივე, ერთი და იგივე, ერთი და იგივე, და ამაოდ ლამობ მოჯადოებული წრის გარღვევას. იქნებ ამაოდაც არა, მაგრამ წრებრუნვა მართლაც ცუდ უსასრულობად გადაქცეულა და თუ არ მოთავდება გუბისა და კენჭის დრამატული სიმბოლიკა, ცხოვრების ეს რიტმი არც არასოდეს დაგანებებს, სახელმწიფოდ შეიგრძნო თავი.

მე მოვათავებო, – ბედისწერას შერკინებოდა ელიზბარ ერისთავი და... აწვიმდა ცილისწამებაც, ჭორიც და ლაფიც...

პროფესიით თუ არა ყოფილა ელიზბარი ლიტერატორი, ღრმად ჩახედული კი აღმოჩნდება მწერლობაში და საგამოძიებო ოქმების გადაკითხვა გვარწმუნებს, რომ მისი სახელი ყოველთვის ჩნდება ლიტერატურული იდეების დაბადებისას – ხან ხელისშემწყობია, ხანაც თაოსანი.

სოლომონ დოდაშვილს უსათუოდ უღვიოდა გულში, გაზეთის ან ჟურნალის გამოცემისათვის მოეკიდა ხელი და დამდორებული სამწერლო ყოფა ერთბაშად გამოეცოცხლებინა და ევროპული რადიუსითაც გაემართა. მითუმეტეს, აჯანყების მზადებაში ჩარევა უკვე აუცილებლად მოითხოვდა გამოცემის არსებობას – უამისოდ გაძნელდებოდა საზოგადოებრივი აზრის მომართვა საკუთარი ვინაობის გასაცნობიერებლად და დაკარგული სახელმწიფოებრიობის ამოსაგებად.

საამისოდ შეთქმულთა შორის ყველაზე რეალური სოლომონის კანდიდატურა გახლდათ რაიმე გამოცემის დასაარსებლად და მის გასაძღოლად.

მის გვერდით სხვა ვერც გაბედავდა რედაქტორობას.

და მაინც, იდეის გამოცხადება აშკარად და მომზადება მის ხორცშესასხმელად უკავშირდება არა „ლოგიკის" ავტორის სახელს, არამედ ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის.

ალექსანდრე ორბელიანის თაოსნობა ვის გააკვირვებს. გარდა პოლიტიკური მოღვაწეობისა, სამწერლო სარბიელიც სიჭაბუკიდანვე აერჩია და უამრავ თხზულებას დაახვავებდა სიცოცხლის ბოლომდე, ქართული მხატვრულ-დოკუმენტური პროზის დიდ სახელადაც შემორჩებოდა შთამომავლობას, გამორჩეულ ხელოვანად

და ეპოქის უტყუარ მემატიანედ, ურომლისოდაც ტენდენციურ საისტორიო ქრონიკებში უნდა გვეძებნა სიმართლე და ბუნდოვანი ვარაუდებით მიგვიკვლია იმ სიმართლისათვის, რაც ხელისგულზე გვიძევს ალექსანდრე ორბელიანის იმ უმნიშვნელოვანეს ქმნილებათა წყალობით, „საქართველოს ავადმყოფობის ისტორიის“ სახელწოდების ქვეშაც რომ შეიძლება გაერთიანდეს, თუმც თვითონ ავტორს ასეთი საერთო სათაური არ უძებნია თავისი მონუმენტური ქმნილებისათვის.

მაგრამ ელიზბარი? იმას რაღად მოენდომებინა გაზეთის ან ჟურნალის დაარსება და სოლომონ დოდაშვილისთვისაც რატომ მიეკითხებინა – მხოლოდ შეთქმულების საჭიროებისათვის? მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნით? მხოლოდ პოლიტიკოსის ალღო და მიზანი შეაგულიანებდა საამისოდ?

იგი ერთი შეხედვით ისე მოჩანს შეთქმულების მეთაურთა სამეულში, თითქოს სრულიად არ აღელვებდეს მწერლობა და სულიერად უფრო იმ ადამიანებთან გრძნობდეს სიახლოვეს, რომელნიც დაურიდებლად იტყვიან ყოველ გარემოსა თუ ეპოქაში: რა დროს პოეზიაა, მოუკვდა პატრონიო.

რაც უფრო მწვავეა ვითარება, მით მეტი სიბრაზით.

არავინ მიიჩნევს ელიზბარს ინტელექტუალად. იგი ისე იჩრდილება ამ მხრივ სოლომონ დოდაშვილისა და ალექსანდრე ორბელიანის ფონზე, თვით ეს ლიტერატურული თავგამოდებანიც ვერ შველის და ვერავის არწმუნებს მის წიგნიერებაში.

ეს შთაბეჭდილება ჩვენ გვრჩება, თორემ ელიზბარს სულ არ ენაღვლებოდა, ეღიარებინათ მისი განსწავლულობა?!.

ასეა, ნამდვილად ასე –

სოლომონ დოდაშვილს პერიოდიკის გამოცემას რომ ურჩევს ალექსანდრე ორბელიანთან ერთად, მისი ბაგით პოლიტიკოსიც ღაღადებს და დახვეწილი ლიტერატორიც, ვისაც ენატრება სამწერლო გამოცემა, რათა ერთი ნომერიც არ გაუშვას ნაუკითხავად.

მერე იქნება ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის დაფუძნებაში მონაწილეობა.

მერე იქნება ჟურნალ „სინათლის“ დასაარსებლად ზრუნვა.

მერე იქნება ლიტერატურულ-კულტურული სალონის შექმნა გორში, თავის სახლში.

მერე იქნება მონდომება ჟურნალ „ცისკრის“ გასავრცელებლად.

და იმ იდეებსა და ენერგიულ ჩარევას ის ჭაბუკური ინტერესი და გემოვნება ჰკვებავდა, რომელიც მთელს საქართველოში მიმოსვლის დროსაც არ დაავიწყდებოდა და ყოველთვის წასძლევდა სული წიგნისა და ნაწერისაკენ.

ლიტერატურული შემოქმედი არა ყოფილა?

საუკეთესო მკითხველი კი გახლდათ, უანგარო და წრფელი, რაც ამ ხელობის ადამიანებს მოსდგამთ და მწერლებზე არანაკლები – და იქნებ მეტი – ძალითა და თავგანწირვითაც ინარჩუნებენ ლიტერატურის დედოძარღვს მრთელსა და გაუბზარავს.

„ნალივაიკოს აღსარების" თარგმნა ვინ შთააგონა გრიგოლ ორბელიანს?

მიხვდით ალბათ, რომ ელიზბარის გარეშე ეს არ მოხდებოდა.

არც მომხდარა.

და 8 მარტის ჩვენებაში გამოტყდებოდა, ის საპროტესტო ლექსი მისი შეგულიანებითაც რომ გადმოეღო ქართულად იმ კაცს, ვინც თვალსაჩინო პოეტად და დიდი განახლების წინამორბედად მოევლინებოდა ჩვენს სამწერლო ცხოვრებას.

– 1831 წლის დასაწყისში ვიყავით გრიგოლ ორბელიანთან მე, სოვეტნიკი ალექსანდრე, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ვილაპარაკეთ ჩვენს განზრახულობაზე და, ამასთანავე, დავუწერეთ გრიგოლ ორბელიანს „ნალივაიკოს აღსარება" და ვუთხარით, რათა იგი გადათარგმნოს. ვახტანგმა დასწერა, მაგრამ რადგან რამდენიმე ტაეპი დაავიწყდა, მე მოვაგონე.

მრავლისმეტყველი დეტალია!..

ელიზბარი მხოლოდ სურათს აღადგენს და ამასობაში ძალდაუტანებლად აცნობიერებს მკითხველი, რომ კონდრატ რილეევის ეს ლექსი იქ მყოფთაგან – არადა, სულ ლიტერატორები არიან – ერთადერთმა სწორედ მთავარსარდალმა იცის ზეპირად თავიდან ბოლომდე. აგერ ვახტანგ ორბელიანსაც ახსოვდა, მაგრამ ელიზბარივით სრულყოფილად არა.

შემთხვევითია?

რა – ელიზბარმა საგანგებოდ გაიზეპირა „ნალივაიკოს აღსარება", ოდესმე იქნებ დამჭირდეს თავის გამოსაჩენად დამოწმება და შთამომავლობის დარწმუნება, ვითომდა გატაცებული ვარ მწერლობითო?

და თუ მემუარებში არავინ შეიტანს ამ დეტალს, დაკარგვით მაინც არ დაიკარგება, გამომძიებელთა წინაშე რომ წარვდგებით, მეც

და სხვაც იძულებულნი შევიქნებით, ამ ლექსის თარგმნის გარემოებანი გავიხსენოთ და საოქმო ჩანაწერებით შემორჩება ლიტერატურის ისტორიასო?

და კიდევ –

ეს ერთადერთი ლექსი გაეზეპირებინა?

პასუხი ცხადია და უცხადესი:

ელიზბარ ერისთავისათვის პოეზია, მწერლობა მშობლიური გარემოა, სულიერი თავშესაფარია და „ნალივაიკოს აღსარებაც“ ისევე ახსოვს შეუცდომლად თავიდან ბოლომდე, როგორც სხვა არაერთი ნიმუში ქართული თუ რუსული პოეზიისა.

წვეთმა ზღვა აირეკლა.

და სწორედ ლიტერატურის ზღვაში გრძნობს თავს თავისუფლად ელიზბარი.

ამიტომაც შეაშველებს ვახტანგ ორბელიანს იმ რამდენიმე სტრიქონს.

სხვა ლექსის სხვა ტაეპზე ნაბორძიკებასაც ის გამოასწორებდა.

ყველგან მიმომსვლელი ის იყო და შუაკაციო...

დავით აღმაშენებელს მაინცდამაინც არ უშლიდა ხელს წიგნის კითხვაში გამუდმებული ყოფნა ლაშქრობაში და მემატიანეც გაოცებულიყო, მისი წიგნების ზიდვას რომ ვერ ასდიოდნენ და ერთხელ სულაც საფარში შეეჭრებოდა მომხვდური წიგნის კითხვაში გართულს. კინაღამ საბედისწეროდ გაუხდებოდა და... მოშვებით კი არ მოეშვებოდა. ჩვევას? არა, ბედისწერას უფრო, სწორედ ბედისწერადქცეულ წიგნს ისევე, როგორც სახელმწიფოს ამოგება გატოლებოდა სიცოცხლესაც და ბედისწერასაც.

სულიერი ხიდი ისედაც დავით აღმაშენებლის ეპოქასთან გაედოთ შეთქმულებს და თვითონ დავით მეოთხესთან – ამ შეთქმულების მთავარსარდალს, მისებური ჟინით მიელტვოდნენ მსოფლიოისტორიულ პროცესებში ჩართვას თავიანთი უბედური ქვეყნისა და საკაცობრიო ცხოვრების უშუალო მონაწილედ შეგრძნებას საკუთარი თავისაც. და ელიზბარ ერისთავი ამ ნიშნითაც გამომგვანებოდა იდეალად დასახულ წინაპარს, სულიერ საზრდოს ლიტერატურაში რომ ჰპოვებდა და, ყელამდე საზრუნავში ჩაფლული თუ რაიმეს დაიჩივლებდა, ისევ ამას: ამ დღეებში წიგნიც ვეღარ გადამიშლიაო.

რამდენიმე ტაეპი დაავიწყდა და მე მოვაგონეო...

– გრიგოლ ორბელიანმა ქართულად გადმოთარგმნა. რამდენიმე დღის შემდეგ მან წაგვიკითხა თარგმანი და წაკითხვის შემდეგ მე

დამიტოვა, მე მივეცი წასაკითხად სოლომონ დოდაშვილს და მერე მასთან დარჩა.

რამდენიმე დღეში ასეთი შესანიშნავი ორეულის შექმნა იოლი არასოდეს ყოფილა, შენთვის უცნობ ლექსს ჯერ არ გაშინაურებიხარ და კონგენიალურ ნიმუშს ჩამოასხამ!.. ეტყოდა, უკვე ისე მომართულა გრიგოლ ორბელიანი, იმ საღამოს შთაბეჭდილებებსა და გზნებას ისეთი გავლენა მოუხდენია მის ფსიქიკასა და წარმოსახვაზე, ძალაუნებურად მიწვდა მთავარ ძარღვს და პოეტური ნიჭიც სრულყოფილად გამოსხივდა.

და შეთქმულთა წრეში კითხულობს არა ნედლ, ჯერ საბოლოოდ მაინც დაუმუშავებელ მასალას, არამედ ქართული კლასიკური პოეზიის თვალსაჩინო ნიმუშს, რომელსაც დააკვირდით – მაინცდამაინც ელიზბარს უტოვებს.

შთამაგონებელი ისაა და გრიგოლ ორბელიანს ესახელება, დავალება ასე პირნათლად რომ შეუსრულა.

თანაც ელიზბარის ჩვენებაში არ არის აღნიშნული, რომ გრიგოლ ორბელიანს ეთხოვოს მისთვის, იქნებ სოლომონს გააცნოო. დაუტოვა და მორჩა – ახლა ელიზბარს შეუძლია თავის შეხედულებისამებრ მოიქცეს.

მისი შეხედულება კი ისაა, სოლომონ დოდაშვილმა, როგორც ლიტერატურის ექსპერტმა, გამოუტანოს მსჯავრი და გზა გაუხსნას მკითხველისაკენ.

ამიტომაც აღარ მოუკითხავს.

სოლომონ დოდაშვილი თავს იმართლებდა გამოძიების წინაშე: გრიგოლ ორბელიანის თარგმანი და რუსული ორიგინალი ელიზბარ ერისთავმა გადასათვალიერებლად მომიტანა და მისი დაბეჭდვა არ უთხოვნიაო. გადაათვალიერეო და პატიოსნადაც გადაათვალიერა, და ეს სახელმწიფოს წინაშე შეცოდება არ უნდა იყოს.

1831 წელს თვითონ სოლომონ დოდაშვილსაც იმ რჩევით რომ მიადგებოდნენ ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი, კარგი იქნება, თუ აღმგზნებ წერილებს დაწერ გაზეთში დასაბეჭდად და სხვა ისეთი თხზულებებსაც, რომელთაც შეეძლებაც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენაო?

იმ თხზულებათა ჟანრი დაე თვითონ შეერჩია.

ამ საქმეს ხუმრობა არ გამოადგებაო, – სოლომონი მიუგებდათ და იგულისხმებდა, სახელდახელოდ ექსპრესიული თხზულება ვერ შეიქმნება და დრო უსათუოდ სჭირდებაო.

ელიზბარს მოეჩვენებოდა, სოლომონი თანახმა არ არის და ეს ფრაზა დიპლომატიური უარია და სხვა არაფერიო.

ამიტომაც ვერ დაფარავდა გაგულისებას:

– როცა ხანჯლით მოგადგებით, მაშინ უარს ვეღარ იტყვი. შენი საქმეა წეროო.

ეს მართლა ჩამდენს ჰგავსო, – გაუელვებდა სოლომონს, თუმც შეშფოთებას არ დაიტყობდა, რადგანაც უარით გასტუმრებას სულაც არ აპირებდა და თვითონვეც ფიქრობდა მომწოდებლური, მეამბოხური შინაარსის თხზულებათა შექმნას – ნერილისას? ლექსისას? შინაგანი დუღილი თვითონ გამოაჩენდა.

მოწოდებას კიდეც შექმნიდა, თუკი... თუკი მაინცდამაინც მოწოდება დაერქმევა.

ლექსსაც, ოღონდ ეს ლექსი სულაც არაა მეამბოხური განწყობილებისა და ტყუილუბრალოდ ნურავინ მიაწერს, უფალო გამომძიებლებო. ტექსტზე ძალდატანებით იქნებ მართლაც გამოიჩხრიკოს ანტიიმპერიული სულისკვეთება, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არა ყოფილა. ძალიან კარგად ახსოვს, რომ ლექსი ყოველგვარი მიზნის გარეშე შეიქმნა, ლიტერატურული ვარჯიშია და ნურც „მაისში“ იგულისხმებთ რაიმე სიმბოლიკას. მაისი მაისია და სხვა არაფერი. ადვილი მოსალოდნელია, სულ სხვა თვის სახელწოდებაც ჩაწერილიყო.

იოანე ბატონიშვილის ლექსი? ეს ლექსი შემთხვევით იპოვნა ერთ წიგნში, რომელიც მისი სიკვდილის შემდგომ იონა ბერმონაზონმა გამოუგზავნა.

შემთხვევით ნაპოვნსაც დანაშაულად ნუ აჰკიდებენ, მითუმეტეს, თავადებმა პროკლამაციის დაწერა რომ სთხოვეს, არც დაუწერია და ხელსაც აიღებდა ყოველგვარ დამღუპველ საქმეზე.

იმ ორ თხზულებას ნუ დაარქმევთ პროკლამაციას.

დაე ხანჯლითაც მისდგომოდნენ, მაინც ვერ მოაკიდებინებდნენ ხელს.

ჩამოსცილდა და ჩამოსცილდა.

ყველა შეთქმული ამასვე ირწმუნება და, აბა, ვინღა აპირებდა მოედანზე გამოსვლას ამბოხების ბაირაღების ფრიალით?

აღარც არავინ, საქმეც ეგაა, რომ აღარც არავინ, უფალო გამომძიებლებო, ქეიფ-ქეიფსა და თამაშ-თამაშში მოულოდნელად სახიფათო ელემენტები რომ შემოიჭრა, კიდეც საბოლოოდ უარყვეს ის გზა.

სოლომონ რაზმაძის იგავ-არაკის – „დათვი და ცხვარი“ – შექმნაშიც ხომ არ მიგიძღვის წვლილიო, – გამოძიება უკვე ყველა ლიტერატურული აქტის თანამონაწილედ ელიზბარს დაიგულებდა.

– პეტერბურგიდან ჩამოიტანა ეს იგავ-არაკი და მე იქ რა ხელი მიმიწვდებოდაო, – გადაჭრით გააპროტესტებდა, – წაკითხვით კი წამაკითხა ისიც და სხვა ლექსებიცო.

მერედა, რაო, – უკვირდა, – განა რა იპოვნება ამ თხზულებებში ბოროტგანზრახულიო.

„დათვი და ცხვარი“ ტფილისში კი დავწერე შარშან ზაფხულს, მაგრამ ის ჩემთვის არავის შთაუგონებია და არც არავის უთხოვია იგავის დაწერა და არც რაიმე მიზანი მქონიაო, – სოლომონ რაზმაძემ, და ლექსის წამკითხველთა შორის მხოლოდ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს დაასახელებდა: თავისთან დაიტოვესო. ამას კი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, იმათთან დარჩებოდა თუ თავის ქაღალდებში შეურევდა.

გამოსტოვებდა ელიზბარის სახელს, გამოსტოვებდა სოლომონ დოდაშვილსაც, თორემ ეს უკვე აღარ გამოჩნდებოდა უვნებელ მოქმედებად – სახიფათო აზრების გავრცელებას დაემსგავსებოდა, მითუმეტეს, დათვისა და ცხვრის სიმბოლიკა არავისთვის იქნებოდა ძნელი ამოსაშიფრი და ისეთი თვალნათლიობით გადაიშლებოდა მკითხველის თვალწინ მეფე ერეკლეს გაცურება საიმპერატორო კარის მიერ და საკუთარი ნებით თავის შეყოფა ყულფში, რაც ყველა გამჭვირვალე მინიშნებისთვისაა ნიშანდობლივი.

მაგრამ... გასართობად დაწერილ იგავში საიდან აღმოეჩინა ან სხვას და ან ელიზბარს პოლიტიკური მოტივი!..

თუკი ასეა, სადაც მიდგებოდნენ და მოდგებოდნენ ისიც და ალექსანდრე ორბელიანიც, რა სულ ამ იგავს იმეორებდნენ!.. თუ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, ან ზეპირად რამ დაასწავლათ ანდა რა განმარტებებს დაურთავდნენ. ან იმას რაღას თავმომწონეობდნენ, სოლომონ რაზმაძისაა. გასართობი პოეტური ნიმუში რა თავგამოსადებია, არიქა, ჩვენმა მეგობარმა შექმნაო.

გადაჭარბებაა, უფალო გამომძიებლებო, უზომო გადაჭარბება. სადმე უნებურად თუ წამოაგონდათ, ფუჭისიტყვაობისას ცხოველებიც თუ ახსენა ვინმემ და ამათ ის-ისაა დაწერილი ლექსი მოადგათ ბაგეზე, ნუთუ ბოროტგანზრახულების გავრცელებად უნდა ჩაეთვალოთ?!. განა არ კმარა, ღვინით თავგაცხელებულებს ზოგიერთი უმართებულო რამ რომ წამოცდათ და ამისათვის ამ-

დენი ხანია გვემენ და გულწრფელი მონანიების შემდეგაც არა პატიობენ?!.

„ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს? რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?" – ახალი მოტივი ჩნდებოდა ქართულ პოეზიაში, გმირის მოლოდინს, მესიანისტურ გამოცხადებას უდებდა სათავეს გრიგოლ ორბელიანი და გმირის გამოჩენის დროდ და გარემოდ გარდუვალი ამბოხება ესახებოდა. „წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა წარიღესო", – და: „მაგრამ ამაო, ჩემო იარალი, არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვაო", – იქნებ სკეპსისსაც მიანიშნებდეს, მაგრამ სევდა უფროა, მითუმეტეს – გმირის მოლოდინის ფონზე.

თავისუფლების საგალობლად გამოჩნდებოდა ეს ლირიკული შედევრი.

მოწოდებად რაღაც დიდი შემოტრიალებისაკენ, ვეშაპის უსულო დანარცხებით რომ უნდა დაგვირგვინებულიყო. და „ვეშაპის" მეტაფორასაც რა გახსნა უნდოდა.

იასე ფალავანდიშვილის სახლში გახმიანდებოდა ეს ლექსი საჯაროდ. ვახტანგ ორბელიანი გამოიდებდა თავს და ის წაუკითხავდა შეთქმულებს, რომელნიც ერთსულოვნად აღტაცდებოდნენ.

ვინ აქებდა ამ ლექსს?

ყველაც აქებდა, და მათ შორის, ცხადია, ელიზბარიც.

რას მოეხიბლა ასე ძალიან, ალბათ ლექსში ნაგულისხმევ სწრაფვას თავისუფლებისაკენ?

აცალეთ, კარგად გაიხსენოს, უფალო გამომძიებლებო, გონებაში აღიდგინოს ამ არცთუ პატარა ლექსის შინაარსი.

ჯერ ქართულ სუფრას შეასხამს ხოტბას გრიგოლ ორბელიანი, მერე აღწერს აქაურ ჰაერს, მერე დოღს აღწერს ანუ ჯირითს. თავისუფლების შესახებ კი... თავისუფლების შესახებ ლექსში არაფერია ნათქვამი, უბრალო თხრობაა.

ვინ აღჩნდეს გმირიო...

ის აღჩნდებოდა, ვინც გადამწყვეტ წუთს იტვირთებდა სახელმწიფოებრიობის დაბრუნების მთელს სიმძიმეს და, ერთის დაკვრით ჯერ აჯანყების ყველა ძაფს რომ მოუყრიდა თავს თავის მარჯვენაში, მერე ვეშაპსაც ისე დასცემდა ძირს, ველარასოდეს გამოეწვდინა ბრჭყალები და ხახა ჩვენი მიწა-წყლის ჩასანთქმელად.

და გარშემო რომ მიმოიხედავდა, აბა, ვინ და, აბა, ვინო, აღგზნებულ, აღტკინებულ თანამზრახველებში მაინც ვერ ჰპოვებდა

ვერავის ისეთს, ვინც იმ გადამწყვეტი წუთის განსაკუთრებულ სიმ-ძიმეს გაუძლებდა და თამამად გაინვდიდა მარჯვენას მთავარსარ-დლის ტიტულისაკენ... აქ მხოლოდ ერთი კაცი იყო ასეთი, ერთი მო-წოდებულიყო საამისოდ და კიდეც „აღჩნდებოდა", როდესაც მოა-ნევდა ის შესაფერი ჟამი...

თავისუფლებაზე? თავისუფლებაზე არაფერი თქმულიყო ლექსში.

სოლომონ დოდაშვილმა თავის სახლში მოსწავლე მაჩაბლის ლექსები რომ წაუკითხა, რა მიზანი ჰქონდა?

საპროტესტო იქ არაფერი ყოფილა. დოდაშვილი დაიკვეხნიდა, მეცადინი მოსწავლეები მყავსო, და სანიმუშოდ ამ ლექსებს გააც-ნობდა თანამზრახველთ, მაგრამ ელიზბარი დიდად არ აღფრთოვა-ნებულა. ყველაზე მეტად რომელი ლექსისაც ეიმებედოდა მასპინ-ძელს, თოვლის უბრალო აღწერას წარმოადგენდა მხოლოდ და საკ-მაოდ უხეიროდაც ყოფილა დაწერილი.

ოქროპირ ბატონიშვილის ლექსებიც ხომ მოუსმენია?

მოსმენით როგორ არ მოუსმენია, მაგრამ განა ამით რაიმე და-შავებულა? ეს უფრო ადრე იყო – 1830 წელს, და ელიზბარი გიორ-გი ერისთავთან ერთად სტუმრობდა ბატონიშვილს. საღილზე წაუ-კითხავდათ ოქროპირი თავის პოეტურ ქმნილებას, რომლის შინა-არსსაც, თუ გნებავთ, დეტალურად აღიდგენს:

– ჯერ აღწერდა თავის განცდას, როდესაც დაინახა კავკასიის მთები, როგორ ღვრიდა ცრემლს, შეჰყურებდა რა მათ სასოებით; შემდეგ აღწერდა მათ დიდებულ შესახედაობას, გამოთქვამდა აგ-რეთვე თავის გრძნობებს ტფილისში შემოსვლისას და ამთავრებდა თხზულებას სურვილით, რათა სამუდამოდ ეცხოვრა და მომკვდა-რიყო ტფილისში.

კანონსაწინააღმდეგოს იმ სტრიქონებში ვერავინ ვერაფერს ამოიკითხავდა.

ფრანგულიდან საკუთარი თარგმანებიც რომ გაუცვნია სტუმ-რებისათვის ოქროპირ ბატონიშვილს?

ან იქნებ რას აღმოაჩენთ ბოროტგანზრახულს?

– ამ უკანასკნელ ლექსთა შინაარსი რომანტიული, სამიჯნურია.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ფილადელფოს ბერის მიერ შედ-გენილ აქტზე რაღას იტყვის, თავს რიღათი იმართლებს, რომ თვი-თონაც მონაწილეობდა მის გავრცელებაში, თუნდ თამარ ბატონიშ-ვილს სწორედ ელიზბარმა წაუკითხა, თორემ ფიცივით ხომ იმეო-რებდა და იმეორებდა.

გასაკვირია სწორედ, უფალო გამომძიებლებო... თუმც ისეთი გასაოცარიც არაფერია. როდესაც ადამიანს წამლის შუშის უნებურ არევას განზრახ მოქმედებად ჩაუთვლიან და მამის მკვლელობას იოლად დასწამებენ, „აქტი გონიურის" გავრცელებაში მონაწილეობა რომ დააბრალონ, ისეთიც რა არის. არადა, სიმართლე ისაა, რომ არამცთუ არ წაუკითხავს თამარ ბატონიშვილისათვის, არც კი უხსენებია მასთან და არ უხსენებია იმიტომ, რომ:

– ეს თხზულება არ იმსახურებდა ყურადღებას.

* * *

მსახიობობაც რომ მოენდომებინა ელიზბარს.

იქნებ თვითონაც შეეთავაზებინა ვახტანგ ორბელიანისათვის, სპექტაკლის დადგმა რომ განგიზრახავს, მეც გამომცადე, იქნებ როგორ ვივარგოო. იქნებ ვახტანგ ორბელიანს შეეთავაზებინოს და ძლივძლივობითაც დაეთანხმებინოს როლისათვის. გიორგი ერისთავი უფრო იოლად აჰყვებოდა, მეტი სიხარულითაც მოირგებდა როლსაც... თუმც ვინც იცის. ახლა კი გვგონია ასე, როდესაც გიორგი ერისთავი თეატრის დამაარსებლად მოევლინება ქვეყანას 50-იან წლებში, საუკეთესო დრამატურგადაც და რეჟისორადაც, თვითონვე გაწვრთნიდა დასს თბილისშიც და გორშიც, როდესაც დედაქალაქის მიტოვება მოუხდებოდა. ელიზბარი აკი სულ სხვა ხელობას მოეკიდებოდა – სრულიად დაშორებულს მსახიობობისაგან.

მაგრამ ოჯახში რომ შექმნიდა სახელოვნო-სალიტერატურო გარემოს და გორის კულტურულ ოაზისადაც გადააქცევდა იქაურობას, საიდანაც არამარტო ლიტერატურული იდეები მოედებოდა ხალხს, არამედ თეატრალური დასის საყრდენადაც გამოდგებოდა.

ქველმოქმედის, თეატრით გატაცებული კაცის ინტერესს არ გასცილდებოდა მისი ზრუნვა გორისა და ქართლის კულტურული აღორძინებისათვის?

თეატრით გატაცება ერთია და სცენაზე გამოსვლა მეორე?

მართალს კი ბრძანებთ, მაგრამ ელიზბარის არტისტული ბუნება, იქნებ, ისედაც ეძიებდა ამ სარბიელსაც, და თუ არ გაჰყვებოდა მსახიობის კარიერას, ერთი და ორი როლი დიდი მონდომებითაც შეესრულებინა და არც ურიგო გამოსვლოდა.

ვინ იცის, ელიზბარი უფრო მხურვალე მონაწილეც ყოფილიყო ვახტანგ ორბელიანის დადგმისა, ვიდრე გიორგი ერისთავი, შემდგომ თავის მთავარ საქმედ ვინც თეატრს გაიხდიდა.

თუმცა რა ვეძიოთ და ვიმარჩიელოთ.

გვერდიგვერდ კი მოჩანს ორივე რუსული ვოდევილის ქართული ორეულის მზადებისას სცენაზე, ეგაა, ეს თავისთავად საგულისხმო ეპიზოდი არც ელიზბარ ერისთავის საგამოძიებო ჩვენებით შემოგვრჩება და არც გიორგი ერისთავისა. გამომძიებლები მათთან ამ მხრივ არაფერს დააზუსტებენ და არც საუბარს მოჰყვება.

სულ სხვა შეთქმულის ჩვენება ამოატივტივებს დადგმის იმ სამზადისსაც, იმ ვოდევილსაც, იმ მონაწილეთაც, არტისტული ნიღბები რომ უნდა მოერგოთ.

არტისტიზმი არა კლებიათ.

ვახტანგ ორბელიანს ვიცნობ, როგორ არ ვიცნობო, – ზაალ ავთანდილაშვილი მოახსენებდა გამომძიებლებს, ოღონდ ვერც ამ ნაცნობობაში და ვერც მასთან ხშირ სტუმრობაში დანაშაულს ვერაფერს ხედავდა. ლიტერატურული წრე ლიტერატურული წრეა და არა პოლიტიკური, და სახიფათოც რა უნდა იყოს, როდესაც ტოლ-ამხანაგნი ერთად შეიკრიბებიან დროდადრო და შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ ერთმანეთს ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ხალხის ცხოვრებაში განათლების ლამპრის შეტანაზე: თავის შექცევაზეც ფიქრობდნენ? ვითომ ეს კი ცოდვაა?

– დავიარებოდი მასთან დროს გასატარებლად, სადაც ვკითხულობდით მის მიერ ს. პეტერბურგიდან ჩამოტანილ საუკეთესო ნაწარმოებებს, რომელთა შესახებ მსჯელობას ვმართავდით ხოლმე.

ვახტანგ ორბელიანი ხომ არ იუარებს ფარული წრის არსებობას?

ფარულს იუარებს, რასაკვირველია, წრეს – არა. საფარულო რა უნდა ყოფილიყო, როდესაც მათი საუბრები სწავლა-განათლებასა და მწერლობას არ გასცილებია და მთავრობის შემწეობასაც იმედოვნებდნენ, რათა ფიქრი და ოცნება, რეალურ წამოწყებად გადაესახათ, თორემ რა გამოდიოდა, თითქოს ჩაკეტილ სივრცეში ტრიალებდნენ და კარს კი ვერსად ჰპოვებდნენ სამზეოზე გამოსასვლელად.

გეგმები? გეგმები, იცოცხლეთ, მეტად გაბედული ჰქონდათ? ოღონდ გაბედულება ის არ არი,ს რაც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ:

– ჩვენ ვმსჯელობდით ხოლმე, რომ დავაარსოთ ერთი კარგი პანსიონი, შევაგროვოთ შემოწირულება გიმნაზიისათვის, დავაარსოთ ბიბლიოთეკა და სხვა.

გულწრფელი გახლდათ ამ განზრახვებს რომ გაამჟღავნებდა. მხოლოდ ამის შესახებ ვბჭობდით და სხვა საფიქრალი არა გვქონია, ეს აღარ იყო უკვე სიმართლე, თორემ პანსიონისა და ბიბლიოთეკის ბედზეც რომ წუხდნენ და სხვა ამისთანებზეც, რა გასაკვირია – იატაკქვეშა მოძრაობისთვისაც სჭირდებოდათ ეს ინსტიტუტები, კონსპირაციის მიზნითაც და გარკვეულ საყრდენებადაც, და სახელმწიფოებააღდგენილ საქართველოს ხომ უამისოდ ვერ დატოვებდნენ და მერე ფიქრი კი ასეთ ინსტიტუტთა შესაქმნელად ცოტა ნაგვიანებიც იქნებოდა – ბარემ ახლავე, ბარემ უკვე.

თეატრალური დასის შექმნაც მერე მოენდომებინათ, დამოუკიდებლობას რომ დაიბრუნებდნენ?

ბარემ მისთვისაც უკვე გაეჭრათ საძირკველი..

თვითონვე შეარჩევდა ვახტანგ ორბელიანი სცენისათვის კარატიგინის ვოდევილს „ნაცნობნი უცნობნი" და დადგმასაც თვითონ მოიწადინებდა – სხვა მსახიობები სად ეძებნა, მისი თანამზრახველნიც რიგიანად გაართმევდნენ თავს – გინდ ალექსანდრე ორბელიანი, გინდ გიორგი ერისთავი, გინდ ელიზბარ ერისთავი, გინდ დიმიტრი ყიფიანი, გინდ ივანე მუხრანბატონი, გინდ ზაალ ავთანდილაშვილი. თვითონ არც სცენას გამოაკლდებოდა.

ნეტა ვის რა როლი რგებოდა?

ნეტა რის მიხედვით შეერჩია მსახიობები ვახტანგ ორბელიანს, რას უკვირდებოდა, რას განჭვრეტდა?

ნეტა გაწვრთნით როგორლა წვრთნიდა?

კარატიგინის ვოდევილი კიდეც რომ მოვიძიოთ, ამოცნობა გაძნელდება, ვინ რომელი როლისათვის შეეფარდებინა, ვისი გარდასახვისა უფრო ეიმედებოდა, ვის სტატისტობისათვის გაიმეტებდა... მერე კი ვინ როგორ მოერგებოდა ამ არჩევანს.

უკვირდები რამდენიმე ფრაზას, წაღმა-უკუღმა ატრიალებ და უფრო მეტის გამოწურვას ლამობ, ვიდრე ეს გაშეშებული სტრიქონებია. ისე გინდა ის მეტი, თითქოს საგამოძიებო ჩვენებას კი არ ეცნობოდე, არამედ თეატრალური დასის ისტორიას და გული გწყდებოდეს მკვლევარზე, რატომ იძუნწა და უფრო სავსე არ გახადა თხრობაო.

რაც არის, განა ისიც არ უნდა გვახარებდეს?

ბოლოსდაბოლოს, ელიზბარ ერისთავის ბიოგრაფიაში კიდევ ერთ კოლორიტულ შტრიხად ჩნდება ეს ეპიზოდი – მისი ხანმოკლე მსახიობური კარიერა.

ის, რასაც ვარაუდად ვიფიქრებდით გიორგი ერისთავზე ან ალექსანდრე ორბელიანზე, აქ დოკუმენტური ცნობით გვიდასტურდება, აი, ელიზბარზე კი ვარაუდიც გაძნელდებოდა – განა რას უნდა დაყრდნობოდა ასეთი ვარაუდი, მის არტისტულ ბუნებას? შინაგანად არტისტულნი სხვანიც ყოფილან, არაერთნი, მაგრამ არც არავის შეუთავაზებია მათთვის სპექტაკლში მონაწილეობა და არც თვითონ არასოდეს მოსვლიათ აზრად.

ან ვახტანგ ორბელიანის რეჟისორობა ვითომ უაღრესად საგულისხმო დეტალი არ არის მის ბიოგრაფიაშიც და ჩვენი კულტურის ისტორიაშიც, თავისებური წინამორბედი 50-იანი წლების თვალსაჩინო თეატრალური წარმატებებისა, რომელიც აღარც შეწყდებოდა და ზედ აისხამდა უამრავ რგოლს, მატიანედ რომ გადაიჭიმებოდა და ქართული თეატრის ისტორია დაერქმეოდა.

სათავეში ჩაშლილი სპექტაკლი მოჩანდა.

მაგრამ სამზადისიც არ არის ხელწამოსაკრავი მოვლენა, მითუმეტეს, უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვნებათაღელვის შუაგულში რომ მოქცეულა, უფრო დიდ სამზადისს გადაჯაჭვია და თავისებურ ავანსცენად აღმართულა იმ გარდამტეხი სამზადისის მისაფარავად.

რეპეტიცია რეპეტიციას მიჰყვებოდა.

პრემიერისათვის 1832 წლის ყველიერი შეირჩეოდა.

დიმიტრი ბატონიშვილი 20 აგვისტოს მოიწერებოდა პეტერბურგიდან და თამარ ბატონიშვილს სთხოვდა ცნობების მიწოდებას, თუ რა ბედი ეწია წამოწყებას:

„რას შვრებიან ჩვენი მახინჯები, ესე იგი ელიზბარი, ვახტანგი, ივანე და სხვანი და წარმოადგინეს თუ არა კომედია, რომელზედაც ასე ბევრს მწერდა ვახტანგი, რომ მათ აქვთ ახალი რამ, რომ თავი გაირთონ".

მიუხედავად დიდი გატაცებისა, მიუხედავად გულდასმით მომზადებისა, სპექტაკლი ვერ დაიდგმოდა.

ზაალ ავთანდილაშვილი მიზეზს უფულობით ახსნიდა: ხშირად დავიარებოდით რეპეტიციებზე, რაც იმიტომ შეწყდა, რომ დასადგმელი თანხა არ აღმოჩნდაო.

ფულიც აჯანყების მზადებას უფრო სჭირდებოდა, ენერგიაც მთლიანად აქეთ მიიმართებოდა და, რაკიღა წლის დასაწყისში თავი ვერ მოებმოდა სპექტაკლს, მერე უკვე სულ უფრო გაძნელდებოდა.

ისტორიაში გადაინაცვლებდა ვახტანგ ორბელიანის ლიტერატურული წრე – ელიზბარ ერისთავის მონაწილეობითაც შექმნილი

– და იქნებ სულაც ჩაკარგულიყო გამოძიების ოქმებსა თუ მემუარულ პასაჟებში, იაკობ ბალახაშვილის მონდომება რომ არა საუკუნის შემდგომ – აღედგინა ლიტერატურული წრეებისა და სალონების ცხოვრების სურათები და ვახტანგ ორბელიანის მიერ გამართული ლიტერატურული თავყრილობებისთვისაც საგანგებო ადგილი მიეჩინა ორიგინალურ წიგნში, სალონთა ციკლად ნაგულისხმევში, რომელსაც აშკარად დაჰკრავდა კონიუნქტურული იერი, ჯერ მარტო ალექსანდრ პუშკინის ერთი ნაბიჯიც რომ არ გამორჩებოდა საქართველოს მიწა-წყალზე.

თურმე ამასაც რა უშავდა.

„ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში“ პოლიტიკური დაკვეთით შექმნილ წიგნსაც კი ჰგავს – 1940 წელს გამოცემულს, მაშინ, როდესაც იდევნება სალონიც და ლიტერატურული წრეც, თუკი ოფიციალური არ არის, და სულ ცოტა ხანში ასეთი ლიტერატურული წრეების წევრებს ერთიერთმანეთზე წამოკრეფენ და საკონცენტრაციო ბანაკთა გზასაც გაუყენებენ, და ამგვარ ფონზე ცოტა უცნაური ჩანს სალონების აპოლოგიად განზრახული წიგნის გამოცემა, ლიტერატურული წრეების წარმოსახვა მომხიბლავი ფერებით, ძალდაუტანებლად რომ გიბიძგებს ასეთი თავყრილობების აღსადგენად და აღარც უკვირდები, რომ ამ ,თავისთავად უწყინარ, მცდელობებსაც შესაძლოა საბედისწერო დასასრული მოჰყვეს.

გიბიძგებს, გითრევს აქეთ, ოღონდ არა უნებურად, საქმეც ესაა – არა უნებურად, რამდენადაც ვიცნობთ ავტორის ბიოგრაფიასა და ცხოვრების წესს, რასაც ცხოვრების წესი დიდი პირობითობით თუ დაერქმევა.

აქ ნუღა გავყვებით ჟაკი ბალახაშვილის ხასიათისა და ბედისწერის გამორკვევა– წარმოსახვას (ვინც დაინტერესდება, ჩემს მხატვრულ– დოკუმენტურ თხზულებას ჩახედავს – „ჟაკის სალონი“), ნუღარც 1942 წლის შეთქმულების ტრაგიკულ მატიანეს, თუმც თავისთავად ჩნდება ცთუნება, 1932 წლის შეთქმულების გახსენებისას საუკუნისშემდგომი განწირული სულისკვეთებაც ჩალაგდეს ცალკეულ სურათებად თხრობისას. იდუმალი ხიდი ისედაც გადებულა მათ შორის და შუაში კიდევ 1924 წლის აჯანყება მოჩანს ნიშანსვეტად სახელმწიფოებრიობის დაბრუნების გზაზე, მაგრამ... ვიკმაროთ ის, რაც ცნობიერებაში ისედაც წამოგვიტივტივდება და იაკობ ბალახაშვილის ამ პატარა წიგნსაც – ყველაფრის მიუხედავად – არ დავუვიწყოთ ლიტერატურული მნიშვნელობა. არამცთუ

ამოვშალოთ საზოგადოებრივი შეგნებიდან, ხელახლა შემოვიტანოთ სამწერლო მიმოქცევაში, ბიბლიოთეკის თაროებზე ჩასათვლემად არ გავიმეტოთ და, მეტიც, კვლავ დავუბრუნდეთ ამ მრავალმხრივ ფასეულ თემას – სალონებსა და ლიტერატურულ წრეებს XIX საუკუნის საქართველოში, როგორც ჩვენი კულტურული აღორძინების განმსაზღვრავს ბევრწილად.

ამოვაგდოთ პუშკინით შთაგონებული ჩანაწერები, ერმოლოვითა თუ დეკაბრისტებით „დამშვენებული" შეკრებანი.

საგრძნობლად შევავსოთ ახალმოპოვებული მასალებით, ახალ კერებსა და ახალ ისტორიულ პერსონაჟებს რომ შემოამატებს ჩვენს წარმოსახვას; და მათ შორისაა ელიზბარ ერისთავის გორის სალონიც, განათლებისა და კულტურის კერა, რომელიც სულაც არ ჩაიფერფლებოდა მისი ამქვეყნიდან გასვლისთანავე და მისი მეუღლე და ვაჟი შეინარჩუნებდნენ ამ კერის სიცოცხლისუნარიანობას – ქეთევან ერისთავი და ივანე მოევლინებოდნენ მფარველებად ლიტერატურითა და თეატრით გატაცებულ ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას და ისიც ნიშანდობლივია, რომ ნატო გაბუნია სწორედ აქედან გაიკვალავდა გზას დიდი სცენისაკენ.

ეს სალონი გამორჩენილია იაკობ ბალახაშვილის წიგნში, მაგრამ ის ლიტერატურული სადილი კი არ გამოუტოვებია ელიზბარ ერისავთან და ცალკე თავადაც ჩაურთავს, როგორც კულტურული მოვლენა, დიმიტრი ყიფიანის მემუარების წყალობით რომ ხერხდებოდა აღდგენა საკმაოდ დეტალურად.

„ოცდაათიანი წლების თბილისში მეტად გავრცელდა ტრადიცია ლიტერატურული სადილების მოწყობისა" – ამ ფრაზით დაიწყება ეს თავი და დაზუსტებით აღარ არის დაზუსტებული, თუ რას გამოუწვევია ეს მოდური სადილები.

კონსპირაციაა პოლიტიკური შეკრებებისათვის.

იდეური მომზადებისათვის ხომ თავისთავად, და ისედაც – პრაქტიკულ საქმეთა მოსაფიქრებლად და მოსაგვარებლად.

ნიღბად ლიტერატურა აეფარებოდა წრის შეხვედრებსაც, სადილებსაც, სეირნობებსაც. და ისიც ბუნებრივია, რომ, ვთქვათ, ელიზბარ ერისთავთან ამ სადილის შემდგომ თანამზრახველნი ორბელიანთა ბაღისაკენ გასწევენ.

სასეირნოდ? ცხადია... ცხადია, სასეირნოდ!..

ლიტერატურა – თეატრიც ამასობაში – საბურველადაც მარჯვედ გამოიყენებოდა და თვითკმარი მნიშვნელობაც არ დაეკარგე-

ბოდა. ეგაა, პოლიტიკა და მწერლობა ერთმანეთს გადაჯაჭვოდა და მწერალი პოლიტიკოსიც უნდა ყოფილიყო, რაც ნიშანდობლივია თავისუფლებისაკენ მიმსწრაფი ერებისათვის.

1832 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში თავადმა ელიზბარ ერისთავმა, ზაალ ავთანდილაშვილის პირით, მეც დამპატიჟა თავის ბინაზე სადილად. მაშინ ცხოვრობდა თავისი სიძის, კოლეგიის მრჩეველ მელნიკოვის სახლშიო, – მოიგონებდა დიმიტრი ყიფიანი, – მე გავუარე ავთანდილაშვილს, მერე ვახტანგ ორბელიანს და ჩვენ სამნი ვესტუმრეთ ელიზბარსო.

იქ დახვდებოდნენ – სოლომონ რაზმაძე, სოლომონ დოდაშვილი და ელიზბარის ძმა, არტილერიის პრაპორშჩიკი დიმიტრი. დიმიტრი ყიფიანი თავის სეხნიას აქ პირველად გაიცნობდა. ამასობაში ალექსანდრე ორბელიანი და გიორგი ერისთავიც შემოემატებოდნენ.

სტუმრების გასართობად – გასართობად, აბა, სხვა რა მიზეზი შეიძლება ყოფილიყო – რაზმაძეს სთხოვდნენ წაეკითხა მის მიერ რუსულიდან თარგმნილი ადამ მიცკევიჩის „ფარისი“, ლექსი, რომლის დაკავშირებასაც შემდგომ და შემდგომ ძალიან შეეცდებოდნენ მკვლევარები ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანთან“, შთაგონების კვალის ძიებას დაიწყებდნენ, ეძიებდნენ, ეძიებდნენ, მაგრამ ხელშესახებს ვერაფერს მოიძევდნენ.

სთხოვდნენ და სოლომონ რაზმაძეც წაიკითხავდა „თაჯილფახერ ემირის პატივად დათხზულს პოლშურ ენაზედ ადამ მიცკევიჩისაგან“.

გასართობადო...

ათწლეულები რომ ჩაივლიდა, მემუარებში რომ დასჭირებოდა ამ ეპიზოდის ჩართვა, დიმიტრი ყიფიანი მაინც ისეთივე სიფრთხილეს გამოიჩენდა, თითქოს კვლავაც გამომძიებელთა ლანდები ატუზვია თვალწინო.

შეთქმულთა წრეში თავისუფლების ჰიმნის გახმიანება გასართობად არ მოხდებოდა, ისევე, როგორც გასართობად არ შეიქმნებოდა „ფარისის“ ქართული ორეული.

და აღტაცება, სოლომონ რაზმაძის დეკლამაციით გამოწვეული, მხოლოდ თარგმანის ლიტერატურული ღირებულებით არ იქნებოდა გამოწვეული.

თუმც... რომელი შეთქმულება – სუფრის წევრთა შორის.

სადილია, ლიტერატურული სადილი.

– ამის შემდეგ აუტყდნენ დოდაშვილს და განსაკუთრებით ელიზბარი ეუბნება მას სიცილით: „როგორ გაბედე შენ დაგებეჭდა

შენს ჟურნალში ისეთი სტატიები, რომელთათვისაც სხვა ჟურნალისტს პასუხისგებაში მისცემდნენ?"

დოდაშვილი – რა?

ელიზბარ – აი, მაგალითად, ბატონის სენატორის ბიძაჩემის ლექსები, ისინი რომ ახსნა-განმარტო, იცი რომ...?

დოდაშვილი – არაფერია. სანკოვსკიმ განიხილა; მე რა მესაქმება.

ელიზბარ – იმიტომაც! ან კიდევ პოემა ამ ახალგაზრდა პოეტისა (უჩვენა გიორგი ერისთავზე).

ერისთავი – არა! შენ ასე არ დასწერ.

რაზმაძე – მართლა, ხუმრობა გაშვებით, მან საკმაოდ გაბედულად დასწერა: ეს არც ხუმრობაა.

ელიზბარ – აბა, წაიკითხე.

და გიორგი ერისთავიც წაუკითხავდა ერთ პასაჟს სოლომონ დოდაშვილის ჟურნალში გამოქვეყნებული თავისი „ოსური მოთხრობიდან".

ეს პოემა იქ მყოფთაგან ყველას ექნებოდა წაკითხული, და თუ ვინმეს უნებურად გამორჩა, თვითონვე გაეცნობოდა „ტფილისის უწყებანში", მაგრამ მთავარი სწორედ ისაა, რომ ხმამაღლადაც უნდა იქნეს წარმოთქმული და პოლიტიკური მუხტი გაამძაფროს. რომელი პასაჟია? არ დააზუსტებდა მემუარისტი – იქნება მიფარებოდა გონებას, ან იქნებ სიფრთხილით, თვალშისაცემი არ გამოჩნდეს იმ მონაკვეთის პოლიტიკური სარჩულიო.

სადილი საღამოს ხუთ საათამდე გასტანდა და ორბელიანთა ბაღს აქედან შეერეოდნენ.

და ამ აღწერით იოლად წარმოიდგენ აგებულებას ყველა იმ სადილისა, პოლიტიკურ რგოლად რომ ივარაუდებოდა და ლიტერატურულ-კულტურულ პროცესშიც ძალდაუტანებლად ჩაერთვოდა.

სუფრას უსხდნენ ამჯერადაც.

დიმიტრი ყიფიანი აღადგენდა ამ სურათსაც – საგამოძიებო ჩვენებისას და არა მემუარულ ჩანაწერებში, თუმც მოგონებებშიც მაინცდამაინც არ დაცილდებოდა ამ მონათხრობს, დუმილი რომ არ ემჯობინებინა.

ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ ამბებზე რომ შეჰყვებოდნენ საუბარს – საფრანგეთის რევოლუციასა და განსაკუთრებით ბელგიელებზე, ბოლოს მთავარ საფიქრალს მიადგებოდნენ.

აბა, დაიწყეთო, – ალექსანდრე ორბელიანმა.

ჰო, დაიწყეთო, – აჰყვებოდა ელიზბარ ერისთავი, – რა არის აქ დასაფარავიო.

აჰყვებოდა და... თავყრილობის წარმართვასაც თვითონ ითავებდა – თავისთავად, ძალდაუტანებლად. დიმიტრი ყიფიანის მემუარების ეს პასაჟი ამ მხრივაც საგულისხმოა, რომ ხელშესახებად მოჩანს ელიზბარის დაწინაურება გადამწყვეტი ჟამის წინ. იმ დღეს 19 ოქტომბერია და უკვე ის განწყობილება იზრდება: დრო ძვირფასია და დაგვიანებას საქმე ყოველთვის ჩაუშლიაო.

რომ საქართველო უნდა განვათავისუფლოთ რუსებისაგან, ცხადია, – განაცხადებს თუ არა დიმიტრი ერისთავი, ელიზბარმა თავისი სიტყვით უნდა დაბეჭდოს:

– ხომ გაიგეთ, ბატონებო! აი, მიზანი ჩვენი შეკრების. ინებეთ გამოთქვათ თქვენ – თქვენი აზრი. ალექსანდრე! დაიწყეთ თქვენ!

ალექსანდრე ორბელიანი სურსათის საჭიროებას შეახსენებს თანამზრახველთ: ვთქვათ, ჯარიც შევკრიბეთ და აჯანყებაც მოვახდინეთ, სურსათი ხომ აუცილებელი იქნებაო. თვითონ რუსებს წავართმევთო, – შეეპასუხება დიმიტრი. კარგიო, – ყაბულდება ალექსანდრე.

ელიზბარი კი:

– შემდეგმა ილაპარაკე.

დე ასე იყოს, ვთქვათ, იმათ წავართმევთო, – ვახტანგ ორბელიანმა. ეტყობა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ ელიზბარი აღარ აცლის:

– აბა, განაგრძეთ თქვენ!

ახლა სხვას მიმართავს.

დიმიტრი განაწყენდება: რა წესრიგია, მათქმევინეთ ერთი სიტყვა, იქნება თუ არა მაღაზიებში ერთი წლის სამყოფი სურსათიო? არაო, მიუგებდა ზაალ ავთანილაშვილი, და ელიზბარი, დარწმუნებით:

– იქნება, მე ვიცი, რომ იქნება.

ზედმეტად მიიჩნევს განმარტებას, თუ საიდან შეუტყვია. შეფიქრიანებულა, ეს აწყობილი საქმე სურსათმა არ დაგვიბრკოლოსო, და ამ თემის მოთავებას ლამობს. და დიმიტრი ყიფიანს მიუბრუნდება:

– თქვენ რას ფიქრობთ?

ის კი:

– მე სულ ვფიქრობ, რით დაბოლოვდება.

და მის ყურს მიწვდება იასე ფალავანდიშვილის ჩალაპარაკება: მოსაწყენი კაციაო. ძალიან არ მოსწონს იასეს, ვინმე თუ სიფრთხი-

ლეს გამოიჩენს, მაგრამ ხმამაღლა შეკამათებას მოერიდება და საუბრის დინებას სხვა კალაპოტში გადააგდებს: ჯარის შესაკრებად ტფილისელი მაწანწალების და ლოთებისა მეიმედებაო. ზაალ ავთანდილაშვილმა ეს აზრი უნდა გააქილიკოს, ოღონდ დიმიტრი ყიფიანის ყურში ჩაფუჩუნებით: ჩინებული ჯარია ლოთებიო. ალექსანდრე ორბელიანი კი იასეს რჩევას გადაჭრით რომ უარყოფს და დასაყრდენად გლეხობას ამჯობინებს, თავისი ძმა შეედავება: გლეხები ძალიან აღარ უჯერებენ მემამულეებს, რადგანაც ყოველ მათგანს შეუძლია მოიპოვოს თავისუფლება – იჩივლებს სასამართლოში და მორჩაო. მაგრამ ალექსანდრეს ელიზბარი გამოექომაგება და ვახტანგს დაამშვიდებს:

– არა, ნუ შიშობ, ერთგულებს მაინც ვიპოვით. და ამის გარდა კიდევ მოიპოვება საშუალება ბრბოს აღსაშფოთებლად. საკმარისია გავავრცელოთ ხმა, რომ ახალწვეულებს ჰკრებენ ჯარში წასაყვანად და ნახავ როგორ იფეთქებს.

და დიმიტრი ყიფიანს, ვინც ცოტა ხნის წინათ სიფრთხილეს უფრო ამჯობინებდა, ეტყობა, ელიზბარის გზნება გადაედებოდა და შეთქმულთ ახალ მოსაზრებასაც შესთავაზებდა. განა ცოტა ქადაგი დაიარებოდა? მათი უნარისა და სახელის გამოსაყენებლად შესაფერისი დრო დგებოდა და ისინიც ხალხის წინაშე უნდა დავარდნილიყვნენ და მოერთოთ ყვირილი, წმინდა გიორგი ამას ბრძანებს, ღვთისმშობელი ამასო.

– მაშინ ნახავთ.

და გაეხარდებოდა, ეს რა კარგი რამე მოვიფიქრეო.

იასეც მეტი პატივისცემით შეხედავდა: შესაძლებელიაო, – და აჯანყების თარიღის გადადებას უკვე ზედმეტად მიიჩნევდა:

– მაგრამ როდის დავიწყოთ?

უეცრად გუბერნატორის მდივანმა უნდა შემოუღოთ კარი, კანცელარიული ფუსფუსის შემდეგ გართობა რომ მონებებია და მის დანახვაზე ყველას სახე ეცვალოს, ალექსანდრე ორბელიანმა კი საუბარი მაშინვე ამინდზე გადაიტანოს: რა მშვენიერი დარიაო.

ჩვენ ხომ ეგრე დავდივართ და ხან ორბელიანების საფლავებს მოვინახულებთ ხოლმე და ხან ერისთავებისას, ამიტომ ხან ორბელიანები ვგონივართ ხალხს და ხან ერისთავებიო, – ნუგზარ შატაიძემ იმ ჩანახატში, „ერისთავებს“ რომ დაარქმევდა („ჩვენი მწერლობა“, 2002, 25 იანვარი) და ამ ყაიდის მინიატურულ თხზულებას კიდევ ორს შექმნიდა: „ორბელიანები“ და „დოდაშვილები“. დაუწე-

რელი დარჩებოდა ამ ციკლის ის ნიმუში, „კიკნაძეები“ რომ შეერქმია გუნებაში და ფილადელფოს ბერის სულის მოსახსენიებელ დღედ აღიბეჭდებოდა ჩვენი საზოგადოებისა და რედაქციის ცხოვრების მატიანეში.

მაგრამ სამი მინიატურა კი დაწერილიყო და ავტორს ისე უხაროდა, ეს ორიგინალური ციკლი მარჯვედ რომ გამოვიდა, ჩემს რჩეულში აუცილებლად მივუჩენ ადგილსო, – ხშირად გაუმეორებია. თავიდან კიდეც მიუჩენდა, თუმც გამოქვეყნებული ვერსია იმ წიგნისა ცოტა სხვაგვარი აღმოჩნდებოდა გამზადებულ დედანთან შედარებით, და პოლიტიკური კონიუნქტურით ნაკარნახევი რედაქცია ამ ციკლსაც შეინირავდა.

მაგრამ მანამდე საკმაოდ წყალმა უნდა ჩაიაროს და ჯერ შუამთის მოსანახულებლად თვითონვე უნდა მაგულიანებდეს – ბარემ ფილადელფოსის სახელიც შეემატოს შეთქმულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდების სერიასო.

ხან ერისთავები ვგონივართო...

ვინმეს ეს იქნებ ბელეტრიზებული ხერხიც ეგონოს, მწერლის წარმოსახვის ნაყოფი, რაც თავისთავად სულაც არ დაიძრახება, მაგრამ ამჯერად რეალური სურათი გადმოდიოდა ფურცელზე.

მართლა გაისმოდა ჩურჩული თუ ხმამაღალი წამოძახილები, სიონში რომ შევიდოდით:

– ორბელიანები მოვიდნენო.

გორის ღვთისმშობლის ეკლესიაში:

– ერისთავები გვესტუმრნენო.

ბოდბის ეკლესიაში:

– დოდაშვილები მობრძანდნენო.

უშუალო შთამომავლებად ვესახებოდით ალექსანდრე ორბელიანსაც, ელიზბარ ერისთავისაც, სოლომონ დოდაშვილისაც, წინაპართა სულის მოსახსენებლად თავგამოდებულ შვილთაშვილებად და ამასაც გვიფასებდნენ: არ ივიწყებენ პეპერათ-პეპერებსო. და თუმც დაბეჯითებით ავუხსნიდით, არც ორბელიანები ვართ, არც ერისთავები და არც დოდაშვილები და ჩვენს შორის ერთიც არ ურევია ამ გვარებისაო, არ გვიჯერებდნენ და არა.

მაინც ისევ:

– ორბელიანები მოვიდნენო.

– ერისთავებიო.

– დოდაშვილებიო.

„კიკნაძეებიო“ – ესეც ითქმოდა, შუამთის მონასტერში არა, თბილისის ფერისცვალების ეკლესიაში, თუმც ეს სურათი აღარ გადავიდოდა ჩანახატებსა თუ რეპორტაჟულ ჩანაწერებში. ისე ისიც შეიძლებოდა, იმ დღეს ნამდვილი კიკნაძეც გამოგვრეოდა, არა ფილადელფოს ბერის ჩამომავალი, მაგრამ მოგვარე კი, და სულ ვეღარ გადავარწმუნებდით ხალხს, არა ვართ კიკნაძეებიო.

მაგრამ ეს არ მომხდარა.

ეგეც არაფერი – კიკნაძეებიც მაინც ჩვენ ვეგონეთ და მაინც.

ბავშვობაში გორი არ მიყვარდაო, – ნუგზარ შატაიძეს ჩანახატი ასე დაიწყებოდა, დიდედას წყევლას ამოსდევდა ეს სახელიო („აი, ამოიბუგოს გორი, ამოიბუგოს და ამოილოკოს, როგორც ჩემი ოჯახი ამოლოკა“), და მიზეზიც განიმარტებოდა, რას გამოეწვია ასეთი მწვავე განცდები ოჯახში გორის ყოველი ხსენებისას.

პაპა გაეყენებინათ გორის გზისათვის.

ეს გამოთქმა იდიომად ქცეულიყო და ამ იდიომის განმარტებას კი ოთარ ჩხეიძის ნოველიდან ამოიწერდა „პაგანინის თითები“:

„გორის გზასაო, – შემზარავი რამ იყო იმ ხანებშია. ჩაილურის წყალი დალიაო, უფრო ადრინდელი ნათქვამია. დღევანდლამდის გასძლო: დაიკარგაო. არც ესაა დიდი სიკეთეი რაღა თქმა უნდა, ოღონდ: გაუყენეს გორის გზასაო – მეტსა ნიშნავდა, მეტ რისხვასა: გზაში რო ჰხვრეტდნენ, იმას გულისხმობდა, იმასა, იმასა, სხვა არაფერსა. კიდევ კარგი რო გადავარდა სიტყვა-თქმიდანა“.

ოთარ ჩხეიძის მამა და პაპისძმა ასე გაეყენებინათ გორის გზისთვისა.

ნუგზარ შატაიძის პაპაც გაეყენებინათ, მაგრამ ის გადარჩებოდა დახვრეტას, მასზე მთლად არ გავრცელდებოდა ის იდიომური გამოთქმა.

მაინც წყევლიდა დიდედა გორსაც და გორის ციხესაც, რომელიც შვილიშვილის წარმოსახვაში მერე და მერე ისტორიულ ციხესთან გაიგივდებოდა, ქალაქის შუაგულში რომ აღმართულიყო და მისი ხელში აღება წყვეტდა გორის ბედს.

ჩანახატში იმასაც საგანგებოდ აღნიშნავს: ოთარ ჩხეიძე აქ შემთხვევით არ გამხსენებიაო –

„ის ამბავი, რაც მის თავზარდამცემ, მაგრამ მშვენიერ მოთხრობაში ხდება, ჯაჭვის ერთი რგოლია და მეორე კიდევ ეს გახლავთ, აკი სულ ამნაირი რგოლებისგან შედგებოდა ის წყეული ჯაჭვი, ავად სახსენებელი და ავად მოსაგონარი“.

ასე ძალდაუტანებლად გაიდებოდა ხიდი ორ ტრაგიკულ ეპიზოდს შორის ახალი ეპოქის საქართველოს ბიოგრაფიაში, ასე შეკავშირდებოდა ორი სამზადისი ქვეყნის გამოსახსნელად:

1832.

1924.

და განსხვავება ამბოხებულთა მიმართ ანგარიშსწორებას შორის იმ საუკუნესა და ამ საუკუნეში თავისთავად გამოაჩენდა მართვის ორი რეჟიმის – სასტიკისა და უსასტიკესის – შეუთვისებლობას ერთმანეთთან. დეკაბრისტული სული გადმოსულიყო ბოლშევიკურ რეჟიმში, დეკაბრისტთა ის მარცხი ათასწილად ეზღვევინებინათ ბოლშევიკებს მეფის ხელისუფლებისათვის და იმათ წინაშე ვალმოხდილად შეიგრძნობდნენ თავს – რაც თქვენ ვერ შეიძელით, მაგრამ წამოწყებით კი წამოიწყეთ, ჩვენ დავაგვირგვინეთ და თქვენი ხსოვნა აღარც არასოდეს ამოიშლება საბჭოური ცნობიერებიდან, როგორც რევოლუციის წინამორბედთაო.

რასაც ფრთხილად ესწრაფოდა მეფის ხელისუფლება, უფრო სწორად, ფრთხილი სიმწვავით და ეს ეგონათ მართებული სახელმწიფო პოლიტიკაო, თქვენ ერთი ხელის დარტყმით მოგენდომებინათ იმპერიული იდეალის აღსრულება და სენატის მოედანზე შეკრებილნი გონების თვალით უთუოდ შეჰყურებდით ერთ ენაზე მოლაპარაკებასა და ერთი სულისკვეთებით განმსჭვალულ იმ ხალხებს, რუსეთის საზღვრებში რომ მოქცეულიყვნენ და მეფის ხელისუფლების პირობებში კიდევ კარგა ხანს შეინარჩუნებდნენ ეროვნულ თავისებურებებსო.

აკი კიდეც შეენარჩუნებინათ.

დასცლოდათ, ნეტავი დასცლოდათ სენატის მოედნის გმირებს!..

კავკასია დაუშოშმინებლად გამოიყურებოდა?

კავკასიელებს ასე ადვილად ვერაფერი მოდრეკდა?

ესეც გაეთვალისწინებინათ პესტელსა და რილეევს და თავიანთ წესდებაში ამიტომაც ჩართავდნენ აუცილებელ მუხლად კავკასიელთა წამოკრეფას დიდპატარიანად და მათ მიმოფანტვას რუსეთის შიდა გუბერნიებში.

აბა, მაშინაც არ დაეთმოთ ეროვნული ზნე-ჩვეულებანი, მაშინაც მობღაუჭებოდნენ ხავსსა თუ კვამლივით აბოლილ ილუზიებს.

ჩვენ გვიგულეთ თქვენს ღირსეულ ჩამომავლებადო, – საუკუნის გადასახედიდან შეეხმიანებოდნენ სენატის მოედანსა და იმპე-

რატორის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოშლილ მხედრებს, რომელთაც ეგონათ, იტალიელ კარბონართა მოძრაობას ვეხმაურებით ჩვენი პროტესტით, იქ აფრიალებული ამბოხების ბაირაღი ახლა ჩვენს ხელში გადმონაცვლებულაო.

რუსი კარბონარებიო, – დეკაბრისტთა გამოსვლა ასეც შეფასდებოდა საისტორიო ქრონიკებში, და ლორდ ბაირონი რომ მოსწრებოდა დეკემბრის იმ დღეს, სასაცილოდ არ ეყოფოდა სიბრტყეების ასეთი უნუგეშო არევ-დარევა ერთმანეთში: როდის აქეთ გახდა ეროვნულ– გამათავისუფლებელი ბრძოლა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ერთი და იგივე მოვლენაო.

თავისუფლებას მიელტვოდა იტალია, ავსტრიის უღლის გადასაგდებად სწირავდნენ თავს კარბონარები.

ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მიელტვოდნენ დეკაბრისტები, და თუ თავს სწირავდნენ, მხოლოდ იმიტომ, გახელისუფლებულთ სხვათათვის უფრო ადვილად წაერთმიათ თავისუფლება.

არამცთუ არ აგრძელებდნენ კარბონართა მოძრაობას, ეს ორი სული – კარბონარიზმი და დეკაბრიზმი – სრულიად უპირისპირდებოდა ერთმანეთს და დიდი დაკვირვებაც არა სჭირდებოდა – თუ ძალისძალათი არ აიხვევდი თვალებს – ეს შინაგანი შეუთავსებლობა რომ შეგემჩნია.

ლორდ ბაირონის აჩრდილის შეწუხება არცა ღირდა.

არ დასცლოდა ერთი გულიანი გაცინებაც.

იაკობინიზმი და კარბონარიზმი ერეოდათ ერთმანეთში ისტორიკოსებსა და პუბლიცისტებს, იქნებ მართლა ვერ გაერკვიათ, იქნებ განზრახ ერჩივნათ ასე, მაგრამ იაკობინიზმს კი აგრძელებდა დეკაბრისტთა გამოსვლა და რაც მათ ჩაეფუშებოდათ, ბოლშევიკები ააღორძინებდნენ. კარბონართა მოძრაობას კი... კარბონართა მოძრაობას, თუკი მსგავსებას ვეძიებთ, სინამდვილეში ქართველი შეთქმულნი ეხმაურებოდნენ და იმავე რკალში მოექცეოდნენ, იმავე სულისკვეთებით ანთებულნი.

იქ ვერ დაემხობოდა ავსტრიის უღელი.

აქ – რუსეთისა.

და ამითაც დაემგვანებოდა ერთმანეთს იტალიური და ქართული გაბრძოლებანი, ის გაბრძოლებანი თავისუფლებისათვის.

ამასაც არ განებებენ რუსი ისტორიკოსები და პუბლიცისტები – მაინცდამაინც კარბონარიზმთან ნებავთ მიტმასვნა.

აკი სულ ამნაირი რგოლებისგან შედგებოდა ის წყეული ჯაჭვიო...

– ერისთავები მოვიდნენ.

ეს მოსვლა იმით შევსებულა ჩვენი საზოგადოების ისტორიაში, რომ ელიზბარ ერისთავის მემორიალის კონკურსი გრძელდება და უკვე მეორე ტურისათვის ვემზადებით, მაგრამ – ჩანახატის ავტორისა არ იყოს – ამ მადლიან საქმეს ჩვენი საზოგადოება თავს ვერ გაართმევდა, „ომეგა ჯგუფის" დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი რომ არ შეგვეწეოდეს:

„მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო! – ბევრი ასეთი მადლიანი საქმე გაუკეთებია ბატონ ზაზას. თვითონ წარმოშობით გორელია და ამიტომ არ არის გასაკვირი, მშობლიური ქალაქი ასე რომ უყვარს. აკი ამიტომაც აუშენებია მშვენიერი ეკლესია კვერნაქზე".

– ერისთავები მოვიდნენ.

მამა ალექსანდრეს მიერ გადახდილი პანაშვიდის შემდეგ ლაზათიანი სუფრა რომ გაიშლება (ჩანახატის ავტორის ბელეტრისტული თხზულებების მთავარი სარბიელი!) და ნუგზარ შატაიძე გორული მწვანეთი, ზაქარია დემეტრაშვილის ხეივნის ღვინოთი, დაილოცება, აღარც იმას დაფარავს: ბავშვობაში გორი არ მიყვარდაო, – და იმ ციხესაც ახსენებს: პაპაჩემს იმან გაუტეხა ჯანიო.

და პაატა ჩხეიძე:

– გაჩვენებ, თუ გინდა! იმ ციხეში ახლა ბიბლიოთეკაა გახსნილი და მისი გამგე – ჩვენი უფროსი რძალი მანანა ასლანიშვილიც, აგე, გვერდზე გიზისო!

ამან რაღა უნდა თქვას, ჭიქას აიღებს და წამოდგება:

– გორს გაუმარჯოს, ქართლის გულს გაუმარჯოს!

დგას ასე, საწყალი პაპამისი აგონდება, გაზეთის ნახევებით გამოტენილი იმის შავი ხალათის ჯიბეები უდგას თვალწინ და ნატრობს: ეჰ, ნეტა ისიც მხედავდესო.

ჩაივლის, ჩაინამქრება იანვრის ის დღეც, რათა მაისი ამ სიხარულით შემოგვეგებოს:

– დოდაშვილები მოსულან.

მერე კი დეკემბრის მიწურული ამ შემოგებებამ გაანათოს:

ორბელიანები მოსულან.

და მზრუნველად გადაგვაბაროს 11 იანვრის მკლავებს.

თავი მერვე

ჟამი ელიზბარ ერისთავის ქანდაკებისა

დას ხომ გადაფარებოდა და გადაფარებოდა ელიზბარ ერისთავი, სიძესაც ყოველნაირად უცოდველად გამოიყვანდა. ერთი სიტყვაც არ წამოცდენია წამქეზებლური და სულ მიშლიდა არეულობაში გარევასო. ამასაც დის სიყვარულით მოინდომებდა ასე ენერგიულად და ისეთ პორტრეტს წარმოუსახავდა გამომძიებლებს ანდრია მელნიკოვისა, იფიქრებდი, ჭიას ფეხს არ დაადგამს და პოლიცმეისტერი კი არა, ხელოვანი იქნებაო. სიძეც რომ ძმებთან ერთად დაესაჯათ, მელანიას ვიღა უპატრონებდა.

მელნიკოვმა, ცხადია, არ უწყის, როგორ იხსენიებს თავის ჩვენებებში ელიზბარი, ანდა დიმიტრი რას გაუმჟღავნებს გამოძიებას, განსაკუთრებით მაინც ელიზბარის ავტორიტეტი აფრთხობს, გრძნობს, ვერ მიიჩქმალება მისი მეთაურობა და ელიზბარიდან კი მის უახლოეს პირებს გადაწვდებიან, როგორც ყველაზე ხელისშემწყობთ. უნდა-არ უნდა კვალი პირდაპირ მელნიკოვსაც მიადგება და, სანამ დროა, ყოველგვარი ეჭვი უნდა გაუბათილოს გამოძიებას, ელიზბარის მოყვარედ კი არა, მტრად მოაჩვენოს თავი და დაარწმუნოს, ერთმანეთის ნდობა ამათ არაფრით არ ექნებოდათო.

ამიტომაც:

– არავითარი განზრახვა მთავრობის წინააღმდეგი მე არ ვიცი, მათ ჩემთვის ამის შესახებ არასოდეს არაფერი უთქვამთ და მე მათთვის არასოდეს არავითარი დარიგება არ მიმიცია.

კი მაგრამ, მჭიდრო ნათესაური კავშ...

აბა, რას ბრძანებენ უფალი გამომძიებლები, მჭიდრო ნათესაური კავშირი მელნიკოვს არამცთუ მათთან, არამედ ქართველთაგან არავისთან ჰქონია და არც არავინ დაიარებოდა მასთან გარდა ლუარსაბ ორბელიანისა, რომელიც ათასში ერთხელ და მხოლოდ მცირე ხნით ესტუმრებოდა.

კი მაგრამ, ერთ ჭერქვეშ ცხოვრ...

შემთხვევამ მოიტანა, თორემ საერთო ჭერი რანაირად ექნებოდათ.

შემთხვევა რა იყო?

– ხოლო როდესაც ელიზბარი ქალაქ გორიდან ტფილისში ჩამოვიდა თავის მედიატორ თავად თარხნიშვილთან ერთად ბიძასთან ქონების გაყოფის გამო, მისი ძმა დიმიტრი კი ჩამოვიდა ჯელალოღლიდან პოდპოლკოვნიკ სანკოვსკისთან ერთად, მე არ ვიცი რა მიზნით, ორივე ძმა გაჩერდა ჩემთან.

თუ დაიარებოდნენ მათთან ალექსანდრე და ლუარსაბ ორბელიანები, მეორე ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი დავითის ძე და გიორგი რევაზის ძე ერისთავები?

დიახ, ზოგჯერ, მაგრამ რას საუბრობდნენ, მელნიკოვმა საიდან უნდა იცოდეს, როდესაც მათ კრებულში არ შედიოდა, თავისი საქმეც აუარებელი ჰქონდა და არც უსიამოვნება აკლდა ოჯახში პატარა გოგონას ცხრათვიანი ავადმყოფობის გამო, და კიდევ იმის გამო, რომ ეზოში აშენებდა სარდაფსა და საბძელს, რაც მის მუდმივ იქ ყოფნას მოითხოვდა და რაშიც თავადი ორბელიანები ყოველთვის ხელს უშლიდნენ.

ელიზბარის სახელს ნუ უხსენებთ, იმიტომ, რომ, რა დასამალია, მასთან...

– მუდმივი უსიამოვნება მქონდა იმის გამო, რომ ვითხოვდი ცოლის მზითევს, რვა წლის განმავლობაში რომ ვერ მივიღე და მუდამ რომ მატყუებდა მეც და თავის დასაც.

ისიც გაითვალისწინეთ, რომ ერისთავები ცხოვრობდნენ მისი ოჯახისაგან განცალკევებით, ზალაში, რომელიც ყოველთვის გათიშული იყო დაკეტილი ოთახის საშუალებით, რათა ავადმყოფი არ შეწუხებულიყო.

რამდენი დღე იცხოვრეს მასთან?

არ ახსოვს, მაგრამ მერე მასპინძლისათვის უცნობი მიზეზის გამო – მისი შინ არყოფნისას – სხვა ბინაზე გადავიდნენ, ისე, რომ იგი არ გაუფრთხილებიათ და, მელნიკოვი შინ რომ დაბრუნებულა, უნახავს ატირებული ცოლი ავადმყოფის გვერდით მჯდომი:

– უჩიოდა ძმებს უგრძნობლობის გამო, რომ მარტო დატოვეს ამ უბედურების დროს.

მეორე დღეს უხმია ელიზბარი და სამდურავიც უთქვამს ასეთი საქციელის გამო, თანაც მოუთხოვია დაწვრილებითი ანგარი-

ში ცოლის მზითვისა, რომელიც მას აღუთქვეს, რომ მისცემდნენ ბიძასთან მამულების გაყოფის შემდეგ, მოუთხოვია აგრეთვე ბრილიანტის ანას მეორე ხარისხის ორდენი, რომელიც განსვენებულმა მამამ უანდერძა მელანიას და ელიზბარს კი ჰქონდა შენახული.

როგორ გგონიათ, რა უპასუხა ცოლისძმამ ამ კანონიერ მოთხოვნებს?

ბარემ გასამხელი არ არის, მელნიკოვი ოჯახის საჯაროდ გამოჭენებას ერიდებოდა და ერიდება, მაგრამ რადგანაც სხვა გზა აღარ დარჩენია, ბარემ ესეც გამჟღავნდეს.

– ელიზბარმა ლანძღვით ამიკლო, მერე წამოავლო ქუდს ხელი და გავარდა, და ისინი აღარ ყოფილან ჩემთან ჩემი ქალის გარდაცვალებამდე, ანუ 1832 წლის 4 ნოემბრამდე; ამის შემდეგ გადამტერებულნი იყვნენ და ჩემთან ძალიან იშვიათად დაიარებოდნენ, ისიც ისე ცივად, როგორც უცხოები, ასე რომ, ხშირად ყოფილა ელიზბარი ძლივს დაგვთანხმებია, წასულიყო ნავთლუღში ექიმ პრიპილთან ჩემი ავადმყოფი ქალის რეცეფტისათვის.

თურმე ძლივს ითანხმებდნენ, მაგრამ... ხშირად კი აგზავნიდნენ. თუკი მართლა წაკიდებულები არიან და ერთმანეთი არ დაენახვებათ, რატომღა უნდა სთხოვდეს მელნიკოვი ცოლისძმას რეცეფტის მოტანას? მანამდელი ნაამბობი და ეს გაგზავნა ერთმანეთს მაინცდამაინც ვერ ესადაგება და სიმართლის უნებლიე გამხელას უფრო ჰგავს.

მათი დავა მზითვის თაობაზე ვინ შეიძლება დაადასტუროს?

თუნდაც ლუარსაბ ორბელიანმა, და სხვებმაც.

მელნიკოვი ისე შევიდოდა ეშხში, შანშე ერისთავსაც გადაწვდებოდა:

– მზითევზე არამარტო მათ ვედავებოდი, არამედ ჩემს სიმამრსაც ვეჩხუბებოდი და ჩივილსაც ვაპირებდი.

აქ კი ვეღარ მოზომავდა. შანშე ერისთავი შერისხული ძმების მამა კი იყო, მაგრამ მთავრობა მის სახელს დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და ფარზეც აეზიდა ყველასთვის სამაგალითოდ. ამიტომაც მისი აუგად ხსენება არ ეჭაშნიკებოდათ, და დამშვიდებულ გუნებაზე არც სიძე-ბატონი გაბედავდა სიმამრის მიმართ სამდურავის გაშიშვლებას.

დამშვიდებულ გუნებაზე არც ტრაქტირის ხსენება დააკარგვინებდა წონასწორობას.

გახსოვთ, ელიზბარმა ეს ეპიზოდი იმის დასტურად დაიმოწმა, მელნიკოვს რომ მადლობას უხდიდა, ჭკუაზე მომიყვანა, თორემ აქ ყოფნისას მე და ჩემი მეგობრები ამბოხებაზე ვმსჯელობდითო. სიძე კი რატომღაც იფიქრებდა, გამომძიებლებს ეს შემთხვევა იმიტომ გაუმჟღავნა, მეც შარში უნდა გამხვიოსო, და გადაჭრით უარყოფდა ამ თემაზე კრინტის დაძვრასაც კი ელიზბარის მხრივ:

– ავლაბრიდან რომ ვბრუნდებოდით, სადაც საფლავის ქვების საყიდლად ვიყავით, ელიზბარს ჩემთვის არავითარი ტრაქტირი არ უჩვენებია და თავიანთ მოქმედებაზე ჩემთვის არა უთქვამს რა.

ყველაფერს, ყველაფერს გულწრფელად გადმოგილაგებთ, რისი ამოკრებაც მოუხერხდება მეხსიერებიდან, ბოლოსდაბოლოს, თითქმის მტრად მოკიდებულ ადამიანებს ერთმანეთის კერძო ცხოვრებაზე ისეთი რა გასახსენებელი ექნებათ, მაგრამ წვრილმანებსაც არ დაგიფარავთ, ვინ იცის, გამოძიებას რაში წაადგეს.

მელანია ავად გახდებოდა დარდისაგან და ექიმი მარტოობის გასაქარვებლად გამოუწერდა ხალხში ყოფნას. რაღაც ფსიქოთერაპიასავით გამოდიოდა – მკურნალს ნათესავ-ახლობლები შეენაცვლებოდნენ. მეუღლე ბიძის ოჯახში გაგზავნიდა – ლუარსაბ ორბელიანთან, და იქიდან ზოგჯერ ელიზბარი და დიმიტრი მოაცილებდნენ შინ თავიანთ დას და, თუ ძალიან გვიანი იქნებოდა, აღარ მიდიოდნენ და სიძისას რჩებოდნენ.

– მაგრამ ამასაც შვრებოდნენ ხალხის დასანახად და არა გულწრფელობით.

ისედაც არ ექნა ღმერთს მათი კეთილი ურთიერთობა და სულაც უარესისაკენ დაექანებოდა:

– დაბოლოს უფრო გაღრმავდა მათი ჩემდამი მტრობა იმის გამო, რომ ეგონათ მამულების გაყოფისას მე მათი ბიძის – თორნიკე ერისთავის – მხარი მეჭირა და მემდურებოდნენ, თორნიკესაგან მოსყიდული ხარო. ამგვარად, ნათესავები შეიქმნენ ჩვენი მტრები და შურისმაძიებელნი.

შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, ბრალი არ დასდოს და მტრებად არ გამოაცხადოს.

შურისმაძიებელნიო...

ამ სტრიქონების გაცნობისას იქნებ ხელახლა გადაგევლოთ თვალი ელიზბარის ჩვენებისათვის, უცოდველი ბატკნის პორტრეტს რომ ხატავს თავისი სიძის სახით.

უკიდურესობის ქრესტომათიულ მაგალითადაც კი დარჩება ამ ორი ჩვენების შეპირისპირება.

ერთხელ ელიზბარისაგან მელნიკოვს ასეთი რამ გაუგია:

– ვიყავი გუბერნიის მარშალ, თავად ბაგრატიონის სახლში, იქ მსჯელობდნენ ხალხის შევიწროებაზე და განიზრახავდნენ, რომ ეთხოვათ აქაური მთავარმართებლისათვის, ანდა გაეგზავნათ დეპუტატები, მაგრამ ეს განზრახვა უარყვეს იმის შიშით, მთავრობის საწინააღმდეგოდ არ ჩამოგვერთვასო.

ლუარსაბ ორბელიანს 1829 წელს ავლაბარში ჯარის შეკრებასთან დაკავშირებით პასუხისგებაში რომ მისცემდნენ, ელიზბარს უთქვამს:

– მისი საქმე თავად პასკევიჩთან არის გაგზავნილი და ლუარსაბი გათავისუფლებული არ იქნებაო.

ამ ფრაზას რა მნიშვნელობა აქვს?

იქნებ არც არაფერი, მაგრამ რაც სმენია და უნახავს, განა ყველაფერი არ უნდა მოგახსენოთ ამ სახელმწიფო დამნაშავეზე? იგი ხომ ასეთ რამეებზე ელაპარაკებოდა თავის სიძეს და არა საიდუმლო ორგანიზაციის შექმნაზე.

კიდევ რა აგონდება?

– ჩვენი ჯარი დაღესტანში დიდ გაჭირვებაშიაო.

მელნიკოვი, რა მიხვედრა უნდა, უფალო გამომძიებლებო, გაუწყრებოდა ელიზბარს: საიდან იციო, – და განუმარტავდა: ასეთ ამბებს ავრცელებენ მხოლოდ რუსეთის მთავრობის მტრებიო. იმას უკან არ დაუხევია: გუბერნატორ ფალავანდიშვილის ძმამ მითხრაო. და სიძე ასეთ კაცთან ნაცნობობას დაუშლიდა.

ნეტა მართლა თუ დაუშალა ამ ანდა სხვა მოტივით?

თუკი ასეა, ეს ერთადერთი გონივრული რამ ურჩევნია მელნიკოვს თავისი ცოლისძმისათვის, მაგრამ იასეს ელიზბარი როგორ ჩამოსცილდებოდა – პირველ ამყოლად ის ეგულებოდა, თავგადაკლულ მეამბოხეობას ის იჩემებდა და ელიზბარს თუ ვინმესი არ ეეჭვებოდა გარშემო, ერთი უპირველესი სწორედ იასე ფალავანდიშვილი გახლდათ.

გიორგი ერისთავის მამა დავითი მელნიკოვს დიდ დახმარებას გაუწევდა, როდესაც ერისთავთა სიძე ანანურის ისპრავნიკად ბრძანდებოდა, და სწორედ მისი შემწეობით გამოიყვანდა ოსებიდან 16 რუს დეზერტირს. ეს მადლი არ დავიწყნოდა ჩვენს გმირს და როდესაც გიორგი ერისთავი ლაშქრობაში წასვლის წინ ესტუმრე-

ბოდა... არა, არ იფიქროთ, უფალო გამომძიებლებო, რომ განსაკუთრებული ნაცნობობა და მეგობრობა აკავშირებდათ, მთავრობის საწინააღმდეგოდ ხომ სულ არა ულაპარაკიათ რა. შემთხვევით ესტუმრა და ვალალს მოჰყვა, ფული არ გამაჩნია, რათა ლაშქრობაში მონაწილეობით ჩინი დავიმსახუროო.

ფული არც მე გამაჩნდაო, – ფიცილს მოჰყვებოდა მელნიკოვი. მაგრამ მონდომებით ძალიან მოინდომებდა დახმარებას. ცოლის ნივთებს დააგირავებდა და 300 მანეთ ვერცხლს უსარგებლოდ ასესხებდა. ეს მელნიკოვმა გაუხსნა გზა გიორგი ერისთავს, წასულიყო მთავარმართებელთან ერთად ლაშქრობაში და ჩინიც დაემსახურებინა.

– მაგრამ მადლობის მაგიერ მან მე მომატყუილა და დედამისი ყველგან ჩემს ცუდს ლაპარაკობდა, და – თვითონ ჩემი მოვალეები – აქეთ მემდურიან. ამგვარად თუ მათი საქციელი მე მცოდნოდა, რაღა გამაბედინებდა ფულის სესხებას ერისთავისათვის, რომელიც ახლა ჩემი მტერი გახდა.

ისე როგორ იქნება, ბარემ ქართველებიც არ გაკილოს:

გიორგი რევაზის ძე ერისთავიც თავის ძმებთან და დედასთან ერთად გადამტერებულია საბრალო მელნიკოვზე იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ანანურის ისპრავნიკად ყოფნის დროს მელნიკოვმა აცნობა უმაღლეს მთავრობას მათი ცუღლუტობა და ერთი ძმათაგანი ამის შედეგად დააპატიმრეს კიდეც. გიორგი თუ მელნიკოვის სახლში უნახავს ვინმეს, ელიზბართან დაიარებოდა და არა მასპინძელთან.

ლუარსაბ ორბელიანს როგორ არ იცნობს, მაგრამ მოეხსენება მისი არაფხიზელი ცხოვრება და ამიტომაც ვერ დაუახლოვდებოდა.

– მას უყვარს ისეთი ხალხი, რომლებიც მასთან ქეიფობენ და მასვე ატყუებენ, მე კი არ მოვწონდი.

და აქვე მარჯვედ უნდა გამოაკეროს ქართველთა აუგი:

– ისევე, როგორც სხვა ქართველებს ჩემი სისწორის გამო.

ლუარსაბთან – მათი განზრახულობის შესახებ – არათუ არავითარი საუბარი არა ჰქონია და არც რჩევა მიუცია რა, არამედ ყოველთვის ეჩხუბებოდა და მისი დაპატიმრების წინაც წაიჩხუბნენ და თვეზე მეტხანს უმძრახად იყვნენ და ლუარსაბს მის ოჯახში ფეხი აღარ მიუდგამს. მოწმეები გნებავთ? რამდენიც გინდათ.

არც ალექსანდრე ორბელიანთან ჰქონია ისეთი გულითად ურთიერთობა, რაც შესაძლოა მეგობრობაში გადაზრდილიყო. რა

ხალხის შევიწროება მთავრობის მხრივ, რომელი ხალხის შევიწროება, – ეს მათი ისედაც იშვიათი და ხანმოკლე გასაუბრების თემა არასოდეს ყოფილა.

– ეს ორბელიანი და მისი დედა თეკლა ბატონიშვილი არიან პირველი ჩემი მტრები, რომელთაც მიჩივლეს ბარონ დიბიჩთან ჩემს მიერ ბატონიშვილის ნათესავ თავად ბაგრატიონების რაღაც შევიწროების გამო. მაშასადამე, მათი ჩემდამი მტრობა არ გამქრალა.

ალექსანდრე ორბელიანის ღირსების კაცი უსამართლოდ არასოდეს არაფერს იტყოდა და ამიტომ ეს „რაღაც შევიწროება" მართლა შევიწროება უნდა იყოს, ის უპატიებელი ცოდვა, რასაც არც თეკლა ბატონიშვილი მოითმენდა და არც მისი ვაჟი.

მელნიკოვი ახლა მეორე ალექსანდრე ორბელიანს გადაწვდებოდა – მხოლოდ შორიდან ვიცნობ, და თუ ოდესმე შევხვედრივარ სადმე და პატივიც მიცია, სალამიც მიმიცია მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, სხვა არავითარი საუბარი მასთან არა მგონია და მეგობრებიც არ შევქმნილვართო.

ყველას მოვუთავე ხელიო, – ეამაყებოდა მარჯვედ აკინძული ჩვენება და ჰეპი ენდითაც დააბოლოვებდა:

– წარმოუდგენ რა კომისიას მართლგანსასჯელად ზემოაღნიშნულ განმარტებებს, - ვთხოვ, არ დაუჯეროს ცრუ ცილისმწამებლებს, რომელთაც თუკი გასტეხეს ღვთისა და ხელმწიფეო იმპერატორის წინაშე დადებული ფიცი, ამ უწმინდურ სულებში რაღა დარჩებოდა წმინდა მოყვარის მიმართ!

„უწმინდური სული" უპირველესად ელიზბარ ერისთავს იგულისხმებდა, ვისზეც ყველაზე ძალიან გამწყრალიყო ანდრია მელნიკოვი, ამ ხათაბალას იმან გადამკიდა, თორემ ვიქნებოდი ჩემთვის უშფოთველადო.

მე სადღა მიმათრევსო, – ამასაც გაუთავებლად ბურტყუნებდა და ბრაზით ანთებული იმ ჭორებსაც პიტალო ჭეშმარიტებად აღიარებდა, თითქოს შანშე ერისთავის გარდაცვალება შეგნებული მონამვლის ბრალი ყოფილიყოს, და ეს საწამლავი მისთვის... ეს საწამლავი მისთვის...

ეჰ, საბრალო ელიზბარ, ვის გადარჩენაზე ზრუნავდი, ვის უთეთრებდი ასე მონდომებით ბიოგრაფიას!..

ისიც ბედის მუხთლობა იყო, თქვენი ოჯახი ამ კაცს რომ გადაჰყარა.

მემუარულ ჩანაწერებში ალექსანდრე ორბელიანი პირად განცდასაც გაიხსენებდა და მაშინდელ საზოგადოებრივ განწყობილებასაც, ამ პიროვნებას მოურიდებლად რომ შეამკობდა შესაფერისი ეპითეტებით:

– ანდრია მელნიკოვი საშინელი ანჩხლი კაცი იყო და მიკვირს, ამისთანა გიჟს როგორ მისცეს ეს ქალი – ერისთავი მელანია, ლუარსაბის დისწული.

და ვარაუდად დასძენდა:

– ეს სულ ერმოლოვის ოინები იყო, მირზაჯან მადათოვის ხელით ნამოქმედარი.

გამოძიებისას კი „აქტი გონიურის“ წაკითხვის გარემოებათა გამჟღავნებას რომ მოსთხოვდნენ, კედელთან მიმწყვდეული ვეღარ გადაფიცავდა:

– ექსპედიციიდან გამოვედი და შინისაკენ მივდიოდი, მაშინ მელნიკოვის სახლის ფანჯარა ღია იყო. ელიზბარ ერისთავმა გადმომძახა, აქ ამოდიო, რომელიც ავედი, ოდეს შეველ, გიორგი ერისთავი იქ დამხვდა, დიმიტრი, ელიზბარის ძმაც იქ იყო, და სტოლზე რაღაც რვეული იდო. მითხრეს, აქ მოდიო, რა წაგიკითხოთო, ის კი აღარ მახსომს, რომელმა წამიკითხა.

მერე სულაც შინ რომ წაიღო?

კანონსაწინააღმდეგო იმ ფურცლებში არაფერი დაუნახავს, ეგაა, თვითონ თხზულებით დაინტერესდა ძალიან და გულდასმით გადაკითხვა გადაწყვიტა, უკეთ რომ გარკვეულიყო მის შინაარსში.

ცხადია, ელიზბარს უნებურად რომ არ მოეკრა თვალი ღია ფანჯრიდან, საგანგებოდ იქ არავინ მიიპატიჟებდა „აქტი გონიურის“ გასაცნობად.

სხვა დროსაც რომ ყოფილა მელნიკოვის ოჯახში?

მელნიკოვთან კი არა ყოფილა, უფალო გამომძიებლებო, ელიზბარს მოუწია იქ ერთხანს თავშეფარება და განა მეგობართან სტუმრობა დასაძრახია?

საქართველოსა და მის თავისუფლებაზე რომ ლაპარაკობდნენ?

ეს ისე, ზოგადად, ქვეყნის კეთილდღეობაზე ბჭობდნენ, თორემ რაიმე რეალური განზრახვა არა ჰქონიათ. მერე და მერე შეზარხოშებულები რაღაც– რაღაცებს რომ წამოისროდნენ და ფრაზა-ფრაზა შეკრებილი ის აზრები იქნებ კიდეც ტოვებდეს აჯანყების სამზადისის შთაბეჭდილებას, მაგრამ ფიქრი მაინც ფიქრია და ის და ამბოხებისათვის სამზადისი ერთმანეთში რატომ უნდა ირეოდეს.

ანდრია მელნიკოვს პატიმრობიდან გაათავისუფლებდნენ 1833 წლის 7 სექტემბერს, თუმც სასტიკ მეთვალყურეობას დაუნიშნავდნენ, მაგრამ ოდნავადაც აღარ შეწუხდებოდა ამით ყოფილი პოლიციმეისტერი. ხელისუფლების უნებურს ხომ არაფერს ჩაიდენდა, და არა, თავის მხრივაც გაფაციცდებოდა, თუკი სადმე მოჰკრავდა ყურს მთავრობის საწინააღმდეგო განზრახვას, მაშინვე ჟანდარმერიაში გაჩქარებულიყო ერთგულების დასამტკიცებლად.

... ამ გიჟს როგორ გააყოლა თავისი დაო, – სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოენელებინა ალექსანდრე ორბელიანს და უკვირდა ელიზბარ ერისთავისა, როგორ დაყაბულდა მელნიკოვის სიძედ მიღებასო.

გაოცება მაშინ გენახათ, ელიზბარის ის ჩვენებანი რომ წაეკითხა, თუ როგორ აფარებდა სიძეს ხელს, როგორ ლამობდა მის გამოხსნას საპყრობილიდან და ოჯახში დაბრუნებას.

და კიდევ უფრო მეტი გაოგნება იმის შეტყობას მოჰყვებოდა, დის უნებურ შეცოდებას როგორ მიეზიდებოდა „ზაგოვორის თავი“ და „უპირველესი მცდელი“ სამარის კარამდე.

მეც კი არა მცნობია ელიზბარიო, – გაივლებდა გუნებაში.

და ჩუმი, იდუმალი სევდა აავსებდა იმ ბაღს, აჯანყებისათვის მზადების შუაგულად რომ გადაქცეულიყო ერთ დროს, ახლა კი ხანდახან თუ გამოიხედავდა თვალში და იმედითა და მოლოდინით მიაჩერდებოდა იმ ყმაწვილკაცობას, მის პატრონთან რომ დაიარებოდნენ. გამოჩნდებოდნენ და... მალევე დაიხურებოდა ალექსანდრე ორბელიანის ოთახში დარაბები.

ამ ბაღს ახსოვდა ელიზბარის შემოვარდნაც და ფორიაქიც, ხანჯალზე ხელის გავლებაც, ქადილიც: ისე როგორ წავალ ცხოვრების ასპარეზიდანო...

სხვა დანაქადებიც აგონდებოდა.

სხვა სახეებიც წამოეშლებოდა.

ჯერ ახალი შემწყდარი იყო აქ ჟრიამული.

ბატკანისაგან ვერც გამოარჩევთო, – უმტკიცებდა მელნიკოვზე გამოძიებას ელიზბარ ერისთავი.

თავის თავზე კი ერთს ამასაც შებღავლებდათ:

– რას ჩამაცივდით, გაიგეთ, რომ ავაზაკი ვარ. დედაჩემიც მოვწამლე, მამაჩემიც მოვკალი და კიდევ ბევრი სიავე ჩამიდენიაო.

ავთანდილ მონასელიძე გამოტყდებოდა: სიმართლე რომ გითხრათ, თავდაპირველად ცოტა უნდობლად მოვეკიდე ამ საქმესო.

მიზეზს განმარტებაც არ უნდოდა, რაკიღა ჟიურის შეკრება ჩვენში უმეტესად ფორმალობაა და სხვა არაფერი – ყველამ ყველაფერი წინასწარვე იცის. ამიტომაც ვერ ირწმუნებდა ყველა მოქანდაკე, ეს კონკურსი სულ სხვა სულისკვეთებისა თუ იქნებოდა.

ახლა?

– „ომეგას" მესვეურნი თუ კიდევ მოინდომებენ სხვა, ახალი კონკურსის ჩატარებას, სიამოვნებით ვიტყოდი უარს ჟიურის საპატიო წევრობაზე და კონკურსანტთა შორის ჩავდგებოდი.

მისი ნაუბარიც და ჯონი გოგაბერიშვილისაც ნინო დეკანოიძის ბელეტრიზებულ ქრონიკაში ჩაიწერებოდა, სოლომონ დოდაშვილის ასოციაციას რომ გამოიწვევდა სათაური „რისთვისაც ვცოცხლვართ" („ომეგა", 2002, 9), შესავალში კი ჩვენი რეალობის ის ფრაგმენტიც ჩაერთვოდა, საგამოფენო დარბაზში შემორჩენილი ზოგიერთი ესკიზის შემხედვარე გარეშე სტუმარი ერთხანს რომ შეყოვნდებოდა და მერე ისეთი დაეჭვებული ზეიმურობით იკითხავდა, თითქოს ზუსტი პასუხი თვითონვე ეპოვნოს:

– გრიგოლ ორბელიანია, არა?

მაგრამ სახტად დამრჩენი პასუხი:

– ელიზბარ ერისთავი.

ერთხელაც დეიდა შემოუძღვება 7-8 წლის ბიჭს, რომელიც ერთ-ერთ ესკიზთან ამავეს იკითხავს:

– გრიგოლ ორბელიანია?

– არა, ელიზბარ ერისთავი, – დეიდა დაუზუსტებს, ბიჭი კი თამამად და დაბეჯითებით ჩაარაკრაკებს:

– მეცხრამეტე საუკუნის კაცი.

– კარგი გაიზრდება, – სიხარულს ვერ დაფარავს ჟურნალისტი.

ჯონი გოგაბერიშვილი კი ჟიურის შეკრების შთაბეჭდილებათა ქვეშაა: კონკურსი წარიმართა მეტად საქმიანად, პროფესიონალიზმის ზუსტი დაცვით, თორემ იმის შემსწრეც არაერთხელ ვყოფილვართ, რომ ჟიურის წევრებს არამცთუ ინჩიბინჩი არ გაეგებათ ქანდაკებისა სპეციფიკისა, ხელოვნებაზეც მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთო.

გენო ზაქარაიას ნახელოვნებმა უპირველესად რითი მოხიბლა?

– მისი დამოკიდებულება ქანდაკებისადმი თავისებურად სიახლეა. ეს იქნება დაზგური ელემენტებით შევსებული ქანდაკება. დარღვეულია კანონიკური მიდგომა. გაბედულებაა გარეთ გააკეთო ასეთი ქანდაკება, რომელიც გრანდიოზული კი არ იქნება, კამერული ელემენტებით შეიმკობა.

ავთანდილ მონასელიძე იმ კრებულს გაიხსენებდა – „ელიზბარ ერისთავი“:

– რედაქტორი შესავალი წერილის დასაწყისშივე აცოცხლებს მრავალჭირგადახდილი წინაპრის პორტრეტს. „დამხობილი მთავარსარდლის მწუხარე ტვირთი მთელი სიცოცხლე რომ ზიდა“. დილაობით მდუმარედ სვამდა ჩაის და ნაღვლიანად გაიცქირებოდა სადღაც – აი, სწორედ ეს მზერაა გენო ზაქარაიას ნამუშევრიდან. მან, როგორც ოსტატმა, სწორედ ეს მოიხელთა.

მემორიალზე მსჯელობა საერთო საწუხარსაც ძალდაუტანებლად მოიყოლებდა და ჯონი გოგაბერიშვილი იმასაც დასძენდა: ჩვენ ათიოდე საუკეთესო მოქანდაკე ხომ მაინც გვყავს, იმათი ნამუშევრები რომ არ ჩანს, საცოდაობაა. მე რომ უფლება მქონდეს, იმ ხალხს ყოველგვარი კონკურსის გარეშე შევუკვეთავდი, დეადგა თითო-თითო ნამუშევარი. მეშინია, ისე არ წავიდნენ ამქვეყნიდან, რომ ვერაფერი დატოვონო.

არადა, ეჭვიც არ ეპარება, მათ რომ საშუალება მიეცეთ, მკვეთრად შეიცვლება თბილისის სახე.

ავთანდილ მონასელიძემ კი: ამ ბოლო დროს ოთხი-ხუთი ქანდაკება გაიხსნა რუსთაველზე და სიმართლე რომ ითქვას, ბევრად უფრო მაღალი დონეა სასაფლაოებზე, ვიდრე თბილისის ქუჩებშიო.

და ორივე ხელოვანი თანხმდება, რომ დაე ამ კონკურსით დაწყებულიყოს, რომ მართლა მოქანდაკეს მინიჭებოდეს ძეგლის დადგმის უფლება და აკადემიადამთავრებულობა არ იყოს ძირითადი განმსაზღვრელი.

ბევრად უფრო მაღალი დონეა სასაფლაოებზეო...

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ გაგახსენდება ძალაუნებურად, მისი ტრაგიკომიკური ფინალი, და ეს ტრაგიკომიკურობაა სწორედ ამაღელვებელი, თორემ ცალ-ცალკე ტრაგიზმი ან კომიზმი სინაკლულის განცდას დაგვიტოვებდა და ვერც მოვლენის არსში ჩაგვახედებდა ასე ხელშესახებად.

აგული ერისთავის ეს უცნაური გამოფენა – სასაფლაოს ძეგლები რომ შერჩა ხელთ – ფილისტერის დრამაა, ასეც აუხსნიათ კინოფილმის კონცეფცია, თუმც ეს მაინც ზედაპირული განსჯა უნდა იყოს, დაბეჯითებული მოთხოვნა იმისა, რომ ყველა ადამიანი, გინდა თუ არა, გმირი იყოს და გარემომცველი სინამდვილის შეცვლა შეეძლოს.

აგული ერისთავი რობესპიერი თუ არა ყოფილა ან ნაპოლეონი, ეს მორალურ კრახად არ უნდა მივუთვალოთ.

ნაპოლეონობით ვერც ელიზბარ ერისთავი ინაპოლეონებდა!..

დიდი ძევს ელიზბარ ერისთავიდან აგული ერისთავამდე, მაგრამ ეს დაკნინებაც პიროვნებისა არა კმარა საიმისოდ, რომ ფილმის აქცენტი ცოტა სხვაგან გადავიტანოთ, ვიდრე მისი შინაგანი ლოგიკა გვაგრძნობინებს.

ბოლოსდაბოლოს, სასაფლაოს ძეგლებიც არ არის დასაწუნებელი და ნაკლები რანგის მოვლენად მისაჩნევი თავიდანვე. ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ გაშლილი საბჭოური კამპანია ლამობდა გლოვის წეს-ჩვეულების დამცირება– გაქარწყლებასაც და სასაფლაოებისათვის სახელის გატეხვასაც, მაგრამ მემორიალი – სადაც უნდა იდგეს, სასაფლაოზე, სკვერში, ბაღში თუ გზაჯვარედინზე – წუხილის განცდასაც ბადებს და ხელახალი აღორძინებისაც, სევდასაც და იმედსაც ერთდროულად, და მით უკეთესად და ექსპრესიულად გამოიხატება ეს ყოველივე, რაც უკვე ჩინებული ხელოვნების ნიმუშია.

სასაფლაოა აგული ერისთავის საგამოფენო დარბაზი და იქ, სწორედ იქ აცხადებს გახსნილად საკუთარ პერსონალურ გამოფენას ერთადერთი მაყურებლის წინაშე?

დაე იყოს ასე.

აგერ თანამედროვეობის ჩინებული ხელოვანიც არა სწუნობს სასაფლაოებზე აღმართულ ძეგლებს და გული მხოლოდ იმიტომ წყდება, რომ რუსთაველის გამზირზე ვეღარ გამოჩნდა მათი ბადალი ქმნილება.

– გრიგოლ ორბელიანია, არა?

არა, მისი თანამედროვეა, მისი თანამზრახველი, მასთან ერთად შებმული საქვეყნო უღელს, თუმც ისეც მოხდებოდა, რომ ერთიორჯერ მათი ინტერესები საკმაოდ მწვავედაც შეეხლებოდა ერთმანეთს.

ახლა თუნდ ცალკეულ ადამიანთა თვალში უნებურად გაიგივებულან?

დროს სჩვევია ასეთი პარადოქსები. უარესი პარადოქსებიც სჩვევია, იმგვარი, რომლის ფონზეც გრიგოლ ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის გაიგივება რა მოსატანია.

– მეცხრამეტე საუკუნის კაცი, – უხარია პატარა ბიჭს, მიხტის, მიკუნტრუშებს.

მოქანდაკეებს კი ის უხარიათ, რომ ამ კონკურსით რაღაც ახალი კარი იხსნება ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცე-

ში და დიდი მოლოდინით ამიტომაც ელიან კონკურსის გამოცხადებას ალექსანდრე ორბელიანის ძეგლზე.

კონკურსის ჟიურის სია საგანგებო ბუკლეტშიც გამოქვეყნდებოდა და „ომეგას“ ფურცლებზეც (2001, მაისი):

ზაზა ოქუაშვილი – პარლამენტარი, ჟურნალ „ომეგას“ დამფუძნებელი (ჟიურის თავმჯდომარე);

ჯონი გოგაბერიშვილი – მოქანდაკე, ტაშკენტის საერთაშორისო სიმპოზიუმის პირველი პრემიის ლაურეატი;

ვახტანგ დავითაია – არქიტექტორი, რუსთაველის, სახელმწიფო და სხვა პრემიების ლაურეატი, თბილისის პირველი საერთაშორისო ბიენალეს ლაურეატი, შავი ზღვის ქვეყნების არქიტექტორთა ფორუმის თავმჯდომარე, პროფესორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი;

ელდარ მამისთვალიშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ავთანდილ მონასელიძე – მოქანდაკე, პარიზის საერთაშორისო გამოფენის ვერცხლის პრიზიორი, საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი;

გიორგი ოჩიაური – მხატვართა კავშირის თავმჯდომარე;

გია სოსანიძე – გორის მთავარი არქიტექტორი;

ბიძინა სუმბაძე – არქიტექტორი, გორის გენგეგმის ავტორი, გორის არქიტექტურულ– გეგმარებითი საბჭოდან;

კარლო ფაჩულია – მხატვარი;

პაატა ჩხეიძე – მწერალი, გორის უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე;

მაკა ჯოხაძე – მწერალი, ჟიურის პასუხისმგებელი მდივანი. საათათბირო ხმის უფლებით.

და თქვენი მონა-მორჩილი.

ჟურნალის კორესპონდენტი სახელდახელოდ ჩაინიშნავდა ჟიურის თავმჯდომარის რამდენიმე ფრაზას, ლაკონურსა და ტევადს, რადგანაც ამ შემთხვევაშიც მკაფიოდ გაეაზრებინა, თუ რა საქმისათვის მოეკიდა ხელი და მისი ნაყოფი ოდესმე – ოდესმე და არა ხელისგაწვდენაზე – რომ გამოჩნდებოდა მთელი სისავსით. ჩვენ იქნებ ვერც მოვსწრებოდით, მაგრამ ეს მთავარი როდის ყოფილა:

– ჩემთვის ელიზბარ ერისთავი ერთ-ერთი გამორჩეული სახელია, როგორც პოლიტიკოსი და როგორც ბიზნესმენი. ვინც თავისი მოღვაწეობით არღვევს ყალბ შეხედულებას, თითქოს ქართე-

ლებს არ შეეძლოთ უხელმძღვანელონ დიდსა და რთულ საწარმოებს. მან შექმნა მძლავრი ეკონომიკური საყრდენი და კულტურული კერა გორში და მე, როგორც გორელმა კაცმა, ამიტომაც მოვინდომე რეალობად მექცია ჟურნალ „ომეგას" რედაქციის წამოწყება. უკვე მომზადებულია იდეური და იურიდიული საფუძვლები ელიზბარ ერისთავის მემორიალის ხორცშესხმისათვის და, ვიმედოვნებ, ჩემი მშობლიური ქალაქი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლით დამშვენდება.

რაც იყო, ეს იყო.

რაღაც განსაკუთრებულს ელი, ცხადია. უამმოლოდინოდ კონკურსს არც გამართავ, თუკი თვითმიზნად არ გაგხდომია კონკურსის გამართვა თუ მემორიალის აღმართვა.

რაღაც განსაკუთრებულს.

საამისოს ვერაფერს შევატყობდით იმ ნამუშევრებს, რაც მოეტანათ, მაგრამ გამოფენა-დათვალიერებაზე ხელს რატომ ავიღებდით. საზოგადოებრივი ცნობიერებისთავის ჰქონდა ამ დღეს მნიშვნელობა, და კიდევ სხვა მოქანდაკეთა ცნობისწადილის გასაღვივებლად, იქნებ მეც მეცადა, იქნებ მე უფრო მარჯვედ ავართვა ალღო კონკურსის ჩანაფიქრს და ჩავწვდე იმ პიროვნების სულს, ვისი სახელიც და ბიოგრაფიაც ყურმოკვრით უფრო გამეგონა, მაგრამ შესწავლასა და გაცნობას წინ რა დაუდგებაო. ამისთვის ბევრი რამ გამხდარიყო ხელმისაწვდომი.

სხვა მოქანდაკეებსაცო...

უკვე ვგრძნობდით, კონკურსი აქ ვერ მოთავდებოდა და მეორე ეტაპიც გახდებოდა აუცილებელი, თუ მესამეც არა.

თავთავისი მომწონებელი გამოუჩნდებოდა ცალკეულ ესკიზებს.

საზოგადოებრივი აზრიც გვაინტერესებდა, თორემ ჟიური თავის გადასაწყვეტს გადაწყვეტდა.

კეთილშობილებით სავსეა თვითონ განზრახვა ამ კაცის ძეგლის დადგმისაო, – იტყვის რეზო ესაძე და თამარ შაიშმელაშვილი მაშინვე მას მიაშურებს ჩამწერი აპარატით: ამისათვის ტრიალებს დარბაზში, ამ დღის – 2001 წლის 21 სექტემბრის – შთაბეჭდილებანი ჩაინიშნოს და დოკუმენტურ ქრონიკად აქციოს, რომელიც პოეტურად უნდა დასათაურდეს – „ნათელი სევდა ელიზბარ ერისთავისა" („ომეგა", 2001, 11), და სათაურმა ყველაზე უკეთ გამოხატოს იდუმალი განცდა, რომ ქანდაკებაში სწორედ ეს „ნათელი სევდა"

ამეტყველდეს. ელისაბედ ერისთავის მოგონებიდან ყველა მკითხველის გონებაში ღრმად ჩაბეჭდილი სურათი სადღაც და სევდით მომზირალი დამხობილი მთავარსარდლისა თითქოს იმ სიგნალად ქცეულა, რომელმაც უნდა გაიყოლიოს ხელოვანი ელიზბარის სულის შრეებში შესაღწევად.

რეზო ესაძე კი აგრძელებს, ჟურნალისტი დაადგება თუ არ დაადგება თავზე, მაინც უნდა თქვას თავისი სათქმელი:

– დღევანდელ ჩვენეულ სივრცეშიც სული ახლოა ამ განზრახვასთან, – პიროვნული გამოხატვის, საკუთარი ტკივილისა და სევდის გამოხატვის საშუალებას იძლევა...

დახეთ ტკივილი და სევდაო, მანაც ტკივილი და სევდაო.

სახელოვანი რეჟისორი კი:

– აქ შემოქმედებას ხელისგულზე უდევს სათქმელი, რომელიც ტრადიციულ ჩარჩოებს სცილდება, ინერციული აზროვნებიდან გადის ძალდატანების გარეშე. ნოსტალგია და ყოფნა-არყოფნა... თავისუფლება, რომელიც აქვეა და მასთან ვერ მიხვალ და... ყველაფერი მეტია საკუთარ თავზე, რომელსაც უნდა შეწვდე.

ერთგვარ გაწბილებას ვერ დაფარავდა, იბოდიშებდა ყველა მოქანდაკის წინაშე, მაგრამ გულზე ისე ძლიერად ვერ მოჭდობოდა ვერცერთი მათგანი, რადგანაც ვერ გრძნობდა „სივრცის სივიწროვის ნგრევის, ამ სივიწროვიდან გასვლის გარდუვალობას".

ზუსტი და სხარტი ლიტერატურულ-კრიტიკული ფორმულები ნიშანდობლივია რეზო ესაძის წერის მანერისთვისაც და ზეპირმეტყველებისთვისაც, და ამჯერადაც ზუსტად განსაზღვრავდა იმ უმთავრეს შეგრძნებას, რაც უნდა გამოეწვია მნახველში გამარჯვებულ ქმნილებას. გაგვახსენდება ეს ფორმულა, როდესაც ამის დრო მოვა და ყველაზე უმჯობესი ესკიზი სწორედ იმ სულს გამოასხივებს, სივრცის სივიწროვის ნგრევას რომ იწვევს, ამ სივიწროვიდან გასვლის გარდუვალობას.

ჯერ კი, ვიდრე განცდა გაჩნდებოდეს, ჟურნალისტი ესკიზებს ჩამოივლის და ყველას რაღაც თავისებურებას მოუნახავს. ამ მხრივ წუნი არცერთს არ დაედება – შაბლონური, ზერელე არცერთი არ არის და სამომავლო იმედსაც ეს გვიღვივებს.

დავით გრიგოლიას კომპოზიცია სიმბოლურ ნიშანსვეტად ჩაუფიქრებია, როგორც შეთქმულთა შემაკავშირებელი ძაფი. ფრთებით დაგვირგვინებული სამოსელი მიგახვედრებს, რომ ეს ადამიანი არამარტო მთავარსარდალია საიდუმლო სამზადისისა, არამედ სუ-

ლიერი წინამძღოლიც. მარჯვენა ხელში რომ ხმალი ჩაუბღუჯავს, ეს ის მახვილია, რომელსაც ქარქაშიდან ამოღება არ დასცალდა.

მერაბ ფირანიშვილს სხვა კუთხე მოუნახავს გმირის ხასიათის გასახსნელად – სიდარბაისლე, გამბედაობა, სიკეთე და შინაგანი სირბილე.

რამაზ ონიანს ელიზბარი მეამბოხე პიროვნებად წარმოუდგენია, ქართული აბჯრით და არა რუსული მუნდირით. ბიუსტის მეორე მხარეს თმის მირაჟით მოჩანს არაქართული სახე, რომლისგანაც „ფასკუნჯს" იცავს თვითონ მოსასხამი. მის ქვეშ ქალი და ბავშვი მოჩანს – ქართული ყოფიერებისა და სულიერი ცხოვრების სიმბოლო. სწორედ ამისათვის იბრძვიან გმირები, რომ ქართული სახიერების ტრადიცია არ დაიკარგოს. ბიუსტი ბრინჯაოში უნდა განხორციელდეს, „ფასკუნჯის" დეტალი კი მინისა იყოს, როგორც სიმბოლო ელიზბარის კულტურულ-უტილიტარული მოღვაწეობისა, კვარცხლბეკი კი კოშკისებური, ხევსურული იქნება.

რეზო ხასიას მემორიალს ასე დარქმევია – „საქართველოსთვის სანთლად ანთებული ერთი კაცი", და მასალად ბრინჯაოსა და თეთრ მარმარილოს ვარაუდობს.

ირაკლი წულაძეს იმაზეც უფიქრია, ქანდაკების ირგვლივ უნდა მოეწყოს მოქალაქეთა თავშეყრის ადგილი და საჩრდილობელიც გაითვალისწინონო. მასალად მინა, ორგანული მინა ან მეტალი გამოდგება. მინა პირველ საწარმოს გაახსენებს მნახველს. ეს ყოველივე გულისხმობს, რომ ქანდაკებას სივრცითი არქიტექტურული გადაწყვეტა დასჭირდება, საბოლოოდ კი 35 ათასი ლარი დაჯდება.

გიორგი წულაძის პროექტიც ირაკლი წულაძის პროექტის მსგავსია.

ირაკლი ცხოვრებაძის ესკიზის შინაარსი კი ამას გულისხმობს – ბორჯღალი და შვიდქიმიანი ვარსკვლავი იმ მამულიშვილთა ერთობის სიმბოლოა, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისაკენ სწრაფვის ენერგეტიკული გულის მებაირახტრენი რომ ხდებიან მთელი ისტორიის მანძილზე – დასაბამიდან უსასრულობამდე. განზრახვა სხვადასხვა მასალას მოითხოვს, ობელისკი კი – უჟანგავი ფოლადის კარკასით – მაგარი მინის პრიზმებისაგან უნდა აიგოს, რომელშიც მზის სხივი გადატყდება ცისარტყელას ფერებად.

რეზო ესაძე მაინც თავისაზეა:

სივრცის სივიწროვის ნგრევა, ამ სივიწროვიდან გაღწევის აუცილებლობაო...

უკმარობის ეს განცდა გადააწყვეტინებთ ჟიურის წევრებსაც, კონკურსი კიდევ სამი თვით გაგრძელდესო. კონკურსის პირობები უცვლელი რჩებოდა, დაწყების ვადა და თარიღი ცალკე გამოცხადდებოდა. მონაწილეობა ამათაც შეეძლოთ, ვისაც უკვე მოესინჯა თავი, და სხვა მოქანდაკეებსაც.

გული არ გაიტეხოო, – რამდენიმე ადამიანი მანუგეშებდა.

გულის გასატეხიც რა იყო – ამხელა ინტერესსაც არ მოველოდი, არც მოქანდაკეებისაგან, არც საზოგადოებისაგან, ასეთ გაცხოველებულ სჯა-ბაასს, ასე გათავისებას ელიზბარ ერისთავის სახების ღირსეულად დაბრუნებისა მშობლიურ ქალაქში. მართლა სახალხო ენთუზიაზმი გამოწვეულიყო და ასეთ დროს ისეთიც რა მოხდა, თუკი პირველივე ჯერზე ვერ დაგვირგვინდა უკეთესთა შორის უკეთესთა ქმნილებით.

ორი ნამუშევარი მაინც გამოირჩა და საგაზეთო ცნობაში („ჩვენი მწერლობა", 2001, 28 სექტემბერი) საგანგებოდაც მოვიხსენიებდით: რეზო ხასიასა და მერაბ ფირანიშვილის.

მაგრამ ის კი, ის – ვიწრო სივრციდან გაღნევის აუცილებლობა... აი, ის კი...

გაცხოველებული სჯა– ბაასიო...

ეს საუბრები, დარბაზში რომ ვერ ეტეოდა და ქუჩა-ქუჩაც გამოსდევდა, ზღვის წვეთივით აირეკლებოდა გამოფენის „შთაბეჭდილებათა წიგნში", საიდანაც ერთი ნაწილი ამოიკრიბებოდა „ჩვენი მწერლობის" 5 ოქტომბრის ნომერში. ის მუხტი, ის სიმძაფრე შენარჩუნებულია პუბლიკაციისას, რაკიღა მარჯვედაა აკინძული და, თუ ჩაუკვირდებით, მკრთალ კომპოზიციურ ქარგასაც ამოიცნობთ. მაგრამ ეს მაინც მხატვრული სტილისტიკაა, ჩვენ კი ამჯერად მხოლოდ ის ცალკეული მოსაზრებანი გვაინტერესებს, გამოფენის გახსნისა და მომდევნო დღეები რომ უნდა გაგვახსენოს.

მინდა ჩემთვის საყვარელ ქალაქში ვიხილო ხორცშესხმული ნამუშევარი მოქანდაკე დავით გრიგოლიასი. იგი სხვებთან შედარებით გრანდიოზულად გამოიყურება, მაგრამ აიტანს მას – ამ გრანდიოზულობას, რადგან ის თვით ამ დიდ ადამიანს გამოხატავსო, – აპოლონ ჟორდანიამ.

შინაარსობრივად ყველა ქანდაკება მისაღებია, მაგრამ მათ შორის უფრო მომეწონა მერაბ ფირანიშვილის ავტორობით შექმნილი ბიუსტი, რომელშიც ელიზბარ ერისთავი მისთვის ჩვეული უბრა-

ლოებითა და ღირსების გრძნობით არის გამოსახულიო, – ნუგზარ მოლაშვილმა.

გია გოკიელსაც ასეთივე შთაბეჭდილება დარჩებოდა, ოღონდ დასძენდა: სასურველია, უფრო დასრულებული სახე მიეცეს კომპოზიციის ქვედა ნაწილსო.

ჩემი მოკრძალებული კომპეტენცია საშუალებას არ მაძლევს დაბეჯითებით ვამტკიცო რომელიმე კომპოზიციის უპირატესობა. სიმბოლური ჩანაფიქრის თვალსაზრისით მოწონებას იმსახურებს დავით გრიგოლიას ესკიზი. ეს იქნება აღმატებული, გარკვეული ტრაგიკულ-ჰეროიკული შინაარსის მემორიალი. ამის ალტერნატივად მიმაჩნია მერაბ ფირანიშვილის ბიუსტი, რომელშიც განსახიერებულია „სუფთა" საზოგადო მოღვაწე, ინტელიგენტი და სწავლულიო, – თემურ ქორიძემ და ალბათ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმოწერის წუთები ახსენდებოდა, ელიზბარ ერისთავს რაც არ დასცალდა, ის ოცნება მაინც რომ ქცეულიყო რეალობად.

გამოვყოფ ფირანიშვილის ნამუშევარს, თუმცა გარკვეული დახვეწა, დასრულება – შესაბამისი ძეგლის დადგმის ადგილისა და სივრცისა – აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ავტორმა. ასევე საინტერესოა რეზო ხასიას ესკიზიცო, – გივი ალხაზიშვილმა.

მივესალმები ელიზბარ ერისთავის მემორიალის იდეას. ამასთან, აღვნიშნავ, რომ ეს უნდა იყოს მემორიალი და არა ძეგლი – პორტრეტი. ჩვენში რატომღაც არ არის მიღებული მემორიალიობელისკი, სადაც მეტი საშუალებაა სიმბოლური გამოხატვისა. მოქანდაკე დავით გრიგოლიას მემორიალი თავისი გაფორმებით – ანგელოზი ჯვრით ხელში – შეუსაბამოა. ობელისკი უნდა იყოს მკაცრი, ლაკონური, თავისთავად ჰაეროვანი, ყოველგვარი ანგელოზის გარეშე. ობელისკი დაამშვენებს გორის ამ კუთხესო, – ზურაბ კიკნაძემ.

აქ წარმოდგენილი ექსპონატებიდან ყველაზე სადა და საინტერესოა გიორგი წულაძის ნამუშევარი. იგი არაა პომპეზური, მაგრამ სულისკვეთება და ამაყი სული დიდი მოღვაწისა შედარებით ყველაზე კარგად ჩანს. კარგი იქნება, თუ კიდევ სხვა ექსპონატებსაც ვიხილავთო, – მაკა სხილაძემ და ნათია ხოშტარიამ.

ჩემი ყურადღება მიიქცია დავით გრიგოლიას ქანდაკებამ. ვფიქრობ, მასში ყველაზე უკეთესად წარმოჩნდა ელიზბარ ერისთავის პიროვნება, რომელშიც შერწყმული იყო ძალაცა და სულიერებაცო, – მაია ჯალიაშვილმა.

ყველაზე მეტად მომეწონა ირაკლი წულაძის ნამუშევარიო, – თამაზ ნატროშვილმა.

ელიზბარ ერისთავის მემორიალი, ჩემი აზრით, სიმბოლური უნდა იყოს და არა პორტრეტული ფიგურა. სადა და მისაღებია დავით გრიგოლიას ესკიზი. მომწონს ხასიას ესკიზის საერთო კონტური, ოღონდ იგი გადატვირთულია დეტალებითო, – თეიმურაზ დოიაშვილმა.

მეორე ტურის ჩატარება აუცილებლად მიმაჩნია. იქნებ მაშინ გამოიკვეთოს ღირსეული ქმნილებაო, – ელისო კალანდარიშვილმა.

ია ჯინჭარაძე კლასიკურ უბრალოებას მოითხოვდა, გმირსაც უფრო მეტყველი და ადამიანური სახე უნდა ჰქონდესო.

იოსებ ჭუმბურიძე დავით გრიგოლიას პროექტს ამჯობინებდა.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ცხოვრებაძისა და გრიგოლიას ნამუშევრებმა. მხოლოდ გრიგოლიას ქანდაკებას „ფრთები" უნდა ჩამოშორდეს. არ ვიცი, როგორ შეერწყმება გარემოს ცხოვრებაძის ნამუშევარი. ეს უთუოდ გასათვალისწინებელია. ვგონებ, არც ფირანიშვილის ნამუშევარია უყურადღებოდ დასატოვებელიო, – ნინო ვახანიამ.

ვოვა კიკილაშვილი ირონიას გამოურევდა: ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ სამი მოქანდაკე შემოქმედებით პროცესში უსმენდა სიმღერას „სიყვარული დაფრინავსო".

კლასიკური სისადავით და პორტრეტული მსგავსებითაც მხოლოდ მერაბ ფირანიშვილის მიერ შესრულებული ბიუსტი იმსახურებს ყურადღებას. მასში იკითხება დრამატიზმიც და ტრაგიკული შტრიხებიც, რაც მის ცხოვრებას სდევდა თანო, – მარინე რევიშვილმა.

თემურ აბულაშვილი მერაბ ფირანიშვილისა და რეზო ხასიას ესკიზებს გამოარჩევდა და გაიზიარებდა იმ საზოგადოებრივ აზრს: კონკურსი უნდა გაგრძელდესო.

ნონა კუპრეიშვილი ტარიელ ჭანტურიას მოწოდებას გაიხსენებდა: ქართულო ქანდაკებავ, ჩამოდი ცხენიდან! – დასძენდა, ეს მოწოდება გაუთვალისწინებიათ ავტორებს. თუმც გვაკლია სიღრმისეული, შინაგანად მართალი ქანდაკებები. ყველაფერი საოცრად მონუმენტური და „პოეტურია" ამ დუხჭირ ქვეყანაშიო.

და იქვე მეტად საგულისხმო სურვილი თუ ახალი მოწოდება:

– ძეგლს ამ ღირსეული კაცის სამრეწველო საქმეთა აღდგენაც მოჰყოლოდეს.

მარინა ივანიშვილი, თვითონ მოქანდაკე, თავის შთაბეჭდილებებს განაზოგადებდა. არამარტო მკაცრად დაინუნებდა ყველა ესკიზს – შეფასებისას პროვინციულისა და ამბიციურის ხსენებასაც არ მოერიდებოდა – კონკურსის ფორმასაც მოძველებულად მიიჩნევდა: ისევე მოძველდა, როგორც პიროვნების ძეგლი, მისი ადგილი კულტურის კონტექსტიდან სამუდამოდ ამოვარდაო.

გამოფენა იმ იმედს მაინც გაუჩენდა, რომ „ომეგას" მაგალითით ეგებ საქართველოშიც „ჯახირ– ჯახირ" ჩამოყალიბებულიყო მეცენატობის ინსტიტუტი და სწორი მიმართულებითაც ეპოვნა სადინარი.

თავის მოსაზრებასაც გაუზიარებდა „ომეგა ჯგუფის" მესვეურს: იქნებ სწორედ თქვენ შემატოთ ქართულ კულტურას ერთი აუცილებელი რამ – რაც მსოფლიო კულტურის კონტექსტში გარდუვალიც კია – ანუ თანადგომა გაუწიოთ ჩვენში არარსებულ მიმართულებას – „საპარკო ქანდაკებას". ეს იქნება ძალიან დროული, სივრცითი მოთხოვნილებით განპირობებულიო.

ასეთი განზოგადებანი და ოცნებას შერეული სურვილები სხვაც არაერთი გაისმოდა, სახელმწიფოსი აღარ ეიმედებოდათ აღარაფერი და ცალკეულ პიროვნებებს ამიტომაც შეჩერებოდნენ. რამდენს გაწვდებოდა ესა თუ ის ადამიანი, თუნდაც ძალიან თავგამოდებულიც, მითუმეტეს, სიტყვად უფრო რჩებოდა ბიზნესის განვითარებაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვა. ნომენკლატურული ბიზნესი ვერც იქნებოდა ბიზნესი და ვერც მეცენატობის ინსტიტუტს შეეწეოდა. სული ეხუთებოდა ბიზნესსაც და ქველმოქმედებსაც – ნამდვილს და არა მოჩვენებითს, თვალის ასახვევად მომარჯვებულს. იმას სწორედაც გზა გახსნოდა და სასათბურო პირობებიც არ აკლდა... აუცილებელიო, აგერ ირწმუნებოდა ხელოვანი და ასეთი აუცილებლობანი საკმაოზე მეტიც გროვდებოდა. გაწვდებოდი? გული... გული ხომ მაინც გერჩოდა გასაწვდენად.

თავი მეცხრე

თუნდ რომშიც წაიღეთ

მარტის 31-ც მოაწევს და გამოძიება ახლა იმის გამორკვევას შეეცდება: 1831 წელს, როდესაც ყოფილმა გუბერნატორმა ზავილეისკიმ ნება დართო, კრივი გაემართათ ქალაქსა და გარეუბანში, ზოგი თქვენი თანამზრახველი ფიქრობდა – ამას ნუ იუარებთ – ამ მარჯვე შემთხვევით გესარგებლათ და მაშინვე მოგეხდინათ აჯანყება. დაწვრილებით განმარტეთ ყველაფერი, რაც იცით ამის თაობაზე, და რამ შეუშალა ხელი წინასწარგანზრახვის აღსრულებასო. და კიდევ: ხომ არავის თქვენ ამხანაგთაგან ან თვითონ თქვენ თუ გქონიათ ეჭვი ბატონ ზავილეისკიზე, რომ მან სავსებით შეგნებულად და მთავრობის მიმართ ბოროტი განზრახვით დართო ნება კრივის გასამართად ქალაქში, რაც სამუდამოდ იყო აკრძალულიო?

ნებართვა მოულოდნელად მოხდა და მისით სარგებლობა როგორ უნდა განმეზრახაო, – გულუბრყვილობის ნიღაბს ერთხელ კიდევ აიფარებდა:

– თუკი ვინმემ იფიქრა კრივის გამოყენებაზე, უთუოდ მისი დამთავრების შემდეგ აღმოცენდა ეს განზრახვა.

რა დრულად მოუნდომებიათ!..

ეჭვი კი... ეჭვი არავითარი არ გასჩენია ბატონ ზავილეისკიზე, თითქოს მან მთავრობისადმი არაკეთილგანწყობილების გამო დართო ნება კრივის გამართვისა.

მაშ რატომ გაიმართა ეს კრივი, ერთხელ და სამუდამოდ აკრძალული?

– შემთხვევით, უთუოდ შემთხვევით.

მაინც არ ეშვებით, უფალო გამომძიებლებო, მაინც ვერ ირწმუნეთ მისი გულწრფელი სინანული ღვინით შექეიფიანების ჟამს ზოგიერთი დაუფიქრებელი ფრაზის წამოცდენის გამო და მოითხოვთ გიამბოთ, თუ როგორ ამზადებდა აჯანყებას 1832 წლის მანძილზე?

ყველაფერს ხელისგულზე გადაგიშლით, თუკი რაიმეში წაგადგებათ:

პირველ ოთხ თვეს, ანუ მაისის თვემდე, იმყოფებოდა სოფლად. მაისის დამლევს გამართა სოლომონ რაზმაძის გამოსათხოვარი სადილი; ამ სადილის მერე, რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ სოფელში წავიდა, სადაც ივნისი და ივლისი გაატარა და ტფილისში ჩამოვიდა პირად, დიახ, სწორედ პირად საქმეებზე 15 აგვისტოს მახლობლად. ჩამოსვლისთანავე ჯერ ვახშმად მიიწვია ანტონ აფხაზმა, მერე ელიზბარს ესტუმრნენ ჩაიზე, მერე იასე ფალავანდიშვილთან ივახშმეს, ავლაბრის ტრაქტირშიც მანვე უმასპინძლათ. ამის შემდეგ ჩაიზე ხან ისევ იასესთან იკრიბებოდნენ და ხანაც ალექსანდრე ორბელიანთან, რამდენჯერმე სოლომონ დოდაშვილსაც ეწვივნენ – ჩაიზე, დიახ, ჩაიზე. ლუარსაბ ორბელიანსაც შეუღეს სახლის კარი.

ჩაის სმა თუ ამბოხების სამზადისს გულისხმობს, ასე ემზადებოდნენ აჯანყებისათვის.

გიორგი რევაზის ძე ერისთავს შეახსენებდნენ ერთ ჩვენებაში ნათქვამს და განმარტებას მოსთხოვდნენ.

როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძე ვახშმად მიწვეულ სტუმრებს ეტყოდა: ჭამეთ და სვით, ხვალ კი ვინ იქნება ცოცხალი, არავინ იცისო, – ეს შენიშვნას შეჰკადრებდა: წამოგცდაო.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ შენიშვნას ვითომ უპასუხოდ დატოვებდა?

ამიტომაც გიორგი ერისთავი მოვალე იყო გაეხსენებინა მისი პასუხიც და ისიც დაეზუსტებინა, თანამზრახველთაგან ვინ იმყოფებოდა იქ და ვის შეეძლო მიხვედრილიყო მის გადაკვრით ნათქვამს.

ის სიტყვა – „გადაკვრით“ – ტექსტში ხაზგასმით გამოიყოფოდა.

ბრალდებული ხელებს გაასავსავებდა: სრულებით არავითარი პასუხი არ მახსოვს, მაგრამ აქვე ბრძანდებოდა თავადი ელიზბარი, რომელსაც შეეძლო გაეგონა, თუკი თავადმა ჭავჭავაძემ რამე მიპასუხაო.

პორუჩიკ გიორგი ერისთავთან ერთად რომ იმყოფებოდა ჭავჭავაძესთან ვახშამზე, ამ ეპიზოდს კი გაიხსენებდა ელიზბარი, მაგრამ ამ ყაიდის საუბარს საერთოდ ვერ აღიდგენდა და ვერც ცალკეულ რეპლიკებს დაუზუსტებდათ.

25 აპრილს განზრახვაზე ხელის აღების გარემოებებზე უფრო დეტალურ პასუხს მოსთხოვდნენ: თქვენ თანამზრახველთაგან ვინ იმყოფებოდა იქ, როდესაც გენერალმაიორ ჭავჭავაძის მიერ უარის თქმის გამო თქვენც გადაწყვიტეთ ჩამოხსნოდით აჯანყების მზადებასო. რა რიცხვში იყო ეს და სადო. იყო თუ არა თქვენი ძმა დიმიტრი, ხოლო თუ მერე გამოუცხადეთ ეს, ვინ დაესწრო ამ სცენას თქვენს ამხანაგთაგან, რა გიპასუხათ და წარმოთქვით თუ არა რაიმე ფიციო.

მას შემდეგ, რაც თავადი ჭავჭავაძე ურჩევდა ლუარსაბ ორბელიანსა და კაპიტან ჩოლოყაშვილს, ხელი აეღოთ განზრახვაზე, ისინი კი ელიზბარს იმავე საღამოს გამოუცხადებდნენ: თანახმა აღარ ვართო, – და უბრძანებდნენ, სხვებიც დაეყოლიებინა, ამ რჩევისათვის დაეჯერებინათ, ელიზბარი მეორე დღესვე, ანუ 5 დეკემბერს, ალექსანდრე ორბელიანსა და იასე ფალავანდიშვილს გაუმეორებდა ლუარსაბის რჩევას და თავის მხრივაც განუცხადებდა: სრულებით ხელს ვიღებ შეთქმულებაზეო.

– ამ შემთხვევას არავინ დასწრებია და მე ისინი ცალ-ცალკე ვინახულე თავთავიანთ სახლებში.

ძმასაც იმავე დღეს ეტყოდა. ფიცი კი... ფიცი არც ამას წარმოუთქვამს და არც იმას, მხოლოდ ეს ჩაულაპარაკებია დიმიტრის: ადრე უნდა აგვეღო ხელიო.

– მას შემდეგ, რაც თავადმა ჭავჭავაძემ უარი თქვა, ჩვენ აღარ შევკრებილვართ და არავითარი ფიცი არ წარმოგვითქვამს.

განმარტოს, სად, როდის და ვისი თანდასწრებით მიეცა შემთხვევა მოესმინა, რომ ბერმონაზონი ფილადელფოსი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმისათვის, რათა ხალხში ხატები გამოიტანოს აჯანყების დროს.

არა, ასეთი რამ ელიზბარს არავისგან გაუგონია, და არც ის უნდა იყოს ლუარსაბ ორბელიანის ფრაზები, რომელსაც რატომღაც მიაწერენ და მისი დისწული კი არაფრისდიდებით არ ადასტურებს.

ვითომდა:

– ტფილისში უკვე ერთი ხანია ყველა შეთქმულებაშია ჩაბმული, თვითონ ლუარსაბიც დიდი ხანია ამაზე ფიქრობს და საკმარისია ცხენზე ამხედრებული გამოჩნდეს, ყველა რუსების წინააღმდეგ გამოვა, საჭიროა მხოლოდ რო არ შეგვეშალოს და ამიტომ უმჯობესია არჩევნებამდე დავიცადოთ.

ან:

– თუ ალექსანდრე ჭავჭავაძე თანახმა არ იქნება, მას პირველს წამოაგებენ ხანჯალზე, თუმცა მან უკვე დიდი ხანია იცის შეთქმულება და მასთან მოლაპარაკება შეიძლება.

თუ ლუარსაბს ასეთი აზრები ჰქონდა, ელიზბართან რატომ დამალავდა, ამიტომაც მის დისწულს თუ ენდობით, ემჯობინება, ამ ფრთხილ კაცს აჯანყების წამქეზებლის სახელი რომ არ მიეკეროს.

ლუარსაბი მართლაც ფრთხილ პიროვნებად იხატება საერთო ფონზე, დისწულისაგან განსხვავებით არამცთუ ხელმძღვანელობისაკენ არ მიისწრაფის, თუ არ მოხდება ამბოხება, ის ურჩევნია, და, პირადი ურთიერთობანი რომ არა, შეთქმულების მონაწილეთ ახლოსაც არ გაეკარებოდა.

აგერ ერთი ჩვენების მიხედვით კი:

საკმარისია ცხენზე ამხედრებული გამოვჩნდეო...

თუ თანახმა არ იქნება, მას პირველს წამოაგებენ ხანჯალზეო...

იქნებ ტყუილუბრალოდ დასდეს ბრალი საკუთარი ტყავის გადასარჩენად, მაგრამ, კაცნი ვართ, ის ფიქრიც გაგიელვებს, საერთო განწყობილება ზოგჯერ ისე ხომ არ მოქმედებდა ლუარსაბზეც, საკუთარ ბუნებას ღალატობდა და, ანთებული, თავს სწორედაც წინამძღოლად წარმოიდგენდა. საკუთარ დისწულს დაედარებოდა ძალაუნებურად, მას მიბაძავდა წუთიერად, რადგანაც უფრო დიდხანს სულიერი გზნება აღარ ჰყოფნიდა.

ელიზბარი რომ უარზეა, ასეთი სიტყვები ლუარსაბის პირიდან არ ამოსულაო, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მართლა არ ეთქვას.

ელიზბარი გიორგი ერისთავს სთხოვდა, იქნებ შენ შემიდგინო წერილი დიმიტრი ბატონიშვილთან გასაგზავნადო.

საიდუმლო ჩარჩოთი უნდა გაგზავნილიყო, ცხადია.

მერე გიორგი ერისთავი გადაფიცავდა გამომძიებელთა წინაშე: ბარათში ისეთი არაფერი წერებულა, მხოლოდ მოსაკითხად გაიგზავნაო, მაგრამ თუ მართლა ასე იყო, საიდუმლო ჩარჩო რისთვის დასჭირებოდათ?!

დიმიტრი ბატონიშვილს ტფილისში უთუოდ იმიტომ იწვევდით, რომ უკვე გქონდათ შექმნილი ფარული საზოგადოება, რომელიც მას დიდი პატივით მიიღებდაო.

არაო, – უარობდა გიორგი ერისთავი, – მისი მოწვევა არავის უფიქრიაო.

უთუოდ ზოგიერთ თანამზრახველსაც ჩამოუთვლიდითო.

არაო, – ჯიუტობდა, – არავინ დასახელებულაო.

ელიზბარს კი ალექსანდრე ორბელიანის ბაღში წაუკითხავდა წერილს: როგორია, რასაც ფიქრობდი, ისეთი გამოვიდა თუ არაო.

გადათეთრება სჭირდება, სხვა არაფერი, მე თვითონ გადავათეთრებო, – პასუხობდა ელიზბარი და გიორგი ამილახვარიც ნაადგებოდა: ვისა სწერთო.

ჩემი წერილია დიმიტრი ბატონიშვილთანო, – ელიზბარმა.

ჩემი სახელითაც ჩაუწერეთ სალამიო, – ამილახვარმა.

ელიზბარი შეპირებით შეპირდებოდა, თუმც გადათეთრებისას გამოტოვებდა გიორგი ამილახვრის სახელს, ბატონიშვილმა შეთქმულების მონაწილედ და სულაც გამორჩეულ წევრად არ იგულისხმოსო.

საიდუმლო ჩარჩო, აბა, სხვა რისი მიმანიშნებელი იქნებოდა.

თუმცა რუსების საქართველოდან გაყვანა შეიძლება, მაგრამ მათთან მერე ძნელი იქნება ბრძოლაო, – ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ამ სკეპსისს გაუზიარებდა თავად ჩოლოყაშვილს.

მათი განდევნა თუ მოხერხდებოდა, საძნელო მერე რაღა უნდა ყოფილიყო?

მიზეზსაც აუხსნიდა:

– რუსები მოისყიდიან ჩვენს თავადაზნაურებს; მისცემენ ჩვენს მამულებს და ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებენ.

ბევრი ღალატი აგონდება, საკუთარი ღალატიც მწარედ და მოუშუშებელ ჭრილობად დაჩნეოდა გულზე, აღარ უნდოდა კახეთის ამბოხების გახსენება, აღარ უნდოდა იმ ჯილდოსათვის შეხედვა, აჯანყების ჩახშობისათვის რომ უბოძა იმპერატორმა... ვერა, ვერ ამოშლიდა თავისი ბიოგრაფიიდან ამ ლაქას, გამოსწორება კი შეეძლო და შეთქმულებაში ამიტომაც ჩადგამდა ფეხს – ფრთხილად, მორიდებით, მაგრამ მაინც გაერეოდა ახალგაზრდებში და იმ ცოდვის მონანიებად ესახებოდა ამბოხების სამზადისში ცოტაოდნავი ფუსფუსი.

რუსები მოისყიდიან ჩვენს თავადაზნაურებსო...

გახლეჩდნენ ქვეყანას, ერთმანეთს დაუნდობლად წაჰკიდებდნენ და ხელახლა დაეუფლებოდნენ იმ მიწა-წყალს, საიდანაც ერთ დიდსა და თავგანწირულ გაბრძოლებას ცოტა ხანს იქნებ კიდევ დაემხო მათი ძალაუფლება.

რა გამოდიოდა – საშველი არასოდეს იქნებოდა?..

დაცემული ზნეობა ვერასოდეს აღდგებოდა მრთელი და შეუბღალავი, რათა შინაგამცემლობის საშიშროებას აღარ ეარსება, საზოგადოება არ გახლეჩილიყო დაპირისპირებულ მხარეებად, თორემ ცალკეული მოღალატენი არცერთი ქვეყნისათვის არა ყოფილან ისე სახიფათონი, სახელმწიფოს ბედი გადაენყვიტათ.

როგორ ბედავ რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლას, ასეთ უთანასწორო ბრძოლაში როგორ ჩააბი ერთი მუჭა ხალხი, ნუთუ გარდუვალი მარცხისა არ გეშინიაო? – ვერ აეხსნათ და ჯოჰარ დუდაევისაგან ელოდნენ პასუხს ჟურნალისტებიც, პოლიტიკოსებიც, ყველა, ვისაც აღელვებს თავისუფლებისაკენ მიმსწრაფი ხალხის ბედი.

არ მეშინიაო, – მშვიდად პასუხობდა ჩეჩნეთის პრეზიდენტი და ოდნავი, სულ ოდნავი კრთომაც არ ეტყობოდა სახეზე, – არ მეშინია იმიტომ, რომ მე ინტელიგენცია არა მყავსო.

ამ გამჭვირვალე ქარაგმაში მოაქცევდა ზვიად გამსახურდიას ბედის ტრაგიზმს.

რა გამოთქმებით ელაპარაკებოდით თქვენს დას, მელანია მელნიკოვას, რამდენად მკაფიოდ და შეეძლო თუ რა ქალბატონ მელნიკოვას ზუსტად გაეგო შეთქმულების არსებობაო, – ამ შეკითხვას ელიზბარი ასეთ განმარტებას შეაგებებდა: არ მახსოვს, რა გამოთქმებით ვესაუბრებოდი ჩვენს განზრახულებაზე და ალბათ ვერც მიხვდა ჩემს ნალაპარაკევს, რადგანაც გართული იყო თავის ავადმყოფ გოგონაზე ზრუნვითო.

მაგრამ მანანა ორბელიანს რომ გაუმჟღავნებდნენ ძმები ერისთავები ფარული საზოგადოების არსებობას და მათი დაც იქვე იმყოფებოდა, ნუთუ მაშინ მაინც ვერ მიხვდებოდა ვერაფერს?

ვერა, ვერ მიხვდებოდაო, – დიმიტრი ერისთავი ჩანერდა თავის ჩვენებაში, – მართალია ჩვენი დაც იქვე იმყოფებოდა, როდესაც მე და ელიზბარი მანანა ორბელიანს ვესაუბრებოდით ამ თემაზე, მაგრამ მელანია თავისი ავადმყოფი გოგონას მოვლით იყო გართული, ჩვენ კი საკმაოდ ბუნდოვნად ვლაპარაკობდით ჩვენს განზრახულებაზეო.

პირველი ღამის განკარგულება რომ ნაუკითხეთ ალექსანდრე ორბელიანს თქვენ და იასე ფალავანდიშვილმა, მოგინონათ თუ არაო, – დაინტერესდებოდა გამოძიება, და ელიზბარი ჯერ იმას რომ დააზუსტებს: იასემ ნაუკითხა ჩემი თანდასწრებითო, ალექსანდრეს პასუხს ასე აღიდგენს მეხსიერებაში:

– მარტო ჩვენ ეს არ უნდა გავბედოთ, სხვებსაც უნდა ვკითხოთ.

ამ პასუხიდან დავასკვენი რომ არ მოიწონაო, – სამჯავროს წინაშე წარმდგარმა. ასე გახლდათ, სწორედ ასე, უფალო გამომძიებლებო, და მაშინვე იოლად მიუხვდებოდა ქვეტექსტს, თორემ სხვათათვისაც გაცნობა მხოლოდ დიპლომატიური მოსაზრებით რომ მოენდომებინა მასპინძელს, თავის მხრივ აღტაცებას გამოთქვამდა პირველი ღამის განკარგულებით და არა ასეთ თავშეკავებას.

ის როგორღაა, სწორედ სოვეტნიკ ორბელიანს რომ შეუთავაზებია განკარგულებაში ჩანერილიყო: შესაკრები ადგილი, იქ თავადებისა და მუსიკის ყოფნა, ხალხის თავმოყრა, იქიდან დახმარების მოთხოვნა, ზარის რეკა, ხატების გამოტანა?

თურმე რა არ მონონებია, რა დაკლებია გულს!.. იასე ამას ირწმუნება და ელიზბარიც მოვალეა დაადასტუროს.

კიდეც დაგიდასტურებდათ, მაგრამ რაც არ ახსოვს, რანაირად დაგეთანხმოთ, იქნებ მართლა სოვეტნიკმა განსაზღვრა ამ მუხლის ჩაწერა, მაგრამ იქნებ მისი მოფიქრებული არა ყოფილა? არ ახსოვს და რა ჰქნას?!

არც ის ახსოვს, თუ რატომ დაინიშნა პირველი ღამის განკარგულებაში პორუჩიკი გიორგი თუმანიშვილიც თავდამსხმელად არსენალზე, საპროვიანტო მაღაზიაზე, ხაზინასა და ორდონანს – ჰაუსზე? ეტყობა, ისიც შეთქმულებაში მონაწილეობდა, არა? სხვაგვარად ასეთ დავალებას ვინ მისცემდა.

დიახ, არც ეს ახსოვს, თვითონ არ დაუნიშნავს და მისი სახელი განკარგულებაში არც აგონდება.

– თუმცა თუ იგი დანიშნა იასე ფალავანდიშვილმა, უთუოდ იმიტომ, რომ მე ვუთხარი, ბირთველ თუმანიშვილმა, ამ თუმანიშვილის მამამ, იცის მეთქი ჩვენი შეთქმულება. მაგრამ მე არ დამინიშნავს განკარგულებაში თუმანიშვილი და არც რამე ვიცი შეთქმულებაში მის მონაწილეობაზე.

8 მარტს გაიხსენებდა დიმიტრი ერისთავი, რომ პირველი ღამის განკარგულება მან დაწერა იასე ფალავანდიშვილის სახლში. კარგად არ აგონდება, ვინ ესწრებოდნენ, გარდა მასპინძლისა. მგონი ალექსანდრე ორბელიანი, კორნეტი გიორგი ერისთავი და კიდევ მისი ძმა ელიზბარი. დაწერა და... მაშინვე დაწვეს. ერთხელ ორივე ძმა ესტუმრებოდა იასე ფალავანდიშვილს, ვინც ამავე საგანზე თავის შედგენილ ტექსტს წაუკითხავდათ.

დავით თარხნიშვილზე თავისი ძმისაგან სმენია. ერთ საღამოს შინ რომ დაბრუნებულა, დაუნახავს, მათი სახლიდან დავით თარ-

ხნიშვილი გამოდიოდა. ვიდრე თვითონ იკითხავდა, ელიზბარს დაუსწრია:

– გამიგონე, ძმაო, არ ვიცი, რას ნიშნავს თავად თარხნიშვილის სიტყვები: თავადო, მობრძანდით როდისმე ჩვენსა, მინდა ჩემი გულისნადები გაგანდოთ და თქვენიც გამოგკითხოთ.

ესაა და ეს. დიმიტრიმ აღარ იცის, ელიზბარი ესტუმრა თუ არა, ოღონდ ამ თემაზე რომ აღარასოდეს ულაპარაკიათ, ეს კი დაბეჯითებით შეუძლია დაადასტუროს.

ეგ კი არის, ამ სიტყვებს აცნობებდნენ იასე ფალავანდიშვილს, ვინც აღუთქვამდათ, თავად თარხნიშვილის აზრებს დაწვრილებით გავიგებო.

ნეტა რაიმე თუ დააზუსტა?

ყოველ შემთხვევაში, ძმებისათვის აღარ გაუმხელია და პირზე სულ ის ეკერა:

– დღეს ვერ მოვიცალე, მერე იყოს.

– ვიყავი და საუბარი ვერ მოვახერხე.

იმ ვახშამსაც გაახსენებდნენ, იასე ფალავანდიშვილის ოჯახში რომ მოეყარათ თავი ორბელიანებს: ალექსანდრეს, დიმიტრისა და ვახტანგს, პორუჩიკ გიორგი ერისთავს, მასპინძლებს ზაალ ავთანდილაშვილსა და დიმიტრი ყიფიანს და ამას – ელიზბარს:

იქ თქვენ მსჯელობდით როგორ დასხმოდით თავს ციხეს, არსენალსა და სხვაო.

გაფაციცდებოდა ელიზბარი, გული უგრძნობდა, რაღაც ახალ მახეს მიგებენ, თორემ თავდასხმის განზრახვას ხომ უარვყოფ და უარვყოფო.

მაგრამ გამოძიება ციხესა თუ არსენალზე იერიშს უკვე ეჭვშეუვალ ფაქტად მიიჩნევდა და ელიზბარისაგან ამის დადასტურება-არ დადასტურება ვეღარაფერს შეცვლიდა, სხვა რამეს აზუსტებდნენ, სხვა მხრივ ითრევდნენ ხაფანგში:

– ხომ არ გახსოვთ, ვინა თქვა: „რადგან ჩვენ ყველანი მეგობრები ვართ, ამიტომ ვიყოთ გულახდილი, დრო ძვირფასია, ისტორია გვიჩვენებს, რომ დაყოვნებით საქმე წამხდარა“. და გთხოვათ თვითეულს, წარმოედგინა თავისი მოსაზრება საშუალებათა შესახებ.

და კიდევ:

– ვინ თქვა, რომ პირველივე შემთხვევისათვის შეუძლიათ გამოიყვანოს ტფილისეული ხელოსნები, ლოთები და მანანწალები?

პირველივე შემთხვევისათვის შემიძლია ქალაქის ლოთებისა და მაწანწალების შეკრებაო, თვითონ მასპინძელი იქადიდა, იმ წაქეზებისა არ იყოს, ფარულ კრებაზე რომ შეეცდებოდა ძმები ორბელიანების, პორუჩიკ გიორგი ერისთავის, კაპიტან ჩოლოყაშვილისა და ელიზბარის აყოლიებას: ახლა ძალიან კარგი დროა მოქმედებისათვის, რადგანაც გუბერნატორი წასულია და მის სარდაფში კი ინახება სახელმწიფო ფულიო, და მცველების მოსასყიდად საკუთარ ფულსაც შესთავაზებდათ.

მაგრამ ის ფრაზა – „დრო ძვირფასია, ისტორია გვიჩვენებს, რომ დაყოვნებით საქმე წამხდარაო" – ელიზბარს დასცდა და შეკითხვა კი აფიქრებინებდა: ვაითუ გაცემული ვარ და ფიცი-მტკიცი აღარ გამომადგებაო. ამიტომაც ოდნავ თუ დაიზღვევდა თავს, დაადასტურებდა და არც დაადასტურებდა:

– შეიძლება მე ვთქვი, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს.

უნებურად გაამჟღავნებდა.

დრო კი მართლაც ძვირფასი გახლდათ და დაყოვნებით საქმის წახდენას რომ ირწმუნებოდა ისტორია, გაჭიანურება ამჯერად იმას აიძულებდათ, რომ ტრაგედიისთვის გამზადებულნი კომედიაში ამოჰყოფდნენ თავს.

ტფილისში უკვე ყვალამ იცის ჩვენი შეთქმულების თაობაზე და შესაძლოა მთავრობამ დაუყოვნებლივ დაგვაპატიმროსო, – დიმიტრი ყიფიანი ამცნობდა თანამზრახველთ და, რომ ჩაეკითხებოდნენ, საიდან შეგიტყვიაო, მამამისს დაიმოწმებდა: მე არ გამიმხელია და ყოველივე მოეხსენებაო.

ზოგი იფიქრებდა, დიმიტრი ამას ჩვენს შესაშინებლად ამბობსო.

ზოგიც – შესაგულიანებლადო.

თუ ყოველ წუთას იყო მოსალოდნელი ფარული ორგანიზაციის დარბევა, აუცილებლად უნდა ეჩქარათ, რაკიღა უკან დასახევი გზა აღარ დარჩენოდათ.

გამოძიებისას ეს ფრაზა ელიზბარ ერისთავს მიეწერებოდა, კიდევ დიმიტრი ერისთავს, კიდევ იასე ფალავანდიშვილს, ოღონდ არა მის ნამდვილ მთქმელს.

ბრალად წაუყენებდნენ, სხვანი რომ განზრახულზე ხელის აღებას ამჯობინებდნენ, თქვენ თქვენი დაჟინებით ითრევდით ბოროტებაში: აჯანყებაზე ხელის აღება დაუყოვნებლივ დაპატიმრებასთან შეგუებას ნიშნავსო.

დიახ, თქვენ, თქვენი ძმა დიმიტრი და იასე ფალავანდიშვილიო.

ესენი შეჯავახებოდნენ ძმებ ორბელიანებს – ალექსანდრეს, დიმიტრისა და ვახტანგს – კაპიტან ჩოლოყაშვილსა და პორუჩიკ გიორგი ერისთავს და ისინი რომ აჯანყების სამზადისის ჩაშლას ამჯობინებდნენ, უკვე გამჟღავნებულნი ვართო, ეს სამნი უპირველესად ამ საბუთს მოიმარჯვებდნენ თავიანთი დაჟინებული მტკიცებისას, როგორ თუ ჩაშლა, როგორ თუ ხელის აღება, რაღა კაცნი უნდა გვერქვასო.

არა და არაო, – გამომძიებლებთან არ გატყდებოდა ელიზბარი, – დაჟინებით ჩვენ არაფერი მოგვითხოვია, კამათი არ გაგვიმართავს, წყნარად ვსაუბრობდით, გადათქმით კი ალექსანდრე ჭავჭავაძემ გადაგვათქმევინა, თუმც სერიოზულად არც არაფერს ვიზრახავდითო.

გამჟღავნებულნი ვართო, – იმ შეკრებისას რომ აფრთხილებდნენ, მაინცდამაინც არ შეშფოთებულა: ამას ხომ დიმიტრი ყიფიანიც გვეუბნებოდა ამას წინათ, მაგრამ შიშით უფრო მოსდის, ვიდრე რეალობის სწორი შეფასებით, ჯერ მამამისი დამფრთხალა და მერე შვილისთვისაც გადაუდიაო.

ნუთუ აღარ სურდა ჩაკვირვებოდა, რომ თუკი დიმიტრის მამისათვის არაფერი გაემხილა აჯანყების მზადების თაბაზე, მაშ ივანე ყიფიანს საიდან შეეტყო?

ერჩივნა ეფიქრა, რომ დიმიტრის რომელიმე მეგობარს წამოცდენოდა უნებურად და იმას კი მთავრობისათვის გადაებრალებინა, რათა შვილი სახიფათო ნაბიჯისაგან დაეხსნა.

ახლავე, დაუყოვნებლივ, ძვირფასი დრო გვეკარგება, ისტორია რისთვის შეგვისწავლია, თუ მის გაკვეთილებს არ გავითვალისწინებთ, ყველა გაბედული წამოწყება შემდგომ სიფრთხილეს დაუღუპავსო – სიტყვითაც ცდილობდა თანამზრახველთ შეგონებას და ხანჯალზეც შეივლებდა ხოლმე ხელს, გაწყდეს სადაც წვრილიაო. თავად გამომძიებლების წინაშე ამოუცვივდა გონებიდან ყველაფერი.

ის მაინც ეხსომება, როგორ წამოხტა ერთხელ სოლომონ დოდაშვილი და დაიყვირა:

– რუსები უღმერთონი არიან და ღვარძლიანები, ასე რატომ შეურაცხგვყოფენ ჩვენ!

აბა, რა მოგახსენოთ – არც ეს გარემოება აგონდება ელიზბარს და არც ის, თქვა თუ არა სოლომონ დოდაშვილმა ეს სიტყვები.

რადგანაც კაპიტანი ჩოლოყაშვილი აჩვენებს, რომ შეთქმულების მონაწილეთა შორის ელიზბარმა მას თეკლა ბატონიშვილიც დაუსახელა, დაე გამოძიებას განუმარტოს, რაც იცის თეკლა ბატონიშვილის მონაწილეობაზე ბოროტგანზრახულებაში.

კიდეც განუმარტავდათ, კაპიტან ჩოლოყაშვილს მართალი რომ ეჩვენებინოს, მაგრამ... მაგრამ ის, რომ ელიზბარს არასოდეს უთქვამს რა მისთვის თეკლა ბატონიშვილის მონაწილეობაზე და ყურიც არ მოუკრავს არასოდეს, თუ შეთქმულებაში ისიც გარეულიყო.

იხსენებს, იხსენებს... ვერ გაიხსენებს.

რომ დადასტურდეს მისი მონაწილეობა?

დადასტურდება თუ არ დადასტურდება, ელიზბარს არაფერს გაუგია, მორჩა და გათავდა.

დამნაშავეთა სიას, რომელთაც, როგორც უზენაესობის შეურაცხმყოფელთ, უნდა მოკვეთოდათ ხელ-ფეხი და ჩამორთმეოდათ ქონება სახელმწიფო ხაზინაში გადასაცემად, სათავეში ელიზბარ ერისთავს ჩაუყენებდნენ და ამ მტკიცე განაჩენსა და საზეიმო გასამართლებას აუცილებლად მიიჩნევდნენ, რათა ხალხს ეგრძნო მთავრობის ძალა და ქვეყანას ჭკუისსასწავლებელ მაგალითად გამოსდგომოდა, რათა მომავალში მაინც აეღო ხელი ქართველობას ფუქსავატობასა და უგუნურებაზე.

ჭკუისსასწავლებელი მაგალითის ძალას გააღრმავებდა ყოფილ სამეფო სახლის წევრთა გასამართლება სწორედ ტფილისში, რათა ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებულიყო მათი შთამომავლობა, რომ სჯობდა გამოთხოვებოდნენ დამღუპველ იმედებს საქართველოს სამფლობელოს დაბრუნებისა და ზღვარი დასდებოდა ესოდენ უტიფარ, მაგრამ ამ ქვეყანაში ჭეშმარიტად უკვე მავნე ოცნებას: ბატონიშვილთა მეტოქეობას იმპერატორის ხელისუფლებასთან.

რამდენიმე პირის ეს ბოროტგანზრახულება არ ეხება თავადაზნაურობის საერთო მდგომარეობასო, – ეს პოლიტიკური კურსი აერჩია საიმპერატორო კარს, – უმრავლესობა ჰკიცხავს და სიძულვილს გამოთქვამს დაპატიმრებულთა მიმართო.

ეს ისეთივე სიმართლე გახლდათ როგორც ის მტკიცება, თითქოს ალექსანდრე ბატონიშვილი: დიდი პატივისცემით არა სარგებლობდა.

სასურველს რეალობად ასაღებდა ამ შემთხვევაშიც იმპერიული იდეოლოგია, დემაგოგიას ჭეშმარიტებად სახავდა და საზოგადო-

ებრივ აზრს აჩვევდა ამ ამოყირავებულ სინამდვილეს. ნელ-ნელა შეაჩვევდნენ, მერე კიდეც დააჯერებდნენ, დარღვეული ცნობიერება ადვილად ირწმუნებდა ძალის ძალათი ჩანერგილს. და საზოგადოებრივი აზრი, ნაცვლად სიმტკიცისა, მყიფე და მყიფეზეც მყიფე გახდებოდა.

ხალხის თვალში გმირებად წარმოსდგებოდნენ შეთქმულების მონაწილენი.

საიმპერატორო კარი არწმუნებდათ: ჰკიცხავთ და სიძულვილს გამოთქვამთო.

რამდენიმე წლის შემდგომ კი... მართლა ასე მოხდებოდა – გადასახლებიდან დაბრუნებული შეთქმულნი გარიყულნი აღმოჩნდებოდნენ და ხელახლა მოუწევდათ ფეხისმოკიდება საზოგადოებაში, ოღონდ... იდეალების დათმობის ფასად. თუ არა – კიცხვასა და სიძულვილში ამყოფებდნენ.

– მისმა უზენაესობამ კეთილ ინება მიეჩნია სასარგებლოდ, რათა შენარჩუნებულ იქნას თავად-აზნაურობის ერთგულება ტახტისადმი.

ბრალდებულთა შეწყალება ამ ჩანაფიქრს მოჰყვებოდა.

შეწყალებას კი წინააღმდეგობის მოძრაობის მოშლა მოჰყვებოდა.

წინააღმდეგობის მოძრაობის მოშლას საზოგადოებრივი კოლაფსი და სულიერი რღვევა მოჰყვებოდა.

არა, კონკურსი კიდევ უნდა გაგრძელებულიყო.

ძიება გაგრძელებულიყო მანამ, სანამ მართლა საუკეთესო ნიმუში არ შეიქმნებოდა.

მაინცდამაინც შედევრი?

სწორედაც შედევრი.

საზოგადოებრივი მნიშვნელობა კარგ ნამუშევარსაც ექნებოდა, ცხადია, მაგრამ მხოლოდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ვერ ვიკმარებდით, თორემ საამისოდ გათვალისწინებული ძეგლი სოლომონ დოდაშვილისა უკვე აღმართულიყო სიღნაღის შუაგულში. სიხარულით ძალიან გაგვეხარდებოდა ამ მონუმენტის გამოჩენა, საგანგებოდაც მოვინახულებდით ხოლმე და არამარტო ბოდბის მონასტერში სოლომონ დოდაშვილის პანაშვიდის გადახდის შემდეგ – რიტუალის ნაწილიც გახლდათ ქალაქის შუაგულში ასვლაც და მონატრებისაც. მითუმეტეს, მტკიცედ განგვეზრახა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი მარტო ამ ძეგლის ანაბარა არ დარჩენილიყვნენ.

მუშავდებოდა პროექტი თბილისში ალექსანდრე ორბელიანის მონუმენტის აღმართვისა ორბელიანთა სასახლესა და საქართველოს საპატრიარქოს შორის – იმ ბაღში, სწორედ ამ ძეგლს რომ ითხოვდა როგორც არქიტექტურული, ისე ესთეტიკური და იდეური თვალსაზრისით.

მუშავდებოდა პროექტი ელიზბარ ერისთავის მემორიალის აგებისაც გორში და ეს პროექტი დაწინაურებულიყო. თანაც მასვე უნდა განესაზღვრა განზრახული ციკლის – სხვა შეთქმულნიც რომ უნდა შემომატებოდნენ, უპირველესად მაინც დიმიტრი ყიფიანი – ზოგადესთეტიკური ღირებულებაც. თავიდანვე უნდა აგვეწია თამასა იმ სიმაღლეზე, ქვეყნისათვის თავშეწირულთა ამ გუნდს რომ შეჰფეროდა და პირველივე შედეგრი სულ აღარ დაგვანებებდა, ოდნავ მაინც მოგვედუნებინა ყურადღება და ცოტა ნაკლები ღირსების მემორიალისა თუ მონუმენტის აგებას შევგუებოდით.

პირველი ეტაპი პირველ ეტაპად და არც ეს მეორე გამოიყურებოდა დიდად სანუგეშოდ. ყოველ შემთხვევაში, ფინალური ეტაპისათვის რომ შეირჩეოდა ორიოდე ნამუშევარი იმ მოთხოვნით, ავტორებს კიდევ ერთხელ გადაემუშავებინათ, უფრო სრულყოფილი გაეხადათ და ისე წარმოედგინათ, და, ამასთან, იმათაც ვინვევდით, ვისაც აქამდე არ მიეღო მონაწილეობა და საშუალებას ვაძლევდით, ახლა მაინც გამოეჩინათ თავი, გენო ზაქარაიას პროექტს ჟიურის ყველა წევრი გამოვრიცხავდით.

ამ ყაიდის ქმნილებებს აბსტრაქციულს უწოდებენ, მისი ერთი ასეთი ნამუშევარი ზაქარია ფალიაშვილისა და რაფიელ ერისთავის ქუჩების გადაკვეთაზეც დაედგათ, ჩვენი სახლის მახლობლად, ხშირად მიწევდა მისი ნახვა და არც თავიდან მოვუხიბლივარ და არც მერე გადამიფასებია ჩემი პირველი შთაბეჭდილება. იქ რაც ენებათ, ის დაედგათ, ვისაც დაეკვეთა, იმას სცოდნოდა თავისი საქმისა, მაგრამ ელიზბარ ერისთავისა და 1832 წლის შეთქმულების სიმბოლოდ აბსტრაქციას ვერ მოვიწონებდი – მაკეტის მიხედვით ვერავინ ვერაფერს გაიგებდა – ზოგადი ტრაგიზმი კი ხელშესახებად მოჩანდა, მაგრამ ამ ყაიდის მემორიალი მიესადაგებოდა ყველა ტრაგიკულ ეპიზოდს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და რაღა ელიზბარის სახელი დაგვერქმია.

ნიშანდობლივი თავისებურება გაელვებითაც არ გაიელვებდა.

თანაც თვითონ ელიზბარის სახება აუცილებლად უნდა გამოხატულიყო.

განსჯისას ჟიურის ყველა წევრი ერთსულოვანნი აღმოვჩნდებოდით, გარდა... გიორგი ოჩიაურისა.

არ გეგონოთ, აბსტრაქციული მიმდინარეობა იტაცებდეს და, თვითონ თუ არ მიმართავს ამ ფორმებს, სხვა მოქანდაკეთა შემოქმედებაში ძალიანაც აფასებდეს. ანდა გენო ზაქარაიას იმ ნამუშევარს მოეხიბლოს განსკუთრებულად, რაღაც ისეთი ეპოვნოს, რასაც სხვანი ვერ ვამჩნევდით და ახლა გვიმტკიცებდეს ამ ნამუშევრის შინაგან ღირსებებს.

– მართლები ხართო, – დაგვიდასტურებდა, – ეს მაკეტი არ გამოდგება ჩვენი მონუმენტისათვის და ვერც ვერანაირი გადამუშავება უშველისო.

მაშ ჩვენს ერთსულოვნებას რითიღა არღვევდა?!.

გიორგი ოჩიაურს ერთი საბუთი მოემარჯვებინა: გენო ზაქარაია ძალიან ნიჭიერი კაცია და იოლად ნუ განვსჯით მის მცდელობასო.

მარცხი რა, არ შეიძლება ძალიან ნიჭიერსაც მოუვიდეს?

– კიდევ მივცეთ შანსიო, – გიორგი ოჩიაურმა, – მე დაველაპარაკები, იმ შეთქმულების არსშიც, საერთოდაც, იმ ეპოქის სიღრმეშიც უფრო ჩავახედებ და ელიზბარ ერისთავის პიროვნებაშიც და, დარწმუნებული ვარ, სწორედ ისეთ მემორიალს შეგვიქმნის, ნატვრით რომ ვნატრობთ და საკონკურსო ნამუშევრები კი, ცოტა არ იყოს, გულს გვიცრუებს. მაინც ვერ შეძლებს? მერე უარვყოთ, მერე შევეგუოთ იმ აზრს, რომ არა ყოფილა ეს თემა გენო ზაქარაიას ინტერესთა შესაფერისი, მაგრამ კიდევ ერთი შანსი რა არის, მივცეთ ეს ერთი შანსიცო.

რასა ვკარგავდით.

დაე ესაუბრა გიორგი ოჩიაურს მოქანდაკესთან, მისებური ექსპრესიითა და სიღრმით, მისებური გზნებით წარმოესახა ელიზბარ ერისთავის სულიერი პორტრეტი და საშუალება მიეცა გენო ზაქარაიასათვის მისი შესაფერისი ხორცშესხმისათვის – ამ გზნების ქვაში მოსაქცევად.

გაამართლებდა და ხომ კარგი, თუ მაინც არა და – დაწუნებას მაშინაც მოვასწრებდით.

და გენო ზაქარაია აბსტრაქტულ მონახაზს შეთქმულების მთავარსარდლის ქანდაკით რომ შეცვლიდა, იმ წარმატებას მიაღწევდა, ბევრი რომ არ ჩამოითვლება ამ რანგის მემორიალები ჩვენს სინამდვილეში.

მეტოქეობას უკვე ველარავინ გაუწევდა.

ერთბაშად აიტყორცნებოდა დიდ სიმაღლეზე და გიორგი ოჩიაური ისე აღტაცდებოდა ამ ნამუშევრის ხილვით და ისიც ისე გაახარებდა, ალღომ რომ გაუართლა, გარშემო უტრიალებდა ქვაში გაცოცხლებულ გმირს, მიუახლოვდებოდა, შემოუვლიდა, ახლა შორიდანაც გამოხედავდა, და რამდენჯერმეც გაიმეორებდა:

– სადაც გინდა დადგით, თუნდ რომშიც წაიღეთო!..

რომი მაინც განსაკუთრებული შთამბეჭდაობით გახმიანდებოდა.

– უკეთესი ნამდვილად გვეიმედებოდა, მაგრამ ასეთს არ ველოდითო, – ვახტანგ დავითაიაც აჰყვებოდა და ისე მიმოიხედავდა, თითქოს დადასტურებას ელისო.

კიდეც დაუდასტურებდნენ – ჯონი გოგაბერიშვილიც, ავთანდილ მონასელიძეც, გია სოსანიძეც, კარლო ფაჩულიაც...

კეფა გამოკვეთილიყო დიდი ხელოვნებით. ყოველი ნაკვთი, ყოველი დეტალი გულმოდგინედ დამუშავებულიყო, მაგრამ კეფა მაინც სხვაგვარად განსაზღვრავდა ზოგად იერსაც და შთამბეჭდაობის ძალასაც.

თითქოს მინიდან ამოტყორცნილა და ზეცისაკენ მიისწრაფის, თუმც არც მიწას მოწყვეტიაო – ასეთი განცდა გრჩებოდა, რომანტიკული ეპოქის გმირის შესაფერისი.

რომანტიზმი აშკარად ეტყობოდა ქმნილებას, ეპოქის კვალი ხელშესახებად იგრძნობოდა. წარმოდგენა რომც არ გქონოდა, ვის გამოსახულებას შეჰყურებდი, იმას დაბეჯითებით მიხვდებოდი, რომანტიკული ეპოქის შვილიაო. იქნებ პოლიტიკოსი, იქნებ მწერალი თუ ხელოვანი, ოღონდ აუცილებლად რომანტიკული ეპოქის.

გულში რა ნატვრასაც ველოლიავებოდით, იქნებ ასეთ გამომსახველობას მიაღწიოს მემორიალმაო, სწორედ იმგვარი გამოგვეცხადებოდა – მშვენება გორისაც და მთელი საქართველოსიც, თვალსაჩინო მიღწევა პლასტიკურ ხელოვნებაში და 32-იანელთა ჩაფიქრებული ციკლის ერთბაშად ამზიდავი დიდ სიმაღლეზე.

რომში ნაგეღო, თუკი გენება!..

გორში ვაპირებდით.

მოქანდაკეს ისეთი ძარღვისათვის მიეგნო, უნებურად მოჯადოებულ წრეში მოექცეოდა და კარგა ხანს თავს ველარც დააღწევდა მის ხიბლს.

ოფიციალურად ჯერ არ გამოგვეცხადებინა კონკურსი ალექსანდრე ორბელიანის ძეგლზე, მაგრამ განზრახვას არა ვფარავდით და გენო ზაქარაიას სად ელოდა ოფიციალური გამოცხადებისათვის, მითუმეტეს, ასე ანთებულიყო 32-იანელთა სახეებით, და თავისთვის უკვე მოსინჯავდა ამ გმირის ქვაში გაცოცხლებასაც. თვითონ კმაყოფილი რომ დარჩებოდა, სანახავად მიმიწვევდა. წუთსაც როგორ დავახანებდი და, ნამუშევარს რომ შევხედავდი, მასპინძელს ვთხოვდი: ეს ხომ ისევ ელიზბარია, ცოტა განსხვავებული ვარიანტი, ალექსანდრე მაჩვენე-მეთქი.

შეცბუნდებოდა მასპინძელი: არა, რა ელიზბარი, ალექსანდრეაო.

და მე გავულიმებდი ისე, დაბნეულ ხელოვანთ როგორც ულიმიან ანდა მეცნიერებს, წარმოსახვებსა და მიგნებებში გახვეულნი ქუჩაში უნებურად ხეებსა და ბუჩქებს რომ ეჯახებიან.

იმათ გამოაფხიზლებდი და აარიდებდი ხეს.

მაგრამ ამჯერად... ამჯერად მასპინძელი გულიანად სულაც არ გაიცინებდა: ეს რა დამემართა, აქეთ წამობრძანდი, აგერ ალექსანდრე ორბელიანიო.

დაიჟინებდა: ელიზბარის მემორიალის მაკეტი შინ აღარც მაქვს, ერთი ცალი მქონდა და ისიც თქვენს რედაქციას ვაჩუქეო.

თურმე ეს რა გამკვირვებოდა:

ცოტა ხანში ვახტანგ ბოჭორიშვილის მემორიალის შექმნას სთხოვდნენ და ისიც ჩვეული გულმოდგინებით რომ ჩაეფლობოდა მუშაობაში, ნახელავი... კვლავ და კვლავ ელიზბარ ერისთავის გამოსახულებას დაემგვანებოდა – ადვილად ვერ განასხვავებდი... ასლებიღა იქმნებოდა, საკუთარი მიღწევა იძარცვებოდა და დახშულ წრეში ემწყვდეოდა. დედანს არაფერი აკლდებოდა, მაგრამ ასლების გამრავლებაც არ ივარგებდა. იქნებ თავი შეეკავებინა ვახტანგ ბოჭორიშვილის მემორიალის დადგმისაგან? თუმც რატომ შეიკავებდა, თვითონ განმეორებას ან ვერა გრძნობდა, ანდა ნაკლად არ მიიჩნევდა, დამკვეთები კი ამ გარემოებას არაფრად ჩააგდებდნენ და ასე უცნაურად გამოჩნდებოდა „მეორე ელიზბარ ერისთავი“ თბილისში.

ალექსანდრე ორბელიანის ძეგლის კონკურსი გარკვეული ხანით რომ არ გადავადებულიყო ჩვენდა უნებურად, „მესამე ელიზბარ ერისთავს“ მაინც აღარ მოვინდომებდით.

თუმც ნიჭიერმა კაცმა მოჯადოებულ წრეს ადრე თუ გვიან თავი უნდა დააღწიოს.

ჯერ კი:

თუნდ რომშიც წაიღეთო...

კვარცხლბეკისათვის შემოკავდებოდა წინასწარვე ნაგულისხმივი ადგილი და ახმაურდებოდა და აგუგუნდებოდა იქაურობა – ასფალტს გაჭრა სჭირდებოდა, მინას ამოყრა, საძირკველს ჩასხმა-გამაგრება.

მაგრამ საძირკვლამდე აღარ ჩაუშვებდნენ მუშებს, რომელნიც ხარბად კრებდნენ ყოველ სიტყვასა თუ ფრაზას ელიზბარ ერისთავზე და ეამაყებოდათ, რომ ამხელა კაცი აღმოაჩინეს თავისთვის და ამ საშვილიშვილო საქმის უშუალო მონაწილენიც გამხდარიყვნენ.

საძირკველი იჭრება უკვეო, – პაატა დამირეკავდა, თავზე ადგა მუშებს და მითითებებს არ კმარობდა, ხელსაც შეაშველებდა, თავისი ძმისა არ იყოს. ნიჩაბსაც წაეტანებოდნენ ძმები, ხრეში ჩვენც ამოგვარევინეთო.

რაღაც ახლის დასაწყისად ეგულებოდათ ელიზბარ ერისთავის სახების დაბრუნება გორში, ამდენი წლის მიზანდასახული მოქმედების ისეთ დაგვირგვინებად, რომელიც საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას გამორჩეული იერით დააჩნდებოდა და ახალ-ახალ საქმეთაც მოიყოლებდა.

სულიერ თავშესაფრად ესეც იქცეოდა და ამგვარი თავშესაფრები თანდათან უხვად გადაიჭიმებოდა იმ მიწა-წყალზე, უპირველესად სწორედ სულიერი გამთლიანება რომ ესაჭიროებოდა, ეროვნული ცნობიერების შეკავშირება-შედუღაბება და ტერიტორიული სხეულიც მის კვალზე გამრთელდებოდა.

„თრიალეთის“ ტელეკომპანია გადმოსდგომოდათ თავზე, ფანჯრებს აკვროდნენ სახეები, ვიღაც კარებიდანაც გამოჰყოფდა თავს, ტელეკამერაც გაიელვებდა, მაგრამ არც ახლოს მოდიოდა არავინ და არც ქალაქის გამგებელი მოინდომებდა ტელეჟურნალისტებსა თუ მათ ხელმძღვანელებთან შეხმიანებას.

ჩასაფრებოდნენ ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ოღონდ სადმე აყრილი ასფალტი დაენახათ, ოღონდ სადმე ჩამოშლილი კედელი ეპოვნათ, მაშინვე ტელეეკრანზე გამოჰქონდათ და მონდომებით ატრიალებდნენ – საყვედურითა და ნიშნისმოგებით.

ერთბაშად, სასწაულმოქმედი ჯოხის აქნევით ვერ გარდაიქმნებოდა გორი ახალი გამგებლის ხელში, თუნდაც იმ სულიერების და განათლებისა, ყველას რომ ათქმევინებდა, ნიკო ნიკოლაძის შემ-

დგომ საქართველოს ამ რანგის ქალაქისთავი არა ჰყოლიაო. და სასიკეთოდაც დაჩნეოდა გორს მისი მოსვლა სათავეში.

ეს ერთი-ერთმანეთს მიყოლებული მნიშვნელოვანი და კეთილი საქმენი ვითომც არა ყოფილა და, რაც ჯერაც მოსაგვარებელი რჩებოდა, თითქოს ეს იყო და ეს ქალაქის ცხოვრება.

იმედი არა ჰქონდა, ძეგლის აღმართვას მოწონებით გამოეხმაურებიან, ან მოწონებასა თუ მხარდაჭერას ვინ ჩივის, მოიხსენიებენ მაინც, როგორც სიახლესო – ყოველი ტელეკომპანია რის წარმოსაჩენადაც მოწოდებულა.

ტელეკამერას რომ მოჰკრავდა თვალს, ერთი გაფიქრება გაიფიქრებდა, შეიძლება ელიზბარ ერისთავის მემორიალი მაინც მიიჩნიონ მოხსენიების ღირსადო.

ყოველ შემთხვევაში, თვითონ იცოდნენ თავიანთი საქმისა.

ის წუთებია:

საძირკველი უკვე იჭრებაო.

და ვიდრე რაიმეს ვეტყოდი, უეცრად აჩქარდებოდა: ცოტა ხანში დაგირეკავ, აქ რაღაც ხდებაო.

– რა ხდება ამისთანა?..

მაგრამ მხოლოდ გაბმული ზუმერი მესმის.

თავი მეათე

ოცნების მინისტრთა კაბინეტი

გიორგი ერისთავი – რევაზის ძე – კომისიას უმტკიცებდა: სულ რაღაც ოთხი თვით ჩამოვედი პეტერბურგიდან საქართველოში შვებულებით, ჯანმრთელობისათვის რომ მიმეხედა და, თვითონაც არ ვიცი, ფარულ შეკრებებზე როგორ ამოვყავი თავი, თუმც ისეთიც არაფერი მომხდარა, გაბუქვად ღირდესო.

შეკრებებს რატომ ესწრებოდა?

რას წარმოიდგენდა, საიდუმლო სამზადისის შუაგულში თუ მოქცეულიყო. ხან სოლომონ დოდაშვილთან შეივლიდა სასაუბროდ, ხან ელიზბარ ერისთავთან ჩაიზე, სხვა მეგობრებსაც მაინცდამაინც მაშინ მოუნდებოდათ იქ მისვლა-მოსვლა და ამასობაში კი ყურს მოკრავდა რაღაც-რაღაცეებს: დავიფიცოთ, რომ ჩვენი ლაპარაკის შინაარსს ვერავინ გაიგებსო... აუცილებელია ბრძოლისათვის ვემზადოთო... აზრი არა აქვს და იქნებ გადავიფიქროთო... თუ დაგვიჭირეს, რა უნდა ვილონოთო... მე გეტყვით, თავი როგორ შეიძლება დავიხსნათო... ერთმანეთთან სრულიად გულახდილნი უნდა ვიყოთო, – და მიხვდებოდა, წინააღმდეგობის კერას ქმნიანო.

მაგრამ ხელისუფლებას რა აქვს ხელჩასაჭიდი, გარდა სუფრებზე ამ ცოტა თამამი საუბრებისა, თანაც, თვითონ გიორგი ერისთავი სოფელში გაემგზავრებოდა და აღარაფერი სმენია, ტფილისში რა ხდებოდა. იქიდან ჩამობრუნებული იასე ფალავანდიშვილთან რომ შეივლიდა, ის კი დაბეჯითებით ამცნობდა: ჩვენი საქმე დაიწყება ნოემბრის 15 და 20 შუა, იმ იმედით, რომ ჯარი დაღესტანში იმყოფებაო, – მაგრამ ეს მეორე დღესვე სწვევია ჩოლოყაშვილს და კიდეც გადაწყვეტდნენ, უსათუოდ უნდა მოეღოს ბოლო ამ განზრახვას და მასზე საბოლოოდ ავიღოთ ხელიო.

საღამოს ჩოლოყაშვილთან ერთად ალექსანდრე ორბელიანს ესტუმრებოდა, იქ ვახტანგ ორბელიანი დახვდებოდა და დიმიტრი ერისთავიც შემოესწრებოდათ; შემოდგამდა ფეხს და იტყოდა:

– ბატონებო, თუ გათავება გინდათ, გაათავეთ ეს საქმე და მეტს ნულარ ვიფიქრებთ მაგაზე.

ყველა თავს დაუქნევდა: გავათავოთო.

და ისიც მაშინვე გაბრუნდებოდა.

24 ნოემბერს ელიზბარ ერისთავმა რომ უთხრა: აზრად მაქვს დავწერო, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს მმართველობაო, – და მეორე დღესვე გიორგის უკარნახა?

რაღა ხელის აღება და დასრულება გამოდის.

ისეთიც რა მოხდა, განა ამ სასხვათაშორისოდ შედგენილ ტექსტს რაიმეს შეცვლა შეეძლო ქვეყანაში? თუნდაც ელიზბარს გადასაგდებად ვერ გაემეტებინა და გიორგისათვის დაევალებინა: შეინახეო.

ისევ შორეთისაკენ გადაინაცვლებდა ხელის გაწვდენაზე მოახლოებული ოცნება?

დრამატული რეალობა ვითომ თამაშისკენ იცვლიდა გეზს და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის სიაც ოცნების აღსრულების მოლოდინად, მის დოკუმენტად რჩებოდა?

აქეთ-იქით აწყდებოდა ელიზბარ ერისთავი – ხან მართლა იმ შორეთს მიაწვდენდა მზერას, ხან მღელვარედ მობღუჯავდა ხანჯალს, როგორ თუ კიდევ მოცდას ვამჯობინებთო.

შეინახეო, – უმეორებდა გიორგი ერისთავს.

იმას ველარ გაეგო, ასე მოსაფრთხილებელიც რა იყო, თუ აჯანყების სამზადისი სამზადისად დარჩენილიყო და ფარული ორგანიზაციაც დაშლილიყო, წევრებს კი თავ-თავისი გზა ეძებნათ, ვიდრე ხელსაყრელი არევ-დარევა საერთაშორისო პოლიტიკისა კვლავ ერთმანეთს არ მოაძებნინებდათ.

გადახედ-გადმოხედავდა საქართველოს მმართველობის პროექტს და ვერც ის გაეგო, შეთქმულების მეთაურთა გვარები რატომ არ ეწერა ელიზბარ ერისთავის ნაკარნახევში. სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ორბელიანი თუ განზე გადგომას ამჯობინებდნენ ხელისუფლების განაწილებისას და ეს არჩევანი წინასწარვე განეცხადებინათ, თვითონ ელიზბარი რატომღა იჩენდა თავშეკავებას, განა ის არ იყო, ამბოხების მთავარსარდლობა რომ აეღო ხელთ? და მაშ სამხედრო მინისტრობას მაინც ნურავის დაანებებდა ამოგებული სახელმწიფოებრიობისას...

ისიც კი ეგონა გიორგი ერისთავს, თვალი ხომ არ მატყუებს, იქნებ ესენიც ივარაუდებიან მინისტრთა კაბინეტის სიაში და როგორღაც გამომრჩაო.

რა გრძელი სია ეს იყო, ვინმე უნებურად გამოპარვოდა, მითუმეტეს, სამივე ერთად! ჯერ მაშინაც, მართლა რამდენიმეფურცლიანი სიის ხილვისას, და ახლა ხომ სასაცილოც იყო გამორჩენაზე ფიქრი:

სამხედრო მინისტრად ჭავჭავაძე.

იუსტიციის მინისტრად მუხრანბატონი.

ფინანსთა მინისტრად ფალავანდიშვილი.

შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად ჭილაშვილი.

საგარეო საქმეთა მინისტრად ბებუთაშვილი.

ესაა და ეს.

სია იმ იერარქიულ წყობასაც მკაფიოდ გვიმჟღავნებს, თუ რომელ სამინისტროს ანიჭებენ შეთქმულნი უფრო დიდ მნიშვნელობას ხელახლა მოპოვებული თავისუფლების პირობებში. მინისტრები თანაბარი უფლებით იქნებიან და ყველა დაემორჩილება მეფის ბრძანებებს, მაგრამ გავლენის მიხედვით მაინც უნდა იყოს რაღაც განსხვავება და ყველაზე უმჯობესად კი ამ წყობას მიიჩნევენ.

* * *

სამხედრო მინისტრად ჭავჭავაძეო, – უკარნახებდა ელიზბარ ერისთავი და ალექსანდრეს იგულისხმებდა ისიც და ყველა შეთქმულიც.

მეფის შემდეგ პირველს მას ასახელებს – თანამდებობრივი მნიშვნელობითაც და... ალექსანდრე ჭავჭავაძეობითაც, რაკიღა იგი ერთადერთია მინისტრთა კაბინეტის ნავარაუდევ წევრთა შორის, ვისაც გაუმჟღავნებდნენ საიდუმლო ორგანიზაციის არსებობას.

რა მართალი ყოფილა პეტრე ზავილეისკიო, – მაშინვე ეს ფიქრი გაჰკრავდა გონებაში გიორგი ერისთავს.

შერისხულიყო საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორობისას ზავილეისკი და პასუხის მოსათხოვად პეტერბურგში გაეწვიათ.

იმას აინუნშიც არ ჩაეგდო უფროსობის გაგულისება თუ მოსალოდნელი სასჯელი და, ვიდრე პეტერბურგს ჩააღწევდა, მოსკოვში შეჩერებული ოქროპირ ბატონიშვილსაც მოინახულებდა და პეტერბურგიდან საქართველოსაკენ გამოშურებულ შეთქმულებსაც. არც დროს ჰკარგავდა და არც იმედს. ისინი თუ გამხნევებას დაუწყებდნენ, ეს იქით შეაგულიანებდათ, თანაგრძნობას კი ახლოსაც

არ გაიკარებდა. რწმენით შემდგარიყო სახიფათო გზაზე, ორმაგი თამაშის პოლიტიკა მოემარჯვებინა და, იმპერიის იერარქიულ კიბეზე მაღლა მსწრაფი, არც თავის პოლონეთს ივიწყებდა და არც საქართველოში შეხვდებოდა გულგრილად ამბოხებისაკენ ლტოლვასა და წინააღმდეგობის მოძრაობის მოღონიერებას.

მაშინ იყო, გიორგი ერისთავსაც რომ არწმუნებდა: ქართველობას ჰგონია, რომ რაკი ალექსანდრე ჭავჭავაძე რუსეთის სამსახურშია, მას არ უყვარს თავისი სამშობლო, მაგრამ მე ვიცი, რომ ძალიანაც უყვარს და მისთვის სიკეთე სურსო.

პროტესტანტული სულით განმსჭვალული ზავილეისკის თვალში საქართველოსათვის სიკეთე გულისხმობს არა ცოტა უკეთეს ყოფას იმპერიის საზღვრებში, არამედ მისგან თავდაღწევას.

გიორგი ერისთავი ვერც ჰოს ეტყოდა და ვერც არას ალექსანდრეს ქებაზე.

ის ახლოს იცნობდა, ეს – არა.

იქნებ უნებურად ცდებოდა ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი?

ასეა თუ ისე, თანამოსაუბრეს კეთილად განანყობდა პოეტისა და გენერლისადმი და ახლა – ელიზბარ ერისთავისაგან ამ გვარ-სახელს რომ მოისმენდა მინისტრთა კაბინეტის პირველ პირად – ძალიანაც გაეხარდებოდა: როგორი უტყუარი ალღო ჰქონდა პეტრე ზავილეისკის, და შეთქმულნიც როგორ საღად აფასებენ პიროვნებებს, და რუსული ჯილდოების მიღმა ამიტომაც ამოუცვნიათ მისი ეროვნული ძარღვიო.

იგი ერთადერთია მინისტრთა კაბინეტის ნავარაუდევ წევრთა შორისო...

სხვებთან თუ მაინც იფრთხილებენ, ალექსანდრეს უფრო ენდობოდნენ და მთლიანად ადრევე თუ არა, 1831 წელს უკვე გაანდობდნენ აჯანყების მზადებას, და მერე ეს მოძრაობა ცოტა რომ შეფერხდებოდა უკეთესი ჟამის მოლოდინში, განახლებისას ლუარსაბ ორბელიანი საგანგებოდ ეახლებოდა თავის სიძეს: ელიზბარ ერისთავი კვლავ იმეორებს მაშინდელი განზრახვის აღსრულებასო.

რაკიღა ელიზბარს ხელახლა წამოეწყო ფარული მოძრაობა, ლუარსაბი ხელად მიხვდებოდა: მის სიჯიუტესა და ნებისყოფას წინ ვერაფერი გადაუდგება და მაშ ისევ უნდა ვემზადოთ ამბოხებისთვისაო.

ვემზადოთ და ვემზადოთო, – შეიმართებოდა ალექსანდრე ჭავ-ჭავაძე, ღმერთმა ისე არ გამწირა, 1812 წლის სირცხვილი არ ჩამომ-რეცხოსო. სულს უხუთავდა ის ჭრილობა, კახელი მეამბოხის ტყვი-ას რომ მიეყენებინა, და დროდადრო მაინც განსაკუთრებული სიმ-წვავით იჩენდა თავს. თვითონ ჭრილობა ჩაცხრობოდა რახანია, ეგაა, მაშინვე ვერ გაჰყვებოდა პაულუჩს სამხედრო ექსპედიციაში პარიზისაკენ, მკურნალობა დაჭირდებოდა. მაგრამ მალე დადგე-ბოდა ფეხზე და დამხობილ პარიზსაც იხილავდა. აი, სულზე დაჩნე-ული ჭრილობა ვერა და ვერ მოეშუშებინა და, ძალიან რომ მოეჭდო-ბოდა გულზე, ნუგეშს იმ დღეების გახსენებაში ჰპოვებდა, მთიუ-ლეთის აჯანყების დროს მეამბოხეთა შორის რომ იდგა და ლტოლ-ვილ ფარნაოზ ბატონიშვილსაც ერთგულად სდია, ვიდრე ორივეს შეიპყრობდნენ.

საგამოძიებო კომისიის წინაშე სულ სხვაგვარად ალაპარაკდე-ბოდა: საბედნიეროდ, ორივე შეგვიპყრესო. თითქოს მართლა სა-ნატრელი ყოფილიყოს ეს მწარე ხვედრი და მერე ტამბოვში გადა-სახლება ერთ ხანს.

იქნებ მართლა ყმაწვილურ ამჩატებად მიაჩნდა მაშინდელი საქ-ციელი?

იქნებ გულით მოენანიებინოს და ლამობდეს იმპერიის ერთგუ-ლებით გამოასწოროს აჯანყებულთა შორის გარევა?

კვლავაც ისე ერჩივნოს მოქმედება, კახეთის ამბოხებისას რო-გორც ამჯობინა.

მაშინ შეთქმულთა შორის აღარ აღმოჩნდებოდა და თანაც ისე-თი მონდომებით არ ჩაერეოდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევა მეფედ სახელმწიფოებრიობააღდგენილ საქართველოში პირველად მას მოფიქრებოდა და რჩევითაც ერჩია თანამზრახველ-თათვის, უკვე ახლავე გააბით ძაფები მასთან, რათა სპარსეთიდან შემოგვეშველოს სიტყვითაც და საქმითაც.

ალექსანდრე ბატონიშვილს ჯერ ის გააკვირვებდა, ალექსან-დრე ორბელიანი რომ შეუთვლიდა, ემზადე დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებისათვის საქართველოში და მეფის გვირ-გვინის დადგმისათვისო. ის კი დისწულად ერგებოდა, მაგრამ მამა-მისი აკი მის წინააღმდეგ ბრძოლისას დაღუპულიყო კახეთში!.. მა-ინც თანხმდებოდა შენათვალს ცოტა არ იყოს შეფიქრიანებული, მახეს არ მიგებდნენ და მეფის გვირგვინის სანაცვლოდ სახრჩობე-ლის ყულფში არ გავყო თავიო. ყაბულდებოდა, რაკიღა უფრო რეა-

ლურს ვერაფერს ხედავდა და ისევ ამ ახალგაზრდებს უნდა მოკონწიწებოდა.

თუმც ის რომ შეეტყო, შთამაგონებელი ალექსანდრე ჭავჭავაძეაო, ძნელი სათქმელია, მაშინაც დათანხმებოდა თუ არა ფარული ძაფების შენარჩუნებას საიდუმლო ორგანიზაციასთან.

ეგ ხომ ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაში დაიჭრა და რას გადამკიდებიან ვახტანგ ორბელიანის ვაჟი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, სად მითრევენო, ძალიან შეჭოჭმანდებოდა. ბოლოსდაბოლოს, ახალგაზრდა ალექსანდრე თუ მაინც შეიძლება გულწრფელად ირჯებოდეს, გამოცდილ ალექსანდრეს ასე რა გამოცვლიდა – ბატონიშვილის მტერი მის მოკეთედ როდის ან რატომ გარდასახულიყო.

მაგრამ ამდენს ველარ შეიტყობდა, შთამაგონებლის ვინაობას არავინ დაუზუსტებდა და ალექსანდრე ორბელიანს თანადგომას ამიტომაც აღუთქვამდა.

პეტერბურგიდან ზაქარია ჩოლოყაშვილი დაბრუნდებოდა, გვარდიის კაპიტანი, და ელიზბარ ერისთავი ამცნობდა, ალექსანდრე ჭავჭავაძე გიწვევს თავისთანო.

რას ფიქრობ ჩვენს საქმეზეო, – ჰკითხავდა მასპინძელი და აღელვების დაფარვას არც შეეცდებოდა.

თქვენმა ბრწყინვალებამ რაკი ამ საქმეზე მიმიღო, ალბათ ბევრი რამ უკვე მოიფიქრაო, – შეაგებებდა გვარდიის კაპიტანი და აღტკინებით განაგრძობდა:

– მე გეტყვით თავადო, რომ თქვენს ერთ სიტყვას საქართველოს შეიარაღება შეუძლიან, რადგან ყველანი მხოლოდ თქვენს ბრძანებას ელიან და ყველანი მზად არიან თქვენ გემორჩილონ.

ნეტა მართლა სჯეროდა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ სიტყვაზე საქართველო ფეხზე დადგებოდა?

თუ აჯანყების სამზადისმა დააყენა პათეტიკურ გუნებაზე?

განგებ ვუთხარიო, – საგამოძიებო კომისიის წინაშე თავს ასე იმართლებდა ზაქარია ჩოლოყაშვილი. სულ უარყოფა არ უცდია, ჰგონია, ეს სიტყვები გამჟღავნებულია და ურჩევნია დიპლომატიური ხერხით მოიგერიოს მოსალოდნელი ბრალდება, როგორ თუ ასე ძალიან აქეზებდი – თქვენს სიტყვას მთელი საქართველოს შეიარაღება შეუძლიაო.

იქნებ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ასეც მოეგერიებინა გამომძიებელნი: ზაქარია ჩოლოყაშვილმა ჩამაგონა, თითქოს მთელი საქარ-

თველო ჩემს ბრძანებას ელოდა და ყველა მზად გახლდათ მე დამ-
მორჩილებოდა. დამარწმუნა და ამიყოლიაო.

ან ლუარსაბ ორბელიანს დასცდენოდა რაიმე, მათი საუბრის შემსწრეს.

ისე ალექსანდრე ჭავჭავაძეს რომ ეიმედებოდა ლუარსაბისა, საგანგებოდ ამიტომაც შეადგენდა ჩვენებას ქართულ ენაზე – უშუალოდ ლუარსაბისათვის. მიმიხვდება, როგორ ვერ მიმიხვდე-ბა, ამ ფურცლებს რომ ჩაიკითხავს, რაც მწადია, და გამომძიებ-ლებთან თვითონაც როგორ უნდა ილაპარაკოს, ან არაფერი დას-ცდეს, ანდა თუ უკვე გაუმჟღავნებია, გადათქმას შეეცადოსო, – ფიქრობდა, მაგრამ მიუხვდებოდა კი არა, თავზარი დაეცემოდა ლუარსაბ ორბელიანს, ასე რატომ ასხვაფერებს რეალობას, ჩემი ჩაძირვა და განადგურება ხომ არ მოუნდომებიაო. შიშს დიდი თვა-ლები ჰქონია ყოველთვის და იმ წამს ალექსანდრეს ცოლისძმაც საკუთარ თავზე კიდევ ერთხელ გამოსცდიდა ამ ანდაზის უტყუა-რობას. გამოსცდიდა და დაფეთებულ სტრიქონებსაც მიანერდა სიძის ჩვენებას: ღმერთსა ვფიცავ და ჩემს სარწმუნოებას, რაც ვუჩვენე კომისიას გენერალ ჭავჭავაძეზე, არცერთი სიტყვა ტყუი-ლი არ არის, ასეთ რამეს ჩვეული არა ვარ და არც ჩემს სიძეს მოვუ-გონებდი ტყუილსო.

ეს რა საპირისპიროდ შემოუტრიალდებოდა თითქოსდა მარ-ჯვედ მოფიქრებული ფანდი ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

ის დრო სჯობდა, ლუარსაბ ორბელიანი გახარებული რომ მი-ვარდებოდა ელიზბარ ერისთავსა და ალექსანდრე ორბელიანთან: თქვენ მხოლოდ კაცი გაგზავნეთ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რათა კახეთში ჩამოვიდეს, და დანარჩენი თვითონ ალექსანდრე ჭავჭავაძემ იცის, რასაც იზამსო.

1812 წელს პირისპირ იდგნენ და ვერა და ვერ პატიობდა ლტოლვილი ბატონიშვილი.

და ნეტა რა ეიმედებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორ და-არწმუნებდა სამეფოდ ნავარაუდევ პიროვნებას თავის სიწრფელე-სა და ერთგულებაში?

* * *

იუსტიციის მინისტრად თავად მუხრან-ბატონს ივარაუდებ-დნენ.

სახელი არ არის აღნიშნული ჩვენებაში, მაგრამ საფიქრებელია, რომ კონსტანტინე იყოს, ერეკლე მეორის შვილიშვილი – ქეთევან ბატონიშვილისა და სახლთუხუცეს იოანე მუხრანბატონის ვაჟი, მამის გარდაცვალების შემდეგ სახლთუხუცესის თანამდებობა მასზე რომ გადავიდოდა. 1800 წლის 26 დეკემბერს ახალგაზრდა კაცს დაისწრებდნენ თავადაზნაურთა თათბირზე, სადაც გადაწყდებოდა, რომ ეღიარებინათ რუსეთის უფლების დამკვიდრება საქართველოში და შეეწინააღმდეგებოდნენ დავითის გამოცხადებას მეფედ. გიორგი XII ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ უკვე განწირულია და ამიტომაც წინასწარვე დაუჭერიათ თადარიგი. რა იციან, რომ თვითონ დავითიც არ მოინდომებს მეფობას, არაფრისდიდებით არ დაყაბულდება სოლომონ მსაჯულის შეგონებას, დაიდგი მეფის გვირგვინიო, და ნებაყოფლობით შეეგუება უფლებათა აყრას.

კონსტანტინე მუხრანბატონი თათბირზე უმრავლესობის გადაწყვეტილებას კი არ დამორჩილებია უნადინოდ, გულითა და სულით მოსურნე ჩანს რუსეთის მფლობელობისა, მათი თავგამოდებული მომხრეა და პოლკოვნიკის წოდებასაც მოიპოვებს. მოგვიანებით მარშლადაც აირჩევენ და ამ თანამდებობაზე აღესრულება თორმეტწლიანი კარიერის შემდგომ. საგულისხმოა, რომ არჩევნებისას ალექსანდრე ჭავჭავაძე აშკარად ჩაუგდებდა შავ კენჭს და მიზეზსაც ხმამაღლა განმარტავდა: გამოუცდელობის გამო არ არის ღირსი გუბერნიის წინამძღოლის ადგილისაო.

განა ეს რა მოტივია?

ყველა ადამიანი გამოუცდელია, ვიდრე რაიმე საქმიანობას ხელს მოჰკიდებდეს და მაშ ვეღარსად ვეღარავინ აგირჩევია თუ დაგინიშნავს.

ეტყობა, ნამდვილ მიზეზს არ ამხელს. ისე ძალიან უნდა იყოს გულმოსული, რადგანაც მისი საქციელი მკვეთრი პროტესტია.

კონსტანტინე მუხრანბატონი მარშლად 1830 წელს აირჩიეს, ასე რომ, როდესაც იუსტიციის მინისტრად ვარაუდობენ ფარული ორგანიზაციის წევრები, იგი უკვე გუბერნიის წინამძღოლია და მთელი ცხოვრება რუსეთის ერთგულებაში გაუტარებია. ერეკლე მეფის შვილიშვილობა სხვაგვარად მოსკოვსა ან პეტერბურგში გადასახლებად დაუჯდებოდა.

კი მაგრამ, რამდენად სანდო შეიძლება იყოს ასეთი კაცი ეროვნული მოძრაობისათვის?

თუმც შეთქმულნი თავიანთი მოძრაობის მონაწილედ არც მოინდომებდნენ, ეგაა, იმედოვნებენ, საქართველოში დამოუკიდებლობა რომ აღდგება, კონსტანტინე მუხრანბატონს სხვა რა გზა დარჩენია, გარდა იმისა, რომ თავისი ცოდნა და ენერგია სამშობლოს მოახმარსო.

მართლა ასე რომ მომხდარიყო, ალექსანდრე ჭავჭავაძე უსათუოდ შეეწინააღმდეგებოდა ამ ჩანაფიქრს, იუსტიციის მინისტრის გამოცდილება არ გააჩნიაო.

ნეტა თვითონ სად შეეძინა სამხედრო მინისტრის გამოცდილება?!.

იასე ფალავანდიშვილის ბინაზე შეკრებისას ელიზბარ ერისთავი ამაზეც ჩამოაგდებდა სიტყვას: თავადი მუხრანსკი ძალიან გვიშლის ხელსო. განმარტებით არ განმარტავდა, თუ ვის გულისხმობდა. თანამზრახველნი, ალბათ, ისედაც მიუხვდებდნენ. იასე ფალავანდიშვილი კი მაშინვე ჩაებღაუჭებოდა მის ნათქვამს: ტყუილად სწუხარ, მახრანსკის მოშორება ადვილია, მე მინდა მას ზოგიერთი სხვაც გავაყოლო თან, მაგრამ ვერ გამიბედია თქმაო.

„ზოგიერთი სხვის" ვინაობაც მალე უნდა გაირკვეს, ოღონდ ჯერ მუხრანსკის ხსენებას გავყვეთ – იქნებ ის ვიღაც სხვაა და არა კონსტანტინე მუხრან-ბატონი, ვინც ელიზბარ ერისთავს იუსტიციის მინისტრად წარმოუდგენია?

მოვკლათ მუხრანსკიო, – მაშინვე რომ დაეთანხმება თავისი ძმა დიმიტრი, იქნებ ისიც იმ სხვა პიროვნებას გულისხმობს?

და ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები და კორნეტი გიორგი ერისთავი რომ შეეწინააღმდეგებიან – „არა, ის რომ მოჰკლათ, საზოგადოება რას იტყვის, საერთო უკმაყოფილებას გამოინვევს, შენ არ იცი, ელიზბარ, როგორ აფასებენ მას თავადები, აზნაურები და განსაკუთრებით კი სომხები, უკანასკნელნი არც ერთ ქართველს ისე არა სცემენ პატივს, როგორც მუხრანსკების გვარს. არა, მისი მოკვლა არ შეიძლება" – მათაც იმ სხვა პიროვნებისაკენ ხომ არ გადაუქანდათ ფიქრი?

იასე ფალავანდიშვილი შუალედურ გზას რომ ამჯობინებს – „ციხეში მაინც გავგზავნოთო" – იქნებ კვლავ ის სხვა მუხრან-ბატონი იგულისხმება?

მაგრამ მის ვინაობას დაბეჯითებით დაგვიზუსტებს დიმიტრი ერისთავის ფრაზა, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებსა და გიორგი ერისთავს რომ მიმართავს, თითქოსდა მათ გულისნადებს ჩახვდაო:

– მე გამოვიცან მიზეზი, რატომ არ გინდათ მისი სიკვდილი... იგი ბატონიშვილი (თეკლა) გაჯავრდება, მუხრანსკი ხომ თქვენი ბიძაა.

ამ დროსაა, ელიზბარი სიცილს რომ ასტეხს: ნათესაობა რა შუაშია. ის ამ შემთხვევაში სრულიად გარეშე საგანია. მამის მოკვლაც შეიძლება უთანხმოებისას, არა თუ ნათესავებისაო, – და ღიმილით, რომელიც აღსავსეა რაღაც შურისძიების გრძნობით, ყვირილს მოჰყვება: იგი აუცილებლად უნდა მოვკლათო.

ალექსანდრე ორბელიანისა და მისიანების გასაღიზიანებლად ყვირის ასე?

ყოველ შემთხვევაში, არც ენდობა კონსტანტინე მუხრან-ბატონს და სხვებზე უფრო სახიფათოც მისი არსებობა მიაჩნია.

იასე ფალავანდიშვილი უკვე გეგმასაც შეიმუშავებს, თუ როგორ უნდა ჩამოიცილონ ეს პიროვნება:

– რათა ხალხს მოვაჩვენოთ, რომ მუხრანსკი ჩვეულებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, შეიძლება იგი მოვწამლოთ.

ამ დროს დიმიტრი ერისთავი უნდა ჩაერიოს და ძმას მიმართოს: ამაზე ლაპარაკი მერეც შეიძლება, ახლა მითხარი რამდენი მომხრე გყავსო.

კითხულობ ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენების ამ პასაჟს და ვეღარც გიწამებია რა – თუ ელიზბარი გამოთქვამს კონსტანტინე მუხრან-ბატონის მოკვლის იდეას და ასეთი გზნებითაც იმეორებს ამ აზრს, მის მიერ ნაკარნახევ მმართველობის პროექტში საიდან უნდა გაჩენილიყო იუსტიციის მინისტრად სწორედ ეს პიროვნება?

იქნებ რაღაც ერევა ჩვენების ავტორს და ელიზბარი არც არაფერ შუაშია?

მაგრამ ალექსანდრე ორბელიანის ჩვენებაც რომ ამასვე გვაუწყებს?

– შემდეგ ელიზბარმა და იმისმა ძმამ დიმიტრიმა თქო რომ მუხრანბატონი უნდა მოვკლათო. ჩემი დედიდაშვილი სპორს უწევდა. ასეთი ჩხუბი მოუვიდათ რა მეთქი, და ამათ დასამშვიდებლად, მასკვან მე უთხარ, ელიზბარ და დიმიტრი, მე უფრო კაი სიტყვას გეტყვით მეთქი, აბა ერთი ეს მიბძანეთ, რით უნდა მოვკლათ მეთქი. იფიქრეს და მასკვან ყველამ სიცილი დაიწყეს. და მასკვან იასე მომიბრუნდა და მითხრა, შენი საქმე ყოველი მასხრობა არის, აი მოვწამლოთო. მე უთხარ ლაყბობ მეთქი, ღმერთმა ჩემ ფიქრს ეგ აფიქრებინოს მეთქი. იასემ თავი დამიქნია, და ერთი საცოდა-

ვათ ამოიოხრა. თქო ნეტავი შენთან საქმე არა დამეჭირა რაო. ამაზე დავიშალენით.

ზოგიერთი საგულისხმო ფსიქოლოგიური დეტალის დამატებას თუ არ ვიგულისხმებთ, ზუსტადაც რომ იგივე ვითარებაა აღდგენილი. ეგაა, ზაალ ავთანდილაშვილს არ გაუგონია იასე ფალავანდიშვილის ბურტყუნი: ნეტა ამ ალექსანდრე ორბელიანთან არაფერი მაკავშირებდესო. იცის ალექსანდრემ, რომ შინაგანი ბოღმა ხრავს იასეს, თან ერთგულ თანამზრახველადაც მოაქვს თავი და თან ვერცერთს ვერ იტანს, განსაკუთრებით მოთავეებს. ამიტომაც შემთხვევას არ გაუშვებს ხელიდან რომ არ წაკბინოს თუ უჩხვლიტოს ელიზბარ ერისთავს, ვინც ვერც იგებს, რას ებულრავება იასე. მაგრამ ალექსანდრეს თვალს არ ეპარება იასეს გესლიანი შენიშვნები ელიზბარის მიმართ და თავის მხრივ ყოველთვის გააბურთავებს ხოლმე იასეს. იუმორი ალექსანდრეს საკმაოდ მომადლებია და მოსწრებულ სიტყვასა თუ კალამბურს შეაგებებს ხოლმე იასეს ბოღმიან ფრაზას. ის საპასუხო ჩხვლეტას ველარ ახერხებს, მწარდება და ერთბაშად უმწეოვდება. ახლაც ამ დღეშია: ნეტა შენთან საქმე არ დამეჭირაო.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეპიზოდის შუაგულში ელიზბარი დგას და ორი ჩვენებაც ტყუპისცალივით ემგვანება ერთმანეთს.

მის მიერ ნაკარნახევ მმართველობის პროექტშიო...

ჯერ სხვასაც რომ ეკარნახა, მაშინაც შემაცბუნებელი იქნებოდა, რადგანაც უელიზბაროდ არანაირი საქმე არა წყდებოდა, მით უფრო ვინ შეადგენდა მინისტრთა კაბინეტს მასთან შეუთანხმებლად?!.

მაგრამ ეს სულაც მის მიერ კარნახი და იქ მუხრანსკის მოხვედრა როგორ გინდა ახსნა?

წამიერი აღტკინება რომ გადაუვლის და უფრო და უფრო ღრმად ჩაუკვირდება ქვეყნის მომავალ მმართველობას, თვალსაზრისის შეცვლას ამჯობინებს.

კონსტანტინე მუხრან-ბატონი, როგორც აღმატებული მოხელე და რუსეთის ერთგულებაზე ფიცდადებული კაცი, სახიფათოა – და შესაძლოა ძალიანაც სახიფათო – ვიდრე რუსეთის მმართველობა დაემხობოდეს საქართველოში, ეროვნულ მოძრაობას, მოჯანყეებს მისი იმედი არაფრისდიდებით არ შეიძლება ჰქონდეთ, ოღონდ შემდგომ, როდესაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა სრულიად ამოტრიალდება და დამპყრობელი კავკასიის ქედს მიღმა გადა-

ირეკება, ამ მოხელის პიროვნული თვისებანი შესაძლოა საკმაოდ წაადგეს ახალფეხადგმულ მმართველობას.

შესაძლოა კი არა, ელიზბარ ერისთავი თანდათან იმ დასკვნამდეც მიდის, რომ ნამდვილად ასე მოხდება. ამიტომ აღარაა თანახმა, მოწამლონ მარშლად აღზევებული მუხრან-ბატონი, აღარც ციხეში მის გაგზავნას ყაბულდება და... იუსტიციის მინისტრის სავარძელს შეურჩევს.

ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის აუცილებლობა ასე კარნახობდა ელიზბარს და თავის მხრივ ამ ნაკარნახევს უმეორებდა გიორგი ერისთავს.

ასე გაიფანტებოდა გაუგებრობა მკითხველისათვის და აუხსნელიც აიხსნებოდა.

* * *

ფინანსთა მინისტრობისათვის ნიკოლოზ ფალავანდიშვილი შეირჩეოდა.

ბარონ როზენისაგან საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორობა ჩაბარებოდა და, როდესაც როზენი პეტერბურგში გაემგზავრებოდა, საქართველოსა და კავკასიის მთავარმართებლის უფლებებს მას დაუტოვებდა.

მეტი გავლენისათვის რაღა უნდა მიეღნია.

თანაც როზენი გამონაკლისი არა ყოფილა მთავარმართებელთა შორის, რომელნიც ნიკოლოზ ფალავანდიშვილს კეთილი თვალით უყურებდნენ და მის რჩევებსაც შეისმენდნენ. კეთილგანწყობის მოსაპოვებლად კი მას არც თავი ეზოგებოდა და... არც თვისტომნი. ციციანოვი ისე მოიხიბლებოდა მისით და ისეთ ერთგულ მოხელეს ამოიცნობდა ნიკოში, რომ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრებას არც დააცდიდა, ისე მოაწყობდა თავის კანცელარიაში. მერე უკვე გუბერნიის სეკრეტრის ჩინსაც იშოვნიდა და ადიუტანტადაც გამოჩნდებოდა ახვერდოვის მმართველობაში.

რუსეთში გადასახლებულ ანტონ კათოლიკოსს ნიკოს რომ გააყოლებდნენ პრისტავად, მნიშვნელოვან დავალებას დააკისრებდნენ, როგორც სანდო და გამჭრიახ კაცს, ვისაც პატივისცემით ეპყრობოდნენ გადასახლებაში მყოფი ბატონიშვილები და ეჭვიც არ აუღიათ, რომ შეიძლებოდა ამ მრავალი ღირსებით შემკობილ პი-

როვნებას საგულდაგულოდ შეეგროვებინა ყოველგვარი ცნობა მათ განწყობილებასა და შეხედულებებზე და მთავარმართებელ რტიშჩევისათვის შეეტყობინებინა. დავალების პირნათლად შესრულებისათვის ტიტულარული სოვეტნიკის ჩინს გამოჰკრავდა ხელს და მალე რტიშჩევის კანცელარიაში კოლეგიის ასესორადაც ჩაჯდებოდა.

ეს საბედისწერო ჟამი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში – ავტოკეფალიის გაუქმება და კათალიკოსთა სანაცვლოდ ეგზარხოსთა გამოგზავნა – ნიკოლოზ ფალავანდიშვილისათვის სიკეთის კალთად გამოჩნდებოდა.

ყველგან და ყველაფერში ხეირს პოულობდა.

ცხადია, მოწადინე იქნებოდა კახეთის აჯანყების ჩახშობისაც, იმხანად რომ იფეთქებდა. არადა, დავით ბატონიშვილი სწორედ მას მოსწერდა წერილს და მოსაზრებებსაც გაუზიარებდა, თუ როგორ უჯობდა ქართველობას მოქცევა ამბოხების მარცხის შემდგომ. ნეტა რისი ეიმედებოდა – ნიკოლოზი იქ საიმედო ადამიანთა გუნდს შეკრებდა და ბატონიშვილის რჩევებს ქვეყანაში მოფენდა? ნაცვლად ამისა, მოხდებოდა ის, რაც უკვე იოლი მისახვედრია მკითხველისათვის – ადრესატი ამ საიდუმლო წერილს მაშინვე მთავარმართებელს შეურბენინებდა.

როგორც ერთგულსა და წარჩინებულ პიროვნებას, მას მიენდობოდა იმპერატორისათვის შეტყობინება მნიშვნელოვანი სამხედრო გამარჯვებისა – ლენქორანის აღებისა და ლენქორან-თალიშის სახანოების შემოერთების.

ბედის უდიდეს წყალობად მიითვლიდა იმპერატორისათვის ამ სასიხარულო ცნობის პირადად მოხსენებას, მაგრამ ალექსანდრე პირველი პეტერბურგში არ დახვდებოდა – კვალში ჩადგომოდა მოსკოვიდან ლტოლვილ ნაპოლეონ ბონაპარტეს, და აღარც ნიკოლოზ ფალავანდიშვილი გამობრუნდებოდა უკან ნირწამხდარი. თვითონ რუსეთის იმპერატორს მიჰყვებოდა ფეხდაფეხ და ასე ივლიდნენ პარიზამდე. და იქ საფრანგეთის წამოჩოქებით გონდაბანგულ ალექსანდრე პირველს ქართველი მოხელე წარუდგებოდა და მოხსენებასაც გააცნობდა. და საკუთარ თვალში კიდევ უფრო გაზვიადდებოდა ნიკოლოზ ფალავანდიშვილი – სად და რა ვითარებაში მოეხადა პირნათლად თავის ვალი.

1813 წელს მას გაგზავნიდნენ აბას-მირზასთან საზავო მოლაპარაკებისათვის.

გულისტანის ზავი რომ დაიდებოდა, იქ იმყოფებოდა – გულისტანში, მომდევნო, 1814 წელს კი იმპერატორთან მას მიავლენდნენ სპარსეთთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის.

1817 წელს მიენიჭებოდა ნადვორნი სოვეტნიკის ჩინი.

1818 წელს დაინიშნებოდა თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს საქმეთა მმართველად.

1822 წელს – წევრად ტფილისში დაარსებული კომისიისა, ქართულ კანონთა შედგენა და თარგმნა რომ ევალებოდა.

1826 წელს უკვე განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკია ერმოლოვთან.

1827 წელს – მუსულმანურ პროვინციათა მომწყობი კომიტეტის წევრი.

ოთხ წელიწადში მიანიჭებდნენ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ჩინს.

პასკევიჩს მოუშორებლად დაჰყავს ლაშქრობებში და ყოველთვის ეკითხება რჩევას, მართვა-გამგებლობის რა წესები სჯობს დაპყრობილ ქვეყნებში.

მერეა უკვე, ბარონი როზენი სამოქალაქო გუბერნატორად რომ აღაზევებს და ერთხანს სულაც საქართველოსა და კავკასიის მთავარმართებელიცაა.

როდესაც მაქსიმე ბერძნიშვილი საგულდაგულოდ მოიძიებს მის ბიოგრაფიულ რეალიებსა და სილუეტსაც ხელშესახებად გამოჰკვეთს, შემაშფოთებლად წარმოჩნდება მკითხველისათვის, თუ რა უკეთური გზებით უვლია აღზევებამდე. თუმც ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ბიოგრაფიული ქარგა – ზედაპირული თუ ფარული დინებებით – ხელთაც რომ არა გვქონდეს, განა ძნელი ამოსაცნობია, რა ცოდვათა ჩადენა დაჭირდებოდა, ასე მიზანდასახულად და წარმატებულად რომ ევლო სამოხელეო კარიერის კიბეზე?!

და ასეთი კაცი... ფინანსთა მინისტრად დამოუკიდებელ საქართველოში?

თუ ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ის ჩუმჩუმი ბეზღობანი დაფარული გახლდათ მაშინდელი საზოგადოებისათვის, იმას ხომ ყველა ხვდებოდა, რომ ცოდვებში გაუსვრელად ასე ვერ წამოტივტივდებოდა მთავარმართებელთა კარზე – იცვლებოდნენ მთავარმართებელნი, ის კი რჩებოდა და რჩებოდა. მოგვიანებითაც გრაფი ვორონცოვი გამოიძახებდა სამოხელეო სამსახურს ჩამოცილებულსა და სოფელ ტაბახმელაში დასახლებულს და კავკასიის მეფისნაც-

ვლის განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად დანიშნავდა. ეს მოხდება 1851 წელს. ორი წლის შემდეგ კი ამიერკავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრად დაინიშნება.

კარიერას ჩამოცილებული კაცი ვის გაახსენდა და ვინ ურჩია მთავარმართებელს, გამოგადგება და მოძებნეო?

სხვა არც არავის, თვითონ ვორონცოვს. ჯერ კიდევ 1804 წელს გაეცნო ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, ხოლო პარიზში კიდევ უფრო დაიახლოვებდა, ეს რომ ალექსანდრე პირველს მისდევდა, რუსეთის იმპერატორი კი – ნაპოლეონ ბონაპარტეს. იმ ტრიუმფს ინაწილებდა ვორონცოვიც და ის შეხვედრები ნიკოლოზთან ისე დამახსოვრებოდა, ოთხი ათეული წელიც ვერ წაშლიდა მაშინდელ შთაბეჭდილებას და – მთავარმართებლად მყოფი – მოინდომებდა მის ამოყენებას გვერდით. ნიკოლოზი ცოდვათა მოსანანიებლად რომ ჩამოცილებოდა სამსახურს, ცხადია, მთავარმართებლის კარზე ველარაფერი დააბრუნებდა. ეტყობა, რაღაც სხვა მიზეზია განდგომისა, 1838 წლიდან კარიერას ჩამოშორებული კვლავ სამოხელეო იერარქიის ზედაპირზე რომ ნამოტივტივდება.

გახსოვთ, იასე ფალავანდიშვილი ერთხელ შეთქმულებს თავის ოჯახში რომ მიიწვევდა და მაშინვე მხურვალედ მოეჭიდებოდა თავად მუხრანსკის მოკვლის განზრახვას, თავის მხრივ კი გააგრძელებდა ამ თემას და დასძენდა: მინდა ზოგიერთი სხვაც გავაყოლო თან, მაგრამ თქმა ვერ გამიბედიაო?

თურმე ვინ ზოგიერთი სხვა და:

– ჩემი ძმა ნიკოლოზი.

და დიმიტრი ერისთავი უმალვე აიტაცებს ამ განზრახვას – იგი არამარტო მუხრანსკის მოკვლის თანახმაა, არამედ ნიკოლოზ ფალავანდიშვილისაც.

მთავარი ისაა, რომ პირველად მაინც იასემ გამოთქვა ეს აზრი, თანაც გრძნობს, ძმის განწირვას დიდად არ მომიწონებენო, და ამიტომაც ჭოჭმანობს და ადვილად ვერ ბედავს ამ იდეის შეთავაზებას შეთქმულთათვის.

ბოლოს მაინც ბედავს, მუხრანსკის მოკვლის განზრახვა წააქეზებს საამისოდ, და მაშინაა, ყველას გასაოგნებლად რომ წამოისვრის ძმის სახელს ასეთ ულმობელ კონტექსტში.

დასარწმუნებელ საბუთსაც მოიხმობს და სისხლიანი აქტის აღმსრულებელსაც დაასახელებს:

– ისეთი პირები თავიდან უნდა მოვიშოროთ, როგორც, მაგალითად, ჩემი ძმაა. აჯანყების დროს ისინი უთუოდ გაჰკიცხავენ ხალხს და თავიანთი მხოლოდ სიტყვით შეუძლიანთ ჩააქრონ აჯანყება. მის საიქიოს გასტუმრებას მე ვკისრულობ.

ასე ავსებს ერთმანეთს ზაალ ავთანდილაშვილისა და დიმიტრი ყიფიანის ჩვენებანი.

იასეს მოტივაცია და მკვლელობის აღება საკუთარ თავზე დიმიტრი ყიფიანის ჩვენებიდანაა ამოწერილი. როდესაც ჩაეკითხებიან, იასე ფალავანდიშვილთან ვახშამზე წამოყენებული იყო წინადადება თავად მუხრანსკის (გუბერნიის წინამძღოლისა) და გუბერნატორ ფალავანდიშვილის მოსპობის შესახებ, რასაც ზოგი დაეთანხმა და ზოგიც არაო, მსჯავრდებული პასუხობს: გუბერნიის წინამძღოლ თავად მუხრანსკის მოსპობა მე არ გამიგონია, მაგრამ გუბერნატორ ფალავანდიშვილზე კი გავიგონე თვით მისი ძმისაგანო.

და სწორედ იმ სიტყვებს გაიხსენებს.

მაშ – მე ვკისრულობო...

ეს იმიტომ, რომ წინასწარვე გრძნობს იასე, ვერავის დაიყაბულებს ხელის აღსამართად. და ასეც მოხდება – გუბერნატორის მოკვლას არავინ დათანხმდება, დიმიტრი ერისთავის გარდა. არამცთუ ვინმემ აიღოს თავის თავზე, იასესაც არ მოუწონებენ განზრახვას.

ისე როგორი სათქმელია – ძმა ძმის სისხლის დაღვრას დაჟინებით მიელტვის და ისეთ მოტივს ასახელებს, ლამის ყველა დააჯეროს, უამისოდ ვერაფერს მივაღწევთ და დაე აღსრულდეს, მითუმეტეს, ძმა თვითონ ივალებს ამ განზრახვის აღსრულებასო.

პილატეს როლისათვის შეურჩევია თანამზრახველნი იასეს, მაგრამ საამისოდ არავინ იმეტებს თავს.

არ ირწმუნებენ მის მოტივსაც – მარტო სიტყვითაც შეუძლია ჩააქროს აჯანყებაო.

თუკი მართლა ასე იქნებოდა, ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ჩამოუცილებლად აზრი არა ჰქონია ამბოხების ბაირაღის აფრიალებას და ეგაა.

ასე იოლად ვერ ჩააქრობდა, რასაკვირველია, მაგრამ დიდი გავლენა რომ აქვს საზოგადოებაზე, ესეც თვალნათლივია და... ფინანსთა მინისტრად ამიტომაც შეიგულებდნენ.

ელიზბარ ერისთავი მომავალ მთავრობაში ხედავს ამჟამინდელ გუბერნატორს.

იასე ფალავანდიშვილი – შავ მიწას ამოფარებულს.

ან... ან იქნებ მზაკვრული ხერხია ამგვარი მოთხოვნა. კარგად იცის, ვერავის დაითანხმებს და მხოლოდ იმიტომ მრისხანებს, თვალი აუხვიოს შეთქმულებს: აი, როგორი ერთგული ვარ ჩვენი ორგანიზაციისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის რა დაუმცხრალი მაძიებელი, რომ ძმაც არ მენანება, ოღონდაც აჯანყებას რაიმე საფრთხე არ დაემუქროსო.

ბოლოსდაბოლოს, გამცემი გადმოისვრის ამ ულმობელ ფრაზას: ძმის საიქიოს გასტუმრებას მე ვკისრულობო, – და მის გულწრფელობას როგორ შეიძლება ენდო!..

თუმც იქნებ პირადი მოტივი სურს ამოაფაროს ვითომდა საზოგადოებრივ სწრაფვას?..

მისი გამცემობა – ერთი ვერსიით – სწორედ ძმას დაბრალდებოდა.

ალექსანდრე ორბელიანისაგან დაედებოდა დასაბამი ამ ვერსიას: ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა დაგვღუპაო, – ირწმუნება მემუარულ ჩანაწერებში.

ამასვე იმეორებს იონა მეუნარგიაც: განზრახვა საქართველოს გამოცხადებისა თავისუფალ სახელმწიფოდ შეიტყო ტფილისის გუბერნატორის ძმამ, ეს საიდუმლო შეატყობინა გუბერნატორს, იმან კი მთავარმართებელ როზენს.

– როზენმა ზარები დარეკა. იმას წარმოუდგა, რომ ეს არის გაწყდა რუსები კავკასიაშიო და ერთ ღამეს ყველა ეს ყმაწვილკაცები დააჭერინა. რუსების სიყვარულის გარდა მის განკარგულებას ცოტა დამსახურების ბეჭედიც აჩნდა: აქაო და საქართველო მეორეჯერ მოვაგებინე რუსეთსო.

მაშ ეს დამსახურება ნიკოლოზ ფალავანდიშვილსაც უნდა გაენაწილებინა – საქართველო რუსეთს მეორედ მოვაგებინეო.

გიორგი გოზალიშვილი შეთქმულების გამცემლობის გარემოებებს რომ ჩაუღრმავდებოდა, უმთავრესად ალექსანდრე ორბელიანის მოგონებათა იმ პასაჟს დაეყრდნობოდა და საგანგებოდ გადასინჯავდა მაშინდელ საგუბერნიო არქივს, იქნებ ამ თვალსაზრისის დამადასტურებელი დოკუმენტი ვიპოვნოო... ეძებდა, ეძებდა და, დოკუმენტს თუ ვერ აღმოაჩენდა, ამას განბილებად სულაც არ მიიღებდა. მერე რა, რომ კვალი ხელშესახებად არ მოჩანდა, მაინც ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ირგვლივ იყრიდა თავს ეჭვები და მკვლევარი იასე ფალავანდიშვილის იმ ჩვენებას

ჩაეჭიდებოდა: 8 დეკემბერს ალექსანდრე ჭავჭავაძე იმყოფებოდა ჩემს ძმასთან და ცალკე ოთახში ჩაკეტილნი ორ საათს ლაპარაკობდნენო.

გამცემმა არ უწყოდა საუბრის შინაარსი და ნიშანდობლივად ამიტომაც ვერაფერს ამბობდა, მაგრამ გიორგი გოზალიშვილი წარმოსახვას შეაშველებდა: შესაძლებელია ალექსანდრე ჭავჭავაძემ – შეთქმულთა დავალებით – გუბერნატორ ფალავანდიშვილს დღედღეზე აღსასრულებელი აჯანყების ამბავი გაანდო მისი მიმხრობის მიზნით, რამაც სწორედ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო; შეთქმულების გამჟღავნების მოსალოდნელობით ისედაც შეშინებული იასე ადვილად აიძულა ძმამ, რათა მოღალატის როლში გამოსულიყოო..

ეს ვერსია მიხეილ ჯავახიშვილის რომანშიც გადაინაცვლებს – „არსენა მარაბდელი“: ალექსანდრე ჭავჭავაძე შეთქმულებს მიუგზავნიათ გუბერნატორთან, რათა ისიც განდობილთა შორის იგულვონ და მომავალი მინისტრობისათვის შეამზადონ. და ალექსანდრე ყველაფერს რომ გადმოულაგებს სიყრმის მეგობარს და გამობრუნდება, ის სასწრაფოდ თავის ძმას იხმობს: შენ... შენ უნდა მომკლა? შენ უნდა გაჰყარო აქედან რუსის ჯარი? შენ უნდა დაამარცხო ქვეყნის მძლე იმპერატორიო?

იასე წახდება და ალუღლუღდება, გუბერნატორი კი სულ დააჩიავებს და ჩვრად აქცევს იმ ამბის შეტყობინებით: მთელმა ბორჩალომ იცის, რომ რამდენიმე დღეში აჯანყებამ უნდა იფეთქოს, პოლკოვნიკ არლოვსაც მალე ეცოდინება მოყურადეთა მეშვეობით და იმას უნდა დაასწრო მოენეობა და გენერალ ვოლხოვსკისთან მიხვიდე, მეც გამოგყვებიო.

იქ ნიკოლოზი უნდა დაწინაურდეს და შტაბის გამგის წინაშე თხოვნად დაიღვაროს: მე და ჩემს ძმას იმპერატორისადმი ერთგულებამ და სამშობლოს სიყვარულმა გაგვაბედინა თქვენი უდროო შეწუხება. ჩემს ძმას უდიდესი და უპატიებელი ცოდვა ჩაუდენია და სურს წრფელი გულით მოინანიოს. მეც დავეხმარე, შევაგნებინე და მოგიყვანეთ. დანარჩენს თვითონ იგი მოგახსენებთ, რომელიც, ღმერთმა დამსაჯა, რომ ძმად მარგუნა. გარეთ იცდის და ახლავე გეახლებათო.

ოთახიდან რომ გამოვა და კედელთან ატუზულ იასეს ეტყვის: ყველაფერი მზად არის, გენერალი გიცდის და შედიო, – ის გასაქცევად უნდა მოსხლტეს:

– არ შემიძლიან! ვერ შევალ!

მაგრამ ნიკოლოზმა ხელი უნდა სტაცოს და მიატრიალოს: რამ გაგაგიჟა, შედი! შედი მეთქი! ხომ არ შეგჭამს! სირცხვილია! – და გაბრაზებას ხელის კვრაც მიაყოლოს.

– ნიკო, რას მიშვრები? ძმა ხარ და შემიბრალე, – განწირულივით უნდა შეღაღადოს იასემ.

შემდეგ კი:

„სალახმა არ შეიბრალა და ღვიძლი ძმა დასაკლავი ხარივით შეუგდო გენერალს. შეუგდო და რომის იმ სენატორივით გამოვიდა გარეთ, ვინც ეს არის ახლა უმძიმესი და უზენაესი ვალი მოიხადა ცეზარისა და სამშობლოს წინაშე.

გამოვიდა და ერთი წუთით რომაული ტოგას მაგიერ ოქრომკედით მოქარგული რუსული სენატორის მუნდირი მოელანდა.

იქ კი, შიგნით, გენერლის წინაშე მისი ღვიძლი ძმა შეტორტმანდა, გულწასულივით დაეშვა სკამზე და კაეშნით სავსე თვალები იატაკს ჩააბჯინა.

– აბა, დავიწყოთ. – ინება ბოლოს გენერალმა.

და, შეთქმულთა მეთაურმაც დაიწყო – ხრინწით, სლოკინით, ბორძიკით და კნავილით დაიწყო".

და მიყუჩებული შტაბი კიდეც უნდა გამოცოცხლდეს ერთ საათში და შუაღამისას ისე აიბურძნოს, თითქოს ომი დაწყებულიყოს...

გასაცოდავებული იასეს შემყურე მკითხველი შებრალებით, ცხადია, ვერ შეიბრალებს ამხელა ცოდვისკითხვის დამტრიალებელს, მაგრამ მწერლის მიერ წარმოსახული სურათი დაბეჯითებით ირწმუნება: ძმა რომ არა, შიშისაგან თავგზააბნეულ იასეს შესაძლოა მაინც არ ჩაედინა ეს საზარელი გამცემობაო.

ნიკოლოზ ფალავანდიშვილს – რომანის მიხედვით – კიდევ უფრო დიდი დანაშაული აწევს კისრად.

ერთი ძმა – ლამის შეთქმულების მეთაურთაგანი.

მეორე – მომავალი მთავრობის ერთ-ერთი საჭეთმპყრობელი.

არადა, შეთქმულთა ბედისწერა იმათ განსაზღვრეს ასე უღმერთოდ.

გუბერნატორს რა დაეფიცება, მაგრამ მაქსიმე ბერძენიშვილი სხვა ვერსიას დაადგებოდა და ნიკოლოზ ფალავანდიშვილის დახსნას შეეცდებოდა ბრალეულობისაგან – საგამოძიებო მასალის ანალიზი განსხვავებული დასკვნის გამოტანას გვავალებსო.

ეყრდნობა ანტონ აფხაზის ჩვენების იმ პასაჟს: ვინ იცოდა, რომ იესე თავის ღვიძლ ძმას დაუმალავდა ამ ამბავს და ამით მისი მტერი შეიქმნებოდაო, – და თავის მხრივ დასძენს: იასე ძმის მტერი იმით შეიქმნა, რომ შეთქმულების ამბავი აცნობა არა ნიკოლოზს – სამოქალაქო გუბერნატორს, არამედ სამხედრო შტაბსო.

ეყრდნობა თვითონ იასეს ჩვენებებს:

– ზოგჯერ თვე ისე გავიდოდა, ძმას სრულიად არა ვხედავდიო.

– მე ძმა ისე მექცეოდა, რომ არ შემეძლო მისთვის რამე მომეხსენებინა ან მეთხოვაო.

კომისიის წინაშე თავის მართლებას რომ მოჰყვებოდა, უფრო ადრე რატომ არ გაემჟღავნებინა შეთქმულების არსებობა, მთავარმართებლის აქ არყოფნას გადააბრალებდა: სხვას აქ ვერავის ვენდობოდიო.

თვით „ღრანჟდანსკი გუბერნატორსაც“ კი:

– ამიტომ არ გამოუცხადე, რომ იმ ჩემს ჩვენებაში ურევნია იმისთანა გვამნი, რომ არიან ამისი დიდი მეგობარი და იმათგანიცა (ლუარსაბ ორბელიანი) იყო სიმამრი და ვშიშობდი, რომ არ მივეცე პასუხისმგებლობაში, ვითარცა არა ერთგზის ვარ მისგან უბედურად დაშთენილი.

ამ სტრიქონებიდან დაბეჯითებით ირკვევა, რომ იასე გაურბის ძმას, რათა სიტყვაც არ წამოცდეს, თორემ იგი უსათუოდ უმფარველებს თავის სიმამრსაც და გულითად მეგობართაც, იმათ არ გაიმეტებს და, სამაგიეროდ, იასეს არ აპატიებს.

მაშ ნიკოლოზი სახიფათო არა ყოფილან შეთქმულთათვის და არც ძალის დამტანებელი უნდა იყოს, გინდა თუ არა, საიდუმლო ორგანიზაციის არსებობა უნდა გამჟღავნდესო.

მკვლევარი დამატებით კიდევ ერთ საბუთს მოიყვანდა.

ტფილისელი მოქალაქე გიორგი ამირაღოვი იუწყებოდა: დასმენამდე ექვსი დღით ადრე ვნახე იასე ფალავანდიშვილი, რომელიც ქაღალდს ადგენდა ექვს ფურცელზე და მითხრა: თავადებს შორის შეთქმულება მზადდება და ვაპირებ მთავრობას შევატყობინოო.

ამ ჩვენებისათვის იასეს მიუწერია:

„... ჩემი „დონოსის“ შესახებ ამირაღოვთან ვილაპარაკე არა ექვსი დღით ადრე, არამედ ორი კვირით ადრე“.

ძალიან სასახელო საქმე აქვს ჩადენილი და ზედმიწევნით თუ არ დაზუსტდა, შთამომავლობას რა ეშველება. ხომ შეუმცდარად უნდა ვიცოდეთ, ექვსი დღეა თუ ორი კვირა.

ასეა თუ ისე, იასე საგულდაგულოდ თუ ემზადება, ვინმეს ძალდატანება რიღასთვის სჭირდებოდა?!.

* * *

შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად იაგორ ჭილაშვილს რომ შეარჩევდა, ეს გადაწყვეტილებაც, ცხადია, სხვა შეთქმულებთან შეეთანხმებინა და ფარული ორგანიზაციის მთავარი ბირთვი იზიარებდა ამ არჩევანს, მაგრამ ნეტა ის რატომ უნდა მომხდარიყო, რომ დიმიტრი ერისთავს იაგორ ჭილაშვილის მოკვლაც კი მოეთხოვა? თანაც – ელიზბარის თანდასწრებით.

ერთ ძმას ქვეყნის მომავალ მმართველობაში ესახება, თან რაღაც უცნაურად გაერთიანებული სამინისტრო – შინაგან საქმეთა და განათლების.

ხოლო მეორე ძმას მისი მოკვლის გარეშე ვერ წარმოუდგენია შეთქმულების წინსვლა.

ვახტანგ ბატონიშვილს გაეზარდა იაგორი, ჭილაშვილებს გაეზარდათ უფლისწული და ერეკლე მეორის ვაჟს კი სანაცვლოდ ერთ-ერთი წევრი აღეზარდა ამ დიდი და გავლენიანი ოჯახისა.

არც ისაა შემთხვევითი, რომ გაბრიელ ყაზბეგიც მოვალედ მიიჩნევდა თავს, ეზრუნა ამ ყმაწვილის ბედზე. სულ უფრო აღზევდებოდა სტეფანწმინდის მებატონე და დარიალს აქეთ კი აღარ იკმარებდა ძალაუფლებას, კავკასიონის ქედს გადაღმაც აღიარებდნენ მის ძლიერებას და დაახლოების გზებსაც მონდომებით ეძიებდნენ. დუდარუკ ახმედის ოჯახიც მზად იყო კიდევ უფრო განმტკიცებულიყო მათ შორის გაბმული ძაფები, გაბრიელ ყაზბეგიც მოსურნე გახლდათ ამ სიახლოვისა და ამიტომაც ჩაერეოდა ასეთი მონდომებით, დუდარუკის შვილიშვილი დანიშნულიყო იაგორ ჭილაშვილზე, ვინც რუსეთს გამგზავრებულიყო წარჩინებას მოიპოვებდა და უშინაგანესი მინისტრის მდივნობასაც გამოჰკრავდა ხელს, მინისტრისა, ვინც მის დაბინავებაზეც იზრუნებდა და თვითონვე შეურჩევდა სარძლოს.

მამამისი – გლახა ჭილაშვილი – ტფილისში მოიწერებოდა, იაგორს დიდად არა სურდა ეს ქორწინება, მაგრამ მინსტრს უარი ვერ შეჰკადრაო. გაბრიელ ყაზბეგს კი შეატყობინებდა: იაგორი აქ სამსახურში შევიდა და საქართველოში წამოსვლა უგვიანდება, თაუსულთანს გამოუცხადე, რომ ემჯობინება, თუ მაგ ქალს გაათხო-

ვებს, მაგრამ მასთან დამოყვრება მწადია და, თუ სხვა ქალიც ჰყავს, ჩემს მეორე ვაჟს შევრთავო.

იქნებ ასე დეტალურადაც არ გავყოლოდით მის ბიოგრაფიას, ერთი მხრივ, ასეთ წინააღმდეგობას რომ არ იწვევდეს მისი პიროვნება შეთქმულთა შორის, მეორე მხრივ კი... დიმიტრი ყიფიანის სიმამრი არ შეიქნას.

მართალია, ამ ქორწინებას ვერ მოესწრებოდა და დიმიტრის არც მიეცემოდა საშუალება პირადად გაეცნო თავისი სიმამრი, მაგრამ ჭილაშვილთა გარემოში ჩინებულად იგრძნობდა თავს და შეეთვისებოდა მეუღლის ნათესაობას, რომელნიც, გარდა თვალსაჩინო გავლენისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურულ კერასაც ქმნიდნენ დუშეთის არემარეზე და ამიტომაც მიუხაროდა ამ ოჯახისაკენ ყველას, ვისაც ქვეყნისათვის ერჩოდა გული.

ეს შინაგანი მუხტი აღავსებდა ჭილაშვილებს და, რასაკვირველია, იაგორსაც, ვისაც – ცხოვრებამ ისე მოიტანა – რუსული ენა უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე მშობლიური და ამიტომ ნარკვევებსაც რუსულად შეადგენდა და თარგმნითაც ფრანგულიდან ამ ენაზე თარგმნიდა.

მასონთა ლოჟაშიც ამოჰყოფდა თავს – „მომაკვდავ სფინქსში“, რაკიღა ამ ლოჟის ხელმძღვანელი მის მეუღლეს ნათესავად ერგებოდა, და თანმიმდევრულად გაივლიდა ყველა საფეხურს – მონაფისას, ამხანაგისას, ოსტატისას, რიტორისას და მეთვალყურისას.

მხოლოდ სახელმწიფო სამსახურს აირჩევდა ასპარეზად და 1821 წლიდან ხან საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორია, ხან იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის პირველი ექსპედიციის ექსპედიტორი, ხან ტფილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველი და ხანაც მთავარმართებლის განსაკუთრებულ დავალებათა აღმასრულებელი ჩინოვნიკი. მისი ბიოგრაფიის აღდგენისას აღნიშნავენ იმ დეტალებსაც და ბარემ ჩვენი თხრობისასაც გავიმეოროთ: ვახტანგის კანონთა შემსწავლელი და მთარგმნელი კომისიის წევრიც იყო და მუსულმანური პროვინციების მომწყობი კომიტეტისა, ამ კომიტეტის საქმეთა მმართველიც და 1831 წელს სტატსკი სოვეტნიკის ჩინსაც უბოძებდნენ.

1831-32 წლებში პეტერბურგში იმყოფება და ისეა გაბმული ათასგვარ შეხვედრებში, მეუღლესთან ბარათიც ვერ მოუწერია.

სრულიად არაფერი ჩანს დამადასტურებელი, რომ ფარულ ორგანიზაციასთან საერთო ჰქონდეს და ან აჯანყების იდეას იზიარებ-

დეს, ანდა თვითონაც შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად ეოცნებებოდეს თავი.

მასთან მოლაპარაკება-შეთანხმებას ელიზბარ ერისთავიც და სხვა შეთქმულნიც ჯერ ნაადრევად მიიჩნევდნენ. იქნებ არ ეიმედებოდათ, რომ სასტიკად არ შეეწინააღმდეგებოდა მათ განზრახვას? საგამოძიებო ოქმებიდან ისე იგრძნობა, რომ განზრახვა ჯერ არც გაუნდვიათ და ამზადებენ ამ მოლაპარაკებას. თითქოს ალექსანდრე ჭავჭავაძეს სიტყვა უნდა გადაეკრას მისთვის... ასეა თუ ისე, თუ რუსულ მმართველობას დაამხობენ, მაშინ უკვე დაბეჯითებით სჯერათ, რომ ამ სამინისტროს უკეთ სხვა ვერავინ გაუძღვება და იმპერიის სამსახურში შეძენილი გამოცდილება იაგორ ჭილაშვილისა სახელმწიფოებრიობააღდგენილ საქართველოს ძალიან წაადგება.

მოსაკლავიაო, ნეტა რატომ ატყდებოდა დიმიტრი ერისთავი?

რა შეეტყო ამისთანა, რომ მხოლოდ თავის ძმას კი არ გაუზიარებდა გულში შეპარულ ეჭვს, თეკლა ბატონიშვილს ბაღში ყოფნისას – 1832 წლის ზაფხულში – სხვათა დარწმუნებასაც შეეცდებოდა: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებისაც, დიმიტრი ყიფიანისაც და ზაალ ავთანდილაშვილისაც. საუბარი გაემართათ, რა ვუყოთ იმათ, ვინც ჩვენს განზრახვას არ დაეთანხმებაო, და დაიჟინებდა დიმიტრი ერისთავი: საჭიროა მოვსპოთ გენერალ-მაიორი თავადი მუხრანსკი და სტატსკი სოვეტნიკი ჭილაშვილიო.

იქნებ იმისმა წარმატებულმა კარიერამ აფიქრებინა, გვიმუხთლებს და მერე უკვე სახიფათოც შეიქნება მასთან დაპირისპირებაო?

ჩვენებებში არსად ჩანს, რომ ამ სიტყვებზე კამათი ამტყდარიყოს და დიმიტრის გადარწმუნება მოენდომებინათ.

არადა, გადის რამდენიმე თვე და იაგორ ჭილაშვილი მინისტრადაა ნავარაუდევი.

ნამიერი აფეთქება უნდა იყოს, რეალური საბუთი ვერაფერი მოუტანია თავისი ეჭვის დამადასტურებლად და ამიტომაც აღარ შეჰყვნენ ალბათ – თვითონვე მიხვდება, ამ ადამიანთა მოსპობის უგუნურებასო.

თვითონ გადაფიცავდა საგამოძიებო კომისიის წინაშე: არ მახსოვს რომ ამ პირებთან ერთად ვყოფილიყავ ბაღში და ერთხელ მეტად მე არ მილაპარაკნია ვინმეს სიკვდილზეო.

ის „ერთხელ“ რას გულისხმობდა, კომისია აღარ ჩაეძიებოდა.

ვერც ვახტანგ ორბელიანს დააცდენინებდნენ დიმიტრი ერისთავის გამამტყუნებელ სიტყვებს: არ მახსოვს ეს გარემოებაო.

მაშ დიმიტრი ყიფიანი რატომ ირწმუნებოდა, დიმიტრი ერისთავი ასე და ასე მოითხოვდა, თუ გენერალ-მაიორი მუხრანსკი და სტატსკი სოვეტნიკი ჭილაშვილი ჩვენს განზრახვას არ დაეთანხმებიანო?

არა, შეთხზვით რატომ შეთხზავდა, არარსებულ სიტყვებს რატომ დააბრალებდა...

ეგაა, ჰგონია, მაინც არ დაიმალება ის გაგულისება და იმ პირთა შესაძლო მოსპობის განზრახვა, თუნდ დაუფიქრებლადაც წამოსროლილი, და აღარ ღირს უარზე დადგომაო.

სრულიად არაფერი ჩანს დამადასტურებელიო...

და აქვე ზედმეტი არ იქნება გაგვეხსენებინა ერთი პასაჟი დიმიტრი ყიფიანის ჩვენებიდან, მისი მომავალი სიძისა:

– ჭილაშვილის მონაწილეობაზე ამ განზრახულებაში არავისგან არასოდეს არ გამიგონია იმის მეტი, რომ თეკლა ბატონიშვილის ბაღში პრაპორშჩიკი დიმიტრი ერისთავი ამბობდა, ის უნდა მოვსპოთ, რათა ჩვენი შეთქმულების დაუბრკოლებლივ შესრულება შევძლოთო.

მფარველადაც მოვლენია თავის მომავალ სიმამრს – ხომ ხედავ, როგორი ერთგული კაცი გყოლიათ, მისი არსებობაც კი ხელს უშლიდა აჯანყებულთა გეგმებსო.

თუმც მთავრობისათვის ამჯერად ისიც კმაროდა, შეთქმულნი მინისტრობას რომ უპირებდნენ.

საბუთს რომ ვერაფერს იგდებდნენ ხელთ ბრალდებისათვის, ამიტომ არ გამოკეტავდნენ ყაზარმაში, არც სახაზინო სახლში ალექსანდრე ჭავავაძესავით.

არც პატივს აჰყრიდნენ და გადასახლებაში არ გაუშვებდნენ.

მაგრამ მისი კარიერა აქ შეწყდებოდა. აღზევებას ვიღა ჩივის, ჩამოაქვეითებდნენ და ლენქორანში გადაიყვანდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ თითქოს გულს მოიბრუნებდნენ და ტფილისის სტატისტიკურ აღწერას დაავალებდნენ, მაგრამ დიდხანს აღარ დასცალდებოდა სიცოცხლე, რათა ბედის ეს ოდნავ, სულ ოდნავი გაღიმება სასიკეთო შემობრუნების წერტილად ქცეულიყო მის ცხოვრებაში.

იქ, ლენქორანში უნდა ეპოვნა განსასვენებელი თურმე.

რა საბედისწეროდ ჩაწერილიყო მისი სახელი საქართველოს მომავალი მინისტრთა კაბინეტის სიაში.

ეს სია საბედისწეროდ არ გადაქცევია არც კონსტანინე მუხრან-ბატონს, არც ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, არც – მეექვსე ადგილზე გამწესებულ – ვასილ ბებუთაშვილს.

აი, ალექსანდრე ჭავჭავაძეს თუ კიდევ უფრო მკაცრი სასჯელი ერგო, ვიდრე იაგორ ჭილაშვილს, რა გასაკვირია – იგი მონაწილე გახლდათ შეთქმულების და, როგორც უნდა დაეფარათ ორგანიზაციის სხვა წევრებს მისი როლი აჯანყების მზადებისას, ისე ვერ ჩაფარცხავდნენ, რომ სულ არაფერი შეხებოდა.

კიდევ კარგი, ხელშესახები დოკუმენტები ვერ მოეპოვებინა საგამოძიებო კომისიას – მამხილებელი და უტყუარი, თუმც საგულდაგულოდ გადასინჯავდნენ მის ყველა ქაღალდს და წინანდალშიც მიავლენდნენ სანდო ჯგუფს, მისი სახლის გასაჩხრეკად და ნავარაუდევ დოკუმენტთა აღმოსაჩენად. ვერ მოძებნიდნენ? თუნდ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებანიც შეთქმულებისა კმაროდა ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის სასჯელის შესაფარდებლად.

იაგორ ჭილაშვილს კი, ეტყობა, იმასთან უახლოესი მეგობრობა არ აპატიეს, ისე როგორ იქნებოდა, არა სცოდნოდა მაინც, რა მზადდებოდა და, თუ შემწეობა არ აღუთქვა მეამბოხეებს, ხელისუფლებას რატომ არ აცნობაო.

ეჭვქვეშ დგებოდა მისი ერთგულება იმპერატორის ტახტის წინაშე, და ეს ეჭვი იყო, მის ბედს რომ განსაზღვრავდა. ათვალწუნებულს კი თავისმართლების საშუალებასაც არ მისცემდნენ.

ხოლო ალექსანდრე ჭავჭავაძეს...

თუმც ნუ ვიჩქარებთ, ჯერ ნაოცნებარი მინისტრთა კაბინეტის მეექვსე წევრის ვინაობასაც მივადევნოთ თვალი, ვისმა სახელმაც გაელვებით უკვე გაიელვა.

* * *

საგარეო საქმეთა მინისტრობა გენერალ ბებუთაშვილს უნდა მინდობოდა.

სხვა ვინ – ვასილ ბებუთაშვილი უნდა იგულისხმებოდეს, ინფანტერიის გენერალი, რადგანაც სხვა გენერალი ბებუთაშვილი არავინ მოჩანს მაშინდელ რეალობაში. პეტერბურგის I კადეტთა კორპუსში აღიზრდებოდა, ოღონდ – განსხვავებით ელიზბარ ერის-

თავისაგან – იმპერიის ერთგულებას ამჯობინებდა მისგან თავდაღწევისათვის ბრძოლას.

ისე ყოველნაირ ბრძოლაში მონაწილეობდა და დიდი წარმატებითაც, გარდა რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებისა, და მთავარმართებელთან რომ დაიწყებდა სამსახურს 1809 წელს, მისთვის ეს დროებითი თავშესაფარი კი არ გახლდათ, არამედ არჩევანი. ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგაც გამოვიდოდა ბრძოლის ველზე და ერმოლოვიც თან იახლებდა სპარსეთში ელჩობისას. 1825 წელს იმერეთის მმართველად დაინიშნებოდა, სამი წლის შემდეგ კი პასკევიჩის მხარდამხარ მონაწილეობდა ახალციხის აღებაში, და მის მმართველად მთავარმართებელი სწორედ ვასილ ბებუთაშვილს დაადგენდა.

1832 წლის შეთქმულების ჟამს ისევ იქაურობას განაგებს.

იმპერიის ერთგული და მისთვის თავგადადებული კაცი შემოგვყურებს ბიოგრაფიულ ცნობათა მიღმიდან.

იქნებ შემდგომ შეიცვალა მრწამსი და საქართველოს ჭირვარამი იქცა მისი ბედისწერის შინაარსად?

ასეთი არაფერი მომხდარა, მის მსოფლმხედველობას ოდნავი ცვლილებაც არ განუცდია და 1843 წელს უკვე გენერლად აღზევებული უსარდლებდა დაღესტნის ლაშქრობას, მალე ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს უფროსი და თავმჯდომარე შეიქნებოდა. ყირიმის ომშიც მიიღებდა მონაწილეობას და დიდ წილსაც დაიდებდა ბაშკადიკლარისა და ქურუმ-დარის გამარჯვებებში.

კი მაგრამ, რისი ეიმედება ელიზბარ ერისთავს, მინისტრთა საავარაუდო კაბინეტის წევრად გენერალ ბებუთაშვილის გვარსაც რომ უკარნახებს გიორგი ერისთავს? იმპერიის ერთგულ კაცს ასე რა გადაასხვაფერებს და გააკეთილშობილებს, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მოახმაროს თავისი ძალ-ღონე?

რა და:

სხვა გზა აღარ დარჩება და, წესითა და კანონით, დიდი სიხარულითაც უნდა დათანხმდეს ასეთ შეთავაზებას. კი არ შეავიწროვებენ, ვის სამსახურში იდექი და ან რა პასუხი აგეო, არამედ მის დიდ ენერგიასა და გამოცდილებას, სამხედრო და ორგანიზაციულ ნიჭს სამშობლოსათვის მოახმარინებენ. ასპარეზს ვრცელს დაუტოვებენ და ვითომ რატომ არ უნდა შეიქნეს საქართველოს სახელმწიფოს საგარეო საქმეთა ღირსეული მინისტრი?

* * *

ხოლო ალექსანდრე ჭავჭავაძეს ტამბოვში გადასახლებას მიუსჯიდნენ.

ყაზარმობის მსხვერპლი ერქვა იმასაც, თუმც სხვა შეთქმულებს თავიდანვე გაარიდებდნენ და სახაზინო სახლში ამყოფებდნენ, ძველ ჰოსპიტლად წოდებულში, მკაცრ გუშაგთა მეთვალყურეობის ქვეშ.

თუმც დაბეჯითებით ჯერ ვერ გადაეწყვიტათ, ისიც შეიქნებოდა გასასამართლებელი თუ არა, და ორჭოფულად ამიტომაც მისწერდა ბარონი როზენი ჩერნიშოვს 1833 წლის 16 მარტს: სასამართლოს თავმჯდომარე აუცილებლად გენერალი ან გენერალ-ლეიტენანტი უნდა იყოს, თუკი გენერალ-მაიორი ალექსანდრე ჭავჭავაძე იქნება გასამართლებულიო.

აქვე დასძენდა: ამ სამსჯავროს უნდა მიეცეს უფლება, 1826 წლის მაგალითის მიხედვით (დეკაბრისტთა გასამართლებას იგულისხმებდა) განსაზღვროს თითეული დამნაშავის სასჯელი არა ჩვენი კანონების მთელი სისასტიკით, არამედ იმპერატორისათვის ჩვეული კეთილმოწყალების თანახმადო.

ოფიციალური დოკუმენტი ისე შედგებოდა, თითქოს მთავარმართებელი იჩენდა გულისხმიერებას და ის ავედრებდა ნიკოლოზ პირველს დამნაშავეებს, თუმც ყველაფერი უკვე გარიგებულიყო სამეფო კარზე და ბარონი როზენი ფარულ განკარგულებას აღასრულებდა ზუსტი თანმიმდევრობით.

მზაკვრული ჩანაფიქრი – შეწყალება მეამბოხეთა მორალური დაძაბუნებისათვის – დაიხსნიდა ალექსანდრე ჭავჭავაძესაც უფრო მკაცრი სასჯელისაგან და ისევ ტამბოვში ამოაყოფინებდა თავს.

არ ეშვებოდა ეს ქალაქი მის ბიოგრაფიას.

ლამის სამი ათეული წლის წინათაც აკი იქ გადაეტყორცნათ.

ისე გამოდიოდა, რომ ტამბოვიდან შემოედგა ფეხი ცხოვრებაში – და უკვე საეჭვოდ მიჩნეულს დიდი ენერგიისა და თავდადების გამოჩენა მოუხდებოდა,რათა ყოველგვარი ეჭვი გაქარწყლებულიყო და... ისევ ტამბოვიდან უნდა ეცადა ბედი. განა კვლავ ყმანვილი იყო მაშინდელივით?

ნუთუ პატიმრობით დაწყებული ცხოვრება პატიმრობითვე უნდა გაეთავებინა?

მაგრამ არა – ეს ხვედრი დიმიტრი ყიფიანმა უნდა გამოსცადოს მოგვიანებით და ამ სასტიკ ჩარჩოში მოექცეს მისი ბიოგრაფიული ქარგა. ალექსანდრე ჭავჭავაძე გადალახავდა ამ მიჯნას, გაარღვევდა, უფრო ზუსტად, გაარღვევინებდნენ ჩარჩოს მეორე კიდეს და შინ დაბრუნებაც ეღირსებოდა და კვლავ ხელისუფლების კარზე ტრიალიც.

ეჰ, ხელისუფალი თვითონ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინ ანებებდა.

მერე საგულდაგულოდ უნდა მიყრუებულიყო მთავრობის ის ფარული პროექტიც და ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობაც ანტიიმპერიულ შეთქმულებაშიც. და თვით იონა მეუნარგიაც, ყოველთვის მონდომებული სრული და მიუკერძოებელი ბიოგრაფიის შესაქმნელად, პოეტისა და გენერლის ცხოვრების ქრონიკის ნაცვლად მის მკრთალ აჩრდილს თუ მოაბამდა თავს.

მართალია, დასრულება არ დასცალდებოდა და ესკიზური მონახაზი მოგვიანებით გამოქვეყნდებოდა როგორც საარქივო მასალა, მაგრამ რაც ხელთ გვაქვს, აუცილებლად მოითხოვდა შეთქმულების ამბების წარმოსახვას, სრულყოფილად თუ ვერა, საამისო ცდა მაინც უნდა ყოფილიყო. იონა მეუნარგიას ყაიდის ბიოგრაფოსი სულაც ამ მოძრაობაში მონაწილეობას გადააქცევდა ბიოგრაფიული ქრონიკის მთავარ ღერძად, და ხიდს გასდებდა მთიულეთის აჯანყებასთან.

აქ კი რა ხდება – ამ აჯანყებაზე სიტყვაც არ გაიელვებს, და შეთქმულებასთან კავშირიც მეტად სათუო, დაუდასტურებელი მოჩანს.

გიორგი გოზალიშვილს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ბიოგრაფოსმა სცადა ალექსანდრე ჭავჭავაძის რეაბილიტაცია ხელისუფლების თვალში. ამისათვის კი აუცილებელი შეიქნა შეთქმულებაში მონაწილეობის რაც შეიძლება მიყრუება.

ნაგლეჯებად გადარჩენილ ქაღალდებსაც რომ დააკვირდებოდა გიორგი გოზალიშვილი, ბიოგრაფიაში შესატანად ნავარაუდევს, ამოიცნობდა: იონა მეუნარგიას თავდაპირველად იმ ამბების მიყრუება სულაც არ სდომებია და მასალებსაც საგანგებოდ აგროვებდაო.

მაგრამ ბოლოს მაინც სხვაგვარად აიკინძებოდა ბიოგრაფიული ესკიზი და ალექსანდრე ჭავჭავაძე ხელოვნურად მოწყდებოდა იმ ისტორიულ მოვლენას, რომელიც გამორჩეულ ნიშანსვეტად დარ-

ჩებოდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაშიც და დიდად დაამშვენებდა პოეტი-გენერლის ბიოგრაფიასაც. უიმისოდ კი ბიოგრაფიაც მჭლევდებოდა და ფერმკრთალდებოდა და ფსიქოლოგიური პორტრეტიც.

1837 წელს დაუბრუნდებოდა თავის ქვეყანას ალექსანდრე და ტფილისში სტუმრად წვეულ იმპერატორსაც შეხვდებოდა ერთ პარადზე. ნიკოლოზ პირველი თურმე მის თავგადასავალზე ჩამოუგდებდა სიტყვას. მერე სამხრეთ კავკასიაში ჭირი რომ გაჩნდებოდა, ალექსანდრეს მიავლენდნენ საპატრონებლად, ის კი ისე გულმხურვალედ ადგა თავს სნეულთ, ყველას ეგონა, თავი გაუმეტებია დასაავადებლადო. გადაურჩებოდა ჭირს, მთავარმართებლის რჩევის წევრობასაც მოიპოვებდა და... მხოლოდ ტრაგიკულად კი არა, აბსურდული სიკვდილითაც განეშორებოდა წუთისოფელს ჯან-ღონით სავსე და ძველებურად წარმატებული.

თითქოს ისეთიც რა – ქალი გამოდის შინიდან, გამოაქვს საპნიანი წყალი და ქუჩაზე გადაღვრის. ეს ის ქუჩაა, რომელსაც შემდგომ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელი დაერქმევა, უშუალოდ ადგილი კი – უკვე გოლოვინის პროსპექტს რომ უერთდება.

რა დასაზუსტებელია, სად დაიღვარა წყალი? აღმოჩნდება, რომ ყოფილა.

იქ, პროსპექტზე საპნიან წყალს არავინ ღვრის, ერთ ნაბიჯში კი უკვე არ ერიდებიან. არადა, ის ერთი ნაბიჯია, ბედისწერა სადაც ჩასაფრებულა და მსხვერპლს მოელის სულის კაწკაწით.

მსხვერპლიც ისე მოიჩქარის, თითქოს დათვლილი წუთებიც არ ენაღვლებოდეს. მთავარმართებელთან მიდის დღეობაზე ალექსანდრე ჭავჭავაძე, ისე როგორ იქნება, მიმლოცველთა შორის ისიც თუ არ წარდგა. ჯერ თითქოს ფეხს ითრევდა – წავიდე თუ არაო. ნეტა შინაგანი ხმა აფრთხილებდა თუ ცოლის დაჟინებული რჩევა სურდა, ვითომდა ჩემით გრაფ ვორონცოვთან წამსვლელი არც ვიყავიო? ასეა თუ ისე, დაჰყვებოდა მეუღლის რჩევას, მეეტლეს მშვენიერ ყარაბაღურ ცხენს შეაბმევინებდა „ადინაჩქაში“ და საპარადო მუნდირში გამოწყობილი ჩაბრძანდებოდა შიგ.

ახლა უკვე ააჩქარებს მეეტლეს, რათა დროულად წარუდგეს მთავარმართებელს. ეტლი ეშვება დაღმართზე, ცოტაც და გოლოვინის პროსპექტზე შეუხვევს, კიდევ ცოტაც და მთავარმართებლის სასახლის კიბესაც აივლის.

მაგრამ... ქალი გამოდის შინიდან.

და საპნიანი წყალიც მორიალდება ირგვლივ.

ბედისწერა უკვე ყალყზეა.

ოდნავ, სულ ოდნავ წინ რომ ყოფილიყო ეტლი, ალექსანდრე ვერც ვერაფერს გაიგებდა, მის ზურგს უკან წყალს გადაღვრიდნენ თუ სულაც ტბა გაჩნდებოდა. ახლა კი ყარაბაღული ბედაურიც ყალყს უნდა შედგეს და თავი წაართვას მეეტლეს. და ის, შეშინებული, ალექსანდრეს შემოსძახის:

– კნიაზო, მე ამის დაჭერა არ შემიძლია, თავს უშველე.

გენერალი შეეცდება მიეშველოს მეეტლეს და წამოიწევს, რათა აღვირს სწვდეს... მაგრამ მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა ბორბალში უნდა მოჰყვეს და ზედ დაეხვეს, დაეხვეს და ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოაგდოს, გადმოაგდოს და მაინცდამაინც თავით დასცეს.

ბედისწერა მიიპარება – თავისი საქმე აღასრულა და დაე ღამემდე გაატანოს სული ალექსანდრემ, გრძნობამიხდილს რომ შეიყვანენ შინ. სულისა და სხეულის გაყრის წინ კი გრაფმა ვორონცოვმაც მოინახულოს მეუღლესთან ერთად. და ეს დეტალი არაფრისდიდებით არ უნდა გამორჩეს ბიოგრაფოსს – თუკი 1832 წლის ამბებში მისი მონაწილეობის მიჩქმალვა ურჩევნია, სამაგიეროდ, ამისთანა ეპიზოდები უხვად უნდა ჩაერთოს.

ასე უცნაურად აღესრულებოდა კაცი, უპირველესად ვისაც უნდა დაყრდნობოდა მეფე ალექსანდრე დამოუკიდებელ საქართველოში.

და მიაცილებდა მის ნეშტს ტფილის-ქალაქი თავისი ამქრებითა და ბაირაღებით შუამთის მონასტრისაკენ.

სხვა ბიოგრაფოსის ხელში, უფრო სწორად, სხვაგვარ რეალობაში აქ ფილადელფოს კიკნაძის აჩრდილიც გამოჩნდებოდა, ძალდაუტანებლად შეერეოდა თხრობას და სულაც წარუძღვებოდა ჭირისუფალთ... მაგრამ ფარდამ უნდა დაფაროს მისი აჩრდილი, და მხოლოდ ამქართა ბაირაღებს მოვკრათ თვალი, არა საქართველოს სახელმწიფოსი.

* * *

რა უცნაურია, არა?

მინისტრთა კაბინეტი ხუთი წევრით განუსაზღვრავთ და ამ ხუთიდან სამი კაცის ირგვლივ ის სჯა-ბაასი გაუმართავთ, დავხოცოთ

თუ არაო!.. და მომავალი მმართველობის პროექტი რომ შემუშავდება, უკვე იმ არჩევანის წინაშე დგებიან, დავხოცოთ თუ გავამინისტროთო.

ბოლოს მაინც გამინისტრებისაკენ გადაიხრებიან.

ახსნით აიხსნება ამგვარი არჩევანისა და გადაწყვეტილების მოტივი, მაგრამ ამით უცნაურობა სულაც არა ქრება.

ეპოქის შინაარსსაც სწორედ ის გამოხატავს – დარღვეული, ათასგვარად აჭრილი, ქაოტურობაში მოქცეული ეპოქის, ჰეროიკული ჟამის მინურულის, მსოფლიო-ისტორიული მოვლენების შუაგულშიც გადანაცვლებული ეპოქის.

ტამბოვში მოელოდა გადასახლება ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

ლენქორანში გამწესდებოდა დაქვეითებული იაგორ ჭილაშვილი.

კონსტანტინე მუხრან-ბატონს, ნიკოლოზ ფალავანდიშვილსა და ვასილ ბებუთაშვილს რეპრესიები ოდნავადაც არ შეეხებოდათ, მათ პასუხს არავინ მოჰკითხავდა, თუ ჩვენთვის სანდონი ხართ, რატომ გგულისხმობდნენ მომავალ მინისტრებად და იუსტიციას, ფინანსებსა თუ საგარეო საქმეებს რატომ გავალებდნენ, თუნდაც წარმოსახვაშიო.

...არა, მაინც რა უცნაური ეპოქა იყო!..

თავი მეთერთმეტე

„პოლიაკები ბევრნი მოვლენ იმ ღამეს“

პოლონელები ძალიან გადაჯაჭვოდნენ ელიზბარის ბიოგრაფიას.

გიორგი ერისთავისასაც... მაგრამ ის პოლონეთში გადაესახლებინათ და, გინდა-არ გინდა, ენასაც შეითვისებდა, მათ ყოფაშიც უფრო ღრმად ჩაიხედავდა და კულტურასაც უფრო უკეთ შეისწავლიდა. ელიზბარს კი აგერ ფინეთში მოუწევდა სასჯელის გადატანა, და მაინც – პოლონელები წამდაუწუმ ამოჰყოფდნენ თავს მის ცხოვრებაში.

დატუსაღებამდე რომ დაახლოებოდა მათ და არტილერისტობასაც შეათვისებინებდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ეს კვალი მერეც არ გაწყდებოდა, სამშობლოს რომ დაუბრუნდებოდა. ისინი ქართველთაგან თუ ვინმეს აფასებდნენ გამორჩეულად, ერთ უპირველესთაგანს ელიზბარს, და, როდესაც იგი დაბეჯითებით განუცხადებდა ყველას: სახელმწიფო სამსახურში არაფრისდიდებით არ შევალო, – პოლონელები ძალიან გამოიდებდნენ თავს, განსაკუთრებით კი ტფილისის გუბერნატორი არლოვსკი.

„დიდი ჭკვიანი კაცი და მამიჩემის დიდი მეგობარი, ჩემი უფროსი და და უნცროსი ძმა იყვნენ მისი ნათლულები“ – ამ ლაკონურ დახასიათებაში მოაქცევდა მის პიროვნებას ელისაბედ ერისთავი, თუმც მთავარი ამ ცნობებით უკვე ნათქვამია და ისიც იოლი მისახვედრია, თუ რატომ დაიყოლიებდა პოლონელი გუბერნატორი სასჯელმოხდილ ქართველ თავადს: აუცილებელია რაიმე სახელმწიფო საქმეს მოეკიდო და ასე ემსახურო შენს ქვეყანას, თორემ სულ გაირიყებიო.

სამსახურის გამოძებნა ადვილი არ აღმოჩნდებოდა და ამიტომაც ვერ ფარავდა წუხილს ნიკოლოზ ბარათაშვილი: ელიზბარის

საქმეს ყოველთვის ნავსი სდევს, ჯერ კიდევ არ უქნია მაგისკენ პირი ბედსაო.

ასეა თუ ისე, განდეგილის ცხოვრებით აღარ აპირებდა ცხოვრებას, აღარ განაპირდებოდა და... ნავსსაც ეშველებოდა ბოლოს-დაბოლოს, ისე როგორ იქნებოდა, ბედს პირი მისკენაც არ ექნა.

შემთხვევითობა არც ის უნდა ყოფილიყო და ამასაც რაღაც შინაგანი კანონზომიერება უნდა განსაზღვრავდეს, რომ გადასახლებიდან შინ მიმავალი ელიზბარი პოლონელს გაეცნობოდა, გვარად ვეინოგოროცკის. გემში რომ უნდა ჩამსხდარიყვნენ, ამ ზვინოგოროცკისთან მივიდოდა ვიღაც პოლონელი დიდკაცი და სთხოვდა: არავის იცნობ სანდოს, რომ ეს ჩემოდანი და ფული გემზე შემიტანოს, თორემ მე ძალიან მაქცევენ ყურადღებასო!.. ეს ელიზბარზე მიუთითებდა: აქ ერთი ღირსეული ქართველი კაცია და იმას მივაბაროთო. და კიდეც რომ მიადგებოდნენ და ელიზბარი მაშინვე დათანხმდებოდა: ადვილი სამსახურიაო, – ცოტა ყოყმანი ზვინოგოროცკისაც შეეტყობოდა და ის დიდკაცი კიდევ უფრო შეფიქრიანდებოდა, უცხოსა და სასჯელმოხდილს ამხელა თანხას როგორ ვანდობო... მაგრამ სხვა გზაც რომ არ დარჩენოდა?.. და გემიდან რომ ჩამოვიდოდნენ და ელიზბარი იმ თავის გაძეძგილ ჩემოდანს დაუბრუნებდა, ზვინოგოროცკის თვალში რაღაც უჩვეულო არსებად დაისახებოდა.

და ელისაბედ ერისთავი:

– მას შემდეგ არასთუ მამიჩვენისა, ჩვენ, მისი შვილების დიდი ერთგული კაცი იყო და მამაჩემს ხომ თაყვანსა სცემდა.

ელიზბარი კი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რას აღეფრთოვანებინა ეს ახალშეძენილი პოლონელი მეგობარი: ბავშვი ხომ არ ვიყავი, ხელიდან გამვარდნოდა ჩემოდანი ან სადმე მიმეკარგაო.

ზვინოგოროცკი ერთხანს მოურავადაც დაუდგებოდა ელიზბარსა და მის ძმას დიმიტრის ღვარების მინის ქარხანაში.

ნავსი გამტყდარიყო.

შემობრუნებულიყო ბედი ამ ნატანჯი კაცისკენაც.

ბედი – არსებობის შესანარჩუნებლად, თორემ იმ ბედს ისევ ზურგი ექცია მისთვის, თავისუფალ ცხოვრებას რაც გულისხმობს თავისუფალ ქვეყანაში, იდეალი, რისი გულისთვისაც ოთხად განკვეთასაც არ შეუშინდებოდა.

ჯერ ისედაც რა დაეტოვებინა და რა დახვდებოდა:

– პოლიტიკურად დასნეულებული ეროვნული სხეული დასნეულდა ზნეობრივად და გონებრივადაც. ორმოციან წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნული ცხოვრებისა.

ერთი შეხედვით მართლაც მეტისმეტად მკაცრი შეიძლება მოგვეჩვენოს არჩილ ჯორჯაძის ეს შეფასება, მაგრამ თამაზ ჯოლოგუა მას სამწუხარო სიმართლედ მიიჩნევს, სავსებით სწორ და პირუთვნელ განსაზღვრებად, რადგანაც ქართველი საზოგადოება დენაციონალიზაციის რეალური საფრთხის წინაშე დამდგარა და თავადაზნაურობის ერთი ნაწილის ნებაყოფლობითი რუსიფიკაციის პროცესიც აქედან იწყება:

– ეს იყო ერთი უმძიმესი მონაკვეთთაგანი ჩვენი ისტორიისა, როცა საზოგადოება, როგორც ეროვნული იდეით შეკრული სოციალური ორგანიზმი, ფაქტობრივად აღარ არსებობდა.

ის გვიკვირდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ტალანტი ასე შეუმჩნეველი როგორ დარჩა. ვიწრო წრის იქით როგორ ვერ გააღწია მისმა სახელმაო.

არ გამოდის გაზეთი, ჟურნალი.

არ გამოდის წიგნი.

გზადაკარგულია საზოგადოება და ერთადერთ საშველს იმ სამოხელეო და სამხედრო კარიერაში ეძიებს, ნიკოლოზ პირველისაგან რომ ეწყალობებოდათ ეროვნული იდეალებისათვის ზურგის შექცევის სანაცვლოდ და იმპერატორის ეს წყალობა ღვთიური საჩუქარისაგან აღარც განერჩეოდათ.

გულგატეხილება და ქვეშევრდომული მორჩილება – ეს ორი განცდა მსჭვალავს ყველასა და ყველაფერს და ასეთ დროს ან ის რა გასაკვირია, რომ საზოგადოება სრული გულგრილობით შეხვდეს ისეთ დიდსა და ზოგადკულტურული მნიშვნელობის აქტს, როგორიც მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილისა და ზაქარია ფალავანდიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაა 1841 წელს.

ამ რეალიას თამაზ ჯოლოგუა დაიმოწმებს გულგრილობის თვალსაჩინოებისათვის და შედარებასაც მოიშველიებს მეტი სიმკვეთრისათვის: მეორე ნაბეჭდი გამოცემა 1712 წლის, ანუ ვახტანგ მეექვსის, შემდგომო.

იმ რეალიასაც: თვით ხელისუფლების მცდელობის მიუხედავადაც რომ ვერ მოხერხდა თბილისში საგუბერნიო ბიბლიოთეკის დაარსება, რადგანაც მთელს გუბერნიაში არ აღმოჩნდებოდა თუნდაც

რამდენიმე ათეული პირი, ვისაც ბიბლიოთეკით სარგებლობის სურვილი და მოთხოვნილება ექნებოდა.

ზურგს უკან ჯერაც ძალუმია 32-იანელთა მწარე ხვედრით გამოწვეული ვნებათაღელვა და ხელისუფლების მიერ თვალთვალის გამკაცრებაც ძალაუნებურად აქცევს ლიტერატურის და კულტურის ბედზე დაფიქრებულ ადამიანებს საეჭვო პირებად, მათ შეხვედრა-საუბრებს კი საეჭვო შეკრებებად.

დიმიტრი ყიფიანი არ შეეპუებოდა ამ პანიკური შიშით გაჟღენთილ გარემოს და, კერძო ბიბლიოთეკის შექმნას რომ განიზრახავდა – მისი საზოგადოებრივ ბიბლიოთეკად გარდაქმნის მიზნით, გათვალისწინებით, ცხადია, გაითვალისწინებდა მთავრობის მხრივ მოსალოდნელ რეაქციას და დამფუძნებელთა შორის სახელმწიფო ჩინოვნიკებსაც იგულისხმებდა. მოხელეთა გაწევრიანება და წამოწყების მოკრძალებული სახელწოდება მარჯვე საბურველი იქნებოდა იმ მიზნის შესაბურად, პოლიტიკური წინააღმდეგობის ძალას მოკლებულ რეალობაში კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობას ეტვირთა მისი მაგივრობა. სოლომონ დოდაშვილის მიერ წამოწყებული და ტრაგიკულად დასრულებული მოღვაწეობა ქვეყნის სულიერი გადარჩენისა და ხალხის მომზადებისათვის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღსადგენად, დიმიტრი ყიფიანის ხელით უნდა გაგრძელებულიყო და ერთგვარ ხიდადაც გამოსდგომოდა ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა იმ დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობას, წლების შემდგომ რომ გაიშლებოდა ჩვენს მიწა-წყალზე, თუმც სახელწოდებას ისიც მოკრძალებულს შეირჩევდა, რათა უშუალო საბაბი არ მიეცათ ხელისუფლებისათვის ამ მოძრაობის ჩასახშობად: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

დიმიტრი ყიფიანის მიერ შემუშავებული ხსნის პროგრამა ამ ბიბლიოთეკის შექმნით დაიწყებდა ამოქმედებას, და ყოფილი ყაზარმელი და ვოლოგდის ტუსაღი, ამჟამად კი მთავარმართებლის კანცელარიის განყოფილების უფროსი, ევგენი გოლოვინს სამსახურის საქმეს რომ მოახსენებდა, თავის სათხოვარსაც ამცნობდა: რამდენიმე ჩემი ტოლ-ამხანაგის სურვილია კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის დაარსება, თუკი თქვენი ნებაც იქნებაო.

მთავარმართებელი სახელმწიფოსათვის სახიფათოს ვერაფერს ამოიკითხავდა თავის ხელქვეითის თხოვნაში და თანხმობას რომ გამოუცხადებდა, დიმიტრი ყიფიანი მალევე წარუდგენდა

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტს და კიდეც მოიპოვებდა სანუკვარ ოფიციალურ დასტურს: „ვამტკიცებ. გოლოვინი“.

ისევ გვერდიგვერდ მოხვედრილიყვნენ ელიზბარ ერისთავი და დიმიტრი ყიფიანი.

პირველი ღამის განკარგულება და ქვეყნის კონსტიტუციურ-მონარქიული მოწყობის პროექტები ბიბლიოთეკის წესდებას შეეცვალა, და მათი რადიკალიზმიც დიპლომატიურობით შენაცვლებულიყო, კულტურისა და სულიერების გადარჩენისათვის მოღვაწეობად.

ის, რაც 1832 წლის ამბოხების მზადებისას ერთ-ერთი აუცილებელი რგოლი თუ ნაწილი გახლდათ, ახლა უკვე ერთადერთად გადაქცეულიყო და დამხობილი მთავარსარდალი გულმტკივნეულად დაჰყურებდა წესდების ფურცლებს – თან გასახარს, რაღაც გასაქანი კვლავაც რომ დაენარჩუნებინათ, თან წუხილის მომგვრელს, კერძო ბიბლიოთეკა რომ შერჩენოდათ ხელთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნაცვლად.

ტფილისში არ არსებობს საჯარო ბიბლიოთეკაო – 1842 წლის 22 სექტემბერს მთავარმართებლის მიერ ხელმოწერილი წესდების პრეამბულა იუწყებოდა – და ახალგაზრდა ქართველი თავადაზნაურები, რომელთაც მიღებული აქვთ სასკოლო განათლება, მოკლებულნი არიან საშუალებას, თვალი ადევნონ ვითარებას მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა სფეროებსა და სამამულო ლიტერატურაშიო.

ის დრო უჯობდათ, სულ სხვა გეგმა რომ გაშლილიყო მაგიდაზე და ყაზარმების, არსენალის, ჰაუპტვახტის, ხაზინისა და პურის მაღაზიის ხელში ჩაგდებას გაიაზრებდნენ დეტალურად და ყველა იერიშს თავთავის მეთაურს მიუჩენდნენ.

შენი გაგზავნა საით სჯობსო, – დიმიტრის უთანხმებდნენ შეთქმულნი და ისიც ყველგან ბრძოლისთვის იყო მზად, გინდ ყაზარმებს დაეცემოდა, გინდ არსენალს, გინდ... და ეამაყებოდა, პროკლამაციების შემდგენელთა შორის მასაც რომ დაასახელებდნენ...

ელიზბარი ხომ სულაც...

და ახლა:

ამ ხარვეზის გამოსასწორებლად ზოგიერთნი გამოთქვამენ მზადყოფნას, წიგნების გამოსანერად გაიღონ 30 მანეთი ვერცხლით და, ამგვარად, საკუთარი ხარჯით დააარსონ კერძო ბიბლი-

ოთეკა, რომელიც დროთა მანძილზე შესაძლებელია საზოგადოებრივ ბიბლიოთეკადაც გარდაიქმნასო.

ერთგვარად სექტანტური გაერთიანება მოძრაობად უნდა გარდაისახოს, თორემ მართლა ბიბლიოთეკის დაარსება ნდომებიათ და ეგაა.

თვითონ წესდებაც მიგვანიშნებს და, მით უფრო, დამფუძნებელთა პირადი მიმოწერა გვიდასტურებს, რომ გარდა უშუალო წიგნების ფონდის შექმნისა, ქართულ ხელნაწერთა მოძიებაც განეზრახათ, თავმოყრა, დაცვა, შესწავლა და გამოქვეყნება. და კიდევ: პერიოდული ორგანოს დაარსება. და კიდევ: მთარგმნელობითი და საკვლევაძიებო საქმიანობისათვის უკეთესი პირობების შექმნა. და კიდევ...

საგულისხმოა, რომ გაზეთის ან ჟურნალის გამოცემის იდეას არ ეშვებიან.

და თუმც პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ ელიზბარი ამჯერადაც ისევე იქნებოდა თავგამოდებული პერიოდული გამოცემის დასაარსებლად, როგორც თავის დროზე სოლომონ დოდაშვილსაც სწორედ იგი აგულიანებდა, ალექსანდრე ორბელიანთან ერთად, აჯანყებისათვის საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად გაზეთის ან ჟურნალის გარეშე არაფერი გამოგვივაო.

და როგორც სულ ცოტა ხანში ფართო პროგრამის ჟურნალის დაარსებასაც მოინდომებდა იმ თანამოაზრეებთან ერთად, რომელთა შორისაც გიორგი ერისთავიც იქნებოდა.

ჩაიშლებოდა ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის ჟურნალის გამოცემის განზრახვა?

ვერ დაგვირგვინდებოდა წარმატებით „სინათლის“ გამოცემისათვის ზრუნვა?

მიზანდასახული სწრაფვა თავის კეთილ ნაყოფს მაინც გამოიღებდა და ის „ცისკარი“, რომელიც 1852 წელს მოევლინება ქვეყანას გარდატეხის სიმბოლოდ, დიმიტრი ყიფიანის შუამდგომლობითა და გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით იხილავდა მზის სინათლეს.

ამ წამოწყებაში უშუალოდ უკვე აღარ ტრიალებს ელიზბარ ერისთავი, თავისი საქმე გასჩენია – მინის წარმოება – და იმას მისდევს ერთგულად, თუმც „ცისკრის“ დაბადებაში მის აჩრდილსაც თუ დავლანდავთ, მოჩვენება ნამდვილად არ იქნება.

1843 წლის საწევრო თანხას შეიტანდა ელიზბარი ბიბლიოთეკის ფონდში.

1844 წლის სიაში კი მის სახელს ვეღარ ვიპოვნით.

იგი უკვე გორშია და სამუდამოდაც უნდა ჩარჩეს იქ. თუმც თავისი ცხოვრების წესით დაამტკიცოს, რომ სულაც არ არის აუცილებელი დედაქალაქის საზოგადოებაში ტრიალი საქვეყნო საქმის აღსასრულებლად.

ამასობაში:

არამცთუ საქვეყნო მოძრაობად ვერ გაიშლებოდა ბიბლიოთეკის საქმიანობა, ცალკე კავკასიური ომი, ცალკე სხვადასხვა გარემოებანი თანდათან შემოაცლიდნენ წევრებს დიმიტრი ყიფიანს და – მისი დაჩივლებისა არ იყოს – 1848 წელს სრულიად მარტოდმარტო დატოვებდნენ.

მარცხით დასრულდებოდა ტფილისში კულტურულ-საგანმანათლებლო, სალიტერატურო და სამეცნიერო მძლავრი ცენტრის შექმნა?

მწირმა ნიადაგმა გადასძალა?

თუმც თამაზ ჯოლოგუას თქმისა არ იყოს:

ამ მწირ ნიადაგში მაინც ჩავარდა ის თესლი, რომელმაც ბოლოს მაინც სასიკეთო ნაყოფი წარმოშვა და ისიც ნიშანდობლივია, რომ მომდევნო ხანის დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ-კულტურულ წამოწყებათა სათავეებთანაც კვლავ დიმიტრი ყიფიანი აღმოჩნდებოდა.

... ისე ნუ გეგონებათ, რომ ელიზბარ ერისთავისა და დიმიტრი ყიფიანის გზები აქ გაიყრებოდა და შემდგომ მხოლოდ შემთხვევით თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ან ესეც არა... ერთხელ კიდევ უნდა გადაეჯაჭვოს მათი სახელები – საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკვეთრი ცვლილების ჟამს.

და ეს ცვლილება პირველმა გრიგოლ ორბელიანმა უნდა აღნიშნოს და... გამოიგლოვოს საქართველოს დაცემა, რადგანაც ასეთი რამე, რაც მაშინ მოხდება, მის თვალში სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ქვეყნის დაქცევა, და გაოგნებულიც მუაჩერდება თავის ძველ თანამზრახველებს – კაზარმობის ბედის მონაწილეთ: ნუთუ ვერ ხვდებით, რა დაგვმართნია, და თქვენ რატომ გგონიათ გამარჯვებული თავიო.

ელდარ მამისთვალიშვილი გორის ისტორიის კვლევას აგრძელებდა კარგა ხანია და უამრავი მასალა ამ ქალაქის საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების წარმოსაჩენად ბოლოს ორტომეულად შეიკვროდა. მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი

ეს წიგნები, უპირველესად მაინც სურათის სისრულით, ზოგადი იერიც თვალსაჩინოდ რომ იკვეთებოდა და მიჩქმალული, უცნობი რეალიებიც უხვად ამოდიოდა მზის სინათლეზე. მეცნიერთა ნაშრომების გარდა თვითონ არქივებიც გულდასმით ეჩხრიკა და ახალი მასალები ამიტომაც შემოჰქონდა საზოგადოებრივ-სალიტერატურო მიმოქცევაში. გული მაინც ვერ შეეჯერებინა, ისევ მიუბრუნდებოდა, კიდევ უფრო შევსებასა და დაზუსტებასაც მოინდომებდა, რათა ხელახალი გამოცემისას კვლავ შეტყობოდა მკვლევარის ხელი.

ელიზბარ ერისთავის პიროვნება და ღვაწლიც ძალდაუტანებლად ჩაერთვოდა თხრობაში.

უიმისოდ, აბა, რაღა გორის ისტორია იქნებოდა.

მკვლევარი გამოაცალკევებდა კიდეც ამ თავს, რათა დამოუკიდებლადაც გამოქვეყნებულიყო და, როგორი ბუნებრიობითაც მორგებოდა ორტომეულს, ისევე მარჯვედ მისადაგებოდა 1832 წლის შეთქმულებისა და მის მონაწილეთა კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოჩენისთვის წამოწყებულ კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობას.

ელიზბარის სახელი, როგორც პოლიტიკოსისა თუ ეროვნული მეამბოხის, ასე თუ ისე, ცნობილი გახლდათ, მაგრამ მისი სამრეწველო საქმიანობა?

ეს უკვე მიკარგულიყო და დავიწყების ისეთი მტვერი წაყროდა, გადასახლებიდან დაბრუნების შემდგომ მისი კვალი აღარსად მოჩანდა.

იდუმალებაში შთანთქმულიყო.

ბელეტრისტულ ქმნილებას იქნებ კიდეც უხდებოდეს ასეთი გაიდუმალება, გმირის კვალის გაქრობა და შთამომავლობის თავისმტვრევა, ასე მაინც როგორ გაუჩინარდაო, მაგრამ ხილული სინამდვილე ლიტერატურის ის ნაირსახეობაა, რომელსაც გინდა ბოლომდე გამოწურო პიროვნებათა ბედი, აამეტყველო ყველა ხელჩასაჭიდი დეტალი და, ყველაფერი თუ ვერა, ზოგიერთი რამ მაინც წამოაცდენინო.

ცოტნე დადიანის შემდგომ ბედზე დუმდა საისტორიო მატიანე და ვერც ვერაფერს მოვჭიდებოდით.

მაგრამ XIX საუკუნის გმირი რატომ უნდა გამქრალიყო ისევე, როგორც XIII საუკუნისა?!

ძიება არაერთ რეალიას გაათვალსაჩინოებდა და მრეწველის ისეთი პორტრეტი წარმოისახებოდა, დამოუკიდებელი მნიშვნელო-

ბაც რომ მიენიჭებოდა, სწორედაც დამოუკიდებელი, თორემ მკრთალიც რომ ყოფილიყო და ელიზბარის პოლიტიკური ღვაწლის ერთგვარი დანამატიც, დამაფიქრებელი და გასათვალისწინებელი მაშინაც იქნებოდა შთამომავლობისათვის.

ახლა კი ლამის ორი ელიზბარი მოჩანს:

გადასახლებამდე – პოლიტიკოსი.

გადასახლების შემდგომ – მრეწველი.

და როგორც პოლიტიკოსის ღვაწლი არ გამოიტოვება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, ისე მრეწველობა – ეკონომიკის ისტორიაში.

თვითონვე განსაჯეთ:

40-იანი წლების დამდეგს – 41 წელი იყო თუ 42 მკვლევარი ნიშანდობლივ ვერ დააზუსტებდა – ელიზბარი თავის ძმასთან – დიმიტრისთან – ერთად ატენის ხეობის სოფელ ღვარებში მინის ქარხანას გამართავდა.

ძმებს ოჯახშიც სმენოდათ სიყმაწვილიდანვე და სხვანიც დაუდასტურებდნენ, ამ სოფელში თქვენი წინაპრები ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აწარმოებდნენ მინასო.

ყმაწვილური ფანტაზია და ოცნება აიყოლიებდათ, ოდესმე აღვადგენთ ჩვენს წინაპართა წამოწყებასო.

წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაბმა და მკაცრი განაჩენი ამ განზრახვას შორს გადაადებინებდათ.

თუმცა უკვე ყავლი გასვლოდა განაჩენსაც და, რაკიღა პოლიტიკური ასპარეზი ხელიდან გამოეცლებოდათ – აჯანყებების ეპოქა დასრულდებოდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა იატაკქვეშეთს შეეფარებოდა, ყმაწვილური ოცნება წამოეშველებოდათ.

ივარგებდნენ ამ ახალ სარბიელზე?

ვერ ივარგებდნენ?

ელიზბარის ძველ მეგობარსა და თანამზრახველს გიორგი ერისთავს არა სწამდა ქართველთა უნარი ეკონომიკურ და სამრეწველო სარბიელზე, არც ჩვენი ეროვნული ხასიათის შესაფერისად მიაჩნდა და ვერც გამონაკლისებს ხედავდა, ვინც შეძლებდა ღირსეულ მეტოქეობას თუნდ სომეხ მრეწველებსა და სოვდაგრებთან. ვაჭრობა იმათ დაეჩემებინათ და გიორგი ერისთავიც კვერს დაუკრავდა ამ შეხედულებას – ჯერ პირადი საუბრებისას, მერე კი პიესების თემადაც აქცევდა – კომედიოგრაფის

ნიჭს მოახმარდა ვაჭრობისა და ვაჭრების გამასხრება-გაბიაბრუებას.

და „გაყრაში“ ივანე სიმღერას რომ მოჰყვებოდა, ძლივს წელმომაგრებულ ქართველ ვაჭართა ოჯახების განიავებასაც გადაჰკრავდა ირონიულ ნესტარს („ჩვენი ვაჭრების შვილები შეიქნენ ჩინოვნიკები, მამის მოგებულ ფულებსა ჰფანტვენ ვითა ჩალაბზესა, ვაჭრობას არ კადრულობენ, ბალში ფრანცუზ-კადრილობენ, ბლოტის ფერჩათკით ფრანტობენ, თავის ოჯახს კი ამხობენ“). ზემოდან დაჰყურებს თვისტომთ – რუსეთში გაზრდილა, ახლა ვარშავიდან დაბრუნებულა და თავისი ქვეყანა პროვინციად წარმოუდგენია.

თუმც პროვინციად მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვს უფრო ჰგონია, თავქვეზე დაქანებული საქართველოს გამობრუნება სასიკეთო გზაზე სრულებით რომ არ ეიმედება და აღტაცებას ვეღარ მალავს („ამ დიდ ბატონს მართებს ფული, მე ხელში მყავს იმის სული; ორი წელი მომატყუა, რა კაცია გიუვრაცუა! მეორე ძმა ჰყავს ტუტუცი, ასი იმანაც მივეცი...“), ისევე, როგორც „ძუნწში“ კარაპეტა დაბაღოვი, ვისაც მოახლე რომ ურჩევს, შენი ქალი ქართველს მიათხოვეთ, დიდად აღშფოთდება:

– ქართველი რა კაცია! ჩემი წაღებს მივცემ, რომ ჩაიცვას? მერე რო მოვუკდე, ჩემი ქონება იმან შეშჭამოს? ვა, როგორ შეშჭამოს წყალში ემე ჰქნას, გადაჰყაროს! ჩემი სული ჯოჯოხეთში დავწვა? აფსუსი არის ოქროები ქართველი ჯიბეში. ქართველი ფულის მტერია, ნიმუტი ფული არ დააყენებს ჯიბეში, როგორც ნიორი, ისე აუყროლდება და ისე გადაჰყრიან.

მოახლე შეკამათებას გაუბედავს:

– ყველანი ხომ ფულის გადამყრელები არ არიან ქართველები.

მაგრამ კარაპეტა დაბაღოვი თავისაზე დგას ფეხმოუცვლელად:

– გეუბნები, ფულის შნო არა აქვსთ. არ გაგიგონიათ ლათაია: გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, რა გინდა თახჩაშიც დადო.

და სომეხი ვაჭრის შვილებსაც აუგად რომ ახსენებს: ფულის ყაირათი ჩვენს დროს ვიცოდით, თორემ ესენი ევროპულ ცხოვრებას რომ აჰყვნენ, ზანდუკები ისე დაუცარიელდათ, როგორც ქალაქიდან გასულ თავადს ჯიბეო, – ისე როგორ იქნება, საზომად კვლავ ჩვენი ქვეყანა არ მოიმარჯვოს:

– ჩვენი ვაჭრების შვილები ქართველებზედ ბედოვლათები გახდნენ.

ქართველი ფულის მტერიაო...

გოგრა არ გახდება შირაზის შუშაო...

ამ ფრაზაშიც და სხვა ასეთ პასაჟებშიც თვითონ გიორგი ერისთავის ხმა გამოსჭვივის – ცოტა ირონიული და... ცოტაც თამომწონე. ეს იმ ადამიანის თავმომწონეობაა, „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციაზე რომ აღზრდილა, რაინდული კოდექსი შეუსისხლხორცებია, ოღონდ თავისი დროისათვის კი ვეღარ აუღია ისეთი ალღო და ჰგონია, ცხოვრების ის წესი – თავისთავად ღირსეულიც და მიმზიდველიც – იმ სახითვე უნდა გაგრძელდეს. დონ კიხოტს დამგვანებოდა რაღაცით გიორგი ერისთავი და ქართველთა ბედოვლათობას რომ ახსენებდა, ნეტა თუ გრძნობდა, თვითონ როგორ გაორებულიყო ქცევის ამ ყაიდის მიმართ – თან კიდეც კიცხავს, თან კიდეც იწონებს... და ყველაფერი ინთქმოდა სარკაზმსა და მაყურებლის სიცილ-ხარხარში.

იქნებ მთლად ასეც არ იყოს და „გაყრის“ შემოქმედი ძალიანაც განიცდიდეს თვისტომთა უყაირათიანობასა ან ვაჭრობისა თუ მრეწველობის ნიჭის უქონლობას?

ვაჟა-ფშაველა ვერ შეატყობდა ამ წუხილს გიორგი ერისთავის კომედიებს და სულაც ხელისშემწყობად მიიჩნევდა ადამიანთა გარკვეული გუნდის გაფუქსავატებისათვის.

ვითომ აჭარბებდა? ვითომ პერსონაჟთა აზრებს მიაწერდა კომედიოგრაფს?

ასეა თუ ისე, თხზულების წაკითხვა და ნაწერიდან აზრის სწორად გამოტანა ვაჟა-ფშაველას არავისგან ესწავლებოდა!.. და თუ მხოლოდ მაყურებლის მოუმზადებლობის ბრალი გახლდათ „გაყრისა“ ან „ძუნწის“ აღქმა ვაჭრობის, ფულიანობის დაცინვა-გაპამპულებად, ავტორს მაინც მოვალედ მიიჩნევდა გაეთვალისწინებინა საზოგადოების განწყობილება და პიესებში აქცენტები შესაფერისადაც გადაენაწილებინა და უფრო მკაფიოდ გამიჯვნოდა პერსონაჟებს.

ნაცვლად ამისა, გიორგი ერისთავს სულაც საკუთარი მიმდევრები გაეჩინა და მისგან დაწყებული სარკაზმი ფულის, ფულიანობის მიმართ ნოყიერ ნიადაგს იპოვნიდა ასაყვავებლად პიესებში და სცენაზე.

გოგრა არ გახდება შირაზის შუშაო...

დაცილებოდა, სულაც დაპირისპირებოდა გიორგი ერისთავისა და ელიზბარ ერისთავის შეხედულებანი ქართველი კაცის ეკონო-

მიკური ნიჭის თაობაზე, ორივეს თავთავისი გზა აერჩია, ოღონდ ხელის ჩაქნევასა და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განზე გადგომას არცერთი არ აპირებდა და ქვეყნის კოლაფსური ყოფიდან გამოყვანასაც ორივე თავდაუზოგავად მიელტვოდა.

გიორგი ერისთავი კულტურული განახლების მედროშედ წარმოსდგებოდა 50-იან წლებში – ჟურნალ „ცისკრის" დაარსება და ქართული თეატრის აღდგენა ცალ-ცალკეც ეყოფოდა მოღვაწეს დამსახურებისათვის, ამას კი ორივე ეს უმნიშვნელოვანესი საქმე ედო თავს და ისე შეაგულიანებდა, ისეთი მუხტით აღავსებდა თანატოლებსაც და ახალთაობასაც, კულტურული ცხოვრების წინსვლას უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა.

სიცოცხლის ბოლო წლებს გორში რომ გაატარებდა, ბიოგრაფოსები მაინცდამაინც დიდი გულმოდგინებით არ მიმოიხილავდნენ ამ წლებს: თავის მამულებს მიხედა, ერთხანს საზღვარგარეთაც იმოგზაურა, დროდადრო თბილისშიც ჩამოდიოდა თავადაზნაურთა შეკრებებისა თუ სხვა მიზეზითაც და საჯარო სიტყვასაც წარმოთქვამდა ხოლმეო.

ოთარ ჩხეიძეს ზერელეობად მოეჩვენებოდა ბიოგრაფოსთა ამგვარი გადაწყვეტილება – ამ საერთო და ზოგადი შენიშვნებით დაკმაყოფილება. რაკიღა თბილისიდან წასულიყო, დიდ ასპარეზად აღარ მიეთვალათ გორში მოღვაწეობა ან გულგატეხილობად თუ დავრდომილობად მიეჩნიათ:

„საამდროისოდ დაწვრილებითი ცნობები აღარ მოეპოვებათ და აღარც ეძიებენ, თბილისში გაწეული ღვაწლის შემდეგ.. ან რაღა უნდა იყოს საძიებელიო. მართლაცდა ამისდარი მოვლენა სხვა არაფერი მომხდარა გასული საუკუნის 50-იანი წლების საქართველოში, ორივ ეს დიდი მოვლენა გიორგი ერისთავის სახელს უკავშირდება, სხვა რამ ეგება აღარც შესძლებოდა ერთ ადამიანსა. მაგრამ სხვა ყალიბის ადამიანი გახლდათ გიორგი ერისთავი..."

ამ „სხვა ყალიბს" განესაზღვრა მისი ბედისწერაც და ღვაწლიც.

არ ყოფილა გორში წასვლა მხოლოდ საკუთარი მამულების მიხედვა, მითუმეტს, გულგატეხილობა თუ დავრდომილობა, რადგანაც გორის თეატრის აღორძინებასაც ჩადგომოდა სათავეში, ის ბოლო წლები, მშობლიურ ქალაქში რომ ცხოვრობდა, გორის თეატრის აღდგენისათვის ზრუნვაში გაეტარებინა.

მაინც რას ეყრდნობოდა მწერალი ამ თვალსაზრისის გამოთქმისას – თანამედროვეთა მოგონება მოეპოვებინა, მანამდე სადღაც ჩაკარგული, თუ ეპისტოლური ან სხვა სახის ჩანაწერი?

საამისოდ პირდაპირი ცნობა ისევ არა ჩანდა, მაგრამ დაბეჯითებული ვარაუდის გამოთქმა კი შეიძლებოდა:

„ის ამბავი, რომ გიორგი ერისთავის გარდაცვალების არცთუ დიდი ხნის შემდეგ გორის სათეატრო დასმა „ძუნწი" წარმოადგინა, გვაფიქრებინებს, რომ დასი საკმაო ხნის განმავლობაში იწვრთნებოდა და მას დიდად დახელოვნებული მწვრთნელი ჰყავდა. იმ ხანებში სათეატრო დასები ასე იოლად არ იქმნებოდნენ, – ან როდის იქმნებოდნენ ადვილადა თუ იოლადა, – დასის შექმნას განსაკუთრებული გულმოდგინება სჭირდებოდა, გამოცდილი მზრუნველი თუ მწვრთნელი უნდოდა, აღზრდა უნდოდა გაუწაფავ სათეატრო დასსა".

და აგერ ისიც – საუკეთესო მზრუნველი და მასწავლებელი, პირველი დრამატურგი და პირველი რეჟისორი განახლებული ქართული თეატრისა.

გორის ახალ თეატრსაც ის ჩაუდგამდა საფუძველს – უთუოდ გიორგი ერისთავი. „ძუნწის" დადგმას თვითონვე ამზადებდა და... მოსწრებით კი ვერ მოესწრებოდა პრემიერას სპექტაკლისაც და თეატრისაც – 1865 წლის ზაფხულში.

გიორგი ერისთავის ხსენებამ თხრობის გეზს ხომ არ გადაგვაცდინა და ერთი-ორი ფრაზით მოსათავებელი ცოტა ვრცლად ხომ არ გაიშალა?

არა, უბრალოდ იმ გარემოებას ჩავუკვირდეთ, გორში მოღვაწეობა ამ საუკეთესო და აღიარებულ დრამატურგსაც რომ გაუარაფრეს და სადღაც პროვინციაში ჩაკარგვად მიუთვალეს. და ელიზბარ ერისთავიც კინაღამ ასეთივე კუდაბზიკა დამოკიდებულებას შეეწირა. გორში წასვლით მის ცხოვრებასაც ფარდა ჩამოეფარებოდა და გაცილებით უფრო დაზარალდებოდა, ვიდრე მისი ძველი თანამზრახველი აჯანყების მზადების იმ დრამატულ ამბებში.

გიორგი ერისთავს სათბილისო ღვაწლი მაინც შერჩებოდა.

ელიზბარ ერისთავს სულ აღარაფერს შეარჩენდნენ.

დრამატურგი გორში სულ რამდენიმე წელს შეაფარებდა თავს.

შეთქმულების მთავარსარდალი კი სამ ათეულ წელს დაჰყოფდა იქ და ერთი კაცის ბიოგრაფიისათვის ეს ხანგრძლივი ჟამი ამოუცვიოდა ცხოვრებიდან.

კინაღამო...

„კინაღამ“ იქნებ სამუდამოც გამხდარიყო.

ელდარ მამისთვალიშვილი არ შეეგუებოდა ასეთ შეფასებას – გორში ცხოვრება უნიათო, უშინაარსო ყოფასა და საზოგადოებრივი ასპარეზიდან გარიდებას გაიგივებოდა და ნაბიჯ-ნაბიჯ ამიტომაც აღადგენდა მინის ქარხნის დაარსებისა და დიდად წარმატებული სამენარმეო საქმიანობის სურათს.

ატენის ხეობას აჰყვებოდნენ და ჩამოჰყვებოდნენ ძმები, უკვე ხელახლა დასახლებულსა და მოღონიერებულსაც, თორემ XIX საუკუნის დამდეგისათვის აქაურობა, ახალციხის საფაშოდან ხშირი თავდასხმების გამო, მკვიდრთაგან სულ დაცლილიყო და ლეკთა სათარეშოდ გადაქცეულიყო. ლეკები აქ ჩაიბუდებდნენ და გორსა თუ შიდა ქართლის სოფლებს აქედან იკლებდნენ.

1817 წელს ძალიან გამოიდებდა თავს გიორგი ერისთავი, საქართველოს მთავარმართებლის გრენადერთა სარეზერვო ბრიგადის სარდალი, საკმაო რისკს გასწევდა და ერმოლოვს სთხოვდა: ატენის ხეობა მე გადმომეცი სამემკვიდრეო მფლობელობაშიო.

ის გორის ოლქის უფროსს დაავალებდა ხეობის დათვალიერება-აღწერას და, როდესაც შეატყობინებდნენ: ატენის ხეობა არ აღემატება 15 ვერსტს, მასში ერთი სახაზინო ბაღია, ორი დესეტინის ოდენა, და იძლევა სულ 100 თუნგ ღვინოს, სახნავი მიწები კი არ გააჩნიაო, – და ერმოლოვიც გაითვალისწინებდა იმ მცირე სარგებელს, რაც ხაზინას ერგებოდა ამ ხეობისაგან, იმ სარგებლობასთან შედარებით, რაც მოსალოდნელი იყო, თუკი იქაურობა საყარაულო სოფლებით დასახლდებოდა, გენერალ-მაიორ ერისთავს მფლობელობაში გადასცემდა ატენის სახაზინო ბაღსაც და ხეობის ყველა სახაზინო მიწასაც, ოღონდ ახალ მფლობელს წერილობით ვალდებულებას ჩამოართმევდა: მაშინვე დაესახლებინა თავისი გლეხები, არანაკლებ 50 კომლისა, და კიდევ – შეექმნა მუდმივი ყარაული ხეობის დასაცავად მძარცველთა თარეშისაგან.

და შუამდგომლობას თვითონვე აღძრავდა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა იმპერატორს დაეკანონებინა მთავარმართებლის გადაწყვეტილება.

ისე გრენადერთა სარდალს რა ვალდებულების ჩამორთმევა სჭირდებოდა: თუ არ დაასახლებდა ხეობას და შეიარაღებული რაზმის ყარაულსაც არ მიუჩენდა, გინდ ჰქონოდა კერძო საკუთრებად გადაცემული და გინდ არა.

ახლა კი ისე მტკიცედ შეკრავდა იქაურობას, ერთი ყაჩაღური თავდასხმა და დარბევაც არ მოხდებოდა.

ეს მაშინვე, თორემ მერე სულ აღარ.

ამ მხრივ ელიზბარისა და მისი ძმის წამოწყებას არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდა და სათავშისაცემო არ გაუხდებოდათ, მაგრამ სხვა წინააღმდეგობა კი როგორ გინდა გადაგელახა?!. მითუმეტეს, მინის წარმოების პერსპექტივა საქართველოში სანუგეშოს ვერაფერს ამცნობდათ და ხელს უფრო ჩააქნევინებდა კაცს, ვიდრე ამ გაურკვევლობაში თავისი ნებით შეაყოფინებდა თავს.

ალალბედზე ისინი, ცხადია, ხელს ამ საქმეს არ მოჰკიდებდნენ, არადა:

1821 წელს გენერალ-მაიორი თავადი ერისთავი ქსნის ხეობაში მოაწყობდა მინის ქარხანას, სათანადო მოწყობილობებსაც გამოიწერდა და ოსტატსაც მოიწვევდა, მაგრამ მარცხს განიცდიდა.

გასაკვირი რა იქნებოდა მისგან, როდესაც საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის პეტრე ზავილეისკის მიერ 1828 წელს პეტერბურგიდან მოწვეული მინის წარმოების სპეციალისტიც უჩუმარი პირით გაიძურნებოდა. ზავილეისკი იხტიბარს არ გაიტეხდა, პირველ წარუმატებლობას არ გაუტყდებოდა და 1834 წელს კვლავ რუსეთიდან ჩამოიყვანდა ოსტატებს, კიდეც გამართავდა მინის ქარხანას, ერთხანს თითქოს აამუშავებდა კიდეც, მაგრამ 1840 წელს შეეგუებოდა ამ მეორე და... საბოლოო მარცხს.

1841 წელს ტიტულიარნი სოვეტნიცა იშხნელი მოინდომებდა მინის ქარხნის ამოქმედებას ტფილისში.

ერისთავებიც იმჟამად შეებმოდნენ სიყმაწვილის ოცნების ხორცშესხმას.

ერთი ქარხანა ტფილისშია, მეორე სადღაც მიკარგულ სოფელში, მისი ასავალ-დასავალიც რომ არავის სმენია.

კონკურენცია თითქოს სრულიად უთანასწორია, ან რაღა თითქოს: უთანასწორია და ეგაა. სად დედაქალაქის პირობები და სად მივარდნილი სოფლისა!..

სად მთავარმართებლის კარზე მიღებული ადამიანის გავლენა და საშუალებანი და სად შერისხულთა, რომელთაც აღარც ხელისუფლება უყურებს კეთილი თვალით და აღარც თავიანთი წრე!..

მაგრამ ისე უნდა მოხდეს, რომ კონკურენციას... იშხნელის წამოწყებამ ვერ უნდა გაუძლოს და ფარ-ხმალი დაჰყაროს იმ ქარხნის წინაშე, რომლის თავდაპირველი მიღწევაც მაინცდამაინც

ვერ გამოიყურებოდა სანუგეშოდ – ბოთლებიც და სხვა ჭურჭლეულიც მწვანე ფერისაც გახლდათ და უხარისხოც. და საფანჯრე მინის მისაღებად ჩატარებული ცდებიც ჯერ უკეთესს ვერაფერს პირდებოდათ.

მაგრამ თავიდანვე შეეტყო:

ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უმჯობესდებოდა ხარისხი და ენერგია და ფანატიზმი ამ „ნელ-ნელას" ნამდვილ მინად აქცევდა, საქართველოში კი არა, მთელს კავკასიაში რომ შეიქნებოდა საქებური.

უკვე საიმედოდ მოჩანდა ეს წამოწყება და საინჟინრო უწყებაც ამიტომ დაინტერესდებოდა, ტფილისის „სათადარიგო აფთიაქის" შუშეულით მომარაგების უპირატესობასაც ამიტომ მიანიჭებდნენ და მთავრობა ქარხნის გასაუმჯობესებლად 3 ათას მანეთსაც ამიტომ გამოუყოფდა სესხად.

1845 წლის მაისში ძმები მოხსენებით ბარათს რომ წარუდგენდნენ მეფისნაცვალ ვორონცოვს, იმასაც აღნიშნავდნენ, რომ მინის წარმოების განვითარება დიდ სარგებლობას მოუტანდა მეღვინეობის გაუმჯობესებასა და ღვინის წარმოების გაშლას.

მთავრობის დაუხმარებლად დამდგარიყვნენ ფეხზე? ახლა მაინც გაეწიათ შემწეობა ღვარების ქარხნისათვის და ტფილისის სახაზინო აფთიაქსა და საინჟინრო უწყებას მათთვის მიეცათ ის ორი წლის თანხა, რომელიც გადადებული ჰქონდათ მინის ნაწარმის რუსეთიდან შემოსატანად. სამაგიეროდ რას პირდებოდნენ? ნაკლებ ფასს გადაგახდევინებთო.

ეს ნაკლები ფასი გაჭრიდა და შეთანხმდებოდნენ.

ქარხანა კიდევ უფრო განმტკიცდებოდა.

1846 წელს ელიზბარ ერისთავი მოითხოვდა ტფილისის სახაზინო აფთიაქის მინის ჭურჭლით მომარაგებისათვის სამწლიანი ხელშეკრულების გაფორმებასა და ხაზინისაგან ერთდროულად 2158 მანეთის მიღებას.

მთავრობა დაყაბულდებოდა და მომდევნო წელს უკვე თვითონ სთხოვდა ერისთავებს, სტავროპოლის სახაზინო აფთიაქსაც თქვენ დაუმზადეთ ჭურჭელიო.

ძმები უარს რატომ იტყოდნენ, ოღონდ წინასწარ მოითხოვდნენ 825 მანეთს.

მეფისნაცვალი ცოტა არ იყოს შეფიქრიანდებოდა – ნუთუ ასეთი წარმატების გზაზე შემდგარანო; და მოხელეებს მიავლენდა შესამოწმებლად, გულდასმით გამოიკვლიეთ ქარხნის შესაძლებლო-

ბანიო. მოხელეები შემონმებითაც შეამონმებდნენ, გამოკვლევითაც გამოიკვლევდნენ და ისეთი ანგარიშით დაბრუნდებოდნენ, ხელშეკრულება დაუყოვნებლივ გაფორმდებოდა.

წარმატება წარმოების გაფართოებას თვითონვე მოითხოვდა და ძმები მინის ქარხნის გვერდით ფაიფურის ფაბრიკის აგებას ამიტომაც განიზრახავდნენ: როდემდე ვზიდოთ ქართველებმა ფაიფური რუსეთიდან, ეს ტრანსპორტირებაც ძალიან ძვირი ჯდება და თვით საქონლის ფასს უტოლდებაო. 1846 წელს დიმიტრი ფაბრიკის ასაგებად 10-წლიან პრივილეგიას გამოითხოვდა და ძმები იმედით დაელოდებოდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას. აქამდე ამ მხრივ დაბრკოლება არ შეხვედროდათ, მაგრამ ამჯერად მთავრობა აღარ მოინდომებდა ხელის შეშველებას. ამ ოჯახის ასეთი მოღონიერება, ეტყობა, აღარ ეჭაშნიკებოდათ და მოწონებით კი მოუწონებდნენ ჩანაფიქრს, წარმატებასაც მხურვალედ უსურვებდნენ, მაგრამ... პრივილეგიის გაცემაზე უარს განუცხადებდნენ.

უპრივილეგიოდ ასეთი წამოწყება დიდ რისკს გულისხმობდა.

რისკს არ მორიდებიან, როდესაც მინის ქარხანა გამართეს, მაგრამ ახლა გაურკვევლობაში გადაშვება მხოლოდ ამ ახალი განზრახვის ჩაფუშვას კი აღარ მოასწავებდა, არამედ იმ აწყობილი საწარმოს დახურვა-გაჩანაგებასაც.

ეს უკვე ძნელი გადასატანი იქნებოდა ძმებისათვის.

ამიტომაც ჯერჯერობით ჩამოეხსნებოდნენ ფაიფურის წარმოებაზე მიზანდასახულ ფიქრს.

თურმე სამუდამოდაც.

1848 წლის გაზაფხულზე ღვარებს მარი ბროსე ეწვეოდა, რათა საკუთარი თვალით ენახა, რას გამოეწვია ამხელა ხმაური ქვეყანაში. იმას ისე უძგერდა გული ქართველებისათვის, ისე მოწადინებულიყო, იმპერიის განაპირა პროვინციად გადაქცეული ეს მიწა-წყალი ოდესმე კვლავ დაბრუნებოდა ცივილიზაციის იმ წრეს, საიდანაც იძულებით ამოეგდოთ, ისეთი გაფაციცებით აყურადებდა ყოველი სასიკეთო ყლორტის გამოჩენას, ან აქამდე როგორ გაუძლო გულმა ქართული ეკონომიკის ამ თვალსაჩინო კერას რომ არ ჩამოაკითხა?!. აკვირდებოდა ყველაფერს, მეასედ მოუტრიალდებოდა იმ ვეება ხის შენობასაც და იქ დადგმულ 12 ღუმელსაც. 21 კაცი ფუსფუსებდა საწარმოში, მათგან 6 ოსტატი – ორი ევროპელი და ოთხიც რუსი. კიდევ ვაპირებთ ოსტატების მოწვევასო, – ამცნობდნენ ერისთავები, – ცეცხლგამძლე თიხას ქალაქ ბელევიდან ვეზი-

დებოდით, რაც საკმაოდ ძვირი გვიჯდებოდა, ახლა კი ყუბანს დავუკავშირდით და ტრანსპორტირების ხარჯი 1 ფუთ თიხაზე 3 მანეთიდან 80 კაპიკამდე შეგვიმცირდაო.

მარი ბროსე ძმებსაც საქებურ სიტყვებს ეტყოდა და საპასუხისმგებლო გარემოშიც დარწმუნებით გაიმეორებდა:

– ეს მოწმობს ქართველთა უნარს, უხელმძღვანელონ რთულსა და მსხვილ საწარმოებს.

ისიც ისე გაებეზრებინათ ქართველთა ეკონომიკური, სამეწარმეო ნიჭის უქონლობის მტკიცებით, ღვარებში მიმავალი მხოლოდ იმას ნატრობდა: ნეტა ჩანასახოვანი საწარმო მაინც დამხვდეს, ამათგან ესეც დიდი ამბავი იქნებაო.

და იქ კი ისეთი მძლავრი ორგანიზმი და პირობები დახვდებოდა, თანაც მიღწეულს რომ არავინ ჯერდებოდა, თავის აღტაცებას განაზოგადებდა და მარტოდენ ელიზბარ და დიმიტრი ერისთავებს კი არ მიუთვლიდა ღირსებად ამ ნიჭს, არამედ მთელს ქართველობას.

მთავარია, ყალბი აზრების ტყვეობაში არ დარჩენილიყვნენ არც სხვანი და უნარი ამ სარბიელზეც გამოემჟღავნებინათ, იმ შთაგონებით ანთებულთ, რთული და მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელობა თქვენც შეგიძლიათ, თორემ აგერ სახიერი ნიმუში თვალწინ გყავთო.

გახმაურდებოდა მარი ბროსეს ეს ფრაზაც და სხვა აღმატებული ეპითეტებიც, მაგრამ, ცხადია, ერთბაშად ვერ დაამსხვრევდა ჩვენში გაბატონებულ მორალს ვაჭრობისა და მეწარმეობის მიმართ ათვალწუნებული დამოკიდებულებისა. სნობებისათვის ბევრს ნიშნავდა ფრანგი კაცის შეხედულება, მაგრამ ძველ რწმენასთან ერთბაშად გამოთხოვება გაუძნელდებოდათ. გიორგი ერისთავი და მისი მიმდევარნი კი კერძო წარმატებად მიიჩნევდნენ ღვარების მინის ქარხნის სულ უფრო გაუმჯობესებას – ქართველთა ეკონომიკური ნიჭიერების არსებობად ვერ განაზოგადებდნენ მარი ბროსესავით.

ბოჰემური შუშისა და ბროლის ჭურჭელიც უნდა გამოვუშვათო, – დაიქადნიდნენ ძმები.

საფანჯრე მინაც ისეთი თეთრი უნდა იყოს, ევროპულისაგან არ გაირჩეოდესო, – ესეც ამოეჭრათ გულში.

და ბოლოსდაბოლოს მართლაც ევროპულს რომ დაემგვანებოდა ღვარების ქარხნის საფანჯრე მინა და მეფისნაცვალსაც წარუდ-

გენდნენ მის ნიმუშს 1853 წელს: როგორ გაგიმართლათ, ბედი თქვენა გქონიათო, – ვინ აღარ ეტყოდათ.

და იმ სახელოვანი მეცნიერისა არ იყოს, რაღაც ამგვარს ესენიც გაიფიქრებდნენ: ამ დასაწვავმა ბედმა მაინცდამაინც მაშინ გაგვილიმა, როდესაც უამრავი ცდა ჩავატარეთო.

ეგაა, საფანჯრე მინის წარმოებას ყირიმის ომში ელიზბარის გაწვევა შეაფერხებდა. ამ ომში მონაწილეობაც უნდა ჩაწერილიყო მის დრამატულ ბიოგრაფიაში, ისევე, როგორც საწარმოს დაწვა 1855 წელს და მასთან ერთად 3 ათასი მანეთის გამზადებული პროდუქციის (ჭურჭლეულის გამოშვებას განაგრძობდნენ) განადგურება.

მიზეზი საარქივო დოკუმენტებში არსად აღნიშნულა.

არც რაიმე გადმოცემა შემონახულა.

იქნებ განზრახ არც არავის გადაუბუგავს იქაურობა და გაუფრთხილებლობამ იმსხვერპლა ამდენი ხნის ნაჭირნახულევი?..

სხვანი ხელს ჩაიქნევდნენ ფერფლად ქცეული საწარმოს შემხედვარენი, მაგრამ ძმების ფანატიზმს ცეცხლი ვერ ჩაბუგავდა. ხელნაწერები არ იწვის? არც საწარმოები იწვის თურმე. და ძმები თვითონვე გაოცდებოდნენ, ასე სწრაფად მაინც როგორ შევიძელით აღდგენაო.

1856 წელს 9500 მანეთის ნაწარმით ჩაერთვოდნენ ისევ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

უკვე, აბა!..

მომდევნო წელს 9750 მანეთამდე ააღწევდნენ, რათა 1858-ში 10 ათასი მანეთიც აღარ ყოფილიყო მიუწვდომელი.

იცინოდა დარბაზებში „გაყრის“ მაყურებელი და გულში უხაროდა, კიდევ კარგი, ვაჭრობასა და კომერციას არ მოვკიდეთ ხელი, თორემ ჩვენც ასეთივე კომიკურნი ვიქნებოდითო.

ღვარების ქარხანა შემთხვევითობააო, – იმეორებდა გიორგი ერისთავი.

დიდი ეკონომიკური ნიჭიც გაქვთ ქართველებსო, – ირწმუნებოდა მარი ბროსე.

დიმიტრი ყიფიანიც, ფრანგი სწავლულისა არ იყოს, ამ მინის ქარხანაში ქართული ეკონომიკური უნარისა და სწრაფვის მომძლავრებას განჭვრეტდა და თავის ძველ თანამზრახველებს აჯანყების მზადებისას ახლა – 1857 წლის დეკემბერში – კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე წარმოთქმული მოხსენებით ამოუდგებოდა მხარში.

მრავალმხრივ მნიშვნელოვანია მისი გამოსვლის ეს პასაჟიც და ამიტომ სიტყვა-სიტყვით გავიმეორებ, თუმც მკითხველი მას ელდარ მამისთვალიშვილის „გორის ისტორიაშიც“ გაეცნობოდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ის დიმიტრი ყიფიანია, ვისი იდეითაც დაარსდებოდა ოცი წლის შემდგომ ქართველ თავადაზნაურთა ბანკი და ჩვენი მიწები გაყიდვას გადაურჩებოდა, ჰაერში აღარ გამოვეკიდებოდით სრულ უსასოობაში ჩავარდნილნი.

ასეთი თვალსაჩინო მაგალითი ეპყრა და ხელიდან როგორ გაუშვებდა:

„გორის მაზრაში კი, თავადიშვილებმა ელიზბარმა და დიმიტრი ერისთავებმა 40-იანი წლების დასაწყისში ააგეს თავის მამულში მინის ქარხანა; ხელმძღვანელობდნენ რა იმ უცდომელი ანგარიშით, რომ იმ დროს, როცა ამიერკავკასიის მხარეში სრულიად არ არსებობდა მინის წარმოება, მათი საწარმო არ შეიძლებოდა წარმატებით არ დაგვირგვინებულიყო, საქმეს მათ მთელი თავიანთი სახსრები მოახმარეს: არ ზოგავდნენ არც პირად შრომას, არც დროს, მას სწირავდნენ შემდგომ მოსალოდნელობასაც სამსახურში, რომლისთვისაც საუცხოო მომზადება მიიღეს, და თავიანთი ქარხანა არსებობის შესაძლებლობამდე მიიყვანეს. ეს ქარხანა ამჟამადაც არსებობს. თავადმა ერისთავებმა გადაიტანეს შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლა ყოველგვარ შეფერხებათა და სიძნელეთა წინააღმდეგ როგორც ქარხნის აშენებაში, ისე, განსაკუთრებით, მის ნაწარმთა გასაღებაშიც“.

ცეცხლში ჩაბუგვა ნირს რომ ვერ უცვლიდა, ადვილი წარმოსადგენია, 60-იანი წლების დასაწყისში როგორ გაიზრდებოდა მოგებაც და გავლენაც. მთელი კავკასიის აფთიაქებიდან, ჭურჭლეულით რომ ამარაგებდნენ, მეპატრონე წლიურად 6-8 ათას მანეთს ღებულობდა, ამდენივეს კიდევ კერძო პირთაგან, და საერთო შემოსავალი 16 ათას მანეთს აღწევდა.

საწარმოო ხარჯების გარდა ელიზბარს 4 ათასი მანეთი დარჩებოდა.

1864 წლის აგვისტოში იგი მეფისნაცვალს მიმართავდა თხოვნით: მიეცათ 25 ათასი მანეთი უპროცენტო სესხის სახით. თხოვნას შეუსრულებდნენ და თანხას 18 წლით ასესხებდნენ.

მხოლოდ ელიზბარის სახელი რატომ იხსენიება?

რატომ და:

აღარ არის დიმიტრი სამზეოზე.

ნიშანდობლივად უცნობია მისი გარდაცვალების თარიღი, ზოგადად განისაზღვრება: 50-60-იანი წლების მიჯნაზეო.

დაზუსტებით კი ისაა ცნობილი, რომ უმემკვიდრეოდ გადაეგებოდა.

სოფიოს ეტრფოდა დიმიტრი ერისთავი, ქეთევანის დას, და ჯვრისწერას რომ მოინდომებდა, ეგზარხოსი ევსევი აღუდგებოდა წინ ამ განზრახვას – როგორ, ორ ძმას ორი და ჰყავდეს ცოლადო?!. სადა თქმულა ასეთი რამ მართლმადიდებელ ქვეყანაშიო!..

ასე ჩაიშლებოდა ეს ქორწინება და ამ სიყვარულს შეწირავდა თავს დიმტრი – ცოლის შერთვას რომ აღარც იფიქრებდა და შეეგუებოდა მარტოხელობას.

ნეტარ მას ჭაბუკს, ვისცა გულსა გაუბრწყინდება
და მასთან ღვთისგან კურთხევითა დაგვირგვინდება!

ამ დალოცვით დააბოლოვებდა გიორგი ერისთავი იმ ლექსს („კნიაჟნა სოფიო ერისთავისას"), 1848 წლის 25 მაისს რომ შექმნიდა სოფიოს მშვენების ქებათა-ქებად და იმ რუსთველური განცდითა და მეტაფორისტიკით განმსჭვალავდა: თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინობდაო.

სოფიო ბნელ ღამეს გადაჰყურებს, თითქოს ზეცის წყვდიადში დაეძებდეს გულის სიამეს, გიორგი ერისთავი კი მას აკვირდება დიდხანსა და დაჟინებით და შეამჩნევს, თუ როგორ შეკრთნენ და გაჰქრნენ ვარსკვლავნი, ღრუბლებს მოეფარნენ, მეორე დღეს კი მზეს შესჩივლეს ცრემლის ფრქვევით; და პოეტის გუმანი კოსმიურ დიალოგსაც შეიგრძნობს, თუ როგორ იხილეს ეთერს ქვემოთ უცხო ვარსკვლავი, რომელმაც თავისი მშვენებით დააბნელა ზეციური ვარსკვლავნი, და თუ ყოველ ღამით გამოჩნდება, ჩვენი მშვენება განქარდებაო, – ძალიან განიცდიან. მზისა ეიმედებათ, მაგრამ იმასაც ჭმუნვა უნდა მოეკიდოს: მე არ მაქვს ბრალი, დღეც რომ იხილოთ, მეცა მასთან ვარ გლახ ფერმკრთალიო.

თინათინ მზესა სწუნობდაო...

და მზე აგრძელებდა თავის ვალალს და ვარსკვლავებს შეაგონებდა: იცით, ამინდი ამ დილით რამ გამოცვალა, მთებნი მგლოვიარობენ და მათი ცრემლებიაო.

ვერ უძლებს კოსმოსი მიწიერი მშვენებისაგან ასეთ დაჯაბნვას და, სხვა ვერაფერი რომ ვერ გაუწყვია, ცრემლად იღვრება.

„იმ დილით წვიმდაო" – ამ შენიშვნას დაურთავდა ლექსს გიორგი ერისთავი და ამ ფრაზით მიანიშნებდა მკითხველს დიდ სამყა-

როულ ჰარმონიას, მიწიერისა და ზეციურის სულიერ სიახლოვესა და ურთიერთგანმჭვალვას იდუმალების ენაზე, რომლის ზოგიერთი წვეთიც მის ლექსს დაპკურებოდა. და ის დალოცვაც ლექსის ფინალში მკაფიოდ გასარჩევი აღარც იყო – მზე ღაღადებდა თუ პოეტი. ანკი რატომ უნდა გაირჩეოდეს?! ლექსია, პოლიტიკური ტრაქტატი ხომ არა.

არ ეწერა დიმიტრი ერისთავს ეს ნეტარება და ღვთისგან კურთხევით დაგვირგვინება.

ელიზბარს ძმაც დაეკარგა და ძველი თანამზრახველიც, თბილისში გადმოსახლებულ პოლონელებს ერთად გამოემცნაურებოდნენ, დაუახლოვდებოდნენ და ამბოხების დღისთვისაც შეიპირებდნენ.

აკი კიდეც გაწვრთნიდნენ მეზარბაზნეებად.

იასე ფალავანდიშვილს ყველასათვის აეხვია თვალი, ყველა შეთქმულს პატრიოტი და ქვეყნისათვის თავშეწირული ეგონა და, რა გასაკვირია, დიმიტრიც მინდობოდა იმის ლაქარდიან ენას.

ამიტომაც არ დაუფარავდა მეზარბაზნეთა არსებობას:

– პოლიაკები ბევრნი მოვლენ იმ ღამეს ჩვენი მხრით გაზრდილნი და მცოდნენი ამისანი.

ბევრგან წაჰყვებოდა თავის ძმას, თუმც იმხელა ენერგია გარშემო სხვას არავის გააჩნდა და დიმიტრიც ვერ გაუძლებდა უმძიმეს რეჟიმს, ყველგან რომ თან ხლებოდა.

ესეც კიდევ ერთი დოკუმენტიო, გაიხარებდა გამოძიება, როდესაც დიმიტრი ერისთავის ქაღალდებში ოქროპირ ბატონიშვილისაგან გამოგზავნილ ბარათს მიაგნებდა. ვერ მოესწრო განადგურება დიმიტრის და ისე მკაფიოდ ამოიცნობოდა ფარული მიზნების არსებობა, უკეთესი ხელჩასაჭიდი რაღა უნდა ყოფილიყო. სახელთა შიფრი თვითონვე ღაღადებდა, რომ საიდუმლო მიმოწერა ანტისახელმწიფოებრივ მიზანს ისახავდა, თორემ დასაშიფრიც რა იქნებოდა და რატომ შეენაცვლებოდა ბარონ როზენს ვარდი, ალექსანდრე ბატონიშვილს – ბულბული, მუხრან-ბატონს – ყვავი, ფრანგებს – ბუმბულიანი, ნარჩიტა, პრუსიელებს – სასტიკნი, ავსტრიელებს – ფილოსოფოსნი, რუსებს – მხეცნი, რუსეთის ხელმწიფეს – ლომი, ინგლისელებს – ლოთნი, ინგლისელთა ხელმწიფეს – ბახუსი, თურქებს – მაჰმადი, სომხებს – ოჰაოზნელი (შეჩვენებულნი).

თანაც სადამდე გადანვდენილა ფარული მოძრაობის გეგმები, – ფრანგებიო, ინგლისელებიო, პრუსიელებიო, ავსტრიელებიო...

აქეთ კიდევ თურქები და სომხები... და იმ ბარათის შემდგომ კიდევ გაიზრდებოდა დაშიფრულ სახელთა რაოდენობა.

გამოძიებაც ამას ივარაუდებდა და მკვლევარებიც ამავე აზრისანი იქნებიან. თუმცა კიდევ რომ არ გაზრდილიყო, განა არა კმაროდა, რასაც ეს ბარათი ამჟღავნებდა და დიმიტრი ერისთავს გული დაწყდებოდა, შიფრის გასაღები რომ ეგდო ხელთ გამოძიებას. მართალია თვითონ მიმოწერა ვეღარ დაედასტურებინა და ეს კი გაურთულებდათ შეთქმულთა ჩანაფიქრების ამოხსნას, მაგრამ გასაღების არსებობა თავისთავად მტკიცებულება გახლდათ და გზას უჭრიდა ფარული ორგანიზაციის წევრებს, მტკიცედ უარეყოთ ანტიიმპერიული მიზნები. გაიოლებას თუ ეცდებოდნენ – ამ და ამისთანა ზოგიერთ წამონყებას რეალური საქმე არ მოჰყოლია და ჩვენი საქმიანობა ფიქრსა და უსაგნო ლაპარაკს არ გასცილებიაო, მაგრამ გამოძიება ამ ბედნიერ საჩუქარს ხელიდან როგორ გაუშვებდა და, იმპერატორის მკაცრი ბრძანება რომ ჰქონოდათ ხელთ, ეს ბარათი საბედისწეროდაც აღიმართებოდა შეთქმულთა თავზე.

ეს „ვარდი“ და „ბულბული“ მაინც რა იყო!..

ისე თვალის ასახვევად უმჯობეს მეტაფორებს ვერც გამოძებნიდნენ – აღმოსავლეთში ასერიგად პოპულარული ვარდბულბულიანი თემატიკა უცხო წამკითხველის გონებას სულ სხვა მხრივ მიმართავდა და ოდნავი ეჭვიც არ გაუჩნდებოდა, ამხელა პოლიტიკური ჩანაფიქრი თუ იგულისხმებოდა ამ უწყინარსა და გაცვეთილ სახე-მეტაფორებში.

ამ შიფრის ამოკითხვამ იქნებ რომელიმე დამწყებ მკვლევარს ისიც აფიქრებინოს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ის ლექსი – „ბულბული ვარდზედ“ – ამ ფარული მინიშნებებით რომ არ არის განმსჭვალული და მასაც ისეთივე პოლიტიკური შინაარსი ხომ არ გააჩნია, რაც ბარათაშვილის იმ ლირიკულ ქმნილებებს, 32-ის ასოციაციებით რომ გაჟღენთილაო. ტექსტზე ძალდატანებამ იქნებ საამისო მასალაც აპოვნინოს – ამისთანა ოინები სჩვევია ტექსტზე ძალადობას!.. მაგრამ არსად ჩანს, გაელვებითაც არ გაიელვებს ამ პოეტურ ნიმუშში პოლიტიკური ნართაულები, და თუ ავტორი არ იქცევა საერთო რკალში და ახალ გზას მოსინჯავს კლიშედქცეული მეტაფორების გააზრებისას, ეს პირწმინდად მხატვრული ძიებაა და არაფრით უკავშირდება შეთქმულთა საიდუმლო მიმოწერას.

ისე რამ მოაფიქრათ:

ვარდი – ბარონი როზენი,

ბულბული – ალექსანდრე ბატონიშვილი.

დაიბნეოდა, აბა, რა დაემართებოდა იმ გარეშე კაცს, შემთხვევით რომ მოჰყოლოდა ხელთ თუნდ დიმიტრი ერისთავის წერილი, თუნდ ელიზბარის და ვისიც გნებავთ – რა ვარდბულბულიანი აუტყდათ, ეს რა სენტიმენტალურნი ყოფილან და როგორ არ ეტყობათო.

სტვენდა ბულბული დარდისას, გარშემო უფრენდა საქართველოს საზღვრებს და ჰკვნესოდა თავის უბედო ბედს, გასაქანი რომ არსად მოჩანდა.

ბულბულის გულსაკლავი სტვენა ჩაესმოდა სულთმობრძაობის წუთებში დიმიტრი ერისთავს და ვერაფრისდიდებით ვერ აეხსნა, საიდან მოვლენოდა ეს ფრთოსანი და რას შესტიროდა. რა ეშველა მისთვის დიმიტრის, საკუთარი თავისათვის ვერა ენუგეშებინა რა – ეგაა, ცოცხალი მკვდარს ვერ დაემსგავსებოდა და ქვეყანაზე მოსიარულე ამ ქვეყნისათვის რაღაცას ცდილობდა. ნამდვილი ზრუნვა არ დაენებებინათ და, რაც მოეზომათ სამოღვაწეოდ, იმ მცირეზე თავი არ დაუზოგავს – ეს იყო და ეს. ბულბული კი სტვენდა გულსაკლავად და მის მოთქმაში თითქოს... თითქოს ისეთ ნოტებსაც სცნობდა, მხოლოდ ფრთოსნის გალობა არ უნდა ყოფილიყო. სიკვდილის ანგელოზს ხომ არ მიეღო ბულბულის სახე? ასეთი რამ არ ახსოვდა ზღაპრებიდან, მაგრამ სიკვდილის ფერისცვალებას განა რა დააკავებდა, თუკი მოინდომებდა, განა ბულბულსაც ვერ დაემგვანებოდა? მაგრამ არა, არ უნდა ყოფილიყო ეს ფრთოსანი სიკვდილის სიმბოლო. თუმც მის მოახლოებას მაინც აგრძნობინებდა. დაჰფრენდა თავზე და არსად იყო ვარდი, მას რომ მიეტაცა ბულბულის გული, იმას შემოვლებოდა გარს და მიეტოვებინა დიმიტრი თავისი მწუხარე ფიქრების ამარა.

...სტვენდა ბულბული. იცრიცებოდა კიდევ ერთი წუთისოფელი.

სამაგიეროდ, მინის ქარხნის შექმნისას გაუწევდა თანაბარ პარტნიორობას, და ძმური ურთიერთობა ორ საქვეყნო საქმეში თანამზრახველობითაც რომ განმტკიცებულიყო, ელიზბარი ძმასაც გლოვობდა და ისტორიის კიდევ ერთი ფურცლის გადაშლას გრძნობდა.

ჯერ მარტო დიმიტრის ხსოვნა ავალებდა, არ გამოხსნოდა ამ უღელს, და თუ მარტოკინას უფრო დაუმძიმდებოდა მეწარმის ტვირთი, საკმაო გამოცდილება შეანარჩუნებინებდა მხრებზე იმ საწარმოს, ეროვნული ხასიათის კიდევ ერთ თვისებად რომ გასიმბოლოვდებოდა.

დაე ეცინა და ეხითხითა მაყურებელს გიორგი ერისთავისა და მისი სკოლის დრამატურგთა კომედიებზე.

სიცილით თვითონ ელიზბარიც იცინებდა, ეგაა, ვაჭრებად გამოწყობილ პერსონაჟებს კერძო ხასიათებად აღიქვამდა და არა განზოგადებულ სახეებად.

სწორედ აქ დაცილდებოდნენ ის და გიორგი ერისთავი.

თანხას 18 წლით ასესხებდნენო...

ეს სრულ ტრიუმფს ნიშნავდა.

18-წლიანი ვადა ასეთი ენერგიული და უნარიანი კაცისათვის სწორედ ამას გულისხმობდა.

1882 წლამდე თავი ქუდში ჰქონდა.

ეგაა, ბედისწერა სულ სხვაგვარად განსჯიდა და 1864-დან თითებზე გადაუთვლიდა წლებს – შვიდად შვიდ წელს არგუნებდა ამქვეყნად ყოფნისა და არც მის შვილებს მომადლებდა კომერციულ ნიჭს. ვერც ივანე და ვერც ზაქარია ვერ ივარგებდნენ მინის ქარხნის გამძღოლებად და ამჯობინებდნენ უცხოელი მეწარმისათვის გადაეცათ. რა ტყუილად ეჭირათ ხელში ათ-თერთმეტწლიანი უპროცენტო სესხი. ინაცრებოდა ერისთავთა ტრიუმფალური აღმასვლა და ის უცხოელიც ვერ გამოდგებოდა უნარიან თავკაცად, თვითონ ქარხანა მაინც რომ გადაერჩინა.

მკვლევარი მოიძევდა 1878 წლის თბილისის გუბერნიის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მიმოხილვასაც და ღვარების შუშის ქარხანას უკვე დახურულ საწარმოთა ჩამონათვალში აღმოაჩენდა.

ის ქარხანა, სადაც 110 მუშა ტრიალებდა და 16 ათასი მანეთის ნაწარმი ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა სულ ცოტა ხნის წინათ, ასე სავალალოდ დაასრულებდა არსებობას.

საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას მაინც შემორჩენოდა სახიერ ნიმუშად, თუ რა შეეძლო ქართველი კაცის გონებასა და უნარს ამ სარბიელზეც.

მემორიალადაც აღარ დარჩებოდა ის შენობები, ჩონჩხადაც, ნამუსრევადაც აღარ დააჩნდებოდა ლანდშაფტს და მხოლოდ ისტორია მოგვიტანდა მის სუნთქვას, ინჟინერ-ტექნოლოგ ბიხოლტის მიერ შედგენილი 1864 წლის აღწერილობა კი წარმოსახვაში აღგვადგენინებს ამ უნიკალური საწარმოს საბოლოო იერს – უშუალოდ რაც განქარდებოდა: მთავარი შენობა, სათუნე განყოფილების შენობა და კიდევ რამდენიმე აუცილებელი ნაგებობა.

მთავარ შენობაში (სიგრძე 11 საჟენს რომ უდრიდა და სიგანე – 9 საჟენს) მოწყობილი გახლდათ ერთი მინის სადნობი, 6 ტიგელიანი (დერგიანი) ღუმელი, რომელსაც მასალის საშრობი ღუმელი შეერთებოდა. აქვე იყო სამი საშანდაკებელი ღუმელი, სამი შუშის საშრობი ღუმელი და ერთიც გამოსაწვავი ტიგელი.

სათუნე განყოფილებაში (სიგრძით 11 საჟენსა და სიგანით 3 საჟენში) ცეცხლგამძლე თიხისაგან მზადდებოდა ტიგელები, ქოთნები, აგური და შუშის სადნობი ღუმელის სხვადასხვა ნაწილები. აქვე იყო საშრობი ღუმელი და თიხის შესანახი ყუთები. ამ შენობას მისდგომოდა გარედან წყლის თვალი, რომელიც ამოძრავებდა თიხისა და სხვა მასალათა დასაფხვიერებელ სამ სანაყს.

ის რამდენიმე აუცილებელი ნაგებობა კი გახლდათ წისქვილი, სამჭედლო, სააფთიაქო ჭურჭლისათვის მინის თავსაცავების საჩარხავი სახელოსნო, საფანჯრე მინების დასამზადებელი სახელოსნო, სახლები მუშებისა და ოსტატებისათვის, სამზარეულო, გომური კამეჩებისათვის...

ყველა ნაგებობა ფიჭვისა და ნაძვის მასალით აეშენებინათ და ეს ყოველივე, ბიხოლტის გაანგარიშებით, ათასი მანეთი ღირდა.

ამ აღწერილობას რომ გადაავლებ თვალს, კიდევ ერთხელ ააკითხავ ღვარებს, კიდევ ერთხელ მოივლი და მიათვალ-მოათვალიერებ იქაურობას – ნუთუ ერთი შენობის ნაშთი მაინც არ გადარჩაო. ისე გამქრალა ის სისხლსავსე ყოფა, თითქოს არსებობდა და თითქოს არაო. ქალაქები ქრებოდნენ ასე უკვალოდ, ქვეყნები ამოიშლებოდნენ რეალური თუ ისტორიული ლანდშაფტიდან, სრასასახლეთა მხოლოდ ხსოვნა დარჩებოდა მატიანეთა ფურცლეზე, უბრწყინვალესი, არნახული შენობანი შთაინთქმოდა დრო-ჟამის ულმობელ ბრუნვა-ტრიალში და ღვარების მინის ქარხანა ვითომ ასეთიც რა ყოფილა, მისი ხილული კვალის წაშლას ვერაფრისდიდებით რომ ვერ შევგუებულვართ.

რა გამართლებაა, ქალაქები და სახელმწიფონიც რომ გადაშენებულა და უბრწყინვალეს ნაგებობათა კვალიც არ გადარჩენილა.

არც ამ ქარხნის გაქრობაა იოლად მისავიწყებელი.

დიდი ისტორია შემალულა ამ სანახებში.

ახალი სინამდვილის დასაბამი აქაც იგულისხმება, ელიზბარ ერისთავი ძმასთან ერთად თეორიულ განსჯას რომ არ მოუყვებოდა და დაადასტურებდა ქართული მოდგმის ნიჭიერებას მრეწვე-

ლობაშიც. მთელს კავკასიას აალპარაკებდა, როგორც ერთ დროს პოლიტიკური მოღვაწეობით აელაპარაკებინა.

ბოლოსდაბოლოს, რომანტიკული ეპოქა სხვა რა ყოფილა, თუ არა გოდება გამქრალი ქალაქებისა და საცხოვრისების გამოც. ან ის ალექსანდრე ჭავჭავაძე სხვას რას ჩიოდა, ელიზბარ ერისთავი აჯანყების გეგმას რომ უთანხმებდა და დიდადაც ეიმედებოდა მისი გამოცდილებისა, სხვა რას დაემწუხრებინა, თუ არა უკვალოდ გადაშენებას დიდ ცხოვრებათა. იქ, სადაც ისტორია გაშლილიყო თავისი სიდიადითა და მღელვარებით, ხილული აღარაფერი მოჩანდა ხელის ჩასაჭიდად – ადამიანები აქაც ცხოვრობდნენ, იღვწოდნენ, ხარობდნენ, ქორწინდებოდნენ, თაობა თაობას მოსდევდა, გლოვაც იცოდნენ, მაგრამ მთელი ისტორიის მიწისქვეშ მოქცევა კი ვერ წარმოედგინათ.

გოგჩის ტბა ამ სულიერ ტკივილსა და ვარამს გაასიმბოლოვებდა.

და ელიზბარ და დიმიტრი ერისთავების მინის ქარხანაც თავისებურ გოგჩად ქცეულიყო.

ეგაა, ახალი ალექსანდრე ჭავჭავაძე აღარ გამოსჩენოდა დამტირებლად.

თავი მეთორმეტე

ქეთევან – საკვირველად მშვენიერი

„ელიზბარ ერისთავმა ჯვარი დაიწერა შალვას უფროს ქალზე, რომელიცა, შე უღმერთო, შენთვის მინდოდა და საკურველი მშვენიერი და ჭკვიანი ქალიც არის“.

ეს პასაჟი გრიგოლ ორბელიანის ერთი პირადი ბარათიდანაა, 1845 წლის 18 მაისით რომ თარიღდება.

ის ვინღაა – შე უღმერთო, შენთვის მინდოდაო?

კონსტანტინე თარხნიშვილი – სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ახალი დროებისა – ვინც ენერგიულად მიისწრაფოდა კარიერის კიბეზე და დაღესტნის ოლქის უფროსობასაც მიაღწევდა და განჯის გუბერნატორობასაც.

მამამისის სახელიც გახმიანებულიყო 1832 წლის შეთქმულების გამოძიებისას და ისე ირკვეოდა, რომ ძალიან კი არ ჩარეულიყო ამ მოძრაობაში, მაგრამ ცოდნით იცოდა მისი არსებობა. მკაცრი გამოძიებისას ვერც იგი გადაურჩებოდა სასჯელს – პროტესტანტთა დაფარვისათვის ხელისუფლებისაგან პასუხი აუცილებლად მოეკითხებოდა, მაგრამ იმპერატორის გადაწყვეტილება ლმობიერებისა და შეწყალებისა, დავით თარხნიშვილსაც უშველიდა და კომისია ამიტომაც მიაკუთვნებდა მეათე კატეგორიას – იმ პირთ, რომელთაც არავითარი ბრალი არ დაედებოდათ.

გრიგოლ ორბელიანს როდინდელი ფიქრი და ზრახვა აკავშირებდა ელიზბარ ერისთავთან და მის რჩევებს ლიტერატურაშიც კი ითვალისწინებდა, არამცთუ პოლიტიკური პროცესებისას მინდობოდა იმის შეუპოვრობასა და მიზანდასახულებას, იმ თავზეხელაღებულობას, სულაც მთავარსარდლობას რომ ჩააბარებდნენ. ყაზარმობის მწარე ხვედრსაც უფრო დაეახლოვებინა და გადასახლების განაჩენსაც. მერე რა, რომ ვეება სივრცე ჩაწოლილიყო მათი სასჯელის მოხდის ტერიტორიებს შორის – მსგავსი ბედი მსგავსი ბედია, და სამშობლოში დაბრუნებულები კვლავაც შეინარჩუნებ-

დნენ კეთილ ურთიერთობას... მაგრამ რაღაც ნაპრალიც გაჩენილიყო, შემაკავშირებელი ძაფები ერთი ერთმანეთის მიყოლებით წყდებოდა და გარეგნული კეთილგანწყობა მყიფე საბურველი უფრო აღმოჩნდებოდა.

ამიტომაც არ გაემეტებოდა მისთვის ქეთევან ერისთავი, თანაც ძალიან არ გაემეტებოდა, თორემ ბარათში ჩაწერისაგან მაინც შეიკავებდა თავს. ის სინანული, რაც ასე ხელშესახებადაა გამჟღავნებული, მხოლოდ იმას არ გამოუწვევია, რომ გრიგოლ ორბელიანს ქეთევანი კონსტანტინე თარხნიშვილისათვის შეეფარდებინა და იქნებ სიტყვაც გადაეკრა მომავალი გუბერნატორისათვის. სწორედ ელიზბარისათვის ენანება ძალიან – სხვა მეუღლე რომ გამოსჩენოდა ქეთევანს, იქნებ ასე არ დათუთქოდა გული და, თვითონ თუ კონსტანტინესათვის შეეგულებინა, შეგუებოდა რეალობას და ბარათში მაინც აღარ ჩაეწერა, თანაც როგორი ნაწყენი კილოთი: შე უღმერთოო.

ეს გამოთქმა – საერთოდ, მთელი პასაჟი – ელიზბარზე გაგულისებასაც გულისხმობს, კონსტანტინე თარხნიშვილისადმი გამჟღავნებულ უკმაყოფილებასაც – შენითაც რატომ არ დატრიალდიო, და საკუთარი თავის ყვედრებასაც: ნეტა უფრო მომენდომებინა და ვითვისაც მინდოდა, მასთანვე შემეკავშირებინაო.

დახელოვნებული მაჭანკალივით იქცევა, ერთი შემთხვევა როგორღაც ხელიდან რომ გაუსხლტა და ამასაც ვერ პატიობს თავს. თუმც რიგითი შემთხვევა ეს მაშინაც ვერ იქნებოდა.

ნეტა გრიგოლ ორბელიანი რომელი დახელოვნებული მაჭანკალი გახლდათ!..

ასეა თუ ისე, ფსიქოლოგიურად მეტად მეტყველი და მრავლისდამტევია ეს ერთი ფრაზა, ქეთევან ერისთავი კვარცხლბეკზე რომ აჰყავს, ელიზბარ ერისთავს კი კვარცხლბეკის სიახლოვესაც არ მიუჩენს ადგილს.

ბედისწერას სხვაგვარად განერიგებინა და გრიგოლ ორბელიანის მდურვას დიდად არ გაითვალისწინებდა თავისი კანონების გადახედვისას.

გაივლის ხანი და ელიზაბრი კიდევ ერთხელ გააოგნებს გრიგოლ ორბელიანს, კიდევ ერთხელ ათქმევინებს სოფლის სამდურავს, კიდევ ერთხელ გააშლევინებს ხელებს სასოწარკვეთით, და თუმც ზედაპირზე არსად მოჩანდა მისი წვლილი „სადღეგრძელოს“ შემოქმედის თვალში უკუღმართად დატრიალებულ საზო-

გადოებრივ მოვლენებში, ეცოდინებოდა, უსათუოდ ეცოდინებოდა, ვისი ხელიც ხლართავდა დიმიტრი ყიფიანის მოულოდნელ ტრიუმფს, გრიგოლ ორბელიანისათვის ქვეყნის საბოლოო წახდენის მაცნეს.

ელიზბარი არც ინაღლიდა, ვინ რას იტყოდა, დიმიტრი ყიფიანის გამარშლებას რომ შეიტყობდა, ტახტის აზნაურის ასეთ აღზევებას რომ იხილავდა საკუთარი თვალით და მიზეზების გამორკვევასაც შეეცდებოდნენ – ვინ გაგულისებით და ვინ სიხარულით: რა მოხდა მაინც ამისთანა, რამ შემოაბრუნა ასე მკვეთრად საზოგადოებრივი ცხოვრების სადინარიო.

ახლა მითუფრო არ ინაღვლიდა, ვინ შეჰყურებდა დაფარული თუ დაუფარავი შურით, ვინ რა ჭორებს დაუყრიდა, ვის გაახსენდებოდა, რომ ბოლოსდაბოლოს ელიზბარი სახელმწიფო დამნაშავე გახლდათ და ქეთევან ერისთავი მაინცდამაინც არა ყოფილა მოწადინებული მის ცოლობას. მშობლებს დაუძალებიათო, – გადიგამოდიოდა ჩურჩულ-ტუტუნი, – ელიზბარის სიმდიდრემ დააბრმავათ და ქალიშვილისათვის, რა გასაკვირია, მდიდარი ქმარი მოენდომებინათო. ჯერ ახალი ამოქმედებულია ღვარების მინის ქარხანა, დაბეჯითებით ძნელი სათქმელია, როგორ მოებმის თავი იმ წარმოებას, რომელსაც მანამდე მხოლოდ მარცხი განუცდია ჩვენში, მაგრამ ალღო ჰკარნახობთ, რომ ელიზბარის დაგუბებული ენერგია აქ მაინც მიაგნებს სარბიელს და პირველი წარმატებანი არამცთუ ხელიდან არ გაუქრება, უფრო მეტსა და მეტსაც მიაღწევს.

განბილებულ მეტოქეებს ახლო-მახლო ვეღარავის დალანდავდა, თუ არა ბედს შერიგებულთ, ელიზბარის უპირატესობას ვინც აღიარებდა ანდა ზეციურ გარიგებად მიიჩნევდა ამ ქორწინებას და გულს არ აიყრიდა დამხობილ მთავარსარდალზე.

გიორგი ერისთავი ამიტომაც არ ჩამოსცილდებოდა.

დედაჩემი, ამბობენ, ძალიან ლამაზი და ეშხიანი ქალი იყოო, – ელისაბედ ერისთავი რომ გაიხსენებდა, აღარც იმას დაფარავდა: გიორგი ერისთავი ყოფილა შეყვარებულიო.

ეტყობა, მხოლოდ გულში არ ჩაეხვია ტრფობა, თავსაც დასტრიალებდა ქეთევანს და არც სხვებთან დამალავდა თავის ხვაშიადს, მასთან ერთად ერთ გვირგვინქვეშ დგომაზე რომ ოცნებობდა, რაკიღა საქმე აქამდე მისულა:

– მამაჩემმა უთხრა: „შენ ჩამომეცალეო, გიორგიო!“ – და როგორც უფროსს, დაუთმო გიორგი ერისთავმა.

ელისაბედ ერისთავის მოგონების ეს პასაჟიც, გრიგოლ ორბელიანის კერძო ბარათის ის ადგილიც და ზოგიერთი სხვა დოკუმენტური მასალაც ერთხელ უკვე ჩაერთვოდა ჩემს ლიტერატურულ დეტექტივს ელიზბარ ერისთავზე – „სახელი ამილბარისა“, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის – „ქეთევან“ – საიდუმლოს ამოცნობას რომ ესწრაფოდა და დეტექტივიც ეს გახლდათ, სწორედ ამ თვალთახედვითა და ხერხებით წარმართული მსჯელობა, ძიების პროცესიც ხელშესახები რომ იყო. გამოქვეყნებამდე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ლიტერატურულ თავყრილობაზეც გამოვიტანდი ამ ნარკვევს და ოპონენტად ნავარაუდევი თამაზ ჯოლოგუა ამ მართლაც იდუმალი, საბურველში საგულდაგულოდ გამოხვეული ლექსის შინაარსის ამოცნობას დაეთანხმებოდა და თავისი მხრივ მხოლოდ შეავსებდა ისტორიულ ფონს დამატებითი დოკუმენტური მასალების მოხმობით.

უმთავრესი მისთვის მაინც ის გახლდათ, თუ რაოდენ ღრმა კოლაფსში ჩავარდნილიყო ქართველი საზოგადოება შეთქმულების გამეღავნების, გადასახლებებში შეთქმულთა მიმოფანტვისა და სიკვდილის განაჩენის უფრო ლმობიერი სასჯელით შეცვლის შემდეგ და რა აღტაცებით ეგებებოდა იმპერატორის სტუმრობას, იმ ქვეშევრდომული მორჩილებით, რაც სამხედრო ძალდატანებით მიუღწეველი ჩანდა.

გამოქვეყნდებოდა ეს ლიტერატურული დეტექტივი და ჯერ მარტო იმიტომ გახმაურდებოდა, თითქოს ყველასათვის კარგად ნაცნობსა და გაშინაურებულ პოეტურ სამყაროში რაღაც უჩვეულო რომ აღმოჩნდებოდა და შიფრის გასაღების ამოხსნა ახალ პერსონაჟებსაც გამოიწვევდა.

უპირველესად ელიზბარ ერისთავს, და კიდევ გრიგოლ ორბელიანს, და კიდევ გიორგი ერისთავს, და კიდევ კონსტანტინე თარხნიშვილს...

მაგრამ თვითონ ნიკოლოზ ბარათაშვილი?

მხოლოდ გარეშე დამკვირვებელია? შინაური კაცი ამ გარემოსათვის, დიდი თანაგრძნობითაც აღსავსე, მაგრამ მაინც დამკვირვებელი?

ლექსიდან სხვა მოტივის ამოცნობა გაძნელდება, ისე მკაფიოდ აღბეჭდილა მისი ფინალი ელიზბარ ერისთავის ასოციაციით, მაგრამ რა ვუყოთ ნინო ქობულაშვილის ცნობას:

– როგორც სჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილი გატაცებული იყო დედაჩემით.

ეს შთაბეჭდილება მხოლოდ იმიტომ არ უნდა დარჩენოდეს, ბარათაშვილი ქეთევან ერისთავს ლექსსაც რომ მიუძღვნიდა და თავის ლექსთა ხელნაწერ კრებულსაც უსასხსოვრებდა „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთან ერთად. სტრიქონსა და სტრიქონს შუა ამოიკითხავდა რაღაც უფრო მეტს, ვიდრე თუნდ დიდი თანაგრძნობაა, და დედის ნაამბობითაც მიწვდებოდა რაღაც უხილავს, ჩასაჭიდებლად თუნდაც მოუხელთებელს, თორემ მცირე მოგონებაში ასეთ ფრაზას მოერიდებოდა.

და თამაზ ჯოლოგუა მოგვიანებით ამ მოსაზრებასაც გამიზიარებდა: არ არის ნინო ქობულაშვილის ეს ცნობა ნაკლებმნიშვნელოვანი და უყურადღებოდ დასატოვებელი, შენც და მეც გამოგვრჩა „ქეთევანის" შინაარსის ამოშიფრვისას, ის იდუმალი ხაზი, რაც ამოიტანე, ამით, ცხადია, არ შეიცვლება და ამ მხრივ ანალიზი ძველებური დარჩება, მაგრამ ეს ცნობა და მისი განსჯა უფრო შეავსებს მკითხველის წარმოდგენას ლექსის პირველბიძგსა და რეალისტურ ფონზეო.

მხატვრული რეალობის ისტორიული საწყისი ამ შემთხვევაში უაღრესად საგულისხმოა, რაკიღა ნიკოლოზ ბარათაშვილის გატაცებანი უკვე თავისთავადი მოვლენაა – ფასეული მისი ბიოგრაფიისთვისაც და ფსიქოლოგიური პორტრეტის აღდგენის დროსაც.

პავლე ინგოროყვას მაინც როგორ გამორჩენოდა.

ყველაფერს ველარ გაწვდები, თუნდ ამ ტალანტის მკვლევარიც იყო და დეტექტივის სპეციფიკური ნიჭითაც აღვსილი, ცალკეულ გამოკვლევებს ფორმასაც რომ შესაფერისს გამოუძებნიდი და ლიტერატურული დეტექტივების კლასიკურ ნიმუშებს შექმნიდი ქართულ სინამდვილეში.

მითუმეტეს, როდესაც შენთვის მთავარია ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ტრაგიკული რომანის ამოზიდვა ლირიკიდან და ნაწილობრივ პირადი ბარათებიდან და ლიტერატურული დეტექტივის ერთი საუკეთესო ნიმუშის შექმნა; და კიდეც ამოხსნი პოეტურ შიფრსაც და ამოიცნობ იმ პიროვნულ აქცენტს, ბარათაშვილის ერთ ლირიკულ რკალში რომ შეფარულა.

ვერ ეგუებოდა უგულისყურობას შემოქმედის პირადი ცხოვრების მიმართ, გულს უმღვრევდა ნაკლული ცნობები ბარათაშვილის პიროვნულ მსოფლიოზე და პოეტური შიფრის მიგნება ამიტომაც გაახარებდა ასე ძალიან, რაკიღა მზის სინათლეზე ამოჩნდებოდა

მღელვარებით აღსავსე ისტორია და არა უფერული, გაუპიროვნებელი ქრონიკა.

ლიტერატურული დეტექტივი ლიტერატურულ დეტექტივად, მაგრამ პავლე ინგოროყვა ბარათაშვილის სხვა გატაცებასაც ჩაუკვირდებოდა – პოეტის არმოღწეულ ლირიკულ ლექსთაგან საგანგებოდ გამოარჩევდა „ასტრასაც", და თუმც თვითონ ტექსტი უცნობი რჩებოდა, მიხეილ თუმანიშვილთან მიმოწერის საფუძველზე სათაურის წარმომავლობასაც აღნიშნავდა (ფრანგულად ვარსკვლავს, „მთიებს" ნიშნავსო) და შთამგონებელსაც მოიხსენიებდა – პოეტის ფრანგი მეგობარი ქალი დელფინა ლაბიელი უნდა იყოსო. გულს ვერ შეაჯერებდა მოკლე განმარტებებს და მკითხველს შეპირდებოდა, რომ უფრო დაწვრილებით ამ ლექსის შესახებ სხვა ადგილას ექნებოდა საუბარი. მაგრამ ამ თემაზე მსჯელობა აღარ გაგრძელდებოდა, თუმცა საფიქრებელია, რომ „უფრო დაწვრილებითი" სწორედ დელფინა ლაბიელთან პირადი ურთიერთობის ხანმოკლე ისტორიის აღდგენას უნდა გულისხმობდეს და არა ლექსის სხვა მხარეებს.

ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ტრაგიკული სიყვარულის ფონზე ფრანგი ქალით გატაცება წვრილმანია, სხვა რა, მაგრამ შემოქმედის ბიოგრაფიაში გამოსატოვებელი არ არის თვით ასეთი „წვრილმანებიც", მითუმეტეს ქეთევან ერისთავის გამოჩენა პოეტის მღელვარე განცდათა შუაგულში, თუმც თვითონვე ჩაიხშობდა ამ გატაცებას და ლექსი „ქეთევან", რომლის ფინალშიც ასეთი განცდით ამოტივტივდება ელიზბარ ერისთავის სახელი, გამოთხოვებაა ამ მღელვარე განცდებთან და ჩამოცილება გზიდან.

ეკატერინე ჭავჭავაძის სახება პოეტის ბიოგრაფიასა და ლირიკაში გადაფარავდა ქეთევან ერისთავის ბიოგრაფიაზე დაკვირვების და „ქეთევანის" პოეტური შიფრის ამოცნობის წადილს, თუმც „ასტრას" რომ მიუბრუნდებოდა „უფრო დაწვრილებით", მაშინ კი თავისთავად დაისაჭიროებდა პავლე ინგოროყვა ამ ლირიკული ნიმუშის ისტორიული რეალიების წარმოჩენასაც – „ქეთევანისაც". „ასტრა" აღმოჩნდებოდა შუალედური რგოლი იმ ციკლიდან ამ ლექსზე გადმოსანაცვლებლად.

ასეა თუ ისე, ბარათაშვილის სიყვარულის ისტორიის მეტად შთამბეჭდავ სურათს აღადგენდა, ეკატერინე ჭავჭავაძის შთამაგონებელ ძალას ლაურას – ფრანჩესკო პეტრარკას შთამაგონებლის – სიმაღლემდე აზიდავდა და ამ ძიების უშუალო ანარეკლი გამდმონ-

ვდებოდა ჩემს დეტექტიურ ცდას – მაინცდამაინც ამ მანერით წარმოჩენილიყო „ქეთევანის“ რეალისტური ფონი და ქვესათაურიც პავლე ინგოროყვას სტილშია: საიდუმლო ლექსისაო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბარათს გრიგოლ ორბელიანთან, დათარიღებულს 1842 წლის 2 მაისით, პავლე ინგოროყვას გამოცემაში კომენტარები რომ დაერთვის, ბარათის ფინალურ ნაწილში მოხსენიებული ელიზბარის („ელიზბარს ვმადლობ მოკითხვისთვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ მაგის საქმეს ყოველთვის ნავსი სდევს, ჯერ კიდევ არ უქნია მაგისკენ პირი ბედსა“) ვინაობა საკმაოდ ფრთხილადაა გახსნილი: შეიძლება იყოს ელიზბარ ერისთავი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორიო, და აღარ ჩასდევს გადასახლებიდან ელიზბარის დაბრუნების თარიღსა და გარემოებებს, რათა უფრო დაბეჯითებით გააიგივოს ბარათის ბედდანავსული პერსონაჟი ამ ისტორიულ პიროვნებასთან.

აი, ზაქარია ორბელიანთან 1844 წლის აგვისტოში გაგზავნილ ბარათში მოხსენიებული ელიზბარი („მერმე მე და მამუკა გორს გადავედით, იქ დაგვხვდნენ ელენე, მანანა, რომელიც ორის დღის წინათ ჩვენზედ წავიდა, მელანია და ბევრნი სხვანი; ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის სახლებში, ესტატე ერისთავის შვილისა“) უკვე დარწმუნებითაა გაიგივებული შეთქმულების მეთაურთან და მამის სახელითაც აღინიშნება კომენტარში და დაბადება-გარდაცვალების თარიღებითაც: 1808-1871.

საამისოდ მელანიას ხსენებაც კმაროდა იმავე სტრიქონში. მართლაც სხვა მელანია და ელიზბარი ვინ უნდა ყოფილიყო, რომელთა სახლშიც ერისთავთა შთამომავალი მოინათლებოდა?!.

მთელი ორი კვირა სულ ქეიფ-ქეიფ დადიან მამუკა ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლამის მთელს ქართლს შემოივლიან დროსტარება-შექცევით და თავდავიწყების ამ ორკვირეულში – არც ქორწილს რომ არ უშვებენ ხელიდან, არც ნათლობას და უსაბაბოდაც ხან ვის მიადგებიან კარს და ხან ვის – ელიზბარ ერისთავის სახლიც ჩართულია და მისი მოხსენიება მხოლოდ სახელით – სხვა ყოველივეს რომ თავიც დავანებოთ – უკვე საკმარისია გრიგოლ ორბელიანთან გაგზავნილი ბარათის პერსონაჟ ელიზბართან გასაიგივებლად.

იქეიფონ, დრო ატარონ, განა რამდენი ხნის სიცოცხლე დარჩენია, ნიკოლოზ ბარათაშვილს, მამუკა ორბელიანთან ერთად განჯას გამგზავრება 1845 წლის 19 ივნისს საბედისწეროდ რომ გაუხდება

სულ რამდენიმე თვეში – 9 ოქტომბერს. ვერ აღმოჩნდებოდა ოქტომბრის ის დღე ელვარე და ლომფერი.

ჯერ სიცოცხლის ჟინით აღვსილა და ზაქარიასთან თავს იწონებს: ატენში სულ შუშურები გვასვესო, – და მხარს უბამს მამუკა ორბელიანს, რომელიც ძალიან გამხიარულდება ახალგორში და ის აიყოლიებს ტატოს თუ ტატო აიყოლიებს მას, გორში კი გადავლენ დროსტარების გასაგრძელებლად. ელიზბარის სახლშიც ასე მოხვდება ორივე.

მამუკა ორბელიანი... ელიზბარ ერისთავის ოჯახში!..

ნეტა მანამდეც თუ შეხვედროდნენ ის და ელიზბარი, რაც მთავარსარდალი თავის მიწა-წყალს დაუბრუნდებოდა. უკვე თუ შეეთვალა მისთვის მონანიება, მამისმკვლელობაში რომ ადანაშაულებდა გამომძიებელთა წინაშე და უცილობელი სიკვდილისათვის იმეტებდა? იქნებ შემთხვევით შეეჩეხნენ სადმე და იქ დაემხო მის წინაშე გულამომჯდარი? იქნებ სწორედ ეს დღე გამოიყენა განყვეტილი ურთიერთობის აღსადგენად – ბარათაშვილთან ერთად სტუმრად მისულს ელიზბარი იოლად ვერ გამოაბრუნებდა უკან და მამუკა ორბელიანს ხელსაყრელი საშუალება ეძლეოდა მოსანანიებლად.

ვაჟკაცობით განთქმულიო, – ეს შეფასება გამოჰყვებოდა მის სახელს და პავლე ინგოროყვას კომენტარებშიც ასევე მოიხსენიებოდა. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეო, – ესეც აღნიშნულა, თუმც აჯანყების მზადებისას დიდი რამ ვაჟკაცობა არ გამოუჩენია და ვერც გამოძიებისას მოჩანს უდრეკ პიროვნებად – ელიზბარს სულაც რა დააბრალა!.. ასეც რომ ყოფილიყო, მსჯავრდებულისათვის კიდევ ამგვარი ცოდვის წაკეცვა?!. მაშ ვაჟკაცობა სადღა დაემტკიცებინა? ეტყობა, თავზეხელაღებული მებრძოლი გახლდათ და თავის წვლილსაც დასდებდა რუსთა მიერ კავკასიის დამორჩილებას. ყაბახზე ტოლი არა ჰყავდა და მისი ბადალი მოჯირითე ძნელი მოსაძებნი გახლდათ. სახელიც ამით დაეგდო და კიდევ იმ სიფიცხითაც, ყველა რომ ერიდებოდა მასთან შეჯახებას, განსაკუთრებით ნასვამთან.

– აჩქარებული ხასიათისა და ღვინოში ხომ კარგა ჭირვეული იყოო, – ალექსანდრე ორბელიანმა, – იმისის ხასიათის გამო მომატებულს სახელს ბუილას ეძახდნენო.

ბუილა – იქნებ კიდეც მიხვდით, რუსული „ბუივალია“ – და კაცს რომ კამეჩად მოიხსენიებენ, სხვა ეპითეტი და დახასიათება უკვე ზედმეტიცაა.

დუელში ალექსანდრ პუშკინის მოკვლის ამბავს რომ შეიტყობდა, ჩაითქვამდა, ახლავე უნდა გავემგზავრო პეტერბურგს და დანტესის მოკვლით ვიძიო შურიო.

კიდეც მიაკითხავდა და კიდეც გამოითხოვდა დუელში, მთლად მის ნებაზე რომ ყოფილიო. ეგაა, სხვა ლეგენდებს მამუკა ორბელიანზე ეს ლეგენდაც შეემატებოდა: ქართველთაგან ყველაზე მეტად მას რომ გამოედო თავი იმ საბედისწერო დუელის გამო, და ახლა, ელიზბარის სახლში შესული, ცოტა ნირწამხდარი გამოიყურებოდა. თუნდ უკვე მიეტევებინა მისთვის მასპინძელს, თუნდ ახლა მოენანიებინა მამუკას, მთლად ძველებური დარდიმანდობით ვერ მოილხენდა. თუმც გარეგნულად არაფერი შეტყობია და არც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბარათში აღმოჩნდება საამისო რამ კვალი.

სულ შუშურები გვასვესო, – ეს უკვე ატენში ხდება, ელიზბარის სახლიდან გამოსულები იქ რომ ამჯობინებენ სტუმრობას და არა მაშინვე გამობრუნებას ტფილისში.

ასეთი გადმოცემა არ შემორჩენილა: შენ ჩამომეცალე, ტატოო!..

ეტყობა, ისე თვალსაჩინო არა ყოფილა მისი ტრფიალება, როგორც გიორგი ერისთავისა, და დიდად სალაპარაკო ამიტომაც არ გამხდარა – მკრთალ მოგონებას თუ შემორჩებოდა, გლუხარიჩს კი გუნებაში სულაც თავისთვის დაებევებინა ქეთევან ერისთავი და ელიზბარის თავგამოდებაც ამას გამოუწვევია.

– შენ ჩამომეცალე, გიორგი!..

ნინო ქობულაშვილი სხვა მოტივს დაასახელებს გლუხარიჩის განზე განდგომისა:

– გიორგი ერისთავსაც უნდოდა, თურმე, დედაჩემის შერთვა, მაგრამ როგორც ნათესავს, ჩამოცილებია.

მანამდე არ იცოდა, ნათესავი რომ იყო?!.

მაინცდამაინც ელიზბარი უნდა ასვეტოდა წინ?!.

ეტყობა, თავს იმართლებდა მარტო დარჩენილი, ელიზბარს კი არ შევუშინდი, ისედაც გადავიფიქრებდი, ნათესავებს შორის ასეთი რამ როგორ შეიძლებაო.

ელისაბედმა აკი: როგორც უფროსს, ამიტომ დაუთმო მამაჩემსო.

მეორეული მოტივი სხვაც შეიძლება კიდევ აღმოჩნდეს, მაგრამ შემთხვევით არ შემორჩენილა ის ქადილიანი ფრაზა და გადამწყვეტიც ის შეფარული მუქარა უნდა იყოს და ლიტერატუ-

რულ დეტექტივშიც ასე ავხსნიდი: გიორგი ერისთავმა, ეტყობა, სერიოზულად სცადა ბედი და... კიდეც გამოეცხადა ელიზბარი სიკვდილის აჩრდილივით: ჩამომეცლები, გიორგი, ვაი დედიშენის ღმერთსაო!..

თითქოს ეს სცენაც ეპოსის ნატეხი ყოფილიყოს.

დეტექტიური ცდიდან კი პირდაპირ გადმოვიტან ამ სცენის ფსიქოლოგიურ სარჩულს:

„რა თავზეხელაღებულიც ახსოვდა, ისევ ის დარჩენილიყო და უკან არაფრის წინაშე არ დაიხევდა. რუსეთის საბელზე გამობმული ქვეყნისათვის რა ეშველა, თორემ ქეთევანს ვის დაუთმობდა.

ჩამომეცლები, გიორგიო...

ძველი იატაკქვეშელები ახლა პირისპირ შეჯახებოდნენ და, სხვა რა ჩარა იყო, გიორგი ერისთავს თავი უნდა ენუგეშებინა, ჩემი ნებით დავთმეო“.

შე უღმერთო, შენთვის მინდოდაო, – ცალკე გრიგოლ ორბელიანს შემოეყრებოდა გულს და კონსტანტინე თარხნიშვილი კი მაინცდამაინც არ უსაყვედურებდა საკუთარ თავს, საკვირველად მშვენიერი და ჭკვიანი ქალი ხელიდან რატომ უნდა გამფრენოდაო. ელიზბარი თუ არ ჩადგებოდა შუაში, მაშინ სხვა საქმე გახლდათ, იქნებ რეალურიც, თორემ გრიგოლ ორბელიანის მაჭანკლური თავგამოდება სხვა ხეირს ვერაფერს მოუტანდათ ერთსაც და მეორესაც, თუ არა ელიზბარ ერისთავის გამოცხადებას სიკვდილის აჩრდილივით: ჩამომეცლებით, ბიჭებო, ვაი დედითქვენის ღმერთსაო!..

ეპოსს იქნებ კიდეც დაშვენებოდა დრამატული ნაკადის კიდევ უფრო გამკვეთრება.

იქნებ თავგადასავალთა გაგრძელება აუცილებელიც ყოფილიყო ქორწინების დღემდე, ახალ-ახალ დაბრკოლებათაგან თავის დაღწევა ეპიკური სიუჟეტის გაშლისას, მაგრამ იოლი არც რეალისტური ამბავია და საკმაო ბარიერებიც მოჩანს ჯვრისწერის გზაზე და ისეთი ფარული ფონიც, უმძაფრესი ვნებებით დამუხტული, სწორედ დეტექტიურ ჩაძიებას რომ მოითხოვდა.

თითქოს საძიებელიც ისეთი არაფერია, მხოლოდ გადმოცემა რომ გვეპყრას ხელთ და ნინო ქობულაშვილის მოგონების ეს ნაწყვეტი აღგვადგენინებდეს მთელს განწყობილებას:

– დედას არ უნდოდა მამაჩვენის, ელიზბარ ერისთავის შერთვა; მდიდარი კაცი ყოფილა და მშობლებს ძალად გაუტანებიათ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი რომ არა, რაც ამ გადმოცემას თავდაყირა დააყენებს, თუკი მის შინაარსს ამოვიკითხავთ, მართლა რაღა უნდა გვერკვია – ცალმხრივი მოჩანს ეს სიყვარული და ქალის მშობლების მხრივ სულაც ანგარიშიანი, თუმც ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეთვისებია და მოყვარული ოჯახიც შეუქმნიათ.

მაგრამ ჯერ კიდევ 1835 წელს შექმნილ ლექსში ქეთევანიც რომ სიყვარულით გათანგულა და მისი გული ელიზბარს მისტირის, ელიზბარს მისძახის და სიცოცხლეც არად მიაჩნია უიმისოდ?

მისი განცდების სიმძაფრე უბიძგებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის წარმოსახვას, რომ უკიდურესობამდე მიეტანა დრამატიზმი, ტრაგიზმის სიმაღლემდე აეზიდა და რეალური ქალისათვის შეეცვლებინა მისივე სიმბოლური სახება, ასე გამოძერწილი ლირიკული გმირი კი სულაც ქსნის ტალღებისათვის გაემეტებინა.

ადრესატი არ უსაყვედურებდა, ასე რატომ გამიმეტეო.

ბუნებრივად მიაჩნდა ქეთევანს მისი მწვავე განცდების სწორედ ასეთი გარდასახვა პოეტურ ენაზე და ამიტომაც არა წყინდებოდა ამ ლექსის წარმოთქმა შვილებსა და ნათესავ-მეგობრებში ჩამჯდარს სიცოცხლის ბოლომდე.

ბარათაშვილის ლექსი ამ გადმოცემას თავდაყირა დააყენებსო...

გადმოცემაც თავის მხრივ არღვევდა ლექსში შექმნილ განწყობილებას, რაც თავისთავად ლოგიკურ ძაფზე ასხმულიყო.

ქეთევანი კაეშანს შეუპყრია ჰელსინგფორსში გადაკარგული სატრფოს გამო, ვისაც არ დასცალდა საყვარელ არსებასთან ერთ გვირგვინქვეშ დგომა და, რაკიღა მისგან აღარაფერი ისმის, ქალი სასონარკვეთას შეუპყრია.

მაშ რა ხდება – გმირი ბრუნდება გადასახლებიდან და, ნაცვლად აუწერელი მადლობისა ზეცის მიმართ, ქეთევანის მშობლების ჩარევა და ელიზბარის გამდიდრება ხდება აუცილებელი ოდინდელ შეყვარებულთა შესაუღლებლად.

შუშის ქარხანა რომ არ აეგო და წარმატებითაც არ აემოქმედებინა, ქეთევანის მეუღლეობას ვერ ეღირსებოდა?

ათი-თორმეტი წლის წინათ ოდნავადაც არ ენაღვლებოდა ქალს მისი სიმდიდრე-უქონელობა და ელიზბარის გადაკარგვა ხელ-ფეხს კი არ გაუხსნიდა, სიცოცხლე აღარ ენება, და ამ წლებს ასე როგორ გაექრო და ამოეშანთა მისი გულიდან მხურვალე სიყვარული, რომ მშობლები ასეთი მონდომებით ჩარეულიყვნენ?

იქნებ... იქნებ ლექსის „ელიზბარი“ სულ სხვა პიროვნებაა და არა 1832 წლის შეთქმულების მონაწილე?

დეტექტიურ ცდაში ჯერ „ელიზბარის“ ვინაობა დაზუსტდებოდა და ის მიზეზიც ამოიხსნებოდა, თუ რატომ ეწერა ბარათაშვილის ლექსთა 1841 წლის ავტოგრაფულ კრებულში „ელიზბარი“, 1842 წლის ავტოგრაფულ კრებულში კი „ელიზბარი“ გადაშლილიყო და პოეტს ზემოდან მიეწერა „ამილახვარი“, და საბოლოოდ ასეც დარჩებოდა – კანონიკურადაც მას აღიარებდა პავლე ინგოროყვა.

ქეთევან შუა ქსანშია მარად შეერთო ღელვილი;
მხოლოდ ისმოდა სახელი ამილბარისა ზვირთებში!

ბაგეზე მისთვის ამ უძვირფასესი სახელის ხსენებით უნდა შთაინთქას ტალღებში ლირიკული გმირი.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ამილბარის ერთ-ერთი მნიშვნელობაა მხედართმთავარი, და თეიმურაზ ბაგრატიონის ლექსიკონის მიხედვითაც, ამილბარი მხედრობით ყოველთა მთავარს იგულისხმებდა. და რაკილა ეს ლექსიკონი იმავე ხანებში შედგენილიყო, როდესაც ბარათაშვილის ლექსიც დაიწერებოდა, შესაძლებელი ხდებოდა ზედმიწევნით მივმხვდარიყავით, თუ რა მნიშვნელობით გამოიყენება ეს სიტყვა ამ პოეტურ ქმნილებაში.

მხედართმთავრად კი ერთადერთი ელიზბარ ერისთავი აღიარებულიყო შეთქმულთა წრეში, გადამწყვეტ წუთს რომ ედო თავს აჯანყების ყველა ძაფის მოქცევა საკუთარ მარჯვენაში, და დეტექტურ ცდაში საკმაოდ ჩამოინერებოდა მასალები, ელიზბარის ამ აღზევებას რომ ადასტურებდა – თავისთავად და ძალდაუტანებლად.

ჩვენი წრიდან ისეთი ვინმე ამოვირჩიოთ, რომელმაც მეგობრობისა და სიყვარულის ფასი იცის, – განაცხადებდა ალექსანდრე ორბელიანი, და ყველას მზერა ელიზბარ ერისთავს რომ მიაჩერდებოდა, ისიც აღიმართებოდა აჯანყების ერთპიროვნულ მეთაურად:

– თუნდა მე ვიქნები!

32-ის განწყობილებებით აღვსილი მხოლოდ ის ლექსი მიაჩნდათ ბარათაშვილის ლირიკაში – „ძია გ...-სთან“.

თურმე „ქეთევანიც“ ამავე განწყობილებებით ყოფილა ნასაზრდოები. და დეტექტურ მონათხრობში არც ის საგულისხმო დეტალი დარჩებოდა ქარგის გარეთ, რომ ბარათაშვილის მონაწილეობი-

თაც შედგენილ ხელნაწერ ჟურნალში – „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“ – იმ მეტად მწვავე წლებში – 1833-35 – შეთქმულთა ნაწერებიც გამოქვეყნდება, მათ შორის, ორი მეთაურისა – ალექსანდრე ორბელიანისა და სოლომონ დოდაშვილის, და რაკიღა ელიზბარ ერისთავს დაბეჭდვით ვერაფერს დაუბეჭდავდნენ, ბარათაშვილი მისი სახელის ხსენებითა და მისი ბედის დატირებით მოიოხებდა გულს და წარმოსახვით შეკრავდა აჯანყების მეთაურთა წრეს.

საკუთარი სახელის შენაცვლება სიმბოლური წოდებით მაინც რას უნდა გამოეწვია?

ვიდრე გადასახლებაში იმყოფება, მანამდე წერია ლექსში „ელიზბარი“, სამშობლოში დაბრუნებული კი ბარათაშვილისათვის ის ამილბარია, ყმაწვილის ოცნებებში რომ სულდგმულობდა.

იდეალადაც დაესახა.

იმ რომანტიკულ გმირად, რაც ევროპულ რომანტიზმს ნაპოლეონ ბონაპარტეს სახელსა და ცხოვრების გზასთან გაეიგივებინა.

გრიგოლ ორბელიანთან გაგზავნილი ბარათაშვილის წერილის თარიღი, ხელნაწერ კრებულში გადაშლილი სახელი და ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის წესდება, რომელშიც ელიზბარი დამფუძნებელ წევრთა შორის იხსენიება, დასაყრდენად გამომადგებოდა ჰალსინგფორსის ტყვის სამშობლოში დაბრუნების ხანის დასაზუსტებლად: 1842 წლის თებერვალ-მარტის მიჯნა.

ამ ისტორიული ფონის ამოშიფრვას უნდა მივეყვანე ლექსის ფსიქოლოგიური სარჩულის, მთავარი საიდუმლოს გასაღებთან, თუ რატომ მოუხდა ელიზბარ ერისთავს ხელახლა ქეთევანის სიყვარულის მოპოვება.

ჰელსინგფორსში თუ რაიმემ გააძლებინა დამხობილ მთავარსარდალს, უთუოდ იმ სწრაფვამაც, ისე არ აღსრულებულიყო, ქეთევანი ვეღარ ეხილა, და თუ სიკვდილი იყო, მის მკლავებში ეპოვნა ის გარდამავალი წამიც და მისი ცრემლიც დაპკურებოდა. თუ მაინცდამაინც... თორემ დიდხანს ყოფნა ენატრებოდა მის გვერდით, ზღაპარივით უსასრულობაში ჩაკარგული დრო, და იმ გაცდენილი წლების ისე ანაზღაურება, წამიერ და ბუნდოვან მოგონებად შერჩენოდა ყაზარმობისა და ჰელსინგფორსის ჟამი მის ცნობიერებას.

არა ხიბლავდა: ნუ დამიტიროს სატრფომ გულისამ, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარისო...

ბარათაშვილს კი ხიბლავდა?

ეგაა, გული უგრძნობდა, სამშობლოსაგან შორს რომ უნდა ჩაეყარა ძვლები და ბედისწერას არ უტყდებოდა – შენ კი ვერ დამატარებ შენს ნებაზე, მე თვითონ ამირჩევია ასეთი ხვედრი და რაღაცით კიდეც მომწონს, ეს რომ მელის და არა ჩემს საწოლში მშვიდად ამოხდომა სულისაო.

ელიზბარს ასეთს არაფერს უგრძნობდა გული, სწრაფვის ჟინი სწრაფვის ჟინად რჩებოდა და საუკუნეებად გაჭიმულ წლებს ბოლოს მაინც ნიშნს მოუგებდა – ასე ადვილად მაინც ვერ ამომშალეთ საქართველოს ცხოვრებიდანო.

ქეთევანიც მისკენ ისწრაფის და მისი სიყვარული ანტიკური ტრაგედიის სიმაღლემდეც აიზიდებოდა, თითქოს ძველთუძველესი სცენაა, რეალური და სიმბოლური ისე შერწყმია ერთმანეთსო.

ვინ იცის, ფიქრით რამდენჯერ გადაუგდია ქსანში თავი.

ეს განცდა ირეკლებოდა მის მზერაში, ეს განცდა გაიელვებდა ხმის კილოსა და მოძრაობებში, და ბარათაშვილი – გულშეძრული, მართლა რამე არ აუტეხოს თავსო – პერსონაჟზე გადაიტანდა ამ შინაგან ჭიდილს, ლირიკულ გმირს გადაულოცავდა სასონარკვეთის უკიდურეს ზღვარს და ქეთევანის მეორე მეს არგუნებდა საბედისწერო არჩევანს.

ქეთევან შუა ქსანშია, მარად შეერთო ღელვილიო...

მათი შეხვედრა – ჰელსინგფორსის ტყვისა და მისი მომლოდინე სატრფოსი – ისეთი უნდა ყოფილიყო, „ვეფხისტყოსანში“ რომ ამოგვიკითხავს და ტარიელისა და ნესტანის შეხვედრის სცენად დაგვმახსოვრებია, მზისა და მთვარის შეყრად, ოღონდ იმ ცვლილებით, რომ ამჯერად ვაჟი გამოეშვა გველსა.

იდუმალი ფონიც ინარჩუნებდა ჰეროიკულს, მიუხედავად შეთქმულების მარცხისა.

ვეფხისტყაოსნისებურ განცდებს ვინ ჩივის – მეტად ცივია მათი შეხვედრა, ქალი გაურბის, არ იკარებს, და თუმც დამდურებით არ დამდურებია და თავაზიანობასაც იჩენს, მისი ცოლობა ვერაფრისდიდებით ვეღარ წარმოუდგენია და რაც მალე ჩამოეხსნება ელიზბარი, ის ურჩევნია.

მიხვდეს ისიც, რომ ტყუილუბრალოდ ჰკარგავს დროს და სხვა ეძიოს, ვინც გულს გადაუხსნის და სულიერ ტკივილებსაც დაუამებს.

ბარათაშვილის ხელნაწერი კრებული უნახავს და იმ ლექსში შინ დარჩენილი სატრფოს უსაზღვრო მოლოდინი და სიყვარული ამოუკითხავს, ტალღებშიც ამილბარი რომ გაისმოდა?

პოეტის ნება პოეტის ნებაა. და თუნდ მაშინ ასეც ყოფილიყო, დროს საკმაოდ უცვლია ფორმა და ფერი საგნებისათვის, სინამდვილე ისეთი აღარ არის, როგორიც ელიზბარს ეგულებოდა და რამაც გადააატანინა სულშეხუთული წლები – ყოველივე, დიდიც და მცირეც, ერთნაირად გადასხვაფერებულა და რაღა სატრფოს გული დარჩებოდა უცვლელი?

მაინც უცვლელი უნდა დარჩენილიყო? რეალობის ცვლილებას მხოლოდ სატრფოს გული არ დამორჩილებოდა?

პოეზიაში. დრამაში – რატომაც არა...

იქნებ რეალობაშიც?

ხან იქნებ რეალობაშიც, მაგრამ ამჯერად ასე არ მომხდარა და, როგორი მწარეც უნდა იყოს ამის შეგრძნება, ისევ მისი აღიარება სჯობს, სინამდვილისათვის თვალის გასწორება, ვიდრე მირაჟების დევნა.

ერთხელ ხომ მისდევდა მირაჟებს, ქვეყნის გამოსახსნელად რომ მოსდებოდა მის მინა-ნყალს და ფარული ორგანიზაციის შექმნაში ეგულებოდა დახშული სივრცის განგრევის ერთადერთი გზა.

საზღაურად ყაზარმა და გადასახლება ერგო.

ახლა ნეტა რისი იმედი აქვს?

ქეთევანს კი ვერ ითანხმებს და ვერა.

შესაძლოა გულუბრყვილო კითხვაც გაჩენილიყო: განშორებამ ხომ არ უცვალა გულიო, მაგრამ ასეთი კითხვა როგორც კი დაიბადებოდა, იქვე გაქრებოდა, რადგანაც ქეთევანი სულ სხვა ხასიათის პიროვნებად მოჩანს – პენელოპეს დარ პიროვნებად, სხვა სიმტკიცისა და სულიერი მისწრაფებების, და სიყვარულს რატომ დათმობდა, თუკი უფრო დიდი სიყვარული არ ეწვეოდა და არ იფიქრებდა, რაც სიყვარული მეგონა, გატაცება ყოფილა, ახლა კი ჭეშმარიტად უნდა გამოვცადო ეს გრძნობაო.

მაგრამ ეს დიდი სიყვარულიც არსად ილანდება მის სიახლოვეს – მისით კი ბევრნი მოხიბლულან და ეოცნებებათ მისი შერთვა, მაგრამ ქეთევანი არავის ასდევს.

იქნებ საზოგადოებრივ შეგნებაში მოხდა ღირებულებათა დიდი გადაფასება?

ესღა რჩებოდა ხელის ჩასაჭიდებლად და დეტექტური ხლართის ბოლომდე გასახსნელად, და ნარკვევის ბირთვიც აქ შეიკვროდა.

მომხდარიყო ასეთი გადაფასება, მართლაც მომხდარიყო.

და ამ გადაფასებას მოჰყოლოდა ის, რომ სრულიად ამოყირავდებოდა 1832 წლის შეთქმულებისა და მის მონაწილეთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება, განსაკუთრებით მაინც მეთაურთა სახელები შეიბღალებოდა, და უფრო განსაკუთრებით – მთავარსარდლისა.

მიჯნაც საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილიყო, თუკი ამ მხრივ დავფიქრდებოდით.

1837 წლის ოქტომბრის თვე:

იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სტუმრობა საქართველოში.

და მიჯნაც ის გახლდათ, რომ დასრულდებოდა ჰეროიკული ეპოქა და დადგებოდა ყრუ მორჩილების ხანა – თავისი სასონარკვეთით, ეროვნულ იდეალებზე ხელის აღებით, ზნეობის მოშლით, კარიერის ძიებით ხელისუფლების სამსახურში და ჯილდოებისა და ჯინჯილების დასახვით ცხოვრების მთავარ მიზნად.

თავგანწირულმა ბრძოლებმა საშველი ვერ უპოვნა ქვეყანას, თვით ასეთი ყოველმხრივ ორგანიზებული იატაკქვეშა მოძრაობაც უსახელოდ გაინირა და საიმედოც არსად აღარაფერი ჩანდა. ერთადერთი, ვინც მზესავით ანათებდა წყვდიადს და სანუგეშო მომავალსაც პირდებოდათ, იმპერატორი გახლდათ – ლმობიერი და გულმოწყალე, თორემ სხვა, მის ადგილას, სასტიკად გაუსწორდებოდა მეამბოხეებს და მოთავეებს სულაც ოთხად განწვალავდა, იმ ელიზბარ ერისთავსაც – და მას პირველ რიგში – ახლა გაოგნებული რომ აფახულებს თვალებს, ეს სად მოვხვდი, რა ქვეყანა დავტოვე და სად დავბრუნდი, მხარი ხომ არ მეცვალაო.

არა, მხარი არ შეცვლია.

ეგაა, არ მოსწრებია იმპერატორის ჩამობრძანებასა და იმ ზარზეიმსა და მინაზე განრთხმას, რაც მაუწყებელი იყო მკვეთრი შემობრუნებისა საზოგადოებრივ ცნობიერებაში და იმ სწრაფი დაღმასვლისა, შეკავება რომ სულ უფრო გაძნელდებოდა.

ქვეყანა გაცვდა ვით ძველი გროშიო – ამ მეტაფორაში ის ეპოქაც ზუსტად მოექცევა და უფრო შთამბეჭდავად და ლაკონურად რაღამ უნდა გადმოსცეს მისი შინაარსი, რაც სამეცნიერო-ლიტერატურული ენით ასეც შეიძლება განიმარტოს, თამაზ ჯოლოგუა რომ გააშიშვლებდა: შეთქმულების ჩავარდნამ გამოიწვია პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის რადიკალური ცვლილებები და ამიტომაც განიცდის საზოგადოებრივი აზრი როგორც ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი თვითშემეცნების, ისე საზოგადოებრივი

სინდისის უჩვეულოდ სწრაფ, შეიძლება ითქვას, კატასტროფულ დეგრადაციასო.

და ეს კოლაფსური ყოფა სწორედ იმპერატორის სტუმრობასა და ამასთან დაკავშირებულ მოვლენებს უნდა გამოეაშკარავებინა.

მათ შორის ზნეობრივი თვალსაზრისით წარმოუდგენლად სამარცხვინო ფაქტებმაო, – ამასაც დასძენდა და თვალსაჩინოებისათვის დაასახელებდა ჩემს ბიოგრაფიულ რომანს „ალექსანდრე ორბელიანი". აღარ დააზუსტებდა, რას გულისხმობდა, გამეორებას მოერიდებოდა იმის იმედად, რომ ჭეშმარიტი მკითხველი ისედაც მიუხვდებოდა, თუ რომელი პასაჟი უნდა აღედგინა გონების თვალით.

დიახ, ის – ღამით მაიკო ორბელიანს რომ მიუყვანდნენ დროის გასატარებლად იმპერატორს უქვეშევრდომილესი მორჩილებით აღსავსე „არისტოკრატები", თანამდებობის შენარჩუნება ან ერთი-ორი საფეხურით ამაღლება რომ ეზმანებოდათ და საამისოდ არც ამ ხელსაყრელ შემთხვევას გაუშვებდნენ ხელიდან და იდეალამდე ამაღლებულ ქალს – გარეგნობითა და სულიერი თვისებებით – შებღალვისა, ჭლექისა და ნაადრევი სიკვდილისთვის გაიმეტებდნენ.

ხელმწიფე-იმპერატორის ხილვის ბედნიერებას ახსენებს თავის მოგონებაში ლუკა ისარლიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილთან შეზრდილი, სულაც მის მეგობრობაზე რომ სდებდა თავს და ირწმუნებოდა, ყველა ლექსს მე მიკითხავდაო. „ვეფხისტყაოსანსაც" ერთად ვკითხულობდით და მთელი ადგილები ზეპირად ვიცოდით, „ვისრამიანსაც" ვკითხულობდით, ჩახრუხაძესაც, ალექსანდრე ჭავჭავაძესაც და ვის აღარაო.

რაც უფრო იზრდებოდა ბარათაშვილის სახელი, მით უფრო სახეირო ჩანდა მასთან მიტმასვნა, თუმც ეს კუდა-მელა, როგორც შეერქმიათ მისთვის, მაინცდამაინც არა უნდა ტყუოდეს, ბარათაშვილთან სიახლოვეს რომ იჩემებს – რა მოხდა, ყმაწვილები ლიტერატურის სიყვარულს თუ დაემეგობრებინა. მაშინ ვინ განჭვრეტდა, ლუკა ისარლიშვილს ხელისუფლების ერთგულება და მორჩილი სამსახური სასტიკ ცენზორად თუ გადააქცევდა. ან თვითონ კი წარმოიდგენდა?!.

– ხელმწიფე-იმპერატორის ხილვის ბედნიერებას რომ ღირსებოდნენ, ტფილისს მოაწყდა ყველა წოდების მოსახლეობა კავკასიის ყველა კუთხიდან. სპარსეთისა და თურქეთის საზღვრისპირა

პროვინციებიდან, სამეგრელოს, აფხაზეთის, სვანეთის, დაღესტნის ხელისუფალნი. დიდხანს ეჭვობდნენ და თითქოს არცა სჯეროდათ, რომ დიდი ფადიშაჰი ჩამობრძანდებოდა და თავისი სხივმოსილი ყურადღებით დააჯილდოვებდა ამიერკავკასიას – ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებელი ფადიშაჰი, რომლის ერთ ნიშანზეც კი მაღალი მთები იწყებენ ძრწოლას და ვისი თვითეული სიტყვაც ადამიანებს ანიჭებთ სიცოცხლესა თუ სიკვდილს, ბედნიერებასა თუ უბედურებას.

მითოსურ შარავანდში გახვეულა იმპერატორი, მისი ჰიპერბოლიზებული სახება ღმერთისას შესტოლებია და ეს აზრი და განცდა ისეთი მიზანდასახულებით ინერგება ადამიანთა გონებაში, თვითონვე მოეშურებიან იქით, სადაც უზენაესი ბედნიერება უნდა გამოსცადონ – თუნდ შორიდან მოახერხონ თვალის მოკვრა, ესეც კმარა ბედნიერებისათვის.

ბევრს თვალის მოკვრაც საოცნებოდ დარჩებოდა. ზღვად მოლეკილ ხალხშიც გაერეოდა, წინ-წინაც წადგებოდა, მაგრამ სანუკვარ პირისახეს წამიერადაც ვერ შეავლებდა თვალს, ფაბრიციო დელ დონგოსი არ იყოს, ნაპოლეონ ბონაპარტეს სანახავად იტალიიდან ვატერლოოს ველს რომ მიაშურებდა კონტინენტს გადაღმა, იმპერატორის ჯარისკაცებშიც ჩადგებოდა, სულ მზადმყოფიც იქნებოდა, თვალი უნებურად არსად გამექცესო, ბედნიერების წამიც მოახლოვდებოდა, როდესაც ნაპოლეონი მათ რიგებს ჩამოუვლიდა, მაგრამ ბედისწერა სასტიკად დასცინებდა იტალიელ ჭაბუკს და თვალის შევლებსაც არ აღირსებდა საოცნებო გმირისათვის.

გაწბილების ეს სცენა ერთი საუკეთესო ეპიზოდია სტენდალის რომანში „პარმის სავანე“, და არა როგორც კერძო შემთხვევა, არამედ განზოგადებული მოვლენა, ბედის ჟინიანი თამაშის ერთი გამოვლენათაგანი.

შემოეძარცვებოდა ნაპოლეონს მითოსური შარავანდი ვატერლოოს ველზე, რუსეთის იმპერატორი კი ჯერ კიდევ შეაძრწუნებდა მთებს და ერთი სიტყვით მიანიჭებდა ადამიანებს სიცოცხლესა და სიკვდილს, და ყაბახი, ახლა მადათოვის მოედანი რომ შერქმეოდა, ხალხით გადავსებულიყო და დათვალიერებისათვის იმ დღეს შემოყვანილი ჯარიც ერევნის პოლკითურთ აქვე იდგა. ქაშუეთის ეკლესიიდან დაწყებული გოლოვინის პროსპექტის ჩათვლით გადაჭედილიყო ათასგვარი ეროვნების, ჩამომავლობის, ენის, წოდებისა თუ ქონების ხალხით.

რა გასაკვირია, რომ მთელი ეს უზარმაზარი და ჭრელი მასა განსაცვიფრებელ სიჩუმეს ჰყოლოდა შეპყრობილი, – სასოებით მომლოდინე სამეფო ეკიპაჟის გამოჩენისა.

ბოლოსდაბოლოს უნდა გაისმას სანატრელი ბრძანება: სმენა! – და ჯარიც ელვის სისწრაფით მოეწყოს.

იმპერატორი კი ამალით უნდა მიუახლოვდეს ჯარის წინა ხაზს.

მუსიკის ხმებიც გაისმას და სამეფო დათვალიერებამ გააბედნიეროს მხედრობის ის ნაწილი, რომელსაც განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ხელმწიფის სამსახურში და რომლის მქუხარე და მხურვალე „ვაშამაც" იქაურობა უნდა შეაზანზაროს.

– ბევრი იყო იქ ბრგე გენერალი, მაგრამ ყველაზე ახოვანი მაინც იმპერატორი გახლდათ და ეს ახოვნებაც, მანერებიც, გამოხედვაც მას რაღაც განსაკუთრებულ მომხიბვლელობასა და მილიონთა მბრძანებლის სიდიადეს ანიჭებდა. მთელი ეს ურიცხვი, სუნთქვაშეკრული ხალხის მოწიწებული მზერა მხოლოდ და მხოლოდ მისკენ, – ხელმწიფე იმპერატორისაკენ, – იყო მიმართული.

ლუკა ისარლიშვილი, როგორც ხელისუფლების ერთგული ჩინოვნიკი, კარიერის გულისათვის ყველასა და ყველაფერს რომ გაწირავს, რაღაცას ხომ არ აზვიადებს და სასურველს რეალობად წარმოგვიდგენს?

იქნებ ეს მისი და პირადად მისი აღფრთოვანებაა და არა მაშინდელი საზოგადოებისა?

მაგრამ მემუარისტი ისეთს არაფერს გვიყვება, რასაც სხვა ამ ყაიდის გადმოცემები არ დაადასტურებდნენ – ამ შემთხვევაში იგი ზუსტად წარმოსახავს საერთო განწყობილებას და საყოველთაო აღტაცებას თავის პირად უზომო მორჩილებასაც შეურევს.

და აქ უნდა მოხდეს ის ეპიზოდი, რომელიც ამ მოგონებაში ზოგადი მინიშნებით აღიბეჭდება – „ხელმწიფური სამართლის აღსრულება" – და უფრო დაზუსტებას ზედმეტად იმიტომაც მიიჩნევს, რომ მაშინ ყველასათვის ცნობილია, თუ რა სამართალი აღასრულა იმპერატორმა, მოგვიანებით კი აუცილებელი გახდებოდა მკვლევართა ჩარევა: იმპერატორმა ადგილზევე დასაჯა პოლკოვნიკი ალექსანდრე დადიანი ხელქვეითთა შეურაცხყოფისათვისო.

იმპერატორის ეს საქციელი გათვლილია იმ გამაოგნებელ ეფექტზე, რაც კიდეც მოხდება – ირგვლივ ჩქამიც აღარ გაისმის და ადგილზევე გაქვავდებიან ყველანი:

– ლეკები, ფშავლები, თუშები, ხევსურები, თათრები, თურქები, სპარსელები, თურქმენები, რომელთაც ხელმწიფის სახილველად კასპიის ზღვის გადმოლახვა მოუხდათ, სხვები და სხვები. აღმოსავლეთის ხალხთა წარმოსახვაში გამოიკვეთა განსახიერება დიადი ფადიშაჰის იდეალისა, მსოფლიოს მბრძანებლისა, რომლის მონამორჩილიცაა კაციცა და ბუნებაც და ვისი ერთი ხელიც სიკვდილით სჯის ორგულთ, მეორე ხელი კი ერთგულებს ჯილდოს ანიჭებს. ყურიდან ყურში ჩურჩულით გადადიოდა: „ესაა ჭეშმარიტად დიადი ფადიშაჰი!"

პოლკოვნიკი დადიანი მთავარმართებლის, ბარონ გრიგოლ როზენის სიძე გახლდათ და მისთვის ფლიგელ-ადიუტანტობის საჯაროდ აყრა თვით იმპერატორის ხელით ისედაც გამაოგნებელ ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებდა.

– ხომ გახსოვს, კეკე, ნიკოლოზ ხელმწიფის მობრძანება და იმისი ყაბახზე ჯარების გასინჯვაო, – შვილს ეტყვის კარგა ხნის შემდეგ დიდი ქალბატონი სოფიო.

ეს ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახია – კეკე დედამისია, სოფიო – დიდედა. არავის ამოსდის მეხსიერებიდან ეს დღე და წუთები და რაღა ამათ მიავიწყდებოდათ; დროდადრო მოგონების სურვილიც წვავთ და ესეც ერთი იმ შემთხვევათაგანია, ელისაბედ ყაზბეგის მემუარებმა რომ უნდა შემოგვინახოს, იმ მემუარებმა, ამ რომანებისა და მოთხრობების ნამდვილი ავტორი ჩემი ძმა დიმიტრია და არა ჩემი ბიძაშვილი ალექსანდრეო, რომ ამტკიცებდა განსაკუთრებული ჟინით და უხაროდა, მიმდევარნიც რომ გამოუჩნდებოდნენ... თუმც მხოლოდ ამით ნუ განვსჯით იმ მოგონებათა დოკუმენტურ ღირსებას – ყველაფერი დაუჯერებელი კი არ წერია იმ ფურცლებში, საგულისხმო გარემოებასა თუ დეტალს არაერთს ამოვიკითხავთ, დიდადაც რომ წაგვადგება ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა თუ პიროვნებათა ფსიქოლოგიური პორტრეტის ანალიზისას და დედა-შვილის ეს დიალოგიც არ ტოვებს გამონაგონის შთაბეჭდილებას – ზუსტადაა გადმოტანილი საუბრის შინაარსი, ისტორიული ეპიზოდის თვითმხილველთა ნაამბობი და ნიშანდობლივი დეტალებითაც შევსებული.

სოფიო რას წარმოიდგენს, ეს მოკლე დიალოგი ოდესმე წიგნში თუ ამოჰყოფს თავს და უამრავი ადამიანი გაეცნობა, თვითონ მხოლოდ კეკეს ესაუბრება და: ღმერთო ჩემო, რა ამბავი იყო! იმის მრისხანე ხმა ეხლაც რომ მომაგონდება, შემაშინებს ხოლმეო, – გა-

მოუტყდება, – გახსოვს ბარონ როზენის სიძეს დადიანს, ტომით კი რუსს, ექსილბანდები რომ თავისი ხელით ააგლიჯაო?

– ქა, როგორ არ მახსოვს, კნეინა მანანა ორბელიანის სახლის აივანზე ვისხედით, რომელიც ყაბახს ზედ გადაჰყურებდა. ბარონის ცოლს და ქალს გულები შემოეყარათ და ერთი წიოკობა გაიმართა.

– შენ ხომ გაიგონე, ხელმწიფე რისთვის გაუწყრა დადიანსო, – ამასაც მოაგონებდა შვილს, რომ პოლკის უფროსობისას ის სალდათებს ურიგოდ იმსახურებდა – ზოგი მეღორედ დაეყენებინა, ზოგი მეცხვარედ, მებატედ და ასე. სხვასაც ბევრ უკანონობას სჩადიოდა და სალდათებს ამიტომაც ეჩივლათ.

მაგრამ ამას ყველა პოლკის უფროსი სჩადიოდა, სალდათთა ურიგოდ მომსახურება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა და ის გარუსებული დადიანი შესაძლოა სხვაზე ოდნავ მეტად წათამამებულიყო, როგორც მთავარმართებლის სიძე. საბედისწეროდ სწორედ ეს გაუხდებოდა. აუცილებელი იყო ვინმეს საჯარო დასჯა – სამაგალითოდ, და უკეთესი კანდიდატურა ვინ შეიძლება შეერჩიათ, თუ არა ბარონ როზენის ოჯახის წევრი – მას ყველა იცნობდა, სხვაზე მეტად მისი უკადრისი ქცევა გახმაურებულიყო და, პირწმინდად გარუსებულიყო თუ არა, გვარი მაინც ქართული ჰქონდა.

გახსოვს, კეკეო? – წლების შემდგომაც თვალწინ ედგა დიდ ქალბატონს ეს სცენა. იმას კი, შვილს, შერისხული პოლკოვნიკის ცოლისა და სიდედრის წიოკიც ახსოვდა.

ბრწყინვალე ბალი 10 ოტომბერს გაიმართებოდა.

ბედი არ გინდა? – ისეთი კოკისპირული წვიმა იშხუვლებდა და ქუჩებიც ისე ატალახდებოდა, რომ ერთი კუთხიდან მეორე მხარეს გადასვლა ძალიან გაძნელდებოდა. მაგრამ ბალის მონაწილეებს ეს რას დააოკებდათ – სიცოცხლეს უფრო იოლად დათმობდნენ, ვიდრე ბალზე დასწრებას, და გამოსავალსაც მოიფიქრებდნენ – მეკურტნეებს დაიქირავებდნენ და ბარგის ნაცვლად თვითონ აეკიდებოდნენ.

კომიკური სურათია.

დაუვიწყარიც.

ამ სცენაშიც ხელშესახებადათ არეკლილა საზოგადოებრივ განწყობილება და მხოლოდ ეს სურათი რომ გეპყრას ხელთ, ადვილად ამოიცნობ მანამდელ ამბებსაც და შემდგომსაც.

იხითხითებდა ინგლისელი მოგზაური რიჩარდ ვილბრეჰამი, უნებურად რომ მოხვდებოდა ამ საზეიმო შეხვედრაზე: ისეთი ნარე-

ვი ხალხი შეკრებილიყო, მასკარადზე მეგონა თავიო, – ამასაც იტ-ყოდა, – გადაჭედილ გასასვლელებსა და ოთახებში მამაკაცთა ნა-წილი, თითქოს ბრძოლის შუაგულში იმყოფებიან, იდაყვებით იკა-ფავდნენ გზასო.

და მეკურტნეთა აღლუმს კი სარკასტულად მიანიშნებდა მოკ-ლე ფრაზით: ფრიად გავერთე ჩემთვის ახალი სცენებითო.

საზოგადოების ცნობიერებას შემორჩებოდა იმპერატორის ცეკვა მართა სოლოღაშვილთან და ქალაქისთავის, სარაჯიშვილის ცოლთან, მისი განსაკუთრებული ყურადღება კი გრაფინია სიმონი-ჩის, ნინო ჭავჭავაძისა და მაიკო ორბელიანის მიმართ.

ეს ყურადღება გაუხდება საბედისწეროდ მაიკო ორბელიანს, ვინც იმ დღეს ყველა ლამაზმანს დაჩრდილავდა თავისი სიმშვენი-ერით.

სხვათა შორის, მაშინდელ ახალგაზრდებში ნიკოლოზ ბარათაშ-ვილიც გამოერჩია იმპერატორს: შენ ჩემი ორდინარეცი ხარო, – და მასპინძლებსა და მასთან შეხვედრის მთავარ მონაწილეებს სამახ-სოვრო მედლებს რომ გადასცემდა, ჭაბუკ პოეტსაც უბოძებდა ვერცხლის მედალს.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ეს მედალი არ უტარებია და იმდენად არ აქცევდა ყურადღებას, რომ ოფიციალური დოკუმენტი ამ უმაღ-ლესად ბოძებული ჯილდოს შესახებ მხოლოდ სამი წლის შემდეგ წარუდგენია სამსახურშიო, – საგანგებოდ დაუკვირდებოდა პავლე ინგოროყვა ამ სამახსოვრო მედლის გარემოებებსა და პოეტის ში-ნაგან პროტესტს, რაც უკვალოდ ჩაიკარგებოდა საყოველთაო გან-წყობილების ფონზე.

ბარათაშვილს კიდევ რა უშავდა – უკვალოდ თუ ჩაიკარგებოდა. ბოლოსდაბოლოს, ფარული პროტესტი გახლდათ, მისთვისა და ერ-თი-ორი მეგობრისათვის საცნაური და მათ თვალშიც თავშეკავე-ბული. და საზოგადოების რისხვას არ გამოიწვევდა – როგორ თუ არ აღფრთოვანებულა თვით იმპერატორის ჯილდოთიო.

ელიზბარ ერისთავს რა ეღონა სრულიად შეცვლილი საზოგა-დოებრივი აზრის წინაშე, იმპერატორის რეჟიმის წინააღმდეგ ამ-ბოხი უკვე მიუტევებელ დანაშაულად რომ ჩაეთვლებოდა. გმირი ყველას თვალში სახელმწიფო დამნაშავედ აღიქმებოდა, რომელ-საც, როგორც იმპერატორის მიერ შეწყალებულსა და სასჯელმოხ-დილს, ასე თუ ისე იგუებდნენ და კარს ადვილად თუ არ გაუღებ-დნენ, მთლადაც არ მოიკვეთდნენ, მაგრამ ნამეტანსაც ნუ მოინდო-

მებდა – მაინცდამაინც ერთ-ერთ საუკეთესო სასძლოს მისაკუთრებას ნუღა შეეცდებოდა. ეს იქნებოდა არა რეაბილიტაციის სურვილი, თანდათანობითი მორგება ცხოვრებისა, არამედ ახალი კადნიერება და თავისი ნების კარნახი საზოგადოებისათვის.

მისი ნების კარნახს რაც მოჰყოლოდა, ყველას კარგად ახსოვდა და ახალ სინამდვილეში გაცილებით უფრო მძიმე ცოდვად გამოიყურებოდა.

ქეთევან ერისთავი?

არავინ დაგიდევდა მათ ძველ სიყვარულს, ის კი არა, მის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემისა და ხათრის გამო თუ მოუხუჭავდნენ თვალს ელიზბარით იმ ყმაწვილურ გატაცებას და არ აითვალისწუნებდნენ, მაგრამ ახლა მაინც მოგებოდა გონს და ელიზბარ ერისთავში დაენახა არა გმირი, არამედ სახელმწიფო დამნაშავე, კეთილი ენება და ანგარიში გაეწია საზოგადოებრივი აზრისა და განწყობილებისათვის, თორემ თუ ამ აზრსა და განწყობილებას აუმხედრდებოდა, საზოგადოება მასაც მოიკვეთდა და გარიყავდა.

დაე აერჩია, რომელი უჯობდა.

სიყვარული თუ თავისი წრე.

ერთი ელიზბარი თუ საზოგადოება.

და ქეთევან ერისთავი ვერ გაუძლებდა ვერც საყოველთაო განწყობილებას, ვერც გარიყვის, მოკვეთის მოსალოდნელობას და... სატრფოსაგან გარიდებას არჩევდა.

თან უარს განუცხადებდა ცოლობაზე, თან... თან ვერც დაუთმია და არ აპირებს სხვას მისთხოვდეს, რათა თავი დააღწიოს სულიერ ჭიდილს.

არც ეს გარემოება უნდა გამოგვრჩეს.

საქმროები თავს ახვევია. თაყვანისმცემელნი გასაქანს არ აძლევენ.

გული არცერთისაკენ არ მიუწევს, თუმც მაინცდამაინც დასაწუნნი არ უნდა იყვნენ, თორემ აგერ გიორგი ერისთავი, აგერ კონსტანტინე თარხნიშვილი... სხვანიც მაშინდელი საზოგადოების ცნობილი და დაფასებული წევრნი იქნებოდნენ, სხვათათვის სანატრელი სასიძოები,

ქეთევან ჰაეროვანი, ქეთევან, ნაქები გულით, ნაქები მშვენიერებით...

ნიკოლოზ ბარათაშვილზე რომ აღარაფერი ითქვას.

ნეტა სულიერად მართლა უცხო გახდა ელიზბარი მისთვის?

სულის ულრმეს უფსკრულებს რას გაუგებ, მაგრამ გარეგნულად კი დაუთმია სიყვარული.

თამაზ ჯოლოგუა გაიზიარებდა ამ ვერსიას, როგორც სარწმუნოს, და სინანულით დასძენდა: ასე დამთრგუნველად უმოქმედია საზოგადოებრივ აზრს ისეთ ღრმად ინტიმურ გრძნობაზეც კი, როგორიც სიყვარულია, ბოლოსდაბოლოს, ეს ხომ მძიმე სენით დაავადებული საზოგადოებრივი ორგანიზმიაო.

თითქოს ვასილ ბარნოვის რომანის სათაური მეორდებოდეს: ტრფობა წამებული, – ისე თავისთავად მოექცევა ეს დრამატული სიყვარულიც ამ განსაზღვრებაში.

თუმც დასასრული განსხვავებულია.

აშოტ კუროპალატი ეტანჯა და სანუგეშო ვერარა ჰპოვა.

ელიზბარ ერისთავიც ეტანჯა და ბოლოს მაინც მიწვდა ოცნებას – ქალის სახედ გასიმბოლოებულს.

დეტექტურ ცდაში იმ გარემოებასაც მიექცეოდა ყურადღება, რომ თუმც ქეთევანის მშობლები ყაბულს იყვნენ, მაგრამ საერთო შეხედულებაც უნდა გაეთვალისწინებინათ და ხმებიც ამიტომ დაყარეს: ელიზბარ ერისთავი, ასეა თუ ისე, გვარიშვილია, ახალი მმართველობის ერთგული და დამსახურებული შანშე ერისთავის ვაჟია, მდიდარია, ჩამოეხსნა სახელმწიფოსთან ბრძოლას, ცხოვრების მდინარებას მიჰყვება და ჩვენი მხრივ ცოდვა აღარ უნდა იყოს, თუკი დავთანხმდებით მის შეუღლებას ჩვენს ქალთანო.

დამაჯერებელ მოტივად მოჩანს და ანგარიშგასაწევიც ამიტომაა.

არისტოკრატული წრე, იმპერატორის ერთგულებაზე რომ დასდებდა თავს და იმის ხელში განებივრება სიცოცხლის ერთადერთ აზრად მიაჩნდათ, წესით უკვე აღარ უნდა ამრეზოდათ. ბოლოსდაბოლოს, ქეთევან ერისთავი შეუღლებოდა არა მეამბოხეს, იმ ძველი სიყვარულით, არამედ ამ ახალი რეჟიმის პირობებში გამდიდრებულ კაცს, ვისაც საშუალება ეძლეოდა ცოდვის გამოსყიდვისა.

პირში ჩალა გამოვლებოდა გრიგოლ ორბელიანს.

კიდევ უარესად გაწბილებულიყო გიორგი ერისთავი.

ლექსის იდუმალი ქარგა აქ უკვე ამოიხსნებოდა, მაგრამ მკრთალ სიუჟეტში იგრძნობოდა კიდევ ერთი შეფარული მოტივი და ბარემ ისიც ნუღა მიყრუვდებოდა.

და იმ სტროფს ჩავუკვირდებოდი:

გულის-სწორო, ერთის ცილით
აგრე როგორ შეიცვალე,
რომე ტრფობა ჩვენი ამ ხნით
მას აგრე მსწრაფლ ანაცვალე.

რეალისტური ფონი რომ არა, ჩვენებითი ნაცვალსახელი „მას" უთუოდ ქალი გვეგონებოდა, ვილაც მესამე, შეყვარებულთა შორის რომ ჩამდგარიყო და ელიზბარიც გადაებირებინა.

მაგრამ დამხობილი მთავარსარდალი რომ გადასახლებაში იმყოფება?

ნუთუ „მსწრაფლ" სხვა ქალზე იქ გაცვალა სატრფო?

და ჰიპოთეზა გამოითქმოდა: „მას" შესაძლოა სამშობლოს გულისხმობდეს და ქეთევანი სწორედ ამას ყვედრიდეს: სიყვარული თავისუფლების ძიებას ანაცვალე, სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნება ამჯობინე სატრფოს წინაშე მოვალეობის შეგნებასო.

ორი სიმართლის ჭიდილადაც წარმოსდგებოდა ლექსის სიუჟეტური ქარგა, რომლის მკრთალი ანარეკლიც ისტორიული ფონით ივსებოდა და რელიეფური ხდებოდა. ეს შეურიგებელი ჭიდილი კი ასეთივე სულიერ ტრაგიზმს უტოლდებოდა, როგორიც საქართველოს ისტორიიდან სხვანიც გვახსოვდა – აშოტ კუროპალატის, ლაშა-გიორგის... ერთმანეთს რომ შეეხლებოდა სამშობლოს წინაშე მოვალეობა და მოვალეობა სიყვარულის წინაშე.

გიორგი მერჩულეც და უცნობი მემატიანეც ერთი რაკურსიდან შეხედავდნენ სულიერ ჭიდილს – ვაჟების მხრიდან.

ნარკვევში აღარ მიხსენებია სტენდალის იტალიური ქრონიკა „ვანინა ვანინი", რომელშიც ამ ორი სიმართლის შეჯახება კლასიკური სახით გამოიკვეთებოდა და მთავარი გმირი ამჯობინებდა თანამზრახველებთან ერთად დაღუპვას, ვიდრე საყვარელ ქალთან ერთად გაქცევას ოკეანის გადაღმა და იქ ბედნიერ ცხოვრებას. მისთვის ბედნიერება ქვეყნის თავისუფლების ძიებისათვის თავშეწირვაა და არა ოჯახური კეთილდღეობა.

ეს თხრობა შევავსოთ ამ თვალსაჩინო ნიმუშითაც და დავძინოთ, რომ სტენდალის რაკურსიც იგივეა, რაც გიორგი მერჩულესი და უცნობი ისტორიკოსისა.

ბარათაშვილთან კი რაკურსი შეცვლილია და სიყვარულის ტრაგედია ქალის თვალთახედვითაა განსჯილი.

რად შემიპყრა მე გლახ-გული, უმანკო და უზრუნველი? რად დამიჭკნე მე ყვავილი ყმაწვილობის, ჯერ უშლელიო, – ყმაწვილქალი უნუგეშოდ მინავლებულ სიცოცხლეზე რომ დარდობს და უსიყვარულოდ მისთვის აღარც მზე მზეობს და აღარც დარი დარობს და ქსნის ტალღებს მიანდობს თავის მწუხარე ყოფას, აშოტ კუროპალატის გოდებას მომაგონებდა: ნეტავ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო.

და ქსნის ტალღებს რომ შეერთვოდა, ეს ფინალური სტრიქონი ძალაუნებურად მიუჩენდა ფიქრს: ნეტა ეს მართლა ქეთევანის განცდა იყო თუ ბათაშვილი ცდილობდა ასე მოევლინა ნუგეში სასოწარკვეთილი ქალისათვის? თუ აქ, წუთისოფელში ვერ იპოვნე ბედნიერება, მიღმა სამყარო ხომ მაინც აღარ გაგიმეტებსო.

გრიგოლ ორბელიანისათვის შეუმჩნეველი დარჩებოდა ვნებათა ეს სიმძაფრე, ეს გულისჭიდილი.

ბარათაშვილისათვის არ დარჩებოდა შეუმჩნეველი და ლირიკის მწვერვალზეც აზიდავდა წამებული ტრფობის ამ კიდევ ერთ ეპიზოდს.

და რაც უფრო ხელშესახებია ეს სიყვარული, რაც უფრო მძაფრი და უკიდურესობას მიღწეული, მითუფრო მკაფიოდ ვხედავთ, თუ როგორ დაირღვეოდა სულ მალე საზოგადოებრივი მორალი და ცნობიერება და რაოდენ საშიში გახდებოდა სიყვარულის გადარჩენა ამოყირავებული შეხედულებების ჟამს.

კონტრასტი ედგარ პოს ყველაზე საიმედო და სარწმუნო ფონად მიაჩნდა რეალობის არსის წარმოსაჩენად. გახსოვთ მისი „კომპოზიციის ფილოსოფია“?

ეს კონტრასტია სწორედ, ბარათაშვილის ლექსის სიყვარულსა და რამდენიმე წლის შემდგომ უარყოფილ სიყვარულს შორის რომ გამოკვეთილა და გვაძრწუნებს საზოგადოებრივი აზრი თავისი ციინიზმით, ლამის რომ დაანაცროს ზეცაში ნაკურთხი სულიერი და ხორციელი შეკავშირება.

ვერსიას ვერსიად მომიწონებდა ლია ანდღულაძე – „მას“ რომ სამშობლოდ ვშიფრავდი და ამის შემდეგ უკვე ელიზბარ ერისთავს აშოტ კუროპალატისა და ლაშა-გიორგის წრეში მოვაქცევდი... მაგრამ გაზიარებით მაინც ვერ გაიზიარებდა – უფრო დამაჯერებელი გარეგნულად ნაკლებ მომხიბლავი ვერსია უნდა იყოსო.

მისი ლიტერატურული ნარკვევი „ქსნის ერისთავთა ერთი ოჯახი“ („ჩვენი მწერლობა“, 2002, 3 ოქტომბერი) სხვა მხრივაც საგუ-

ლისხმოა, მაგრამ ამჯერად ის პასაჟი გავიხსენოთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ ლექსის ამ სტრიქონებს რომ უკვირდება და სტრიქონსა და სტრიქონს შუა... გიორგი ერისთავის ლანდსაც ამჩნევს – მკრთალად, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც...

ამჩნევს ანარეკლს იმ სიყვარულისა, გიორგი ერისთავი რომ განმსჭვალულიყო ქეთევანის მიმართ იმ რამდენიმე წლის მანძილზე, ვიდრე ელიზბარიც დაუბრუნდებოდა თავის ქვეყანას.

ვილნოში ჯარისკაცად გამწესებული გიორგი ეკატერინე ჭავჭავაძეს შეფრფინავდა შორიდან, მის სახეს დაატარებდა გულით და, როდესაც ამ პოლონურ ქალაქში გრიგოლ ორბელიანს შეხვდებოდა და ის კი შვებულებით გამოემგზავრებოდა ტფილისს, გიორგი წერილს მისწერდა ძველ თანამზრახველს ვილნოშივე და ყველაზე სანუკვარ ოცნებას იმ სტრიქონებში გახვევდა:

„ღმერთო, იქნება კატინკა მე მერგოს, მესამე და მეოთხეები ვართ. რო წახვალ, შენ აგებ მომიხერხო“.

ქალაქის ამბავი მისვლოდა, ივანე მუხრან-ბატონს დადიანის ქალი შეურთავს და ჯავრობენ, ნათესავიაო. თვითონ თავს იმით იმართლებს: მე და კატინკა ხომ მესამე და მეოთხე თაობა ვართო.

აგებ მომიხერხოო...

ეს გრიგოლ ორბელიანი მართლა მაჭანკალი ხომ არ იყო!..

გრიგოლი რისი მომხერხებელი გახლდათ – ვერც თავის თავს არგუნა ნინო ჭავჭავაძე და მთელი ცხოვრება მასზე მლოცველი დარჩა, და ვერც გიორგი ერისთავისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შეკავშირება გაარიგა. ეკატერინე დავით დადიანს მისთხოვდებოდა და სასჯელმოხდილი გიორგი ახლა სხვებისკენაც რომ მიიხედ-მოიხედავდა, ქეთევან ერისთავზე შეუვარდებოდა გული.

მაგრამ, აი, გადასახლებიდან ბრუნდება ელიზბარ ერისთავიც და მის ყურს მიწვდება ჭორები, გიორგი ერისთავი გულგრილი არ უნდა იყოს შენი სატრფოს მიმართ, რაღაც სულ მის გარშემო ტრიალებს, და ქეთევანიც, ქეთევანიც...

და მკვლევარი სწორედ ამ თვალით წაიკითხავდა ლექსის იმ პასაჟს!

ავ-ენანო, ოდეს დასცხრეთ
მოასვენოთ ეზდენ სული?
რა გარგოთ, რომ შეიშურეთ
უბიწოო სიყვარული?

თავდებად ნიკოლოზ ბარათაშვილი უდგებოდა ქალს, არც უფიქრია ღალატი გაევლო გულში და თავისი სიყვარულის უბიწოება რაიმეთი შეელახაო. და ჰყვედრის პოეტი ჭორებად გადაქცეულ საზოგადოებას, რომელიც ბზარის გაღრმავებას ლამობს და წრფელი განცდის დაკნინება-მოსპობას.

თვითონ ქეთევანი კი ელიზბარს გაუნაწყენდებოდა და პოეტურ სტრიქონებში სწორედ ეს არეკლილიყო: გულის-სწორი ერთის ცილით აგრე როგორ შეიცვალე, რომე ტრფობა ჩვენი ამ ხნით მას ეგრე მსწრაფლ ანაცვალე.

თუკი ასეა, მაშინ „მას" გულისხმობდა „ცილს", წინა ტაეპში ნახსენებს, და არა სამშობლოს.

ნამდვილად ასეაო, ირწმუნება ლია ანდღულაძე და... თან გული ეთანაღრება: ამ ვერსიას ისევ როსტომ ჩხეიძის ვერსია სჯობსო.

* * *

გრიგოლ ორბელიანი რისი მომხერხებელი გახლდათ – ვერც თავის თავს არგუნა ნინო ჭავჭავაძეო...

თავს კი შესწირავდა ამ სიყვარულს და ისე ჩავიდოდა სამარეში, ცოლს აღარც შეირთავდა.

ყოველთვის მწარე იქნებოდა ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრ გრიბოედოვის ქორწინების დღის გახსენება, და ვიდრე გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული გმირი აქვითინდებოდა ყველასაგან მიტოვებული მეფე ლირივით, გრიგოლ ორბელიანსაც მთელი სიმძაფრით უნდა შეეგრძნო ეს განცდა.

თურმე გიორგი ერისთავის ბიოგრაფიაშიც უნდა აღბეჭდილიყო ის დღე – სულ სხა მიზეზით, მაგრამ ჩარჩებოდა კი; და მისი ცხოვრების აღმწერი არც გაუშვებდა ხელიდან ამ ეპიზოდს.

ჩვენს თხრობასაც ბუნებრივდ შეერთვის, ოღონდ მანამდე როგორ არ დაგცდეს გულისტკივილი, რომელსაც ვერავითარი დრო ვერ დააცხრობს და ვერც კერძო შემთხვევად აღიქვამ.

ესეც რა ხვედრი იყო ნინო ჭავჭავაძისა – ვისთვის უნდა დაედო თავი, ვის სიყვარულს შესწირვოდა ზვარაკივით, ვინ გაეიდეალებინა, ვის ქვრივად დარჩენა ემჯობინებინა ახალი, უკეთესი ბედის ძიებას...

მწარე, დრამატული ხვედრი – განსაზღვრული ეპოქის წინააღმდეგობრივი შინაარსით!.. თორემ რა ღირსი იყო ალექსანდრ გრიბოედოვი ასეთი თაყვანებისა და თავდადების.

მთავარმართებელი ძალიან გამოიდებდა თავს და ნეფე-დედოფალს სასახლეში მეჯლისს გაუმართავდა. რჩეულ საზოგადოებაში გიორგი ერისთავსაც იგულისხმებდნენ, ცხადია, და ისიც ეახლებოდათ, მაგრამ ახალი დროის ეტიკეტს ანგარიშს არ გაუწევდა და, თვითონ როგორც ერჩივნა, ისეც გამოეწყობოდა – ჩოხა-ახალუხში. თავმომწონედ მიადგებოდა სასახლის კარს, თავმომწონედვე შეაბიჯებდა შიგნით, მაგრამ უეცრად ვიღაც ხელს სტაცებდა. გაოგნდებოდა თავადიშვილი, ვინ არის და ეს რას მიბედავსო, მაგრამ... პოლიციის მოხელე კი შერჩებოდა ხელთ, ვისაც ზურგს უკან კანონი და სახელმწიფო ედგა და ამხელა ძალით გულმოცემული ჩოხის კალთაზე ჩაებღაუჭებოდა გიორგი ერისთავს და ნაბიჯის გადადგმის უფლებას აღარ მისცემდა.

ამ სამოსით არ შეიძლებაო, – შეუვალი გახლდათ მოხელე და შეურაცხყოფილი ჭაბუკი შინ გამოსწევდა. წამითაც არ იფიქრებდა ტანისამოსის გამოცვლასა და უკან მიბრუნებას.

სტუმრები იდენდნენ, იდენდნენ და ყველა რომ შეიკრიბებოდა, უეცრად ვიღაც მოისაკლისებდა: გიორგი ერისთავი გვაკლიაო.

ნეტა რატომო.

ავად ხომ არ შექმნილიყო, თორემ ამ საზოგადოებას როგორ გამოაკლდებოდა.

ვიღაცას თვალი მოეკრა: მოდიოდაო.

ვიღაცას მზერაში ჩარჩენოდა, თითქოს უკან რომ გაბრუნებულიყო.

იძიებდნენ, იძიებდნენ და პოლიციის მოხელესაც მიაკვლევდნენ. ის თავისაზე დადგებოდა, სახელმწიფო ეტიკეტს ბღალავს ქართული ეროვნული სამოსელი, მაგრამ ესენი მთავარმართებელს შემოეჯარებოდნენ და, პასკევიჩი ამ საზეიმო დღის ჩაშხამებას რომ არ მოინდომებდა, უშუალოდ მისი ჩარევითაც ეახლებოდნენ გიორგი ერისთავს რწმუნებულები ბოდიშებითა და თხოვნით: რაც იყო იყო და თქვენ როგორც გენებოთ, ისე მობრძანდითო.

– სადაც ქართული ჩოხა აკრძალულია, იქ ერისთავიც არაფერი საჭიროა, – მოკლედ და ცივად მოჭრიდა გიორგი და შინ რომ შებრუნდებოდა, პირში შეატეხდა სიტყვას განწბილებულ რწმუნებულებს.

დიდხანს ექნებოდათ სალაპარაკოდ ეს ეპიზოდი.

მოგვიანებით იონა მეუნარგია ამ ეპიზოდს საგანგებოდ ჩართავდა გიორგი ერისთავის ცხოვრების ქრონიკაში: თავმოყვარეო-

ბამ არ მისცა ნება, რომ სხვა ტანსაცმელი ჩაეცვა და ისე დასწრებოდა ქორწილსო.

არჩილ ჯორჯაძეც განზოგადებისათვის გამოიყენებდა ამ თითქოსდა წვრილმან ამბავს, ოღონდ გასცდებოდა პოეტის პიროვნული ხასიათის წარმოჩენას და საქვეყნო ჭრილში გაიაზრებდა. ნიშანდობლივი, ახალი დროებისა და რეჟიმის შესაფერისი ეჩვენება ის მოთხოვნა, რომ წარჩინებული თავადისა და პოეტის – ალექსანდრე ჭავჭავაძის – ქალის ქორწილში დაპატიჟებით კი ეპატიჟებიან თავადაზნაურობას, მაგრამ ქართული სამოსით მისულებს უკანვე აბრუნებენ, რიგიან საზოგადოებაში ქულაჯა არ ჩაიცმისო. პირველ ხანებში ამგვარი გარემოება საჩოთიროა ქართველებისათვის, ხოლო თანდათან – ასეთ მოვლენათა გახშირებასთან ერთად – ქართველი კაცის სიამაყე ცხრება, გულში რაღაც შიში ეპარება, აზრები გაუორდება და ბოლოს თითქოს თვითონაც ეჩოთირება ქულაჯით სეირნობა.

ასე განზოგადდა ეს ეპიზოდი ქართულ-ეროვნულისა და რუსულ-სახელმწიფოებრივის შეტაკებად, ხელშესახებ დასტურად, თუ როგორ ირკვევა და ისახება ქართველი არისტოკრატიის სულიერი ყოფა.

ამ სულიერ ყოფას რომ დააკვირდეთ, არა ერთსა და ორ დრამატულ ნაკვთს იპოვნით მასშიო, – ირწმუნებოდა არჩილ ჯორჯაძე და, თვითონ რომ უკვირდებოდა, შეგნებული ქართველის ორად გახლეჩილ გულს ხედავდა:

ერთი ეგუებოდა და ემონებოდა გარემოებას, მეორე თავისუფლებას ეძებდა და ოცნებით იკვებებოდა, საერთოდ კი ქართულ აზროვნებას რაღაც გაბრუება დამართოდა. ძალა, რომელიც მისი შეგნების წინ ამართულიყო, უჩვეულო ზომისა გახლდათ და ისეთი წუთიც დადგებოდა, როდესაც ქართველ კაცს თითქოს საკუთარი თავის დავიწყება მოსწყურდებოდა.

საით მიიწევდა მსჯელობა, რა განზოგადება ენიჭებოდა იმ ამბავს, გულისწყრომით აღვსილი გიორგი ერისთავი შინისაკენ რომ გაეჩქარებოდა და გუნებაში ფიცსა სდებდა, ამათ ეს როგორ უნდა შევარჩინო, თუ კაცად მომაქვს თავი ქვეყანაზეო.

საით მიიწევდა და... არ არსებობს წვრილმანები, როდესაც ეპოქის სულის შეცნობა გწადია; წვრილმანი კი არა, იქნებ დიდმნიშვნელოვან მოვლენაზე უკეთაც ამოგიჩინოს მისი უტყუარი სურათიც და მრავალფერადი მხარეებიც.

* * *

ტატო ძალიან მხიარული იყოო, – ნინო ქობულაშვილი დედის ნაამბობთაგან ამ მოგონებას გამოარჩევდა, და იმ დეტალებით შეავსებდა ოინბაზი, სიხალისით სავსე ყმანვილის პიროვნულ სილუეტს, რაც ისედაც მისახვედრია, სხვათა მემუარულ ჩანაწერებსაც რომ ვეცნობით და სადღაც უკან რჩება კაეშნიანი, მსოფლიო სევდით შეპყრობილი პოეტის ხატი. ეს გარეგნული სიხალისე, ეს მხიარულება და ონავრობა რომ არა, ძნელი გადასატანი შეიქნებოდა მისთვის ის გაუსაძლისი ტკივილი, ხან მოულოდნელად ცხარე ცრემლითაც რომ აატირებდა: ვაი ჩვენო ქართლის ბედოო!..

სულიერი ჭიდილი ზედაპირზე არ მოჩანდა, იქ მხოლოდ ოინები ტივტივებდა და ჭორაობაში ჩაფლობის სურვილი და ქეთევანსაც ჯერ ეს მოხვდებოდა თვალში, და თუ მისი ლექსთა კრებული სულ სხა სახეს ამოუჩენდა და შთამომავლობისათვის უკვე იმ სულიერი ხატით გახდებოდა მახლობელი, მისი ოდინდელი მეგობარი საგანგებოდ შეეცდებოდა იმ სხვა, უცნობი ნიკოლოზ ბარათაშვილის წარმოსახვას, მთაწმინდის შემოგარენსაც და მტკვრის სანაპიროსაც რომ აყრუებდა სიცილით და ხან ისეთი მწარე გახუმრებითაც, ლამის დუელშიც რომ გამოეთხოვათ... ან რაღა ლამის, ილიკო ორბელიანი აკი შეურაცხყოფად მიიღებდა დისწულის გადამეტებულ დაცინვას და ორთაბრძოლაში გამოიწვევდა – ეგაა, იმ დუელსაც სამასხარაოდ გადააქცევდა ბარათაშვილი, მოსალოდნელ ტრაგიზმს კომიზმით შეანაცვლებდა და ისევ ტფილისის ქუჩებს მოედებოდა.

– როცა ქალები ვიყავით და ნარდს ან ლოტოს ვთამაშობდით, უცებ ხან ქუდს შემოგვიგდებდა ფანჯრიდან და ხან ბაყაყს, ერთ წივილ-კივილს მოვყვებოდით, ვიტყოდით: ალბათ ტატო მოვიდაო! მერე თვითონ შემოყვებოდა და გვეტყოდა: „აბა, მეჭორეებო, რა ჭორები იცითო".

გარეგნობით როგორ გამოიყურებოდა?

მისი ფოტო აღარსად იპოვებოდა და ცნობისმოყვარეობაც ამიტომ გამძაფრებულიყო და მის მხილველთ აღწერას ამიტომაც სთხოვდნენ.

ქეთევანი ერთ ფრაზას კმარობდა:

– ძალიან ლამაზი კი არ იყო, მაგრამ სასიამოვნო შესახედავი იყო.

საამაყოდ ის დარჩენოდა:

– „ქეთევან“ მე მომიძღვნა.

შვილი კი ხშირად გაიმეორებდა იმ სტრიქონებს: ქეთევან ნაქები გულით, ნაქები მშვენიერებითო.

და მოგონებაში კი ერთი ასეთი ფრაზაც გამოერევა:

– როგორც სჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილი გატაცებული იყო დედაჩემით.

ნეტა თუ მართლა?!.

* * *

ეტყობა, მართლა...

ყოველ შემთხვევაში, რაღაც ხმები ტრიალებდა...

ახალგორი ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის მშობლიურ გარემოდ გადაიქცეოდა.

ჯერ ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანელის ოჯახში დაიარებოდა, მერე რევაზ ერისთავის ოჯახსაც შეუნაცვლებდა. ეს ხომ მისი დის – ეკატერინეს – სახლობაც გახლდათ – რევაზ ერისთავს რომ გაჰყოლოდა ცოლად.

ნიკოლოზ ბაგრატიონის სახლ-კარი მარტო მისთვის არ გადახსნილიყო ყურთამდე – პლატონ იოსელიანსაც მიუხაროდა იქ და რაფიელ ერისთავსაც, მოგვიანებით ილია ჭავჭავაძეც შეეთვისებოდა იმ გარემოს, დუშეთის მაზრაში შუამავლად დანიშნული, შემდეგ კი მოსამართლის თანამდებობაზე გადაყვანილი. მაშინდელი ეტიკეტი ავალებდა, სადარბაზოდ ევლო მისადმი რწმუნებული მაზრის ყველა მემამულესთან, ნიკოლოზ ბაგრატიონის სახლი კი დუშეთს დიდად არ დაშორებოდა და თანაც კულტურულ წრედ აღიარებულიყო. მით უფრო – ახალგაზრდებისათვის. ისინიც ყოველთვის მოუთმენლად მოელოდნენ ილიას გამოჩენას და ესეც განსაკუთრებული სიხარულით მიეშურებოდა იმ ოჯახისაკენ.

კიდევ ერთი ახალშობილი რომ მოევლინებოდა სამზეოს, ილია მის ნათლობაშიც სასურველი სტუმარი იქნებოდა და ფრონტიდან საგანგებოდ ჩამოსულ მამას ახალი სიცოცხლისა – ნიკოლოზ ბაგრატიონის ვაჟს – ისეთი მჭევრი სიტყვით მიმართავდა: ბავშვი ქართულ წესზე აღზარდეო, – წლები გავიდოდა და იმ ოჯახში ეს სიტყვა სულ სალაპარაკოდ ექნებოდათ.

ეს ახალშობილი უნდა გამხდარიყო ის ნიკო ბაგრატიონი, ვინც საქართველოს საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების ისტორიას შემორჩებოდა ნიკო ბურის სახელით, რაკიღა მონაწილეობა მიეღო აფრიკული ახალშექმნილი სახელმწიფოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ.

მოგონებანიც უნდა დაეტოვებინა იმ ბრძოლებზეც და ქართული არისტოკრატიის ყოფაზეც XIX საუკუნეში – როგორ თანდათანობით ირღვევა ის დიადი და ძვირფასი, რაც ჩვენი არისტოკრატიის სულიერ სიმდიდრედ რჩებოდა საუკუნეთა მანძილზე. უამრავ საგულისხმო ცნობასაც დაგვიტოვებდა მუხრანელ ბაგრატიონთა ცხოვრების წესზე, იმ ოჯახის ზეპირი ტრადიციის ზოგად ქარგას.

რაფიელ ერისთავი სულ სხვა იერით წარმოგვიდგება მემუარების ფურცლებზე – ძალზე მხიარულ და ცეკვების მოყვარულ პიროვნებად, ვინც თურმე ცეკვებს ასწავლიდა ნიკოლოზის უმცროს ქალიშვილებს, ერთი მათგანი – ლამაზი მართაო, ასე იხსენიება – შეყვარებია კიდეც... მაგრამ უიმედოდ.

პლატონ იოსელიანის სიარული ამ ოჯახი იმით დაგვირგვინდებოდა, რომ, რაფიელ ერისთავისაგან განსხვავებით, ერთ-ერთ ქალიშვილს ითხოვდა ცოლად – ანას, ვინც, 30 წლით უმცროსი, ქმარს მხოლდო „ბატონობით" მიმართავდა.

ნიკო ბაგრატიონი დარწმუნებულია: მიუხედავად პლატონის ბევრი ღირსებისა, პაპაჩემი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ეს ქორწინება არ მოხდებოდა, რადგანაც ნიკოლოზი მოითხოვდა, სიძეები მისებრ მაღალი წოდებისანი ყოფილიყვნენო.

ამ ოჯახში ნიკოლოზ ბარათაშვილს ის მოსალოდნელი სიხარულიც ეწეოდა, რომ მის ლექსებს კითხულობდნენ, თარზე კი „სულო ბოროტოს" ამღერებდნენ.

მერე აკი რევაზ ერისთავის თეთრ სასახლეშიც დაიდებდა ბინას, ნახევრად ევროპული და ნახევრად ქართული სტილით რომ აგებულიყო და მოწყობილიყო. ქსნის პირას წამოეჭიმათ ეს სასახლე, საცხოვრებელ ადგილთაგან სრულიად განცალკევებულად.

იქაურობას მემუარისტი განსაკუთრებული სიყვარულითა და სიცხოვლით წარმოსახავს: ანკარა, ჩქარ მდინარეს უღრანი ტყე შემოსალტოდა და ირმის ჯოგები ისე მიდიოდნენ წყლის დასალევად, ადამიანს არც ერიდებოდნენო.

მართლაც მისწრებაა ასეთი გარემო პოეტისათვის, მითუმეტეს,

თუ ფოთლოვან ტყეში ბულბულის სტვენაც მოისმის, მწყემსის სალამურის ხმაც და შორიდან ურმულის სიმღერაც აღწევს.

ან ის რა გასაკვირია, რომ უხვად იფრქვეოდა ბაღისა და მინდვრის ყვავილთა სურნელება და მთელი სახლი, მზის მცხუნვარე სხივებში გახვეული, რაღაც ფეერიულ, ჰაეროვან შენობას აგონებდა ადამიანს.

მინიერ სამოთხედაა სახელდებული ეს გარემო მოგონებებში და ნიშანდობლივია, პირველი თვითონ პატრონი რომ გადმოდგებოდა აივანზე და ირგვლივ გადაშლილ პანორამას გადაავლებდა თვალს, უნებურად ქუდსაც რომ იხდიდა და პირჯვარსაც იწერდა.

ბარათაშვილს ხშირად ახსენებდნენ, ხან რას მოიგონებდნენ და ხან რას, წლები ვერ გაახუნებდა მის სახებას და ნიკოს ის ამბებიც არაერთხელ ექნებოდა მოსმენილი, პოეტს უიმედო სიყვარულით გამოწვეული გულისტკივილიც რომ არ მოკლებია.

როგორც პოეტს მას ხელგაშლით ხვდებოდნენო, – ესეც აღნიშნულა მემუარებში, – აღფრთოვანებაში მოდიოდნენ და ხოტბას ასხამდნენ მის მუზას, მაგრამ ღარიბი და კოჭლი ახალგაზრდისათვის ეს არ კმაროდაო.

და იქვე:

– ყოველივე ეს გავლენას ახდენდა ახალგაზრდა კაცზე, მით უმეტეს, რომ მის გატაცებას და სიყვარულს ყოველთვის იწვევდნენ საქართველოს ულამაზესი ქალები, როგორც, მაგალითად, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი, ეკატერინე, და ქეთევან შალვა ერისთავის ასული, ელიზბარ ერისთავის მეუღლე.

მემუარისტი დაბეჯითებით იმეორებს იმ შეხედულებას, რაც დარწმუნებით ტრიალებდა მის ნათესავ-ახლობლებში.

ბარათაშვილის პოეზიის მიხედვით ეს შთაბეჭდილება არ დაგრჩება. და მარტო იმიტომ არა, რომ ქეთევანს ერთი ლექსი ეძღვნება, ეკატერინეს კი – პოეტური ციკლი. მთავარი აქ მაინც შინაარსია და სრულიად განსხვავებული თვალთახედვა.

„ქეთევანი“ სიყვარულის გამოცხადებას კი არ გვიმჟღავნებს, არამედ ქალის უმძაფრეს განცდებს წარმოსახავს, მიმართულს არა პოეტის, არამედ სხვა პიროვნებისადმი. გინდ დაეშიფრა და გინდ არა იმისი ვინაობა – მაინც სხვისადმი და არა საკუთარი თავისადმი.

ეკატერინეს რკალი სწორედაც სატრფოსთან ურთიერთობის ლირიკულ პანორამას ქმნის – თავდავიწყებული სიყვარულით, ეჭვით, კრთომით, განაწყენებით, დამუნათებით სავსეს.

გარეშე მკითხველიც მიუხვდება, რომ ამ რკალის მთავარი გმირი პოეტის საყვარელი არსება უნდა იყოს.

ქეთევან ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსიდან რაიმე ამგვარი მინიშნების – დიახ, თუნდ მკრთალი მინიშნების – ამოცნობაც გაჭირდება.

აბა, მაშ – უიმედო სიყვარულიო... საქართველოს ულამაზესი ქალებიო... ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი და შალვა ერისთავის ასულიო?..

ტყუილუბრალოდ მიაწერდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილს – ეკატერინეს დარად – ქეთევანის სიყვარულსაც?

თუ მუხრანელ ბაგრატიონთა ოჯახში გავრცელებულ ხმებს მაინც ჰქონდა რაღაც დასაყრდენ?

ლექსიდან ეს რომ არ იგრძნობა?

წინააღმდეგობაა, არა, მემუარულ ცნობასა და ლექსს შორის?

მაგრამ ამ წინააღმდეგობას ადვილად მოევლება, თუკი ვიგულისხმებთ, რომ ქეთევან ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსის შექმნისას ნიკოლოზ ბარათაშვილს უკვე გამოტირებული აქვს თავისი სიყვარული, შეგუებია ბედს და მხოლოდ ლირიკულ გმირად გარდასახული ამ პიროვნების სულიერი განცდები აღელვებს, მისი შფოთვა, მისი ტრაგიზმი... მისი ყველაზე ინტიმური შეგრძნება, უკანასკნელ ამოსუნთქვასთანაც კი გაიგივებული: და გაისმოდა ტალღებში სახელი ამილბარისაო...

* * *

როგორც ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილი გატაცებული იყო დედაჩემითო...

„ვეფხისტაყოსანს“ აჩუქებდა, თავის მიერვე გადაწერილს.

და ნინო ქობულაშვილი:

– ამ წიგნს ფერადი სურათები, ორნამენტები ჰქონდა მოყოლებული ყოველ ფურცელზე.

და მასთან ერთად თავის ლექსების ხელნაწერ კრებულსაც უსაჩუქრებდა.

– დედას ძალიან უყვარდა და ბოლოს გადასცა დავით ერისთავს, დრამატურგს. პატარა ტანისა იყო ხელნაწერი, ფურცლები შეკერილი იყო. „ვეფხისტყაოსანი“ კი დაგვეწვა, როცა ჩვენი სახლი დაიწვა.

ასე გაქრებოდა ეს ძვირფასი რელიკვია, მხოლოდ ოცნება შემოინახებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის კალიგრაფიულ ხელოვნებაზე და მხატვრის ნიჭზეც – სხვაგვარად მხატვრულადაც ხომ არ გააფორმებდა.

უფრო დეტალური აღწერილობაც შემოგვრჩებოდა ქეთევანის ძმისწულის – ანასტასია ამილახვარის – მოგონების წყალობით, ლეილა ნანიტაშვილი რომ მიაკვლევდა და უფრო შეავსებდა მკითხველის წარმოდგენას ამ უნიკალურ ხელნაწერზე.

თავისებურად გულისშემძვრელია: ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გადაწერილი შოთა რუსთაველის ეპოსი!..

ნიკოლოზ ბარათაშვილი – „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორი!..

და ანასტასია ამილახვარი:

– ბავშვობიდანვე მახსოვდა მე ის დიდი წიგნი მათ ოჯახში, სადაც დედაჩემმა მიმაბარა ფრანგული ენის სასწავლებლად მათ პედაგოგთან. მე ცხრა წლისა ვიყავი და ჩემი მამიდაშვილი ლიზა შვიდისა, იმავ დღიდან დიდი მეგობრობა გვქონდა ბოლომდინო.

ამ ხელნაწერსაც შეუკავშირებია ისინი:

– გვიყვარდა ამ ძვირფასი წიგნის გადაფურცვლა და გულმოდგინედ ვშინჯავდით ყოველ ფურცელს. წიგნი იქნებოდა სიგრძით ორ ტყაველზედ მეტი მაინც, ძალიან სქელი, თეთრ სქელ ქაღალდზედ გადაწერილი პოეტის მშვენიერი ხელით და პატარა სურათებით მისგანვე ნახატით. პირველი ფურცელი წიგნისა იყო კალმით ოთხკუთხივ მოხატული ლამაზი შავი არშიით ქართულ გემოვნებაზე. ასო პირველდაწყებითი ლექსისა წითელი მელნით იყო ყველგან დაწყებული და ბოლოში ლექსის თავის დასრულებისას, პატარ-პატარა ნახატი ყვავილისა, ანუ ფრინველისა და რაიმე მოხაზულობისა ფერადით.

როცა სწავლა არა ჰქონდათ, ლიზა მაშინვე ამ დიდ წიგნს გამოაცუხცუხებდა დედის ოთახიდან, პატარა გოგონებს უშველებელიც რომ ეჩვენებოდათ, დასხდებოდნენ დობილები მზიან შუშაბანდში, უამრავი მცენარით მორთულში, და თავიდან ბოლომდე გადაფურცლავდნენ. ერთხელ, მეორედ, მესამედ. არა წყინდებოდათ მისი ყურება.

თავი მეცამეტე

ელიზბარის მემორიალიც სამსჯავროს წინაშე

რა იყო მაინც, ესეც რა ელიზბარ ერისთავის ბედი გახლდათ, ისევ სასამართლო რომ ამოიმართა მის სახელთან დაკავშირებით.

ვითომ აკლდა სიცოცხლეში სასამართლო, ციხე, გადასახლება, ვითომ აკლდა ოთხად განკვეთის მოლოდინი, ვითომ აკლდა შევიწროება და შეურაცხყოფა...

ნუთუ არაფერი, სულ არაფერი იცვლებოდა?

ტელერადიოკომპანია „თრიალეთის" გენერალურ დირექტორს ეს ყოველივე რატომღაც უკმარად მიეჩნია და მის აჩრდილთან გამართავდა თავისებურ „მუშაირას" – რაც იცოდა და რისთვისაც აქეზებდნენ, იმ ხერხს მოიმარჯვებდა ამჯერადაც, ელიზბარ ერისთავის სახელი და ღვაწლი თუ არა სმენოდა, სასამართლოს კარი მოეხსენებოდა სამაგიეროდ და „მუშაირას" იქ გადაიტანდა.

– ვინ არის ეს ელიზბარ ერისთავიო, – გარემოცვას ეკითხებოდა. პასუხი წინასწარვე იცოდა, მაგრამ გულში სიამით ეღვრებოდა, ყველა ერთხმად რომ შეჟღივლებდა: რა მოგახსენოთ, ჩვენ მაინც ვართ აქაურები და ავლილ-ჩავლილი არსად გვინახავსო. ინტელექტუალთა გარემოცვაში მოხვედრილიყო!.. და ტელეეკრანზეც მათი გამოსვლის იმედად იქნებოდა, სხვა ინტელექტუალურ ძალებსაც რომ შემოიკრებდა მეტი თავდაჯერებისათვის.

ის მსახიობი ქალი ღამის ეკრანიდანაც გადმოჭრილიყო, ვერ აეტანა ვიღაცების ასეთი ძალდატანება, გინდა თუ არა ელიზბარ ერისთავის მემორიალი უნდა აღიმართოსო. ან ის ვინ იყო და რა დამსახურება მიუძღოდა, ან ესენი ვინ ბრძანდებოდნენ – მისთვის თავგამოდებულნი. ამიტომაც: შალვას, მხოლოდ შალვა ხერხეულიძის ძეგლი უნდა დაიდგას და სწორედ ამ ადგილას, აქ უყვარდა დგომა, იდგა გარინდებული და ათვალიერებდა გამვლელ-გამომ-

ვლელთ, და განა იმისი ღირსი არ არის, ეს ერთი მტკაველი მიწა ვარგუნოთო?!.

მე კი ჩემი მხრივ ის მიკვირდა, რატომ უნდა ყოფილიყო ელიზბარ ერისთავის სახელი უცხო და უჩვეულო მათთვისაც კი, ვისაც წერა-კითხვა უძნელდება და განათლებას მხოლოდ ტელევიზიის ეკრანიდან ღებულობს. შესაფერისად ვერა, მაგრამ არაერთხელ გახმიანებულიყო ეს სახელი პირველსა და მეცხრე არხებზე, ტელეკომპანია „იბერიაში", რომელიც არც „თრიალეთის" ამ მოთქმა-ვალალას დატოვებდა უპასუხოდ და საგანგებო სიუჟეტს მოამზადებდა უშუალოდ ამ ვნებათაღელვის თაობაზე, სიუჟეტს – მიუკერძოებელსა და ყოველმხრივ გააზრებულ-გაანალიზებულს, დასტურად იმისა, რომ გორში მხოლოდ ეს ორიოდ ადამიანი კი არა ცხოვრობდა, რომელთა თვალთახედვის მიღმაც რჩებოდა კულტურული და საზოგადოებრივი პროცესები და ერთადერთ მოვალეობად და სიცოცხლის აზრად პარტიული დავალებების აღსრულება ეგულებოდათ, არამედ ცხოვრობდა... მთელი გორი, სულითა და გულით მოსურნე და მონაწილე საზოგადოებრივ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა, ელიზბარის სახელიც რომ სმენოდათ, მის ღვაწლზეც მიუწვდებოდათ შორეულად თვალი და უხაროდათ, ყოველდღიურად რომ იზრდებოდა მისი სახება საზოგადოებრივ ცნობიერებაში – მთელი ქვეყნის, და არა მხოლოდ ამ ქალაქის თუ მხარისა... თითქოს ამირანიაო!..

რამხელა განსხვავება შეიმჩნეოდა „თრიალეთის" ფავორიტებსა და „იბერიას" რესპონდენტებს შორის – ჯერ მარტო სახეზე რომ შეხედავდი და ხმის კილოს მიუგდებდი ყურს. უკვე ხვდებოდი, რის დამტკიცებას ესწრაფოდა ერთი მხარე და რის დამტკიცებას – მეორე, და რა უსუსურად გამოიყურებოდა „თრიალეთელთა" არგუმენტები და რა დამაჯერებლად გაისმოდა „იბერიელთა" მსჯავრი.

ელიზბარ ერისთავი და კიდევ ერთი სასამართლო პროცესი!..

მოვალე გახლდით მეც გამოვხმაურებოდი ამ უკანონო, ამ უმეცრულსა და უდიერ გამოხდომებს ელიზბარის წინააღმდეგ და „უეკრანო გამოსვლების" ციკლში („ჩვენი მწერლობა", 2002, 18 ოქტომბერი) შევახსენებდი ყველას, რომ გენო ზაქარაიას ესკიზის ხორცშესხმას მხარს უჭერდა არამარტო უზენაესი ეროვნული და ზნეობრივი სამართალი, არამედ ჩვენებური კა-

ნონებიც – ყველაფერი თანმიმდევრულადა და წესის დაცვით მოგვარებულიყო. ვამცნობდი იმასაც, „თრიალეთის" ხელმძღვანელი რომ არა კმარობდა ამ საამაყო და თავმოსაწონებელი სახელის დამცირება-შეურაცხყოფას თავისი ტელეარხით და ახლა დემაგოგიური ხერხებითაც ცდილობდა სასამართლოზე ზეგავლენას ღვთისა და ერისაგან დალოცვილი საქმის ჩასაშლელად.

ნუთუ ესეც არ უნდა აღმენიშნა, რის სახიფათო ჩანასახსაც ასე მკაფიოდ ვამჩნევდი და სულ მალე ტენდენციადაც გამოიკვეთებოდა და ავად შეიმართებოდა ქვეყნის თავზე?

უგუნურ სურვილს სასიკეთო საქმის ჩაშლისა იგივე ბნელი ინსტინქტები რომ ამოძრავებდა, რაც ამოძრავებდათ 20-იანი წლების კომკავშირლებსა და პარტიულებს, ეკლესიების დამრბევთა და ჯვრების დამლეწავთ, ხატების გამნადგურებელთა და ყოველგვარ სიწმინდეთა ფეხქვეშ გამთელავთ, არ უნდა გამომეტანა გაზეთის ფურცლებზე?

იმ რბევა-განადგურებას აკი ელიზბარ ერისთავის საფლავიც შეწირვოდა – „სობოროს" რომ ააფეთქებდნენ, საფლავიც ზედ მიჰყვებოდა.

და ვისაც ეს ჩაედინა, კი არ დასჯიდნენ, არამედ დააჯილდოვებდნენ.

ასეთი მორალი და სამართალი დამკვიდრებულიყო.

არც ვიცით მათი ვინაობა?

აუცილებლად რომ დააჯილდოვებდნენ, როგორც სხვა მათ მსგავსთ, ლეგიონი რომ გამხდარიყო მათი სახელი, ამას ვინაობის დადგენა სულაც არა სჭირდება.

„თრიალეთის" ხელმძღვანელს ის ილუზიები გასჩენოდა, რომ კვლავაც 20-იანი წლები იდგა და ელიზბარ ერისთავის სახელის შეურაცხყოფა შერჩენით ხომ შერჩენოდა, იქნებ გვარიანი სარფასთვისაც გამოეკრა ხელი?

„სიწმინდეების ფეხქვეშ გათელვა დღეს აღარავის შერჩება, არც მას, ვინც თაოსნობს ამ სამარცხვინო საქმეს, და არც მათ, ვინც ანგარებითა თუ სიბრიყვით ასდევენ დანაშაულებრივ ქმედებას".

და ჰეპი-ენდი:

„ელიზბარ ერისთავის ძეგლს ბილწი ხელები ვერ შეეხება!.."

ვერც შეეხებოდა...

იმ წუთას... იმ წუთას ვერ შეეხებოდა, თორემ სულ მალე განმეორდებოდა 20-იანი წლები იმ სისასტიკითა და უკანონობით, რაც ისტორიაში სულაც არ ჩარჩენილიყო და კვლავაც ეძიებდა ჭუჭრუტანებს ამოსაფრქვევად. მღვრიე ნაკადი მოექცეოდა თავზე ქვეყანას და ამ მღვრიე ნაკადს ამოჰყვებოდა ზემოთ ბადრი ნანეტაშვილიც, „თრიალეთის" ტელეკომპანიის ხელმძღვანელობიდან შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილის სავარძელში რომ გადაინაცვლებდა – დაუფასდებოდა მანამდელი გარჯა და, მათ შორის, ელიზბარ ერისთავის მემორიალის წინააღმდეგ ატეხილი არაჯანსაღი აჟიოტაჟიც.

ვინც თაოსნობს ამ სამარცხვინო საქმესო...

„თრიალეთი" ხელმძღვანელი უშუალოდ ვის ზურგსაც ამოფარებოდა, ვისი დირექტივებითაც მიიკვლევდა გზასავალს და ვის პოლიტიკაზეც აეგო თავისი ფუსფუსი – „რუსთავი 2"-ისა და მისი მესვეურის ეროსი კიწმარიშვილის, ვინც სულ უფრო და უფრო ენერგიულად მიითლიდა თავისკენ ყველაფერს, სადამდეც ხელი მიუწვდებოდა, და ის ტროტუარიც, ელიზბარ ერისთავის მემორიალისათვის რომ გამიზნულიყო, თურმე მის საკუთრებად ქცეულიყო.

ტროტუარი... რანაირად?

ბოლოსდაბოლოს, ბაგრატიონი იყო? თუ ერისთავი? – გორის მთავარ ქუჩებსაც რომ ეპატრონებოდა?!.

კიწმარიშვილი გახლდათ... და ქუჩების დასაპატრონებლადაც კიწმარიშვილობა უბიძგებდა...

წინანი უკანა და უკანანი წინაო...

პირდაპირ გაეგო ეს შეგონება.

ცალკე „ახალ მემარჯვენეებს" ააწრიალებდა – თქვენი სიით გავიდა პაატა ჩხეიძე გორის გამგებლად და იქნებ ზეგავლენა იქონიოთ (ბ-ნი კიწმარიშვილი ზეწოლის მოხდენას ეეედრებოდა) და იმან კი თავისი ბიძაშვილი დაარწმუნოს, რომ ჩამოეხსნან ამ საქმესო. და შთამაგონებელი კილოთი დასძენდა: ხომ მოგეხსენებათ, მხარს ვინც მიჭერს, და კიდეც ჩაერია უკვე და სჯობს ურთიერთობას ნუ გაამწვავებთო. იქნებ დაგეთმოთო, – ეხმიანებოდნენ გორის გამგებელს თანაპარტიელები, თუ ხვდები, სადამდე გაიწელა საქმე და რა ხალხია მონდომებული, რომ ტროტუარი დაუნარჩუნდეთო.

ხომ მოგეხსენებათ, ვინცო, – თხოვნას მუქარა ცვლიდა, მუქარას ისევ თხოვნა.

რომ არა ჭრიდა!

ელიზბარ ერისთავი და კიდევ ერთი სასამართლო პროცესი გარდუვალი შექმნილიყო და ბადრი ნანეტაშვილიც აღარ დააყოვნებდა და სარჩელს სარჩელად რომ შეიტანდა სასამართლოში, გაბათილდეს გორის გამგეობის სხდომის 2000 წლის 18 მარტის დადგენილებაო, კინოკომიტეტის თავმჯდომარესაც ჩააკითხავდა – მისი გავლენისა ძალიან ეიმედებოდა და რევაზ ჩხეიძის მონაწილეობას ამ დაპირისპირებისას დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა საზოგადოების თვალშიც და სასამართლოს გადაწყვეტილებაზეც იქონიებდა ზეგავლენას. თუკი იგი მიემხრობოდა „თრიალეთისა“ და მის მიღმა ნაგულისხმევ ადამიანებს, ბევრი დაეჭვდებოდა, იქნებ ელიზბარ ერისთავის მემორიალი მართლაც საფარველი იყოს სულ სხვა მიზნისა – დაჩაგრონ და მორალურად გატეხონ ტელეკომპანიაო.

მაგრამ ეგაა – მიმხრობა გაძნელდებოდა, თუ რევაზ ჩხეიძეს სიმართლე ეცოდინებოდა. ამიტომაც რეალობის გადასხვაფერება სჯობდა – მემორიალს არც ახსენებდნენ მასთან და მტკიცებას მოჰყვებოდნენ, კინოთეატრ „გამარჯვების“ წართმევა მოინდომეს თქვენთვისაც და ჩვენთვისაც, როგორც მოიჯარეებისთვისო.

განაწყენდებოდა კინოკომიტეტის თავმჯდომარე: რას ჰქვია წართმევაო! – და მხურვალე მხარდაჭერას აღუთქვამდა, უფლებასაც მისცემდა, რომ მისი სახელითაც ემოქმედა და დაპირდებოდა: ოფიციალურადაც ჩავერთვები სასამართლო პროცესშიო.

ფრთაშესხმული გამოეჩქარებოდა გორისაკენ ბადრი ნანეტაშვილი და დოინჯსაც რომ გაიგდებდა ტელეკომპანიაში, იმდენს ვერ იფიქრებდა, რომ ბრმად არ მიენდობოდა მის ნალაპარაკევს რევაზ ჩხეიძე. იმ წუთას კი დაუჯერებდა მის მღელვარე კილოსა და მიამიტურ გამოხედვას, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის გაიკითხ-გამოიკითხავდა და დააზუსტებდა, რატომ ასტეხოდნენ კინოთეატრს და რატომ მოენდომებინათ მისი მითვისება... დააზუსტებდა და – რა კინოთეატრი, რომელი მითვისება, ვის რა ხელი ჰქონდა ან „გამარჯვებასთან“, ან კინოკომიტეტის თავმჯდომარესთან: ძეგლის დადგმა ენებათ მხოლოდ, 1832 წლის შეთქმულების მთავარსარდლის ხსოვნის უკვდავყოფას ასეც ლამობდნენ, ეგაა და ეგ. საეჭვო რა უნდა

ყოფილიყო მისთვის, ისეთი პიროვნებანი თაოსნობდნენ ამ განზრახვას – მისთვის საპატივსაცემონი და მისი დიდი პატივისმცემელნი.

გაოგნდებოდა და აღშფოთდებოდა რევაზ ჩხეიძე: ეს რა ხდება, ელიზბარ ერისთავთან მაპირისპირებენ! თუ ვინმეა მოსურნე ამ მემორიალის აღმართვისა, ერთი პირველთაგანი მეც უნდა ვიგულისხმებოდეო!

ეს ჩანაფიქრი უნდა ჩაშლილიყო და... მისი სახელის გამოყენებით?!.

აღარ გაბედოთ ჩემი სახელის ხსენებაო, – შემოუთვლიდა „თრიალეთის" ხელმძღვანელს, თავისი პატრონებისათვის კი დაე იმას მოეხსენებინა ეს სამწუხარო შემობრუნება და ამ ბურჯის გამოცლა, რაც „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე (27 დეკემბერი) მხოლოდ ქარაგმით გახმიანდებოდა:

რომ ამ უკეთური მცდელობისას ლამობდნენ გამოეყენებინათ ერთი დიდად საპატივსაცემო პიროვნების ავტორიტეტი.

რომ არასწორი ინფორმაციით შეცდომაშიც კი შეიყვანეს.

რომ ბოროტ განზრახვას მალე მოეღო ბოლო.

რომ გაუგებრობის გაფანტვამ და იმ პიროვნების სწორმა და ენერგიულმა ჩარევამ მოვლენათა განვითარებაში აღკვეთა ეს უმსგავსო აქტი, და მეტიც, გადაარჩინა გორის რეპუტაცია.

ქარაგმის გახსნის დროც დადგებოდა, მითუმეტეს, იმ მცირე სარედაქციო ჩანაწერში („ეს უკეთურობა მაინც აღიკვეთა"), ვპირდებოდით მკითხველს, რომ ის მასალები, რაც მემორიალის ირგვლივ დაგროვებულიყო, უთუოდ გახდებოდა ჟურნალისტური გამოძიების თემა, მითუმეტეს, ამ მასალებში მკაფიოდ არეკლილიყო ჩვენი მოუგვარებელი საზოგადოებრივი ცხოვრების ხარვეზები.

ის, რაც ამ რომანის ერთი სიუჟეტური ხაზია, პირვანდელი ჩანაფიქრით, ერთადერთი ქარგა უნდა ყოფილიყო. დეტექტიური ცდა ერთი უკვე შემედგინა და სურვილი გამჩენოდა, კვლავაც მომესინჯა ეს ჟანრი. საამისოდ კი ეს ვნებათაღელვა შესაფერისი მასალა გახლდათ. სხვა თემები დაწინაურდებოდა ამასობაში, თვით ამ ჟანრშიც სხვა სიუჟეტები უფრო ამიყოლიებდა და ბოლოსდაბოლოს იმ ჩანაფიქრს რომ მივუბრუნდებოდი და ზოგადი ფონისათვის თვითონ ელიზბრის ბიოგრაფიული ეპიზოდების აღდგენას დავისაჭიროებდი, ისე აიგებოდა თხრობა, დავრწმუნდებოდი, რომ ის

ზოგიერთი ეპიზოდი გამთლიანებისაკენ მიისწრაფოდა, სიუჟეტურ ხაზად იკვროდა და თვითონვე მაგულიანებდა, ფრაგმენტული სურათები არ მეკმარა.

ასე გადაიზრდებოდა დეტექტიური ცდა ბიოგრაფიულ რომანად და ჩემს ერთ ციკლს თუ გამოაკლდებოდა, მეორე ციკლს შეემატებოდა.

არადა, ამ სიუჟეტის გარეშე ელიზბარ ერისთავის ცხოვრების ქრონიკა ვერ განვდებოდა ბიოგრაფიული რომანის საზღვრებს.

მაგრამ ჯერ იქამდე საკმაო დროა.

ჯერ მემორიალი არც აღმართულა და იძულებით შეწყვეტილი სამუშაოებიც ჯერ მოსათავებელია.

ჯერ ადგილიც მოსანახია, დიახ, ადგილიც – თუმც ბადრი ნანეტაშვილსა და კომპანიას გაუცუდდათ ნახტომი, მაგრამ ვიდრე სრული გამარჯვებით დავასრულებდეთ მათთვისვე სავალალოდ ატეხილ დავას, მემორიალი უნდა ელოდოს და ელოდოს საბოლოო განჩინებას. კი მაგრამ, როდემდე? სასამართლოს არ ეჩქარება, „თრიალეთელებს" – მითუმეტეს. მაგრამ ჩვენ რომ გვეჩქარება და სულიც გველევა, დროულად მოთავდეს ელიზბარ ერისთავის დაბრუნება მშობლიურ ქალაქში? თავისთავადაც და იმიტომაც, საქმეები თავზე გვაყრია, ყველა აღსრულებას მოითხოვს ჩვენგან, ყველა თავისკენ გვეწევა, ელიზბარ ერისთავის სახელის უკვდავსაყოფად სხვა ჩანაფიქრებიც გაგვჩენია და მხოლოდ მემორიალს ვერ შევაჩერდებით. და კიდევ გამოიდებს თავს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რათა ხელი შემოგვაშველოს და გორის სახელიც საბოლოოდ იხსნას.

მაგრამ ჯერ ესეც ადრეა.

ჯერ ადვოკატი ბესარიონ კაიშაური უნდა ჩაერთოს სასამართლო პროცესში და ლამის ორი საუკუნის მიღმიდან გაუწოდოს ხელი ელიზბარ ერისთავს დამცველად. თვითონ ელიზბარს არა ჰყოლია დამცველი, დაკითხვებზე რომ დაატარებდნენ და ოთხად განკვეთას უქადდნენ, არავინ გამოსარჩლებია და მხოლოდ იმპერიული პოლიტიკის ცვლილება იხსნიდა სიკვდილისაგან. მის ძეგლს მაინც გამოსჩენოდა ადვოკატი, მემორიალის ინტერესებს მაინც იცავდნენ და საუკუნის სიღრმეში ასე ექომაგებოდნენ მის ნატანჯ სულს.

ბესარიონ კაიშაურს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება აღჭურავდა რწმუნებით და უფლებასაც მიანიჭებდა – წარმოედგი-

ნა და დაეცვა ამ საზოგადოების ინტერესები როგორც სასამართლოში, ისე ყოველ ინსტანციაში.

ეს ხდება 12 ნოემბერს.

და საზოგადოების ინტერესთა დაცვა ამჯერად გულისხმობდა სწორედ მემორიალის გადარჩენას ავ ენათა გესლისაგან და აღმართვას ქალაქის, მხარის, ქვეყნის მშვენებად.

და რწმუნებული მარწმუნებლის მიერ აღჭურვილიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებით.

რას გულისხმობდა ეს მუხლი?

– რწმუნებულს აქვს უფლება, მარწმუნებლის სახელით წარმოდგეს მხარედ სასამართლოში, წარადგინოს სარჩელი და შესაგებელი, შეამციროს, გაზარდოს ან უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, ჩაერიოს მორიგებაში, მონაწილეობა მიიღოს სააღსრულებო და სხვა, მიმდინარე კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაში.

20 ნოემბრის სასამართლო სხდომის ზოგად სურათს აირეკლავს ის ჩანაწერი, რომელსაც მეორე დღეს გადმოგვცემდა ჩვენი ადვოკატი:

„თავს ვალდებულდ ვთვლი, გაცნობოთ გუშინდელი პროცესის შედეგები:

... ბატონ გ. გოჩიტაშვილს მე წარვუდგინე შუამდგომლობა ტ/კ „თრიალეთის“ არასათანადო მოსარჩელედ ცნობის შესახებ (იხ. დანართი).

მაგრამ მოსამართლეს გუშინ არ უმსჯელია აღნიშნულ შუამდგომლობის კანონიერებასა და სამართლიანობაზე. ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე – (ტ/კ თრიალეთი) წარმოდგენილი იყო რწმუნებისა და ადვოკატის გარეშე.

მოსამართლემ მიიჩნია, რომ: „საქმე განეკუთვნება რთულ კატეგორიას და მოსარჩელე მხარის ადვოკატის გარეშე წარმოდგენა ნიშნავს „ცალ კარში თამაშს“. მითუმეტეს, რომ სახეზეა შუამდგმლობა, რომლის წინააღმდეგ არგუმენტირებული პასუხის გაცემა არასპეციალისტს (არა იურისტს) გაუჭირდება“...

... საბოლოო ჯამში პროცესი გადაიდო 4 დეკემბრისთვის (14 სთ.) რა დროსაც მოხდება საქმის არსებითად განხილვა და ვიმედოვნებ, რომ ჩვენს შუამდგომლობასაც დააკმაყოფილებს მოსამართლე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე (ზ.ა. შუამდგომლობის განხილვამდე) საქმეზე მესამე პირად ჩაერთო შპს „ქართული ფილმი" – უძრავი ქონება.

მაშასადამე 4 დეკემბერს ისიც იქნება წარმოდგენილი პროცესზე და ჩვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ავტომატიურად გადავა მოსარჩელის სტატუსში, რის შემდგომაც საშუალება ექნება თავისი პოზიცია გამოხატოს სარჩელის მიმართ.

გარდა ამისა, ტ/კ „თრიალეთს" განვუმარტეთ, რომ საქმეში უნდა ფიგურირებდეს მხოლოდ დედნები წარმოდგენილი დოკუმენტებისა, ხოლო დედნის დაკარგვის შემთხვევაში ხელმეორედ ჰმართებთ დოკუმენტის გაფორმება.

ვიმედოვნებ, ღვთის ნებით, ყველაფერი დასრულდება ჩვენს სასიკეთოდ და ელიზბარ ერისთავის ძეგლიც ეღირსება ჩვენს ქალაქს. შეგვეწიოს მადლი მთავარანგელოზისა!!!"

მოვლენები როგორ წარიმართებოდა?

ცალკეულ დეტალებს რომ აღარ გამოვედევნოთ, მთავარია, რომ:

„თრიალეთი" სარჩელს უკანვე გაიტანდა.

ამ გზას ვერ გაემართლებინა, ვერ მიაღწევდნენ გორის რაიონის გამგეობის 2000 წლის 22 მარტის დადგენილების გაბათილებას.

მოვრიგდითო, – არწმუნებდნენ მოსამართლეს.

არ მოვრიგებულვართო, – არ დათმობდა ბესარიონ კაიშაური, – ამიტომაც აუცილებელია საქმე ბოლომდე განვიხილოთო.

რაღა გინდა, ხომ გააქვთ სარჩელიო, – გაკვირვებას გამოთქვამდა მოსმართლე, – მართლადამართლა, რჯულამდე ხომ არ უნდა ჩაჰყვეო.

რჯულამდეც ჩავყვები, თუ საჭირო გახდება, ჩვენ თვითონვე გავასაჩივრებთ მათ საჩივარსო, – ეს ისევ თავისაზე იდგა და მოსამართლეც თავის მხრივ გაქირს გასწევდა: ხომ მოგეშვნენ და თქვენც მოეშვითო.

ადვოკატს დაცვის სიტყვა შეედგინა და ეს დოკუმენტი მხოლოდ იმიტომ კი არ არის მთლიანად დასამოწმებელი, როგორც თავისთავად ჩინებული ორატორული ტექსტი, არამედ იმ მოტივითაც, ელიზბარ ერისთავს სიცოცხლეში რომ არა ღირსებოდა ადვოკატი და სასამართლოში მისი სახელის ტრიალისას პირველად გაისმოდა სანუგეშო სიტყვა.

* * *

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წარმომადგენლის ადვოკატ ბესარიონ კაიშაურის დაცვითი სიტყვა

ადმინისტრაციულ საქმეზე ტ/კ „თრიალეთის“ სარჩელისა გამო გორის რაიონის გამგეობის 2000 წ. 22 მარტის დადგენილების ბათილად ცნობაზე

...მინდა თავიდანვე მოგახსენოთ, რომ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით მოსარჩელის პოზიციას, რომლის მიხედვითაც მათ სარჩელი უკან გაქვთ, თითქოსდა ჩვენი მორიგების საფუძველზე.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ და ხაზს ვუსვამ: ჩვენს შორის არანაირი შეთანხმება არ შემდგარა და ვერც შედგებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაშინაც, დღესაც და შემდგომშიც ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით მოსარჩელე მხარესთან მორიგებას.

მესმის, რომ ასეთი განაცხადი ერთობ არა პოპულარული იქნება ჩვენი მხრიდან და ეგებ შარიანი კაცის როლსაც ვთამაშობ, მაგრამ თუ რეალობას ობიექტურად შევაფასებთ, დავინახავთ, რომ ამ მორიგების მიღმა მშვიდობისმოყვარე მოსარჩელე ერთის მხრივ რაღაცას მალავს, მეორეს მხრივ კი, ნიშნის მოგებით გვაუწყებს, – მე შემიძლია გაჯობოთ, მაგრამ ჯენტლმენურად დათმობაზე მივდივარ და მორიგებას გთავაზობთო.

საქმე ჯობნა არ ჯობნაში არ არის, ბატონო მოსამართლევ.

საქმე სიმართლესა და სამართალშია, რომელიც თქვენის მეოხებით გვინდა დავადგინოთ.

თქვენ მეტყვით: რატომ ამტვრევ კარს, როცა იგი ღიაა, რას ერჩი ამ „თრიალეთს“ – აღარ გედავებათ და თუ თქვენც ქრისტიანობაზე თავს დებთ, – მშვიდობისმოყვარე და, შესაბამისად, მორიგების მომხრეც უნდა იყოთო.

გეთანხმებით, მაგრამ ისევ და ისევ ვიმეორებ: მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული მორიგება არაჯანსაღია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის უკან უკანონობა და ანგარება იმალება, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენი პატივცემული მოსარჩელე თავისი ანგარებით მეტად სათუთ ფასეულობებს შეეჯახა და ახლა ისღა დარჩენია,

მშვიდობისმოყვარის მანტია მოისხას, მით უმეტეს, რომ „თავისას მიაღწია“ და ელიზბარ ერისთავის ძეგლი სხვაგან დაიდგა.

აი, ასეთი მორიგების წინააღმდეგი ვართ, ბატონო მოსამართლევ!

მაგრამ მომხრეც რომ ვიყოთ, თვითონ კანონია ამის წინააღმდეგი, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტის კანონიერებას ვიხილავთ. მორიგება კი აღნიშნულ შემთხვევაში იმას ნიშნავს, რომ აქტი რაღაცით მაინც არის უკანონო, მაგრამ მხარეები მოვრიგდით ამ „მცირე დოზის“ უკანონობაზე, – ეს კი ყოვლად დაუშვებელია!

ადმინისტრაციული აქტი უნდა იყოს აბსოლუტურად კანონიერი, ანუ უნდა შეესაბამებოდეს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსისა და ყველა მოქმედ კანონთა ნორმებს. მცირედი გადახვევაც კი იწვევს მის ბათილობას.

ჩვენ კი მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ გორის რაიონის გმგეობის 2000 წლის 22 მარტის დადგენილება არის აბსოლუტურად კანონიერი.

მაშ რაღა გვაქვს მოსარიგებელი?

ან ვის უნდა მოვურიგდეთ, არა სათანადო მოსარჩელეს?

ბატონო მოსამართლევ, მე იმედი მქონდა, რომ თქვენ დააკმაყოფილებდით ჩემს შუამდგომლობას ტ/კ „თრიალეთის“ არასათანადო მოსარჩელედ ცნობის შესახებ.

დიახ, მქონდა ამის იმედი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ კანონი მაძლევდა ამის საფუძველს, უფრო მეტად თქვენი მეიმედებოდა, ბატონო გოჩა. პროფესიონალიზმისა და დიდი გამოცდილების გარდა, თქვენი პატრიოტიზმისა მეიმედებოდა და მეგონა, რომ სხვა ჭრილიდანაც შეხედავდით გარემოებებს. და შეამჩნევდით, რომ აქ, ამ პროცესზე გარდა პირველი, მეორე და მესამე პირებისა თუ მხარეებისა და მათი წარმომადგენლებისა, არის კიდევ ერთი პირი – ზეციურ საქართველოს ღირსეულ მამულიშვილთა ღირსეული წარმომადგენელი – ელიზბარ ერისთავის სახით.

ძალიან გული დამწყდება თუ ამ უკანასკნელ სიტყვებს ადვოკატის მჭევრმეტყველებას მიაწერთ.

გული დამწყდება იმიტომ, რომ ელიზბარ ერისთავი მართლაც ერთ-ერთი უმთავრესი მხარეა ჩვენს პროცესზე და თუ ამას ვერ ხედავთ, ვერც იმას დაინახავდით, რატომ უნდა დაგეკმაყოფილებინათ ჩემი შუამდგომლობა.

თქვენ არასამთავრობო ორგანიზაციას იცავთ სამთავრობო ადმინისტრაციის ვითომ ზეწოლისაგან და თქვენი ეს პოზიცია, ცი-

ვილიზებულ საერთაშორისო ნორმათა თვალსაზიერით, გონივრულიცაა და გამართლებულიც, მაგრამ როდესაც ზემოთ აღნიშნული ნორმები შენს ეროვნულს ეჯახება – იმდენი სითამამე და მოქნილობა კი უნდა გაგაჩნდეს კაცს, რომ მიხვდე და შეძლო დაიცვა შენი ერის ფასეულობა.

ასე რომ, ერთის მხრივ, ჩვენ გვერდითაა სული ელიზბარ ერისთავისა, როგორც ეროვნული გრძნობის სიმბოლო;

ხოლო მეორე მხრივ, ასევე ჩვენს გვერდითაა ე.ნ. „ძია სემის" უჩინარი სული, რომელიც როგორც წესი, უმთავრესად, სწორედ რომ ანტიეროვნულსა და კოსმოპოლიტურ პროექტებს აფინანსებს.

ის რომ „ძია სემი" განკარგავს „თრიალეთის" ცნობიერებას, მაშინაც დავრწმუნდი, როცა ამ არხის საშუალებით რამდენჯერე ვიხილე სიუჟეტი ელიზბარ ერისთავთან დაკავშირებით.

კორესპონდენტი ქალაქში დადის და ხალხს ეკითხება – აბა თუ იცით ვინ იყო და რას წარმოადგენდა ელიზბარ ერისთავიო?

არავინ არაფერი იცოდა.

კორესპონდენტი კი ნიშნისმოგებით ასკვნის: როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტიაო (?!).

მაშასადამე, ის, რომ ელიზბარ ერისთავის შესახებ არაფერი ვიცით, ერთის მხრივ ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო მეორეს მხრივ, მეტიჩრობა და უსაქმურობაა მათ მხრიდან, ვინაც ამ კაცის მემორიალის დადგმა ითავა (?!).

მაშასადამე, არც სირცხვილი და არც ტკივილია ის ფაქტი, რომ არაფერი ვიცით ელიზბარ ერისთავზე, ხოლო ვიცით სამაგიეროდ სად რომელ ესტრადის ვარსკვლავს რა ფერის საცვალი აცვია და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, დროის მოთხოვნაა, რომელსაც უნდა ავყვეთ, რათა არ ჩაგვთვალონ კონსერვატორებად და ჩამორჩენილებად.

თუ რომ ელიზბარ ერისთავს და მის საქმეს არ ვიცნობთ, უფრო მეტი მიზეზი და საფუძველი არ არის იმისა, რომ გავიცნოთ? და არა ასეთი სასირცხვილო სასამართლო პროცესებითა და დაპირისპირებით, არამედ საერთო, ერთსულოვანი სახალხო საზეიმო ღონისძიებებით!.

არ უნდა იცოდნენ დღევანდელმა ე.ნ. თინეიჯერული ასაკისა და მსოფლმხედველობის გოგო-ბიჭებმა, რომ თითქმის მათი ტოლა ელიზბარ ერისთავი 1832 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებას ედგა სათავეში!

არ უნდა იცოდნენ ქართველებმა და მით უფრო გორელებმა რა როლი შეასრულა ელიზბარ ერისთავმა ერის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში?

ბოლოსდაბოლოს, იგი იყო ქართლის თავად-აზნაურობის მარშალი;

– გორის მაზრის უფროსი;

– მინის ქარხნის დამაარსებელი და დიდი მეცენატი;

– წამომწყები და დამფინანსებელი ჟურნალ „სინათლის" გამოცემისა;

– ჟურნალისტთა საზოგადოების დაფუძნებისა;

– ქართლში მებაღეობის კულტურის დანერგვისა და სხვა და სხვა...

აი, მოკლე ჩამონათვალი ელიზბარ ერისთავის დამსახურებისა, გორელი კაცისა, რომელიც ჩვენი ქალაქის სახე უნდა იყოს და ჩვენ კი ასეთი სახის სამარცხვინო სასამართლო პროცესებით შევურაცხყოფთ მის სულს.

... ნუ დაკარგავთ ძველსა გზასა..." ხომ გაგიგონიათ, ბატონებო.

ჰოდა, ყველაზე დიდი ტრაგედია სწორედ ის არის, რომ ვკარგავთ ძველსა და ჭეშმარიტ გზას და თვითმკვლელობის ტოლფასად – ცივილიზაციის უფსკრულში ვიჩეხებით.

დავუბრუნდეთ ისევ სადავო თემას.

ბატონო მოსამართლევ, თუ მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით (მუხ. 22 პუნქტ. 2), სარჩელი მხოლოდ მაშინაა დასაშვები და მისაღები „თუ ადმინისტრციულ-სამართლებრივი აქტი... ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას".

ახლა გეკითხებით, რომელი კანონიერი უფლება დავუზიანეთ ჩვენ ტელეკომპანია „თრიალეთს"?

ბატონო გოჩა, უკვე მოსამზადებელ სხდომაზე სრულიად თვალნათლივი იყო, რომ სადავო მიწაზე, სადაც ელიზბარ ერისთავის მემორიალი უნდა დადგმულიყო, პრეტენზიის გამოთქმის უფლება არ ჰქონდა არა თუ ტ/კ „თრიალეთს", არამედ თვით შპს „ქართული ფილმის" უძრავ ქონებას. ვინაიდან აღნიშნული მიწის ფართი დღემდე რეგისტრირებული არ არის მათ სახელზე და შესაბამისად საიჯარო ხელშეკრულების ობიექტი ვერ გახდებოდა. ანუ, იჯარა იყო მხოლოდ შენობაზე და არა შენობის მიმდებარე მიწის ფართზე.

ახლა თქვენ შეაფასეთ, ბატონო მოსამართლეე, ასეთ სამართლებრივ ფონზე რამდენად შესაძლებელია მორიგება და რამდენად უმტკივნეულოა ჩვენთვის პროცესის ვითომდა მშვიდობიანად დასრულება.

სარჩელის უკან გატანა თავის თავში მოიცავს სარჩელის წარდგენის უფლებასაც. ჩვენ კი თავიდანვე იმას ვაპროტესტებთ, რომ ტ/კ „თრიალეთს" არ ჰქონდა სარჩელის წარდგენის უფლება, ერთის მხრივ როგორც არასათანადო მოსარჩელეს, მეორეს მხრივ კი, როგორც მოიჯარეს, რომლის საიჯარო ხელშეკრულების სივრცეში არ შედიოდა სადავო მიწის ფართი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ არ ვეთანხმებით არა მხოლოდ ჩვენს შორის მორიგების ფაქტს, არამედ – მოსარჩელის მხრიდან სარჩელის მშვიდობიანად უკან გატანას.

ჩვენი კატეგორიული მოთხოვნაა, თქვენ როგორც მოსამართლემ იმსჯელოთ სადავო ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე და მოსარჩელეს ოფიციალურად უარი უთხრათ სასარჩელო მოთხოვნაზე.

21.01.2003

* * *

ჰონორარს რამდენს ითხოვო, – ადვოკატთან ესეც უნდა გარკვეულიყო, ცხადია, მაგრამ ის... შორს დაიჭერდა და პატარა ბარათს შეუგზავნიდა გამგებელს:

„ბატონო პაატა, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით მართლაც ძალიან მიჭირს ეკონომიურად (ჩვენს ოფისს შეუწყდა დაფინანსება), მე ვერანაირ თანხას ვერ მოვითხოვ თქვენგან, – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემთვის უფრო დიდ ფასეულობას წარმოადგენს თქვენთან და თქვენს საზოგადოებასთან ურთიერთობა!"

ამ კეთილშობილურ ჟესტს უნდა მოეთავებინა სასამართლო დავიდარაბა, სწორედ ამ ბუნებისა და სულიერ მისწრაფებათა კაცი უნდა გამოსჩენოდა ელიზბარ ერისთავს ოფიციალურ დამცველად...

მოთავებულიყო და... ვერც მოთავებულიყო.

ფარული დინებანი კვლავ ავად უვლიდა გარს მემორიალს, ახალ-ახალი დოკუმენტები აღმოჩნდებოდა მზის სინათლეზე –

რამდენჯერმე გაყიდულიყო ის სკვერიც და ის ტროტუარიც, რამდენიმე მესაკუთრე აღმოჩნდებოდა და სინამდვილეში კი – არცერთი, რადგანაც ჩვენი კანონმდებლობა კრძალავდა ტროტუარებისა და სკვერების გადასვლას კერძო მფლობელთა ხელში.

მოჩეხილიყო „თრიალეთიც", მისი იდუმალი წინამძღოლიც და იმ იდუმალი წინამძღოლის კიდევ იდუმალი წინამძღოლიც. თვითონ ეგონთ ასე – გავიდუმალებულვართო, თორემ ხელისგულზე მოჩანდა ეს მტკიცე ძაფები. გაბმულ-გამობმული და მარჯვედ ათამაშებული, თუ მოპირისპირე არ გამოუჩნდებოდათ. სხმარტალს მაინც ახერხებდნენ და ეს სხმარტალი თავისთავად თუ ბევრს არაფერს ნიშნავდა და ადრე თუ გვიან წაგებული საქმე შერჩებოდათ ხელთ, ჩემთვის აუტანელი გახლდათ ლოდინი და გადავადება და გორის საკრებულოს თავმჯდომარეს, გორის გამგებელსა და გორის რაიონის გამგებელს ოფიციალურ წერილს რომ მივწერდი, ამასაც ჩავურთავდი:

„ეჭვი არ მეპარება სასამართლოს კანონიერ გადაწყვეტილებაში – ქვეყნისათვის ტანჯული მამულიშვილისათვის წესითა და რიგით შერჩეულ ადგილზე მემორიალის დადგმის საბოლოო გადაწყვეტილებას რომ გამოიტანს, მაგრამ როდის დაადგება საშველი ამ განჩინებას, ძნელი სათქმელია. ისეთი პირები არიან დაინტერესებულნი სამართლიანობის გამრუდებით, უკვე ვატყობთ, რომ საქმე ძალიან გაჭიანურდება, ჩვენ კი ამდენი დრო არ გაგვაჩნია. არც ის გვინდა, ელიზბარ ერისთავის, მემორიალის დამკვეთებისა და შემქმნელის სახელები გაუთავებლად ტრიალებდეს არასაკადრის კონტექსტში.

ამიტომაც ერთი თხოვნა მაქვს:

ელიზბარ ერისთავის მემორიალი აღიმართოს იქვე ახლო-მახლო, თუნდაც გორის დრამატული თეატრის ბაღში, გიორგი ერისთავის ბიუსტის გადასწვრივ, ან სადაც უმჯობესად მიიჩნევთ".

თუ რატომ შექმნილიყო გასაყოფი გორის ცენტრალური ქუჩის ტროტუარი, ეს აკი ჟურნალისტურ გამოძიებას უნდა გამოერკვია და ამისათვის უკვე აღარავის შეწუხებას აღარ ვაპირებდი.

10 იანვრის „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე უკვე გამოვაქვეყნებდი ორ დოკუმენტს, როგორც ფრაგმენტს შეპირებული დოკუმენტური სურათისა – ჩემს ამ ბარათსა და საპასუხო წერილს, სანუგეშოსა და დამაიმედებელს, რადგანაც მოჯადოებული ნრე გარღვეულიყო.

ქალაქ გორის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ ზაქარია დემეტრაშვილს
ქალაქ გორის გამგებელს (მერს) ბ-ნ პაატა ჩხეიძეს
გორის რაიონის გამგებელს ბ-ნ ზაზა კოშაძეს

ვერაფრისდიდებით ვერ წარმოვიდგენდი, ელიზბარ ერისთავის მემორიალის დადგმას მის მშობლიურ ქალაქში ასეთი არაჯანსაღი აჟიოტაჟი თუ მოჰყვებოდა.

ამ რამდენიმე წლის წინათ ამ მემორიალის დადგმა რომ განვიზრახეთ, გორის გამგეობამ 2000 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით შესაფერისი ადგილიც გამოგვიყო ქალაქის შუაგულში, იმ ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც განისვენებდა ეს ეროვნული გმირი და თვალსაჩინო ბიზნესმენი, ვიდრე გორის საკათედრო ტაძარსაც ააფეთქებდნენ და სასაფლაოსაც მოშლიდნენ. ამასთან: მემორიალი ბუნებრივად ჩაეწერებოდა იმ არქიტექტურულ ანსამბლში, გიორგი ერისთავისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლები რომ ჰქმნის.

საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი იმ კონკურსების თაობაზე, რამდენიმე ტურად რომ გაიმართა „ომეგას" საგამოფენო დარბაზში, ვიდრე გამოვლინდებოდა გამარჯვებული: გენო ზაქარაიას ისეთი რანგის ნამუშევარი, მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქს რომ დაამშვენებს. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რადგანაც მხოლოდ პირად შთაბეჭდილებას კი არ ვეყრდნობი, არამედ უაღრესად ავტორიტეტული ჟიურის ერთსულოვან დასკვნას.

ყველაფერი ბუნებრივი გზით, წესითა და რიგით მიდიოდა და, აი, ზედ მემორიალის აღმართვის წინ ისეთი ნეწვა-გლეჯვა ატყდა იმ ადგილის ირგვლივ, გორი ხომ აღმოჩნდა ჩაბმული, თბილისშიც მოჰყვა გამოძახილი: პრესა, ტელევიზია, საჯარო შეკრებები

საქმე სასამართლომდეა მისული.

ეჭვიც არ მეპარება სასამართლოს კანონიერ გადაწყვეტილებაში — ქვეყნისათვის ტანჯული მამულიშვილისათვის წესითა და რიგით შერჩეულ ადგილზე მემორიალის დადგმის საბოლოო გადაწყვეტილებას რომ გამოიტანს, მაგრამ როდის დაადგება საშველი ამ განჩინებას, ძნელი სათქმელია. ისეთი პირები არიან დაინტერესებულნი სამართლიანობის გამრუდებით, უკვე ვატყობთ, რომ საქმე ძალიან გაჭიანურდება, ჩვენ კი ამდენი დრო არ გაგვაჩნია. არც ის

გვინდა, ელიზბარ ერისთავის, მემორიალის დამკვეთებისა და შემქმნელის სახელები გაუთავებლად ტრიალებდეს არასაკადრის კონტექსტში.

ამიტომაც ერთი თხოვნა მაქვს:

ელიზბარ ერისთავის მემორიალი აღიმართოს იქვე ახლო-მახლო, თუნდაც გორის დრამატული თეატრის ბაღში, გიორგი ერისთავის ბიუსტის გადასწვრივ, ან სადაც უმჯობესად მიიჩნევთ.

რაც შეეხება იმის წარმოჩენას, თუ რა ხდება და რატომ შეიქნა გასაყოფი გორის ცენტრალური ქუჩის ტროტუარი, თქვენ უკვე აღარ შეგაწუხებთ და მე თვითონ გავაცნობ მკითხველს იმ შედეგებს, ჟურნალისტური გამოძიება რომ გამოარკვევს.

როსტომ ჩხეიძე
ჟურნალ „ომეგას" მთავარი რედაქტორი

ბატონო როსტომ,

თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მართლაც აღმაშფოთებელია ის უგუნური აურზაური, რაც დიდი ქართველი მამულიშვილის, ელიზბარ ერისთავის ძეგლის დადგმისადმი მიძღვნილ კეთილშობილურ საქმიანობას მოჰყვა გორში.

გორის საზოგადოებამ იცის ელიზბარ ერისთავის მოღვაწეობისა და მისი ხსოვნის მნიშვნელობა; სწორედ ამიტომ, გორის მთავარი არქიტექტორის გია სოსანიძის ინიციატივით, ამა წლის 24 ოქტომბერს გორის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბნენ სამხატვრო სკოლის დარბაზში, შეაფასეს არსებული ვითარება და ერთხმად მოითხოვეს გორის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილების შესრულება, — ძეგლის დადგმა. სამწუხაროდ, ძეგლის დადგმის მოწინააღმდეგის, ტ/კ „თრიალეთის" მიერ სასამართლოში შეტანილია სასარჩელო განცხადება და კანონის თანახმად, პროცესის დასრულებამდე, კინოთეატრ „გამარჯვების" სკვერში, ანუ იმ ადგილზე, სადაც გადაწყვეტილი იყო, ძეგლის დადგმა არ შეიძლება.

ჩვენ ვიზიარებთ თქვენი წერილის განწყობილებას და სამართლიანად მივიჩნევთ თქვენს თხოვნას, რომლის თანახმად 3 დეკემბერს შეიკრიბა ქალაქ გორის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი კომისია. კომისიის წევრებმა განიხილეს თქვენი

თხოვნა, შეარჩიეს რამდენიმე ადგილი ქალაქის ცენტრში, რომელთაგან საუკეთესოდ მიიჩნიეს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სკვერი. კომისიის, ქალაქის საკრებულოსა და გამგეობის თხოვნას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გედევან ხელაია, უნივერსიტეტის რექტორატი და სამეცნიერო საბჭო.

ბატონმა გედევან ხელაიამ განაცხადა, რომ მეწარმისა და მეცენატის, ელიზბარ ერისთავის ბიუსტმა სწორედ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია უნდა დაამშვენოს. ამ გადაწყვეტილებით გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი კიდევ ერთ ეროვნულ საქმეს ამოუდგა მხარში.

ბატონო როსტომ, გვინდა გაცნობოთ, რომ ძეგლის დადგმისა და სკვერის მოწესრიგების სამუშაო უკვე მიმდინარეობს და, თუ ავდარმა ხელი არ შეგვიშალა, მალე დასრულდება.

ზაქარია დემეტრაშვილი
ქალაქ გორის საკრებულოს თავმჯდომარე
პაატა ჩხეიძე
ქალაქ გორის გამგებელი

და რაც მთავარია, იქვე დაიბეჭდებოდა ცნობა, რომ 11 იანვარს გაიხსნებოდა ელიზბარ ერისთავის მემორიალი, 11 იანვარს, რომელიც ელიზბარის დღედ დამკვიდრებულიყო გორში უკვე რვა წელია და საზოგადოებრივ-რელიგიურ რიტუალს ახალი რიტუალიც გადაეჯაჭვებოდა.

თუმც არც ის უნდა დაფარულიყო, რომ უკეთურ ხელს ცეცხლი წაეკიდებინა მემორიალის საბურველისათვის, უღონობის გესლი ასე ამონთხეულიყო.

ესეც ელიზბარ ერისთავის ბედი გახლდათ.

...მაგრამ მაინც დგებოდა 11 იანვარი.

2000 წლის 9 აგვისტოს „თრიალეთის“ გენერალური დირექტორი განცხადებით მიმართავდა გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს.

ჯერ შეახსენებდა: „თრიალეთს“ იჯარით აქვს აღებული კინოთეატრი „გამარჯვება“, სადაც ვიდეოპროექტორის საშუალებით ხდება ვიდეოფილმების ჩვენება დიდ ეკრანზე, რაც საშუალებას აძ-

ლევს გორის მოსახლეობას და ახალგაზრდობას თავისუფალ დროს დაესწროს კინოჩვენებასო.

იქვე პანია წატრაბახება: საქართველოში ერთეულებია ისეთი რაიონები, სადაც კინოთეატრები მუშაობენ და ერთ-ერთს წარმოადგენს ქალაქი გორიო.

წატრაბახება – ნაცვლად ჩიქორთულისა – ქართულად სჯობდა, თორემ „ერთეულებია ისეთი რაიონები" ქრესტომათიაშია შესატანი, როგორც ენობრივი სიმახინჯის ნიმუში.

ამასობაში გენერალური დირექტორი აგრძელებს ოფიციალურ დოკუმენტს და, კონტრასტის ხერხის მოშველიებით, წატრაბახებიდან... თავის მოსაწყლებაზე გადადის: მოსახლეობა გადაჩვეულია კინოთეატრში სიარულს, მათ მიჩვევამდე ჩვენ გვიხდება ფილმების გაშვება 10-20 კაციან დარბაზში, რაც ჩვენთვის დიდი ზარალია და ამ ზარალის ასანაზღაურებლად იძულებულები ვართ მივმართოთ დამატებით საქმიანობასო.

თვითონ კი მიმართავენ იმ დამატებით საქმიანობას, მაგრამ ნებართვა რომ სჭირდებათ?

ნებართვის მოპოვებას კი დამაჯერებელი არგუმენტები უნდა, გამგეობის თავმჯდომარეს რომ აიყოლიებს და აფიქრებინებს, ეს რა ქალაქზე გადამკვდარი კაცი შეგვიძენიაო.

ამიტომაც:

კინოთეატრის კუთვნილ ტერიტორიაზე, რომლის მიწის გადასახადსაც „თრიალეთი" იხდის, ჩაიდგას ფინური ტიპის შენობა, სადაც მოეწყობა ახალგაზრდული კაფე, რომელის შემოსავალიც მოხმარდება კინოთეატრის ნორმალურად ამუშავებას და კინოთეატრი და მისი მიმდებარე ტერიტორია გადაიქცევა ახალგაზრდობის გასართობ ცენტრად.

მადლობასაც წინასწარვე გადაუხდიდა, რაკიღა არ ეეჭვებოდა, რომ იქაურობას მთლიანად დაეუფლებოდნენ – ეროსი კინმარიშვილის გავლენა და მისი მფარველის სახელი გაუჩენელს გააჩენდა, თორემ გორის მთავარი ქუჩები რა გახდა დასაპატრონებლად.

გორის რაინის გამგეელი პასუხის მომზადებას დაავალებდა თავის მოადგილეს ზაზა კოშაძესა და რაიონის მთავარ არქიტექტორს გია სოსანიძეს, რომლებიც 7 სექტემბერს აახლებდნენ ოფიციალურ დასკვნას:

„გორში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, კინოთეატრ „გამარჯვების" მიმდებარე სკვერში ე.წ. ფინური ტიპის შენობის აგება ქალაქმშენებლობისათვის, არქიტექტურული თვალსაზრისით, მიუღებელია.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, გორის რაიონის გამგეობის დადგენილებით, გათვალისწინებულია მემორიალური კუთხის მოწყობა.

ახალგაზრდული კაფეს განთავსება შეიძლება თვით კინოთეატრ „გამარჯვების" შენობაში".

ოფიციალური დასკვნა არც უნდა გამხდარიყო აუცილებელი – სკვერისა თუ ბაღის დასაკუთრების უფლებას კანონი კრძალავდა და კაფეს იქ ისედაც არავინ ჩაადგმევინებდათ, მითუმეტეს, უკვე მემორიალისთვისაა ნავარაუდევი და 2000 წლის 7 სექტემბერს „თრიალეთის" გენერალურ დირექტორს, იმის მფარველსაც და კიდევ იმის მფარველსაც ეს უკვე მოეხსენებათ, მერე გაოცებულ სახეებს რომ მიიღებდნენ და არაჯანსაღი აჟიოტაჟის შექმნასაც მოინდომებდნენ, თითქოს პაატა ჩხეიძეს უნებართვოდ გაეჭრას იქ საძირკველი. ქალაქის წინა მთავრობას პირადად მოეხსენებინა გენერალური დირექტორისათვის, თუ რისი აგება განზრახულიყო.

ისინი მაინც უტრიალებდნენ იქაურობას, მიუხედავად მათთვის სამწუხარო პასუხისა.

ჯერ ერთი, ნაკლებ სარწმუნოდ ეჩვენებოდათ, რომ მემორიალი მართლა დაიდგმოდა.

და მეორეც, თუკი რეალური გახდებოდა ძეგლის აგება, ვერ დაახვევდნენ ჟურნალისტებს თუ რა? დემაგოგის არსენალი განა ამოსწურვოდათ. მთავარია, პარტია ჰყოლოდათ ძლიერი და კანონსა და სამართალს ფეხქვეშაც ამოიდებდნენ.

– ზეწოლა და ზეწოლაო, – გაუთავებლად გამეორდებოდა იმ წერილში, „თრიალეთის" გენერალური დირექტორი ინტერნეტით რომ გაავრცელებდა და ცასა და მიწას შეღაღადებდა: ელიზბარ ერისთავის ბიუსტისათვის გამგეობამ კინოთეატრის ტერიტორია იმიტომ გამოყო, რომ შეევიწროვებინა ტელეკომპანიაო.

არა გჯერათ?

ასე ბუნებრივი ქართულით რომ ვერ მოახერხებდა ბ-ნი ნანეტაშვილი თავისი გულისწყრომის გამოხატვას, ეს მართლაც დაუჯერებელია, თორემ აზრი მისია და პირადად მისი – ბიუსტის მეშვეობით უნდა შევიწროვდეს ტელეკომპანია „თრიალეთიო."

ბარემ მისი ენითვე მოვისმინოთ დაჩაგრული კაცის ღაღადისი:

„ასეთივე ზეწოლის ფაქტი იყო ჩვენს იჯარით აღებულ ტერიტორიაზე ბიუსტის დადგმის საკითხი... 2001 წლის აპრილის თვეში გამგეობამ ბიუსტისათვის ადგილი გამოყო... კინოთეატრის ტერი-

ტორია. რაც სჭირდებოდათ იმისათვის, რომ ზენოლა გაეწიათ ტელეკომპანიისათვის".

ეს პასაჟი იმ წერილ-შედევრის მწვერვალია, ვარიაციული სახესხვაობით ერთხელაც რომ უნდა განმეორდეს; ამ სიმაღლისათვის ბ-ნ ნანეტაშვილს სხვა შემთხვევაში ვეღარ მიუღწევია. თუმც გაუგებრობებსა და უაზრობებს, ჩიქორთულით შეზავებულს, ბლომად აღმოაჩენთ თუნდ ამ რამდენიმეგვერდიან წერილში, რომელზეც თვითონ დიდ იმედებს ამყარებდა.

ჯერ მარტო ამ ფრაზებს რომ გადაავლო თვალი, ძალაუნებურად გაგიჩნდება შეკითხვა:

არის თუ არა აუცილებელი წერა-კითხვის ცოდნა გენერალური დირექტორისათვის?

ეტყობა, არა.

აუცილებელი კი არა, მგონი, სასურველიც არა ყოფილა.

სატირულ თხზულებას რომ ვწერდე, ამ წერილს ხელიდან როგორ გავუშვებდი და მთლიანადაც ჩავრთავდი თხრობაში – ამ ჭკუა-გონების ადამიანის პორტრეტს უკეთესად ვერ დავხატავდი, ვიდრე თვითონ წარმოსახავდა საკუთარ თავს... მაგრამ არ არის ეს ჩანაწერები სატირული ყაიდისა და ამ შედევრს – თუმც ძალიან მიძნელდება – როგორმე უნდა შეველიო.

ამ მწვერვალს კი, აზროვნებისა, როგორ გამოვტოვებდი.

ელიზბარ ერისთავის მემორიალი ავიწროებს ტელეკომპანიას, მაგრამ გენერალური დირექტორი არა დრკება და თანამშრმელთა სახელითაც ირწმუნება, რომ: ვერავითარი ზენოლა ვერ გასტეხთ და ვერ გაიხდის საკუთარი ინტერესების მსახურად. და ისინი ყოველთვის დარჩებიან სიმართლისა და მართალი ხალხის სამსახურში.

ეს ყოველივე სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს.

დავით კლდიაშვილის კვალობაზე რომ ითქვას.

ჩვენმა ტელევიზიამ დაიმსახურა მოსახლეობის სიყვარული და თანადგომაო, – ამასაც ირწმუნება და დასტურად მოაქვს:

„...ამ დღეებში შეუჩერებელი სატელეფონო ზარები და ხალხის წარმომადგენლების მოდინება ტელევიზიაში გულითადი მხარდაჭერისათვის".

ეს „ხალხის წარმომადგენლების მოდინება" ერთ რამედ ღირს, როგორც ენობრივი ბრწყინვალების ნიმუშიმ და ძვირფასი მასალაა სატირული თხზულებისათვის, ისე კი თურმე „შეუჩერებელი სატე-

ლეფონო ზარებიც“ და „ხალხის წარმომადგენლების მოდინებაც“ იმ მიზნით ხდება, რომ აღიკვეთოს ელიზბარ ერისთავის მემორიალის დადგმა.

ეს ყოველივე სასაცილო იქნებოდაო...

კი მაგრამ, გამგეობის გადაწყვეტილებას რატომ აღდგომია წინ, რატომ იჩემებს იმ მიდამოს „თრიალეთის“ ხელმძღვანელი?

არ ვიჩემებ, ჩემიაო, – კიდეც ივედრება და კიდეც იმუქრება ჩვენი გმირი, აი, ის, წერა-კითხვა რომ სასწავლი აქვს:

„კინოთეატრის პროექტისა და გენგეგმის მიხედვით, ასევე აღმასკომის მიერ მიწის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებით, აგრეთვე იმით, რომ ამ ტერიტორიაზე მდებარეობს კინოთეატრიდან გამოსასვლელი დიდი ხვეული კიბე, დასტურდება, რომ ეს ადგილი არის კინოთეატრის ტერიტორია. ამავე ტერიტორიაზე განლაგებულია ლამპიონები, რომელიც მიწისქვეშა კაბელით შეერთებულია კინოთეატრის სარდაფში მდებარე დენის კიოსკზე და მრიცხველზე და ყველასათვის ცნობილია, რომ ამ ადგილის განათების ფულს ყოველთვის იხდის კინოთეატრი“.

აი, თურმე, რა ყოფილა!..

ჩვენ მხედველობიდან გამოგვრჩა დიდი ხვეული კიბე და ლამპიონების მიწისქვეშა კაბელი.

მაშინ რას ერჩი.

ლოგიკური აზროვნებითაც ვერაფერს დაუწუნებ.

დააკვირდით:

„აღსანიშნავია ის, რომ...“

გავფაციცდეთ, არაფერი გამოგვრჩეს.

აღსანიშნავი კი ისაა თურმე, რომ:

„... ბიუსტის დადგმის გადაწყვეტილება გამოიტანა რაიონის გამგეობამ, ხოლო გამგეობის გადაწყვეტილების შემსრულებლად მოგვევლინა ქალაქის გამგებელი“.

რა მოხდა მერე? – იკითხავს მიამიტი მკითხველი.

მაგრამ გენერალური დირექტორი რისთვისაა, თუკი მოვლენათა სიღრმეში არ ჩაახედებს:

„ესეც და სხვა მრავალი რამ თითქოს ადასტურებს არჩევნების დროს სხვადასხვა პიროვნებების გამოთქმულ აზრს, რომ რაიონის გამგეობა, მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები – ალიანსში არიან ქალაქის გამგებელთან, პაატა ჩხეიძესთან, რომელიც ითვლება, როგორც ახალი მემარჯვენეების გორის ლიდერი“.

სატირალი რომ არ იყოსო...

პოლიტიკური სარჩულიც გამზადებულია, თუმც ბ-ნ ნანეტაშვილს მაინც თავის დაზღვევა ურჩევნია („თითქოს"). ყოველ შემთხვევაში, უკვე დროა ჰეროიკული თავგანწირვით მოჰყვეს, თუ როგორ შეაჩერა მემორიალის დადგმა.

„ბიუსტის დადგმის სამუშაოები 8 ოქტომბერს პაატა ჩხეიძემ, მისმა მოადგილემ გელა გოგიჩაიშვილმა და ქალაქის არქიტექტორმა სოსანიძემ დაიწყეს ჩვენთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. მე როდესაც მივედი და მოვთხოვე საბუთები თუ რის საფუძველზე ყრიდნენ მიწაზე დაგებულ ფილებს, მან მიპასუხა: „მე შენ არაფერს არ გაჩვენებ!" მე ვუთხარი, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება მოითხოვოს და ვალდებულია მომცეს ინფორმაცია, მაშინ მან მიპასუხა, რომ „ეს არის გორელების გადასაწყვეტი და შენ არავინ გკითხავსო" (მე ქარელიდან ვარ გორში ჩამოსული). ამის შემდეგ ტელეკომპანიის თანამშრომლებს მოვუწოდე, რომ ეზოში გამოვსულიყავით და პროტესტის ნიშნად გადაცემები შეგვეჩერებინა. ამის პასუხად პაატა ჩხეიძემ გამოიშვირა ჩემსკენ თითი, რამდენჯერმე გამიმეორა „მე შენ მოგივლი!". შემდეგ ჩვენ მივმართეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ანტიკორუფციულ კავშირს", რომელთა დახმარებით მივმართეთ სასამართლოს და მოსამართლე სულაბერიძემ სასამართლო განხილვამდე განჩინებით შეაჩერა ბიუსტის დადგმის სამუშაოები".

„ანტიკორუფციული კავშირის" დმსახურებაც უნდა აღნიშნულიყო – კვლავაც ბრალდებულივით რომ გაინაპირეს ელიზბარ ერისთავი, და მთელი ამ აბდა-უბდიდან ეს დეტალი მაინც დარჩება შთამომავლობას – ერთმანეთს გადაბმული საძმოების კიდევ ერთი მონაწილის სახელი.

ამ ერთი ფრაზითაც ხელშესახებად წარმოგვიდგება ამ კავშირის შექმნის მოტივი, რაობა, დანიშნულება, ღვაწლი.

გენერალური დირექტორისდა უნებურად.

მას კი, ამ განჩინებით, რიხი მომატებია და „ვერავითარი ზეწოლა ვერ გაგვტეხავსო", რომ იქადნება, ამასაც თამამად განაცხადებს:

„... გორის ხელისუფლება ცდილობს ტელეკომპანიაზე და სიტყვის თავისუფლებაზე ზეწოლის ახალ მეთოდებს..."

ეჰ, სასაცილოა, სასაცილო ეს ყოველივე, სატირალიც რომ არ იყოს...

ელიზბარ ერისთავი ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას.

მაგრამ თავისუფალ სიტყვას, საბედნიეროდ, ჰყავს თავისი დამცველები და ქომაგები, რომელთაც მემატიანენი თუ არ გამოუჩნდებათ, თვითონვე მოგვიყვებიან ჰეროიკული გზნებით თავიანთ თავგადასავალს.

ჯერ ბუნებრივად გრძელდებოდა ეს წამოწყება, ეკლესიაში რომ ვიდექით სანთლებით და რელიგიური რიტუალი აცოცხლებდა ამილბარის სახელს. ასპარეზი უკვე მემორიალამდე გადმოწვდენოდა – ღვარებამდეც და გორის უნივერსიტეტის შემოგარენამდეც, და ვიდრე მამა ალექსანდრეს მივეახლებოდით, ამ ძეგლთან უნდა მოგვეყარა თავი.

რეპორტაჟების ციკლიც ბუნებრივად ივსებოდა და თამარ ღონღაძე 2004 წლის 11 იანვრის შთაბეჭდილებებსაც ჩაინიშნავდა – გამოძახილს ერთი წლის წინანდელი სადღესასწაულო აქტისა („ჩვენი მწერლობა", 6 თებერვალი), და პაატა ჩხეიძე რომ გახსნიდა სახელდახელო შეკრებას („უკვე ის დრო მოვიდა, როდესაც გორის საზოგადოებამ და, კერძოდ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობამ კარგად იციან, ვინ იყო ელიზბარ ერისთავი. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არამარტო ჩვენს ფესვებს ვუბრუნდებით, არამედ მომავალზეც ვფიქრობთ"), ჩემი მხრივ დავძენდი, რომ 11 იანვარი თავის დროზე ერთი რიგითი თარიღი იყო, რომელიც რჩებოდა მოსაგონარ დღედ ელიზბარ ერისთავის მეგობრებისა თუ ნათესავ-ახლობლებისათვის და თანდათან წაეყარა ფერფლი, ვიდრე ხელახლა და სულ სხვაგვარად გაბრწყინდებოდა და სიმბოლურსა და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას შეიძენდა.

დავით მჭედლურმა: ახალგაზრდები, რომლებიც აქ გაივლიან, გაიცნობენ და სიამაყით აღივსებიან, რომ მათ ქალაქში დგას ძეგლი იმ კაცისა, ვინც დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიასა და ეროვნული ცნობიერების გადარჩენაშიო.

ნუგზარ შატაიძემ: რაღაც სევდამ შემიპყრო, როცა თქვენს გამოსვლებს ვუსმენდი, რადგან თავისი დღე და მოსწრება მოდის და მოსტირის თავის წუთისოფელს ეს საწყალი ჩვენი ქვეყანა. ვეღარ გაიხარა, ნელში ვეღარ გასწორდა... ჩვენი პატარა ერისათვის სრულიად საკმარისია ოცი კაპიტალისტი, რომელიც თავისი სულისკვეთებით ისეთი პიროვნება იქნება, როგორიც ბატონი ზაზა ოქუაშვილია. იმედი მაქვს, რომ თავისუფალ ქვეყანაში უფრო კარგად შეძ-

ლებენ ეს ადამიანები იშრომონ და იღვაწონ. მითუმეტეს, ელიზბარ ერისთავის სახით ასეთი მაგალითი აქვთ თვალწინო.

მაკა ჯოხაძემ: ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ არაჩვეულებრივი ძეგლის ფონზე მიედინება აქაური ახლგაზრდების წლები. სტუდენტები ყოველდღიურად უყურებენ მას და ალბათ ბევრ მათგანს ერთი მოულოდნელი წამი შეამეცნებინებს ამ პიროვნების სიდიადეს. ასეთი ძეგლები, მემორიალები, ობელისკები ძალიან ხშირად ძახილის ნიშნებს წააგვანან ჩვენს ერთფეროვან ყოფით ცხოვრებაში და ეს ძახილის ნიშანი ყოველთვის დაკავშირებულია აღტაცებასთან, აღფრთოვანებასთან, გაკვირვებასთან... ბედნიერებაა, რომ ჩვენს დროში არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ „ჩაძირულ დღესასწაულებს" რაღაცნაირად ამოზიდავენ და ხანმოკლე წუთისოფელს აფერადებენ და ალამაზებენო.

და ვანო ჩხიკვაძეც პირველად მაშინ წაიკითხავდა იმ თავის ლექს-ექსპრომტს, იმ ოდნავ სუსხიანსა და მზით გადანათებულ დღეს, ზამთრის კვალობაზე უჩვეულოდ გაბრწყინებულის.

თავი მეთოთხმეტე

დროის ცვლილება ან თავადაზნაურთა მარშლის არჩევნები

საქართველო მაშინ დაიქცა, როცა მე და წვიმიტაძე ერთმანეთს შეგვასნორესო, – წონასწორობა დაეკარგა გრიგოლ ორბელიანს.

საქართველოს მოსალოდნელი დაქცევა თავისთავად კი უნდა იწვევდეს წონასწორობის დაკარგვას, მაგრამ აქ თითქოს ისეთიც არაფერი მომხდარა – გრიგოლ ორბელიანის კანდიდატურამ ვერ გაიმარჯვა არჩევნებში, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი რომ უნდა ეკურთხებინათ.

ვერ გაიმარჯვა და... თუნდაც განაწყენებულიყო, ოღონდ ისე, მალე განქარებოდა ჭმუნვა, ბოლოსდაბოლოს, ქვეყანას არ აკლდა ათასი საწუხარი და იმის გამოსწორება ეცადა, ან ჩუმად ევალალა, თუკი ჯერ საშველს ვერა ხედავდა.

ვერ გაიმარჯვა და... იმას მოეფონა გული მისთვის, დიმიტრი ყიფიანი რომ მოვლენოდა ამ არჩევნების წყალობით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას მარშლად, მისი ძველი თანამზრახველი და მწარე ბედის გამზიარებელი ყაზარმობის ჟამს.

არც მერე დაცილებულიყო მათი შეხედულებანი – ორივე ძალიან ემადლიერებოდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს, შეთქმულთათვის სიცოცხლის ჩუქებისათვის, რუსეთის სამეფო კარი საქართველოს სამეფო კარში არც განერჩეოდათ და მიაჩნდათ, რომ შეიძლებოდა ერთდროულად რუსეთის საქმეც გეკეთებინა წარმატებითა და ერთგულად და საქართველოსიც.

გაორებულიყო მათი ფსიქიკა, მაგრამ დამაფიქრებელი აქ ისაა, რომ ისინი ცალკე იდგნენ თუნდ ალექსანდრე ორბელიანისაგან, ვინც განდგომილად რჩებოდა და დანაშაულად მიაჩნდა რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკა და არა ამა თუ იმ რუსი მოხელისა, მთავარმართებელით დაწყებული და წვრილფეხობით დამთავრებული, რომელნიც იმპერატორის ზურგს უკან კი არ სჩადიოდ-

ნენ უკეთურ საქმეებს, არამედ უშუალოდ მისი ნებართვითა და დასტურით.

აჰა, მაშ: დაიქცაო?!.

ათი წელიც არ ჩაივლის, რომ გრიგოლ ორბელიანი ბიბლიური წინასწარმეტყველებივით მოჰყვება გოდებას, როდესაც თვალდათვალ გამოიკვეთება, რომ ერთიერთმანეთის მიყოლებით იყიდებოდა ქართველ დიდგვაროვანთა მამულები და მინაც აღარ რჩებოდათ ფეხის მოსაკიდებლად... მაგრამ ის გოდება ბუნებრივია – როდესაც სურთ, რომ სულს იქით არაფერი შეგარჩინონ და თავადაზნაურობა და გლეხობა ერთ ტაფაში ინვის, უუფლებობისა და უმინაწყლობის ტაფაში, რა გასაკვირია, ისეთმა ემოციურმა ნატურამ, „სადღეგრძელოს“ შემოქმედი რომ გახლდათ, სწორედ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად დაიტიროს ქვეყნის ტრაგიკული ბედისწერა.

მაგრამ მისთვის რჩეული კანდიდატურის გაშავებისათვის ასეთი გულისგატეხვა კომიკური იერით უფრო წარმოგვიდგება, ვიდრე დრამატული.

გრიგოლ ორბელიანი არავის აზრს არ დაგიდევდა, ისევ თავისას იმეორებდა:

დაიქცა და დაიქცაო.

და კიდევ:

მე და წვიმიტაძეო.

ამ გვარის კაცს – წვიმიტაძეს – არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია და მეფე ერეკლეს შვილიშვილი ამ დამამცირებელი სახელით უთუოდ ვიღაცას გულისხმობს, რათა უფრო მკაფიოდ გამოაჩინოს, რამხელა ტრაგედია დატრიალებულა მისი და იმ ვიღაც უგვარო კაცის გათანაბრებით.

ნეტა ვინ არის ის ვიღაც?

თუმც რაღა ვიღაც – დიმიტრი ყიფიანი იგულისხმება საკმაოდ გამჭვირვალედ.

და გრიგოლ ორბელიანი ამომრჩეველთაც ამუნათებს და მთელს ქართველობასაც, როგორ თუ დიმიტრი ყიფიანს უგდებთ ყურს და ჩემი სიტყვა არ მიიჩნიეთ უზენაესი კანონის ბადალადო.

ცივი წყალი გადასხმოდათ მასაც და სხვათაც, ქართული არისტოკრატიის ზედაფენის სხვა შვილთაც – ამ უმაღლეს არჩევით თანამდებობაზე ხომ მხოლოდ ჩვენგან უნდა ყოფილიყო ვინმე არჩეული, როგორც აქამდე დამკვიდრებულიყო: გარსევან ჭავჭავაძე,

კონსტანტინე მუხრან-ბატონი, დიმიტრი, ივანე, ალექსანდრე ჯამ-ბაკურ-ორბელიანებიო. ეს ალექსანდრე სხვა გახლდათ – დავითის ძე, თორემ 1832 წლის შეთქმულთა მეთაურსა და ამჟამადაც შეუ-რიგებელ პროტესტანტს აქ ვინ გააჭაჭანებდა.

ამ ფონზე როგორი მოსათმენია, რომ უტიტულო აზნაური მო-ინდომებს გამარშლებას.

მონდომებას ვინ ჩივის თურმე.

კუდამოძუებულს კი არ გაისტუმრებდნენ, მართლა დაბრძან-დებოდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის სა-ვარძელში უტიტულო აზნაური დიმიტრი ყიფიანი.

რაღაც ვიღონოთო, – შესჩიოდა კავკასიური ომის გმირი ივანე მუხრან-ბატონს, გენერალ-ლეიტენანტსა და ყველაზე აღმატებულ მემამულეს თბილისის გუბერნიაში, ატყობდა უკვე, ისე ვერ მიდიო-და მოვლენები, თვითონ როგორც ჩაეთქვათ, და ის კი აქეთ სთხოვ-და დახმარებას: იქნებ შენ უფრო მოახდინო გავლენა საზოგადოებ-რივ აზრზე, შენ უფრო გაამრთელო დარღვეული ფსიქიკა და დაარ-წმუნო ეს დაბნეული ხალხი, რომ ამ არჩევნებისას საქართველოს ბედი წყდებაო.

ბედის განჩინებით ასე გადაწყდებოდა, რომ დიმიტრი ყიფიანი გადააჭარბებდა მათ გავლენას თავისი და თავის მომხრეთა ავტო-რიტეტით, და გრიგოლ ორბელიანი, სხვას რომ ვეღარაფერს აწა-მებდა, გულს ამით მოიოხებდა: მე და წვიმიტაძე ერთმანეთს შეგ-ვასწორესო.

ჩანაცრებულიყო უმაღლესი არისტოკრატიის მონდომება, ჩა-ნაცრებულიყო არა წამიერ ეპიზოდში, არამედ გარდამტეხი მოვ-ლენის წინაშე და უკვე სხვაგვარად იწყებდა ბრუნვას საზოგადოებ-რივი ცხოვრების ჩარხი.

ვაი, რომ ვერა – პოლიტიკური ცხოვრებისაც.

დამარცხებული ტოვებდა ასპარეზს გრიგოლ ორბელიანი და რევანშის იმედსღა მიენდობოდა, მაგრამ ახალ მარშალს რევანშის მოლოდინი ვერ შეაკრთობდა, რადგანაც მოვლენები უკან აღარ დატრიალდებოდა და ამ რწმენით აღანთებდა თავის მომხრეთ, რო-მელნიც თვალდათვალ გაბევრებულიყვნენ და კარგად კი ვერც გარკვეულიყვნენ, რაოდენ მღელვარე ამბების შუაგულში ამოეყოთ თავი:

– დღეს, ბატონებო, თქვენ გადადგით ძნელი, უდიდესი ნაბიჯი თქვენს საზოგადო ცხოვრებაში. თქვენი კენჭებით თქვენ მოიხსე-

ნით და წარსულის უფსკრულში გადაისროლეთ ჩვენს თავზე მძიმედ დაკიდებული ცრუ შეხედულებანი.

წოდებრივი სისტემა მოშლილიყო, თავადსა და აზნაურს შორის გამყოფი საფეხურები გათანასწორებულიყო და ზოგადგვაროვნულ აღმატებას პიროვნული ღირსებანი და უნარი შენაცვლებოდა.

ის, რაც შეუძლებელი ჩანდა სულ ცოტა ხნის წინათ, უეცრად რეალობად ქცეულიყო და ეს რეალობა ისე სასტიკად შეხლოდა სახეში უმაღლეს არისტოკრატიას, თვით დიმიტრი ყიფიანის პირად ღირსებასა და გავლენასაც აღარ გაუწევდნენ ანგარიშს და კატასტროფად ამიტომაც მიიჩნევდნენ არჩევნების ასეთ დაბოლოვებას.

სხვადასხვა მემუარული ჩანაწერები ხელშესახებად აცოცხლებდა ამ წუთებს – დამარცხებულთა გმინვას, გამარჯვებულთა ზეიმსა და ათასგვარი განცდითა და ვნებათაღელვით დამუხტულ გარემოს, ოღონდ იმ ფურცლებზე წარმოისახებოდა არჩევნების ეს გარეგანი მხარე და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს თავისთავად მოხდა ასე, არანაირი წინაისტორია არ უძღოდა დიმიტრი ყიფიანის გამარშლებას და სპონტანურად გადაწყდა მისი გამარჯვება – ხალხის განწყობილებამ განსაზღვრა და არა რწმენამ, და გამარჯვებულის სიტყვები – ძნელი, უდიდესი ნაბიჯიო, წარსულის უფსკრულში გადაისროლეთ ცრუ შეხედულებანიო – ავანსი უფრო იყო, ვიდრე მართლაც დადასტურება საზოგადოების სულიერი მომზადებისა.

შეგნებულად კი არა, უნებურად გადაუდგამთ ის ძნელი, უდიდესი ნაბიჯი.

ასე გვეგონა ყველას.

ასე ეგონა თამაზ ჯოლოგუასაც, ვიდრე არქივების ჩხრეკა-ჩხრეკისას ერთ პატარა ბარათს არ აღმოაჩენდა, დათარიღებულს 1864 წლის 2 იანვრით და გაგზავნილს გორიდან ზუგდიდში, სადაც იმყოფებოდა იმჟამად ადრესატი – სამეგრელოს მთავრის მცირეწლოვანი მემკვიდრის სამეურვეო საქმეებზე.

ადრესატი დიმიტრი ყიფიანია.

ბარათი ელიზბარ ერისთავს მიუწერია.

და პატარა ტექსტიდან მკვლევარი სულ ცოტა ორ სარწმუნო ცნობას ამოიკითხავდა.

ჯერ ერთი:

საარჩევნო კამპანია დიმიტრი ყიფიანის სასარგებლოდ მთელს ქართლ-კახეთის თავადაზნაურულ წრეებში გაშლილა და, ამდე-

ნად, უტიტულო აზნაურის არჩევა მარშლად სულაც არა ყოფილა სპონტანური მოვლენა.

და მეორე:

წინამძღოლის თანამდებობაზე სავარაუდო კანდიდატთა თუ ამ თანამდებობის მსურველთა სია უფრო ვრცელი ყოფილა, ვიდრე აქამდე ვიცნობდით.

მოკითხვის ბარათია, თითქოს ისეთიც არაფერი, მაგრამ ზოგადი სასიკეთო ცვლილებაც გვითვალსაჩინოვდება არისტოკრატიის ცნობიერებაში და ელიზბარ ერისთავის როლიც ასე მკაფიოდ იკვეთება იმ გარდამტეხ მოვლენაში.

მაშინ ასეთი განსაზღვრებანი არ არსებობდა, მაგრამ თუ ჩვენი ეპოქის პოლიტიკურ ტერმინოლოგიას მივუსადაგებთ, ელიზბარ ერისთავი დიმიტრი ყიფიანის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად გვევლინება.

ძვირფასო დიმიტრი ივანიჩო – მაშინდელი მიმართვის კვალობაზე დაიწყებდა ბარათს ელიზბარი, – მომილოცავს ახალი წელიწადი და ღმერთმან მრავალს წელს დაგასწროს შენის ცოლშვილითაო.

დასრულებით კი ამ სტრიქონებით დაასრულებდა: შენმა ნათლიდედამ მოგილოცა დღესასწაული. შენმა ნათლულმა ხელს გაკოცა. აგრეთვე დანარჩენმა ჩემმა შვილებმაო, – და რაკიღა ორივეს კარგად მოეხსენებოდა, ნათლული ვინც იყო და ელიზბარი კი ბარათს მკვლევარებისათვის არა წერდა, მხოლოდ მინიშნებას დასჯერდებოდა, ჩვენთვის კი ბუნდოვანი დარჩებოდა, ხუთი ქალ-ვაჟიდან ვინ მოენათლა წამებულთა დასის მომავალ წევრს.

1864 წლის საგლეხო რეფორმის პროექტი დიმიტრი ყიფიანს რომ შეედგინა და, საგუბერნიო ყრილობაზე მოსმენამდე, ყველა მაზრაში მის განსახილველად საგანგებო კომიტეტები შექმნილიყო, გორის მაზრის ვითარებას ელიზბარი ატყობინებდა: მე მგონი გათავდება ამ თვეში, კომიტეტი კვირაში სამჯერ იკრიბება და საქმობენ; როგორც მითხრეს ზოგიერთმა კომიტეტის წევრებმა, მამული ჩვენ გვრჩება, მხოლოდ გლეხები ხიზნებათ იქნებიან. ისე თავდება, როგორც ჩვენს დიდ პროეკტშია. მგონი, ცოტა რამ ცვლილება იყოსო.

ახლა კი არჩევნების თაობაზე:

„რადგანაც დეკემბრის 10 რიცხვისთვის ვიყავით დაბარებულნი კეთილშობილნი ასარჩევათ მარშლებისა, მეც ვიყავ, მაგრამ კახელები ვერ მოვიდნენ და ამ თვის 10 რიცხვამდინ დარჩა ეს საქმე.

როგორც გამოვიკითხე კახელებისა და ქალაქ უეზდის აზრი, უფროსი ერთი შენ გდომობს ღუბერსკის მარშლათა. ჩვენი უეზდიც ხომ სულყველანი შენა გდომობენ, ათიოდე კაცის მეტი არ გამოირიცხება ჩვენგანა".

„უფროსი ერთი" ვერ ამოიშიფრებოდა, სხვა მხრივ კი ბარათის ზერელე გადათვალიერებით ისე მოჩანს, თითქოს ელიზბარი მხოლოდ სოციოლოგიური გამოკითხვით იყოს დაკავებული... მაგრამ სტრიქონებს შორის მკაფიოდ იგრძნობა, რომ ეს „სულყველას ნდომა" თავისთავად არ მოხდებოდა და საზოგადოებრივი აზრის მომზადება დამხობილ მთავარსარდალს უდია თავთ. ყველაფერი რიგზე ეგულება, მაგრამ ჩინებული ფსიქოლოგიცაა და ის გამოცდილებაც შეუძენია, რომ გადამწყვეტი დღის წინახანებში აუცილებელია დიმიტრი ყიფიანი საგანგებოდ ჩამოვიდეს და მოიაროს აქაურობა, თვითონ დაენახვოს ყველას, თვითონ შეხვდეს და ესაუბროს გავლენიან პირთ.

ამიტომაც:

„როგორც უნდა იყოს დიდი საჭირო საქმეები გქონდესთ, უთუოდ ამ თვის ათს ან თერთმეტს გორში მოგელიდ, რომ ქალაქს ერთად წავიდეთ.

თუ რომლისამე შემთხუვევის გამო დაგიგვიანდებათ, ტელეგრაფით მაცნობე".

ატყობინებდა, თუ რა ხმები ვრცელდებოდა – ვის შეიძლება ეყარა კენჭი საგუბერნიო არჩევნებზე: მარშლობა უნდათ თურმე ივანე მუხრანსკის, ტატო ბარათოვსა, ღენერალ რევაზ ანდრონიკოვსა. ჩემს ძმას ფიცითა ვკითხე და იმის საქმის გარემოება ასე არის, რომ მართებლობასაც ძალათ დანიშნოს არ შეუძლიან (არც თვითონ შეუძლია) ქალაქში ცხოვრება და არც უნდა ღუბერსკის მარშლობა. აქედამ იგულისხმე, როგორი მოპირდაპირეები გყვანანო.

გიორგი რომანიჩსაც მოუნდომებია?

მე არა მჯერაო – ელიზბარმა, – როგორც ჩვენს საზოგადოებაში კრედიტი აქვს გიორგისა, ის შენც იცი, უეჭველია, არ მოინდომებსო.

ბარათისათვის დართულ შენიშვნებში ყველა აქ ჩამოთვლილ პიროვნებაზეა ცნობები მოწოდებული: მუხრანსკი ჩვენი ნაცნობი ივანე მუხრან-ბატონია, რომელიც მოგვიანებით – 1885-91 წლებში – მაინც მოიპოვებდა ამ თანამდებობას და ორი სამწლიანი ვადის

შემდეგ საკუთარი სურვილით დატოვებდა წინმძღოლობას; ტატო შესაძლოა მეტსახელი ყოფილიყო ზაალ ბარათაშვილისა, ვინც იმჟამად თბილისის მაზრის წინამძღოლი და გუბერნიის მარშლის მოადგილე გახლდათ; რევაზ ანდრონიკაშვილის კანდიდატურას წამოყენებით კი წამოაყენებდნენ, მაგრამ თვითონ დარბაზში არ იმყოფებოდა და მისი ძმა აუწყებდა შეკრებილთ, ჩემს ძმას არა სურს ამ პოსტზე კენჭისყრაო. თუმც იგი მაინც გახდებოდა გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, მაგრამ ეს უკვე 1871 წელს, მას შემდეგ, რაც დიმიტრი ყიფიანი ნებაყოფლობით განაცხადებდა უარს მარშლობაზე.

„ჩემი ძმა" ვის შეიძლება გულისხმობდეს, იასეს, ალექსანდრესა თუ გრიგოლს? დიმიტრი აკი უკვე გარდაცვლილია. მკვლევარი ალექსანდრეს ივარაუდებდა, იმჟამად გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობაში გამორჩეული ავტორიტეტი რომ მოეხვეჭა.

არც უნდა ღუბერსკის მარშლობაო...

იქნებ სულაც ელიზბარმა გადააფიქრებინა, ყოველ შემთხვევაში ყოყმანი დიმიტრი ყიფიანის სასარგებლოდ გადააწყვეტინა.

გიორგი რომანიჩი გიორგი რევაზის ძე ერისთავი გახლდათ, ატამანის მეტსახელით ცნობილი, კომედიოგრაფ და კიდევ სხვა გიორგი ერისთავებში რომ არ არეოდათ. ერთ დროს ისიც მათთან ერთად გარეულიყო აჯანყების მზადებაში და არხანგელსკის გადასახლებაც გამოეცადა. რუსეთის კავალერიის გენერალი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორადაც წარმოსდგებოდა, და თუმც 1864 წლის საგუბერნიო ყრილობაზე მის კანდიდატურას არც განიხილავდნენ, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა და დიმიტრი ყიფიანსაც მკვეთრად დაუპირისპირდებოდა.

მაგრამ ელიზბარ ერისთავს წინასწარვე გაეთვალა ყველა შესაძლო მოსალოდნელობა-მოულოდნელობა.

და სახტად დატოვებდა არისტოკრატიის ზედაფენას: დრომ ასე ფერი როდის იცვალა, როდის გადასხვაფერდა თვალსადახელშუაო.

ჩვენც რომ მათსავით გვეგონა – სპონტანურად მოხდა ყველაფერიო.

ნუთუ ეს ბარათი რომ არ აღმოჩენილიყო, საკმაოდ დამაჯერებელი ვარაუდი ისედაც არ უნდა გამოგვეთქვა, რომ შემთხვევით ასეთი რამ არ მოხდებოდა და საზოგადოებრივი აზრი გულმოდგინედ შეემზადებინათ ასეთი გარდამტეხი ცვლილებისათვის?

და ბარათს მხოლოდ დოკუმენტურად უნდა დაედასტურებინა ეს მიხვედრა.

ეგაა, ვარაუდში ელიზბარ ერისთავის სახელი და კვალი არ გამოჩნდებოდა, ამდენს უკვე ველარ ვიგუმანებდით.

ნეტა გრიგოლ ორბელიანს თუ გამოერკვია, ვისი შემწეობით დაეხლართა არისტოკრატიის ზედაფენისათვის გზები თავადაზნაურთა ახალ წინამძღოლს, მზამზარეული პოსტი ხელიდან რომ გამოეცლია მათთვის?

მაშინ ალბათ დაფარული არ დარჩებოდა და „გივი ამილახვარის აღსარების“ შემოქმედი ახალ მარშალთან ერთად შეთქმულების მთავარსარდალსაც იგულისხმებდა: თქვენ დააქციეთ საქართველოო.

გიორგი ერისთავს ახსოვდა, რომ შეთქმულება გამოუცხადეს თუ არა გრიგოლ ორბელიანს, იმას სხვა არავისთვის შეუხედავს, მხოლოდ ელიზბარ ერისთავს მიმართავდა: ყოვლად შეუძლებელიაო, – მას უმტკიცებდა და შეკითხვას შეკითხვაზე აყრიდა, რათა ილუზიებისაგან გამოეფხიზლებინა.

ასეთ ილუზიებში გრიგოლი უფრო უნდა ყოფილიყო გახვეული, თავისუფლებისაკენ თავგანწირული სწრაფვა მისი პოეტური ბუნებისათვის უფრო უნდა ყოფილიყო ნიშანდობლივი, ცივი გონების კარნახი არაფრად არ უნდა ჩაეგდო და ყოველ წამს მზად ყოფილიყო აჯანყების შუაგულში შესავარდნად. მაგრამ ელიზბარი წარმომდგარიყო პოეტზე უფრო პოეტად და იმ ჭეშმარიტ რომანტიკოსად, იდეალად რომ სახავდა ეს ლიტერატურული მიმდინარეობა. შეუცნობელში თამამი შებიჯება გახლდათ რომანტიკული აზროვნებისა და მოქმედების არსი, არა მარტოდენ გლოვა და სევდა, არამედ ნების სიმტკიცის გამოვლენაც და ზღვარს მიღმა გადაბიჯება იმ დაურიდებლობით, რაც ფილისტერული სულისათვის მკრეხელობასა და სიგიჟესაც კი უტოლდებოდა.

არ დაგიდევდა ელიზბარი იმ ეპითეტებს, მისი სახელის ირგვლივ რომ დატრიალდებოდა. გრძნობდა, დაბრკოლებანი თავისით არ დაიმსხვრეოდა, და არც არავითარი ზღუდე არ არსებობდა ცისქვეშეთში ისეთი, რომლის დალეწვაზე ოცნებაც მხოლოდ განუხორციელებელი მირაჟი იქნებოდა. ილუზიის იერიც აუცილებლად თან სდევდა ზღვარს მიღმა გადაბიჯების წადილს, მაგრამ მთავარი მაინც პიროვნული ნება გახლდათ, ის სულიერი მონუმენტალიზმი, ბრძოლის უთანასწორობასაც რომ არაფრად ჩააგდებდა და გულ-

დაგულ შეელეწებოდა ავ ბედისწერას. ფუჭად და უაზროდ? არა და არა, მხოლოდ იმ რწმენით რომ მოძმესა თვისსა სიძნელე გზისა გაადვილებოდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი პოეტურ ყალიბში მოაქცევდა იმ განცდას, რაც ელიზბარ ერისთავის მოქმედებას ასე ხელშესახებად დატყობოდა.

ბედის ქროლვასთან ნაპოლეონ ბონაპარტის შეჯახებასაც ის თუ ლირიკის ენაზე გარდათქვამდა, ეს თავის კაბინეტში გამოკიდებდა თეთრ ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონის დიდსა და მშვენიერ სურათს და მისი ჭვრეტითაც დაიბრუნებდა მხნეობასა და სუნთქვას.

მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდება, როდესაც უძირო სევდაც გათანგავს ამ პორტრეტის შემხედვარეს, თვითონ თეთრ ცხენზე ამხედრებულის ნაცვლად ავლაბრის ყაზარმა რომ ერგო ჯილდოდ თავგანწირვისათვის, და კიდევ თერთმეტწლიანი გადასახლება. დამხობა იმასაც მოსწეოდა – საფრანგეთის იმპერატორს, ეს მწარე ფიალა იმასაც შეესვა, ვიდრე საწამლავიან ფიალასაც მიაგებებდნენ, მაგრამ დამხობამდე თვითონაც გაეტეხა ბედი, ტრიუმფის მწვერვალებიც ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოევლო, და ახლა პორტრეტებიდან თანაგრძნობით გადმოსცქეროდა თავის შორეულ თაყვანისმცემლებს, ვინც დამხობას კი გამოსცდიდა, მაგრამ მთავარსარდლობას... ვერა!..

დამიჯერეო, – ჯიქურ დასდგომოდა თავს გრიგოლ ორბელიანს.

ის ახალ შეკითხვას მოუნაცვლებდა.

დამიჯერეო, – ზედ მიადევნებდა პასუხს ელიზბარი ისევ ისე.

სულ უფრო მიიკუნჭებოდა სავარძელში გრიგოლ ორბელიანი.

გიჯერებ, როგორ არ გიჯერებო, – გატყდებოდა ბოლოს.

კილვა და ბრალდება არ დაკლებოდა ელიზბარ ერისთავს და ამ სიას ახლა ყოფილი თანამებრძოლის მიერ გამოთქმული გმობაც შეემატებოდა, მკაცრი და სარკაზმითაც შემაგრებული: მე და წვიმიტაძეო.

ფარსის პერსონაჟად ვიქეცი თუ რა არისო, – რაღაც ამგვარს გაივლებდა გულში გრიგოლ ორბელიანი და ვერ აეხსნა, კავკასიური ომის გმირს კვლავ კომედიაში რატომ ამოეყო თავი. არა კმარობდა, ერთხელ ამათთან ერთად რომ გამოეცადა ის სიმწარე? ყველანი კომედიაში მოვექეციოთ, – ამას კი უკვე ვეღარავინ გადაარწმუნებდა და მწარე ღიმილით მოისმენდა გამარჯვებულის სიტყვას:

– დღეს, ბატონებო, თქვენ გადადგით ძნელი, უდიდესი ნაბიჯი თქვენს საზოგადო ცხოვრებაში...

მალე ვიწვნევთ, რა უდიდესიც ყოფილაო, – გულს ასკდებოდა, მაგრამ ნიშნს კი არავის მოუგებდა, ვისთვის მოეგო – ნუთუ თავისი ქვეყნისათვის, დაბნეულობით ისედაც უფსკრულისაკენ რომ დაქანებულიყო?

უფსკრულში ცრუშეხედულებანი გადაიყარაო, – ვერც ელიზბარ ერისთავს გადაარწმუნებდა ვერავინ, და გამარჯვების შეგრძნებით გაბრუებულს აღარც ის ანაღვლებდა, როგორ შეფასდებოდა ის დღე ისტორიის გადასახედიდან – ციდან ჩამოვარდნილ მოულოდნელობად თუ გულმოდგინე მომზადების ნაყოფად.

ვერა, ვერ გადაიტანდა ამ მარცხს ასე იოლად და ლოგინადაც კი ჩავარდებოდა.

თვე ნახევარი იწვაო, – თითქოს სხვათა შორის აღნიშნავდა მემუარებში, მაგრამ აუცილებლობად მიიჩნევდა, რომ ეს დეტალი არ გამოეტოვებინა და არც ის გარემოება: მეფის მოადგილე რომ ნახულობდა მას და ამშვიდებდა, ყიფიანს არ დაამტკიცებენო. და მართლაც, უმაღლესი დამტკიცება მხოლოდ აპრილის დამლევს მოვიდაო, – ამ ფრაზის ქვეტექსტიც გამჭვირვალეა – იქნებ რაიმე მიზეზი გამოჩხრეკილიყო, რათა კენჭისყრის შედეგი გაუქმებულიყო და ხელახლა დანიშნულიყო არჩევნები, ახლა უკეთ მომზადებული საიმისოდ, რომ დიმიტრი ყიფიანი განზე დაეტოვებინათ. ხელჩასაჭიდი მიზეზი არაფერი ჩანდა და ისედაც მწოლიარე გრიგოლ ორბელიანს გულს ეყრებოდა. დამშვიდება აღარ სჭრიდა. თუ რაიმე იყო შესაძლებელი, აქამდეც მოხერხდებოდა, თორემ დამტკიცების გაჭიანურება თავის მოტყუება გახლდათ და სხვა არაფერი. ბოლოსდაბოლოს, როდემდე გააჯანჯლებდნენ. დიმიტრი მღელვარებას არ იმჩნევდა, თუმც ისიც და ელიზბარიც სულ იმ ქაღალდის მოლოდინში იყვნენ, რასაც უნდა დაედასტურებინა ის ისტორიული დღე... და თუ ასე არ მოხდებოდა და მოწინააღმდეგენი მაინც გაიტანდნენ თავისას, დიმიტრისაც და ელიზბარსაც სანუგეშო ის ჰქონდათ, რომ ხალხი მომზადებულიყო ფსიქოლოგიური ცვლილებისათვის და ახლა თუ არა, უახლოეს ხანში ვეღარაფერი დააოკებდა მის ნებას.

თურმე ახლაც.

ნანატრი ქაღალდიც მოვიდოდა.

დიმიტრი ყიფიანიც ენერგიულად მოჰკიდებდა ხელს თავადაზნაურთა წინამძღოლობას. თუ დაგჭირდე, შენს გვერდით მიგულეო, – სიტყვა დაეგდო ელიზბარს და ხან ღვარებში ტრიალებდა, ხან ტფილისს ამოაკითხავდა ქარხნის საქმეებზე, ჭმუნვის არიდებას ესწრაფოდა, დარდი გამომხრავს, თუ გამომხრავსო, მაგრამ ის ისე დასტანებოდა, ისე გაჯდომოდა სხეულში, ისე ეჭრებოდა ფიქრებში, კიდევ კარგა ხანს გაეძლო.

დილაობით ჩაის ჭიქას მოიდგამდა.

გაიცქირებოდა სადღაც.

და ედგა თვალებში უძირო სევდა.

ძლივს აითრევდა წელს გრიგოლ ორბელიანი – ჯერ საკმაო ჟამი ედო წინ, აღსავსე ათასგვარი მღელვარებით და იმისთანა ამბებით, მიწას რომ დაემხობოდა და სიმწრით მოფხოჭნიდა: შენ მაინც შეგვრჩი, ფეხის დასადგმელად მაინც შეგვრჩი, თორემ გამოვეკიდეთ ჰაერში და ეგაარ.

თავი მეთხუთმეტე

„შევყურებ ძეგლს და რა სინათლეა“

იმ ათასგვარად შთამბეჭდავი დღის მიწურულს გედევან ხელაია, გორის უნივერსიტეტის რექტორი, ქართული კულტურისა და ხელოვნების ერთი საუკეთესო მცოდნე და აღიარებული თამადაც გენო ზაქარაიას რომ დალოცავს ელიზბარ ერისთავის მემორიალის აგებისათვის, მაკა ჯოხაძე გვერდით მჯდომ თამარ ღონღაძეს გადაუჩურჩულებს:

– რა კარგია, არა, როცა ქების ღირსია ხელოვანიც, მისი შემქმნელიც და სიტყვას ძებნა არ უნდა დაუწყო, თავისთავად მოდის კეთილი და ლამაზი სათქმელი.

და რას წარმოიდგენს, რომ ჩურჩულით გაზიარებული ეს აზრი რეპორტაჟში აღმოჩნდება – „ზუსტი ორიენტირი“ – („ჩვენი მწერლობა“, 2003, 24 იანვარი) – დოკუმენტური ნოველის სტილით რომ შეიქმნება. თამარ ღონღაძისაგან გასაკვირი არ ყოფილა კარგი ლიტერატურული მასალა, მაგრამ ეს მაინც განსხვავებული აღმოჩნდებოდა და მკითხველი მოიხიბლება არა მხოლოდ იმ ისტორიული დღის მარჯვედ ასხმული დოკუმენტური ფონით, არამედ თხრობის მიმზიდველობითაც და ცალკეულ პასაჟებს ბარემ აქაც ამ რეპორტ... არა, დოკუმენტურ ნოველას დავესესხოთ.

ამ დღის სამზადისი ჯერ კიდევ როდის დაწყებულიყოო, – ამ ფრაზასაც ჩაურთავდა და თვალის ერთი გადავლებით აღადგენდა ზოგად სურათს იმ მიზანდასახული მსვლელობისა, რომელიც მსახიობი ქალის მხედველობის მიღმა დარჩენილიყო, და კიდევ „თრიალეთის“ ტელეკომპანიის თვალსაწიერის მიღმაცს, მწირზე მწირი ცოდნა სრულიად საკმარისად რომ მიაჩნდათ მის მესვეურებს ცხოვრებაში გზის გასაკაფად, მთავარია ოღონდ... დიახ, მთავარიც მოეხსნებოდათ.

ბატონებო და ქალბატონებოო, – საზეიმო ცერემონიალი გაეხსნა გედევან ხელაიას, ვისი დროული და გონივრული ჩარევაც ჩა-

აცხრობდა ყოველგვარ წინააღმდეგობას და ამ დიდებულ დღეს (ივანე ამირხანაშვილი „შეგნებულ დღეს“ იტყოდა თედო უთურგაიძის გვლენით) შორს გადასაწევად არ გაიმეტებდა:

– ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დღევანდელი დღე შევა, როგორც მნიშვნელოვანი თარიღი, უკვდავებით რომ ამკობს სამშობლოსათვის გულანთებულ გმირთა ნათელ და მარადიულ ხსოვნას. ამიერიდან შიდა ქართლის მეცნიერების, კულტურისა და განათლების მთავარ კერას სამუდამოდ დაამშვენებს დიდებული მამულიშვილის, ეროვნული გმირისა და საზოგადო მოღვაწის – ელიზბარ ერისთავის ძეგლი.

– ელიზბარ ერისთავის ბიუსტმა გორის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი აქცია უფრო მნიშვნელოვნად და დაამშვენაო, – დავით ქობლიანიძემ, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა.

– ეს არ არის რიგითი ძეგლი... დღევანდელი დღე, ვფიქრობ, საწინდარი გახდება იმისა, რომ ყოველი გორელისათვის მაგალითი იქნება და გორის სახედ იქცევა ელიზბარ ერისთავის მოღვაწეობაო, – პაატა ჩხეიძემ, გორის მერმა.

– ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ვესწრები ამ დიდებულ დღეს! ეს არის ზეიმი!.. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ კაცს მაინცდამაინც წარსული უყვარს და წარსულის ფასი იცის, დიდებული დღეა. დიდებულია, რადგან ასე დაიწყო ახალი წელი. გამოჩნდა, რომ ქართველმა კაცმა იცის ფასი თავისი გენიალური შვილებისა თავისი პატრიოტი შვილებისა (სამწუხაროდ, სიტყვა პატრიოტიზმმაც დაკარგა ფასი!), თუკი ამ გზით ვივლით და ამ გზით უნდა ვიაროთ, მართლაც გაბრწყინდება საქართველო. მადლობა დიდ საჭირისუფლოს! არ შეიძლება გორი არ იყოს დიდი ქალაქი და არ ვუნოდოთ მას დიდებულ მოძღვართა ქალაქი, როცა ასეთი შვილი ჰყავსო, – ჯანსუღ ჩარკვიანმა, პოეტმა და პარლამენტარმა.

– ანდაზა ამბობს: კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, და დავამატებდი, დიდ მოღვაწეს დიდი დამფასებელი სჭირდება... სამწუხაროდ, დღეს სახელმწიფო ვერ აკეთებს იმას, რაც მან ხშირ შემთხვევაში უნდა გააკეთოს, და, აი, კერძო პიროვნების მხრიდან დაიწყო იმის აღსრულება, რასაც, თუ გადავხედავთ XIX საუკუნეს, ქველმოქმედები აკეთებდნენ და მათ ნაღვაწს დიდი საქმეები ერქვა... გორი ის ქალაქია, ძეგლის ღირსი მრავალი შვილი რომ ჰყავს. ის არ გახლავთ ერთი ადამიანის ქალაქი, რაც ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ მოხდა ისე, რომ სიყალბის ისტორიამ ეს დაგვავიწყა.

მადლობა, რომ სიმართლეს ვიხსენებთო, – კობა იმედაშვილმა, მწერალმა და კრიტიკოსმა.

– ჩვენ არ ვიცით, ილიასა და სხვა დიდი სამოციანელების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა როგორ ხასიათს მიიღებდა, როგორი ხარისხის იქნებოდა, თუ არა წინამორბედი დიდი ქართველი პატრიოტების პირველი ეროვნული შეთქმულება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ – 1832 წლის შეთქმულება... ჩემთვის პირადად დღევანდელი დღე ორი აღმოჩენით აღიბეჭდება: ელიზბარ ერისთავი დაუბრუნდა საქართველოს, მის ისტორიას, და მეორე: ქართულ სახვით ხელოვნებას – იაკობ ნიკოლაძის, ნიკოლოზ კანდელაკის, მერაბ ბერძენიშვილისა და ელგუჯა ამაშუკელის მონუმენტურ ხელოვნებას მიემატა, ჩემთვის აღმოჩენა, მოქანდაკე – გენო ზაქარაია... ჩვენ ვდგავართ იაკობ გოგებაშვილის და იოსებ ჯუღაშვილის სამშობლოში. ამ ორი, სრულიად დაპირისპირებული დიდი ქართველის სამშობლოში და გვეყოს სიბრძნე, რომ ვისწავლოთ ორი რადიკალურად დაპირისპირებული პიროვნების პატივისცემა... ახლა ვდგავართ უნივერსიტეტის წინ მასპინძლებთან ერთად და მომავლის იმედით ვხსნით ჩვენი დიდი მამულიშვილის – ელიზბარ ერისთავის ძეგლს. ქართული ხელოვნების და ქართული ისტორიის ახალ ფურცელს ერთად აღვნიშნავთო, – გურამ შარაძემ, მეცნიერმა და პარლამენტარმა.

– მეგობრებო, თვითეულ ჩვენგანს ახსოვს, როგორ იყო საქართველო დაფარული ჩვენი ქვეყნის მოღალატეთა თუ დამპყრობთა ძეგლებით... იშვიათად თუ დაიდგმოდა პატრიოტისა და მამულიშვილის ძეგლი. დღეს კი მომსწრენი ვართ იმისა, საზოგადოების მიერ კიდევ ერთი, სამშობლოსათვის თავდადებული პიროვნება როგორ იქნა აღმოჩენილი და წარმოდგენილი. ელიზბარ ერისთავს იცნობდა ქართული მეცნიერება, მის შესახებ იცოდნენ მკვლევარებმა, მაგრამ ხალხისათვის ეს ღირსეული მამულიშვილი უცნობი იყო ისევე, როგორც ალექსანდრე ბატონიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილიო, – სოსო სიგუამ, მკვლევარმა და პარლამენტარმა.

– ყველაზე მეტად რაც ჩვენს დროში მაწუხებს, არის სიყვარულის ნაკლებობა სამშობლოს მიმართ. პატრიოტიზმი ზოგჯერ ცუდადაც ესმით... გორში იდგმება ქანდაკება, რომელიც ერთ-ერთი უნიჭიერესი მოქანდაკის – გენო ზაქარაიას შექმნილია. ახლა აღმოჩნდა, რომ ბევრი მას არ იცნობს. მე მათ გუნდს არ ვეკუთვნი. მართლაც შესანიშნავი ქანდაკებაა. ჩვენს დროში, რო-

დესაც პოეზიას, ქანდაკებას, თეატრალურ ხელოვნებას (და, საერთოდ, ხელოვნებას, რომელზეც ამბობენ, რა დროს ხელოვნებაა) დღეს დროსა და ადგილს რომ უთმობენ და მნიშვნელობას ანიჭებენ, ეს ძალზე დიდი საქმეა და დასაფასებელია, – ლია სტურუამ, პოეტმა.

– თვალყურის მადევარი გახლავართ ძიების იმ გზისა, რომელიც დღევანდელი დღით დაგვირგვინდა. ჟიურის წევრი გახლდით და სამივე ტურის საქმის ყურში ვიყავი. ეს იყო მოთმინებითი ძიება საუკეთესო ნაწარმოების შესაქმნელად. არავითარი აჩქარება, გულდინჯად მუშაობდა ყველა. უნდა დაბადებულიყო ხელოვნების ღირსეული ნაწარმოები. ისეთი, როგორიც შეეფერება ამ ქალაქს და როგორიც ეკადრება თვითონ დიდ მამულიშვილს... ჟიური ირჩევს, მაგრამ ჭეშმარიტი ღირებულების ნაწარმოები იქმნება სულიერი აფეთქების ჟამს. ეს ბიუსტი ასეთი სულიერი აფეთქების შედეგიაო, – ვახტანგ დავითაიამ, არქიტექტორმა.

– ელიზბარ ერისთავმა და მისმა თანამებრძოლებმა სამშობლოს წინაშე თავისი ვალი აღასრულეს. აღასრულეს გულწრფელად, დიდი რისკის, საშიშროებისა და სასჯელის ფასად. მათ არ უფიქრიათ მომავალ ძეგლებზე, რომელთაც შთამომავლობა დაუდგამდა. მრავალი წელია ისინი თავის სამშობლოში ბრუნდებიან დავიწყებიდან, გადასახლებიდან, უფერულობიდან. ამ დაბრუნებას ხელს უწყობენ ისინი, ვინც იცის ფასი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი დაბრუნება და ხელახლა გაცოცხლება. ასე დაბრუნდა შესანიშნავ ძეგლად ელიზბარ ერისთავიო, – დავით მჭედლურმა, პოეტმა.

– ბევრს არ შეგაწყენთ. ჩემს წარმოსახვაში ასეთი სახე გამოიკვეთა: ქართველმა ერმა ააშენა პირამიდა. ოღონდ ეს პირამიდა მინისაა, შუშის, და იგი უკავშირდება ელიზბარ ერისთავის სახელს. მას, როგორც გამჭვირვალე და სათუთ ნაგებობას, გაფრთხილება სჭირდება. ნათელში ამყოფოს ელიზბარ ერისთავი. მჯერა, რომ მის ხსოვნას ჩვენ ყოველთვის გავუფრთხილდებით ისევე, როგორც ჩვენი ისტორიის გამჭვირვალე პირამიდასო, – გენო ზაქარაიამ, მემორიალთან ერთად თვითონაც აღმოჩენად რომ იქცა თვით განათლებული საზოგადოებისთვისაც.

– ჩვენს დროში, სამწუხაროდ, ცოტა არ არის ცრუგმირები და, მითუმეტეს, აუცილებელი და სავალდებულოა ნამდვილი, ჭეშმარიტი ეროვნული გმირების დაფასება და საზოგადოების ყურადღების მიქცევა ამ მიმართულებით, რადგან მომავალი თაობა სწორედ ამ დიდე-

ბული ადამიანების, ჭეშმარიტი ეროვნული გმირების კვალზე დადგეს, მათი გზა გააგრძელოს, რათა მხოლოდ ლამაზ ფრაზებად და პოეტურ სიტყვად არ დარჩეს: დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელიო, – ნატო ჩხეიძემ, პარლამენტარმა.

სიტყვით, ცხადია, ზაზა ოქუაშვილიც გამოვიდოდა და უპირველესად სიხარულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ელიზბარ ერისთავი აქაური გახლდათ და ღვაწლიც და კვალიც საკმაოდ დაეჩნია გორისთვისაც:

– საზოგადოება დიდი ხანია ელის მის ასეთ დაფასებას. ძეგლი არის მარადიულობის, ხსოვნის სიმბოლო და ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია, რომ დიდი ქართველის ხსოვნა ასე აღნიშნულიყო, რათა მომავალი თაობა ამგვარ პიროვნებათა მაგალითზე აღიზარდოს.

ამ გამოსვლის დროსაც, ტელეკომპანია „იბერიის" „ახალი ამბების" სიუჟეტშიც, ქუჩაშიც, სუფრაზეც, იმ დღესაც, შემდგომაც თავს ისე დაიჭერდა, თითქოს ეს ყოველივე უიმისოდ აღსრულებულიყო და თვითონ მხოლოდ რიგითი მონაწილე ყოფილიყოს ამ გამორჩეული მოვლენისა, მაგრამ დაფარული არ დარჩებოდა მისი ღვაწლი და ვანო ჩხიკვაძის მშვენიერი ლექსი – „ელიზბარ ერისთავის დაბრუნება გორში" – ზაზა ოქუაშვილს რომ მიეძღვნებოდა, როგორც ექსპრომტი, სწორედ ამ საყოველთაო განწყობილებას აირეკლავდა:

შევყურებ ძეგლს და –
რა სინათლეა,
მადლი უფლისა გფარავს –
ის კაცი, ვისი ცეცხლიც აკლია,
კვლავ დაუბრუნე ქალაქს.

პოეტის მზერას არ გამორჩებოდა ძეგლის მეტყველი თვალები, და წარმოსახვის მიშველებაც არა სჭირდებოდა, ისეც გრძნობდი, როგორ დაეკიდებოდა ცრემლის აკიდო წამწამს.

თითქოს ის წუთები გაცოცხლებულა, ელიზბარი სიცოცხლის მიმწუხრზე მდუმარედ რომ სვამდა ჩაის და ნაღვლიანად გაიცქირებოდა სადღაც.

პოეტი ცდილობდა მის სულში ჩახედვას და ისეთი განცდა დაუფლებოდა, თითქოს ძეგლს კი არა სცილდებოდა საბურველი, არამედ დრო-ჟამს.

მოწვეთავს ჯავრი მჭმუნავ სახიდან,
ისევ დაბრუნდა რადგან,
ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად
დღესაც კედელთან დადგა.

გამოქვეყნებით იმავე წლის 9 მაისის „ჩვენი მწერლობა“ გამოაქვეყნებდა ამ ლექსს, რომელიც საჯაროდ მოგვიანებით წარმოითქმოდა – 2005 წლის 11 იანვარს, ოდნავ ბურუსიან, თოვლ-ჭყაპიან, გათოშილ დღეს, ელიზბარ ერისთავის მემორიალთან რომ შევიყრებოდით მცირე გუნდი, დიდი ქარტეხილი გადაგვეტანა და ერთ-ერთ ბრალდებად სადღაც, რომელიღაც საიდუმლო დოკუმენტში ამ მემორიალის აღმართვაც ჩაინერებოდა. ვერ ჩაეშალათ მისი დადგმა? ვერ აღეკვეთათ მიზანმიმართული სვლა ქართველობის დაცემული ვინაობის აღსადგენად? მთავარ დასაყრდენს უნდა მიწვდომოდა დაუნდობელი ხელი, იმის ირგვლივ უნდა დატრიალებულიყო უმწვავესი პოლიტიკური მოვლენები და სრული განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა თავისუფალი ბიზნესიც და თავისუფალი სიტყვაც. ეს უმძაფრესი ჭიდილი ჭეშმარიტებასა და სიყალბეს, სამართლიანობასა და უსამართლობას, ჰუმანიზმსა და ძალმომრეობას შორის ვრცელ დეტექტურ ცდაში წარმოისახებოდა დოკუმენტური სიზუსტითა და თანმიმდევრობით – „ორშაბთიც შაბათია“: გარეგნული მხარეც, ფარული ნაკადებიც, მიზეზიც, საბაბიც, ფსიქოლოგიური სარჩულიც, ზოგადი პოლიტიკური ფონიც.

გადავლილიყო ის ქარტეხილი, თუმც ხელახლა წამოწევას დრო სჭირდებოდა, ნებისყოფასა და სულიერ ენერგიაზე რომ აღარაფერი ითქვას... ნელა-ნელა, თანდათან ... ამ დღის ამოგდებაც არაფრისდიდებით არ გვინდოდა ჩვენი კალენდრიდან და ელიზბარ ერისთავის პანაშვიდის გადახდამდე გორის ციხის კალთაზე აგებულ ეკლესიაში, კვლავინდებურად მამა ალექსანდრე რომ უნდა გაძღოლოდა, მემორიალთან მოვითქვამდით სულს, იქ მოვიდრეკდით თავს, ბარათაშვილური შვების ძიებისა არ იყოს, და ვანო ჩხიკვაძეც გამოჩნდებოდა – ყელშეხვეული, ჩახლეჩილი ხმით მოლაპარაკე, ლოგინიდან მხოლოდ ამ რიტუალის აღსასრულებლად წამომდგარი, და ჩვენს სიტყვებს მისი ლექსიც შემოერევა: ის კაცი, ვისი ცეცხლიც აკლია, კვლავ დაუბრუნე ქალაქსო.

ჯერ იმ გათოშილ დღემდე ორი წელი გვაშორებს და: ჩვენს ქვეყანას დღეს ძალზე სახიფათო მოსახვევი აქვს გადასალახი-მეთქი, – ვამბობ ჩემი გამოსვლისას და იმედს არა ვკარგავ:

– მაგრამ როგორც აქამდე გადაგვიტანია მრავალი განსაცდელი, ამასაც ისევე გამოვივლით; როგორც აქამდე განგვიცდია საბედისწერო ჟამის რეკვა და გაგვივლია ეს ჟამი, ასევე ამ ჟამის რეკვასაც ჩამოვიტოვებთ.

ამისთვის კი ერთად უნდა ვყოფილიყავით ცოცხალნიც და მიცვალებულნიც.

თითქოს ჯეიმზ ჯოისის ნოველის („მკვდრები") ფინალიაო – ერთნაირად რომ ათოვდათ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც.

ეს იდუმალი განცდა უნდა შენარჩუნებულიყო.

დროდადრო კი ხელშესახებადაც წარმოსახულიყო, თორემ მარტოდენ სიმბოლური თუ მეტაფორული შინაარსი არა კმაროდა იმ ენერგიის ხელახლა აღვსებისათვის, ურომლისოდაც მეტაფორები უღონოდ იფარფატებდა ჰაერში. რაღაცას ესეც ნიშნავდა, განა არა, მაგრამ „რაღაც" დროში ძალიან და ძალიან იწელებოდა. და მისთვის როდემდე გვეცადა. საქართველოს ისტორია ახლიდან იყო დასაწერი, კიდეც იქმნებოდა მატიანის ახალი და სიმართლით სავსე ფურცლები, მაგრამ საქართველოს ისტორიაც არ უნდა დაწერილიყო მარტოდენ ფურცლებზე, ქვეყნის ლანდშაფტშიც აუცილებლად უნდა აღბეჭდილიყო და ამ მიმართულებით სვლას შემატებოდა ეს დღეც.

ასე დავიხსნიდით თავს იმ სიცრუისა და ფალსიფიკაციისაგან, რაც ასე მძლავრად და მწვავედ დაჩნეულიყო ამ საბედისწერო ორი საუკუნის მიერ საქართველოს ისტორიაზეც და რა გასაკვირი გახლდათ, რომ გმირები ცხადდებოდნენ ყაჩაღებად, ყაჩაღები კი გმირებად.

– შემთხვევითი არ არის, რომ ელიზბარ ერისთავი ამ ორი საუკუნის მანძილზე შეფასებული იყო, როგორც კანონგარეშე ფიგურა. შემთხვევითი არც ის არის, რომ არ არსებობს ელიზბარ ერისთავის საფლავიც, რომელიც ააფეთქეს ეკლესიასთან ერთად. არ არსებობს აღარც მისი სახლი, რომელიც ასევე გაანადგურეს და მისი სახელი გადავიდა იატაკქვეშეთში.

იმასაც ვიტყოდი: შეთქმულების მთავარსარდალს დაფიცებული ჰქონდა, ისე არ წასულიყო ცხოვრების ასპარეზიდან, ვიდრე არ გაწყდებოდა უკანასკნელი ძაფიც, რუსეთ-საქართელოს შემაერ-

თებელი. და ისე დალია სული, ოცნება აღუსრულებელი დარჩა-მეთქი. მისი ანდერძიც ეს გახლდათ – უკანასკნელი ძაფიც გამწყდარიყო, თორემ უამისოდ ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა თავის მოტყუება უფრო იქნებოდა, ვიდრე რეალობა – სასურველის გასაღება სინამდვილედ.

ამ გზაზე ისევ ელიზბარ ერისთავი გვამხნევებდა.

და ამიტომაც:

– ფიცი, რომელსაც დღეს ჩვენ გავიმეორებთ, ისევ ელიზბარ ერისთავის სიტყვები უნდა იყოს: ისე არ წავიდეთ ცხოვრების ასპარეზიდან, ვიდრე არ განყდება უკანასკნელი ძაფი რუსეთ-საქართველოს შემაერთებელი.

გზაში სოსო ჭუმბურიძე მეტყვის: ელიზბარსაც ჩარლზ პარნელივით უთქვამს უკანასკნელი ძაფის განყვეტაზეო. და ღიმილით შემომხედავს, მიგიხვდი, პარნელის ისტორიული ფრაზა რომ მიუსადაგე შეთქმულების მთავარსარდალსაცო.

იქნებ ეს ფრაზა ელიზბარს მართლაც ეთქვა პარნელამდე კარგა ხნით ადრე?

საგამოძიებო ოქმები, მემუარული ჩანაწერები საამისოს არაფერს გვატყობინებს, მაგრამ... მაგრამ სწორედაც გვატყობინებს და მიგვანიშნებს ის საგამოძიებო ოქმებიც და მემუარული გადმოცემებიც – და, რაც მთავარია, ელიზბარ ერისთავის ცხოვრების აზრი და შინაარსი – რომ ეს ფრაზა მისიცაა. და თუ ასე ფორმულაში არ მოუქცევია, ნაგულისხმევი ხელშესახებადაა, ისე ხელშესახებად, რომ მართლა მისიცაა... თუმც რას გაუყვია საქართველოსა და ირლანდიის ბედისწერა...

ისე არ წავიდეთ ცხოვრების ასპარეზიდანო...

დარღვეულიყო მჭიდროდ ნაკერი ძაფი საქართველოსა და რუსეთს შორის, მაგრამ განყვეტით მაინც არა წყდებოდა, რადგანაც ნარღვევში სინათლის შემოღწევა განყვეტად მაინც არ ითქმის.

გული არ უნდა დაგვემშვიდებინა სინათლის სხივების შემოღწევით.

და ეს მემორიალიც ამას შეგვახსენებდა, ასეთი შთამბეჭდაობით რომ ამოზიდულიყო, მაგრამ... იმ ქუჩის ბოლოს ისევ ისე იდგა ის საათი, რომელიც წლებია გაჩერებულიყო და დროის შეჩერებასაც იუწყებოდა ამ გარემოში. სწორედ ამ სიმბოლური შინაარსით გადავიდოდა ოთარ ჩხეიძის რომანის – „ჩემი სავანე“ – ფილანში: გაჩერებული საათი და გაჩერებული დრო, ათასი რამ რომ იცვლე-

ბოდა ქვეყნის ცხოვრებაში, მასზე კი ეს ცვლილებანი ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენდა.

იდგა თავისთვის საათი, კაციშვილი რომ აღარ ახედავდა, და თავისთვისვე მოულოდნელად რომანში ამოჰყოფდა თავს, მის აზრობრივ შინაარსს შეჰკრავდა და დააგვირგვინებდა დრამატული აკორდით. მხატვრულ სახედაც გადაიქცეოდა. ქუჩის კუთხეშიც ისევ ისე ასვეტილიყო – დრო გაჩერებულა, გაიგეთ, რომ გაჩერებულაო!..

* * *

ქანდაკება – მდუმარე პოეზია.

ეს მეტაფორული განსაზღვრება, თავის დროზე საკმაოდ ეფექტური, უკვე ჩვეულებრივ გამოთქმად ქცეულა ხელოვნებათმცოდნეთა წრეებში, და თუ დავით ანდრიაძე მას არამარტო გაიხსენებს, არამედ სულაც მისით დაიწყებს სტატიას „ძეგლი, როგორც კითხვის ნიშანი" („ომეგა", 2004, 4), მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ეს ქანდაკება იწვევს ამგვარ განცდასა და შესაფერისი განსაზღვრების საჭიროებას. მეტიც – მარინო მარინის რომ არ მოფიქრებოდა, იქნებ ელიზბარ ერისთავის ქანდაკის წინაშე წამოცდენოდა ვინმეს – პოეტს ანდა მხატვრული სახეებით მოაზროვნეს.

სტატიაში მარინის სხვა აფორისტული ფრაზაცაა მოხმობილი, ისევე მარჯვედ მისადაგებული გენო ზაქარაიას მიგნებას, როგორც ელიზბარის სახება გაქვავებულ პოეზიას:

– პორტრეტის შექმნისას საჭიროა გვახსოვდეს, რომ მას ცხოვრება უწევს არა ცოცხალთა, არამედ მიცვალებულთა სამეფოში.

ნეტა ჩვენს მოქანდაკესაც ახსოვდა ეს შეგონება?

სტატიის ავტორის დაკვირვებით, დიახაც ახსოვდა და პორტრეტზე მუშაობისას ამიტომაც ცდილობდა აღებეჭდა რაღაც იდეალური ხატი ანუ მოეხელთებინა ერთგვარი ზედროული „არქეტიპი".

სტატია პროფესიული ანალიზის ჩინებული ნიმუშია, შესაძლოა ცოტა გადატვირთული ტერმინებით და არცთუ იოლად აღსაქმელი ყველასათვის, მაგრამ მკითხველი გულდასმით თუ ჩაუკვირდება მსჯელობის მდინარებას, არაერთ საგულისხმო მოსაზრებას ამოიკითხავს – რაღაც დაუდასტურდება, რაც მკაფიოდ ეგრძნო, მაგრამ სახელი ვერ დაერქმია; რაღაც კი ახალი თვალით შეახედებს და დაფარულ შრეებსაც მიახვედრებს.

მთავარი კი მაინც ისაა, რომ მოქანდაკე თურმე: გატაცებით თხზავს ისტორიული გმირის პერსონალურ მითოლოგიას.

ეს პერსონალური მითოლოგია კი რას გულისხმობს?

„ახალ" ელიზბარ ერისთავს ანუ პორტრეტულ ორეულს, თავისი არტისტული დამაჯერებლობით იკონოგრაფიულ პირველადობაზეც რომ აცხადებს პრეტენზიას, და არცთუ უსაფუძვლოდ.

ამ რომანტიკულ სახეში რაღაც მოდერნულსაც შეამჩნევდა მკვლევარი და ისტორიის რეტუშსაც ახსენებს მელანქოლიურობისა და მგრძნობელობის, თვითრეფლექსიაში ჩაძირვისა და მოუხელთებელი პლასტიკის იმ კუთხით წარმოჩენისას, თითქმის გრავირებული თმა და ვარცხნილობის სტილ-მოდერნული „დახუჭუჭება" რომ აღძრავდა.

მთავარი მაინც რა ჰგონია?

ნატურალური ხედვისა და პირობითი რეჟისურის სინთეზი.

და ეს თეზა იქვე ასე გაიშლება: ამ „თავში" არაფერია პლებეური, ყველაფერი არისტოკრატული პენით სუნთქავს, ელიტარული აურით გვხიბლავს... ყოველ დეტალში იგრძნობა, რომ რაღაც განსაკუთრებულთან, რესპექტაბელურთან, ისტორიულად, კულტურულად, ესთეტიკურად, არტისტულად რაღაც მნიშვნელოვანთან რომ გვაქვს საქმეო.

არტისტულობას, ერთბაში ხიბლის გარდა, იმიტომაც დაუფასებს ხელოვნების კრიტიკოსი, რომ ერთგვარ თამაშებრივ საწყისსაც შეამჩნევს ქანდაკებას, არა გაუცნობიერებელს, არამედ შეგნებულად და წარმატებითაც გამოყენებულ ხერხს:

– ეს „თავი" ერთდროულადაა პირადულიც და პარადულიც, მონუმენტურიც და კამერულიც, საჯაროც და ინტიმურიც... მოქანდაკე თავისებურად გადაამუშავებს პორტრეტული ნიღბის კონცეფციას და იმასაც გვიჩვენებს, თუ როგორ შორდებიან ერთმანეთს სახე და ნიღაბი, მერე როგორ „ეძებენ" ერთიმეორეს, როგორ პოულობენ, როგორ ერგებიან, მერე ისევ სცილდებიან...

თამაშებრივი საწყისი სხვა კი არაფერია.

ანალიტიკურადაა დაშლილი ქანდაკების სხვადასხვა ასპექტი, რათა დანაწევრებული კუთხეები თუ შრეები ისევ აღდგეს და აღდგეს იმ სურათად, მონუმენტალიზმის სიდიადეს რომ გიდასტურებს – ქვაში განივთებული პოეზია ხელოვნებათმცოდნეობის ენაზეც საკმაოდ მოხდენილად გარდაითქმის, რადგანაც ქანდაკები-

სათვის უპირველესი ნიშანი ის ბუნებრიობაა, რომელსაც ხელოვანი ვერ შეიძენს, თუ დაბადებითვე თან არ დაჰყოლია.

თამაშის ჟინიც ოსტატობას მოაქვს, შენს ნებაზე როდესაც იმორჩილებ „მძიმე“ მასალას.

მკვლევარი უკვირდება ელიზბარის მზერის მიმართულებას და შთაბეჭდილება რჩება, რომ ის ბარათაშვილისეული „აღუვსებელი სანყაულის“ ჰორიზონტისაკენ გაიცქირება.

და კიდევ:

– ესაა საკუთრივ მეომრის, ოღონდ არა მილიტარისტულად გაგებული მეომრის, არამედ სულიერი მებრძოლის ხატი, ხატი გმირისა, მხედრულ კოლიზიებშიც კი მშვიდობას რომ ეძიებს... მისი პლასტიკური ინტონაცია აღიქმება როგორც გამუდმებული შეკითხვა: შეკითხვა დასმული თვით დროისადმი, ისტორიისადმი, თუნდაც მარადისობისადმი.

ამ და ამგვარ პასაჟებში ყველაზე სახიერად მოჩანს ქანდაკების თავისებურებაც, სიახლეც, შთამბეჭდაობის იდუმალი საწყისიც, ყოველივე ის, რაც საბოლოოდ ერთი სახელწოდების ქვეშ გამთლიანდებოდა – პერსონალური მითოლოგია.

ან თუ გნებავთ მარინო მარინის განსაზღვრებას დავყრდნობოდით:

სიცოცხლე მიცვალებულთა სამეფოში.

სივრცის სივიწროვე უკეთესად ანკი როგორ დაირღვეოდა.

თავი მეთექვსმეტე

ადამიანი რწმენაა

გიორგი ლეონიძე ელისაბედ ერისთავსაც რომ დაანერინებდა მოგონებებს, თითქოს პირადი შთაბეჭდილებანი ისეთიც რა უნდა ყოფილიყო ელიზბარზე, რაკილა იგი მაშინ აღსრულებულიყო, როდესაც შვილს მხოლოდ შვიდი წელი შესრულებოდა, მაგრამ მაინც ამოიკრიბება არაერთი საგულისხმო დეტალი, რომელთაგან ყველაზე ძალიან ეს მომხვდებოდა გულზე:

– მახსოვს, მამაჩემი სინამ სამსახურში წაბრძანდებოდა, ახალუხჩაცმული გრძელ ჩიბუხს ეწეოდა და შუშაბანდში ჩაის მიირთმევდა. ცხოვრებისაგან მოტეხილი სუყოველთვის დაღონებული მეჩვენებოდა.

შესანიშნავი კინოკადრია!..

სახიერიც, პლასტიკურიც, ფსიქოლოგიურიც, დამხობილი მთავარსარდლის ცხოვრების დინებისათვის შესაფერისი – თუმც მდორე სულაც არა ყოფილა ეს დინება და დიდი ნარმატებითაც დამშვენებულიყო ეკონომიკურ-კომერციულ ასპარეზზე, მაგრამ ის, რაც თავმოსაწონებლად ექნებოდა სხვასა და სხვას, ელიზბარისათვის, აბა, რა ისეთი სასიხარულო აღმოჩნდებოდა: ბოლოსდაბოლოს, ნარმატება მოპოვებულიყო არა დამოუკიდებელსა და კონსტიტუციურ-მონარქიულ ყაიდაზე მოწყობილ სახელმწიფოში, არამედ იმპერიის განაპირა პროვინციაში, წინააღმდეგობის მოძრაობა ძალიან რომ გაძნელებულიყო და ახალ თაობასაც კვლავ ის მტანჯველი მოვალეობა გადასცემოდა მეშველ დროებად – ეროვნული ვინაობის აღდგენა-დამკვიდრება.

შესანიშნავი კინოკადრიაო...

ამ სახიერ დეტალზე აიგებოდა იმ კრებულის წინათქმა, ელიზბარ ერისთავს რომ მიეძღვნებოდა და ყველაფერს მოუყრიდა თავს, რაც კი იმ დრომდე (წიგნი 1997 წელს გამოიცემოდა) დაწერილიყო ამ პიროვნებაზე და რაც მისგან შემოგვრჩენოდა – მისი ჩვენებანი საგამოძიებო კომისიაში. გიორგი გოზალიშვილის სამტომეულიდან

ამოიკრიბებოდა და ერთად დალაგდებოდა ეს ჩვენებანი, რუსული ოფიციალური მასალებიდან თარგმნილი თვითონ მკვლევარის მიერ და ცალკეული ადგილები ამიტომაც ითხოვდა ენობრივ დახვეწასა და გადახალისებას.

კრებული საკმაოდ მრავალფეროვანი გამოვიდოდა და, გარდა სტატიებისა, მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდანაც („არსენა მარაბდელი") ჩაერთვოდა ერთი თავი, „განკვეთილი კვანძები" და მუხრან მაჭავარიანის ლირიკული ციკლიდანაც („1832") ის პაწია ლექსი, ელიზბარ ერისთავის ფიქრის ამოცნობას რომ ლამობს, შინდისიდან შინ ეტლით მიმავალს თუ რა უტრიალებდა გონებაში და პოეტურ ენაზე ამგვარ სიტყვიერ ყალიბში მოაქცევდა: აღარც საბა, აღარც ბესიკი, აღარც ვახტანგი, აღარც არჩილი, – არადა ისევ დგას დღის წესრიგში ბედი ქართლისა და ქართლის ჭირიო.

„დღის წესრიგი" – ეს ოფიციალური და გამაბეზრებელი ტერმინი კომუნისტური ეპოქისა საგანგებოდაა გამოყენებული, რათა მინიშნება კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს – ელიზბარის ფიქრი ახლა ჩვენი ფიქრიცაა, რადგანაც ისევ ისე აღმართულა ჩვენს წინაშეც ბედი ქართლისაც და ქართლის ჭირიცო.

მთავარი ისაა, რომ მძაფრი პროტესტი სწორედ ელიზბარ ერისთავის სახელით გამოითქმის.

გურამ ბათიაშვილის პიესიდანაც („შეთქმულება") განმეორდებოდა ერთი სცენა.

კრებულის ის მონაკვეთი კი – „ქეთევან ერისთავი: რეალური პიროვნება და ლირიკული გმირი" – სულაც ლიტერატურულ დეტექტივს დაემსგავსებოდა და ამ მხრივაც გაამთლიანებდა გამოცემის კომპოზიციურ ქარგას – პოლიტიკური დეტექტივის გმირის ქორწინებაც ლიტერატურული დეტექტივის თემად გადაიქცეოდა.

და ამ გამორჩეულ წიგნს ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ყოფაში, განსაზღვრულს ქვეყნის უკეთესი მომავლის მოსაახლოებლად, ეს სურათი გახსნიდა:

გაცემული შეთქმულების მთავარსარდალი დილაობით სვამს ჩაის და ნაღვლიანად გაიცქირება სადღაც.

და შვიდი წლის გოგონას თუ რაიმე დაამახსოვრდება მამისგან, სწორედ ეს ნაღვლიანი მზერა, რომელიც უკვე ჩვენთვისაც დაუვიწყარი ხდება ელიზბარ ერისთავის სახელის ყოველი გაელვებისას.

და ამ ფრაზას ძალდაუტანებლად მოჰყვებოდა ლირიკულ-დრამატული პასაჟი თავისი გამჭვირვალე ქვეტექსტით:

„ეს ნაღველი გვიმღვრევს და გვისერავს გულს და მოგვაგონებს, რომ დრო არ გასულა, ელიზბარ ერისთავი სადღაც არ გამოკლებია წუთისოფელს და ერთსა და იმავე გაქვავებულ ჟამში ვბრუნავთ.

დაკარგული გვყავდა და ვიპოვნეთ.

დაკარგული ვყავდით და გვიპოვნა.

ახლა ვერაფერი გაგვყრის.

ის ნაღვლიანი მზერა ჩვენი გასაცისკროვნებელია და ისე არც წავალთ ცხოვრების ასპარეზიდან, ოცნება რეალობად თუ არ ვაქციეთ და არ დავწყვიტეთ ყელზე შემოჭერილი ყველა ძაფი“.

თვითონ ელიზბარი?

იგი... იგი ისევ მდუმარედ უზის ჩაის ჭიქას და სადღაც გაიცქირება.

ერისთავის ასული კი გონებაში კრებს ყოველ ნამცეცს, რისი აღდგენაც შეუძლია ძალიან ადრეულ მოგონებათა შესაკონწიწებლად, მითუმეტეს, გამზრდელთა ხელში იზრდებოდნენ და მშობლებს დილა-საღამოს თუ ხედავდნენ: სადილად და ძილის წინ. ელისაბედი დილით რომ მიესალმებოდა მამას და ხელზე აკოცებდა, ის მიუალერსებდა და რუსულად უმეორებდა ხშირად: ჩემო გიჟმაჟოო, ციურიხში გაგგზავნი მეანეობის შესასწავლად, ფრანგული ისწავლე, რუსულით მოსკოვს იქით ვერ წახვალო.

ქარხანა მუშაობდა და ბავშვები ყოველ ზაფხულს ღვარებში ატარებდნენ. ერთხელ ბიძაშვილიც მათთან რომ ყოფილა, გამდელიც და ფრანგი მასწავლებელიც, სოფლისაკენ გაუსეირნიათ. სიმინდი შემოსულიყო, ბავშვებს თავიანთი მამულისა ეგონათ და მომტვრევას დაუწყებდნენ. არც გამდელს დაუშლია და არც პატრონს უთქვამს რაიმე. ესენი რომ კალთებს აივსებდნენ და შინისაკენ გაუყვებოდნენ, ის ფეხდაფეხ გამოჰყვებოდათ. ელიზბარი აივანზე გადმომდგარიყო და სიმინდის პატრონს ჰკითხავდა: რა ამბავიაო? და ისიც მოახსენებდა: ბატონო, ყმაწვილებმა სიმინდი სულ გამინადგურესო. ელიზბარს ძალიან ეწყინებოდა და გაჯავრდებოდა. გამზრდელს უსაყვედურებდა: იასამან, რა აკლიათ ბავშვებს, რად მიეცი ნება, რომ საწყალი კაცი აუკლიათო. ფრანგ მასწავლებელსაც შენიშვნას მისცემდა, მოურავს კი დაავალებდა: აუცილებლად გადაუხადეთ დანაკლისიო.

ბავშვები უნებურად გაბმულან მახეში, თორემ პატრონს ერთი რომ ეთქვა, ჩემიაო, ცივცხელად გაუშვებდნენ ხელს ტაროებს. მაგრამ ის ამათი სიყმაწვილით ისარგებლებდა, და კიდევ ელიზბარის

გულკეთილობითა და ჰუმანურობით, მალემრწმენობითაც, სხვათა შორის, ეშმაკი გლეხი საწყალი და დაჩაგრული რომ ჰგონია და იმ უნებურად მიყენებულ ზარალს ალბათ ათკეცად გადაუხდიდა.

ბოლო ხანს ხშირი ავადმყოფობა დასჩემდებოდა დამხობილ მთავარსარდალს.

იმ საღამოს იასამანა ელისაბედს მოძებნიდა:

– წამოდი, დიდი ბატონი კნიაზი, მამაშენი ავათ არის.

ამას მამის კაბინეტში დედა დახვდებოდა, დები, პატარა ძმა და კიდევ, ნიშანდობლივ ვეღარ გაიხსენებდა, ვიღაც მახლობლები.

ელიზბარი კედლისაკენ გადაბრუნებულიყო და ესენი კარს რომ შეაღებდნენ, ხმაურზე გადმობრუნდებოდა.

ცრემლი მოერეოდა.

და მალე ისევ კედლისაკენ შეტრიალდებოდა.

გამზრდელი ცრემლებს მოიწმენდდა და ელისაბედს ხელს მოავლებდა: შენი ძილის დროაო.

მესამე დღეს რაღაც ჩოჩქოლი ატყდებოდა. სასტუმრო ოთახიდან ავეჯს გამოიტანდნენ და ხალიჩებით მოფენდნენ. ყველას შავები ეცვა, მოსამსახურეებსაც. ელისაბედს ბიძასთან წაიყვანდნენ, ბიძაშვილებთან გაერთობაო.

კიდევ ერთი დიდი წიგნი დაიხურებოდა.

მოთავდებოდა ამილბარის ბიოგრაფიაც.

მოგონების ეს პასაჟი რელიგიური განცდით განიმსჭვალებოდა, რადგანაც ელისაბედი სწორედ აქ გაიხსენებდა იმ სიტყვებს, რისი ხშირი გამეორებაც სჩვეოდა ელიზბარ ერისთავს და შინაურებიც არ ივიწყებდნენ.

– ყველა ლოცვებში ჩემთვის ამაზე ძვირფასი არა არის რა, როგორათაც ეს სიტყვებიო, – და მღელვარედაც ამოთქვამდა:

– გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო ჩემო, და გული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა, ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმინდასა შენსა ნუ მიიღებ ჩემგან!

ისეთ დროსაა ჩართული ეს ლოცვა, თითქოს ელიზბარი სწორედ ამ სიტყვებს ბუტბუტებდა აღსასრულის წინ. იქნებ კიდეც ბუტბუტებდა, ხშირად თუ უყვარდა განმეორება, განსაკუთრებით თუ ეფონებოდა გულს და ეძვირფასებოდა, რა გასაკვირია, სული ამ ლოცვისას დაელია. შვილს სწორედ ასე წარმოუდგენია, მაგრამ არ შემონახულა ამილბარის უკანასკნელი სიტყვები და ასეთ დროს ყოველგვარ მოულოდნელობასაც უნდა ელოდე. თუმც მოულოდნე-

ლობა სხვებს ეგონებათ, თორემ არაცნობიერი თვითონვე ამოატივტივებს ყველაზე ინტიმურ, ყველაზე იდუმალ ფიქრსა თუ განცდას.

სხვა რამ გვგონია პიროვნების სიკვდილის ნუთების ბუნებრივი დაგვირგვინება და, ვინ იცის, სინამდვილეში რა აღმოჩნდეს.

ჰორას ნელსონს სიკვდილისწინა აგონიაში ჰეროიკული ფრაზის ნაცვლად, თუნდ ტრაფალგარული ასოციაციების მაგივრად საყვარელი ქალის სახელი დასცდებოდა.

და ელიზბარ ერისთავიც იქნებ ქეთევანის სახელის ხსენებით შეუერთდებოდა თავის ერს.

....თეთრ ცხენზე ამხედრებულიყო ნაპოლეონ ბონაპარტე, ერისთავის სახლის კედელს შეხიზნული, ბედისაგან აღზევებული და ბედისგანვე დამხობილი, კვლავაც რომ იწვევდა ბედისწერას ორთაბრძოლაში და სამარე თუ ევიწროებოდა, ეს კედელი არა, ისე ლაღად და დიდების მწვერვალზე გრძნობდა თავს.

გარინდულიყო სახლი.

თავის ფიქრში ჩაძირულიყო ყველაფერი.

გული ნრფელი განმიახლე გვამსა ჩემსაო.

მამაჩემის მიერ აშენებულ სახლში ვიდექით, ევროპულად გაწყობილშიო, – ელისაბედ ერისთავი გაიხსენებდა და მისი აღწერით უკვე შეექმნება გარკვეული წარმოდგენა, ფოტოსურათი რომც არ შემოგვრჩენოდეს.

საბედნიეროდ, ფოტოც გადარჩენილა და, თუკი ოდესმე შევიძლებთ, ამ ადგილას მუზეუმის ასაგებად მართლაც საგულისხმო მასალა გვიპყრია ხელთ.

მხოლოდ ელიზბარის სახელის უკვდავსაყოფად კი არა – თავისთავადაც დაამშვენებს იქაურობასაც და მთელს ქალაქსაც, და ღირსშესანიშნაობათა ჩამოვლისას უცხოელებს ეს სახლიც მოსტაცებთ თვალს – დიდი გემოვნების ნაყოფი, არქიტექტურული ძეგლი, რომლის ნასახიც აღარსად შემონახულა იმ არე-მარეზე.

მხოლოდ ფოტო.

მხოლოდ მემუარული ჩანაწერი.

ამ ადგილას მუზეუმის ასაგებადო...

თუ არ განაწყენდებიან და ყოველ მხრივ არ შეეცდებიან ხელის შეშლას, და საძირკველი თუ გაიჭრება, თუნდ ისევ იმ მსახიობ ქალს არ გამოაკერებენ „თრიალეთის“ ტელეარხს: სულ აქ დავდივარ და ელიზბარ ერისთავისათვის თვალიც არ მომიკრავს, ვერც მისი მნახველი ვნახე ვერსად და ვინ არის ამისთანა – არა, მისი საწინააღმდე-

გო კი არაფერი მაქვს, მაგრამ ვინ არის ამისთანა, სახლიც რომ ავუშენოთ და მაინცდამაინც ამ ადგილასო.

ჩვენი სახლიო, – ელისაბედმა:

მამაჩემის კაბინეტი, „პერედნიდან" დიდ დარბაზში შესავალი, ორი „გასტინა" ნითელი და მწვანე მორთულობით, დედაჩემის საწოლი ოთახი, ჩვენი მასწავლებლის ოთახი, საყმაწვილო ოთახი – ივანესთვის, მარიამისთვის (ზლოტნიცკის მეუღლე რომ გახდებოდა და, ბედის ჟინიან განჩინებით, ერისთავებისა და რომანოვების გვარებს ერთმანეთს გადააჯაჭვავდა), ნინოსთვის (ქობულაშვილს რომ მისთხოვდებოდა), ზაქარიასთვის და ჩემთვის – ჩვენი გამდლის, იასამანას ოთახი და დიდი შუშაბანდი – ვენეციური შუშებით იატაკამდე.

შუშაბანდი – მშვენიერი ლიმონის ხეები, ალოე, ფორთოხალი, კაკტუსები.

ელიზბარ ერისთავი საზღვარგარეთ რომ გაემგზავრებოდა, ბოჰემიაში, იქიდან ჩინებულ სერვიზსაც ჩამოიტანდა და ფაიფურის მშვენიერ ჩაის ფინჯნებსა და ბროლის ჭიქებს და ბრონზის ხომლებს. ხუთი ხომლი შუშაბანდში ეკიდა – ზამთრის ბაღად ჩაფიქრებულს, 6-8 საფეხური ბაღში რომ ჩადიოდა, ხეხილითა და ვარდებით სავსეში.

მამის კაბინეტში შვილებს ყველაზე ძალიან სტაცებდათ თვალს მშვენიერი დიდი სურათი: თეთრ ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონი, ელიზბარის ოცნების გმირი, ოღონდ მანამდე, ვიდრე მეფის გვირგვინზე გაცვლიდა გმირის სახელს. ლორდ ბაირონი ძრახავდა ამ საქციელისათვის, პიროვნულ სისუსტეს უსაყვედურებდა და მისი ტრაგიკულად დასრულებული ცხოვრების მთავარ მიზეზად ამ სისუსტეს მიიჩნევდა – ვატერლოოს მარცხიც და წმინდა ელენეს კუნძულზე პატიმრობაც გვირგვინისაკენ ამ ხელის გაწვდენას მოჰყვა, რაკიღა ფრანგი ხალხის სწრაფვა მას შემდეგ აღარ გესმოდაო.

აჩრდილს ეჯავახებოდა, აჩრდილს არიგებდა ჭკუას ბაირონი და ნიშნსაც უგებდა, თუმც შენატრებითაც შენატროდა და გუნებაში გაივლებდა: ერთი ასეთი გარღვევა, ერთი ასეთი ზესწრაფვა ნეტა ჩემთვისაც გაემეტებინა ბედსო. არ გაიმეტებდა? ძალით მოუნდომებდა ხელიდან წაგლეჯვას და ხან კარბონარებში გამოერეოდა და ხან ბერძენ მეამბოხეებში თურქეთის ბატონობის დასამხობად. აქ მოინდომებდა იტალიელთა მარცხისაგან მოგვრილი მწარე განცდების დაშოშმინებას და წუთისოფლის კედლებს აწყდებოდა გავეშე-

ბული, როგორ იქნება, ნაპოლეონისებური გაჭრა ვერ შევიძლო ცხოვრებასა ან პოეზიაშიო.

იქ გაჭრილიყო, პოეზიაში, ნაპოლეონისებური გარღვევით ახალი სადინარი მიეცა მხატვრული აზროვნებისათვის, მაგრამ გული მაინც ვერ შეეჯერებინა და, გაგულისებული, დამხობილ იმპერატორს მოუგებდა ნიშნს: ეგეც შენი გვირგვინი, იყავი და იყიალე კუნძულზეო.

და ღრმა მოწიწებითა და... ცინიკური მზერით გამოეთხოვებოდა მის ცხედარს.

ეს შინაგანი ჭიდილი – ამ ორი განცდის ერთდროული თანაარსებობა?

ლორდ ბაირონის წინააღმდეგობრივი ხასიათისათვის სწორედაც ბუნებრივად გამოიყურებოდა და... იქ, სივრცეებში კი... ელიზბარ ერისთავის ზნეობრივი ფიგურითაც დიდად მოიხიბლებოდა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ ლორდ ბაირონის აღსასრულამდე ევროპაში რომ მომხდარიყო, აღტაცებას ვერ დაფარავდა, სახელმწიფოში გავლენით ყველას აღმატებული პიროვნება – როგორიც შეიქნებოდა ელიზბარ ერისთავი რუსთა ბატონობის დამხობის შემდგომ – თავისთვის არამცთუ უმაღლეს ხელისუფლებას, სამხედრო მინისტრობასაც რომ არ ირგუნებდა და სამთავრობო იერარქიას თავის გარეშე იგულისხმებდა – გმირი გმირად უნდა დარჩენილიყო და ძალაუფლებას არ მისტანებოდა.

მაინც ვერ მოეცილებინა ნაპოლეონის ლანდი ლორდ ბაირონს და წარმოსახვაში ხან როდის წამოუტივტივდებოდა და ხან როდის.

ელიზბარ ერისთავი მხოლოდ წარმოსახვას არა კმარობდა, ბარემ კედელზეც გამოფენილიყო იმისი სახება.

ფანჯრებს შუა დიდი სარკეებიც იდგა და ყმაწვილებს უყვარდათ იმათთან თამაში.

იმ საფეხურებზე ჩარბენაც უყვარდათ და მებაღესაც ძალიან შესჩვეოდნენ, ანრის – ფრანგს, თავისი სახლობით რომ შეეკედლებინა ელიზბარს და, გორში ხომ უვლიდა ბაღს, კარალეთშიც გაუშენებდათ მშვენიერ ბაღს – ახალი ევროპული ჯიშებით სავსეს.

მოსამსახურენი ძალიან შეთვისებოდნენ ელიზბარსაც და მის მეუღლესაც და, როდესაც ელიზბარი თავისუფლებას უბოძებდათ, მუხლებში ჩაუვარდებოდნენ: არ გაგვწიროთ, არ მოგვიშოროთო. – გაწირვა კი არა, მეგონა ასე გერჩივნათო, – უბეჯითებდათ მებატონე, ისინი კი: თქვენთან გვირჩევნია, უკეთეს ადგილსამყოფელს სად ვიშოვნითო.

კიდეც დარჩებოდნენ და ისეთიც არაფერი ხდებოდა, იძულება დარქმეოდა. ალექსანდრე ორბელიანი სწორედ ამგვარ ურთიერთობას მიიჩნევდა ბუნებრივად, წინააღმდეგობას ვერ ხედავდა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის და მამაშვილობის თეორიას რომ ქმნიდა, სწორედ ასეთ შემთხვევებს ითვალისწინებდა – ზოგადი მორალი რაც სუფევდა ქვეყანაში, თორემ ცალკეული ცოდვადანაშაულები რატომ უნდა განზოგადებულიყო ხელოვნურად და რუსული ბატონყმური ურთიერთობა რატომ უნდა გამოცხადებულიყო ჩვენი ყოფის სურათებად? ის მწვავე სოციალური ჭიდილი რატომ უნდა გადმოტანილიყო ჩვენს მიწა-წყალზეც, ვითომდა ქართული ცხოვრების გამომხატველად? ალექსანდრე ორბელიანი დიდ ბოროტებას, მეტად მზაკვრულ ჩანაფიქრს ხედავდა ასეთ გაიგივებაში, უსაფუძვლოსა და თავსმოხვეულში, და ჯერ კიდევ მაშინ დაუპირისპირდებოდა სინამდვილის ამგვარ გადაკეთებას ყალბი შეხედულებების კვალობაზე, როდესაც სხვანი უფრო იოლად განსჯიდნენ, ანდა სულაც აჰყვებოდნენ სახადივით მოდებულ აზრებს და სწორედ იმ ცალკეულ შემთხვევებს მიანიჭებდნენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

უთქვენოდ ვერ გავძლებთო, – ეხვეწებოდნენ ელიზბარს მოსამსახურენი და აღარც ელიზბარი იყო უარზე: თქვენთვის ვიფიქრე ასე, თორემ რატომ შეგელეოდითო.

თითქოს ცა გაიხსნაო, – ჯამბრიშვილს გაახსენებდა, – ჰელსინგფორსში რომ დაგინახე ნაბდითა და ხურჯინგადაკიდებულიო.

მოსაგონარი არ დაელეოდა მასთან თუ სხვასთან, ტოლ-ამხანაგებივით რომ მოჰყვებოდნენ გვერდით, მაგრამ ჰელსინგფორსის ის დღე მაინც სხვაგვარი იქნებოდა, მართლა ცის გახსნასავით.

ზამთრობით ერისთავიანნი ჩამოდიოდნენ სოფლებიდან.

ეს იყო მაშინდელი ცხოვრების წესი – ამოესუნთქათ ცხრათვიანი გარჯისაგან და მისცემოდნენ შვებას თავისი მეჯლისებით, ლოტოთი, ცეკვა-სიმღერით. რიგრიგობით უნდა გამართულიყო ეს თავყრილობანი – მასპინძელი ყველა უნდა ყოფილიყო, და თავსაც გამოიდებდნენ, რათა ერთმანეთს არ დავარდნოდნენ. მონდომებას არცერთი ოჯახი არ დააკლებდა, მაგრამ ელიზბარ ერისთავიცა და მისი მეუღლეც სულ სხვა ლაზათით, სულ სხვა ბრწყინვალებით მასპინძლობდნენ და მათი ოჯახი სალონად იმიტომაც გამოჩნდებოდა გორში, თეატრალურ დადგმებსაც რომ პატრონობდა და ხელოვნების კერად გადაიქცეოდა. ქეთევან ერისთავი მარტო რომ

დარჩებოდა, მაშინაც შეინარჩუნებდა ამ სახლს კულტურის ოაზისად, უკვე ისე აწყობილიყო ყველაფერი, რაღას მოშლიდა, მითუმეტეს, აწყობაში თვითონაც საკმაო წვლილი ედო, მხოლოდ ელიზბარისათვის კი არ მიენებებინა მეჯლისებისა თუ სახელოვნო შეკრებათა გაძღოლა.

მერაბ გაბუნია დიდად რომ გაუნაწყენდებოდა თავის ქალს, როგორ თუ მსახიობობას დათანხმდი დავით ერისთავსო, ქეთევანი ჩაერეოდა და ის გადაარწმუნებდა განრისხებულ მამას.

მაგრამ ეს მერე მოხდება.

ჯერ დავით ერისთავმა თეატრალური დასის შექმნას უნდა მოჰკიდოს ხელი ანუ გიორგი ერისთავის გზას გაჰყვეს და დრამატურგობაც თვითონვე მოსინჯოს და თეატრის დაფუძნებაც.

უფრო ადრე კი ელიზბარ ერისთავის სახლში შინაურ კაცად იქნეს მიღებული, როგორც მისი ვაჟის, ივანეს, უახლოესი მეგობარი.

ელიზბარი შინ რომ მოიწვევდა კერძო მოსწავლეებს ვანოსათვის, გიორგი ერისთავის ვაჟსაც დაასწრებდა გაკვეთილებს, გორის პანსიონშიც ერთად მიაბარებდა ორივეს. დავითს – როგორც ივანე ერისთავი გაიხსენებდა იონა მეუნარგიასთან საუბრისას – ყოველ შაბათს შინიდან მოსდიოდა პატარა ყარაბაღული ცხენი და საკვირაოდ მამასთან მიდიოდა ხიდისთავში. დედა ამ დროს ცოცხალი უკვე აღარ ჰყოლია, ოთხი წლისა ყოფილა დავითი, დედას დამბლა რომ დაეცა. მათ ერთად გაგზავნიდნენ ოდესაში სასწავლებლად – კნორის პანსიონში, მათი სტუდენტობის ხანს კი ამ სახლში თანდათან უკვე ახალი თაობა დამკვიდრდებოდა – მათი ტოლამხანაგები – სალიტერატურო საღამოების სულისჩამდგმელებად: ეს კოლია ერისთავიო, ეს ვასო ერისთავიო, ეს მიშა ალხაზიშვილიო, ეს მოსე ტერაკოპოვიო, ეს მიხეილ ალიხანოვის (გიორგი ერისთავის ცოლისძის) სახლობაო – ხიდისთავიდან რომ ამოდიოდნენ მისი ქალები ამ საღამოებში მონაწილეობისათვის და ელიზბარის გოგონებთანაც დამეგობრდებოდნენ.

ყმაწვილები მეექვსე კლასში რომ იქნებოდნენ, 1864 წელს, ელიზბარი შვილს მისწერდა, შენ გაუმჟღავნე დავითს მამის გარდაცვალებაო.

და ივანე:

– რომ შეუნამე, სანყალმა მთელი ღამე იტირა. ამის შემდეგ დავითმა პანსიონს თავი დაანება და რამდენიმე ხნით საქართველოში დაბრუნდა.

მის მეურვეობას ელიზბარ ერისთავი აიღებდა თავის თავზე.

თანდათან უკვე ახალი თაობა დამკვიდრდებოდაო...

ყველაზე სახიერად რომელი სურათი ჩარჩენია ელისაბედს?

– მახსომს დავით ერისთავი ასწავლიდა „მერანის" წაკითხვას ვასო სოლომონისძე ერისთავსა და დიდხანს აჩერებდა სიტყვა მერანის გამოთქმაზე.

მრავლისმეტყველი დეტალია და გული გწყდება, რომ ასეთი დეტალებით არ გადავსებულა ელისაბედის მემუარული ჩანაწერები, რაც თავისთავად ძვირფასია თავადაზნაურობის მაშინდელი ყოფის შესასწავლად, იმ სურათების აღსადგენად, რაც მკვლევარსაც ძალიან წაადგება და ბელეტრისტსაც სიწრფელისა და მიუკერძოებლობის გამო. დრამატულია ეს ყოფა? სწორედაც დრამატული გახლდათ, და სხვა ცნობები რომც არ მოგვეპოვებოდეს, ჯერ მარტო ეს მოგონებანი გამოგვადგებოდა დასაყრდენად ეპოქის სულის შეცნობის გზაზე.

და მაინც, ძალიან ვისაკლისებთ დეტალებს.

ვისაკლისებთ, „მერანის" კითხვის ეპიზოდი მაშინვე რომ გადადის თეატრალური დასის შედგენასა და ნატო გაბუნიაზე, ვინც ელიზბარის გოგონებთან დამეგობრებულიყო და ამ სახლში ტრიალისას ქეთევანი მიაქცევდა ყურადღებას მის ნიჭიერებასა და იმიტაციის უნარს, მარჯვე პაროდიისასაც – ოღონდაც ვინმე წარმოედგინა მასხარაობით. ამიტომაც ურჩევდა დავით ერისთავს – შენი დასისათვის მისწრება იქნებაო, და რარიგ გაიხარებდა, როდესაც ყველა მოიხიბლებოდა მისი თამაშით. წარმატება თვალნათლივი გახლდათ, მისი მომავალიც უკვე განსაზღვრული, მაგრამ მამამისი ვერ შეეგუებოდა ნატოს ასეთ არჩევანს და ისე მკაცრად დაუშლიდა, ქეთევანის ჩარევა გახდებოდა აუცილებელი. რაკიღა თვითონ შეეყენებინა ამ გზაზე, ბოლომდე პატრონობასაც თავის თავზე აიღებდა.

დედაჩემმა დაათანხმებინაო, – ასე მოკლედ ჩაწერილა მოგონებაში, თუმც ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ ლაკონური ცნობის მიღმა რა ძალისხმევა დგას, რა ლოგიკა და დარწმუნების ძალა, უპირველესად კი მაინც გამორჩეული გავლენა, ძველი წარმოდგენებით შეპყრობილ კაცსაც რომ დააჯერებდა. ბოლოსდაბოლოს, იმან, დებიუტანტი მსახიობის მამამ, კარგად იცოდა, რომ ქეთევანი ცუდს არ მოინდომებდა და არც ზერელედ გადაწყვეტდა ვინმეს ბედს. ნატო გაბუნიაზეც ისე ზრუნავდა, როგორც თავის შვილებზე იზრუნებდა, მსახიობობის ნიჭი რომ შეეტყო რომელიმესათვის.

დედაჩემი ქართულად იცვამდა ძვირფასადო, – ნათელ მოგონებად შემორჩენოდა მეხსიერებას დედის სახება და კიდევ ისიც: როცა წაბრძანდებოდა მეჯლისში, თან წაიყვანდა ღარიბ ქალებს და მისცემდა თავის ტანისამოსს და გადაუკეთებდაო.

ძალიან ლამაზი და ეშხიანი ქალი იყოო, – სხვათა ნათქვამად იმეორებს სიამაყით ყმანვილქალური ქეთევანის სახეს შეფრფინავს და ხარობს, წლებს რომ ვერ გაეხუნებინა ის საყოველთაო აღტაცება.

შვილებში ჩამჯდარი ხშირად მოიგონებდა თავის სიყმანვილეს, რომლის ყველაზე ფერადოვანი, ყველაზე ნათელმოსილი, ყველაზე შთამბეჭდავი დღეებიც იყო ბიძის ოჯახში სტუმრობა თბილისში – ორბელიანთა აულში. ასე შერქმეოდა და ნინოსაც და სხვებსაც ასევე ჩაებეჭდებოდათ ხსოვნაში, თუმც იმჟამად, სრულიად გამოცვლილი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, როდესაც ნინო ქობულაშვილი, გიორგი აბზიანიძის თხოვნით, ზოგიერთ დეტალს ამოკრეფდა მეხსიერების სალაროდან, ლამის სულ გამქრალიყო ხსენება ორბელიანთა, გადაშლილიყო მათი სახელით აღბეჭდილი ტოპონიმებიც და ორბელიანთა აულს ელიზბარ ერისთავის ასული წაუმძღვარებდა ტკივილით აღსავსე განსაზღვრებას: ეგრეთწოდებული.

ეგრეთწოდებულად გადაქცეულიყო ის, რაც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებას ძლიერსა და საღ სახსარს აძლევდა და იმპერატორის მფლობელობის ჟამსაც ინარჩუნებდა გავლენას ხალხის ცნობიერებაზე.

არ უტყდებოდნენ დაღმასვლას, არ ეპუებოდნენ რკინის ჭანგებს, მაგრამ წითელი კალო მათ გასანადგურებლადაც გაიშლებოდა და ვინ ტერორს შეეწირებოდა და ვინ შემთხვევით გააღწევდა უცხოეთში, რათა უსახელოდ ჩაეყარა სადმე ძვლები.

მაშინ ჯერაც სიცოცხლე ჩქეფდა ორბელიანთა აულში და ყაფლან ორბელიანიც ერთ კოლორიტულ ფიგურად მოვლენოდა თავის გვარს და მისი დისწული – ქეთევანის ძმა – დიდად პოპულარული ბიძის უკვდავყოფას რომ შეეცდებოდა, ორ დითირამბს აღავლენდა მის სახელზე. სადღაც ჩაიკარგებოდა ის ლექსები, აღარც ხალხის ცნობიერებას შემორჩებოდა და აღარც კრებულსა თუ ანთოლოგიებში გამეორდებოდა, და, ცხადია, აღარც ყაფლანის არსებობა და გამორჩეულობა გვეცოდინებოდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის იმ ლექსის – „ღამე ყაბახზედ“ – ის პასაჟი რომ არა, ორიოდ მარჯვე შტრიხითა და სახიერად გაელვებული სურათით ხელშესახებად რომ გვიცოცხლდება რომანტიკული ეპოქის ამ კოლორიტული შვი-

ლის სილუეტი – გუნდ-გუნდად ადევნებული ქალებითა და გულში-ჩამწვდომი სიმღერით „თავსა უფლად", ალექსანდრე ჭავჭავაძის სტრიქონებს რომ დააღიღინებდა, და კიდევ ვინ მოთვლის, რას აღარ, და ბევრწილადაც განსაზღვრავდა მაშინდელ მუსიკალურ გემოვნებას. ასე სიმღერ-სიმღერით გამოჰყვებოდა ათწლეულებს და – გახსოვთ – ალექსანდრე ორბელიანიც მისი სულის ამაფორიაქებელი ღიღინით გაიიოლებდა სიბერის დღეებს, შეიმსუბუქებდა კაეშანს და ყაბახზე სეირნობანიც ამოუჩნდებოდა გონების თვალწინ და შეჰღიმებდა იმ ჭაბუკ ყაფლანს, რომლის მისატაცებლად ლამის წენვა გამართულიყო.

ქეთევანი ბიძისაგან გადმოიღებდა ხმის კილოსაც და სიმღერების რეპერტუარსაც, მასპინძლობის ხელოვნებასაც – თავისი მეჯლისითა თუ სალონური შექცევით. გული არ უძლებდა, რომ ხშირად არა სტუმრებოდა ყაფლანის სახლობას და მისი ძმაც – რევაზი – სულ აქეთ მოისწრაფოდა. – ბიძაჩემო, შენს სახელსა და საქმეთ შთამომავლობას დავუტოვებო, – მხურვალედ პირდებოდა და იმას ეღიმებოდა გარდიგარდმო გადაწყობილ ულვაშებში: აბა, შენ იციო.

ახარებდა რევაზ ერისთავსაც „ცისკრის" გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე და მალევე შეაღებდა მის კარს – ზამთრის გრძელსა და გაუსაძლის ღამეებში რასაც სულს იბრუნებდა ლიტერატურული ცდებით, უკვე შეიძლებოდა მკითხველიც გასჩენოდა და ხან საკუთარ ლექსს შესთავაზებდა რედაქციას და ხანაც თარგმანს და მათ შორის გამოურევდა კოზლოვის „შეშლილსაც", რომლის სენტიმენტალური სიუჟეტიც ცრემლს აფრქვევინებდა მგრძნობიარე ქალთა კრებულს რუსეთშიც და საქართველოშიც – რუსულ გამოცემებზე ყველას მიუწვდებოდა ხელი ელიტარულ წრეებში – და რევაზ ერისთავი, შალვა ერისთავის ვაჟი, საგანგებოდ მოინდომებდა გახმაურებული თხზულებისათვის ქართული ორეულის შექმნას – შედარების საშუალებაც ყველას ექნება და მითუფრო ირწმუნებენ ჩემს მთარგმნელობით ხელოვნებასო.

ვერ გამოიწვევდა ქართული თარგმანი ორიგინალისებურ შთაბეჭდილებას, მაგრამ გულს არ გაიტეხდა მთარგმნელი – დღეს არა, ხვალე გამოუჩნდება ღირსეული შემფასებელი და, რომც არ გამოჩნდეს, მე კი გადამატანინა ერთი გამაბეზრებელი ზამთარი, მე კი მეყო სულის საგზლად და „შეშლილს" მეტი რა მოეთხოვებაო.

რა უცნაურია ბედისწერის განჩინება!..

გაცილებით მეტს შექმნიდნენ სხვანი, გაცილებით უკეთესსაც, მაგრამ მათი სახელები არ შემორჩებოდა ლიტერატურის ისტორიას, ვეღარავის ააღელვებდა, ვერც მასალად გამოიყენებდნენ, რევაზ ერისთავი კი – და არა მარტო თვითონ, მისი გამოისობით მამამისი შალვაც – სამუდამოდ შემორჩება ქართულ მწერლობას.

ამ საიდუმლოს მიზეზი რა არის და რითი შეიძლება გაიმეორო ეს გზა, რომ სუსტი ქმნილებებით პირდაპირ უკვდავებაში შეაბიჯო?

შენთვის უნდა იყო და ელოდო, რომ ილია ჭავჭავაძის ხელთ მოხვდეს შენი თხზულება, იმან კი თავისი საპროგრამო სტატიის მასალად გამოიყენოს, ერთ რიგით, უფერულ ნიმუშად სხვა ამ ყაიდის ნიმუშთა შორის.

ოღონდ მაინცდამაინც ეს.

ყველაფერს რატომ მოსდებოდა ერთიანად, გაუთავებლად რატომ ექექა ამ უსახურ გროვაში, როდესაც ერთი თხზულებაც კმაროდა განზოგადებული მსჯელობისათვის და, რაც მთავარია, ხელსაყრელ ქარგად ანბანის რეფორმისა და საერთოდ – ფასეულობათა გადაფასებისაკენ მოწოდებად.

ერთი თხზულება... მაგრამ რომელი?

ყოფილიყო თუნდაც... ყოფილიყო თუნდაც... კოზლოვის „შეშლილი", გადმოღებული რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ.

თანაც სტატიის სათაურშივე გაიტანდა მთარგმნელის გვარ-სახელსაც და მამის სახელსაც.

და ვინ აღარ ახსენებდა, ვინ აღარ დაიმოწმებდა ამ სტატიას, რამდენჯერ გამეორდებოდა ეს გვარ-სახელი და საუკუნეებსაც გადაწვდება, რომ ყოფილა ვიღაც რევაზ შალვას ძე ერისთავი და ზურაბივით ჩატანებია რეფორმატორული ლიტერატურული ნარკვევის კედლების ამოშენებას.

ასეა თუ ისე, ეს უმნიშვნელოვანესი კრიტიკულ-ესთეტიკური თხზულება ამ თარგმანის ქარგაზე დგას და ვიმეორებთ და ვიმეორებთ: რევაზ შალვას ძე ერისთავი... რევაზ შალვას ძე ერისთავი...

ასე გაინაღდა შალვა ერისთავმაც სამარადჟამო სიცოცხლე – „შეშლილის" მთარგმნელის მამობით.

არა ელიზბარ ერისთავის სიმამრობით.

არა ქეთევან ერისთავის მამობით – ბოლოსდაბოლოს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი მშვენიერი ლექსის შთამაგონებლისა, არაერთი მკვლევარი რომ შეეცდებოდა მისი ფარული შინაარსის ამოცნობასაც და საამისოდ ქეთევანის ბიოგრაფიასაც საგანგებოდ

ჩაუკვირდებოდნენ. შალვას ხსენებაც მოუწევდათ, მაგრამ სად ეს და სად ილია ჭავჭავაძის სტატიის სათაურშივე გახმიანებული.

ნეტა თვითონ ნიკოლოზ ბარათაშვილი თუ არის იმდენჯერ მოხსენიებული, რამდენჯერაც რევაზ და შალვა ერისთავები?

მგონი ცოტას ვაჭარბებთ, მაგრამ ის კი ბუნებრივია, რომ ამ მხრივ დაფიქრება გვმართებს და იოლად ვერ გამოვიტანთ მსჯავრს – რა სათქმელია ბარათაშვილი უფრო მეტჯერაა მოხსენიებული, ვიდრე მისი უახლოესი მეგობრის ძმა და მამაო.

სამწერლო კოჰორტაში კი მყარად დამკვიდრებულა რევაზ ერისთავის სახელი და „შეშლილის" მთარგმნელს ახლა მეტი რაღა მოეთხოვება?!

ბიძაჩემო, შენს სახელსა და საქმეთ შთამომავლობას დავუტოვებო...

* * *

აჰა, ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა იბიზნესმენო სუფთა ხელებითო, – ეროსი კიწმარიშვილზე მიუთითებდა ხალხსა და ჯამაათს პრემიერ-მინისტრი. ჯერ ამას დაექადნა, სუფთახელებიან ბიზნესმენს, შემომხედეთო და ისწავლეთო, და ზურაბ ჟვანიაც უდასტურებდა. სიამაყითაც, სხვათა შორის. თავის გამოზრდილად ეგულებოდა და თავმომწონეობდა გაზრდილის წრმატებით. მართალია ამ აზრს კალკირებული ენით გამოხატავდნენ: ბიზნესი ვაკეთე და ბიზნესი აკეთაო, მაგრამ, ჩიქორთულს თუ ჩამოვეხსნებით, თვითონ აზრი როგორ ელვარებდა!

თურმე არც ისე ყოფილა საქმე – ერთადერთი ადამიანი მაინც მოგვვლენოდა სუფთახელებიანი, და იმ სუფთა, სპეტაკ ხელებში მარტოდენ ერთი ტელეკომპანიის – თუნდ „რუსთავი 2"-ის – მოქცევა აფსუსიც გახლდათ, გაცილებით მეტის შემძლე, ლამის ამირანულ მკლავებში. პირველი არხის შემოერთებასაც ჩაითქვამდა, მაგრამ ეს მაინც ერთი მიმართულებით სვლას ნიშნავდა, სხვა მხარესაც ენერგიულად უნდა მიმოეხედა და... სავაჭრო პალატას უბოძებდნენ. შინ გაშვებული პრეზიდენტის ნათესაობას ააღებინებდნენ ხელს ამ პალატაზე და ეროსი კიწმარიშვილს გადაულოცავდნენ რევოლუციური ღვაწლისათვის.

– იხილეთ ბიზნესმენი, სუფთახელებიანიო, – სწორედ ამ საზეიმო ცერემონიალზე დაბეჭდავდა თავისი სიტყვით პრემიერ-მინის-

ტრი ახალი თვალისმომჭრელი ფიგურის ტრიუმფალურ აღმასვლას და ის კი რუსთავსაც რომ წაეპოტინებოდა, ქალაქს და არა ტელეკომპანიას, სუფთა ხელების გაშლითა და ზეაღმართვით გაგვახარებდა: ლას ვეგასად გადავაქცევ ერთბაშად და ერთის დაკვრითო.

ერთი თხოვნა ჰქონდა, ერთადერთი: სულ ცოტა მაცალეთო.

ეს „სულ ცოტა" აღარ დასცალდებოდა, მადა ეზრდებოდა, უფრო და უფრო უძლიერდებოდა და ვეღარ გაეგო, ეს რევოლუცია რომ მისი და პირადად მისი მოხდენილი გახლდათ, ან პრეზიდენტად რატომ წამომჯდარიყო სხვა და ან პრემიერ-მინისტრად. არა, თუ მაინცდამაინც სურდათ, ჰქონოდათ ეს ტიტულები, მაგრამ არ უნდა შეშლოდათ, თუ ვინ იყო ყველაზე გავლენიანი ფიგურა ახალ საქართველოში, ხალხად ის-ისაა შემდგარი ქვეყნის ცხოვრებაში, გამარჯვებული ხალხის ახალფეხადგმულ ბიოგრაფიაში.

შეეშლებოდათ? რევოლუციური გამოცდილება რისთვის შეეძინა და ედუარდ შევარდნაძე რისთვის გაესტუმრებინა პენსიაზე, თუ მის მემკვიდრეთა გაცილებაც გაუძნელდებოდა იმავე გზაზე. არ დამჭირდეს კიდევ ერთი რევოლუციის მოხდენაო, – დაიქადნიდა ეროსი კინმარიშვილი, მაგრამ... აღარ ეყოლებოდა კვერის დამკვრელი: ალალი იყოს შენთვის ყველაფერიო.

ობოლო, რას იზამ, რომ გაიზრდებიო, და: გამზრდელს დავახრჩობო.

გაზრდილიყო ზურაბ ჟვანია და დაეხრჩო კიდეც თავისი გამზრდელი. მთლად ისე ვერა, თვითონ როგორც ენება? მარჯვე ხაფანგი დაეგო ედუარდ შევარდნაძეს და მთლად მის ხელშიც არ დამხრჩვალიყო? მეტაფორულ ენაზე მაინც ასე ითქმის და ანდაზას ვერ დავწამებთ, ამ შემთხვევაში ვერ გამართლდაო.

რას იზამ ობოლოო...

ეს ანდაზა სმენოდა ეროსი კინმარიშვილსაც, ეს დადასტურებაც ეხილა საკუთარი თვალით, თუ როგორ მისტანებოდა ზურაბ ჟვანია დასახრჩობად თავის გამზრდელს, და გუნებაში დაიბეჯითებდა – ჯაჭვი დროულად უნდა გაგრძელდეს, გადადება არ ივარგებსო.

და პრემიერ-მინისტრის დასახრჩობად შეიმართებოდა.

ბევრისათვის მოულოდნელი გამოჩნდებოდა მათი ხილვა „რუსთავი 2"-ის ტელედებატებში, მართლაც ცხარე დავა, შერიგებისა რომ არაფერი ეტყობოდა. ბევრისთვის კი ბუნებრივი გახლდათ მოვლენათა ასეთი მსვლელობა და სუფთახელებიანი ბიზნესმენის მომავალსაც შეუმცდარად იწინასწარმეტყველებდნენ. სანგრის

დროზე ადრე დატოვებას ყოველთვის ის მოსდევს, რაც ახალი დროის გმირს მოელოდა, დაღმასვლის ტრიუმფსაც რომ იწვნევდა... თუმც დაღმასვლაზე ტრიუმფი არც ითქმის, მაგრამ ამ კერძო შემთხვევაში იქნებ მთლად არაზუსტი განსაზღვრებაც არ იყოს – ტემპი გახლდათ ისეთი თავბრუდამხვევი, ტრიუმფს რომ სჩვევია... ანტიტრიუმფი ვთქვთ, თუ მაინცდამაინც გეხამუშებათ.

რას იზამ, ობოლოო...

ყველა მათემატიკურ წესს აქვს გამონაკლისი, რომელიც იმ წესს ადასტურებს, და, ეტყობა, ანდაზებსაც მოეპოვებათ ისეთი გამონაკლისები, ამ ანდაზათა ჭეშმარიტება რომ უნდა დაადასტურონ.

მაინცდამაინც ამ გამონაკლისში მოყოლილიყო ეროსი კიწმარიშვილი.

ბედისწერას ისე განერიგებინა, რომ გამზრდელს დაეხრჩო თავისი გაზრდილი... და მაინც, ეს მოულოდნელობა იმ ანდაზის უტყუარობას ირწმუნებოდა.

სნორედაც რომ მათემატიკური წეს-გამონაკლისისა არ იყოს.

სუფთა ხელებს გამოეცლებოდა სავაჭრო პალატა.

სუფთა ხელები ვეღარ გააცისკროვნებდა რუთავს ახალ ლას ვეგასად.

სუფთა ხელებს გამოეხსნებოდა „რუსთავი 2"-ც, ათი მილიონი დავალიანება რომ აღმოაჩნდებოდა, და ეს მიუხედავად გრანდიოზული დაფინანსებისა, ყველა დემოკრატიული ტელეარხისა და პერიოდიკისათვის გათვალისწინებული გრანტები ლამის მარტო ამ ტელეკომპანიას რომ მოეხვეტა. და მაინც... ათი მილიონი დავალიანება?

ობოლო, რას იზამო...

ავად ბრუნავდა ეს ანდაზა პრემიერ-მინისტრის თავზეც, თუმც გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის გმირს ეს რაღას უშველიდა – გაესწრო აქედან, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეფარებოდა – დაკლებით არაფერი აკლდა, მაგრამ ბედს მაინც ძალიან ემდუროდა, ვერ ეგუებოდა უჩინარ ყოფას, ვერ ეგუებოდა ურევოლუციო ცხოვრებას და ექადნებოდა ბადრი პატარკაციშვილს ოკეანის გაღმიდან, მაგან დამმართა, რაც დამემართა და ისე როგორ იქნება, სამაგიერო არ მივუზღაო.

ცხოვრების მდინარებამ თავისი იცოდა – ვის დასცემდა და ვის აამაღლებდა, ვის მოარგებდა ამა თუ იმ ანდაზის ქარგაზე და ვის – მის გამონაკლისზე.

ობოლო, რას იზამო...

ნაკლებობა არ იგრძნობოდა ობლების, არც მათი გამზრდელებისა, გაფაციცებით რომ მისჩერებოდნენ ერთმანეთს, დავასწრებ თუ დამასწრებსო, ბედი მე მიმუხთლებს თუ იმასაო...

ბრუნავდა წუთისოფელი.

* * *

იმ ვნებათაღელვას, რაც ელიზბარ ერისთავის ძეგლის დადგმას მოჰყვა, ორიოდე წლის შემდეგ ოთარ ჩხეიძე გაიხსენებდა და თითქოს უკვირდა: ძეგლიც მზად გახლდა, ადგილიც შერჩეული, საძირკველიც გაჭრილი და... აიშალა და რა აიშალა დავიდარაბა – მტრის კარზეც რომ არ ინატრებდიო.

მოპირისპირეთა მთავარ მოტივსაც მოიხმობდა:

„საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონოდა, ან სადავიდარაბო რა უნდა ყოფილიყო, ისიც ასეთ დროსა – საძირკველი რო უკვე იჭრებოდა!.. უცნაურად გაისმა მოწოდებაი ესე ამგვარი. უცნაურადაცა და შემშფოთებლადაცა. დავაც ამან გამოიწვია. რაო და – ვითომ ადგილი აღარ მოიძებნებოდა გორში კიდევ ერთი ძეგლისა – თუ მეტი ძეგლი აღარც დაიდგმოდა, აიკრძალებოდა ძეგლები გორში?! შარი თუ გინდა მიზეზს რა დალევს! ხერხეულიძისაა ადგილი ესე. ერისთავს აქ რა ესაქმებაო.

დავა გასცდა უბრალო შელაპარაკებასაც. გორის პრესასაცა. გორის მაუწყებლობასაცა. თბილისს გადასწვდა და თბილისიც ჩაება თვით პარტიულ დაპირისპირებამდე. თვით ისეთ ძალამდე: ხელისუფლებაც რო გახლდა და ოპოზიციაცა ერთდროულადა“.

ეს გარეგნული გახლეჩვა ამოვსებულიყო, ორსახიანი იანუსი ერთსახიან იანუსად მოვლენილიყო, ხელისუფლება-ოპოზიციის უცნაურ ჰიბრიდს უკვე მხოლოდ ხელისუფლება დარქმეოდა და მწერალი მათგან ელოდა პასუხს:

რა იქნა შალვა ხერხეულიძის ძეგლი? ჩვენ უნდა დავდგათო, ვინც ბრძანებდა, რაღას უცდიან, რატომ არ დგამენო.

ნახაზებს უჩვენებდნენ ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეკრანიდან, აგერ მზად ვართ და ხელს ნუ გვიშლითო?

აკი აღარც შეუშლიათ ხელი და მაშინვე დააშორეს სადავო ადგილს ელიზბარ ერისთავის ძეგლი („გორის უნივერსიტეტთან დადგეს. ისევ უნივერსიტეტმა მოიკრიბა გონიერება და დაუთმო ადგილი. დგას ეს ძეგლი. გენო ზაქარაიას უდავოდ წარმატებული ნაწარმოები და ამშვენებს უნივერსიტეტსა. ქალაქს ამშვენებს“).

და შალვა ხერხეულიძის გამოხატულება რატომ არა ჩანს ჯერ არსად?

ან რატომ ხუმრობენ გორელები: არაფერი გეტკინოთ იმის გამოჩენამდეო?

და თუ რატომ არა ჩანს და არც გამოჩნდება, მიზეზიც იქვეა ახსნილი და თვალსაჩინოდაც დადასტურებული:

„... ის მხოლოდ იმიტომ უნდოდათ – ვისაც უნდოდა. რაღა თქმა უნდა – ხელი რო შეეშალათ ომეგა ჯგუფის ღონისძიებისათვისა!.. მხოლოდა და მხოლოდა. ვერ რო ხელი ვერ შეუშალეს, ვიღას ახსოვს ხერხეულიძეო!.. არა... მალე შეუშალეს ხელი. სულაც დაარბიეს და გააჩანაგეს ომეგა ჯგუფი და მითუმეტეს ან ხერხეულიძე რაღად უნდათ ან ძეგლი იმისი!..“

და მაინც:

მწერალს ის დავიდარაბა რომ წარმოესახება თვალწინ ხელახლა, ის აღგზნება და გარჯა და ჯაფა ელიზბარ ერისთავის ძეგლის განსადევნად იქაურობიდან, მწარე სინანულით დასძენს: გეგონება, რომ კიდეც აიგო ეს სანაცვლოდ შემოთავაზებული ძეგლი და სწორედაც იქ, სადაც დავა გამართულიყო და ერთი მოდავე აკი კიდეც ამტკიცებდა, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდგარი, დრამატული თეატრის გადასწვრივ და კინოთეატრის გვერდით: მე აქა ვხვდებოდი ბატონ შალვასა, სწორედ აქა, ელიზბარ ერისთავს აქ არ შევხვედრივარო.

და მოადევნებს მწერალი, რომ: თვითონაც შეხვედრია შალვა ხერხეულიძეს იქვე, სწორედ იმ გარემოში, დრამატული თეატრის ეზოშიც, თვით თეატრშიც, რაღა თქმა უნდა, ბოჰემურ სუფრაზეც, თეატრალურ და სალიტერატურო საღამოებზეც...

და სარკასტულ ფრაზასაც ჩაურთავს:

– ელიზბარს მეც არ შევხვედრივარ... პირისპირ არა.

რათა მძაფრი დრამატიზმიც ამოთქვას:

– სხვადასხვა საუკუნეში რო დავიბადეთ. ოღონდ ესაა... დრო არ შეცვლილა. ისიც იმ ძალებს დაუპირისპირდა საქართველო რო უნდა მოეშალათ. აერიათ. გადაეგვარებინათ. ჩვენც იქვე ვდგევართ, იმავე ძალოვნების წინაშე: დრო არ შეცვლილა. დრო არ იცვლება საქართველოში. გორში ჰო არა. არა და არა.

და ელიზბარ ერისთავის მოწინააღმდეგეთა ის მგზნებარება რომ გაფიქრებინებს, თითქოს აიგო კიდეც შალვა ხერხეულიძის ძეგლიო?

თუ აიგო და... რა იქნა?

ნუთუ დაანგრიეს!

სწორედ ასეთი განცდა ეუფლება მწერალს, ჭავჭავაძის ქუჩაზე რომ ჩაივლის და იქ შალვა არა ხვდება: ააგეს და დაანგრიეს ამ ულმერთოებმაო.

დაეძრახება განა ასეთი ფიქრი?!

რაკიღა ძეგლს ვერსად მოჰკრავს თვალს, თვითონვე გააცოცხცლებს წარმოსახვით – ძალდაუტანებლად ახსენდება მისი არაერთი როლი – ცვალებადი და ერთგვარად შთამბეჭდავი.

„სახე – განსაკუთრებული. ნათელი. ქართული. მკვეთრი. კუშტი. ძნელად მისავალი და ადვილად ღია. გულითადი. გულღია. მიამიტობამდე უბრალო და დიდებულად მიუნვდომელი. კინოში ის თავადიშვილებსაც ასახიერებდა. გლეხებსაცა. ასე დაუბედეს. და ისიც ორივე გახლდა. ჩინებული ორივეგანა. ორი სხვადასხვა და ორი მინამგვანი. ისე და ისეთი, ვახუშტი რომ ბრძანებს: გლეხნიცა მსგავსნი დიდებულთაო".

ამას იმერეთსა და იმერლებზე რომ ამბობს ვახუშტი?

„... ვის გაუყვია იმერეთი და ამერეთი. ერთი საცოდავი მთაო – ისიც გახვრეტილ-გამოხვრეტილი და გადაჯეგილი ფეხითა".

არა, არა ღირდა ამ ძეგლის დანგრევაო – ასე მოთავდება ეს პასაჟი – ცნობიერებაში თითქოს დაინგრა და ინგრევაო.

შალვა ხერხეულიძე არ არის დასავიწყებელი კაციო – შეახსენებს მწერალი იმ მაშინდელ მგზნებარეთ, რომელნიც მშვენივრად სუფევენ ახალ დროშიც – და არც იმისი ღირსია, გამოიყენო როგორც გენებოს, მიცვალებული გამოიყენო, მერე კი მიატოვო და მიაფუჩეჩო. არ არის ამისი ღირსიო.

წარმოსახვით აგებულ ძეგლს ბარემ შეესხას ხორცი, მითუმეტეს ერთი პატარა ძეგლის დადგმა რომ არაფერი არ არის გორისათვის, ყველა დაგიდასტურებთ – იქაურიც და სხვა ქალაქ-კუთხეების შვილნიც.

კონტრაბანდას არ შეშლია ხელი. პრესა და ტელევიზია გადაჭრელებულია იმ ცნობებით, რომ თითქოსდა დანგრეულმა ერგნეთის ბაზრობამ ტყვიავში, კარალეთში, თვით გორში ჩამოინაცვლა და მწერალი რჩევას გაუზიარებს შიდა ქართლისა და გორის ხელისუფალთ:

„... კონტრაბანდამ რო შემოსავალი იცის, სხვა რამ იცის ისეთი და იმგვარი?!. ცოტა რამ გაიღონ. გაიმეტონ. ხალხმა არა. რაღა თქმა უნდა. ხალხი სულს ითქვამს. ლუკმაპურსა შოულობს. ჯიბეებითა და ბოხჩით შემოტანილითა. ხალხმა არა. არც მოუხერხდება.

იმათა – რა თქმა უნდა – იმათა. იმათა – ბითუმად შემოზიდვა ვისაც ხელეწიფება. ცოტა გაიღონ. გაიმეტონ. რა უნდა განა ერთი პატარა ძეგლის დადგმასა?!."

მართლაც და – რა უნდა?!

სტატიაში ერთი ასეთი დამაფიქრებელი პასაჟიცაა:

რა იქნა შალვა ხერხეულიძის ძეგლი, აქვე ვკითხულობ, თბილისშივე, აქვე ვბეჭდავ, თუ დამიბეჭდესო.

გარეშე კაცი ამ ფრაზას ლიტერატურულ თამაშად ჩამოართმევდა და არა გულწრფელად გამჟღავნებულ სკეპსისად: ნუთუ შეიძლება სიცოცხლეშივე ლიტერატურის კლასიკოსად აღიარებულ მწერალს გაუძნელდეს ერთი პატარა სტატიის გმოქვეყნება, განა რა დროა ამისთანა, რომ თუნდ მცდარი თვალსაზრისიც ვერ გამოთქვასო!..

არადა, მცდარიც რა უნდა ყოფილიყო:

რისთვისაც თქვენვე იკლავდით თავს, ახლა ყოველგვარი საშუალება რომ მოგეცათ, ბარემ რეალობად აქციეთო.

რაიმე ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზი გამოჩენილიყო, რაც ადრე არ იცოდნენ და ამჟამად ხელს უბორკავდათ შალვა ხერხეულიძის ძეგლის დადგმისას?

დასამალი რა იყო – თუკი საამისო მიზეზი არსებობდა, სცოდნოდა საზოგადოებასაც და ყოველგვარი ეჭვიც გაქრებოდა.

თუ დამიბეჭდესო...

ის უკულმართი ჟამი, კომუნისტური რეჟიმი რომ ერქვა, საკუთარ თავზე მთელი სიმძაფრით გადაეტანა მწერალს, ჟურნალშიც ჩაეშალათ მისი რომანის ანაწყობი, წიგნებიც აეკრძალათ, არაერთი ხელნაწერიც შეეტოვებინათ და უნუგეშოდ ასავსავებდნენ ხელებს რედაქციები და გამომცემლობები... მისი დანახვისას მიიმალ-მოიმალებოდნენ კიდეც, ოთახებში შეიკეტებოდნენ და გაისუსებოდნენ...

და უგროვდებოდა ხელნაწერები უკეთესი ჟამის მოლოდინში.

თუ დამიბეჭდესო...

„24 საათის" რედაქციას წარედგინებოდა ეს სტატია „შალვა ხერხეულიძის ძეგლისათვის"... გადაიდებოდა, გადაიდებოდა... მერე ისე შეიკეტებოდნენ და გაისუსებოდნენ, თითქოს ცამცუმის კოშკი ყოფილიყოს, მოდერნიზებული კოშკი და კიდევ უფრო შეუვალი – არც კარი მოჩანდა არსად და ვერც ტელეფონის ზარი შეაღწევდა.

ასლი „ახალი ვერსიის" რედაქციის პორთფელშიც მოხვდებოდა და... ისიც ცამცუმის კოშკის ფილიალს დაემგვანებოდა.

მიზეზს „ასავალ-დასავალის" რედაქციაშიც მოიდებდნენ – ცამცუმის კოშკი მთლად არა, ყურადღებას მეტს გამოიჩენდნენ – ასეო, ისეო... განმარტებებსაც მოჰყვებოდნენ... სასიამოვნოა, განა არა, თავაზიანად რომ მოგეპყრობიან მაინც...

ბოლოს „ხვალინდელი დღე" გამოაქვეყნებდა – არსებობდა ასეთი გაზეთიც, თავისთვის ფოუიალობდა და ისევ ის გამოიდებდა თავს.

* * *

– კანტატა მეთერთმეტე, – ჩაურთავს საუბრისას შალვა ხეთერელი.

1924 წლის აგვისტო-სექტემბრის სისხლიანი დღეები მომდგარა, ავი ბედისწერის სუნთქვა ბორკავს ჰაერს, თუმც ნიკუშა ჩაჩანიძე, გულუბრყვილო, ალალი, მხოლოდ მუსიკოსის კარიერაზე მეოცნებე ჭაბუკი, ვერა გრძნობს ამ სუნთქვას, ხალხური სიმღერის ჩასაწერად საუკეთესო დრო ჰგონია და თავის მოწოდებასა და გატაცებას მისდევს. თბილისში ყველა პოლიტიკაზე ლაპარაკობს, ეს ცდილობს გამოერიდოს ამ საუბრებს, არ ჩაერიოს პოლიტიკაში და ევროპელი ხელოვანის ცხოვრებით იცხოვროს, თითქოს დაწყობილ-დალაგებული სახელმწიფოს მოქალაქე იყოს და არა ხელახლა რუსეთის განაპირა პროვინციად გადაქცეული მიწა-წყლისა, სადაც მხოლოდ წამიერად გადაიელვა თავისუფლებამ.

გაგახსენდათ ოთარ ჩხეიძის „ბორიაყის" სიუჟეტური ქარგა?

ქართლის გზებს შესდგომია ნიკუშა ჩაჩანიძე და ყველა სოფელში ეგულება მასპინძელი, წარჩინებულნი და კვლავაც პიროვნებებად დარჩენილნი, თუმც თითქოს გადავლილა ინდივიდუალიზმის ხანა. ახალი რეჟიმი ამკვიდრებს ამ მორალსაც, მაგრამ პიროვნება სასტიკი რეჟიმის პირობებშიც პიროვნებად რჩება და გიორგი ყანჩაველს – იმათ მეგობარსა და ნიკუშა ჩაჩანიძის მასწავლებელს – ისევ მათი ეიმედება, მათ მიანდობს თავის მოწაფეს, შეიაფარებენ კიდეც და საუკეთესო მომღერლებსაც აპოვნინებენო.

მათთვის ძვირფასი გახლდათ გიორგი ყანჩაველის სახელი, როგორც ჩინებული კომპოზიტორისა და მოღვაწის, სანიმუშოდ დაესახათ და... თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, როდესაც შეიტყობენ: მეთერთმეტე კანტატა დაუწერიაო.

სათაურში ნაგულისხმევი სიმბოლიკა იოლი გასაშიფრია – მეთერთმეტე არმიის შემოსვლას შეგებებია, როგორც მხსნელებს და შეუძლებელია გიორგი ყანჩაველის ასეთ გადაწყვეტილებას გულისტკივილი არ გამოეწვია მის დამფასებელთა შორის და ეროვნული იდეალების ღალატად არ ჩამოერთმიათ.

შალვა ხეთერელიც ამას განიცდის:

– მუსიკა ცოტას გაეგება... ვისაც შეეხება, კარგად იციან, რაც უნდათ, ქება უნდათ, რომ უამრავნი აიყოლიონ; ძალიანაც კარგია, თუ ცოტას გაეგება მუსიკა, გიორგი ყანჩაველმა დასწერა დიდება და მრავალნი აჰყვებიან.

ამასვე განიცდის ცოტა მოგვიანებით როსტომ იტრიელიც, ხალხური სიმღერების ჩასაწერად ასე უდროო დროს მონდომებულ სტუმარს რომ უხსნის: ვინც უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაურად, ოღონდ ბრძენი მრჩევლები ეხვივნონ გარს, იყოს თუნდაც მუსიკოსი, ოღონდ შენი მასწავლებელი და ჩემი მეგობარი გიორგი ყანჩაველი არაო.

– მე გამიტყდა გული, როგორც გავიგე, მეთერთმეტე სიმფონია დაწერა გიორგი ყანჩაველმაო. არ მომისმენია, კანტატაა თუ სიმფონია, არც მოვისმენ, როგორიც უნდა იყოს. მე იმისი აღარა მჯერა... „მაისის" დამწერს ეს აღარ უნდა დაეწერა ასე ადვილადა... მე ჩემი მწამს და მართალიცა ვარ, ადამიანი აზრია, რწმენა არის ადამიანი, რწმენა ყოფილა და რწმენად დარჩენილა...

იმასაც დასძენს როსტომ იტრიელი: მსახიობს კიდეც შეეფერება, ითამაშოს ყოველი როლი, კომპოზიტორი მსახიობი არ უნდა იყოს, პოეტი არ უნდა იყოს მსახიობი. მე ასე მგონია და ასევე ვეტყვი გიორგი ყანჩაველსა, ვწუხვარ და ვეტყვი, თქვენ ნუ გაშფოთებთ, რო ეწყინება, უნდა ეწყინოს. თუ არ გვეწყინა, ცდუნებებსაც თავს ვერ დავაღწევთო.

მაისის სიმბოლიკაც ადვილი გასახსნელია – 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

და სავსებით გამჭვირვალე ქარაგმები მკაფიოდ მიანიშნებს მკითხველს, რომ ცნობილ კომპოზიტორს ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უძღვნია ჰიმნი და შემდეგ კი დაპყრობისათვის. იმისთვის გულით, ცხადია, ამისათვის – იძულებით – მის მეგობარს ეს არც ეეჭვება და წამითაც არა ჰგონია, თითქოს გიორგი ყანჩაველს ქვეყნის გასაბჭოება მართლა მის გადარჩენად ესახებოდეს, მაგრამ იძულებით ნაბიჯსაც ვერ გაამართლებს.

და ვერ გაამართლებს იმიტომ, რომ:

ადამიანი რწმენაა.

რწმენასთან თამაში კი არ ეგების და მასთან არც მოჩვენებითობა გამოგადგება.

როსტომ იტრიელის მონოლოგში ის ტკივილი გამოხატულა, ის ნაღველი ზნეობრივი რღვევის გამო, რაც ცხოვრების ნორმად დამკვიდრდებოდა საბჭოურ ეპოქაში და აღარ გიკვირდა, ხელოვანი გუნდრუკს რომ უკმევდა საპირისპირო პოლუსზე მდგარ ისტორიულ პერსონაჟებსაც.

შეიძლება განა ერთდროულად ეთაყვანებოდე ილია ჭავჭავაძესაც და ფილიპე მახარაძესაც?

გიტაცებდეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჰეროიკული პიროვნებაც და, იმავდროულად, სერგო ორჯონიკიძეც?

ერთნაირად გხიბლავდეს ქეთევან წამებულიც და იმამ-ყულიხან უნდილაძეც?

ერთნაირად განადიდებდე დავით აღმაშენებელსაც და გიორგი სააკაძესაც?

ერთი და იგივე პუბლიცისტი კი დაუდგებოდა მეხოტბედ დავით აღმაშენებელსაც და გიორგი სააკაძესაც.

და ერთი და იგივე ხელოვანი კი აღმართავდა დავით აღმაშენებლისა და გიორგი სააკაძის ძეგლებსაც.

და მერაბ ბერძენიშვილს არ გამოუჩნდებოდა თავისი როსტომ იტრიელი, რომელიც შეახსენებდა: ადამიანი რწმენაა და მოქანდაკე არ უნდა იყოს მსახიობიო.

მაისის დამწერი მეთერთმეტე სიმფონიას აღარ უნდა ქმნიდეს.

და არც ელიზბარ ერისთავის მემორიალის ამგები უნდა გაისარჯოს მერაბ მამარდაშვილის მემორიალისთვისაც.

როგორც ფილოსოფოსი, როგორც მოაზროვნე მერაბ მამარდაშვილი არ იწვევს ასეთ მკაცრ შეფასებას, რომ 1832 წლის ამბოხების მთავარსარდლის საპირისპირო მხარეს იდგეს. და თუმც აშკარად დაჩნევია მის ნააზრევს კოსმოპოლიტიზმი, ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და ღვაწლის დამცირებას ოდნვადაც არა ცდილობს (რაც თითქოს მოსალოდნელი გახლდათ ამ ყაიდის ფილოსოფოსისაგან) და საკმაოდ ღრმადაც ერკვევა მის მოძღვრებაში... ოღონდ მერაბ მამარდაშვილის სახელი ფარზე აიზიდებოდა ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა მიერ და ეგრეთწოდებული დემოკრატიული რევოლუციის იდეოლოგად და

სიმბოლოდაც დაისახებოდა, რაკიღა საქვეყნოდ განეცხადებინა: თუ არჩევნებში ზვიად გამსახურდია გაიმარჯვებს, მე წავლ ჩემი ხალხის წინააღმდეგო.

ამ ფრაზას ექცია „რევოლუციის" გმირად.

ამ ფრაზისათვის დაისაჭიროებდნენ მისი ძეგლის აღმართვას თბილისში.

ეს ფრაზა შთააგონებდათ „ვარდების რევოლუციის" მოხელეთაც – შიდა ქართლის გუბერნატორსა და გორის გამგებელს – ფილოსოფოსის მშობლიური ქალაქიც არ დარჩენილიყო მისი გამოსახულების გარეშე.

ბარელიეფს ივარაუდებდნენ ქალაქის შესასვლელში.

მის გამოკვეთას განსაკუთრებული ტალანტი არა სჭირდებოდა, ყოველი მოქანდაკე მოახერხებდა თავის გართმევას, მაგრამ საერთო გადაწყვეტილებით მაინცდამაინც გენო ზაქარაიაზე შეაჩერებდნენ არჩევანს.

„მაისის" შემოქმედს „მეთერთმეტე სიმფონიას" დაუკვეთდნენ.

მოქანდაკე... დათანხმდებოდა.

სიხარულით და ადვილად? შინაგანი ყოყმანით? დათანხმდებოდა კი და მალეც წარუდგენდა ისეთ ნამუშევარს, ურიგო ნამდვილად რომ არ ეთქმოდა.

არა, რომში წაღებას ვერავინ უწინასწარმეტყველებდა.

თუმც ელიზბარ ერისთავის მემორიალის იერი ამასაც გადმოსდევს, მაგრამ ისე მკვეთრადაც არა, ელიზბარ ერისთავის კიდევ ერთ ქანდაკად რომ შევრაცხოთ.

ერთი შეხედვით შესაძლოა გეგონოს, ხელოვანს მოჯადოებული წრისათვის დაუღწევია თავიო.

ალბათ იმიტომ, რომ ბარელიეფის ფორმა გამორიცხავს კეფის გამოკვეთის საჭიროებას.

თუმც თხემი სწორედ იმგვარია, კეფიდან ამოსხლეტილს მოგვაგონებს.

ასეა თუ ისე, თავისებურებაც შეი,ჩნევა და ჩავუთვალოთ ხელოვანს ცდად – თავი დააღნიოს უნებურად შემოსალტულ გარსს.

გახსნით ზარ-ზეიმით გაიხსნებოდა მერაბ მამარდაშვილის ბარელიეფი.

გორელებთან ერთად არაერთი თბილისელი სტუმარიც მიიღებდა მონაწილეობას ამ ზეიმში, ხელოვანს მიულოცავდნენ ახალ წარმატებას და, ვიდრე სუფრას შემოუსხდებოდნენ, ერთსულოვნად გა-

დაწყვეტდა ყველა, ელიზბარ ერისთავის მემორიალსაც ხლებოდნენ – ვინ მერამდენედ, ვინ პირველად, ამ განთქმული ქმნილების უნახავად როგორ გაბრუნებულიყვნენ შინ. და ფეხით დაადგებოდნენ გზას სახელმწიფო უნივერსიტეტისაკენ.

რიტუალივით გამოვიდოდა.

პატივის მიგებად ჭეშმარიტი ეროვნული ღირებულებისადმი.

გორის ხელისუფალნი – თქვენითაც მიხვდით ალბათ – უჩუმარი პირით გაილალებოდნენ სადღაც, რიტუალურ მსვლელობაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ და მემორიალს სათოფეზეც არ გაეკარებოდნენ.

ხალხი მიედინებოდა – სულ სხვა განცდით ატანილი, სულ სხვაგვარად ჩაფიქრებული ელიზბარ ერისთავის ბედისწერაზეც და თავის საკუთარ ბედზეც.

მიიკარგებოდა იმდღევანდელი ზეიმის მიზეზი.

პატარა დეტალად დააჩნდებოდა იმ დღის შთაბეჭდილებებს.

ისტორიული მოვლენის მთავარსარდალს გადაეფარა „დემოკრატიული რევოლუციის“ სახე-სიმბოლო.

გადაეფარა გაცილებით დიდი ხელოვნების ნიმუშს გაცილებით მოკრძალებული ნამუშევარი.

თუნდ რომში წაიღეთო, – ამ ერთ ფრაზასაც ეტყოდა მემორიალთან შემოჯარულ ხალხს გიორგი ოჩიაური, თვითონაც იქვე რომ მდგარიყო, ეტყოდა ჩვეული უბრალოებითა და იმ ფარული თავმოწონებით, უშუალო შთამაგონებელთ როგორც სჩვევიათ – თავიანთი სულის ნაწილად რომ მიიჩნევენ ხელოვნების ქმნილებებს – რითაც აღტაცებულან.

...ადამიანი რწმენაა, – თავისაზე იდგებოდა მტკიცედ „ბორიაყის“ პერსონაჟი.

ეპილოგი

ნელად მოღელავდა მოდუდუნე ქსანიც ანკარა.

მოდუდუნებდა და თავს იმართლებდა – იქნებ კიდეც ჰპოვეს ჩემს ფსკერზე სამუდამო განსასვენებელი უნუგეშოდ დაშთენილმა მიჯნურებმა, მაგრამ ქეთევან ერისთავი მე არ ჩამიხვევია ჩემს ტალღებშიო.

ამუნათებდა ბარათაშვილს, რაღა მე გამიმეტა წარმოსახვითი ტრაგედიის მონაწილედ და სულაც აღმსრულებლად, მე მხოლოდ სევდას ვუქარვებდი ქეთევანსაც და ელიზბარსაც, თუკი ჩემს სანაპირზე ფეხი ჩამოუცდებოდათო.

ბევრიც ემუნათებინა – მომწყვდეულიყო ლექსის არტახებში და იმ კალაპოტს ვერაფრისდიდებით ვერ გადალახავდა, თუნდაც რეალობაში ბევრჯერაც მომწყდარიყო წყალდიდობად და, ნაპირების დატბორვას ვინ ჩივის, სულაც სხვა სადინარიც გაეჭრა. ლექსში ერთხელ და სამუდამოდ დასაზღვრულ კალაპოტში უნდა ედინა და ქეთევანის სხეულიც ტალღებში გაეხვია, ჰაეროვანი ქეთევანის, გულითა და მშვენებით ნაქების. ერთადერთი ის დაეცლია, ბაგეს ამოეთქვა წუთისოფელთან გამოსათხოვარ სიტყვად „ელიზბარი", და მერე ისიც „ამილბარად" გადაკეთებულიყო.

ამ ქარაგმული მინიშნებით შემორჩენოდა ქართულ პოეზიას ელიზბარ ერისთავი.

სატრფოზე გულაყრილ მიჯნურად?

თუ ბედისწერისაგან უღვთოდ გამეტებულ რაინდად?

ასე მკაფიოდაც არ ამოიკითხებოდა იმ პოეტური ქმნილებიდან, ისტორიული ფონის გარეშე ბუნდოვანებაში რომ ჩაიძირებოდა.

ჰელსინგფორსში წრიალებდა შანშე ერისთავის ვაჟი, იქაც ვერ გაქცეოდა მამის აჩრდილს, თან წაჰყოლოდა ყვედრებად, ამხელა ამაგი წყალში როგორ ჩამიყარეო, შენს დაბადებამდეც რა თავდადებით ვიღვაწე და სწორ გზაზე შენს დასაყენებლადაც რა აღარ ვიღონე, ასეთი გაუგონარი და უმადური შვილი განა რამდენს მამას ეყოლებაო.

შენ ხომ მაინც გჯერა, რომ რაც უნდა იყოს, წამლები განზრახ არ შემიცვლიაო, – თავისას უმტკიცებდა ელიზბარი, ფიქრშიც არ ახსენებდა მელანიას სახელს და უნებურ შეცდენას ჩასჭიდებოდა: არ ვიყავი ამ ცოდვის ჩამდენიო.

ერთადერთი ის ვერ მოენელებინა – სავალალო გაცუდება ქადილისა:

ერისთავებმა შემოვიყვანეთ და ერისთავებივე გავრეკავთო.

შორეულ ოცნებებსღა შეეფარებოდა ეს განზრახვა, უფრო ხელშესახებად კი სევდიან მზერას შეერწყმოდა.

იქაც... და მერე აქაც, და სულ უფრო ეკიდებოდა გაუსაძლისი ნაღველი.

არ იმჩნევდა?

მზერა გასცემდა, მწუხარე ფიქრში ჩაძირული თვალები ამ-ულავნებდნენ მისი სულის მთავარ მოძრაობას.

რას უნდა ნიშნავდეს ეს ლექსიო, – ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერ კრებულსაც ხშირად გადაშლიდა. ზეპირად დამახსოვ-რებოდა „ქეთევან“, მაგრამ მაინც მერამდენედ უკირკიტებდა ხელ-ნაწერს, იქნებ უფრო დარწმუნებით მივუხვდე, რატომ გაუყოლებია ქეთევანი ქსნის დინებისთვისო.

ფინალი მაინც სხვაგვარად მოებმოდა გულზე, მისი სახელი რომ მოისმოდა ტალღებიდან.

და მაინც, ეს ამხელა ტრაგედია იდუმალებით შებურვილი რჩებოდა.

ნეტა მისთვის მეკითხა – ან უნებური შეხვედრებისას, ან ბიბ-ლიოთეკის შეკრებებზე, ან სულაც მაშინ, მამუკა ორბელიანს რომ მოჰყვა ჩემთან თუ მამუკა ორბელიანი რომ მოჰყვა, განმიმარტავ-და ზოგიერთ მინიშნებასაც და მაინცდამაინც ასეთი ქარგის აგების მოტივსაცო.

ბოლოსდაბოლოს, ყმაწვილქალისათვის, ვისაც წინ საკმაოდ წლები ედო ამქვეყნიური არსებობისა, რად მოესწრაფა სიცოცხლე ასე ნაადრევად.

თუმც განუმარტავდა კი?

თვითონ ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის კი იქნებოდა მკაფიო და ამოხსნილი პერსონაჟად გარდასახული ქეთევან ერისთავის ასეთი ხვედრი? თვითონ კი ამოიცნობდა მოტივს? თვითონ კი მიაკ-ვლევდა პირველბიძგს ასეთი წარმოსახვისა?

მაშინ ხომ საალბომო სტრიქონებს ვერც გაცდებოდა და მარ-ტოდენ ადრესატისათვის იქნებოდა კეთილად მოსაგონარი.

მდინარესა ზედა ბაბილონისა...

ჰელსინგფორსში შეიცნობდა ბოლომდე ფსალმუნის ამ სტრიქონთა ტრაგიზმს, საკუთარ თავზე რომ გამოცდიდა, სულ სხვაგვარად არიალდებოდნენ გონებაშიც და გულშიც ქნარზე ჩამოკრული მელოდიები... მაგრამ განა ქსნის ნაპირზეც ნაკლებ იგრძნობდა გადასახლებულის სიმწარეს?

ისე როგორ იქნება, საკუთარ ქვეყანაში ემიგრანტის ბედისწერაც არ გამოიხატოს, – გაიფიქრებს ელიზბარი და ჩააცქერდება მდინარის ტალღებს, იქნებ სახელიც ამოისმასო.

ქსანია?.. ლიახვია?.. ტანაა?.. იქნებ სულაც მტკვარია?..

რა გამოარჩევს ასე ადვილად, ანკი გამოსარჩევიც რაღაა, მდინარენია ბაბილონისა...

და ამ მდინარეთა ზედა... ამ მდინარეთა ზედა...

2006

თებერვალი – აპრილი

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმის მაგიერ 3

თავი პირველი
„დროა გავთავისუფლდეთამ შავი სულებისაგან“ 11

თავი მეორე
შუშის ნამცეცები 23

თავი მესამე
კანდრახტი – ჯერ კიდევ როდის 39

თავი მეოთხე
„თეატრში მიბრუნება მეჩქარებოდა“ 64

თავი მეხუთე
ელიზბარი სამსჯავროს წინაშე 74

თავი მეექვსე
შანშე ერისთავისსაიდუმლოებითმოცული აღსასრული 94

თავი მეშვიდე
მწერალთა მრჩეველი 118

თავი მერვე
ჟამი ელიზბარ ერისთავისქანდაკებისა 144

თავი მეცხრე
თუნდ რომშიც წაიღეთ 164

თავი მეათე
ოცნების მინისტრთა კაბინეტი 182

თავი მეთერთმეტე
„პოლიაკები ბევრნიმოვლენ იმ ღამეს“ 213

თავი მეთორმეტე
ქეთევან – საკვირველად მშვენიერი 240

თავი მეცამეტე
ელიზბარის მემორიალიცსამსჯავროს წინაშე 276

თავი მეთოთხმეტე
დროის ცვლილება ანთავადაზნაურთა მარშლის არჩევნები .301

თავი მეთხუთმეტე
„შევყურებ ძეგლს და რა სინათლეა“ 312

თავი მეთექვსმეტე
ადამიანი რწმენაა 323

ეპილოგი 348

PRINTED BY "OMEGA TECH" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62